

## წინასიტყვაობა

ადამიანის უფლებები და მისი თავისუფლება თანამედროვე საზოგადოებაში ყველაზე მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს, რომელთა აღიარება და დაცვა დემოკრატიის ყველაზე დიდი მონაპოვარია, თუმცა, ქალთა უფლებების აღიარება და გენდერული თანასწორობის მიღწევა დღესაც პრობლემატურ საკითხად რჩება.

ქალები საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ ტრადიციულ საზოგადოებაში, რომელშიც მამაკაცები დომინირებდნენ, მოეპოვებინათ იგივე უფლებები და თავისუფლებები, რაც მამაკაცებს გააჩნდათ. საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა დაცვის მრავალფეროვან მექანიზმს გეთავაზობს, მაგრამ იმისათვის, რომ ქალებს უფრო ეფექტურად ესარგებლათ საერთაშორისო მექანიზმებით, აუცილებელი გახდა ქალთა დაცვისათვის დამატებითი ინსტრუმენტების უზრუნველყოფა. ამ ინსტრუმენტებს ადამიანის უფლებების მარეგულირებელ საერთაშორისო დოკუმენტებთან ერთად ქალთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის დამატებითი გარანტიები უნდა შეექმნა. საერთაშორისო ინსტრუმენტები ეს არის დოკუმენტები, რომელიც მიღებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და მოიცავს ადამიანის უფლებების დაცვის ნორმებსა და პრინციპებს. ეს დოკუმენტებია: სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებები, დეკლარაციები, რეზოლუციები და კონვენციები.

პირველი საერთაშორისო კონვენცია მიიღეს მე-20 საუკუნის დასაწყისში, 1910 წელს. ეს იყო საერთაშორისო კონვენცია თეთრი მონებით ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ. 1919 წელს მსოფლიო შრომის ორგანიზაციამ მიიღო რამოდენიმე კონვენცია, რომელიც ეხებოდა ქალის სოციალურ და პროფესიულ სტატუსს. დღეს საერთაშორისო კანონებით და ხელშეკრულებებით დადგენილია სტანდარტები, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმების შექმნას. თითოეულმა სახელმწიფომ თავისი კონსტიტუცია და კანონმდებლობა უნდა შეუსაბამოს საერთაშორისო სტანდარტების მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს.

საერთაშორისო სამართალმა საქართველოს კანონმდებლობისა და ქალთა უფლებების დაცვის მექანიზმების შექმნაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი საერთაშორისო ნორმა ჯერ კიდევ ნაწილობრივ სრულდება.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს კრებულს იმ საერთაშორისო ნორმატიული ინსტრუმენტებისა, რომლებიც ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებს ეხება. მისი მიზანია მკითხველს გააცნოს ქალთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული ძირითადი საერთაშორისო ნორმები.

წიგნში როგორც უნივერსალური, ასევე რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული დოკუმენტები ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი. ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე გამოცემა იქნება სახელმძღვანელო ქალთა უფლებების დამცველთათვის და იგი დემოკრატიის განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

ნაშრომში წარმოდგენილი დოკუმენტების ნაწილი რატიფიცირებულია საქართველოს მიერ და შესაბამისად, წიგნში ოფიციალური თარგმანებია წარმოდგენილი, ხოლო დოკუმენტების ნაწილი სპეციალურად ითარგმნა ამ გამოცემისათვის და არაოფიციალურ თარგმანებს წარმოადგენს.

## სარჩევი

### ნაწილი I: უნივერსალური ნორმატიული ინსტრუმენტები

#### ბაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948

კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1952

კონვენცია ქორწინებაში მყოფ ქალთა მოქალაქეობის შესახებ, 1957

კონვენცია ქორწინებაზე თანხმობის, მინიმალური საქორწინო ასაკისა და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ, 1962

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, 1966

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი, 1966

დეკლარაცია საგანგებო სიტუაციებსა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს ქალების და ბავშვების დაცვის შესახებ, 1974

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1979

ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ფაკულტატური ოქმი, 2000

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია, 1993

რეზოლუცია 1325 “ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე”, 2000

ორგანიზებული ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ოქმი (ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ), 2003

#### შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

რეკომენდაცია 13 სოფლის მეურნეობის სფეროში ღამის სმენაში ქალთა მუშაობის შესახებ, 1921

კონვენცია მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ, 1951

რეკომენდაცია 90 მომუშავე მამაკაცისა და ქალის მიერ თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულებისათვის თანაბარი ანაზღაურების შესახებ, 1951

კონვენცია 103 დედობის დაცვის შესახებ (გადასინჯულია), 1952

დედობის დაცვის შესახებ რეკომენდაცია, 1952

კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ 1958

დისკრიმინაციის (შრომის და დასაქმების სფერო) შესახებ რეკომენდაცია 111, 1958

დამის სმენაში (ქალთა) მუშაობის შესახებ კონვენციის (გადასინჯულია, 1948), 1990 წლის პროტოკოლი

დასაქმების (ოჯახური ვალდებულებების მქონე ქალთა) შესახებ რეკომენდაცია, 1965

ოჯახური ვალდებულებების მქონე მომუშავეთა შესახებ კონვენცია, 1981

## **ბაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია**

კონვენცია განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ, 1960

## **ნაწილი II. რეგიონული ნორმატიული ინსტრუმენტები**

### **ევროპის საბჭო**

#### **მინისტრთა კომიტეტი**

დეკლარაცია ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ, 1988

#### **საპარლამენტო ასამბლეა**

რეზოლუცია 356 ევროპაში ქალთა პოლიტიკური, სოციალური და სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ, 1967

რეზოლუცია 606 ქალთა პოლიტიკური უფლებებისა და მდგომარეობის შესახებ, 1975

რეზოლუცია 753 ევროპის საბჭოს სამდივნოში ქალთა მდგომარეობის შესახებ, 1981

რეზოლუცია 855 მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის შესახებ, 1986

რეზოლუცია 1018 მამაკაცთა და ქალთა თანაბარი უფლებების შესახებ, 1994

რეზოლუცია 1207 ქალთა როლი მეცნიერებასა და ტექნოლოგიის სფეროში, 1999

რეზოლუცია 1216 გაეროს მსოფლიო ქალთა მე-4 კონფერენციის შემდგომი ღონისძიებები (პეკინი, 1995), 2000

რეზოლუცია 1247 ქალთა სქესობრივი დასახიჩრება, 2001

რეზოლუცია 1328 ქალები და მიკრო-სესხები, 2003

რეზოლუცია 1337 ქალთა ვაჭრობითა და პროსტიტუციით გამოწვეული მიგრაცია, 2003

რეზოლუცია 1399 სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ევროპული სტრატეგია, 2004

რეზოლუცია 1489 გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მექანიზმები, 2006

რეზოლუცია 1512 ოჯახში ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობასთან საბრძოლველად გაერთიანებული პარლამენტები, 2006

რეზოლუცია 1557 ქალთა იმიჯი რეკლამაში, 2007

დადგენილება 1558 სიღარიბის ფემინიზაცია, 2007

რეზოლუცია 1582 «საპარლამენტო ერთიანობა ქალთა მიმართ ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში»: კამპანიის შუალედური შეფასება, 2007

## **ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი**

რეზოლუცია 85 ევროპის რეგიონებში ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ, 1999

რეზოლუცია 134 ქალთა ინდივიდუალური ხმის მიცემის უფლებების შესახებ: დემოკრატიის მოთხოვნა, 2002

რეზოლუცია 176 ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ: ქალაქებსა და რეგიონებში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ხელშეწყობა, 2004

## **ევროპის კავშირი**

ამონარიდები ევროპარლამენტის მიერ მიღებული დოკუმენტებიდან ქალთა უფლებების შესახებ

### **ევროპარლამენტი**

ევროპის პარლამენტის რეზოლუცია ევროპის კავშირში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ (2004/2159)

ევროპის პარლამენტის 2007 წლის 13 მარტის რეზოლუცია ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის საგზაო რუკის შესახებ (2006-2010) (2006/2132(INI))

ევროპის პარლამენტის რეზოლუცია საერთაშორისო პოლიტიკაში ქალების მონაწილეობის შესახებ (2006/2057(INI))

### **ევროპული საბჭო**

საბჭოს 1975 წლის 10 თებერვლის დირექტივა წევრი სახელმწიფოების მამაკაცებისა და ქალების თანაბარი ანაზღაურების პრინციპთან დაკავშირებული კანონების დაახლოების შესახებ (75/117/EEC)

საბჭოს 1976 წლის 9 თებერვლის დირექტივა მამაკაცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელების შესახებ, დასაქმებაზე, პროფესიულ ტრენინგზე და დაწინაურებაზე ხელმისაწვდომობის, და სამუშაო პირობების გათვალისწინებით (76/207/EEC)

საბჭოს 1978 წლის 19 დეკემბრის დირექტივა სოციალური უზრუნველყოფის საკითხებში მამაკაცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის თანდათანობითი განხორციელების შესახებ (79/7/EEC)

საბჭოს 1996 წლის 3 ივნისის 96/34/EC დირექტივა დეკრეტული შვებულების სფეროში ევროპის მრეწველთა და დამსაქმებელთა კონფედერაციის კავშირს (UNICE), საზოგადოებრივი სექტორის მეწარმეთა და დამსაქმებელთა ცენტრს (CEEP) და ევროპის პროფკავშირების კონფედერაციას (ETUC) შორის დადებული ჩარჩო შეთანხმების შესახებ

საბჭოს 1996 წლის 20 დეკემბრის 96/97/EC დირექტივა პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემებში ქალთა და მამაკაცთა მიმართ თანაბარი მოპყრობის განხორციელების შესახებ 86/378/EEC დირექტივის შესწორების შესახებ

საბჭოს 2004 წლის 13 დეკემბრის 2004/113/EC დირექტივა საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და მიწოდების სფეროში ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის პრინციპის განხორციელების შესახებ

ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2006 წლის 5 ივლისის დირექტივა 2006/54/EC დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის საკითხებში მამაკაცთა და ქალთა თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის შესახებ

## ნაწილი I

---

### უნივერსალური ნორმატიული ინსტრუმენტები

# ბავთიიანებული ვრების ორბანიზაცია

[www.un.org](http://www.un.org)

## ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948

ვინაიდან ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს; და ვინაიდან ადამიანის უფლებათა უგულვებელყოფამ და აბუჩად აგდებამ გამოიწვია ბარბაროსული აქტები, რაც აღაშფოთებს კაცობრიობის სინდისს, და რომ ისეთი მსოფლიოს შექმნა, რომელშიც ადამიანებს ექნებათ სიტყვისა და რწმენის თავისუფლება და რომელშიც ისინი იცხოვრებენ შიშისა და გაჭირვების გარეშე, გამოცხადებულია როგორც ადამიანთა მაღალი მისწრაფება; და ვინაიდან აუცილებელია უფლებებს იცავდეს კანონის ძალა იმის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანი იძულებული არ გახდეს მიმართოს აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, და ვინაიდან აუცილებელია ხელის შეწყობა ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებისათვის; და ვინაიდან გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების და კაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობისადმი და გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთეს დონეს მეტი თავისუფლების პირობებში; და ვინაიდან წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას; და ვინაიდან ასეთ უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ ვალდებულების მთლიანად შესრულებისათვის გენერალური ასამბლეა აცხადებს ადამიანის უფლებათა ამ საყოველთაო დეკლარაციას ისეთ ამოცანად, რომლის შესრულებას უნდა ელტვოდეს ყველა ხალხი და ყველა სახელმწიფო, რათა ყოველი ადამიანი და საზოგადოების ყოველი ორგანო, ნიადაგ გაითვალისწინებს რა ამ დეკლარაციას, მისიწრაფოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათი სამოველთაო და ეფექტიანი აღიარება-განხორციელების უზრუნველყოფას ნაციონალური თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ხალხებში, ასევე ამ სახელმწიფოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში.

### მუხლი 1

ყველა ადამიანი იზადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ მშობის სულისკვეთებით.

### მუხლი 2

ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა წმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

გარდა ამისა, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს



ტერიტორიადამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდული თავის სუვერენიტეტში.

### **მუხლი 3**

ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

### **მუხლი 4**

არავინ არ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობითი მორჩილების მდგომარეობაში ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია.

### **მუხლი 5**

არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული წამება ან სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი.

### **მუხლი 6**

ყოველ ადამიანს, სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, იმის უფლება აქვს, რომ აღიარებულ იქნეს მისი სამართალსუბიექტობა.

### **მუხლი 7**

ყოველი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ.

ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან.

### **მუხლი 8**

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეფექტიანად იქნეს აღდგენილი უფლებებში კომპეტენტური ნაციონალური სასამართლოების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციით თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები.

### **მუხლი 9**

არავის დაპატიმრება, დაჭერა ან გამევეება არ შეიძლება თვითნებურად.

### **მუხლი 10**

ყოველ ადამიანს მის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისათვის და მისთვის წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის დასადგენად აქვს, სრული თანასწორობის საფუძველზე, იმის უფლება, რომ მისი საქმე საქვეყნოდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით გაარჩიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

### **მუხლი 11**

1. ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა დადგენილი არ იქნება კანონიერი წესისამებრ საჯარო სასამართლო განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა

2. არავის არ შეიძლება მსჯავრი დაედოს დანაშაულისათვის რაიმე ისეთი მოქმედების ჩადენის საფუძველზე, ანდა ისეთი უმოქმედობისათვის, რომლებიც ჩადენის დროს არ

შეადგენდა დანაშაულს ნაციონალური კანონის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

არ შეიძლება აგრეთვე უფრო მძიმე სასჯელის დადება, ვიდრე ის, რომელიც შეიძლებოდა გამოძენებული ყოფილიყო იმ დროს, როცა ჩადენილ იქნა დანაშაული.

### **მუხლი 12**

არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ან და მისი პატივისა და რეპუტაციისა.

ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან.

### **მუხლი 13**

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად იცვლიდეს ადგილსამყოფელს და ირჩევდეს თავის საცხოვრებელ ადგილს ყოველი სახელმწიფოს ფარგლებში.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დატოვოს ყოველი ქვეყანა, მათ შორის თავისიც და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.

### **მუხლი 14**

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეძიოს დევნისაგან თავშესაფარი სხვა ქვეყნებში და ისარგებლოს ამ თავშესაფრით.

2. ეს უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი დევნის შემთხვევაში, რომლის საფუძველს ნამდვილად წარმოადგენს ჩადენა არაპოლიტიკური დანაშაულისა, ანდა ქმედობისა, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

### **მუხლი 15**

1. ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება.

2. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება თავის მოქალაქეობის შეცვლისა.

### **მუხლი 16**

1. სრულასაკოვნებას მიღწეულ კაცებსა და ქალებს უფლება აქვთ რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე, დაქორწინდნენ და ოჯახი დააფუძნონ. ისინი სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით დაქორწინებისას, ქორწინებაში ყოფნის დროს და განქორწინებისას.

2. დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მექორწინე მხარის თავისუფალ და სრული თანხმობისას.

3. ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივ.

### **მუხლი 17**

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად.

2. არავის არ უნდა ჩამოერთვას მისი ქონება თვითნებურად.

### **მუხლი 18**

ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა;

ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წესჩვეულებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით.

### **მუხლი 19**

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

### **მუხლი 20**

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა.
2. არავის იძულება არ შეიძლება რაიმე ასოციაციაში შესასვლელად.

### **მუხლი 21**

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.
3. ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა; ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების პირობებში, ფარული კენჭისყრით, ანდა სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.

### **მუხლი 22**

ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკური, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის.

### **მუხლი 23**

1. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურებისა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.
2. ყოველ მუშაკს აქვს უფლება იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისთვის და მისი ოჯახისათვის და რომელსაც, როცა აუცილებელია, ემატება სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.
3. ყოველ ადამიანს აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს პროფესიულ კავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.

## **მუხლი 24**

ყოველ ადამიანს აქვს დასვენებისა და მოცალეობის უფლება სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვისა და ანაზღაურებული პერიოდული შვებულების უფლების ჩათვლით.

## **მუხლი 25**

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

2. დედობა და ჩვილი ყრმის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით.

## **მუხლი 26**

1. ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება დაწყებითი და ზოგადი მაინც, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი- ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის თითოეულის უნარის შესაბამისად.

2. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ.

განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

3. მშობლებს აქვთ პრიორიტეტის უფლება აირჩიონ რა სახის განათლებაც სურთ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის.

## **მუხლი 27**

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკბებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორს იგი წარმოადგენს.

## **მუხლი 28**

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ისეთ სოციალურსა და საერთაშორისო წესრიგზე, რომლის პირობებში შესაძლებელია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მთლიანად განხორციელება.

## **მუხლი 29**

1. ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.

2. თავის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, როგორც კანონითაა დადგენილი მარტოდენ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.

2. ამ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

## **მუხლი 30**

ამ დეკლარაციაში არაფერი არ უნდა განიმარტოს, როგორც მინიჭება რომელიმე სახელმწიფოსათვის, პირთა ჯგუფისა თუ ცალკეული პირებისათვის უფლებისა ეწეოდნენ ისეთ საქმიანობას ან ჩაიდინონ ისეთი მოქმედება, რომლებიც მიმართულია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მოსასპობად.

## **კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1952**

ხელშემკვრელი მხარეები,

სურთ რა განახორციელონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით მამკაცებისა და ქალების თანასწორობის პრინციპი,

აღიარებენ რა, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის მართვაში უშუალოდ ან თავისუფლად არსებულ წარმომადგენელთა მეშვეობით და თავის ქვეყანაში სახელმწიფო სამსახურის თანასწორი ხელმისაწვდომობის უფლების გამოყენებით, აგრეთვე სურთ რა გაათანაბრონ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის დადენილებების შესაბამისად, მამკაცებისა და ქალების მდგომარეობა პოლიტიკური უფლებების ქონისა და სარგებლობის მიმართ, გადაწყვიტეს რა დადონ ამ მიზნით კონვენცია,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

### **მუხლი I**

ქალებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ ყველა არჩევნებში, მამკაცების თანასწორი პირობებით, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე.

### **მუხლი II**

ქალები შეიძლება არჩეულ იქნენ, მამკაცების თანასწორი პირობებით, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, ეროვნული კანონით დადგენილ ყველა დაწესებულებაში, რომლებიც საჯარო არჩევნებს მოითხოვს.

### **მუხლი III**

ქალებს ეკუთვნით, მამაკაცების თანასწორი პირობებით, უფლება დაიკავონ თანამდებობა საზოგადოებრივ-სახელმწიფო სამსახურში და შეასრულონ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ყველა საზოგადოებრივ-სახელმწიფო ფუნქცია.

### **მუხლი IV**

1. მოცემულ კონვენციას შეუძლია ხელი მოაწეროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს, აგრეთვე ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, რომელმაც მიიღო გენერალური ასამბლეის მიწვევა.
2. მოცემული კონვენცია რატიფიკაციას ექვემდებარება და სარატიფიკაციო სიგელები შესაძლებელია გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

### **მუხლი V**

1. მოცემულ კონვენციას შეუძლია მიუერთდეს მეოთხე მუხლის 1 პუნქტში მითითებულ ყველა სახელმწიფოს.
2. მიერთება ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის მიერთების შესახებ დეკლარაციის გადაცემის გზით.

### **მუხლი VI**

1. მოცემული კონვენცია ძალაში შედის ოთხმოცდამეათე დღეს იმ დღიდან, რაც შესაძლებელია გადაეცემა მეექვსე სარატიფიკაციო სიგელი ან დეკლარაცია მიერთების შესახებ.
2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც მოახდენს ამ კონვენციის რატიფიკაციას ან მიუერთდება მას მეექვსე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების შესახებ დეკლარაციის შესაძლებელია გადაცემის შემდეგ, კონვენცია ძალაში შედის ოთხმოცდამეათე დღეს მას მერე, რაც ეს სახელმწიფო შესაძლებელია გადასცემს თავის სარატიფიკაციო სიგელს ან დეკლარაციას მიერთების შესახებ.

### **მუხლი VII**

თუ რომელიმე სახელმწიფო შენიშვნას გამოთქვამს მოცემული კონვენციის რომელიმე მუხლთან დაკავშირებით ხელმოწერის, რატიფიკაციის ან მიერთების დროს, გენერალური მდივანი ან შენიშვნის ტექსტს აცნობებს ყველა სახელმწიფოს, რომელიც არის ან შეიძლება გახდეს ამ კონვენციის მონაწილე. ყოველ სახელმწიფოს, რომელიც ამ შენიშვნის წინააღმდეგია, შეუძლია ოთხმოცდაათდღიანი ვადის განმავლობაში, აღნიშნული შეტყობინების თარიღიდან (ან იმ დღიდან, როცა კი კონვენციის მონაწილე გახდა) მოყოლებული, აცნობოს გენერალურ მდივანს, რომ შენიშვნას არ ეთანხმება. ასეთ შემთხვევაში კონვენცია ასეთ სახელმწიფოსა და შენიშვნის გამომთქმელ სახელმწიფოს შორის ძალაში არ შედის.

### **მუხლი VIII**

1. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია მოცემული კონვენციის დენონსირება, თუ წერილობით აცნობებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ამის თაობაზე. დენონსაცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღების დღიდან ერთ წელიწადში.
2. მოცემული კონვენციის მოქმედება წყდება დენონსაციის ძალაში შესვლის დღიდან, რის შემდეგაც კონვენციაში მხარეთა რაოდენობა ექვსზე ნაკლები აღმოჩნდება.

## **მუხლი IX**

ნებისმიერ ორ ან რამდენიმე ხელშემკვერელ სახელმწიფოს შორის მოცემული კონვენციის განმარტების გამოყენების თაობაზე წარმოქმნილი ნებისმიერი დავა, რომელიც მოლაპარაკების გზით ვერ გადაწყდა, ამ დავის მონაწილე ნებისმიერი მხარის მოთხოვნით გადასაწყვეტად გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს, თუ მხარეები მისი სხვა გზით მოწესრიგებაზე არ შეთანხმდებიან.

## **მუხლი X**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრს და იმ სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან ორგანიზაციის წევრები მაგრამ ნახსენები არიან მოცემული კონვენციის მე-4 მუხლის 1 პუნქტში, ატყობინებს:

- ა) ხელმოწერებისა და 4 მუხლის შესაბამისად მიღებული სარატიფიკაციო სიგელების შესახებ;
- ბ) 5 მუხლის შესაბამისად მიღებული მიერთების შესახებ დეკლარაციების თაობაზე ;
- გ) 6 მუხლის შესაბამისად მოცემული კონვენციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;
- დ) 7 მუხლის შესაბამისად მიღებული ცნობებისა და შეტყობინებების შესახებ;
- ე) 8 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად მიღებული დენონსაციის შესახებ შეტყობინებათა თაობაზე;
- ვ) 8 მუხლის 2 პუნქტის შესაბამისად კონვენციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

## **მუხლი XI**

1. მოცემული კონვენცია, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტურია, დაცულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივში.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს უგზავნის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრს და იმ სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან ორგანიზაციის წევრები, მაგრამ ნახსენები არიან 4 მუხლის 1 პუნქტში.

ამის დასტურად ქვემოთ ხელისმომწერებმა, შესაბამისი მთავრობების მიერ სათანადოდ უფლებამოსილებმა, ხელი მოაწერეს მოცემულ კონვენციას, რომელიც ხელმოსაწერად ნიუ-იორკში გაიხსნა ათას ცხრაას ორმოცდაცამეტი წლის ოცდათერთმეტ მარტს.

### **კონვენცია ქორწინებაში მყოფ ქალთა მოქალაქეობის შესახებ, 1957**

ხელშემკვერელი სახელმწიფოები,

აღიარებენ რა, რომ სამართლებრივი კაზუსები მოქალაქეობასთან დაკავშირებით პრაქტიკაში წამოიშვება იმ დებულებების გამო, რომელიც შეეხება ქორწინების ან ქორწინების მოშლის შედეგად ქალის მიერ მოქალაქეობის დაკარგვას, ან მიღებას, ან მოქალაქეობის შეცვლას ქორწინების პერიოდში ქმრის მიერ მოქალაქეობის შეცვლისას,

აღიარებენ რა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-15 მუხლში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ განაცხადა, რომ «ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება» და «არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება მოქალაქეობის შეცვლისა»,

აქვთ რა სურვილი, რომ ითანამშრომლონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ადამიანის, განურჩევლად სქესისა, უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემისა და დაცვის ხელშეწყობის მიზნით,

თანხმდებიან შემდეგზე:

### **მუხლი 1**

თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო თანხმდება, რომ მისი ქვეყნის მოქალაქესა და უცხო ქვეყნის მოქალაქეს შორის არც ქორწინება ან ქორწინების მოშლა, ან ქმრის მიერ მოქალაქეობის შეცვლა ქორწინების პერიოდში, ავტომატურად არ უნდა აისახოს მისი მეუღლის მოქალაქეობაზე.

### **მუხლი 2**

თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო თანხმდება, რომ მისი ქვეყნის მოქალაქის მიერ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის ნებაყოფლობითი მიღების ან მისი ქვეყნის მოქალაქეობაზე უარის თქმის შედეგად ამგვარი მოქალაქის მეუღლეს არ უნდა შეუშალოს ხელი შეინარჩუნოს მისი ქვეყნის მოქალაქეობა.

### **მუხლი 3**

1. თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო თანხმდება, რომ მისი ქვეყნის მოქალაქის უცხოელ მეუღლეს თხოვნის საფუძველზე შეუძლია მიიღოს მისი ქმრის მოქალაქეობა სპეციალური, პრივილეგირებული ნატურალიზაციის პროცედურის მეშვეობით; ამგვარი გზით მოქალაქეობის მინიჭება შესაძლოა დაექვემდებაროს ისეთ შეზღუდვებს, რომელიც შესაძლოა შემოღებულ იქნეს ეროვნული უსაფრთხოების ან სახელმწიფო პოლიტიკის ინტერესების დასაცავად.

2. თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო თანხმდება, რომ წინამდებარე კონვენცია არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული რომელიმე იმ კანონმდებლობის ან იურიდიული პრაქტიკის საზიანოდ, რომლის მიხედვითაც მისი ქვეყნის მოქალაქის უცხოელმა ცოლმა, როგორც მისი ერთ-ერთი უფლება, თავისი თხოვნის საფუძველზე, შეიძლება მიიღოს მისი მეუღლის მოქალაქეობა.

### **მუხლი 4**

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად და რატიფიცირებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ, ასევე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიერ, რომელიც არის ან შემდგომში გახდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული უწყების წევრი, ან რომელიც არის, ან შემდგომში გახდება საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს სტატუტის მხარე, ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიერ, რომელსაც გაეგზავნა მოწვევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ.

2. წინამდებარე კონვენცია რატიფიცირებული უნდა იქნეს, ხოლო რატიფიცირების დოკუმენტები გაეგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

### **მუხლი 5**

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა მე-4 მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებულ ყველა სახელმწიფოს მიერ მასზე მიერთებისათვის.



2. კონვენციაზე მიერთება ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის კონვენციაზე მიერთების წევრობის შესახებ სიგელის გაგზავნით.

## **მუხლი 6**

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის რატიფიცირების ან მასზე მიერთების მე-6 სიგელის წარდგენიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც მოახდენს ამ კონვენციის რატიფიცირებას ან მასზე მიერთებას, მის მიერ რატიფიცირების ან მასზე მიერთების მე-6 სიგელის წარდგენის დღიდან ოთხმოცდამეათე დღეს წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა.

## **მუხლი 7**

1. წინამდებარე კონვენცია ვრცელდება ყველა არათვითმმართველ, მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ, კოლონიალურ და სხვა არამეტროპოლიტურ ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელია ხელშემკვრელი სახელმწიფო; შესაბამისმა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ, ამ მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების საფუძველზე, კონვენციის ხელმოწერის, რატიფიცირების ან მასზე მიერთების დროს უნდა დაასახელოს ის არამეტროპოლიტური ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელზეც უნდა გავრცელდეს ეს კონვენცია ხელმოწერის, რატიფიცირების ან მასზე მიერთების ფაქტის გამო.

2. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქეობის საკითხის გამო არამეტროპოლიტური ტერიტორიის მიმართ მეტროპოლიტური ტერიტორიისაგან განსხვავებული მიდგომა გამოიყენება, ან ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს, ან არამეტროპოლიტური ტერიტორიის კონსტიტუციური კანონებით ან პრაქტიკით მოითხოვება არამეტროპოლიტური ტერიტორიის თანხმობა კონვენციის მის ტერიტორიაზე გასავრცელებლად, ხელშემკვრელმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საჭირო თანხმობის მოპოვება არამეტროპოლიტური ტერიტორიიდან მის მიერ კონვენციის ხელმოწერის დღიდან თორმეტი თვის განმავლობაში და ამგვარი თანხმობის მიღების შემდეგ ხელშემკვრელმა სახელმწიფომ უნდა შეატყობინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. წინამდებარე კონვენცია გავრცელდება იმ ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე, რომელიც აღნიშნულ შეტყობინებაში დასახელდება იმ დღიდან, როდესაც გენერალური მდივანი მიიღებს ამ შეტყობინებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული თორმეტი თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ შესაბამისმა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ გენერალურ მდივანს უნდა შეატყობინოს იმ არამეტროპოლიტურ ტერიტორიებთან გამართული კონსულტაციების შედეგები, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ისინი არიან პასუხისმგებელნი და რომელმაც შესაძლოა უარი თქვას წინამდებარე კონვენციის თავიანთ ტერიტორიაზე გავრცელებაზე.

## **მუხლი 8**

1. კონვენციაზე ხელმოწერის, რატიფიცირების ან მასზე მიერთებისას ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს დათქმა ამ კონვენციის ნებისმიერი მუხლის მიმართ, გარდა 1-ლი და მე-2 მუხლებისა.

2. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით გააკეთებს დათქმას, წინამდებარე კონვენცია, იმ დებულებების გარდა, რომელთა მიმართაც

დათქმა გაკეთდა, ძალაში შევა დათქმის გამკეთებელ სახელმწიფოსა და სხვა მხარეებს შორის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა დათქმის ტექსტი უნდა გააცნოს ყველა სახელმწიფოს, რომლებიც იყვნენ ან შემდგომ გახდნენ კონვენციის მხარეები. კონვენციის ყველა არსებულ წევრ სახელმწიფოს, ან მათ, რომლებიც შემდგომ გახდებიან წევრები, შეუძლიათ გენერალურ მდივანს შეატყობინონ, რომ ისინი თვლიან რომ კონვენცია არ არის დამავალდებულებელი მათთვის იმ წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც დათქმა გააკეთა. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო უკვე წევრი ქვეყანაა, აღნიშნულის შესახებ შეტყობინება უნდა გაიგზავნოს გენერალური მდივანის მიერ დათქმის გავრცელებიდან ოთხმოცდაათი დღის განმავლობაში; და, თუ სახელმწიფო შემდგომ ხდება წევრი, - ოთხმოცდაათი დღის განმავლობაში რატიფიცირების ან მასზე მიერთების სიგელის გაგზავნის დღიდან. ამგვარი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში კონვენცია არ მოქმედებს შეტყობინების გამგზავნ სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელმაც დათქმა გააკეთა.

3. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით აკეთებს დათქმას, შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს დათქმა მთლიანად ან ნაწილობრივ, მას შემდეგ, როდესაც ამის თაობაზე შეტყობინებას გაუგზავნის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. შეტყობინება ძალაში შევა იმ დღიდან, როდესაც მას მიიღებს გენერალური მდივანი.

### **მუხლი 9**

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს წინამდებარე კონვენციის დენონსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანის სახელზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. დენონსირება ძალაში შევა გენერალური მდივანის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან ერთი წლის შემდეგ.

2. წინამდებარე კონვენცია გაუქმებულია იმ დღიდან, როდესაც კონვენციის დენონსირება, რომლის შედეგადაც კონვენციის მხარეები ექვს რიცხვამდე შემცირდება - ძალაში შევა.

### **მუხლი 10**

ნებისმიერი დავა, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ორ ან მეტ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შორის წინამდებარე კონვენციის ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით, და ვერ გადაწყდება მოლაპარაკების საფუძველზე, დავის ნებისმიერი მხარის თხოვნით გადაეგზავნება საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს, თუ მხარეები დავის გადაწყვეტის სხვა გზას არ აირჩევენ.

### **მუხლი 11**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ და არაწევრ სახელმწიფოს, რომლებიც მოისაზრებიან წინამდებარე კონვენციის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით, უნდა შეატყობინოს შემდეგი:

- (ა) მე-4 მუხლის შესაბამისად მიღებული ხელმოწერები და რატიფიცირების სიგელები;
- (ბ) მე-5 მუხლის შესაბამისად მიღებული კონვენციაზე მიერთების სიგელები;
- (გ) წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის თარიღი მე-6 მუხლის შესაბამისად;
- (დ) მე-8 მუხლის შესაბამისად მიღებული ცნობები და შეტყობინებები;

(ე) მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად მიღებული დენონსირების შესახებ შეტყობინებები;

(ვ) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კონვენციის გაუქმების შესახებ.

## **მუხლი 12**

1. წინამდებარე კონვენცია, რომლის ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე შესრულებული ტექსტები თანაბრად აუთენტურია, შენახული უნდა იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კონვენციის დამოწმებული ასლი უნდა დაუგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ და არაწევრ სახელმწიფოს, რომლებიც წინამდებარე კონვენციის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით მოისაზრებიან.

## **კონვენცია ქორწინებაზე თანხმობის, მინიმალური საქორწინო ასაკისა და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ, 1962**

ხელშემკვერი მხარეები,

გამოთქვამენ რა სურვილს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად ხელი შეუწყონ ადამიანის - განურჩევლად მისი რასის, სქესის, ენის ან რელიგიისა - უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას,

მიუთითებენ რა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-16 მუხლზე, სადაც განცხადებულია, რომ:

(1) სრულწლოვან კაცსა და ქალს, რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე, უფლება აქვთ დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი. ისინი სარგებლობენ თანაბარი უფლებებით დაქორწინებისას, ქორწინებაში ყოფნის დროს და განქორწინებისას.

(2) დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე დასაქორწინებელი პირის თავისუფალი და სრული თანხმობისას,

ასევე მიუთითებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განცხადებაზე 1954 წლის 17 დეკემბრის 843 (IX) რეზოლუციაში, იმის შესახებ, რომ ქორწინებასა და ოჯახთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულება, მოძველებული კანონები და პრაქტიკა არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დებულებასა და ადამიანის თავისუფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ასახულ პრინციპებს,

კვლავ ადასტურებს რა, რომ ყველა სახელმწიფომ, მათ შორის მათაც, რომელთაც აიღეს ან აიღებენ პასუხისმგებლობას არათვითმმართველი, მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ტერიტორიების მართვაზე იმ დრომდე, სანამ ისინი დამოუკიდებლობას არ მიაღწევენ, შესაბამისი ზომები უნდა მიიღონ ამგვარი ადათ-წესების, მოძველებული კანონებისა და პრაქტიკის შეცვლის მიზნით და უზრუნველყონ, სხვა საკითხებთან ერთად, მეუღლის სრულიად თავისუფალი არჩევა, ბავშვთა დაქორწინების სრულად

აღმოფხვრა და ახალგაზრდა გოგონების დანიშვნა სქესობრივი სიმწიფის ასაკამდე, შესაბამისი ჯარიმების შემოღება, საჭიროების შემთხვევაში, და სამოქალაქო ან სხვა რეესტრის წარმოება, სადაც აღირიცხება ყველა ქორწინება,

თანხმდებიან შემდეგზე:

### **მუხლი 1**

1. დაუშვებელია კანონიერი ქორწინება ორივე დასაქორწინებელი პირის სრული და თავისუფალი თანხმობის გარეშე, რომელიც მათ პირადად უნდა განაცხადონ სათანადო საჯაროობის შემდეგ და ქორწინების ცერემონიის ჩატარებაზე უფლებამოსილი პირისა და მოწმეების თანდასწრებით, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს.

2. მიუხედავად პირველი პუნქტისა, არ არის აუცილებელი ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირის დასწრება, როდესაც კომპეტენტური პირი დარწმუნებულია, რომ გარემოებები გამონაკლისია და ამ პირმა უფლებამოსილი პირის წინაშე, კანონით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, გამოხატა თანხმობა და არ განუცხადებია უარი თავის თანხმობაზე.

### **მუხლი 2**

წინამდებარე კონვენციის წევრმა სახელმწიფოებმა საკანონმდებლო აქტით უნდა განსაზღვრონ მინიმალური საქორწინო ასაკი. დაუშვებელია კანონიერი ქორწინება ამ ასაკს მიუღწეველი ნებისმიერი პირისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპეტენტური პირი გასცემს სპეციალურ ნებართვას დაწესებული ასაკობრივი მოთხოვნიდან განთავისუფლების შესახებ სერიოზული მიზეზების გამო დასაქორწინებელ პირთა ინტერესების დაცვის მიზნით.

### **მუხლი 3**

ყველა ქორწინების რეგისტრაციას ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო შესაბამის ოფიციალურ რეესტრში.

### **მუხლი 4**

1. წინამდებარე კონვენცია 1963 წლის 31 დეკემბრამდე ღიაა ხელმოსაწერად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ან ნებისმიერი სპეციალიზებული უწყებების წევრი სახელმწიფოს მიერ, და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ ამ კონვენციის მხარედ მოწვეული ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ.

2. წინამდებარე კონვენცია ექვემდებარება რატიფიცირებას. რატიფიცირების სიგელები უნდა გაეგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

### **მუხლი 5**

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა მე-4 მუხლის 1.2 პუნქტში მითითებულ ყველა სახელმწიფოს მიერ მასზე მიერთებისათვის. კონვენციაზე მიერთება ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის კონვენციის წევრობის შესახებ სიგელის გაგზავნით.

### **მუხლი 6**

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის რატიფიცირების ან მასზე მიერთების მე-8 სიგელის წარდგენიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც მოახდენს კონვენციის რატიფიცირებას ან მიუერთდება მას, კონვენცია ძალაში შევა მის მიერ რატიფიცირების ან მიერთების სიგელის წარდგენიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

### **მუხლი 7**

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს წინამდებარე კონვენციის დენონსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. დენონსირება ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან ერთი წლის შემდეგ.

2. წინამდებარე კონვენცია გაუქმებულია იმ დღიდან, როდესაც კონვენციის დენონსირება, რომლის შედეგადაც კონვენციის მხარეები ექვს რიცხვამდე შემცირდება - ძალაში შევა.

### **მუხლი 8**

ნებისმიერი დავა, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ორ ან მეტ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შორის წინამდებარე კონვენციის ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით, და ვერ გადაწყდება მოლაპარაკების საფუძველზე, დავის ნებისმიერი მხარის თხოვნით გადაეგზავნება საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს, თუ მხარეები დავის გადაწყვეტის სხვა გზას არ აირჩევენ.

### **მუხლი 9**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ და არაწევრს სახელმწიფოს, რომლებიც მოისაზრებიან წინამდებარე კონვენციის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით, უნდა შეატყობინოს შემდეგი:

( ა ) მე-4 მუხლის შესაბამისად მიღებული ხელმოწერები და რატიფიცირების სიგელები;

( ბ ) მე-5 მუხლის შესაბამისად მიღებული კონვენციაზე მიერთების სიგელები;

( გ ) წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის თარიღი მე-6 მუხლის შესაბამისად;

( დ ) მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად მიღებული შეტყობინებები დენონსირების შესახებ;

( ე ) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კონვენციის გაუქმების შესახებ.

### **მუხლი 10**

1. წინამდებარე კონვენცია, რომლის ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე შესრულებული ტექსტები თანაბრად აუთენტურია, შენახული უნდა იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კონვენციის დამოწმებული ასლი უნდა დაუგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ და არაწევრს სახელმწიფოს, რომლებიც წინამდებარე კონვენციის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით მოისაზრებიან.

## საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, 1966

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპები შესაბამისად ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების, მათი თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება არის თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველი,

აღიარებენ, რომ ეს უფლებები გამომდინარეობენ ადამიანისათვის დამახასიათებელი ღირსებიდან,

აღიარებენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, თავისუფალი, შიშისა და გაჭირვებისაგან თავისუფალი ადამიანის პიროვნების იდეალის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ შეიქმნა ისეთი პირობები, როცა თითოეული შეძლებს ისარგებლოს თავის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით, ასევე როგორც თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებით,

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით სახელმწიფოები ვალდებული არიან წახალისონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემა და დაცვა,

ითვალისწინებენ, რომ თითოეული ადამიანი, აქვს რა ვალდებულებანი სხვა ადამიანებისა და იმ კოლექტივის მიმართ, რომელსაც ეკუთვნის, უნდა იღწოდეს ამ პაქტით აღიარებული უფლებათა წახალისებისა და დაცვისათვის,

შეთანხმდნენ შემდეგი მუხლების გამო:

### ნაწილი 1

#### მუხლი 1\*

1. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად აწესებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

2. ყველა ხალხს თავისი მიზნების მისაღწევად შეუძლია თავისუფლად მოიხმაროს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეები და რესურსები ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულებას. არც ერთ ხალხს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წაერთვას საარსებო სახსრები, რომლებიც მას ეკუთვნის.

3. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფო, მათ შორის ის სახელმწიფოები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა არათვითმმართველი და სამეურნეო ტერიტორიების მართვისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად ხელს უნდა უწყობდნენ თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას და პატივს სცემენ ამ უფლებას.

---

\* საქართველოს პარლამენტი აღიარებს პირველ მუხლში ჩამოყალიბებულ დებულებებს იმ ინტერპრეტაციით, რომელიც აისახა ადამიანის უფლებათა ვენის 1993 წლის დეკლარაციაში (პუნქტი 2).

## ნაწილი II

### მუხლი 2

1. ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას ინდივიდუალური წესით და საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის, კერძოდ, ეკონომიკურ და ტექნიკურ დარგებში საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის წესით, არსებული რესურსების მაქსიმალურ ფარგლებში მიიღოს ზომები, რათა თანდათან უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებების სრული განხორციელება ყველა მართებული საშუალებით, მათ შორის, კერძოდ, საკანონმდებლო ღონისძიებათა მიღებით.

2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ, რომ ამ პაქტით გამოცხადებული უფლებები განხორციელდება რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, როგორცაა დისკრიმინაცია რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოების გამო.

3. განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ ადამიანის უფლებებისა და თავიანთი სახალხო მეურნეობის სათანადოდ გათვალისწინებით განსაზღვრონ, თუ რამდენად უზრუნველყოფენ ამ პაქტით აღიარებულ უფლებებს იმ პირთათვის, რომლებიც მათი მოქალაქენი არ არიან.

### მუხლი 3

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ მამაკაცებისა და ქალების თანასწორი უფლებები ისარგებლონ ამ პაქტით გათვალისწინებული ყველა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებით.

### მუხლი 4

ამ პაქტით მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ იმ უფლებათა გამოყენების მხრივ, რომლებსაც ესა თუ ის სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ პაქტის შესაბამისად, ამ სახელმწიფოს შეუძლია შემოიღოს ამ უფლებათა მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებსაც განსაზღვრავს კანონი, და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს შეეთავსება აღნიშნულ უფლებათა ბუნებას, და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს საერთო კეთილდღეობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

### მუხლი 5

1. ამ პაქტში არ შეიძლება არაფრის განმარტება ისე, თითქოს ნიშნავდეს, რომ რომელიმე სახელმწიფოს, რომელიმე ჯგუფს ან რომელიმე პირს ჰქონდეს უფლება ეწეოდეს რაიმე საქმიანობას ან სჩადიოდეს რაიმე მოქმედებას, რომელთა მიზანია ამ პაქტით აღიარებული რომელიმე უფლებისა თუ ვალდებულების მოსპობა ან მათი შეზღუდვა უფრო მეტად, ვიდრე ეს პაქტი ითვალისწინებს.

2. ადამიანის რაიმე ძირითადი უფლებები, რომლებიც აღიარებულია ამ კანონის, კონვენციების, წესებისა თუ ზნე-ჩვეულებების ძალით ან არსებობს რომელიმე ქვეყანაში, არ შეიძლება შეიზღუდოს ან დაკნინდეს იმ საბაზით, რომ ამ პაქტში ასეთი უფლებები აღიარებული არ არის ან აღიარებულია ნაკლები მოცულობით.

### ნაწილი III

#### მუხლი 6

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც შეიცავს თითოეული ადამიანის უფლებას საარსებო სახსრები მოიპოვოს საკუთარი შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან თავისუფლად დათანხმდება ან განახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს ამ უფლების უზრუნველყოფისათვის.
2. ამ პაქტით მონაწილე სახელმწიფოთა ღონისძიებანი ამ უფლების სრული განხორციელების მიზნით შეიცავენ პროფესიულ-ტექნიკური სწავლებისა და მომზადების პროგრამებს, განუხრელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისა და სრული საწარმოო დასაქმების გზებსა და მეთოდებს ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ძირითად პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებებს.

#### მუხლი 7

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეულის უფლებას ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობები, მათ შორის, კერძოდ:
  - ა) ანაზღაურება, რომელიც ყველა მშრომელისათვის, როგორც მინიმუმს, უზრუნველყოფს:
    - I) სამართლიან ხელფასს და თანაბარ ანაზღაურებას თანაბარი შრომისათვის რაიმე განსხვავების გარეშე, ამასთან, კერძოდ, ქალებისათვის გარანტირებული უნდა იყოს შრომის ისეთი პირობები, რომლებიც მამაკაცთა შრომის პირობებზე უარესი არ იქნება და თანაბარი ანაზღაურება თანაბარი შრომისათვის;
    - II) მათი და მათი ოჯახების დამაკმაყოფილებელ არსებობას ამ პაქტის დებულებათა შესაბამისად;
  - ბ) უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მოთხოვნების შესაბამისი შრომის პირობები;
  - გ) ყველასათვის ერთნაირი შესაძლებლობა სამუშაოზე დაწინაურდეს შესაბამის უფრო მაღალ საფეხურზე მხოლოდ და მხოლოდ შრომითი სტაჟისა და კვალიფიკაციის საფუძველზე;
  - დ) დასვენება, თავისუფალი დრო და სამუშაო დროის გონივრული შეზღუდვა და პერიოდული ანაზღაურებული შვებულება, ისევე როგორც ანაზღაურება უქმე დღეებისათვის.

#### მუხლი 8

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ:
  - ა) თითოეული ადამიანის უფლება თავისი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების განხორციელებისა და დაცვისათვის შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს ასეთ კავშირებში თავისი არჩევანით და ერთადერთი პირობით, რომ შეასრულებს შესაბამისი ორგანიზაციის წევრებს. აღნიშნული უფლების გამოყენება არ ექვემდებარება არავითარ შეზღუდვებს იმ შეზღუდვების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და დემოკრატიულ საზოგადოებაში საჭიროა სახელმწიფო უშიშროებისა თუ საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად;
  - ბ) პროფესიული კავშირების უფლება შექმნან ეროვნული ფედერაციები ან კონფედერაციები და ამ უკანასკნელთა უფლება შექმნან საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციები ან შეუერთდნენ მათ;
  - გ) პროფესიული კავშირების უფლება იმუშაონ შეუფერხებლად რაიმე შეზღუდვების გარეშე იმ შეზღუდვების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროებისა თუ



საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად;

დ) გაფიცვების უფლება იმ პირობით, რომ ეს უფლება ხორციელდებოდეს თითოეული ქვეყნის კანონების შესაბამისად.

2. ეს მუხლი არ ეწინააღმდეგება იმას, რომ კანონიერი შეზღუდვები შემოიღონ ამ უფლებების გამოყენებაზე იმ პირთა მიერ, რომლებიც შედიან სახელმწიფოა შეიარაღებული ძალების, პოლიციისა თუ ადმინისტრაციის შემადგენლობაში.

3. ამ მუხლში არაფერი არ აძლევს უფლებას იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მონაწილეობენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1948 წლის კონვენციაში ასოციაციათა თავისუფლებისა და ორგანიზაციის უფლების დაცვის შესახებ, მიიღონ საკანონმდებლო აქტები აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების საზიანოდ ან გამოიყენონ კანონი ისე, რომ ზიანი მიაყენონ ამ გარანტიებს.

## **მუხლი 9**

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით.

## **მუხლი 10**

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ:

1. ოჯახს, რომელიც საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობისდაგვარად ყველაზე ფართო დაცვა და დახმარება, განსაკუთრებით მისი შექმნის დროს და სანამ ეკისრება პასუხისმგებლობა და ზრუნვა ბავშვებისა და მათი აღზრდისათვის, ვიდრე ისინი დამოუკიდებელი გახდებოდნენ. ქორწინება უნდა ხდებოდეს მექორწინეთა თავისუფალი თანხმობით.

2. განსაკუთრებული დაცვა უნდა ჰქონდეთ დედებს მშობიარობამდე და მის შემდეგ გონივრული პერიოდის მანძილზე. ამ პერიოდის მანძილზე მომუშავე დედებს უნდა ეძლეოდეთ ანაზღაურებული შვებულება ან შვებულება, რომლის დროს მისცემენ საკმარის დახმარებას სოციალური უზრუნველყოფის ხაზით.

3. დაცვისა და დახმარების განსაკუთრებული ღონისძიებანი უნდა ხორციელდებოდეს ყველა ბავშვისა და მოზარდის მიმართ ოჯახური წარმოშობის ნიშნისა თუ რაიმე სხვა ნიშნის მიხედვით რაიმე დისკრიმინაციის გარეშე. ბავშვები და მოზარდები დაცული უნდა იყვნენ ეკონომიკური და სოციალური ექსპლუატაციისაგან. მათი ზნეობისა და ჯანმრთელობისათვის მავნე ან სიცოცხლისათვის საშიშ ან სხვა იმ დარგში მათი შრომის გამოყენება, რომელსაც შეუძლია ავნოს მათ ნორმალურ განვითარებას, კანონით უნდა ისჯებოდეს, გარდა ამისა, სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ ასაკობრივი საზღვრები, რომელთა ქვემოთ ბავშვთა ფასიანი შრომის გამოყენება აკრძალულია და კანონით ისჯება.

## **მუხლი 11**

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეულის უფლებას ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და ბინა, აგრეთვე უფლებას განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ, რომ ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო თანამშრომლობას, მიიღებენ სათანადო ზომებს ამ უფლების განხორციელების უზრუნველყოფისათვის.

2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, აღიარებენ რა თითოეული ადამიანის ძირითად უფლებას იყოს თავისუფალი შიმშილისგან, ინდივიდუალურად და საერთაშორისო თანამშრომლობის წესით უნდა ახორციელებდნენ საჭირო ღონისძიებებს, მათ შორის ასრულებდნენ კონკრეტულ პროგრამებს, იმისათვის, რომ:

ა) გაუმჯობესონ სურსათის წარმოების, შენახვისა და განაწილების მეთოდები ტექნიკური მეცნიერული ცოდნის ფართოდ გამოყენების, კვების პრინციპების შესახებ ცოდნის გავრცელებისა და აგრარული სისტემების ისეთი სრულყოფისა და რეფორმის გზით, რომ მიაღწიონ ბუნებრივი რესურსების ყველაზე ეფექტიან ათვისებასა და გამოყენებას; და

ბ) უზრუნველყონ სურსათის მსოფლიო მარაგის სამართლიანი განაწილება როგორც სურსათის იმპორტიორი, ისე ექსპორტიორი ქვეყნების მოთხოვნილებათა შესაბამისად და პრობლემების გათვალისწინებით.

## **მუხლი 12**

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ჰქონდეს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი დონე.

2. ღონისძიებანი, რომლებიც ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ამ უფლების სრული გამოყენებისათვის, შეიცავენ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა:

ა) მკვდრადშობადობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და ბავშვის ჯანსაღი განვითარების უზრუნველყოფისათვის;

ბ) გარემოს ჰიგიენისა და მრეწველობაში შრომის ჰიგიენის ყველა ასპექტის გაუმჯობესებისათვის;

გ) ეპიდემიური, ენდემური, პროფესიული და სხვა დაავადებების თავიდან აცილებისა და მათს წინააღმდეგ ბრძოლისათვის;

დ) ისეთი პირობების შექმნისათვის, რომლებიც ყველასათვის უზრუნველყოფენ სამედიცინო დახმარებისა და სამედიცინო მოვლას ავადმყოფობის შემთხვევაში.

## **მუხლი 13**

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის განათლების უფლებას. ისინი თანახმა არიან, რომ განათლება მიზნად უნდა ისახავდეს ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსების შეგნების სრულ განვითარებას და უნდა განამტკიცებდეს ადამიანის უფლებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემას. შემდეგ ისინი თანახმა არიან, რომ განათლებამ ყველას უნდა მისცეს შესაძლებლობა იყოს თავისუფალი საზოგადოების მონაწილე, ხელს უწყობდეს ყველა ერისა და ყველა რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ეხმარებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობას მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ რომ ამ უფლების სრულად განხორციელებისათვის:

ა) დაწყებითი განათლება უნდა იყოს ყველასათვის სავალდებულო და უფასო;

ბ) საშუალო განათლება და მისი სხვადასხვა ფორმა, მათ შორის პროფესიულ-ტექნიკური საშუალო განათლება, უნდა იყოს ღია და ყველასათვის მისაწვდომი ყველა საჭირო ღონისძიებათა განხორციელების, და კერძოდ, უფასო განათლების თანდათან შემოღების გზით;

გ) უმაღლესი განათლება უნდა გახდეს ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის თითოეულის ნიჭის საფუძველზე, ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელების, და კერძოდ, უფასო განათლების თანდათან შემოღების გზით;

დ) შესაძლებლობისდაგვარად უნდა ხდებოდეს ელემენტარული განათლების წახალისება ან ინტენსიფიკაცია იმათთვის, ვისაც არ გაუვლია ან არ დაუმთავრებია დაწყებითი განათლების სრული კურსი;

ე) აქტიურად უნდა ხორციელდებოდეს ყველა საფეხურის სკოლების ქსელის განვითარება, უნდა დაწესდეს სტიპენდიების დამაკმაყოფილებელი სისტემა და

განუწყვეტილად უმჯობესდებოდეს მასწავლებელთა პერსონალის მატერიალური პირობები.

3. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ მშობლებისა და, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერი მეურვეების თავისუფლებას თავიანთი ბავშვებისათვის აირჩიონ არა მარტო სახელმწიფო ხელისუფალთა მიერ გახსნილი სკოლები, არამედ აგრეთვე სხვა სკოლები, რომლებიც შეესაბამებიან განათლების მოთხოვნების იმ მინიმუმს, რომელიც შეიძლება დაადგინოს ან დაამტკიცოს სახელმწიფომ, და უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა თავიანთი საკუთარი რწმენის შესაბამისად.

4. ამ მუხლის არც ერთ ნაწილი არ შეიძლება განმარტებული იყოს ისე, რომ დაკნინდეს ცალკეულ პირთა და დაწესებულებათა თავისუფლება შექმნან სასწავლებლები და უხელმძღვანელონ მათ იმ უცვლელი პირობით, რომ დაიცავენ ამ მუხლის 1 პუნქტში ჩამოყალიბებულ პრინციპებს და მოთხოვნას, რომ ასეთ სასწავლებლებში მიღებული განათლება შეესაბამებოდეს მოთხოვნების იმ მინიმუმს, რომელიც შეიძლება დააწესოს სახელმწიფომ.

#### **მუხლი 14**

ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო, რომელმაც პაქტის მონაწილედ შესვლის დროისათვის თავისი მეტროპოლიის ტერიტორიასა და მის იურისდიქციაში მყოფ სხვა ტერიტორიებზე ვერ დააწესა სავალდებულო უფასო დაწყებითი განათლება, კისრულობს ვალდებულებას ორი წლის მანძილზე შეიმუშაოს და მიიღოს ღონისძიებათა ვრცელი გეგმა, რათა თანდათან – წლების გონივრული რაოდენობის მანძილზე, რაც აღნიშნული უნდა იყოს ამ გეგმაში, - თანდათან განახორციელოს სავალდებულო უფასო საყოველთაო განათლების პრინციპი.

#### **მუხლი 15**

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას:

ა) მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში;

ბ) სარგებლობდეს მეცნიერული პროგრესის შედეგებით და პრაქტიკულად იყენებდეს მათ;

გ) სარგებლობდეს იმ მორალური და მატერიალური ინტერესების დაცვით, რომლებიც ჩნდება ყველა იმ მეცნიერულ, ლიტერატურულ თუ მხატვრულ ნაშრომთა დაკავშირებით, რომელთა ავტორია.

2. ღონისძიებანი, რომლებიც უნდა მიიღონ ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა ამ უფლების სრული განხორციელებისათვის, შეიცავენ იმ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა მეცნიერებისა და კულტურის მიღწევათა დაცვის, განვითარებისა და გავრცელებისათვის.

3. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ თავისუფლებას, რომელიც უთუოდ აუცილებელია მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

4. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ დიდად სასარგებლოა მეცნიერებისა და კულტურის დარგებში საერთაშორისო კონტაქტებისა და თანამშრომლობის წახალისება და განვითარება.

## ნაწილი IV

### მუხლი 16

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პაქტის ამ ნაწილის შესაბამისად წარადგინონ მოხსენებანი თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ და რა პროგრესს მიაღწიეს ამ პაქტით აღიარებული უფლებების დაცვის გზაზე.

2. ა) ყველა მოხსენებას წარუდგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც მათს ეგზემპლარებს განსახილველად უგზავნის ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს ამ პაქტის დებულებათა შესაბამისად;

ბ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი სპეციალიზებულ დაწესებულებებს უგზავნის აგრეთვე ამ პაქტის მონაწილე იმ სახელმწიფოთა მოხსენებებს ან მოხსენებათა რომელიმე შესაბამის ნაწილს, რომლებიც ამ სპეციალიზებულ დაწესებულებათა წევრებიც არიან, რამდანადაც ასეთი მოხსენებები ან მოხსენებათა ნაწილები მათი კონსტიტუციური აქტების შესაბამისად ეხება ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა მოვალეობების ფარგლებში შემავალ რომელიმე საკითხს.

### მუხლი 17

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ მოხსენებებს წარადგენენ ეტაპობრივად იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ ერთი წლის მანძილზე ამ პაქტის ძალაში შესვლის შემდეგ უნდა დაადგინოს მონაწილე სახელმწიფოებთან და დაინტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებთან კონსულტაციით.

2. მოხსენებაში შეიძლება აღინიშნოს ფაქტორები და სიძნელები, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ პაქტით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების დონეზე.

3. თუ შესაბამისი ცნობები გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ან რომელიმე სპეციალიზებულ დაწესებულებას ადრე შეატყობინა ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფომ, საჭირო აღარ არის ამ ცნობების განმეორება და საკმარისი იქნება ასეთნაირად შეტყობინებული ცნობების ზუსტი დამოწმება.

### მუხლი 18

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია შეუთანხმდეს სპეციალიზებულ დაწესებულებებს იმის თაობაზე, რომ წარუდგინონ მოხსენებანი ამ პაქტის იმ დებულებათა შესრულების გზაზე მიღწეული პროგრესის შესახებ, რომლებიც განეკუთვნება მათი საქმიანობის სფეროს. ეს მოხსენებები შეიძლება შეიცავდნენ ასეთ განხორციელების შესახებ მათი კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა დაწვრილებით ცნობებს.

### მუხლი 19

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია ადამიანის უფლებათა კომისიას განსახილველად და ზოგადი რეკომენდაციების მისაცემად ან შესაბამის შემთხვევებში ცნობად გადასცეს მოხსენებები, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს და რომლებსაც სახელმწიფოები წარადგენენ მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად, აგრეთვე მოხსენებები, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს და მათ სპეციალიზებულ დაწესებულებანი წარადგენენ მე-18 მუხლის შესაბამისად.

## **მუხლი 20**

ამ პაქტის მონაწილე დაინტერესებულ სახელმწიფოებსა და სპეციალიზებულ დაწესებულებებს მე-19 მუხლის თანახმად შეუძლიათ ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს წარუდგინონ შენიშვნები ყველა ზოგადი რეკომენდაციის გამო ან ადამიანის უფლებათა კომისიის რომელიმე მოხსენებასა თუ რომელიმე სხვა დოკუმენტში მითითებულ ასეთი ზოგადი რეკომენდაციის გამო.

## **მუხლი 21**

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია დროდადრო წარუდგინოს გენერალურ ასამბლეას მოხსენებები, რომლებშიც იქნება ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები და ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებისა და სპეციალიზებული დაწესებულებებისაგან მიღებული იმ ცნობების მოკლე შინაარსი, რომლებიც ეხება ამ პაქტით აღიარებული უფლებების საყოველთაო დაცვის უზრუნველყოფისათვის განხორციელებულ ღონისძიებებსა და მიღწეულ შედეგებს.

## **მუხლი 22**

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოების, მათ დამხმარე ორგანოებისა და ტექნიკური დახმარების სპეციალიზებულ დაწესებულებათა ყურადღება მიაქციოს პაქტის ამ ნაწილში აღნიშნულ მოხსენებებთან დაკავშირებით წამოჭრილ ყველა საკითხს, რომლებიც შესაძლოა სასარგებლო იყოს ამ ორგანოებისათვის, როცა თითოეულ მათგანს თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოაქვს გადაწყვეტილებანი, თუ რამდენად მიზანშეწონილია საერთაშორისო ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ამ პაქტის თანდათან და ეფექტიან ხორცშესხმას.

## **მუხლი 23**

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ამ პაქტით აღიარებული უფლებების განხორციელების ხელშემწყობ საერთაშორისო ღონისძიებებს განეკუთვნება ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორცაა კონვენციათა დადება, რეკომენდაციათა მიღება, ტექნიკური დახმარების გაწევა და კონსულტაციების მიზნით რეგიონული თათბირებისა და ტექნიკური თათბირების მოწვევა, აგრეთვე დაინტერესებულ მთავრობებთან ერთად ორგანიზებული გამოკვლევები.

## **მუხლი 24**

ამ პაქტში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სპეციალიზებული დაწესებულებების სხვადასხვა ორგანოს შესაბამის მოვალეობათა განსაზღვრულ სპეციალიზებულ დაწესებულებათა წესდებების დებულებათა მნიშვნელობის დაკნინება იმ საკითხებში, რომლებსაც ეხება ეს პაქტი.

## **მუხლი 25**

ამ პაქტში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული როგორც დაკნინება ყველა ხალხის განუყოფელი უფლებისა მთლიანად და თავისუფლად ფლობდნენ და სარგებლობდნენ თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრეებითა და რესურსებით.

## ნაწილი V

### მუხლი 26

1. ამ პაქტს შეუძლია ხელი მოაწეროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა ყველა სახელმწიფომ ან ყველა მისი სპეციალიზებული დაწესებულების წევრმა, საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მონაწილე ყველა სახელმწიფომ და ყველა სხვა სახელმწიფომ, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა შესთავაზებს ამ პაქტში მონაწილეობას.
2. ეს პაქტი რატიფიცირებული უნდა იყოს. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.
3. ამ პაქტთან შეერთება შეუძლია ამ მუხლის I პუნქტში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს.
4. შეერთებისათვის საჭიროა შეერთების დოკუმენტის დეპონირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.
5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ატყობინებს ყველა სახელმწიფოს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ პაქტს ან შეუერთდნენ მას, თითოეული სარატიფიკაციო სიგელისა თუ შეერთების დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

### მუხლი 27

1. ეს პაქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანთან დეპონირებული იქნება ოცდამეათხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელი ან შეერთების დოკუმენტი.
2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ პაქტის რატიფიკაციას ახდენს ან უერთდება მას ოცდამეათხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელისა ან შეერთების დოკუმენტის დეპონირების შემდეგ, ეს პაქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა დეპონირებული იქნება მისი სარატიფიკაციო სიგელი თუ შეერთების დოკუმენტი.

### მუხლი 28

ამ პაქტის დებულებანი ვრცელდება ფედერაციულ სახელმწიფოთა ყველა ნაწილზე რაიმე შეზღუდვისა თუ გამოკლების გარეშე.

### მუხლი 29

1. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს შესწორებები და წარუდგინოს ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი შემოთავაზებულ შესწორებებს უგზავნის ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვს შეატყობინონ, მომხრე არიან თუ არა, რომ მოიწვიონ მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენცია ამ წინადადებათა განსახილველად და კენჭის საყრელად. თუ მონაწილე სახელმწიფოთა სულ ცოტა მესამედი მხარს დაუჭერს ასეთ კონფერენციას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. ყველა გასწორებას, რომელსაც მიიღებს ამ კონფერენციის დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა, დასამტკიცებლად წარუდგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.
2. შესწორებები ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა და თავიანთი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად მიიღებს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა – ორი მესამედი.
3. მას შემდეგ, რაც გასწორებანი ძალაში შევა, ისინი სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე

სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება ამ პაქტის დებულებანი და მათ მიერ მიღებული ყველა წინა გასწორება.

### **მუხლი 30**

26-ე მუხლის მე-5 პუნქტი თანახმად შეტყობინებისგან დამოუკიდებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ატყობინებს იმავე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს შემდეგს:

- ა) ხელმოწერების, რატიფიკაციებისა და შეერთებების შესახებ 26-ე მუხლის თანახმად;
- ბ) ამ პაქტის ძალაში შესვლის თარიღს და 26-ე მუხლის თანახმად ყოველგვარი შესწორებების ძალაში შესვლის თარიღს 27-ე მუხლის თანახმად.

### **მუხლი 31**

1. ეს პაქტი, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები ერთნაირად ავთენტიკურია, შესანახად უნდა გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივს.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ პაქტის დამოწმებულ პირებს უგზავნის 26-ე მუხლში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს.

## **საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966**

*საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან*

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების, მათი თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება არის თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველი;

აღიარებენ, რომ ეს უფლებები გამომდინარეობენ იმ ღირსებებიდან, რომელიც ადამიანის გააჩნია,

აღიარებენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, თავისუფალი, შიშისა და გაჭირვებისაგან თავისუფალი ადამიანის პიროვნების იდეალს განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ შეიქმნა ისეთი პირობები, როცა თითოეული შეძლებს ისარგებლოს თავის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით, ისევე როგორც თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებით,

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით სახელმწიფოები ვალდებული არიან წახალისონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემა და დაცვა,

ითვალისწინებენ, რომ თითოეული ცალკეული ადამიანი, აქვს რა ვალდებულებანი სხვა ადამიანებისა და იმ კოლექტივის მიმართ, რომელსაც ეკუთვნის, უნდა იღწვოდეს ამ პაქტით აღიარებული უფლებათა წახალისებისა და დაცვისათვის,

შეთანხმდნენ შემდეგი მუხლებს გამო:

## ნაწილი 1

### მუხლი 1\*

1. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად აწესებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.
2. ყველა ხალხს თავისი მიზნების მისაღწევად შეუძლია თავისუფლად მოიხმაროს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეები და რესურსები ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობიდან და საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულებას. არც ერთ ხალხს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წაერთვას საარსებო სახსრები, რომლებიც მას ეკუთვნის.
3. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფო, მათ შორის ის სახელმწიფოები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა არათვითმმართველი და სამეურნეო ტერიტორიების მართვისათვის, ხელს უნდა უწყობდეს თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას და პატივს სცემდეს ამ უფლებას.

---

\* საქართველოს პარლამენტი აღიარებს პირველ მუხლში ჩამოყალიბებულ დებულებებს იმ ინტერპრეტაციით, რომელიც აისახება ადამიანის უფლებათა ვენის 1993 წლის დეკლარაციაში (მე- 2 პუნქტი).

## ნაწილი II

### მუხლი 2

1. ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისათვის უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებები: რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოების გამო.
2. თუ ეს უკვე გათვალისწინებული არ არის არსებული საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებებით, ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი თავისი საკონსტიტუციო პროცედურებისა და ამ პაქტის შესაბამისად, რათა მიიღოს საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს ამ პაქტით აღიარებული უფლებების განხორციელებისათვის.
3. ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას:
  - ა) ყველა პირი, რომლის ამ პაქტით აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი შელახულია, უზრუნველყოს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს დარღვევა დაუშვებს ოფიციალურმა პირებმა;
  - ბ) უზრუნველყოს, რომ თითოეული პირის სამართლებრივი დაცვის უფლებას, ვინც კი ასეთ დაცვას მოითხოვს, ადგენენ კომპეტენტური სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ხელისუფლებანი ან სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებული ყოველი სხვა კომპეტენტური ორგანო და განავითაროს სასამართლო დაცვის შესაძლებლობანი;
  - გ) უზრუნველყოფის კომპეტენტურ ხელისუფლებათა მიერ მათთვის მოცემული სამართლებრივი დაცვის საშუალებათა გამოყენება.



### **მუხლი 3**

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ მამაკაცებისა და ქალების თანაბარი უფლება ისარგებლონ ამ პაქტით გათვალისწინებული ყველა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებით.

### **მუხლი 4**

1. სახელმწიფოში საგანგებო წესების შემოღების დროს, როცა ერის სიცოცხლე საფრთხეშია და ეს ოფიციალურად გამოაცხადეს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაუხვიონ პაქტით ნაკისრ თავიანთ ვალდებულებებს იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმძაფრე, და განახორციელონ ღონისძიებანი იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებანი შეუთავსებელი არ იქნება საერთაშორისო სამართლით დაკისრებულ სხვა ვალდებულებებთან და მათ არ მოჰყვება დისკრიმინაცია მხოლოდ და მხოლოდ რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიისა თუ სოციალური წარმოშობის საფუძველზე.
2. ეს დებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს რაიმე გადახვევებს 6,7,8 (1 და 2 პუნქტები), 11,15,16 და 18 მუხლებიდან.
3. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფომ, რომელიც იყენებს გადახვევის უფლებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის საშუალებით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამ პაქტის მონაწილე სხვა სახელმწიფოებს, თუ რომელ დებულებებს გადაუხვია და რა მიზეზებმა მიაღებინა ასეთი გადაწყვეტილება. ამავე შუამავლის საშუალებით მან უნდა შეატყობინოს აგრეთვე თარიღი, როცა შეწყვეტს ასეთ გადახვევას.

### **მუხლი 5**

1. ამ პაქტში არ შეიძლება არაფრის განმარტება ისე, თითქოს ნიშნავდეს, რომ რომელიმე სახელმწიფოს, რომელიმე ჯგუფს ან რომელიმე პირს ჰქონდეს უფლება ეწეოდეს რაიმე საქმიანობას ან სჩადიოდეს რაიმე მოქმედებას, რომელთა მიზანია ამ პაქტით აღიარებული რომელიმე უფლებისა თუ თავისუფლების მოსპობა ან მათი შეზღუდვა უფრო მეტად, ვიდრე ეს პაქტი ითვალისწინებს.
2. არ შეიძლება შეიზღუდოს ან დაკნინდეს ადამიანის რომელიმე ძირითადი უფლება, რომელიც ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოში აღიარებულია ან არსებობს კანონის, კონვენციების, წესების ან ზნე-ჩვეულებების ძალით, იმ საბაბით, რომ ამ პაქტით ასეთი უფლებები აღიარებული არ არის ან აღიარებულია ნაკლები მოცულობით.

## **ნაწილი III**

### **მუხლი 6**

1. სიცოცხლის უფლება თითოეული ადამიანის განუყოფელი უფლებაა. ამ უფლებას იცავს კანონი. არავის არ შეიძლება თვითნებურად წართვან სიცოცხლე.
2. ქვეყნებში, რომლებსაც არ გაუუქმებიათ სიკვდილით დასჯა, სიკვდილის განაჩენი შეიძლება გამოიტანონ მხოლოდ ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის იმ კანონის შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა დანაშაულის ჩადენის დროს და არ ეწინააღმდეგება ამ პაქტისა და გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისთვის დასჯის შესახებ კონვენციის დებულებებს, ეს დასჯა შეიძლება აღსრულდეს მხოლოდ კომპეტენტური სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო განაჩენის შესასრულებლად.
3. როცა სიცოცხლის წართმევა გენოციდის დანაშაულს შეადგენს, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მუხლში არაფერი არ აძლევს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს უფლებას, რომ რაიმე საშუალებით გადაუხვიონ რომელიმე

ვალდებულებას, რომელიც იკისრეს გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისთვის დასჯის შესახებ კონვენციის დებულებათა შესაბამისად.

4. თითოეულს, ვისაც სიკვდილი მიუსაჯეს, უფლება აქვს ითხოვოს შეწყალება ან განაჩენის შერბილება, ამნისტია. შეწყალება ან სიკვდილის განაჩენის შეცვლა შეიძლება ნაბოძები იყოს ყველა შემთხვევაში.

5. სიკვდილის განაჩენის გამოტანა არ შეიძლება დანაშაულისათვის, რომელიც ჩაიდინეს თვრამეტ წლამდე ასაკის პირებმა, და მისი აღსრულება არ შეიძლება ფეხმძიმე ქალების მიმართ.

6. ამ მუხლში არაფერი არ შეიძლება იყოს იმის საფუძველი, რომ ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფომ გადადოს ან არ დაუშვას სიკვდილით დასჯის გაუქმება.

## **მუხლი 7**

არავინ არ უნდა განიცდიდეს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან მისი ღირსების დამამცირებელ მოპყრობასა თუ სასჯელს, კერძოდ, არც ერთ პირზე, თუ არ იქნა მისი თავისუფალი თანხმობა, არ შეიძლება სამედიცინო ან სამეცნიერო ცდების ჩატარება.

## **მუხლი 8**

1. არავინ არ უნდა ცხოვრობდეს მონობაში; აკრძალულია ყველა სახეობის მონობა და მონათვაჭრობა.

2. არავინ არ უნდა ცხოვრობდეს დაბეჩავებულ მდგომარეობაში.

3. ა) არავის არ უნდა დააძალონ იძულებითი თუ სავალდებულო შრომა;

ბ) იმ ქვეყნებში, სადაც დანაშაულისათვის სასჯელის სახით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა, რომელიც დაკავშირებულია საკატორღო სამუშაოებთან, მე-3 პუნქტი (ა) არ ითვლება დაბრკოლებად, რათა შესრულდეს საკატორღო სამუშაოები იმ კომპეტენტური სასამართლოს განაჩენით, რომელმაც ასეთი სასჯელი გამოიტანა;

ც) ამ პუნქტში ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო შრომა“ არ მოიცავს:

I) ნებისმიერი სახის სამუშაოს თუ სამსახურს, რომელიც ნახსენები არ არის ბ ქვეპუნქტში, და რომელიც, როგორც წესი, უნდა შეასრულოს სასამართლოს კანონიერი განკარგულების საფუძველზე პატიმრობაში მყოფმა პირმა, ან ასეთი პატიმრობიდან პირობითად განთავისუფლებულმა პირმა;

II) ნებისმიერი სამხედრო ხასიათის სამსახურს, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც აღიარებულია სამხედრო სამსახურზე უარის თქმა პოლიტიკური თუ რელიგიურ-ეთიკური მოტივებით, ნებისმიერ სამსახურს, რომელიც კანონით გათვალისწინებულია ასეთი მოტივებით სამხედრო სამსახურზე უარის მთქმელ პირთათვის;

III) ნებისმიერი სახის სამსახურს, რომელიც სავალდებულოა საგანგებო წესებისა თუ უბედურების დროს, რაც საფრთხეს უქმნის მოსახლეობის სიცოცხლესა თუ კეთილდღეობას;

IV) ნებისმიერი სახის სამუშაოსა თუ სამსახურს, რომელიც შედის ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ მოვალეობებში.

## **მუხლი 9**

1. თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ არ შეიძლება თვითნებურად დაპატიმროს ან პატიმრობაში აიყვანოს. არავის არ შეიძლება თავისუფლება აღუკვეთონ სხვაგვარად, თუ არა ისეთ საფუძველზე და ისეთი პროცედურის შესაბამისად, რომლებიც კანონით არის დაწესებული.

2. თითოეულ დაპატიმრებულს დაპატიმრების დროს ეუბნებიან მისი დაპატიმრების მიზეზებს და სასწრაფო წესით ატყობინებენ, თუ რა ბრალდებას უყენებენ.

3. სისხლის სამართლის ბრალდებით დაპატიმრებული თუ დაკავებული ყოველი პირი სასწრაფო წესით უნდა მიიყვანონ მოსამართლესთან ან სხვა თანამდებობის პირთან, რომელსაც კანონით უფლება აქვს ადასრულოს სასამართლო ხელისუფლება, და დაპატიმრებულ ან დაკავებულ პირს გონივრული ვადის მანძილზე აქვს სასამართლო გარჩევისა, თუ განთავისუფლების უფლება. სასამართლო გარჩევის მოლოდინში პირის დაკავება საერთო წესი არ უნდა გახდეს, მაგრამ მათი განთავისუფლება შეიძლება დამოკიდებული იყოს სასამართლოში გამოცხადების, სასამართლო გარჩევის ყველა სტადიაში გამოცხადების და, საჭიროების შემთხვევაში, განაჩენის აღსასრულებლად გამოცხადების გარანტიების წარდგენაზე.
4. თითოეულს, ვისაც თავისუფლება აღეკვეთა დაპატიმრებისა თუ პატიმრობაში აყვანის შედეგად, აქვს უფლება, რომ მისი საქმე გაარჩიოს სასამართლომ, რათა ამ სასამართლომ დაუყოვნებლივ გამოიტანოს დადგენილება, კანონიერია მისი დაკავება თუ არა, და გასცეს მისი განთავისუფლების განკარგულება, თუ უკანონოდ იყო დაკავებული.
5. თითოეულს, ვინც უკანონოდ დაპატიმრებისა თუ პატიმრობაში აყვანის მსხვერპლი გახდა, აქვს კომპენსაციის უფლება, რომელსაც სარჩელის ძალა ენიჭება.

### **მუხლი 10**

1. ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს აქვს უფლება, რომ ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ღირსებას.
2. ა) იმ შემთხვევებში, როცა არ არის განსაკუთრებული გარემოებანი, ბრალდებულებს ათავსებენ მსჯავრდადებულისაგან ცალკე და უწყებენ ცალკე რეჟიმს, რომელიც შეესაბამება არამსჯავრდებულ პირთა სტატუსს;  
ბ) არასრულწლოვან ბრალდებულებს ათავსებენ სრულწლოვანებისაგან ცალკე და უმოკლეს ვადაში წარუდგენენ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოსატანად.
3. პენიტენციალური სისტემით პატიმრებისათვის გათვალისწინებული რეჟიმი, რომლის არსებითი მიზანია მათი გამოსწორება და ახლებური სოციალური აღზრდა. არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს აცალკევებენ სრულწლოვანებისაგან და უწყებენ მათი ასაკისა და სამართლებრივი სტატუსის შესაბამის რეჟიმს.

### **მუხლი 11**

არავის არ შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ არ შეუძლია შეასრულოს რაიმე სახელშეკრულებო ვალდებულება.

### **მუხლი 12**

1. თითოეულს, ვინც კანონიერად იმყოფება რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამ ტერიტორიის ფარგლებში უფლება აქვს თავისუფლად გადაადგილდეს და თავისუფლად აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი.
2. თითოეულს ადამიანს აქვს უფლება წავიდეს ყოველი ქვეყნიდან, მათ შორის საკუთარი ქვეყნიდან.
3. ზემოთ აღნიშნული უფლებები არ შეიძლება გახდეს რაიმე შეზღუდვის ობიექტი, გარდა იმ შეზღუდვებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, საჭიროა სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ ზნეობის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის და ეთავსება ამ პაქტით აღიარებულ სხვა უფლებებს.
4. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოართვან თავის საკუთარ ქვეყანაში ჩასვლის უფლება.

### **მუხლი 13**

უცხოელი, რომელიც კანონიერად იმყოფება ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფომ ტერიტორიაზე, შეიძლება გაასახლონ მხოლოდ კანონის შესაბამისად გამოტანილი გადაწყვეტილების შესასრულებლად, და თუ სახელმწიფო უშიშროების იმპერატიული მოსაზრებანი სხვას არ მოითხოვენ, მას უფლება აქვს წარმოადგინოს უდავო საბუთები თავისი გასახლების წინააღმდეგ, მოითხოვოს, რომ მისი საქმე გადასინჯოს კომპეტენტურმა ხელისუფლებამ ან პირმა, რომელსაც სპეციალურად დანიშნავს კომპეტენტური ხელისუფლება, რომ ამ მიზნით წარსდგეს ამ ხელისუფლების, პირისა თუ პირთა წინაშე.

#### **მუხლი 14**

1. ყველა პირი თანასწორია სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე, თითოეულს აქვს უფლება მისთვის წაყენებული ყოველი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, ან რომელიმე სამოქალაქო პროცესში მისი უფლება-მოვალეობის განსაზღვრისას, რომ მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. შეიძლება, რომ პრესა და საზოგადოება არ დაუშვან მთელ სასამართლო გარჩევაზე, თუ მის ნაწილზე, მორალის, დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი წესრიგისა თუ სახელმწიფო უშიშროების მოსაზრებით ან, როცა ამას მოითხოვს მხარეთა კერძო ცხოვრების ინტერესები ან იმდენად, რამდენადაც ეს, სასამართლოს აზრით, ძალზე საჭიროა განსაკუთრებულ ვითარებაში, როცა საჯაროობა შელახავს მართლმსაჯულების ინტერესებს; მაგრამ ყოველი სასამართლო დადგენილება სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო საქმის გამო საჯარო უნდა იყოს, იმ შემთხვევების გარდა, როცა არასრულწლოვანთა ინტერესები სხვას მოითხოვენ ან, როცა საქმე ეხება მატრიმონიალურ დავას ან ბავშვთა მეურვეობას.

2. თითოეულს, ვისაც ბრალად სდებენ სისხლის სამართლის დანაშაულს, უფლება აქვს ჩაითვალოს უდანაშაულოდ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. თითოეულს აქვს უფლება მისთვის წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, როგორც მინიმუმი მიიღოს შემდეგი გარანტიები სრული თანასწორობის საფუძველზე:

ა) სასწრაფო წესით და დაწვრილებით შეატყობინონ იმ ენაზე, რომელიც ესმის, თუ რა ხასიათისაა და რა საფუძველზე წაუყენეს ბრალდება;

ბ) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს თავის დასაცავად და შეხვდეს მის მიერ არჩეულ დამცველს;

გ) გაასამართლონ გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე;

დ) გაასამართლონ მისი თანდასწრებით და დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის საშუალებით; თუ მას ჰყავს დამცველი, უნდა შეატყობინონ ეს უფლება და ყავდეს მისთვის დანიშნული დამცველი ყველა შემთხვევაში, როცა მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს, უსასყიდლოდ იმ შემთხვევაში, როცა არა აქვს საკმარისი სახსრები ამ დამცველის ასანაზღაურებლად;

ე) დაკითხოს მოწმენი, რომლებიც მის წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებას, ან ჰქონდეს უფლება, რომ ეს მოწმეები სხვამ დაჰკითხოს, და ჰქონდეს უფლება, რომ გამოიძახონ და დაჰკითხონ მისი მოწმენი იმავე პირობებით, რომლებიც არსებობს მის წინააღმდეგ გამოსული მოწმეებისათვის;

ფ) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ არ ესმის ენა, რომელსაც სასამართლოში ხმარობენ ან არ ლაპარაკობს ამ ენაზე;

გ) არავინ არ აიძულოს, რომ ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ, ან თავი დამნაშავედ აღიაროს.

4. არასრულწლოვანთა მიმართ პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ გაითვალისწინონ მათი ასაკი და მათი ხელახალი აღზრდისათვის ხელშეწყობის სასურველობა.

5. თითოეულს, ვინც მსჯავრდებულია რაიმე დანაშაულისათვის, აქვს უფლება, რომ მისი მსჯავრდადება და განაჩენი გადასინჯოს ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამ კანონის შესაბამისად.

6. თუ რომელიმე პირს საბოლოო გადაწყვეტილებით დასდეს მსჯავრი სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და თუ მისთვის გამოტანილი განაჩენი შემდგომში გააუქმეს ან მისთვის ნაბომები იყო შეწყალება იმ საფუძველზე, რომ რაიმე ახალი ან ახლად აღმოჩენილი გარემოება უცილობლად ამტკიცებს, რომ მოხდა სასამართლო შეცდომა, მაშინ ეს პირი, რომელიც დაისაჯა ასეთი მსჯავრდების შედეგად, იღებს კომპენსაციას კანონის თანახმად, თუ არ დამტკიცდა, რომ აღნიშნული უცნობი გარემოება თავის დროზე ვერ აღმოაჩინეს მხოლოდ მისი ან ნაწილობრივ მისი მიზეზით.

7. არავის მეორედ გასამართლება ან დასჯა არ შეიძლება დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი უკვე საბოლოოდ იყო მსჯავრდადებული ან გამართლებული თითოეული ქვეყნის კანონის და სისხლის სამართლის პროცესუალური სამართლის შესაბამისად.

### **მუხლი 15**

1. არავინ არ შეიძლება ცნონ დამნაშავედ რაიმე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის რომელიმე ისეთი მოქმედებისა და შეცდომის შედეგად, რომელიც მისი ჩადენის მომენტში მოქმედი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობისა თუ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად არ იყო სისხლის სამართლის დანაშაული. ასევე არ შეიძლება დაინიშნოს უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე ის, რომელიც უნდა გამოეყენებინათ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მომენტში; თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ კანონით წესდება უფრო მსუბუქი სასჯელი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ამ დამნაშავეზე.

2. ამ მუხლში არაფერი არ უშლის ხელს, რომ ყოველი პირი გადაეცეს სასამართლოს და დაისაჯოს ყოველი მოქმედებისა თუ შეცდომისათვის, რომლებიც საერთაშორისო საზოგადებრიობის მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად ჩადენის მომენტში სისხლის სამართლის დანაშაული იყო.

### **მუხლი 16**

თითოეულ ადამიანს, სადაც უნდა იყოს იგი, აქვს უფლება, რომ ცნონ მისი სუბიექტობის უფლება.

### **მუხლი 17**

1. არავინ არ უნდა განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან მისი კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა.

2. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, რომ კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან.

### **მუხლი 18**

1. თითოეულ ადამიანს აქვს აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას ჰქონდეს ან იღებდეს რელიგიასა თუ მრწამსს საკუთარი არჩევნით და თავისუფლად აღიარებდეს თავის რელიგიასა და

მრწამსს როგორც ერთპიროვნულად, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ თუ კერძო წესით ასრულებდეს კულტს, რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებებსა და მოძღვრებას.

2. არავინ არ უნდა განიცდიდეს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას იქონიოს ან მიიღოს რელიგია თუ მრწამსი საკუთარი არჩევანით.

3. რელიგიისა თუ მრწამსის აღიარების თავისუფლებას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ის შეზღუდვები, რომლებიც დადგენილია კანონით და საჭიროა საზოგადოებრივი უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

4. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, პატივი სცენ მშობელთა და შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეთა თავისუფლებას უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი მრწამსის შესაბამისად.

### **მუხლი 19**

1. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად ჰქონდეს საკუთარი აზრი.

2. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას, რომ სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით თუ პრესისა და გამოხატვის მხატვრული ფორმების საშუალებით ან სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანით.

3. ამ მუხლის მე -2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა განსაკუთრებულ მოვალეობას და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. მამასადამე, იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს ზოგიერთ შეზღუდვასთან, რომლებიც უნდა იყოს კანონით დადგენილი და აუცილებელი:

ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის;

ბ) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ ზნეობის დასაცავად.

### **მუხლი 20**

1. ომის ყოველგვარი პროპაგანდა უნდა აიკრძალოს კანონით.

2. ყოველგვარი გამოსვლა ეროვნული, რასობრივი თუ რელიგიური შუღლის სასარგებლოდ, რაც დისკრიმინაციის, მტრობისა თუ ძალადობის წაქეზებაა, უნდა აიკრძალოს კანონით.

### **მუხლი 21**

აღიარებულია მშვიდობიანი კრებების უფლება. ამ უფლებით სარგებლობას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც შეესაბამება კანონს და საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვისა თუ სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებისათვის.

### **მუხლი 22**

1. თითოეულ ადამიანს აქვს სხვებთან გაერთიანების თავისუფლების უფლება, მათ შორის უფლება შექმნას პროფკავშირები და შევიდეს პროფკავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.

2. ამ უფლებით სარგებლობას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს და რომლებიც საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვის თუ სხვა პირთა

უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებისათვის. ეს მუხლი ხელს არ უშლის, რომ ამ უფლებით სარგებლობის კანონიერი შეზღუდვები შემოიღონ იმ პირობების, რომლებიც შედიან შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის შემადგენლობაში.

3. ამ მუხლში არაფერი არ აძლევს უფლებას სახელმწიფოებს, რომლებიც მონაწილეობენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1948 წლის კონვენციაში ასოციაციათა თავისუფლებისა და ორგანიზაციის უფლების დაცვის შესახებ, მიიღონ საკანონმდებლო აქტები აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების საზიანოდ, ან კანონი გამოიყენონ ისეთნაირად, რომ ეს საზიანო იყოს ამ გარანტიებისათვის.

### **მუხლი 23**

1. ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია და აქვს უფლება, რომ იგი დაიცვან საზოგადოებამ და სახელმწიფომ.
2. მამაკაცებსა და ქალებს, რომლებმაც მიაღწიეს ქორწინების ასაკს, აქვთ უფლება შექმნან ოჯახი.
3. არც ერთი ქორწინება არ შეიძლება მოხდეს მექორწინეთა თავისუფალი და სრული თანხმობის გარეშე.
4. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი დაქორწინების, ქორწინებაში ყოფნისა და განქორწინების დროს მეუღლეთა თანასწორი უფლებებისა და მოვალეობების უზრუნველსაყოფად. განქორწინების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ბავშვის საჭირო დაცვა.

### **მუხლი 24**

1. თითოეულ ბავშვს რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობისა თუ დაბადების გამო ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს უფლება დაცვის ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც მას, როგორც მცირეწლოვანს, უნდა გაუწიონ მისმა ოჯახმა, საზოგადოებამ და სახელმწიფომ.
2. თითოეული ბავშვი რეგისტრირებული უნდა იყოს დაუყოვნებლივ დაბადების შემდეგ და ჰქონდეს სახელი.
2. თითოეულ ბავშვს აქვს მოქალაქეობის მიღების უფლება.

### **მუხლი 25**

- თითოეულ მოქალაქეს მე -2 მუხლში ნახსენები რაიმე დისკრიმინაციის და დაუსაბუთებელ შეზღუდვათა გარეშე უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა:
- ა) მონაწილეობდეს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლობის საშუალებით;
  - ბ) მისცეს ხმა და არჩეულ იქნეს ნამდვილ პერიოდულ არჩევნებში, რომლებიც ეწყობა საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებების საფუძველზე ფარული კენჭისყრით და უზრუნველყოფს ამომრჩევლების ნება-სურვილის თავისუფალ გამოვლინებას;
  - ც) თავის ქვეყანაში თანასწორობის საერთო პირობებით შეემლოს სახელმწიფო სამსახურში შესვლა.

### **მუხლი 26**

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს კანონის თანასწორი დაცვის უფლება. ამ მხრივ ყოველგვარი დისკრიმინაცია უნდა აიკრძალოს კანონით და კანონი უნდა უზრუნველყოფდეს ყველა პირის

თანასწორ და ეფექტიან დაცვას რაიმე ნიშნის, როგორცაა რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოების გამო დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

### **მუხლი 27**

იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობანი, პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობას ეკუთვნიან, არ შეიძლება უარი ეთქვას უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ თავიანთი რელიგია და შეასრულონ მისი წესები, აგრეთვე ილაპარაკონ დედაენაზე.

## **ნაწილი IV**

### **მუხლი 28**

1. იქმნება ადამიანის უფლებათა კომიტეტი (რომელსაც ქვემოთ ამ პუნქტში ეწოდება „კომიტეტი“). მასში შედის თვრამეტი წევრი და იგი ასრულებს ქვემოთ გათვალისწინებულ ფუნქციებს.
2. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან პირები, რომლებიც ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეები არიან, აქვთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და აღიარებული კომპეტენტურობა ადამიანის უფლებათა დარგში, ამასთან გათვალისწინებულია, რომ სასარგებლოა იურიდიული გამოცდილების მქონე რამდენიმე პირის მონაწილეობა.
3. კომიტეტის წევრებს ირჩევენ და ისინი მუშაობენ პირადად.

### **მუხლი 29**

1. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით იმ პირთა სიიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ 28-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ამ მიზნით დაასახელეს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა.
2. ამ პაქტის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია დასახოს არაუმეტეს ორი პირისა. ეს პირები უნდა იყვნენ ამ სახელმწიფოს მოქალაქენი.
3. ყველა პირს აქვს უფლება, რომ განმეორებით დაასახელონ.

### **მუხლი 30**

1. პირველადი არჩევნები ეწყობა არა უგვიანეს ექვსი თვისა ამ პაქტის ძალაში შესვლის შემდეგ.
2. კომიტეტის თითოეულ არჩევნებამდე, გარდა არჩევნებისა ვაკანსიათა შესავსებად, რომლებიც ცხადდება 34-ე მუხლის შესაბამისად, სულ ცოტა ოთხი თვით ადრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი წერილობით სთხოვს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს, რომ სამი თვის მანძილზე წარმოადგინონ კომიტეტის წევრთა კანდიდატურები.
3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ანბანის წესით ადგენს ასეთნაირად დასახელებულ პირთა სიას, სადაც აღნიშნულია ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებმაც ეს პირი დაასახელეს, და უგზავნის მას ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს არა უგვიანეს ერთი თვისა თითოეული არჩევნების მოწყობის თარიღამდე.
4. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა სხდომაზე, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში. ამ სხდომაზე, რომლისთვისაც კვორუმიცაა ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ორი



მესამედის დასწრება, კომიტეტში არჩეულად ითვლებიან ის პირები, რომელთა კანდიდატურები მიიღებენ ყველაზე მეტ ხმას და მონაწილე სახელმწიფოთა იმ წარმომადგენელთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობას, რომლებიც სხდომას ესწრებოდნენ და კენჭისყრაში მონაწილეობდნენ.

### **მუხლი 31**

1. კომიტეტში არ შეიძლება შევიდეს ერთი და იმავე სახელმწიფოს ერთზე მეტი მოქალაქე.
2. კომიტეტის არჩევნების დროს ითვალისწინებენ წევრთა სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებას და სხვადასხვა ფორმის ცივილიზაციისა და ძირითადი იურიდიული სისტემის წარმომადგენლობას.

### **მუხლი 32**

1. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ოთხი წლის ვადით, მათ აქვთ უფლება ხელახლა იყვნენ არჩეული მათი კანდიდატურების განმეორებით დასახელების შემთხვევაში, მაგრამ ამასთან პირველ არჩევნებზე არჩეულთა შორის ცხრა წევრის რწმუნებათა ვადა იწურება ორი წლის პერიოდის დამლევს; დაუყოვნებლივ პირველი არჩევნების შემდეგ ამ ცხრა წევრის სახელებს წილისყრით განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე, რაც აღნიშნულია 30-ე მუხლის მე-4 პუნქტში.
2. რწმუნებათა ვადის გასვლის შემდეგ არჩევნები იმართება პაქტის ამ ნაწილის წინა მუხლების შესაბამისად.

### **მუხლი 33**

1. თუ სხვა წევრთა ერთსულოვანი აზრით, კომიტეტის რომელიმე წევრმა შეწყვიტა თავისი ფუნქციების შესრულება რაიმე მიზეზით, გარდა დროებით არყოფნის მიზეზისა, კომიტეტის თავმჯდომარე ამას ატყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც ამ წევრის ადგილს ვაკანტურად აცხადებს.
2. კომიტეტის რომელიმე წევრის გარდაცვალებისა თუ გადადგომის შემთხვევაში თავმჯდომარე ამას დაუყოვნებლივ ატყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც ამ ადგილს ვაკანტურად აცხადებს გარდაცვალების დღიდან, ან იმ დღიდან, როცა გადადგომა ნამდვილი ხდება.

### **მუხლი 34**

1. როცა 33-ე მუხლის შესაბამისად ცხადდება ვაკანსია, და თუ შესაცვლელი წევრის რწმუნებათა ვადა არ იწურება ამ ვაკანსიის გამოცხადების შემდეგ ექვსი თვის მანძილზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამას ატყობინებს ამ პაქტის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია ორი თვის მანძილზე 29-ე მუხლის შესაბამისად დაასახელოს კანდიდატურა ამ ვაკანსიის შესავსებად.
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ანბანის წესით ადგენს ამრიგად წამოყენებულ პირთა სიას და წარუდგენს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს, შემდეგ არჩევნები ვაკანსიის შესავსებად ეწყობა პაქტის ამ ნაწილის დებულებათა შესაბამისად.
3. 33-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული ვაკანსიის შესავსებად არჩეული კომიტეტის წევრი თანამდებობრივ მოვალეობებს ასრულებს იმ წევრის რწმუნებათა ვადის დარჩენილი ნაწილის მანძილზე, რომელმაც გაათავისუფლა ადგილი კომიტეტში აღნიშნული მუხლის დებულებათა შესაბამისად.

### **მუხლი 35**

კომიტეტის წევრები იღებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ ანაზღაურებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახსრებიდან იმ წესით და პირობებით, რომლებსაც ადგენს გენერალური ასამბლეა კომიტეტის მოვალეობათა მნიშვნელობის გათვალისწინებით.

### **მუხლი 36**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უზრუნველყოფს საჭირო პერსონალსა და მატერიალურ სახსრებს ამ პაქტის შესაბამისად კომიტეტის ფუნქციათა ეფექტიანი განხორციელებისათვის.

### **მუხლი 37**

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს კომიტეტის პირველ სხდომას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში.
2. თავისი პირველი სხდომის შემდეგ კომიტეტი იკრიბება იმ დროს, რომელიც გათვალისწინებულია მისი პროცედურის წესებით.
3. ჩვეულებრივ კომიტეტი იკრიბება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებსა თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქუჩევის განყოფილებაში.

### **მუხლი 38**

კომიტეტის თითოეული წევრი, სანამ თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდეს, კომიტეტის ღია სხდომაზე აკეთებს საჯარო განცხადებას, რომ თავის ფუნქციებს შესრულებს მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად.

### **მუხლი 39**

1. კომიტეტი თავის თანამდებობის პირებს ირჩევს ორი წლის ვადით. შეიძლება მათი ხელახალი არჩევა.
2. კომიტეტი ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს, მაგრამ ამ წესებით, კერძოდ გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ:
  - ა) კომიტეტის თორმეტი წევრი შეადგენს კვორუმს;
  - ბ) კომიტეტი დადგენილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმის უმრავლესობით.

### **მუხლი 40**

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას წარადგინონ მოხსენებები, თუ რა ღონისძიებანი დასახეს ამ პაქტით აღიარებულ უფლებათა განხორციელებისათვის და რა პროგრესს მიაღწიეს ამ უფლებათა გამოყენებაში;
  - ა) ერთი წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც ეს პაქტი ძალაში შევა შესაბამის მონაწილე სახელმწიფოთა მიმართ;
  - ბ) ამის შემდეგ ყველა შემთხვევაში, როცა ამას მოითხოვს კომიტეტი.
2. ყველა მოხსენებას წარუდგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც მათ განსახილველად უგზავნის კომიტეტს. მოხსენებაში უნდა აღინიშნოს ფაქტორები და სიძნელენი, თუ ასეთები არის, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ პაქტის განხორციელებაზე.
3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ შეუძლია დაინტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებს გაუგზავნოს მოხსენებათა იმ ნაწილების ეგზემპლარები, რომლებიც შეიძლება ეხებოდეს მათი კომპეტენციის სფეროს.

4. კომიტეტი სწავლობს, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილ მოხსენებებს, იგი მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის თავის მოხსენებებსა და ზოგადი ხასიათის ისეთ შენიშვნებს, რომლებიც მიზანშეწონილად მიაჩნია. კომიტეტს შეუძლია აგრეთვე ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს გაუგზავნოს ეს შენიშვნები იმ მოხსენებათა ეგზემპლარებთან ერთად, რომლებიც მიიღო ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებისაგან.

5. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ კომიტეტს წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებანი ყველა შენიშვნის გამო, რომლებიც შეიძლება გაკეთდეს ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

#### **მუხლი 41**

1. ამ მუხლის შესაბამისად პაქტის მონაწილე სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლია განაცხადოს, რომ ცნობს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს ცნობა, სადაც რომელიმე მონაწილე სახელმწიფო ამტკიცებს, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს ამ პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს. ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობები კომიტეტმა შეიძლება მიიღოს ან განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ მონაწილე სახელმწიფომ, რომელმაც გააკეთა განცხადება, რომ ცნობს ამ კომიტეტის კომპეტენციას. კომიტეტი არ იღებს არავითარ ცნობას, თუ იგი ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც არ გაუკეთებია ასეთი განცხადება. ამ მუხლის შესაბამისად მიღებული ცნობები განიხილება შემდეგი პროცედურის მიხედვით;

ა) თუ ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ახორციელებს ამ პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, მას შეუძლია წერილობით შეატყობინოს ეს აღნიშნულ მონაწილე სახელმწიფოებს. ამ შეტყობინების მიღების დღიდან სამი თვის მანძილზე მიმდებმა სახელმწიფომ წერილობით უნდა წარუდგინოს ასეთი ცნობის გამომგზავნ სახელმწიფოს განმარტება ან რაიმე სხვა განცხადება, სადაც განმარტებული იქნება ეს საკითხი, რომელიც უნდა შეიცავდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილი იქნება, მითითებას შინაგან პროცედურებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიიღო, მიიღებს ან შეიძლება მიიღოს ამ საკითხზე;

ბ) თუ საკითხი არ გადაწყდა ორივე დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოსათვის დამაკმაყოფილებლად ექვსი თვის მანძილზე მას შემდეგ, რაც მეორე სახელმწიფომ მიიღო პირველი ცნობა, თითოეულ ამ სახელმწიფოს უფლება აქვს ეს საკითხი გადასცეს კომიტეტს, ამასთან ეს შეატყობინოს კომიტეტსა და მეორე სახელმწიფოს;

გ) კომიტეტი მისთვის გადაცემულ საკითხს განიხილავს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად ამ შემთხვევაში სცადეს და ამოწურეს ყველა ხელმისაწვდომი შინაგანი საშუალება. ეს წესი არ მოქმედებს ისეთ შემთხვევებში, როცა ამ საშუალებათა გამოყენება გაუმართლებლად ჭიანურდება;

დ) ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობების განხილვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომას;

ე) კომიტეტი ც ქვეპუნქტის ვალდებულებათა დაცვით კეთილ სამსახურს უწევს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს, რათა მეგობრულად გადაწყვიტონ საკითხი ამ პუნქტით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის საფუძველზე;

ფ) მის განსახილველად გადაცემულ ყველა საკითხზე კომიტეტმა შეიძლება სთხოვოს ბ ქვეპუნქტში ნახსენებ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს წარუდგინონ ყოველნაირი ინფორმაცია, რომელიც საქმეს ეხება;

გ) ბ ქვეპუნქტში ნახსენებ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ უფლება წარმოდგენილი იყვნენ კომიტეტში საკითხის განხილვისას და გააკეთონ წარდგინებანი ზეპირად ან წერილობით;

3) შეტყობინების მიღების დღიდან თორმეტი თვის მანძილზე კომიტეტი ბ ქვეპუნქტის შესაბამისად წარადგენს მოხსენებას;

ი) თუ მიღწეულია გადაწყვეტილება ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში, კომიტეტი თავის მოხსენებაში იფარგლება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსით;

იი) თუ გადაწყვეტილება ე ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში მიღწეული არ არის, მაშინ კომიტეტი თავის მოხსენებაში იფარგლება ფაქტების მოკლე შინაარსით; მოხსენებას ერთვის დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების წერილობითი წარდგინებანი და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერი.

თითოეულ საკითხზე მოხსენება ეგზავნება დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს.

2. ამ მუხლის დებულებანი ძალაში შედის, როცა ამ პაქტის მონაწილე ათი სახელმწიფო გააკეთებს განცხადებას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ასეთი განცხადებების დეპონირებას ახდენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან, რომელიც განცხადებების პირებს უგზავნის დანარჩენ მონაწილე სახელმწიფოებს. გენერალური მდივნის შეტყობინებით განცხადების უკან წაღება ყოველთვის შეიძლება. ასეთი მოქმედება ხელს არ უშლის რომელიმე იმ საკითხის განხილვას, რომელიც ამ მუხლის შესაბამისად უკვე გადაცემული ცნობის საგანია. მას შემდეგ, რაც გენერალური მდივანი მიიღებს შეტყობინებას, რომ განცხადება უკან წაიღეს, აღარ მიიღება მონაწილე სახელმწიფოს არავითარი შემდგომი ცნობები, თუ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს არ გაუკეთებია ახალი განცხადება.

#### **მუხლი 42**

1. ა) თუ რომელიმე საკითხი, რომელიც კომიტეტს გადაეცემა 41-ე მუხლის შესაბამისად, არ გადაიჭრა დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთათვის დამაკმაყოფილებლად, კომიტეტს შეუძლია დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წინასწარი თანხმობით დანიშნოს სპეციალური შემათანხმებელი კომისია (რომელსაც შემდგომში ეწოდება „კომისია“), კომისია კეთილ სამსახურს უწევს მონაწილე სახელმწიფოები, რათა მეგობრულად გადაწყვიტონ ესა თუ ის საკითხი ამ პაქტის დებულებათა დაცვის საფუძველზე.

ბ) კომისიაში შედის დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოსათვის მისაღები ხუთი პირი. თუ სამი თვის მანძილზე დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები ვერ შეთანხმდნენ კომისიის მთელი შემადგენლობისა თუ შემადგენლობის ნაწილის თაობაზე, კომისიის იმ წევრებს, რომელთა დანიშვნის თაობაზე ვერ მიაღწიეს თანხმობას, ირჩევენ ფარული კენჭისყრით კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან კომიტეტის წევრთა ხმების ორ მესამედის უმრავლესობით.

2. კომისიის წევრები მოვალეობას ასრულებენ პირადად. ისინი არ უნდა იყვნენ დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოების ან იმ სახელმწიფოს მოქალაქეები, რომელიც ამ პაქტის მონაწილე არ არის, ან იმ მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქენი, რომელსაც არ გაუკეთებია განცხადება 41- ე მუხლის შესაბამისად.

3. კომისია ირჩევს თავის თავმჯდომარეს და ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს.

4. კომისიის სხდომები ჩვეულებრივ ეწყობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენევის განყოფილებაში, მაგრამ სხდომები შეიძლება მოეწყოს სხვა მოსახერხებელ ადგილებშიც, რომლებიც კომისიამ შეიძლება განსაზღვროს გაერთიანებული ერების

ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან და შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებთან კონსულტაციით.

5. 36-ე მუხლით უზრუნველყოფილი სამდივნო ემსახურება აგრეთვე ამ მუხლის საფუძველზე დანიშნულ კომისიებს.

6. კომიტეტის მიერ მიღებული და შესწავლილი ინფორმაცია გადადის კომისიის განკარგულებაში და კომისიას შეუძლია სთხოვოს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს, რომ წარუდგინონ ყოველნაირი ინფორმაცია, რომელიც საქმეს ეხება.

7. როცა კომისია მთლიანად განიხილავს საკითხს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს 12 თვისა მას შედეგ, რაც მას გადაეცა ეს საკითხი, იგი კომიტეტის თავმჯდომარეს წარუდგენს მოხსენებას დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოებისათვის გასაგზავნად:

ა) თუ კომისიას არ შეუძლია დაამთავროს ამ საკითხის განხილვა თორმეტი თვის მანძილზე, იგი მოხსენებაში მოკლედ აღნიშნავს რა მდგომარეობაშია ამ საკითხის განხილვა;

ბ) თუ მიღწეულია ამ საკითხის მეგობრული გადაწყვეტა ამ პაქტით აღიარებული ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძველზე, კომისია თავის მოხსენებაში სჯერდება ფაქტებსა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსს;

გ) თუ ბ ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილება მიღწეული არ არის, კომისიის მოხსენება შეიცავს მის დასკვნებს ფაქტიური ხასიათის ყველა საკითხის გამო, რომლებიც ეხება დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა დაცვას, და კომისიის მოსაზრებებს ამ საკითხის მეგობრულად მოგვარების შესაძლებლობის შესახებ. ეს მოხსენება აგრეთვე შეიცავს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების წერილობით წარდგინებას და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერს;

დ) თუ კომისიის მოხსენება წარდგენილია ე ქვეპუნქტის შესაბამისად, დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები ამ მოხსენების მიღებიდან სამი თვის მანძილზე ატყობინებენ კომიტეტის თავმჯდომარეს, ეთანხმებიან თუ არა კომისიის მოხსენების შინაარსს.

8. ამ მუხლის დებულებანი არ აკნინებენ 41-ე მუხლით გათვალისწინებულ კომიტეტის მოვალეობებს.

9. დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები თანაბრად ანაზღაურებენ კომისიის წევრთა ყველა ხარჯს იმ ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელსაც წარადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.

10. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უფლება აქვს, თუ ეს საჭიროა, აანაზღაუროს კომისიის წევრთა ხარჯები, სანამ მათ აანაზღაურებდნენ დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად.

### **მუხლი 43**

კომიტეტისა და იმ სპეციალური შეთანხმებული კომისიების წევრებს, რომლებიც შეიძლება დაინიშნოს 42-ე მუხლის შესაბამისად, აქვთ იმ ექსპერტთა შეღავათების, პრივილეგიებისა და იმუნიტეტების უფლება, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მივლინებაში გზავნის, როგორც ეს გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების კონვენციის შესაბამის ნაწილებში.

### **მუხლი 44**

ამ პაქტის განხორციელების დებულებანი უნდა გამოიყენონ ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ პროცედურებს ადამიანის უფლებათა დარგში, რომლებსაც ითვალისწინებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სპეციალიზებულ დაწესებულებათა დამფუძნებელი აქტები და კონვენციები, ან მათ შესაბამისად, ეს დებულებანი ხელს

არ უშლის ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს მიმართონ დავის გადაწყვეტის სხვა პროცედურებს, მათ შორის მოქმედ საერთო და სპეციალურ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე.

#### **მუხლი 45**

ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საშუალებით კომიტეტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას წარუდგენს ყოველწლიურ მოხსენებას თავისი მუშაობის შესახებ.

### **ნაწილი V**

#### **მუხლი 46**

ამ პაქტში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებითა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სპეციალიზებულ დაწესებულებათა სხვადასხვა ორგანოს შესაბამის მოვალეობათა განმსაზღვრელ სპეციალიზებულ დაწესებულებათა წესდებების დებულებათა მნიშვნელობის დაკნინება იმ საკითხებში, რომლებსაც ეს პაქტი ეხება.

#### **მუხლი 47**

ამ პაქტში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული, როგორც დაკნინება ყველა ხალხის განუყოფელი უფლებისა და მთლიანად და თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებითა და რესურსებით.

### **ნაწილი VI**

#### **მუხლი 48**

1. ამ პაქტს შეუძლია ხელი მოაწეროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა ყველა სახელმწიფომ ან ყველა მისი სპეციალიზებული დაწესებულების წევრმა, საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მონაწილე ყველა სახელმწიფომ და ყველა სხვა სახელმწიფომ, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა შესთავაზებს ამ პაქტში მონაწილეობას.
2. ეს პაქტი რატიფიცირებული უნდა იყოს. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.
3. ამ პაქტს შეუძლია შეუერთდეს ამ მუხლის I პუნქტში აღნიშნული ყველა სახელმწიფო.
4. შეერთებისათვის საჭიროა შეერთების დოკუმენტის დეპონირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.
5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ატყობინებს ყოველ სახელმწიფოს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ პაქტს ან შეუერთდნენ მას, თითოეული სარატიფიკაციო სიგელისა თუ შეერთების დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

#### **მუხლი 49**

1. ეს პუნქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან დეპონირებული იქნება ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელი ან შეერთების დოკუმენტი.
2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ პაქტის რატიფიკაციას ახდენს ან უერთდება მას ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელისა ან შეერთების დოკუმენტის დეპონირების შემდეგ, ეს პუნქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა დეპონირებული იქნება მისი საკუთარი სარატიფიკაციო სიგელი თუ შეერთების დოკუმენტი.

## **მუხლი 50**

ამ პაქტის დებულებანი ვრცელდება ფედერაციულ სახელმწიფოთა ყველა ნაწილზე რაიმე შეზღუდვისა თუ გამონაკლისის გარეშე.

## **მუხლი 51**

1. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს გასწორებანი და წარუდგინოს ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, გენერალური მდივანი შემოთავაზებულ გასწორებებს უგზავნის ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვს შეატყობინონ, მომხრე არიან თუ არა, რომ მოიწვიონ მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენცია ამ წინადადებათა განსახილველად და მათთვის კენჭის საყრელად თუ მონაწილე სახელმწიფოთა სულ ცოტა მესამედი მხარს დაუჭერს ასეთ კონფერენციას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს ამ კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, ყველა გასწორებას, რომელსაც მიიღებს ამ კონფერენციის დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა, დასამტკიცებლად წარუდგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.

2. გასწორებანი ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა და თავიანთი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად მიიღებს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა – ორი მესამედი.

3. გასწორებათა ძალაში შესვლის შემდეგ ისინი სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება ამ პაქტის დებულებანი და მათ მიერ მიღებული ყველა წინა გასწორება.

## **მუხლი 52**

48-ე მუხლის მე -5 პუნქტის თანახმად შეტყობინებისგან დამოუკიდებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ატყობინებს იმავე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს შემდეგს:

- ა) 48-ე მუხლის თანახმად ხელმოწერების, რატიფიკაციებისა და შეერთებების შესახებ;
- ბ) 49-ე მუხლის თანახმად ამ პაქტის ძალაში შესვლის თარიღს და 51-ე მუხლის თანახმად ყოველგვარი გასწორების ძალაში შესვლის თარიღს.

## **მუხლი 53**

1. ეს პაქტი, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები ერთნაირად ავთენტურია, შესანახად უნდა გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივს.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ პაქტის დამოწმებულ პირებს უგზავნის 48-ე მუხლში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს.

## სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი, 1966

ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის (შემდგომში „პაქტი“) მიზნების მისაღწევად და მისი დადგენილების განსახორციელებლად მიზანშეწონილი იქნებოდა პაქტის IV ნაწილის საფუძველზე დაარსებულ ადამიანის უფლებათა კომიტეტს (შემდგომში „კომიტეტი“) მიეცეს შესაძლებლობა მიიღოს და განიხილოს, როგორც ამ ოქმშია გათვალისწინებული, შეტყობინებები ცალკეული პირებისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი პაქტის აღნიშნული რომელიმე უფლების დარღვევის მსხვერპლნი არიან, შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი 1

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფო, რომელიც ამ ოქმის მონაწილე ხდება, აღიარებს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს ცნობა მის იურისდიქციას დაქვემდებარებული პირებისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აღნიშნული მონაწილე სახელმწიფოს მიერ პაქტში მოყვანილი რომელიმე უფლების დარღვევის მსხვერპლნი არიან. კომიტეტი არ მიიღებს არც ერთ ცნობას, თუ იგი ეხება პაქტის მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც არ არის ამ ოქმის მონაწილე.

### მუხლი 2

1-ლი მუხლის დებულებების დაცვის შემთხვევაში პირებმა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ პაქტში ჩამოთვლილი მათი რომელიმე უფლება დაირღვა, და რომლებმაც ამოწურეს სამართლებრივი დაცვის ყველა არსებული შინაგანი საშუალება, შეუძლიათ კომიტეტის განსახილველად წარადგინონ წერილობითი ცნობა.

### მუხლი 3

კომიტეტს შეუძლია მიუღებლად მიიჩნიოს ამ ოქმის შესაბამისად წარმოდგენილი ყოველი ცნობა, რომელიც ანონიმურია ან, რომელიც, მისი აზრით, არის ასეთი ცნობების წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენება, ან იგი შეუთავსებელია პაქტის დებულებებთან.

### მუხლი 4

1. მე-3 მუხლის დებულებათა დაცვის შემთხვევაში კომიტეტი ამ ოქმის თანახმად წარდგენილ ნებისმიერ ცნობას ატყობინებს ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც მტკიცების თანახმად, არღვევს პრაქტის რომელიმე დებულებას.
2. შეტყობინების მიმღები სახელმწიფო ექვსი თვის მანძილზე წარუდგენს კომიტეტს წერილობით განმარტებას ან განცხადებას, სადაც განმარტებული იქნება ეს საკითხი და ნებისმიერი ღონისძიება, თუ ასეთს ადგილი ჰქონდა, რომელიც ამ სახელმწიფოს შეიძლება მიეღო.



## **მუხლი 5**

1. კომიტეტი განიხილავს ამ ოქმის შესაბამისად მიღებულ ცნობებს ცალკეული პირების და დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოს მიერ მისთვის წარდგენილი ყველა წერილობითი მონაცემების გათვალისწინებით.

2. კომიტეტი არ განიხილავს პირთა არც ერთ ცნობას, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ:

ა) იგივე საკითხი არ განიხილება საერთაშორისო გარჩევის ან მოწესრიგების სხვა პროცედურის შესაბამისად;

ბ) მოცემულმა პირმა ამოწურა სამართლებრივი დაცვის ყველა მისაწვდომი შინაგანი საშუალება;

ეს წესი არ მოქმედებს ისეთ შემთხვევებში, როცა ამ საშუალებათა გამოყენება გაუმართლებლად ჭიანჭურდება.

3. ამ ოქმით გათვალისწინებული ცნობის განხილვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომას.

4. კომიტეტი აცნობებს თავის მოსაზრებებს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს და პირს.

## **მუხლი 6**

პაქტის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ თავის ყოველწლიურ მოხსენებაში კომიტეტს შეაქვს მოკლე ანგარიში ამ ოქმის შესაბამისად გაწეული თავისი მუშაობის შესახებ.

## **მუხლი 7**

კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1960 წლის 14 დეკემბერს მიღებული 1514 (XV) რეზოლუციის მიზნების მიღწევამდე, ამ ოქმის დებულებები არანაირად არ ზღუდავენ პეტიციების წარდგენის უფლებას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა საერთაშორისო კონვენციებით და დოკუმენტებით, და გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებებით მინიჭებული აქვთ ამ ხალხებს.

## **მუხლი 8**

1. ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად პაქტის ხელმომწერი ყველა სახელმწიფოსათვის.

2. ეს ოქმი რატიფიცირებული უნდა იყოს ყველა სახელმწიფოს მიერ, რომელმაც პაქტის რატიფიკაცია მოახდინა ან შეუერთდა მას. სარატიფიკაციო სიგელები შესაძლებლად გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

3. ამ ოქმთან შეერთება შეუძლია ყველა სახელმწიფოს, რომელმაც პაქტის რატიფიკაცია მოახდინა ან შეუერთდა მას.

4. შეერთებისათვის საჭირო შეერთების დოკუმენტის დეპონირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი აცნობებს ყველა სახელმწიფოს, რომელმაც ხელი მოაწერეს ამ პაქტს ან შეუერთდნენ მას, თითოეული სარატიფიკაციო სიგელის თუ შეერთების დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

### **მუხლი 9**

1. პაქტის ძალაში შესვლის შემთხვევაში, ეს ოქმი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან დეპონირებული იქნება მათე სარატიფიკაციო სიგელი ან შეერთების დოკუმენტი.

2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ ოქმის რატიფიკაციას ახდენს ან უერთდება მას მათე სარატიფიკაციო სიგელისა და შეერთების დოკუმენტის დეპონირების შემდეგ, ეს ოქმი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა დეპონირებული იქნება მისი სარატიფიკაციო სიგელი თუ შეერთების დოკუმენტი.

### **მუხლი 10**

ამ ოქმის დებულებანი ვრცელდება ფედერაციულ სახელმწიფოთა ყველა ნაწილზე რაიმე შეზღუდვისა თუ გამონაკლისის გარეშე.

### **მუხლი 11**

1. ამ ოქმის მონაწილე ყველა სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს გასწორებანი და წარუდგინოს ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი შემოთავაზებულ გასწორებებს უგზავნის ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვს შეატყობინონ, მომხრე არიან თუ არა, რომ მოიწვიონ მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენცია ამ წინადადებების განსახილველად და კენჭის საყრელად. თუ ასეთი კონფერენციის მოწვევას მხარს დაუჭერს მონაწილე სახელმწიფოთა არანაკლებ მესამედისა, გენერალური მდივანი იწვევს კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. ყველა გასწორებას, რომელსაც მიიღებს ამ კონფერენციის დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა, დასამტკიცებლად წარუდგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.

2. გასწორებანი ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა და კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად მიიღებს ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა – ორი მესამედი.

3. მას შემდეგ, რაც გასწორებანი ძალაში შევა, ისინი სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება ამ პაქტის დებულებანი და მათ მიერ მიღებული ყველა წინა გასწორება.

### **მუხლი 12**

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლია ამ ოქმის დენონსაცია გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანისათვის წერილობითი შეტყობინების გზით. დენონსაცია ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა გენერალური მდივანი მიიღებს ამ შეტყობინებას.

2. დენონსაცია ხელს არ უშლის გაგრძელდეს ამ ოქმის დებულებების გამოყენება ყოველგვარი ცნობის მიმართ, რომელიც წარმოდგენილია მე -2 მუხლის შესაბამისად დენოსაციის ძალაში შესვლის თარიღამდე.

### **მუხლი 13**

ამ ოქმის მე -8 მუხლის მე -5 პუნქტის შესაბამისად შეტყობინებისგან დამოუკიდებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი აცნობებს პაქტის 48-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს შემდეგს:

- ა) ხელმოწერების, რატიფიკაციებისა და შეერთებების შესახებ მე -8 მუხლის თანახმად;
- ბ) ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღს მე -9 მუხლის თანახმად და ყოველგვარი გასწორების ძალაში შესვლის თარიღს მე -11 მუხლის თანახმად;
- ც) დენონსაციების შესახებ – მე -12 მუხლის თანახმად.

### **მუხლი 14**

1. ეს ოქმი, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები ერთნაირად ავთენტიკურია, შესანახად უნდა გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივს.
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ ოქმის დამოწმებულ პირებს უგზავნის პაქტის 48-ე მუხლში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს.

## **დეკლარაცია საგანგებო სიტუაციებსა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს ქალების და ბავშვების დაცვის შესახებ, 1974**

გენერალურმა ასამბლეამ,

გაითვალისწინა, რა 1974 წლის 16 მაისით დათარიღებულ თავის რეზოლუციაში 1861 (LVI) ასახული «ეკონომიკური და სოციალური საბჭოს» რეკომენდაცია,

გამოხატავს, რა თავის ღრმა მწუხარებას მშვიდობიანი ქალების და ბავშვების ტანჯვის გამო საგანგებო სიტუაციების და შეიარაღებული კონფლიქტის დროს მშვიდობისათვის, თვითგამორკვევის, ეროვნული თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისას ხშირად ხდებიან არაჰუმანური აქტები მსხვერპლნი და შედეგად მნიშვნელოვნად ზარალდებიან,

აცნობიერებს, რა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით იქ, სადაც ადგილი აქვს ზეწოლას, აგრესიას, კოლონიალიზმს, რასიზმს, უცხოელთა დომინირებას და უცხო ძალის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე, ქალების და ბავშვების ტანჯვას,

ღრმად არის შეწუხებული ფაქტით, რომ მიუხედავად საზოგადო და ერთმნიშვნელოვანი დაგმობისა, კოლონიალიზმი, რასიზმი და უცხოელთა დომინირება კვლავ მრავალ ერს მონური უღლის ქვეშ ამყოფებს და დაუნდობლად ახშობს ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობებს და მათი დომინირების ქვეშ მყოფ ერებს, მათ შორის ქალებსა და ბავშვებს მნიშვნელოვან ზარალს და შეუფასებელ ზიანს,

წუხილს გამოთქვამს იმ ფაქტის გამო, რომ კვლავ ხორციელდება ადამიანის ფუნდამენტურ თავისუფლებებსა და ღირსებაზე მნიშვნელოვანი შეტევები და

კოლონიალური და რასისტული უცხოური დომინანტი სახელმწიფოები განაგრძობენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევას,

მიუთითებს, რა საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონმდებლობის დოკუმენტებში მშვიდობისა და ომის დროს ქალთა და ბავშვთა დაცვის შესაბამის დებულებებზე;

მიუთითებს, რა სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებთან ერთად გენერალური ასამბლეის 1968 წლის 19 დეკემბრის 2444-ე (XXIII) რეზოლუციაზე, და 1970 წლის 9 დეკემბრის 2675-ე (XXV) რეზოლუციებზე შეიარაღებული კონფლიქტების დროს ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ძირითადი პრინციპების შესახებ, ასევე ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1970 წლის 28 მაისის 1515-ე (XLVIII) რეზოლუცია, სადაც საბჭო თხოვნით მიმართავს გენერალურ ასამბლეას განიხილოს საგანგებო სიტუაციებსა და საომარი მდგომარეობის დროს ქალთა და ბავშვთა დაცვის შესახებ დეკლარაციის შემუშავების შესაძლებლობის საკითხი;

აცნობიერებს რა თავის პასუხისმგებლობას მომავალი თაობის აღზრდის ბედისა და დედათა ბედის შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოებაში, ოჯახში და განსაკუთრებით ბავშვთა აღზრდაში,

ითვალისწინებს რა სამოქალაქო მოსახლეობას მიკუთვნებულ ქალთა და ბავშვთა განსაკუთრებული დაცვის საჭიროებას,

საზეიმოდ აცხადებს წინამდებარე დეკლარაციას საგანგებო სიტუაციებსა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს ქალების და ბავშვების დაცვის შესახებ და ყველა წევრ სახელმწიფოს მოუწოდებს დეკლარაციის მკაცრი დაცვისაკენ:

1. სამოქალაქო მოსახლეობაზე შეტევები და დაბომბვა, შეუფასებელი ზიანის მიყენება, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვებისათვის, რომლებიც მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ფენას წარმოადგენენ, უნდა აიკრძალოს და ამგვარი ფაქტები უნდა დაიგმოს.

2. სამხედრო ოპერაციების დროს ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება 1925 წლის ჟენევის ოქმის, 1949 წლის ჟენევის კონვენციის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპების ყველაზე აღმამფოთებელ დარღვევას წარმოადგენს და დიდ ზიანს აყენებს სამოქალაქო მოსახლეობას, მათ შორის დაუცველ ქალებსა და ბავშვებს, რაც მკაცრად უნდა დაიგმოს.

3. ყველა სახელმწიფომ სრულად უნდა დაიცვას 1925 წლის ჟენევის ოქმით, 1949 წლის ჟენევის კონვენციით, ასევე შეიარაღებულ კონფლიქტებში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის სხვა დოკუმენტებით აღებული ვალდებულებები, რომლებიც ქალთა და ბავშვთა დაცვის მნიშვნელოვან გარანტიებს გთავაზობენ.

4. ყოველი ძალისხმევა უნდა წარმართონ შეიარაღებულ კონფლიქტში, უცხო ქვეყნის ტერიტორიებზე სამხედრო ოპერაციებში, ან კოლონიური დომინირების ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში მონაწილე სახელმწიფოებმა, რომ ქალები და ბავშვები აარიდონ ომის სისასტიკეს. ყველა საჭირო ღონისძიება უნდა გატარდეს, რათა აკრძალულ იყოს ისეთი ზომები, როგორცაა დევნა, წამება, სადამსჯელო ღონისძიებები, დამამცირებელი მოპყრობა და ძალადობა,

განსაკუთრებით მოსახლეობის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც შედგება ქალებისა და ბავშვებისაგან.

5. ყველა სახის რეპრესია, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობა ქალთა და ბავშვთა მიმართ, მათ შორის დაპატიმრება, წამება, დახვრეტა, მასობრივი დაპატიმრებები, კოლექტიური დასჯა, საცხოვრებელი ადგილის დანგრევა და იძულებით გამოსახლება, რომელთაც მეომარი მხარის წარმომადგენლები ჩაიდენენ სამხედრო ოპერაციების დროს ან ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მიჩნეული უნდა იქნეს სისხლის სამართლის დანაშაულად.

6. ქალები და ბავშვები, რომლებიც სამოქალაქო მოსახლეობას მიეკუთვნებიან და აღმოჩნდებიან საგანგებო მდგომარეობის ან შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში მშვიდობისათვის, თვითგამორკვევისათვის, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ან რომლებიც ცხოვრობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, არ უნდა დარჩნენ თავშესაფრის, საკვების, სამედიცინო დახმარების ან სხვა განუყოფელი უფლებების გარეშე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის, ბავშვთა უფლებების დეკლარაციის ან საერთაშორისო სამართლის სხვა დოკუმენტებით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად.

### **კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1979**

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც

აღნიშნავენ, რომ გაერთიანებული ერების წესდება განამტკიცებს ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი მისი როგორც პიროვნების ღირსებისა და ღირებულებისადმი და მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობისადმი რწმენას,

აღნიშნავენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია განამტკიცებს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს და აცხადებს, რომ ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი, თანასწორი ღირსებითა და უფლებებით, და უნდა ფლობდეს დეკლარაციით გამოცხადებულ ყველა უფლებასა და თა თავისუფლებას, ნებისმიერი, მათ შორის, სქესის ნიშნით განსხვავების მიუხედავად,

აღნიშნავენ, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ მამაკაცისა და ქალის თანასწორობა ნებისმიერი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობისას,

მხედველობაში იღებენ გაერთიანებული ერების და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების ეგიდით დადებულ საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც ხელს უწყობს მამაკაცისა და ქალის თანასწორობის უფლებას,

ითვალისწინებენ, აგრეთვე, მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობის მიზნით, გაერთიანებული ერებისა და მისი სპეციალიზებული

დაწესებულებების მიერ მიღებულ რეზოლუციებს, დეკლარაციებსა და რეკომენდაციებს,

შემფოთებულნი არიან, რომ სხვადასხვა დოკუმენტების არსებობის მიუხედავად, ქალთა მზარდი დისკრიმინაცია გრძელდება,

შეახსენებენ, რომ ქალის დისკრიმინაცია არღვევს თანასწორუფლებიანობისა და ადამიანური ღირსების პატივისცემის პრინციპებს, ხელს უშლის მამაკაცის თანაბრად ქალის მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში; აბრკოლებს საზოგადოებისა და ოჯახის კეთილდღეობის ზრდას და ართულებს ქალის შესაძლებლობათა სრულად გამოვლენას მისი ქვეყნისა და კაცობრივობის საკეთილდღეოდ,

შემფოთებულნი არიან, რომ სიღარიბის პირობებში ქალებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია სურსათი, ჯანმრთელობის დაცვის საშუალებები, განათლება, პროფესიული მომზადება და დასაქმება, აგრეთვე სხვა მოთხოვნილებები,

დარწმუნებული არიან, რომ თანასწორობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მამაკაცისა და ქალის თანაბარუფლებიანობის განვითარებას,

ხაზს უსვამენ, რომ აპარტიდის, რასიზმის ყველა ფორმის, რასობრივი დისკრიმინაციის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, აგრესიის, უცხო სახელმწიფოს მიერ ოკუპაციისა და ბატონობის, სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის აღმოფხვრა აუცილებელია მამაკაცისა და ქალის უფლებებით სრული სარგებლობისათვის,

ადასტურებენ, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, საერთაშორისო დამაბულობის შენელება, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა მათი სოციალური და ეკონომიკური სისტემების მიუხედავად, საყოველთაო და სრული განიარაღება, განსაკუთრებით მკაცრ და ეფექტურ საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული ბირთვული განიარაღება, ქვეყნებს შორის ურთიერთობაში სამართლიანობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპების დამკვიდრება და უცხოეთისა და კოლონიური ბატონობის, უცხოური ოკუპაციის ქვეშ მყოფი ხალხების თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლების განხორციელება, აგრეთვე, ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა ბიძგს მისცემს სოციალურ პროგრესსა და განვითარებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მამაკაცსა და ქალს შორის სრული თანასწორობის მიღწევას,

დარწმუნებულნი არიან, რომ ქვეყნის სრული განვითარება, მსოფლიოს კეთილდღეობა და მშვიდობა მოითხოვს ყველა სფეროში ქალის მაქსიმალურ მონაწილეობას მამაკაცის თანასწორად,

ითვალისწინებენ ოჯახის კეთილდღეობისა და საზოგადოების განვითარების საქმეში ქალის განუზომელ წვლილს, რომელსაც დღემდე არ მოუპოვებია სრული აღიარება, ოჯახსა და ბავშვის აღზრდაში დედობის ფუნქციისა და ორივე მშობლის როლის სოციალურ მნიშვნელობას, ასევე, გაცნობიერებული აქვთ, რომ ქალის როლი შთამომავლობის გაგრძელებაში არ უნდა იყოს მისი დისკრიმინაციის საფუძველი,

ვინაიდან ბავშვის აღზრდა მოითხოვს მამაკაცსა და ქალს, აგრეთვე მთლიანად საზოგადოებას შორის პასუხისმგებლობის განაწილებას,

აღიარებენ, რომ მამაკაცისა და ქალის სრული თანასწორობის მისაღწევად საჭიროა საზოგადოებასა და ოჯახში როგორც მამაკაცის, ისე ქალის ტრადიციული როლის შეცვლა,

მზად არიან განახორციელონ ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ დეკლარაციით გამოცხადებული პრინციპები და ამ მიზნით, მიიღონ ასეთი დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და გამოვლინების აღმისაფხვრელად საჭირო ზომები.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

## ნაწილი I

### მუხლი 1

ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი ქალის დისკრიმინაცია ნიშნავს სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გამიჯვნას ან შეზღუდვას, რომელმაც შესაძლებელია შედეგად მოიტანოს ან რომლის მიზანია ქალის მიერ, მისი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა აღიარების, სარგებლობის ან გამოყენების შესაძლებლობის შესუსტება ან სრული უარყოფა.

### მუხლი 2

მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ქალის დისკრიმინაციის ნებისმიერ გამოვლინებას, თანახმა არიან ყველა შესატყვისი საშუალებით, დაუყოვნებლივ განახორციელონ ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის პოლიტიკა და ამ მიზნით, კისრულობენ ვალდებულებას:

ა) შეიტანონ მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის პრინციპი თავიანთ კონსტიტუციებში ან შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, თუ ეს აქამდე არ გაუკეთებიათ, და უზრუნველყონ კანონითა და სხვა შესატყვისი საშუალებებით ამ პრინციპის პრაქტიკული განხორციელება;

ბ) მიიღონ, სადაც ეს აუცილებელია, ქალის ყოველგვარი დისკრიმინაციის ამკრძალავი შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა ზომები, სანქციების ჩათვლით;

გ) დააწესონ ქალის უფლებების სამართლებრივი დაცვა მამაკაცთან თანასწორ საფუძველზე და კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით უზრუნველყონ დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტისაგან ქალის ეფექტური დაცვა;

დ) თავი შეიკავონ ქალის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული აქტისა თუ მოქმედებისაგან და უზრუნველყონ სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების მოქმედება ამ ვალდებულების შესაბამისად;

ე) მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა ნებისმიერი პირის, ორგანიზაციისა თუ საწარმოს მხრიდან ქალის დისკრიმინაციის აღმისაფხვრელად;

ვ) მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, საკანონმდებლოს ჩათვლით, იმ მოქმედი კანონების, დადგენილებების, ჩვეულებებისა და პრაქტიკის შესაცვლელად ან გასაუქმებლად, რომელიც ქალის დისკრიმინაციას აწესებს;

ზ) გააუქმონ თავიანთი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ყველა დებულება, რომელიც ქალის დისკრიმინაციას აწესებს.

### **მუხლი 3**

მონაწილე სახელმწიფოები ყველა სფეროში, კერძოდ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში იღებენ შესაბამის ზომებს, საკანონმდებლოს ჩათვლით, ქალის ყოველმხრივი განვითარებისა და პროგრესის უზრუნველსაყოფად, რათა მას მამაკაცთან თანასწორობის საფუძველზე შეექმნას ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობისა და მათი განხორციელების გარანტია.

### **მუხლი 4**

მონაწილე სახელმწიფოს მიერ, მამაკაცსა და ქალს შორის ფაქტობრივი თანასწორობის დამყარების დასაჩქარებლად მიღებული დროებითი სპეციალური ზომები ამ კონვენციის განსაზღვრების მიხედვით, დისკრიმინაციულად არ ჩაითვლება, თუმცა, მან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოიწვიოს არათანაბარი და განსხვავებული სტანდარტების შენარჩუნება; აღნიშნული ზომები უნდა გაუქმდეს, როცა მიღწეული იქნება მიზანი, რომელიც შესაძლებლობათა და მოპყრობის თანაბრობაში გამოიხატება.

მონაწილე სახელმწიფოების მიერ დედობის დასაცავად სპეციალური, მათ შორის ამ კონვენციით გათვალისწინებული ზომების მიღება დისკრიმინაციულად არ ჩაითვლება.

### **მუხლი 5**

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, რათა:

ა) შეცვალონ მამაკაცისა და ქალის ყოფაქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრურწმენებისა და ჩვეულებების, აგრეთვე, მთელი დანარჩენი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც ემყარება ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის იდეას ან მამაკაცის და ქალის როლის სტერეოტიპულ გააზრებას.

ბ) უზრუნველყონ, რომ საოჯახო აღზრდა გულისხმობდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორ გაგებას და ბავშვის აღზრდისა და განვითარების საქმეში მამაკაცისა და ქალის საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას, ბავშვის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით.

### **მუხლი 6**

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, საკანონმდებლოს ჩათვლით, ქალებით ყოველგვარი ვაჭრობისა და ქალის პროსტიტუციის ექსპლუატაციის აღსაკვეთად.



## ნაწილი II

### მუხლი 7

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, კერძოდ, ქალისათვის, მამაკაცის თანასწორად, უზრუნველყოფენ უფლებას:

- ა) ხმა მისცეს ყველა არჩევნებსა და რეფერენდუმში, არჩეულ იქნას ნებისმიერ სახალხოდ არჩეულ ორგანოში;
- ბ) მონაწილეობდეს სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში და ეკავოს სახელმწიფო თანამდებობა, აგრეთვე, ახორციელებდეს ნებისმიერ საჯარო ფუნქციას, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დონეზე;
- გ) მონაწილეობდეს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პრობლემებით არიან დაკავებული.

### მუხლი 8

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას, რათა უზრუნველყონ ქალისათვის მამაკაცის თანასწორად და დისკრიმინაციის გარეშე საერთაშორისო დონეზე საკუთარი მთავრობის წარმომადგენლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

### მუხლი 9

მონაწილე სახელმწიფოები ქალს უფლებრივად უთანაბრებენ მამაკაცს მის მიერ მოქალაქეობის შეძენის, შეცვლის და შენარჩუნების დროს. განსაკუთრებით, უზრუნველყოფენ, რომ უცხოელზე ქორწინებამ ან ქორწინების პერიოდში ქმრის მოქალაქეობის შეცვლამ არ გამოიწვიოს ცოლის მოქალაქეობის ავტომატური შეცვლა, არ აქციოს ის მოქალაქეობის არმქონე პირად და არ აიძულოს მას ქმრის მოქალაქეობის მიღება.

მონაწილე სახელმწიფოები ქალს უფლებრივად უთანაბრებენ მამაკაცს შვილების მოქალაქეობის განსაზღვრისას.

## ნაწილი III

### მუხლი 10

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, ქალი უზრუნველყონ მამაკაცის თანაბარი უფლებებით განათლების გარეშე, კერძოდ:

- ა) პროფესიის ან სპეციალობის არჩევისას განათლების ხელმისაწვდომობის, ყველა კატეგორიის სასწავლო დაწესებულებების დიპლომის მიღების ერთნაირი პირობებით, როგორც სოფლის, ისე ქალაქის რაიონებში. ეს თანასწორობა უზრუნველყოფილ უნდა იქნას როგორც სკოლამდელი, ზოგადი, ტექნიკური და უმაღლესი ტექნიკური, ასევე ყველა ტიპის სპეციალური განათლებისათვის;

ბ) სწავლების ერთნაირი პროგრამების, ერთნაირი გამოცდების, თანაბარი კვალიფიკაციის მასწავლებელთა შემადგენლობის, თანაბარი ხარისხის სასკოლო შენობებისა და მოწყობილობების ხელმისაწვდომობა;

გ) ყველა დონისა და ფორმის სასწავლებელში მამაკაცისა და ქალის როლის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების აღმოფხვრა ერთობლივი სწავლებისა და სწავლების სხვა ფორმების წახალისების გზით, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას, კერძოდ, სახელმძღვანელოებისა და სასკოლო პროგრამების გადასინჯვითა და ამ მიზანთან სწავლების მეთოდების მისადაგებით;

დ) სტიპენდიებისა და სხვა სასწავლო დახმარების მიღების თანაბარი შესაძლებლობა;

ე) შემდგომი განათლების მიღების პროგრამების ხელმისაწვდომობის თანაბარი შესაძლებლობა, მოზრდილთა და ფუნქციური წიგნიერების პროგრამების ჩათვლით, რომელიც მამაკაცთა და ქალთა ცოდნაში არსებული ვაკუუმის სწრაფი შემცირებისაკენაა მიმართული;

ვ) სკოლადაუმთავრებელ გოგონათა რიცხვის შემცირება და პროგრამების შემუშავება იმ გოგონებისა და ქალებისათვის, რომელთაც ნაადრევად მიატოვეს სკოლა;

ზ) სპორტსა და ფიზიკურ მომზადებაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა;

თ) ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ხელშესაწყობად საგანმანათლებლო ხასიათის სპეციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ოჯახის დაგეგმვის შესახებ ინფორმაციისა და კონსულტაციების ჩათვლით.

## მუხლი 11

1. მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, ქალი უზრუნველყონ მამაკაცის თანაბარი უფლებებით დასაქმების დარგში, კერძოდ:

ა) შრომის უფლებით, როგორც ყოველი ადამიანის განუყოფელი უფლებით;

ა) სამუშაოზე დაქირავების დროს ერთნაირი შესაძლებლობების უფლებით, დაქირავებისას შერჩევის თანაბარი კრიტერიუმების გამოყენების ჩათვლით;

ბ) პროფესიის ან სამუშაოს თავისუფალი არჩევის, თანამდებობრივი დაწინაურებისა და დასაქმების გარანტიის, აგრეთვე, ყველა სამსახურებრივი შეღავათითა და პირობით სარგებლობის, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების უფლებით - მოწაფეობის, გაძლიერებული პროფესიული მომზადებისა და რეგულარული გადამზადების ჩათვლით;

გ) თანაბარი ანაზღაურების, მათ შორის, შეღავათების მიღების, თანაბარი ღირებულების შრომისათვის თანაბარი პირობების, აგრეთვე, შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისადმი თანაბარი მიდგომის უფლებით;

დ) სოციალური უზრუნველყოფის უფლებით, კერძოდ, პენსიაზე გასვლის, უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, მოხუცებულობის და შრომისუნარიანობის დაკარგვის სხვა შემთხვევებში, აგრეთვე, ანაზღაურებადი შვებულების უფლებით;

ე) ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხო პირობების, მათ შორის შთამომავლობის გაგრძელების ფუნქციის დაცვის უფლებით;

2. გათხოვებისა და დედობის მიზეზით ქალის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და მისთვის შრომის ეფექტური გარანტიების შესაქმნელად, მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ შესაბამის ზომებს, რათა:

ა) სანქციების გამოყენების მუქარით აკრძალონ ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების საფუძველზე სამუშაოდან დათხოვნა ან დათხოვნისას ოჯახური პირობების გამო დისკრიმინაცია;

ბ) შემოიღონ ანაზღაურებადი შვებულება ან შვებულება შესაბამისი სოციალური დახმარებით ორსულობისა და მშობიარობის გამო, მუშაობის წინანდელი ადგილის, თანამდებობისა და სოციალური დახმარების შენარჩუნებით;

გ) წახალისონ აუცილებელი სოციალური მომსახურების გაწევა, რათა მშობლებს შეეძლოთ საოჯახო მოვალეობათა შესრულება შეუთავსონ შრომით საქმიანობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას, კერძოდ, საბავშვო დაწესებულებათა ქსელის შექმნისა და გაფართოების გზით;

დ) უზრუნველყონ ორსულობის პერიოდში ქალების განსაკუთრებული დაცვა ისეთი სამუშაოსაგან, რომელმაც მათ ჯანმრთელობაზე შეიძლება მავნე გავლენა იქონიოს.

3. კანონმდებლობა, რომელიც ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების დაცვას ემსახურება, პერიოდულად განიხილება სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის შუქზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში ექვემდებარება გადასინჯვას, გაუქმებას ან გაფართოებას.

## **მუხლი 12**

1. მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ჯანმრთელობის დაცვის დარგში, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ ქალისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, მათ შორის ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

2. ამ მუხლის I პუნქტის დებულებებისაგან დამოუკიდებლად, მონაწილე სახელმწიფოები ქალებს უზრუნველყოფენ შესაბამისი მომსახურებით ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში, აუცილებლობის შემთხვევაში უწევენ უფასო მომსახურებას, ასევე, ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდში უზრუნველყოფენ შესაბამისი კვებით.

## **მუხლი 13**

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, ქალი უზრუნველყონ მამაკაცის თანაბარი უფლებებით ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებში, კერძოდ:

ა) საოჯახო დახმარების უფლებით;

ბ) საბანკო კრედიტის, უძრავი ქონების გირავნობით სესხის და ფინანსური კრედიტის სხვა ფორმების მიღების უფლებით;

გ) დასვენების, სპორტისა და კულტურული ცხოვრების ყველა დარგთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლებით.

## მუხლი 14

მონაწილე სახელმწიფოები მხედველობაში იღებენ სოფლად მცხოვრები ქალების განსაკუთრებულ პრობლემებს და იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ისინი თავიანთი ოჯახების ეკონომიკური უზრუნველყოფის საქმეში თამაშობენ, მათ შორის, საქმიანობას მეურნეობის არასასაქონლო დარგებში, და მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას, სოფლად მცხოვრები ქალების მიმართ ამ კონვენციის დებულებათა გამოყენების უზრუნველსაყოფად.

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას სოფლის რაიონებში ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას ქალთა მონაწილეობა რაიონების განვითარებასა და ასეთი განვითარებისაგან სარგებლობის მიღებაში, კერძოდ, ასეთ ქალებს აღჭურვავენ უფლებით:

ა) ყველა დონეზე მონაწილეობდნენ განვითარების გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში;

ბ) ხელი მიუწვდებოდეთ სამედიცინო მომსახურების შესაბამის საშუალებებზე, ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე ინფორმაციის, კონსულტაციებისა და მომსახურების ჩათვლით;

გ) უშუალოდ იღებდნენ სარგებელს სოციალური დაზღვევის პროგრამებისაგან;

დ) იღებდნენ ყველა სახის ფორმალურ და არაფორმალურ მომზადებასა და განთლებას, წიგნიერების ჩათვლით, აგრეთვე, სარგებლობდნენ სათემო მომსახურების და საკონსულტაციო მომსახურების ყველა საშუალებით, ტექნიკური მომზადების დონის ამაღლების მიზნით;

ე) ქმნიდნენ თვითდახმარების ჯგუფებსა და კოოპერატივებს, ეკონომიკურ შესაძლებლობათა თანაბარი ხელმისაწვდომობის მიზნით დაქირავებული შრომის ან თვითდასაქმების საშუალებით;

ვ) მონაწილეობდნენ ყველა სახის კოლექტიურ საქმიანობაში;

ზ) ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ სასოფლო-სამეურნეო კრედიტი და სესხები, ისარგებლონ მარკეტინგის სისტემით, შესაბამისი ტექნოლოგიითა და მიწისა და აგრარულ რეფორმებში, აგრეთვე, ხელახლა დასახლების გეგმებში თანაბარი სტატუსით;

თ) სარგებლობდნენ ცხოვრების სათანადო პირობებით, განსაკუთრებული საბინაო, სანიტარული, ელექტრო და წყალმომარაგებით, აგრეთვე ტრანსპორტითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურებასთან მიმართებაში.

## ნაწილი IV

### მუხლი 15

მონაწილე სახელმწიფოები კანონის წინაშე აღიარებენ ქალის მამაკაცთან თანასწორობას.

მონაწილე სახელმწიფოები ქალს ანიჭებენ მამაკაცის თანაბარ სამოქალაქო უფლებაუნარიანობას და მისით სარგებლობის თანაბარ შესაძლებლობებს, კერძოდ, უზრუნველყოფენ ქალის თანაბარ უფლებებს ხელშეკრულებების დადებისა და ქონების მართვისას, აგრეთვე, მისდამი თანაბარ დამოკიდებულებას სასამართლოებსა და ტრიბუნალებში საქმის განხილვის ყველა ეტაპზე.

მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ ბათილად და ძალადაკარგულად ჩაითვალოს ნებისმიერი ხელშეკრულება და კერძო იურიდიული დოკუმენტი, რომელსაც ქალის უფლებაუნარიანობის შეზღუდვა მოჰყვება.

მონაწილე სახელმწიფოები მამაკაცსა და ქალს ანიჭებენ თანაბარ უფლებებს გადაადგილების, ბინადრობისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლების კანონმდებლობასთან მიმართებაში.

### მუხლი 16

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ქორწინებასა და საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებულ ყველა საკითხში, კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფენ:

ა) ქორწინებისას ერთნაირ უფლებებს;

ბ) მეუღლის თავისუფლად არჩევისა და მხოლოდ თავისუფალი და სრული თანხმობით ქორწინების თანაბარ უფლებებს;

გ) ქორწინებაში ყოფნისა და განქორწინების დროს ერთნაირ უფლებებსა და მოვალეობებს;

დ) მშობლების თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს, მათი ოჯახური მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, შვილებთან დაკავშირებულ საკითხებში, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში შვილების ინტერესები უპირატესია;

ე) შვილების რაოდენობისა და მათ დაბადებას შორის დროის შუალედების საკითხის თავისუფლად და პასუხისმგებლობით გადაწყვეტის თანაბარ უფლებებს. აგრეთვე, ამ უფლებებით სარგებლობისათვის საჭირო ინფორმაციისა და განათლების მიღების შესაძლებლობას;

ვ) მეურვეობასთან, მზრუნველობასთან, წარმომადგენლობასთან და შვილებთან ან ანალოგიური ფუნქციების შესრულებასთან მიმართებაში თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს, როცა ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს;

ზ) მეუღლეთა თანაბარ პირად უფლებებს, მათ შორის გვარის, პროფესიისა და საქმიანობის არჩევასთან მიმართებაში;

თ) მეუღლეთა ქონების მფლობელობის, შეძენის, მართვის, სარგებლობისა და განკარგვის თანაბარ უფლებას.

ბავშვის ნიშნობასა და ქორწინებას იურიდიული ძალა არა აქვს. მიღებულ უნდა იქნას ყველა ზომა, საკანონმდებლოს ჩათვლით, რათა სავალდებულო წესით განისაზღვროს

ქორწინების მინიმალური ასაკი და ქორწინების აუცილებელი რეგისტრაცია სახელმწიფო რეესტრში.

## ნაწილი V

### მუხლი 17

ამ კონვენციის განხორციელებისას მიღწეული პროგრესის განსახილველად არსდება ქალის დისკრიმინაციის სალიკვიდაციო კომიტეტი (შემდგომში \*კომიტეტი\*), რომელიც კონვენციის ძალაში შესვლის მომენტისათვის შედგება 18, ხოლო ოცდამეთხუთმეტე მონაწილე სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაციის ან მასთან მიერთების შემდეგ – 23 მაღალი მორალური თვისებებისა და კომპეტენციის მქონე ექსპერტისაგან. მონაწილე სახელმწიფოები ექსპერტებს ირჩევენ საკუთარ მოქალაქეთაგან და ისინი მოქმედებენ პერსონალურად. ექსპერტების შერჩევისას მხედველობაში მიიღება სამართლიანი გეოგრაფიული განაწილება და სხვადასხვა ცივილიზაციების, აგრეთვე სამართლებრივი სისტემების წარმომადგენლობა.

კომიტეტის წევრებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოების მიერ დასახელებულ პირთაგან, ფარული კენჭისყრით. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია დაასახელოს 1 პირი თავის მოქალაქეთაგან.

პირველი არჩევნები ეწყობა ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან 6 თვის შემდეგ. ყოველი არჩევნების მოწყობამდე სულ ცოტა 3 თვით ადრე გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის წერილს, წინადადებით, წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატურები 2 თვის განმავლობაში. გენერალური მდივანი ადგენს სიას, რომელშიც ანბანური წესით შეჰყავს ყველა პირი იმ მონაწილე სახელმწიფოთა აღნიშვნით, რომლებმაც ისინი დაასახელეს, და წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოებს.

კომიტეტის წევრთა არჩევნები ეწყობა მონაწილე სახელმწიფოთა სხდომაზე, რომელსაც იწვევს გენერალური მდივანი გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში. სხდომაზე, რომლის ქვორუმსაც მონაწილე სახელმწიფოთა 2/3 შეადგენს, კომიტეტში არჩეულ პირებად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც ხმათა მეტ რაოდენობას და სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას მიიღებენ.

კომიტეტის წევრებს ირჩევენ 4 წლის ვადით, თუმცა I-ლ არჩევნებში არჩეულ 9 წევრს უფლებამოსილების ვადა 2 წლის შემდეგ გაუდის; I არჩევნების მოწყობისთანავე, კომიტეტის თავმჯდომარე წილისყრით ასახელებს ამ 9 წევრის გვარებს.

კომიტეტის დამატებით 5 წევრის არჩევა ხდება ამ მუხლის II, III და IV პუნქტების დებულებათა შესაბამისად ოცდამეთხუთმეტე სახელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიკაციის ან მასთან მიერთების შემდეგ. ამგვარად, არჩეულ 2 დამატებით წევრს უფლებამოსილების ვადა გაუდის 2 წლის შემდეგ; ამ 2 წევრის გვარებს ასახელებს კომიტეტის თავმჯდომარე წილისყრით.

გაუთვალისწინებელი ვაკანსიების შესავსებად, მონაწილე სახელმწიფო, რომლის ექსპერტმაც, როგორც კომიტეტის წევრმა, შეწყვიტა ფუნქციონირება, კომიტეტის თანხმობით ნიშნავს სხვა ექსპერტს თავის მოქალაქეთაგან.

კომიტეტის წევრები იღებენ გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ გასამრჯელოს გაერთიანებული ერების სახსრებიდან, კომიტეტის მნიშვნელობის გათვალისწინებით ასამბლეის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი უზრუნველყოფს კომიტეტს აუცილებელ პერსონალითა და მატერიალური საშუალებებით, კომიტეტის მიერ ამ კონვენციის შესაბამისი ფუნქციების ეფექტური განხორციელებისათვის.

## **მუხლი 18**

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს კომიტეტში განსახილველად წარუდგინონ მოხსენება მათ მიერ ამ კონვენციის დებულებათა შესასრულებლად მიღებული საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული, თუ სხვა ღონისძიებებისა და ამასთან დაკავშირებით მიღწეული წარმატებების თაობაზე:

ა) დაინტერესებული სახელმწიფოსათვის ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან 1 წლის განმავლობაში;

ბ) ამის შემდგომ ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც და მომავალში კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად.

მოხსენებაში შეიძლება მითითებულ იქნას ის ფაქტორები და სიძნელები, რომლებიც ამ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ხარისხზე გავლენას ახდენენ.

## **მუხლი 19**

კომიტეტი ამტკიცებს პროცედურის საკუთარ წესებს.

კომიტეტი თანამდებობის პირებს ირჩევს 2 წლით.

## **მუხლი 20**

კომიტეტი ყოველწლიურად არა უმეტეს 2 კვირის განმავლობაში იკრიბება. ამ კონვენციის XVIII მუხლის შესაბამისად წარმოდგენილ მოხსენებათა განსახილველად.

კომიტეტის სხდომები, ჩვეულებრივ, იმართება გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში ან ნებისმიერ სხვა შესაფერის ადგილას, რომელსაც კომიტეტი განსაზღვრავს.

## **მუხლი 21**

კომიტეტი, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით, გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეას ყოველწლიურად წარუდგენს მოხსენებას თავისი საქმიანობის შესახებ და მონაწილე სახელმწიფოთაგან მიღებული მოხსენებებისა და ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე ამზადებს ზოგადი ხასიათის წინადადებებსა და რეკომენდაციებს. ასეთი წინადადებები და რეკომენდაციები კომიტეტის მოხსენებაში შეაქვთ მონაწილე სახელმწიფოების შენიშვნებთან ერთად, შენიშვნების არსებობის შემთხვევაში.

გენერალური მდივანი კომიტეტის მოხსენებებს ინფორმაციისათვის უგზავნის კომისიას ქალის სტატუსის შესახებ.

## **მუხლი 22**

სპეციალიზებულ დაწესებულებებს უფლება აქვთ წარმოდგენილი იყვნენ ამ კონვენციის ისეთი დებულებების განხორციელების საკითხების განხილვისას,

რომლებიც მათი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება. კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს მოუწოდოს, წარმოადგინონ მოხსენებები კონვენციის განხორციელების შესახებ იმ დარგებში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება.

## ნაწილი VI

### მუხლი 23

ეს კონვენცია არ ზღუდავს მამაკაცსა და ქალს შორის თანასწორობის მიღწევის უფრო მეტად ხელშემწყობ სხვა დებულებებს, რომლებსაც შეიძლება შეიცავდეს:

- ა) მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობა, ან
- ბ) რომელიმე სხვა საერთაშორისო კონვენცია, ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელიც ამ სახელმწიფოსათვის ძალაშია.

### მუხლი 24

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, მიმართონ ყველა აუცილებელ ზომას ეროვნულ დონეზე ამ კონვენციით აღიარებული უფლებების სრული რეალიზაციის მისაღწევად.

### მუხლი 25

- 4. ეს კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის.
- 5. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი დანიშნულია ამ კონვენციის დეპოზიტორად.
- 6. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, სარატიფიკაციო სიგელები შესაძლებელია ბარდება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს.
- 7. ეს კონვენცია ღიაა მისაერთებლად ყველა სახელმწიფოსათვის. მიერთება ხდება გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის მიერთების დოკუმენტის გადაცემით.

### მუხლი 26

ამ კონვენციის გადასინჯვის თაობაზე თხოვნა შეიძლება წარმოადგინოს ნებისმიერმა მონაწილე სახელმწიფომ გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინებით.

გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას ასეთი თხოვნის შესაბამისად საჭირო რაიმე ღონისძიებების განსახორციელებლად.

### მუხლი 27

ეს კონვენცია ძალაშია გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის გადაცემიდან ოცდამეათე დღეს.

ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ კონვენციის რატიფიკაციას მოახდენს ან მიუერთდება მას მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის



გადაცემის შემდეგ, ეს კონვენცია ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის გადაცემის ოცდამეათე დღეს.

## **მუხლი 28**

გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი იღებს და ყველა სახელმწიფოს უგზავნის რატიფიკაციის ან მიერთების მომენტში სახელმწიფოთა მიერ გაკეთებულ დათქმათა ტექსტს. დათქმა, რომელიც შეუთავსებელია ამ კონვენციის მიზნებსა და ამოცანებთან, არ მიიღება.

დათქმები შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შესაბამისი შეტყობინებით. გენერალური მდივანი ამის შესახებ აცნობებს ყველა მონაწილე სახელმწიფოს. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

## **მუხლი 29**

თუ ორ ან რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოს შორის ამ კონვენციის განმარტებისა თუ გამოყენების თაობაზე არსებული დავა მოლაპარაკების გზით ვერ გადაწყდება, ერთ-ერთი მათგანის თხოვნით იგი არბიტრაჟისათვის გადაეცემა. თუ საარბიტრაჟო განხილვის თაობაზე განცხადების შეტანიდან 6 თვის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან საარბიტრაჟო განხილვის ორგანიზებაზე, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს დავის საერთაშორისო სასამართლოში გადატანა, ამ სასამართლოს სტატუსის შესაბამისად.

ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის ან მასთან მიერთების დროს შეუძლია თავი შეიკავოს ამ მუხლის I პუნქტის დებულებების სავალდებულო ძალის აღიარებისაგან. სხვა მონაწილე სახელმწიფოებს არ ეკისრებათ ამ მუხლის მითითებული პუნქტიდან გამომდინარე ვალდებულებები იმ მონაწილე სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც ამგვარი დათქმა გააკეთა.

ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც ამ მუხლის II პუნქტის თანახმად დათქმა გააკეთა, შეუძლია ნებისმიერ დროს გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის შეტყობინებით გააუქმოს თავისი დათქმა.

## **მუხლი 30**

ეს კონვენცია, რომლის თანაბრად ავტენტური ტექსტი შედგენილია არაბულ, ესპანურ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და ჩინურ ენებზე, დეპონირებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.

### **ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მე-20 მუხლის I პუნქტის შესწორება**

კომიტეტი, როგორც წესი სხდომებს მართავს ყოველწლიურად, რათა განიხილოს ამ კონვენციის მე-18 მუხლის შესაბამისად წარდგენილი მოხსენებები. კომიტეტის სხდომათა ხანგრძლივობას განსაზღვრავს ამ კონვენციის წევრი სახელმწიფოების კრება და ამტკიცებს გენერალური ასამბლეა;

## ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი, 2000

ოქმის წევრი ქვეყნები

აღნიშნულია, რომ გაეროს წესდება კიდევ ერთხელ გამოთქვამს რწმენას ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვაზე, ადამიანთა ღირსებაზე და თანასწორობაზე ქალებსა და მამაკაცებს შორის.

ასევე აღნიშნულია, რომ ადამიანთა უფლებების დაცვის საყოველთაო დეკლარაციის რეზოლუცია 217 A A (III) აცხადებს, რომ ყველა ადამიანი თავისუფალი იბადება და თანასწორია თავის ღირსებასა და უფლებებში და რომ ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ამ უფლებებითა და თავისუფლებით, სქესზე დამოკიდებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

აღნიშნულია, რომ საერთაშორისო პაქტი ადამიანთა უფლებების დაცვის რეზოლუციაზე 2200 A (XXI), დანართი და ასევე ადამიანთა უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტები კრძალავენ დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე.

ასევე აღნიშნულია, რომ ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW - ქალთა კონვენცია) წევრი ქვეყნები გმობენ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა გამოვლინებას და თანხმობას აცხადებენ მიმართონ დაუყოვნებლივ ყველა საშუალებასა და პოლიტიკას ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.

ქვეყნები კიდევ ერთხელ ადასტურებენ გადაწყვეტილებას უზრუნველყონ ქალთა მიერ სრული და თანასწორი უფლებებით და ძირითადი თავისუფლებით სარგებლობა და მიმართავენ ეფექტურ საშუალებებს, რომ თავიდან იქნას აცილებული ამ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა.

შეთანხმება მიღწეულია შემდეგზე:

### **მუხლი 1**

წინამდებარე ოქმის წევრი ქვეყნები (წევრი სახელწიფო) აღიარებენ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW კომიტეტი) უფლებამოსილებას მე-2 მუხლის შესაბამისად შემოსული შეტყობინებების/წერილების მიღებასა და განხილვაზე.

### **მუხლი 2**

შეტყობინებები/წერილები შესაძლებელია შეტანილი იქნას ინდივიდთა ან ინდივიდთა ჯგუფის მიერ ან მათი სახელით (წევრი ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ), რომლებშიც ისინი აცხადებენ, რომ წარმოადგენენ მსხვერპლს წევრი სახელმწიფოების მიერ კონვენციით დადგენილი ნებისმიერი უფლების დარღვევის გამო. თუ შეტყობინება/წერილი წარდგენილია ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის სახელით, ეს მათი თანხმობის საფუძველზე უნდა ხდებოდეს. ამგვარი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, ავტორმა უნდა შეძლოს საკუთარი ქმედების გამართლება.

### **მუხლი 3**

შეტყობინება/წერილი წერილობით უნდა იქნას წარმოდგენილი და არ უნდა იყოს ანონიმური. CEDAW კომიტეტი არ მიიღებს შეტყობინებას, თუ ის კონვენციის იმ წევრ ქვეყანას ეხება, რომელიც ამ ოქმის წევრი არ არის.

### **მუხლი 4**

1. CEDAW კომიტეტი არ განიხილავს შეტყობინებას, თუ მასში არ არის დამტკიცებული, რომ ყველა შესაძლო ადგილობრივი ღონისძიება გამოყენებული იქნა, ან თუ ამ ზომების მიღება უსაფუძვლოდ გაგრძელდა ან ნაკლებად დამაჯერებელია, რომ ის ეფექტური იქნება.

2. CEDAW კომიტეტი შეტყობინებას მიუღებლად გამოაცხადებს, თუ:

(a) იგივე საკითხი უკვე შესწავლილი იქნა კომიტეტის მიერ, ან თუ ის სხვა საერთაშორისო საგამომიებო პროცედურის გამოყენებით შესწავლის პროცესშია;

(b) არ შეესაბამება კონვენციის დებულებებს;

(გ) აშკარად ცუდად არის არგუმენტირებული ან არ არის საკმარისად დასაბუთებული;

(დ) შეტყობინების წარდგენა წარმოადგენს უფლების დარღვევას;

(ე) წარდგენილ შეტყობინებაში აღნიშნულ ფაქტებს ადგილი ჰქონდათ წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლამდე წევრ ქვეყანასთან მიმართებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ფაქტები ამ თარიღის შემდგომაც გრძელდება.

### **მუხლი 5**

1. ნებისმიერ დროს შეტყობინების მიღების შემდეგ და გადაწყვეტილების მიღების მომენტამდე, კომიტეტმა შესაძლოა თხოვნა გადასცეს წევრ ქვეყანას, რომ მან მიიღოს შესაბამისი ზომები აღნიშნული დარღვევის მსხვერპლის ან მსხვერპლთათვის გამოუსწორებელი ზიანის თავიდან ასაცილებლად;

2. როდესაც CEDAW კომიტეტი მოქმედებს თავისი შეხედულებისამებრ თანახმად მოცემული მუხლის პირველი პუნქტისა, ეს არ გულისხმობს შეტყობინების მიღების ან მისი ხარისხის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

### **მუხლი 6**

1. თუ CEDAW კომიტეტი შეტყობინებას არ მიიღებს დაინტერესებული წევრი სახელმწიფოსადმი მიმართვის გარეშე და იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდი ან ინდივიდები დათანხმდებიან მათი ვინაობის გამხელაზე წევრი ქვეყნის წინაშე, კომიტეტი წევრ ქვეყნებს შემოტანილ შეტყობინებას კონფიდენციალურად წარუდგენს.

2. ექვსი თვის ვადაში, მიმღები წევრი ქვეყანა წარადგენს კომიტეტში წერილობით განმარტებას ან განცხადებას, სადაც განხილული იქნება მოცემული საკითხი და მითითებული იქნება ღონისძიებები (თუ ასეთი არსებობს), რომელთა განხორციელებაც წევრ ქვეყანას შეუძლია.

## მუხლი 7

1. CEDAW კომიტეტი განიხილავს მიღებულ შეტყობინებებს წინამდებარე ოქმის შესაბამისად იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ინდივიდის ან ინდივიდების, ან მათი სახელითა და დაინტერესებული წევრი ქვეყნის მიერ იქნა მიწოდებული, იმ პირობით, რომ ეს ინფორმაცია გადაეცემათ მხარეებს.
2. მოცემული ოქმის თანახმად, CEDAW კომიტეტი ჩაატარებს დახურულ შეხვედრებს შეტყობინებების შესწავლისას.
3. შეტყობინებების შესწავლის შემდეგ, CEDAW კომიტეტი საკუთარ მოსაზრებებს რეკომენდაციებთან ერთად (თუ ასეთები იქნება) გადასცემს მხარეებს.
4. წევრი მხარე შესაბამისად ყურადღებას მიაქცევს CEDAW კომიტეტის მოსაზრებებს და დართულ რეკომენდაციებს (ასეთების არსებობის შემთხვევაში) და ექვსი თვის ვადაში წერილობით პასუხს წარუდგენს CEDAW კომიტეტს თანდართული ინფორმაციისა და რეკომენდაციების შესრულების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ქმედების შესახებ.
5. CEDAW კომიტეტმა შესაძლოა მოიწვიოს წევრი ქვეყანა დამატებითი ინფორმაციის წარსადგენად იმ ზომების შესახებ, რომელიც წევრმა ქვეყანამ მიიღო კომიტეტის მოსაზრებებთან ან რეკომენდაციებთან დაკავშირებით (თუ ასეთი ზომები მიღებული იქნა), როგორც ამას კომიტეტი მიიჩნევს, წევრი ქვეყნის მომდევნო ანგარიშებში კონვენციის მე-18 მუხლის შესაბამისად.

## მუხლი 8

1. თუ CEDAW კომიტეტი სარწმუნო ინფორმაციას მიიღებს წევრი ქვეყნების მხრიდან კონვენციით დადგენილი უფლებების სერიოზული ან სისტემატური დარღვევების შესახებ, კომიტეტი მოიწვევს წევრ ქვეყანას ინფორმაციის შესამოწმებლად და დასკვნების გასაკეთებლად.
2. იმ მოსაზრებით, რომ წევრმა ქვეყანამ შესაძლოა წარადგინოს, ისევე როგორც ნებისმიერი მისთვის ხელმისაწვდომი სხვა სარწმუნო ინფორმაცია, CEDAW კომიტეტს შეუძლია დაავალოს მის ერთ ან მეტ წევრს მოკვლევის ჩატარება და ითხოვოს ანგარიშის სასწრაფო წარდგენა კომიტეტისათვის. შესაბამისი გარანტიის და წევრი სახელმწიფოს თანხმობის შემთხვევაში, მოკვლევამ შესაძლოა მის ტერიტორიაზე ჩაიაროს.
3. ამგვარი მოკვლევის დასკვნების შესწავლის შემდგომ, კომიტეტი ამ დასკვნებს გადასცემს წევრ ქვეყანას კომენტარებთან და რეკომენდაციებთან ერთად.
4. წევრი ქვეყანა CEDAW კომიტეტის მიერ წარდგენილი დასკვნების, კომენტარებისა და რეკომენდაციების მიღებიდან ექვსი თვის ვადაში თავის მოსაზრებას წარუდგენს კომიტეტს.
5. მსგავსი მოკვლევა უნდა ჩატარდეს კონფიდენციალურად და უზრუნველყოფილი უნდა იქნას წევრ ქვეყანასთან თანამშრომლობა პროცედურის ყველა ეტაპზე.

## მუხლი 9

1. CEDAW კომიტეტმა შესაძლოა მოთხოვოს წევრ ქვეყანას კონვენციის მე-18 მუხლის შესაბამისად წარსადგენ ანგარიშში მოცემული ოქმის მე-8 მუხლის თანახმად ჩასატარებელი მოკვლევის საპასუხოდ განხორციელებული ნებისმიერი ღონისძიების დეტალების ჩართვა.
2. საჭიროების შემთხვევაში CEDAW კომიტეტმა მუხლი 8.4-ით გათვალისწინებული ექვსი თვის ვადის დასრულების შემდეგ, შესაძლოა მოიწვიოს

წევრი ქვეყანა, რომ ინფორმაცია მიაწოდოს მას იმ ზომების შესახებ, რომლებიც პასუხად მოჰყვება ამგვარ მოკვლევას.

#### **მუხლი 10**

1. ყოველ წევრ ქვეყანას შეუძლია, წინამდებარე ოქმის ხელმოწერის რატიფიცირების ან მისი ძალაში შევლისას განაცხადოს, რომ არ ცნობს კომიტეტის უფლებამოსილებას, რომელიც გათვალისწინებულია მე-8 და მე-9 მუხლებით.

2. ნებისმიერ წევრ ქვეყანას, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, აქვს შესაძლებლობა ნებისმიერ დროს უკან გაიტანოს ეს განცხადება მას შემდეგ, რაც შეტყობინებას გაუგზავნის გენერალურ მდივანს.

#### **მუხლი 11**

წევრმა ქვეყანამ ყველა შესაბამი ზომა უნდა მიიღოს, რომ მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფმა ინდივიდებმა არ განიცადონ უხეში მოპყრობა ან დაშინება კომიტეტთან ურთიერთობის გამო თანახმად მოცემული ოქმისა.

#### **მუხლი 12**

კონვენციის 21-ე მუხლის შესაბამისად CEDAW კომიტეტი, წლიურ ანგარიშს დაურთავს გაწეულ საქმიანობათა რეზიუმეს, ოქმით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

#### **მუხლი 13**

ყოველი წევრი სახელმწიფო ვალდებულია იღებს კონვენციისა და მოცემული ოქმის შესაბამისად გავრცელოს ინფორმაცია CEDAW კომიტეტის მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შესახებ, კერძოდ იმ საკითხების შესახებ, რომლებიც თვით წევრებს ეხება.

#### **მუხლი 14**

CEDAW კომიტეტი შეიმუშავებს პროცედურის საკუთარ წესებს, რომელიც დაცული უნდა იქნას წინამდებარე ოქმის პირობების შესრულებისას.

#### **მუხლი 15**

1. წინამდებარე ოქმზე ხელმოწერა შეუძლია ყველა ქვეყანას, რომელმაც ხელი მოაწერა კონვენციას და მოახდინა მისი რატიფიცირება.

2. წინამდებარე ოქმი რატიფიცირებულ უნდა იქნეს ნებისმიერი ქვეყნის მიერ, რომელიც შეუერთდა კონვენციას და მოახდინა მისი რატიფიცირება. რატიფიცირების ინსტრუმენტები განთავსდება გაეროს გენერალურ მდივანთან.

3. წინამდებარე ოქმზე მიერთება შეუძლია ყველა ქვეყანას, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიცირება ან მიუერთდა მას.

4. მიერთება ძალაში შევა მიერთების ინსტრუმენტების გაეროს გენერალურ მდივანთან განთავსებით.

#### **მუხლი 16**

1. წინამდებარე ოქმი ძალაში შევა მისი რატიფიკაციისა და მიერთების მეათე ინსტრუმენტის, გაეროს გენერალურ მდივანთან სამი თვის განთავსების შემდეგ.

2. ყოველი ქვეყანა რატიფიკაციას უკეთებს ან უერთდება წინამდებარე ოქმს მისი ძალაში შესვლის შემდეგ. წინამდებარე ოქმი ძალაში შევა რატიფიკაციის ან მიერთების საკუთარი ინსტრუმენტის განთავსების თარიღიდან 3 თვის შემდეგ.

### **მუხლი 17**

დაუშვებელია წინამდებარე ოქმის შეცვლა.

### **მუხლი 18**

1. ნებისმიერ წევრ ქვეყანას შეუძლია წამოაყენოს ცვლილებები წინამდებარე ოქმთან დაკავშირებით და შეიტანოს წინადადება გაეროს გენერალურ მდივანთან. გენერალური მდივანი დაუკავშირდება შემოთავაზებული ცვლილებების შესახებ წევრ ქვეყნებს. ის სთხოვს მათ, რომ შეატყობინონ, თანახმა არიან თუ არა, რომ მოწვეული იქნას წევრი ქვეყნების კონფერენცია წინადადებათა განხილვის და კენჭისყრის მიზნით. თუ წევრი ქვეყნების თუნდაც ერთი მესამედი მხარს დაუჭერს მსგავსი კონფერენციის ჩატარებას, გენერალური მდივანი მოიწვევს კონფერენციას გაეროს ეგიდით. დამსწრე წევრი ქვეყნების ხმათა უმრავლესობით მიღებული ნებისმიერი ცვლილება წარედგინება გაეროს გენერალურ ასამბლეას დასამტკიცებლად.

2. ცვლილებები ძალაში შევა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მათი დამტკიცების და წინამდებარე ოქმის წევრი ქვეყნების უმრავლესობის ორი მესამედის მიერ მიღებისთანავე შესაბამისი კონსტიტუციური პროცესების გათვალისწინებით.

3. ცვლილებების ძალაში შესვლისთანავე, ისინი სავალდებულო ხდება იმ წევრი ქვეყნებისათვის, რომელთა თანხმობითაც მიღებული იქნა ეს ცვლილებები. სხვა წევრი ქვეყნები კვლავაც ვალდებულები იქნებიან შეასრულონ წინამდებარე ოქმის პირობები და ნებისმიერი სხვა ცვლილება, რომელიც მათ მიერ იქნა მიღებული.

### **მუხლი 19**

1. ნებისმიერი წევრი ქვეყანა უფლებამოსილია გააუქმოს წინამდებარე ოქმი ნებისმიერ დროს წერილობითი შეტყობინებით, რომელიც გაეგზავნება გაეროს გენერალურ მდივანს. Dგაუქმება ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ მისი მიღებიდან ექვსი თვის ვადაში.

2. გაუქმება უნდა იყოს მიუკერძოებელი წინამდებარე ოქმის დებულებების მე-2 მუხლის შესაბამისად წარდგენილი ნებისმიერი შეტყობინების ან ნებისმიერი მოკვლევის მიმართ, რომელიც დაწყებული იქნება მე-8 მუხლის შესაბამისად გაუქმების ძალაში შესვლამდე.

### **მუხლი 20**

გაეროს გენერალური მდივანი წევრ ქვეყნებს ატყობინებს:

- ა). წინამდებარე ოქმის ხელმოწერების, რატიფიკაციების და მიერთების შესახებ.
- ბ). წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის თარიღის, ან მე-18 მუხლის შესაბამისად ნებისმიერი ცვლილების შესახებ.
- გ). მე-19 მუხლის შესაბამისად, რომელიმე ქვეყნის მიერ მისი გაუქმების შესახებ.

### **მუხლი 21**

1. წინამდებარე ოქმი, რომლის არაბული, ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანგული და ჩინური ტექსტები თანაბარი ძალის მქონეა, შეტანილი იქნება გაეროს არქივში.

2. გაეროს გენერალური მდივანი გადასცემს წინამდებარე ოქმის დამოწმებულ ასლებს ქვეყნებს, რომლებიც მოხსენიებულნი არიან კონვენციის 25-ე მუხლში.

### **ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია, 1993**

გენერალური ასამბლეა,

აღიარებს რა ქალთა მიმართ თანასწორობასთან, უსაფრთხოებასთან, თავისუფლებასთან, მთლიანობასა და ღირსებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებებისა და პრინციპების საყოველთაო გამოყენების საჭიროებას,

შენიშნავს რა, რომ ეს უფლებები და პრინციპები დაცულია საერთაშორისო დოკუმენტებში, მათ შორის «ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით», «სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით», «ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით», «ქალთა დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით», «წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის შესახებ კონვენციით»,

აღიარებს რა, რომ «ქალთა დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის» ეფექტური განხორციელება ხელს შეუწყობს ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღკვეთას, ხოლო წინამდებარე რეზოლუციაში წარმოდგენილი ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია, განამტკიცებს და შეავსებს ამ პროცესს,

შეშფოთებულნი არიან იმ გარემოებით, რომ ქალთა მიმართ ძალადობა დაბრკოლებას უქმნის თანასწორობას, განვითარებასა და მშვიდობას, როგორც ეს აღიარებულია «ნაირობის ქალთა დაწინაურების პერსპექტიული სტრატეგიებით», რომელიც შეიცავს რეკომენდაციებს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ, ასევე ქალთა დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის სრულ განხორციელებას,

ადასტურებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ქალთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევას წარმოადგენს და ზღუდავს, ან უსპობს მათ ამ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენების შესაძლებლობას, და წუხილს გამოთქვამს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში ამ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის უზრუნველყოფის ხანგრძლივი წარუმატებლობის გამო,

აღიარებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა წარმოადგენს კაცთა და ქალთა შორის ისტორიულად უთანასწორო ძალთა თანაფარდობის გამოვლენას, რამაც განაპირობა კაცების დომინირება და დისკრიმინაცია ქალთა მიმართ, და ქალთა სრულფასოვანი დაწინაურების პრევენცია, ასევე აღიარებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოციალურ მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც კაცებთან შედარებით ქალებს იძულებით დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აყენებს,

შეშფოთებულნი არიან იმ გარემოებით, რომ ქალთა ზოგიერთი ჯგუფი, როგორცაა ქალები, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობათა ჯგუფს, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ქალები, ლტოლვილი ქალები, მიგრანტი ქალები, სოფლად ან დაშორებულ ადგილას მცხოვრები ქალები, უპოვარი ქალები, საპატიმრო დაწესებულებებში, ან დაკავების იზოლატორებში მყოფი ქალები, გოგონები, უნარშეზღუდული ქალები, ასაკოვანი ქალები და შეიარაღებული კონფლიქტის ადგილებში მყოფი ქალები, განსაკუთრებით დაუცველ ჯგუფებს წარმოადგენენ,

კვლავ მიუთითებენ ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1990 წლის 24 მაისის <sup>1</sup> 1990/15 რეზოლუციის დანართის 23-ე პუნქტში მოცემულ დასკვნაზე, რომელიც

აღიარებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ოჯახსა და საზოგადოებაში ფართოდ იყო გავრცელებული შემოსავლების დონის, საზოგადოების ფენებისა და კულტურული სხვაობის მიუხედავად და საჭიროა დაუყოვნებლივ გადაიდგას ეფექტური ნაბიჯები ძალადობის შემთხვევათა შესამცირებლად,

კვლავ მიუთითებენ ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1991 წლის 30 მაისის <sup>1</sup> 1991/18 რეზოლუციაზე, რომელიც შეიცავს საბჭოს რეკომენდაციას საერთაშორისო დოკუმენტის საფუძვლების შემუშავების შესახებ, რომელშიც ცალსახად იქნებოდა განხილული ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი,

მისაღმება ქალთა მოძრაობების იმ როლს, რომელსაც ისინი ასრულებენ ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის შინაარსის, სირთულისა და მასშტაბისადმი ყურადღების მისაპყრობად,

შემფოთებულია, რომ ქალთა შესაძლებლობები მიაღწიონ სამართლებრივ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანასწორობას საზოგადოებაში მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად შეზღუდულია უწყვეტი და ფართოდ გავრცელებული ძალადობით,

დარწმუნებულია, რომ ზემოთ მოცემულ გარემოებათა ფონზე საჭიროა ქალთა მიმართ ძალადობის ცხადად განსაზღვრული და ყოველმხრივი განმარტება, უფლებათა ცხადი ფორმულირების გამოყენება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქალთა მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრა, საჭიროა წევრ სახელმწიფოთა მიერ ვალდებულების აღება, ასევე მთლიანად საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ვალდებულების აღება ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ,

ხმამალა აცხადებს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ შემდეგ დეკლარაციას და მოგიწოდებთ, რომ ყოველი ძალისხმევა იქნეს წარმართული, რათა ეს დეკლარაცია საყოველთაოდ გახდეს ცნობილი და შესრულდეს:

## **მუხლი 1**

წინამდებარე დეკლარაციის მიზნებისათვის ტერმინი «ძალადობა ქალთა წინააღმდეგ» ნიშნავს ნებისმიერ ძალადობას გენდერული ნიშნით, რომელიც გამოიხატება, ან შესაძლოა გამოიხატოს, ქალთა ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ზიანსა თუ ტანჯვაში, ასევე მუქარით ისეთი აქტების ჩადენის შესახებ, როგორცაა თავისუფლების იძულებითი ან თვითნებური აღკვეთა, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს საჯაროდ ან არასაჯაროდ.

## **მუხლი 2**

ქალთა მიმართ ძალადობა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც ადგილი აქვს ოჯახში, მათ შორის ცემა, სახლში მდებრობითი სქესის ბავშვებზე სექსუალური ძალადობა, მზითევთან დაკავშირებული ძალადობა, მეუღლეთა შორის გაუპატიურება, ქალის სასქესო ორგანოების მუტილაცია და სხვა ტრადიციული პრაქტიკა, რომელიც ზიანის მომტანია ქალისათვის, არა მეუღლეთა შორის ძალადობა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ძალადობა;

ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც ზოგადად ადგილი აქვს საზოგადოებაში, მათ შორის გაუპატიურება, სექსუალური ძალადობა, სექსუალური შევიწროვება და დაშინება სამუშაო ადგილზე, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სხვაგან, ქალებით უკანონო ვაჭრობა და იძულებითი პროსტიტუცია;

(გ) წევრი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ან შეწყნარებული ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა მიუხედავად იმისა, თუ სად განხორციელდა ძალადობა.



### **მუხლი 3**

ქალებს უფლება აქვთ თანაბრად ისარგებლონ ადამიანის ყველა უფლებით და ფუნდამენტური თავისუფლებით პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში. ამ უფლებებში შედის ასევე:

- ა) სიცოცხლის უფლება;
- ბ) თანასწორობის უფლება;
- გ) ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება;
- დ) კანონის წინაშე თანაბარი დაცვის უფლება;
- ე) უფლება თავისუფალი იყოს დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისაგან;
- ვ) ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის შესაძლო უმაღლესი სტანდარტით სარგებლობის უფლება;
- ზ) სამართლიან და ხელსაყრელი სამუშაო პირობებში მუშაობის უფლება;
- თ) უფლება არ იყოს წამების, ან სხვა სასტიკი ქმედების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის სუბიექტი.

### **მუხლი 4**

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაგმონ ქალთა მიმართ ძალადობა და მიზეზად არ მოიყვანონ ჩვეულება, ტრადიცია ან რელიგიური მოსაზრებები, რათა თავიდან აიცილონ მისი აღმოფხვრის ვალდებულება. წევრმა სახელმწიფოებმა ყველა შესაბამისი შესაძლებლობის გამოყენებით დაუყოვნებლივ უნდა განახორციელონ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის პოლიტიკა და ამ მიზნით:

- (ა) განიხილონ, თუ ჯერ არ განუხილავთ, «ქალთა დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის» რატიფიცირების, მასთან მიერთების, ან მის ზოგიერთ მუხლზე გაკეთებული დათქმის საკითხი, ან
- (ბ) ქალთა მიმართ ძალადობაში მონაწილეობისაგან თავის შეკავება;
- (დ) შეიმუშაოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო, შრომის და ადმინისტრაციული სანქციები ეროვნულ კანონმდებლობაში, რათა დაისაჯოს უფლების შელახვა და ანაზღაურებულ იქნეს ის ზიანი, რომელიც მიადგათ იმ ქალებს, რომელთა მიმართ განხორციელდა ძალადობა; ქალებს, რომელთა მიმართაც განხორციელდა ძალადობა, ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ მართლმსაჯულებით სარგებლობის მექანიზმებით, ზიანის ანაზღაურების სამართლიანი და ეფექტური სამართლებრივი საშუალებებით; წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა აცნობონ ქალებს, რომლებიც ამგვარი მექანიზმების საშუალებით ცდილობენ მდგომარეობის გამოსწორებას, თავიანთი უფლებების შესახებ;
- (ე) განიხილონ ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავების შესაძლებლობა, რათა ხელი შეუწყონ ქალთა დაცვას ნებისმიერი ფორმის ძალადობისაგან, ან ამ მიზნით უკვე არსებულ გეგმებში შეიტანონ დებულებები, რომლებიც გაითვალისწინებენ, საჭიროებისამებრ, ისეთ თანამშრომლობას, რომლის განხორციელებაც შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, განსაკუთრებით კი მათ, რომელთა ზრუნვის საგანს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა წარმოადგენს;
- (ვ) შეიმუშაონ კომპლექსური, პრევენციული მიდგომები და ყველა სამართლებრივი, პოლიტიკური, ადმინისტრაციული თუ კულტურული ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქალთა დაცვას ძალადობის ნებისმიერი ფორმისაგან, და უზრუნველყონ, რომ ქალები ხელახლა არ გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი იმის

გამო, რომ კანონები არ ითვალისწინებენ გენდერულ საკითხებს, აღსრულების პრაქტიკას ან სხვა ინტერვენციის საშუალებებს;

(ზ) წარმართონ სამუშაო, რათა შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უზრუნველყონ მათთვის ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით, ხოლო როდესაც ეს საჭიროა საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, რომ იმ ქალებს, და მათ შვილებს, თუ მათ ისინი ჰყავთ, შესთავაზონ სპეციალიზებული დახმარება, როგორცაა რეაბილიტაცია, დახმარება ბავშვის ზრუნვასა და შენახვასთან დაკავშირებით, მკურნალობა, კონსულტაციების გაწევა, ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურებები, დაწესებულებები და პროგრამები, ასევე დამხმარე სტრუქტურები, და ყველა შესაბამისი ღონისძიების გატარება, რაც ხელს შეუწყობს მათ უსაფრთხოებასა და ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას;

(თ) სახელმწიფო ბიუჯეტებში გაითვალისწინონ ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის მიზნით მათ მიერ დაგეგმილი საქმიანობების განხორციელებისათვის ადეკვატური რესურსები;

(ი) გაატარონ ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებსა და სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან იმ პოლიტიკის განხორციელებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციას, გამოძიებასა და დასჯას, ჩაუტარდეთ ტრენინგები, რათა გააცნობიერონ ქალთა მოთხოვნილებები;

(კ) გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება, განსაკუთრებით განათლების სფეროში, რათა მოხდეს კაცთა და ქალთა ქცევის კულტურული მოდელების მოდიფიცირება და ცრურწმენების, ჩვეულების და ყველა სხვა პრაქტიკის აღმოფხვრა, რომელიც ეფუძნება რომელიმე სქესის არასრულყოფილების ან უპირატესობის იდეას და კაცთა და ქალთა როლების სტერეოტიპებს;

(ლ) ხელი შეუწყონ კვლევის, მონაცემთა შეგროვებისა და სტატისტიკის წარმოებას, განსაკუთრებით ოჯახურ ძალადობასთან, ქალთა მიმართ სხვადასხვა ძალადობასთან დაკავშირებით და ხელი შეუწყოს ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზთა, ხასიათის, სერიოზულობისა და შედეგების, ასევე ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და გამოსწორების ღონისძიებების კვლევას; ამგვარი სტატისტიკა და კვლევის შედეგები საჯარო უნდა გახდეს;

(მ) გაატარონ ღონისძიებები იმ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად, რომლებიც განსაკუთრებით დაუცველნი არიან;

(ნ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა შესაბამისი დოკუმენტებით მოთხოვნილ ანგარიშებში შეიტანონ ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის, ასევე წინამდებარე დეკლარაციის განსახორციელებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ;

(ო) ხელი შეუწყონ შესაბამისი მითითებების შემუშავებას წინამდებარე დეკლარაციით განსაზღვრული პრინციპების განხორციელების მიზნით;

(პ) აღიარონ ქალთა მოძრაობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელობა მსოფლიო მასშტაბით ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის შესახებ ინფორმირებულობის გაუმჯობესებასა და შემსუბუქებაში;

(ჟ) ხელი შეუწყონ და განამტკიცონ ქალთა მოძრაობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობა და ითანამშრომლონ მათთან ადგილობრივ, ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე;

(ს) მოუწოდონ შესაბამის მთავრობათაშორის რეგიონალურ ორგანიზაციებს, რომელთა წევრებიც ისინი არიან, თავიანთ პროგრამებში გაითვალისწინონ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკითხი.

## მუხლი 5

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებმა და სპეციალიზებულმა სააგენტოებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში წვლილი უნდა შეიტანონ წინამდებარე დეკლარაციაში განსაზღვრული უფლებებისა და პრინციპების აღიარებისა და რეალიზაციის უზრუნველყოფისათვის, და ამ მიზნით, სხვა ღონისძიებებთან ერთად:

(ა) ხელი შეუწყონ საერთაშორისო და რეგიონალურ თანამშრომლობას ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის რეგიონალური სტრატეგიების განსაზღვრის, გამოცდილების გაზიარებისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული პროგრამების დაფინანსების თვალსაზრისით;

(ბ) ხელი შეუწყონ შეხვედრებისა და სემინარების გამართვას ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკითხის შესახებ ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით;

(გ) ხელი შეუწყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში შემავალი ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებაზე მომუშავე ორგანოებს შორის კოორდინაციასა და ინფორმაციის გაცვლას, რათა ეფექტურად განიხილონ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი.

(დ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში შემავალმა ორგანიზაციებმა და ორგანოებმა სოციალური ტენდენციებისა და პრობლემების შესახებ მათ მიერ მომზადებულ ანალიტიკურ დოკუმენტებში, მაგალითად, მსოფლიოს სოციალური მდგომარეობის პერიოდულ ანგარიშები, ასახონ ქალთა მიმართ ძალადობის ტენდენციების განხილვა;

(ე) წახალისონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და ორგანოებს შორის კოორდინაცია ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის, განსაკუთრებით ქალთა იმ ჯგუფებთან მიმართებით, რომლებიც ძალადობისაგან განსაკუთრებით დაუცველნი არიან, მიმდინარე პროგრამებში შეტანის მიზნით;

(ვ) ხელი შეუწყონ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მითითებების ან პრაქტიკული სახელმძღვანელოების შემუშავებას წინამდებარე დეკლარაციაში მითითებული ღონისძიებების გათვალისწინებით;

(ზ) სათანადოდ განიხილონ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკითხი ადამიანის უფლებათა დაცვის დოკუმენტებთან დაკავშირებით თავიანთი მანდატის განხორციელებისას.

## მუხლი 6

წინამდებარე დეკლარაციამ გავლენა არ უნდა მოახდინოს ნებისმიერ ისეთ დებულებაზე, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრას, და რომელსაც შესაძლოა ითვალისწინებდეს წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა ან საერთაშორისო კონვენცია, ხელშეკრულება ან წევრ სახელმწიფოში მოქმედი სხვა დოკუმენტი.

## რეზოლუცია 1325 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, 2000

უშიშროების საბჭო,

ეყრდნობა თავის 1261 (1999) 1999 წლის 25 აგვისტოს, 1265 (1999) 1999 წლის 17 სექტემბრის, 1296 (2000) 2000 წლის 19 აპრილის და 1314 (2000) 2000 წლის 11 აგვისტოს რეზოლუციებს, აგრეთვე თავმჯდომარის შესაბამის განცხადებებს და მიუთითებს

აგრეთვე, პრესისადმი განცხადებაზე, რომელიც თავმჯდომარემ გააკეთა 2000 წლის 8 მარტს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღესთან დაკავშირებით, რომელიც ეძღვნებოდა ქალთა უფლებებსა და საერთაშორისო მშვიდობას (ქალთა საერთაშორისო დღე)(SC/6816)

ეყრდნობა, აგრეთვე პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ოცდამესამე საგანგებო სესიაზე მიღებული დოკუმენტის “ქალები – 2000: სქესთა თანასწორობა, განვითარება და მშვიდობა 21-ე საუკუნეში”(A/S-23/10/Rev.1) საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებას, განსაკუთრებით იმ ვალდებულებებს, რომლებიც შეეხება ქალებსა და შეიარაღებულ კონფლიქტს,

ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებს, აგრეთვე უშიშროების საბჭოს უმთავრეს ვალდებულებას წესდების საფუძველზე საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად,

გამოხატავს შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ სამოქალაქო მოსახლეობა, განსაკუთრებით ქალები და ბავშვები, წარმოადგენს შეიარაღებული კონფლიქტით დაზარალებულთა, მათ შორის ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდ უმრავლესობას, რომელსაც სულ უფრო ხშირად ემუქრება საფრთხე კონფლიქტის მონაწილე მხარეებისა და შეიარაღებულ პირთა მხრიდან და აღიარებს რა ზემოხსენებულის ზეგავლენას მდგრადი მშვიდობისა და შერიგების საკითხებზე,

კვლავ ადასტურებს ქალთა მნიშვნელოვან როლს კონფლიქტების პრევენციისა და მოწესრიგების, აგრეთვე მშვიდობის მშენებლობის საკითხებში და ხაზს უსვამს მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისა და დამკვიდრებისაკენ მიმართულ ყოველგვარ ძალისხმევაში ქალთა თანასწორი მონაწილეობისა და სრულად ჩართვის მნიშვნელობას, აგრეთვე მათი როლის გაძლიერების აუცილებლობას კონფლიქტების პრევენციისა და მოწესრიგებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში,

კვლავ ადასტურებს ასევე სრულად განხორციელების აუცილებლობას საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის ნორმებისა, რომლებიც იცავს ქალთა და გოგონათა უფლებებს კონფლიქტების პერიოდში და მათ შემდეგ,

ხაზს უსვამს ყველა მონაწილე მხარის მიერ იმ გარემოების უზრუნველყოფის აუცილებლობას, რომ განადმვისა და ნაღმსაწინააღმდეგო საინფორმაციო პროგრამებში გათვალისწინებული იყოს ქალთა და გოგონათა განსაკუთრებული საჭიროებები,

აღიარებს სამშვიდობო ოპერაციებში გენდერული თვალთახედვის გამჭოლ ხაზად გატარების აუცილებლობას და აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით უინდჰოკის დეკლარაციასა და ნამიბიის სამოქმედო გეგმას მშვიდობის მხარდამჭერ მრავალკომპონონტიან ოპერაციებში გენდერული პრინციპების ძირითად ასპექტად გათვალისწინების შესახებ (S/2000/693),

აღიარებს აგრეთვე მისი პრეზიდენტის მიერ 2000 წლის 8 მარტს პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში გამოთქმული რეკომენდაციის მნიშვნელობას, რომელიც ეხება სამშვიდობო პროცესებში დასაქმებული ყველა თანამშროლის სპეციალურ

მომზადებას კონფლიქტის პერიოდში ქალთა და ბავშვთა დაცვის, განსაკუთრებულ საჭიროებათა და ადამიანის უფლებათა საკითხებზე,

აღიარებს, რომ ქალებსა და გოგონებზე შეიარაღებული კონფლიქტის ზეგავლენის გაცნობიერებას, ასევე მათი დაცვის და სამშვიდობო პროცესებში სრულად ჩართვის უზრუნველყოფი ეფექტური ორგანიზაციული მექანიზმების არსებობას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებასა და დამკვიდრებაში,

აღნიშნავს ქალებსა და გოგონებზე შეიარაღებული კონფლიქტის ზეგავლენასთან დაკავშირებულ მონაცემთა გაერთიანების აუცილებლობას,

1. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა გადაწყვეტილების მიმღები იერარქიის ყველა საფეხურზე ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მექანიზმებში, კონფლიქტების პრევენციის, მართვისა და მოწესრიგების მიზნით;
2. მოუწოდებს გენერალურ მდივანს, განახორციელოს მისი სტრატეგიული სამოქმედო გეგმა (A/49/587), რომლის მიზანია გაზარდოს ქალთა მონაწილეობა დირექტიულ დონეებზე კონფლიქტის მოწესრიგებისა და სამშვიდობო პროცესებში;
3. დაჟინებით მოუწოდებს გენერალურ მდივანს უფრო მეტი ქალი აღჭურვოს საგანგებო წარმომადგენლისა და ელჩის უფლებამოსილებით, ორგანიზაციის კეთილი მიზნების განსახორციელებლად და ამასთან დაკავშირებით მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს წარუდგინონ გენერალურ მდივანს კანდიდატები რეგულარულად განახლებად რეესტრში შესატანად;
4. დაჟინებით მოუწოდებს გენერალურ მდივანს მიაღწიოს ქალთა როლისა და წვლილის გაფართოებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გასვლით ოპერაციებში, განსაკუთრებით კი სამხედრო დამკვირვებლებს, სამოქალაქო პოლიციას, ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარულ პერსონალს შორის;
5. გამოხატავს მის მზადყოფნას სამშვიდობო ოპერაციებში გენდერული პრინციპების ჩასართავად და მოუწოდებს გენერალურ მდივანს, საჭიროების მიხედვით უზრუნველყოს გენდერული კომპონენტის ჩართვა გასვლით ოპერაციებში;
6. სთხოვს გენერალურ მდივანს უზრუნველყოს მონაწილე სახელმწიფოები სასწავლო სახელმძღვანელოებითა და მასალებით ქალთა დაცვის, უფლებებისა და განსაკუთრებული საჭიროებების, აგრეთვე მშვიდობის დამკვიდრების ღონისძიებებში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობის საკითხებზე, მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს ჩართონ აღნიშნული ელემენტები და აივ/შიდსის საკითხებზე საინფორმაციო სწავლება სამხედრო და სამოქალაქო პოლიციის თანამშრომელთა საქმიანობისათვის მომზადების ეროვნულ პროგრამებში, გარდა ამისა, სთხოვს გენერალურ მდივანს, უზრუნველყოს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე სამოქალაქო პერონალის ანალოგიური სწავლება;
7. დაჟინებით მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს გაზარდონ ნებაყოფლობითი ფინანსური, ტექნიკური და მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გაწევა გენდერული ასპექტის გათვალისწინებით ყველა პროგრამაში, მათ შორის იმ პროგრამებისთვის, რომლებსაც ახორციელებენ შესაბამისი ფონდები და პროგრამები. კერძოდ, გაეროს განვითარების ფონდის ქალთათვის, გაეროს ბავშვთა ფონდი, ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და სხვა შესაბამისი ორგანიზაციები;
8. მოუწოდებს ყველა მონაწილეს სამშვიდობო შეთანხმებებზე მოლაპარაკებებისა და განხორციელების პროცესში გამოიყენონ გენდერულ ასპექტებზე დაფუძნებული

მიდგომა, რომლიც სხვა საკითხებს შორის მოიცავს: (ა) ქალებისა და გოგონების განსაკუთრებულ საჭიროებებს რეპარაციისა და განსახლების პროცესებში, აგრეთვე რეაბილიტაციის, რეინტეგრაციისა და კონფლიქტის შემდგომ აღდგენით პერიოდში; (ბ) ღონისძიებებს, რომლებიც ქალთა ადგილობრივი სამშვიდობო ინიციატივებისა და კონფლიქტის მოწესრიგებას შეუწყობს ხელს, ასევე ღონისძიებებს, რომლებიც გულისხმობს ქალთა ჩართვას სამშვიდობო შეთანხმებების განხორციელების ყველა მექანიზმში; (გ) ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ქალებისა და გოგონების ადამიანის უფლებების დაცვასა და პატივისცემას, განსაკუთრებით კონსტიტუციასთან, საარჩევნო სისტემასთან, პოლიციასა და სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით;

9. მოუწოდებს შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარეს სრულად დაიცვას საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, რომელიც შეეხება ქალებისა და გოგონების, განსაკუთრებით როგორც სამოქალაქო პირების, უფლებებსა და დაცვას, პატივისცემით მოეკიდონ იმ ვალდებულებათა შესრულებას, რომლებიც ეკისრებათ ამ მხარეებს ჟენევის 1949 წლის კონვენციებისა და მათი 1977 წლის დამატებითი ოქმების, 1951 წლის ლტოლვილთა შესახებ კონვენციისა და მისი 1967 წლის ოქმის, 1979 წლის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კონვენციისა და მისი 1999 წლის ფაკულტატური ოქმის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის ბავშვთა უფლებების კონვენციისა და მისი 2000 წლის 25 მაისის ორი ფაკულტატური ოქმის საფუძველზე, ასევე გათვალისწინებულ იქნას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის შესაბამისი დებულებები;

10. მოუწოდებს შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარეს, გაატარონ საგანგებო ღონისძიებები ქალებისა და გოგონების დასაცავად სქესობრივი კუთვნილებით განპირობებული ძალადობისგან, აგრეთვე ძალადობის ყველა სხვა ფორმებისაგან შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში;

11. საგანგებოდ აღნიშნავს, რომ თითოეული სახელმწიფო პასუხისმგებელია ბოლო მოუღოს დაუსჯელობას და განახორციელოს იმ პირთა სამართლებრივი დევნა, ვისაც ბრალი მიუძღვის გენოციდში, კაცობრიობის წინაშე და ომის დროს ჩადენილ დანაშაულებში, მათ შორის სქესობრივ და ქალებსა და გოგონების წინააღმდეგ ჩადენილი სხვა სახის ძალადობაში და ამასთან დაკავშირებით ხაზს უსვამს შესაძლებლობის მიხედვით აღნიშნულ დანაშაულებათა ამნისტიის პირობებიდან გამორიცხვის აუცილებლობას;

12. მოუწოდებს შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარეს პატივი სცენ ლტოლვილთა ბანაკებისა და განსახლების ადგილთა სამოქალაქო და ჰუმანიტარულ ხასიათს და გაითვალისწინონ ქალებისა და გოგონების განსაკუთრებული საჭიროებები, ასევე მათი პროექტირებისას და მოუხმობს მის 1998 წლის 19 ნოემბრის 1208-ე (1998) და 2000 წლის 19 აპრილის 1296-ე(2000) რეზოლუციებს;

13. გამოხატავს მზადყოფნას გაითვალისწინოს გენდერული ასპექტები მშვიდობის შესანარჩუნებელ ოპერაციებში და დაჟინებით მოუწოდებს გენერალურ მდივანს უზრუნველყოს გენდერული კომპონენტის ჩართვა ყველა საველე ოპერაციაში;

14. ადასტურებს მზადყოფნას, გაეროს წესდების 41-ე მუხლის საფუძველზე გატარებული ნებისმიერი ღონისძიებების შემთხვევაში გაითვალისწინოს მათი შესაძლო ზეგავლენა მშვიდობიან მოსახლეობაზე და მხედველობაში იქონიოს ქალებისა და გოგონების განსაკუთრებული საჭიროებები შესაბამისი ჰუმანიტარული შეღავათების გათვალისწინების მიზნით;

15. გამოხატავს მზადყოფნას იმ გარემოების უზრუნველსაყოფად, რომ უშიშროების საბჭოს მისიებმა გაითვალისწინონ გენდერული პრობლემები და ქალთა

უფლებები, მათ შორის ქალთა ადგილობრივ და საერთაშორისო ჯგუფებთან კონსულტაციების საფუძველზე;

16. სთხოვს გენერალურ მდივანს ჩაატაროს კვლევა შემდეგ საკითხებზე: შეიარაღებული კონფლიქტის ზეგავლენა ქალებსა და გოგონებზე, ქალის როლი მშვიდობის მშენებლობაში და სამშვიდობო პროცესებისა და კონფლიქტების მოწესრიგების გენდერული ასპექტები და კვლავ მოუწოდებს მას წარუდგინოს უშიშროების საბჭოს მოხსენება აღნიშნული კვლევის შედეგების შესახებ და ის ხელმისაწვდომი გახადოს გაეროს წევრი ყველა სახელმწიფოსათვის;

17. სთხოვს გენერალურ მდივანს, სათანადო შემთხვევებში, უსაფრთხოების საბჭოს წინაშე წარდგენილ მოხსენებებში ჩართოს ინფორმაცია სამშვიდობო მისიებში გენდერული პრობლემატიკის ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობისა და ქალთა და გოგონების საკითხებთან დაკავშირებული სხვა ასპექტების შესახებ;

18. იღებს გადაწყვეტილებას განაგრძოს აქტიური მუშაობა აღნიშნულ საკითხებზე.

**ორგანიზებული ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ  
გაეროს კონვენციის ოქმი (ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და  
ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და  
დასჯის შესახებ), 2003**

ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოები,

აცხადებენ, რომ ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის აღკვეთა და მის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა მოითხოვს წარმოშობის, ტრანზიტისა და დანაშაულების ქვეყნებში მრავალმხრივ საერთაშორისო მიდგომას, რომელიც მოიცავს ტრეფიკინგის აღკვეთის, ტრეფიკერების დასჯისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებებს, ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებული დაცვის ჩათვლით,

მხედველობაში იღებენ იმ გარემოებას, რომ მრავალი საერთაშორისო დოკუმენტის არსებობის მიუხედავად, რომლებიც შეიცავს ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ექსპლუატაციასთან ბრძოლის წესებსა და პრაქტიკულ ღონისძიებებს, არ არსებობს უნივერსალური დოკუმენტი, რომელიც ეხება ტრეფიკინგის ყველა ასპექტს,

შეშფოთებას გამოთქვამენ, რომ ამგვარი დოკუმენტის არარსებობით, პირები, რომლებიც დაუცველნი არიან ტრეფიკინგისაგან, არ იქნებიან საკმარისად დაცულნი;

მიუთითებენ გენერალური ასამბლეის 1998 წლის 9 დეკემბრის N53/111 რეზოლუციაზე, რომლითაც ასამბლეამ გადაწყვიტა, დაეარსებინა ღია მთავრობათშორისი ად ჰოვ კომიტეტი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მრავალმხრივი საერთაშორისო კონვენციის შემუშავებისა და ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის წინააღმდეგ, ინტერ ალია, საერთაშორისო დოკუმენტის შემუშავების განხილვის მიზნით,

დარწმუნებულნი არიან, რომ ამ დანაშაულის აღკვეთისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებისთვის მიზანშეწონილი იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

კონვენციას ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ დაემატოს ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ ოქმი,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

## I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1

ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენციასთან დამოკიდებულება

1. გაერთიანებული ერების კონვენციას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ემატება წინამდებარე ოქმი. ეს ოქმი უნდა განიმარტოს კონვენციასთან ერთად.

2. კონვენციის დებულებები, მუტატის მუტანდის, გამოიყენება ამ ოქმის მიმართ, თუ ოქმით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. ამ ოქმის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები უნდა ჩაითვალოს კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულად.

### მუხლი 2

მიზნები

ამ ოქმის მიზნებია:

(ა) ადამიანის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის აღკვეთა და მის წინააღმდეგ ბრძოლა;

(ბ) ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება, მათი უფლებების სრული პატივისცემით; და

(გ) აღნიშნული მიზნების მისაღწევად მონაწილე სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა.

### მუხლი 3

ტერმინების განმარტება

ამ ოქმის მიზნებისათვის:

(ა) „ტრეფიკინგი“ ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწიფობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშავე იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმ, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, მონურ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას;

(ბ) თუ გამოყენებულია ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება, ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლის თანხმობას აღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს;

(გ) ბავშვის გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით უნდა ჩაითვალოს „ტრეფიკინგად“ მაშინაც კი, როდესაც გამოყენებული არ ყოფილა ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება;

(დ) „ბავშვი“ გულისხმობს ნებისმიერ ადამიანს 18 წლის ასაკამდე.

### მუხლი 5

კრიმინალიზაცია



1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები, რომლებიც აუცილებელია, რათა სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადდეს ამ ოქმის მე-3 მუხლში მითითებული ქმედებები, როდესაც ისინი ჩადენილია განზრახ.
2. თითოეული მონაწილე სახელმწიფო აგრეთვე ვალდებულია, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები, რომლებიც აუცილებელია, რათა სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადდეს:
  - (ა) ქვეყნის შიგნით მოქმედი სამართლებრივი სისტემის ძირითადი დებულებების დაცვის პირობით, ამ მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი დანაშაულის ჩადენის მცდელობა;
  - (ბ) ამ მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ დანაშაულში თანამონაწილეობა; და
  - (გ) სხვა პირთა ორგანიზება ან ხელმძღვანელობა ამ მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი დანაშაულის ჩასადენად.

## II. ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა

### მუხლი 6

ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარება და დაცვა

1. შესაბამის შემთხვევებში და შიდა კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში, თითოეული მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ტრეფიკინგის მსხვერპლთა პირადი ცხოვრება და ვინაობა, ინტერ ალია, ტრეფიკინგთან დაკავშირებული სამართალწარმოების კონფიდენციალურობის ჩათვლით.
2. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი შიდა სამართლებრივი ან ადმინისტრაციული სისტემა უნდა ითვალისწინებდეს ისეთ ზომებს, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლს, შესაბამის შემთხვევებში, უზრუნველყოფს:
  - (ა) ინფორმაციით შესაბამის სამართლო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე;
  - (ბ) დახმარების გაწევით, იმ მიზნით, რომ მათი შეხედულებები და პრობლემები წარმოდგენილ და მხედველობაში მიღებულ იქნეს დამნაშავეთა წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების შესაბამის სტადიებზე, იმგვარად, რომ არ შეილახოს დაცვის მხარის უფლებები.
3. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა განიხილოს იმპლემენტაციის ისეთი ზომების მიღების შესაძლებლობა, რომლებიც ხელს შეუწყობს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ გამოჯანმრთელებას, შესაბამის შემთხვევებში, არასამთავრობო ან სხვა ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ჩათვლით, კერძოდ, მონაწილე სახელმწიფოებმა ისინი უნდა უზრუნველყონ:
  - (ა) შესაბამისი საცხოვრებელი პირობებით;
  - (ბ) მათთვის გასაგებ ენაზე რჩევით და ინფორმაციით, განსაკუთრებით მათ სამართლებრივ უფლებებთან დაკავშირებით;
  - (გ) სამედიცინო, ფსიქოლოგიური და მატერიალური დახმარებით; და
  - (დ) დასაქმებით, განათლებითა და სწავლებით.
4. ამ მუხლის დებულებათა გამოყენების დროს თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ასაკი, სქესი და სპეციალური მოთხოვნილებები, განსაკუთრებით ბავშვების სპეციალური მოთხოვნილებები, სათანადო საცხოვრებელი პირობების, განათლებისა და მზრუნველობის ჩათვლით.

5. თითოეული მონაწილე სახელმწიფო უნდა შეეცადოს, რომ უზრუნველყოს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფიზიკური უსაფრთხოება, სანამ ისინი იმყოფებიან მის ტერიტორიაზე.

6. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ შიდა სამართლებრივ სისტემაში უნდა უზრუნველყოს ისეთი მექანიზმების არსებობა, რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლს საშუალებას მისცემს, მიიღოს კონპესაცია მიყენებული ზიანისათვის.

## **მუხლი 7**

ტრეფიკინგის მსხვერპლთა სტატუსი მიმღებ სახელმწიფოში

1. ამ ოქმის მე-6 მუხლში ჩამოყალიბებულ ღონისძიებებთან ერთად, თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ისეთისაკანონმდებლო ან სხვა სათანადო ზომების მიღება, რომლებიც შესაბამის შემთხვევებში ტრეფიკინგის მსხვერპლთ მის ტერიტორიაზე დროებით ან მუდმივად დარჩენის ნებას რთავს.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული დებულების განხორციელებისას თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს ჰუმანურობისა და თანაგრძნობის ფაქტორები.

## **მუხლი 8**

ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეპატრაცია

1. მონაწილე სახელმწიფო, რომლის მოქალაქე ან მუდმივად მცხოვრები პირი არის ტრეფიკინგის მსხვერპლი მიმღებ სახელმწიფოში შესვლის მომენტისთვის, ვალდებულია ხელი შეუწყოს და მიიღოს უკან დაბრუნებული ასეთი პირი დაუსაბუთებელი და არაგონივრული დაყოვნების გარეშე, მისი პირადი უსაფრთხოების დაცვის სათანადო გათვალისწინებით.

2. თთუ მონაწილე სახელმწიფო ტრეფიკინგის მსხვერპლს აბრუნებს იმ მონაწილე სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც იყო ეს პირი ან რომელშიც იგი მუდმივად ცხოვრობდა მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის მომენტისათვის, მაშინ ამ პირის დაბრუნებისას სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული მისი პირადი უსაფრთხოება და ტრეფიკინგის ფაქტზე აღძრული ნებისმიერი სამართალწარმოება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული; და სასურველია, პირის დაბრუნება მოხდეს ნებაყოფლობით.

3. მიმღები მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით, თხოვნის მიმღებმა მონაწილე სახელმწიფომ დაუსაბუთებელი ან არაგონივრული დაყოვნების გარეშე უნდა შეამოწმოს, არის თუ არა ტრეფიკინგის მსხვერპლი მისი მოქალაქე ან მუდმივად მცხოვრები პირი მიმღები მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის მომენტისათვის.

4. სათანადო დოკუმენტის არმქონე ტრეფიკინგის მსხვერპლის დაბრუნების ხელშეწყობის მიზნით, მონაწილე სახელმწიფომ, რომლის მოქალაქე ან მუდმივად მცხოვრები არის ეს პირი მიმღები მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის მომენტისთვის, მიმღები სახელმწიფოს თხოვნით უნდა გასცეს ისეთი სამგზავრო დოკუმენტები ან სხვა ნებართვა, რომელიც აუცილებელია ამ პირის მიერ მის ტერიტორიაზე დაბრუნებისა და შესვლისათვის.

5. ეს მუხლი არ უნდა ხელყოფდეს მიმღები მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის მინიჭებულ უფლებებს.

6. ეს მუხლი არ უნდა ხელყოფდეს ნებისმიერ მოქმედ ორმხრივ თუ მრავალმხრივ ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ არეგულირებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაბრუნების საკითხებს.

### III. აღკვეთა, თანამშრომლობა და სხვა ღონისძიებები

#### მუხლი 9

ტრეფიკინგის აღკვეთა

1. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშავონ ამომწურავი პოლიტიკა, პროგრამები და სხვა ღონისძიებები:

(ა) ტრეფიკინგის აღკვეთისა და მასთან ბრძოლის მიზნით; და

(ბ) ტრეფიკინგის მსხვერპლთა, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, განმეორებით მსხვერპლად ქცევისაგან დაცვის მიზნით;

2. ტრეფიკინგის აღკვეთისა და მასთან ბრძოლის მიზნით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორცაა კვლევითი საქმიანობა, საინფორმაციო და მასმედიის კამპანიები და სოციალური და ეკონომიკური ინიციატივები.

3. ამ მუხლის შესაბამისად შემუშავებული პოლიტიკა, პროგრამები და სხვა ღონისძიებები, საჭიროების მიხედვით, უნდა მოიცავდეს თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვა შესაბამის დაწესებულებებთან და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან.

4. მონაწილე სახელმწიფოებმა ორმხრივი ან მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით უნდა მიიღონ ან გააძლიერონ ღონისძიებები, რათა მოხდეს იმ ფაქტორების შემცირება, რომლებიც პირებს, განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებს, დაუცველს ხდის ტრეფიკინგისგან, კერძოდ ისეთი ფაქტორების შემცირება, როგორცაა სიღარიბე, განვითარების დაბალი დონე და თანაბარი შესაძლებლობების ნაკლებობა.

5. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ან გააძლიერონ საკანონმდებლო და სხვა ზომები, როგორცაა საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ორმხრივი ან მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით, რათა შეზღუდონ ის მოთხოვნა, რომელიც ხელს უწყობს ნებისმიერი ფორმით ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ექსპლუატაციას, რაც იწვევს ტრეფიკინგს.

#### მუხლი 10

ინფორმაციის გაცვლა და ტრეფიკინგი

1. მონაწილე სახელმწიფოთა სამართალდამცავმა, საემიგრაციო და სხვა შესაბამისმა უწყებებმა, საჭიროების მიხედვით, ერთმანეთთან უნდა ითანამშრომლონ ინფორმაციის გაცვლის გზით, მათი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, რათა დაადგინონ:

(ა) არიან თუ არა ტრეფიკერები ან ტრეფიკინგის მსხვერპლნი ის პირები, რომლებიც სხვისი სამგზავრო დოკუმენტებით ან სამგზავრო დოკუმენტების გარეშე კვეთენ ან ცდილობენ გადაკვეთონ საერთაშორისო საზღვარი;

(ბ) რა სახის სამგზავრო დოკუმენტები იქნა გამოყენებული ან რა სახის სამგზავრო დოკუმენტების გამოყენების მცდელობას ჰქონდა ადგილი საერთაშორისო საზღვრის გადაკვეთის დროს ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენის მიზნით; და

(გ) დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ტრეფიკინგის მიზნით გამოყენებული საშუალებები და მეთოდები, მათ შორის მსხვერპლთა გადაბირება და ტრანსპორტირება, ასეთ ჯგუფებსა და ტრეფიკინგში მონაწილე პირებს შორის არსებული კავშირები და მარშრუტები და მათი გამოვლენის შესაძლო გზები.

2. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ან გააძლიერონ სამართალდამცავი, საემიგრაციო და სხვა შესაბამისი უწყებების თანამდებობის პირთა მომზადება ტრეფიკინგის აღკვეთის სფეროში. მომზადება უნდა ეხებოდეს ტრეფიკინგის აღკვეთის მეთოდებს, ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენთა სისხლისსამართლებრივ დევნას და მსხვერპლთა უფლებების დაცვას,

ტრეფიკერებისაგან მათი დაცვის ჩათვლით. მომზადება უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებათა და ბავშვთა დაცვის, ასევე სუსტი სქესის წარმომადგენლებთან დაკავშირებულ საკითხებს და ყურადღებას უნდა ამახვილებდეს თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვა შესაბამის დაწესებულებებთან და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან.

3. ინფორმაციის მიმღები მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია შეასრულოს ინფორმაციის მიმწოდებელი მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერი თხოვნა ამ ინფორმაციის შეზღუდულ გამოყენებასთან დაკავშირებით.

## **მუხლი 11**

სასაზღვრო ღონისძიებები

1. ადამიანების თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების შეუღალხავად, მონაწილე სახელმწიფოებმა საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გააძლიერონ საზღვრის კონტროლის ისეთი ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს ტრეფიკინგის აღკვეთისა და გამგლენისათვის.

2. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რათა, შესაძლებლობების ფარგლებში, აღიკვეთოს კომერციული გადამზიდველთა სატრანსპორტო საშუალებების მეშვეობით ამ ოქმის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

3. საჭიროების შემთხვევაში და მოქმედი საერთაშორისო კონვენციების შეუღალხავად, ასეთი ღონისძიებები უნდა მოიცავდეს კომერციული გადამზიდველთათვის, მათ შორის ნებსმიერი სატრანსპორტო კომპანიის ან სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთათვის და ოპერატორებისათვის იმის დადგენის ვალდებულების დაკისრებას, რომ ყველა მგზავრი ფლობდეს მიმღებ სახელმწიფოში შესვლისათვის საჭირო ყველა აუცილებელ სამგზავრო დოკუმენტს.

4. შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისთვის დაწესდეს სანქციები.

5. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა განიხილოს ისეთი ზომების მიღების შესაძლებლობა, რომლითაც შესაძლებელია, მისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, ამ ოქმით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირებისთვის მათ ქვეყანაში შესვლაზე უარის თქმა ან მათთვის ვიზების გაუქმება.

6. კონვენციის 27-ე მუხლის შეუღალხავად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ სასაზღვრო კონტროლის ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების შესაძლებლობა, ინტერ ალია, პირდაპირი საკომუნიკაციო არხების შექმნის და ოპერირების გზით.

## **მუხლი 12**

დოკუმენტების დაცვა და კონტროლი

თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ისეთი ზომები, შესაძლებლობების ფარგლებში, რაც შეიძლება აუცილებელი იყოს რათა:

(ა) უზრუნველყოფილი იქნეს, რომ მის მიერ გაცემული სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები არის ისეთი ხარისხის, რომ იოლი არ იყოს მათი ბოროტად გამოყენება და გაყალბება ან უკანონოდ შეცვლა, დუბლირება ან გაცემა;

და (ბ) უზრუნველყოფილი იქნეს მონაწილე სახელმწიფოს მიერ ან მისი სახელით გაცემული სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მთლიანობა და უსაფრთხოება და არ მოხდეს მათი უკანონო შექმნა, გაცემა და გამოყენება.

### **მუხლი 13**

დოკუმენტების ნამდვილობა და მოქმედების ვადა  
მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით, მეორე მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, გონივრულ ვადაში დაამოწმოს იმ სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ნამდვილობა და მოქმედების ვადა, რომლებიც გაცემულია მისი სახელით ვნ არსებობს ვარაუდი, რომ ისინი გაცემულია მისი სახელით და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს ეჭვი, რომ გამოიყენება ტრეფიკინგისთვის.

## **IV. დასკვნითი დებულებები**

### **მუხლი 14**

დათქმა

1. ამ ოქმში არაფერი უნდა ხელყოფდეს სახელმწიფოთა და პირთა საერთაშორისო სამართლით, მათ შორის, საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების სამართლით გათვალისწინებულ უფლებებს, ვალდებულებებს და პასუხისმგებლობებს, ხოლო შესაბამის შემთხვევებში, 1951 წლის კონვენციასა და 1967 წლის ოქმს, აგრეთვე ამ დოკუმენტებით დადგენილ ნონ-რეფოულემენტ პრინციპს.

2. ამ ოქმში აღნიშნული ღონისძიებების განმარტება და გამოყენება უნდა მოხდეს ისე, რომ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ პირები, იმის გამო რომ ისინი არიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი. ამ ღონისძიებათა განმარტება და გამოყენება უნდა მოხდეს დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად.

### **მუხლი 15**

დავების მოგვარება

1. მონაწილე სახელმწიფოები უნდა შეეცადონ ამ ოქმის ინტერპრეტაციასა და გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით.

2. თუ ამ ოქმის ინტერპრეტაციასა და გამოყენებასთან დაკავშირებით ორ ან მეტ მონაწილე სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავის მოგვარება შეუძლებელია მოლაპარაკების გზით გონივრულ ვადაში, მაშინ სადაო საკითხი, ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოს მოთხოვნით, უნდა გადაეცეს არბიტრაჟს. თუ არბიტრაჟის დანიშვნასთან დაკავშირებით მოთხოვნის წარდგენიდან ექვსი თვის ვადაში ეს მონაწილე სახელმწიფოები ვერ შეთანხმდებიან არბიტრაჟის ორგანიზებაზე, მაშინ ერთ-ერთ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია დავა განსახილველად გადასცეს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ამავე სასამართლოს სტატუსით დადგენილი წესით.

3. თითოეული მონაწილე სახელმწიფოს, ამ ოქმის ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების დროს, შეუძლია განაცხადოს, რომ იგი სავალდებულოდ არ მიიჩნევს ამ მუხლის მე-2 პუნქტს. ამ მუხლის მე-2 პუნქტს არ ექნება სავალდებულო ძალა სხვა წევრი სახელმწიფოებისთვისაც იმ წევრ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, რომელმაც გააკეთა ასეთი დათქმა.

4. თითოეული მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა დათქმა ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შეუძლია გააუქმოს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით.

## **მუხლი 16**

ხელმოწერა, რატიფიკაცია, მიღება, დამტკიცება და მიერთება

1. ეს ოქმი ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის ხელმოსაწერად 2000 12-დან 15 დეკემბრამდე იტალიის ქალაქ პალერმოში, ხოლო ამ ვადის შემდეგ – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში ქალაქ ნიუ-იორკში 2002 წლის 12 დეკემბრამდე.

2. ეს ოქმი ასევე ღიაა ხელმოსაწერად ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციებისათვის, თუ ასეთი ორგანიზაციის ერთ წევრ სახელმწიფოს მაინც აქვს ხელმოწერილი ეს ოქმი ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. ეს ოქმი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტი დეპონირდება გაერთიანებული ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან. ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალურ ორგანიზაციას რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტის დეპონირება შეუძლია, თუ მისმა ერთმა წევრმა სახელმწიფომ მაინც მოახდინა ასეთი დოკუმენტის დეპონირება. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტში ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონულმა ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს მისი კომპეტენციის ფარგლებში ამ ოქმით რეგულირებულ საკითხებთან მიმართებაში. ასეთმა ორგანიზაციას ასევე უნდა აცნობოს დეპოზიტარს მისი კომპეტენციის ფარგლებში მომხდარი ნებისმიერი ცვლილებების შესახებ.

4. ეს ოქმი ღიაა მისაერთებლად ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ან ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციისთვის, რომლის ერთი წევრი მაინც არის ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფო. მიერთების დოკუმენტი დეპონირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან. მიერთების დროს, ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალურმა ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს მისი კომპეტენციის ფარგლებში ამ ოქმით რეგულირებულ საკითხებთან მიმართებაში. ასეთმა ორგანიზაციამ ასევე უნდა აცნობოს დეპოზიტარს მისი კომპეტენციის ფარგლებში მომხდარი ნებისმიერი ცვლილებების შესახებ.

## **მუხლი 17**

ძალაში შესვლა

1. ეს ოქმი ძალაში შევა რატიფიკაციის, მიღების დამტკიცების ან მიერთების შესახებ მე-40 დოკუმენტის დეპონირებიდან 90-ე დღეს, მაგრამ ეს ოქმი ძალაში არ შევა კონვენციის ამოქმედებამდე. ამ პუნქტის მიზნებისთვის, ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციის მიერ დეპონირებული დოკუმენტი არ ჩაითვლება ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ დეპონირებული დოკუმენტის დამატებით საბუთად.

2. თითოეული სახელმწიფოსათვის ან ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციისათვის, რომელიც მოახდენს ამ ოქმის რატიფიკაციას, მიიღებს, დაამტკიცებს ან მიუერთდება მას მე-40 დოკუმენტის დეპონირების შემდეგ, მაშინ ამ სახელმწიფოსათვის ან ორგანიზაციისათვის ეს ოქმი ძალაში შევა მის მიერ სათანადო დოკუმენტის დეპონირებიდან 30-ე დღეს ან ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ამ ოქმის ძალაში შესვლის დღეს, იმის მიხედვით, თუ რომელი თარიღი დადგება უფრო გვიან.

## **მუხლი 18**

ცვლილებების შეტანა

1. ამ ოქმის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის შემდეგ ოქმის მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წარმოადგინოს წინადადება მასში ცვლილებების შეტანის შესახებ და გადაუგზავნოს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს,

რომელმაც შემდგომ ცვლილების შესახებ წინადადება უნდა გადაუგზავნოს მონაწილე სახელმწიფოებს და კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციას მისი განხილვისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით. მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის სხდომაზე მონაწილე სახელმწიფოები ყოველმხრივ უნდა შეეცადონ ცვლილებების შეტანის მიზნით წარმოდგენილ თითოეულ წინადადებასთან დაკავშირებით მიაღწიონ კონსენსუსს. თუ კონსენსუსის მიღწევის ყველა მექანიზმი ამოიწურა, ხოლო შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, მაშინ, უკანასკნელი გამოსვლის სახით, ცვლილება მიღებულად უნდა ჩაითვალოს, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი მაინც.

2. ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციები, მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, სარგებლობენ იმდენი ხმის უფლებით, რამდენი მათი წევრი სახელმწიფოც არის ამ ოქმის მონაწილე, ასეთ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ ხმის უფლების განხორციელება, თუ მათი წევრი სახელმწიფოები თვითონ ახორციელებენ ამ უფლებას და პირიქით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული ცვლილება ექვემდებარება მონაწილე სახელმწიფოების მიერ რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული ცვლილება მონაწილე სახელმწიფოსთვის ძალაში შედის მის მიერ რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტის გენერალურ მდივანთან დეპონირებიდან 90 დღის შემდეგ.

5. ძალაში შესული ცვლილება სავალდებულოა მხოლოდ იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც გამოთქვეს თანხმობა ამ ცვლილების სავალდებულობის თაობაზე. სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება ამ ოქმის დებულებები და ადრინდელი ცვლილებები, რომელთა რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცებაც მათ მოახდინეს.

## **მუხლი 19**

### **დენონსაცია**

1. მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ამ ოქმის დენონსაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

2. ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაცია წყვეტს ამ ოქმის წევრობას, თუ ამ ორგანიზაციის ყველა წევრმა სახელმწიფომ მოახდინა მისი დენონსაცია.

## **მუხლი 20**

### **დეპოზიტარი და ენები**

1. ამ ოქმის დეპოზიტარად ინიშნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.

2. ამ ოქმის არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური ორიგინალები, რომელთაგან ყველა აუთენტურია, დეპონირებულ უნდა იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან. რის დასტურადაც, ქვემოთ სრულუფლებიანი ხელისმომწერნი, თავიანთი მთავრობების მიერ სათანადოდ უფლებამოსილნი, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

## შრომის სავსეთაშრომის მრგანოზაცია

<http://www.ilo.org>



## რეკომენდაცია 13 სოფლის მეურნეობის სფეროში ღამის სმენაში ქალთა მუშაობის შესახებ, 1921

მოწვეულ იქნა შრომის საერთაშორისო ბიუროს მმართველი ორგანოს მიერ 1921 წლის 25 ოქტომბერს მესამე ყრილობაზე

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია, რომელიც მოწვეულ იქნა ჟენევაში შრომის საერთაშორისო ბიუროს მმართველი საბჭოს მიერ, შეიკრიბა 1921 წლის 25 ოქტომბერს მესამე სესიაზე, და გადაწყვიტა რა გარკვეული წინადადებების მიღება სოფლის მეურნეობის სფეროში ქალთა მუშაობის შესახებ ღამის სმენაში, რაც ამ სესიის დღის წესრიგის მესამე პუნქტს წარმოადგენს, და გადაწყვიტა რა, რომ აღნიშნულ წინადადებებს რეკომენდაციის ფორმა მისცეს, მიიღო შემდეგი რეკომენდაცია, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს როგორც «ღამის სმენაში ქალთა მუშაობის შესახებ (სოფლის მეურნეობა) რეკომენდაცია», 1921, რომელიც უნდა წარედგინოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებს განხილვისათვის, რათა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების დებულებების შესაბამისად მას მიენიჭოს იურიდიული ძალა ეროვნული კანონმდებლობით ან სხვა მხრივ;

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია რეკომენდაციას იძლევა, რომ: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველმა წევრმა გაატაროს ღონისძიებები, რათა მოახდინოს სოფლის მეურნეობის საქმიანობაში ღამის საათებში დასაქმებული მარჩენალი ქალების დასაქმება ისე, რომ უზრუნველყოს მათი უზრუნველყოფა შესაბამისი დასვენების პერიოდით, რომელიც შეესაბამება მათ ფიზიკურ საჭიროებებს და შეადგენდეს არა ნაკლებ ცხრა საათს უწყვეტად, როდესაც კი ეს შესაძლებელია.

### კონვენცია მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ.

*საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 29 მაისის N 153 დადგენილებით*

შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭოს მიერ მოწვეულმა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა კონფერენციამ, რომელიც 1951 წლის 6 ივნისს შეიკრიბა თავის 34-ე სესიაზე ჟენევაში.

დაადგინა რა, რომ მიიღოს მთელი რიგი წინადადებებისა მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ანაზღაურების პრინციპების შესახებ, რაც წარმოადგენს სესიის დღის წესრიგის მე-7 პუნქტს და გადაწყვიტა რა, ამ წინადადებებს მისცეს საერთაშორისო კონვენციის ფორმა, 1951 წლის 9 ივნისს მიიღეს კონვენცია, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს როგორც 1951 წლის კონვენცია თანაბარი ანაზღაურების შესახებ.

## **მუხლი 1**

ამ კონვენციის მიზნებისათვის:

ა) ტერმინი "ანაზღაურება" გულისხმობს ჩვეულებრივ, ძირითად მინიმალურ ხელფასს ან ჩვეულებრივ, რომელსაც პირდაპირ ან ირიბად, ფულით ან ნატურით მეწარმე უხდის მშრომელს ამ უკანასკნელის მიერ რაიმე სამუშაოს შესრულებისათვის.

ბ) ტერმინი "მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურება" ეხება ანაზღაურების განაკვეთს, რომელიც განისაზღვრება სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის გარეშე.

## **მუხლი 2**

1. ორგანიზაციის ყოველი წევრი იმ საშუალებით, რომლებიც შეესაბამება ანაზღაურების განაკვეთის დადგენის მოქმედ მეთოდებს, წახალისებს და იმ ზომით, რამდენადაც ეს აღნიშნულ მეთოდებთანაა შეთავსებადი, უზრუნველყოფს ყველა მშრომელის მიმართ მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი განსაზღვრის პრინციპის გამოყენებას.

2. ეს პრინციპი შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი გზით:

ა) ან ეროვნული კანონმდებლობით;

ბ) ან კანონმდებლობით დადგენილი ან აღიარებული ანაზღაურების განსაზღვრის სისტემით;

გ) ან მეწარმეთა და მშრომელთა კოლექტიური ხელშეკრულებით;

დ) ან ყველა ამ მეთოდის შეთავსებით.

## **მუხლი 3**

1. იმ შემთხვევაში, როცა ასეთი მოქმედებანი ხელს შეუწყობენ ამ კონვენციის დებულებათა გამოყენებას, შესრულებული სამუშაოს საფუძველზე სხვადასხვა მოვალეობის ობიექტურად შეფასებისათვის იქნება მიღებული ზომები.

2. ასეთი შეფასების მეთოდები შეიძლება იყოს ან იმ ხელისუფლების გადაწყვეტილების ობიექტი, რომელიც კომპეტენტურია განაკვეთების განსაზღვრის სფეროში, ან კოლექტიურ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა გადაწყვეტილებით, თუ ანაზღაურების განაკვეთი განისაზღვრება ამგვარი ხელშეკრულებებით.

3. ანაზღაურებათა განაკვეთების განსხვავება, რომელიც სქესისაგან დამოუკიდებლად შეესაბამება იმ განსხვავებას, რომელიც შესრულებული სამუშაოს ობიექტური შეფასებიდან გამომდინარეობს, არ ეწინააღმდეგება მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების პრინციპს.

## **მუხლი 4**

ორგანიზაციის ყოველი წევრი მეწარმეთა და მშრომელთა შესაბამის ორგანიზაციებთან სათანადოდ თანამშრომლობს ამ კონვენციის დებულებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

## **მუხლი 5**

ამ კონვენციის რატიფიცირების ოფიციალური დოკუმენტები რეგისტრირებისათვის ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს.

## **მუხლი 6**

1. ეს კონვენცია აკავშირებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხოლოდ იმ წევრებს, რომელთა რატიფიცირების დოკუმენტები რეგისტრირებულია გენერალური დირექტორის მიერ.

2. იგი ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ ორგანიზაციის ორი წევრის რატიფიცირების დოკუმენტების რეგისტრირებიდან 12 თვის შემდეგ.
3. საბოლოოდ ეს კონვენცია ორგანიზაციის ყველა წევრის მიმართ ძალაში შედის ამ წევრის სარატიფიკაციო დოკუმენტების რეგისტრირებიდან 12 თვის შემდეგ.

### **მუხლი 7**

1. განცხადება, რომელიც შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს ეგზავნება, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებათა შესაბამისად შეიცავდეს მითითებებს იმ:
  - ა) ტერიტორიებზე, რომლებზედაც ორგანიზაციის დაინტერესებული წევრი კისრულობს უცვლელად გამოიყენოს ამ კონვენციის დებულებები;
  - ბ) ტერიტორიებზე, რომლებზედაც ორგანიზაციის დაინტერესებული წევრი კისრულობს გამოიყენოს ეს კონვენცია ცვლილებებით;
  - გ) ტერიტორიებზე, რომლებზედაც ეს კონვენცია არ იქნება გამოყენებული და ამ შემთხვევაში უნდა მიეთითოს მიზეზი, რომელთა გამოც არ გამოიყენება;
  - დ) ტერიტორიებზე, რომელთა მიმართაც იგი აყოვნებს გადაწყვეტილებას, მომავალში დებულებათა შემდგომ განხილვამდე.
2. ამ მუხლის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებში ვალდებულებანი ითვლება რატიფიცირების განუყოფელ ნაწილად და მათ მოსდევს ერთნაირი შედეგი.
3. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს განცხადების საშუალებით შეუძლია უარი თქვას ყველა იმ შენიშვნაზე ან მათ ნაწილზე, რომელნიც მოყვანილია მის წინა განცხადებაში ამ მუხლის 1 პუნქტის "ბ", "გ", "დ" ქვეპუნქტების ძალით.
4. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს შეუძლია იმ პერიოდებში, რომელთა განმავლობაში მე-9 მუხლის დებულებათა შესაბამისად შეიძლება ამ კონვენციის დენონსირება, გენერალურ დირექტორს გაუგზავნოს ახალი განცხადება, რომლითაც შეცვლის ნებისმიერ წინა განცხადებაში მითითებულ პირობებს და აცნობებს განსაზღვრულ ტერიტორიებზე მოქმედ დებულებათა შესახებ.

### **მუხლი 8**

1. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორისათვის გაგზავნილ განცხადებაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 35-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, უნდა მითითებული იყოს მოცემულ ტერიტორიებზე ეს კონვენცია უცვლელად გამოიყენება, თუ იგი შეცვლილია. თუკი განცხადებაში მითითებულია, რომ ამ კონვენციის დებულებები გამოიყენება ცვლილებებით, უნდა დაზუსტდეს სახელდობრ, რა ცვლილებებია კონვენციაში.
2. ორგანიზაციის შესაბამის წევრს ან წევრებს ან საერთაშორისო ხელისუფლებას შეუძლია ახალი განცხადებით უარყოს თავისი უფლება რომელიმე წინა განცხადებაში მითითებული ცვლილების მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენებაზე.
3. ორგანიზაციის შესაბამის წევრს ან წევრებს ან საერთაშორისო ხელისუფლებას შეუძლია იმ პერიოდებში, როცა მე-9 მუხლის დებულებათა შესაბამისად შეიძლება ამ კონვენციის დენონსირება, გენერალურ დირექტორს გაუგზავნოს ახალი განცხადება, რომელიც შეცვლის ნებისმიერ წინა განცხადებაში მითითებულ პირობებს და აცნობებს ამ კონვენციის გამოყენების შესახებ არსებულ მდგომარეობას.

### **მუხლი 9**

1. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს, რომელმაც ამ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, შეუძლია მისი თავდაპირველი ძალაში შესვლიდან ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ მისი დენონსირება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორისათვის გაგზავნილი და ამ უკანასკნელის მიერ რეგისტრირებული

დენონსირების აქტით. დენონსირება ძალაში შედის დენონსირების აქტის რეგისტრირებიდან ერთი წლის შემდეგ.

2. ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება და წინა პუნქტში მითითებული ათწლიანი პერიოდის გასვლიდან ერთი წლის ვადაში არ გამოიყენებს ამ მუხლით გათვალისწინებულ თავის უფლებას დენონსირების შესახებ, შემდეგი ათწლიანი პერიოდით იქნება შეზღუდული და საბოლოოდ კონვენციის დენონსირებას შეიძლება ყოველი ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ იმ წესით, როგორც ეს ამ მუხლითაა დადგენილი.

### **მუხლი 10**

1. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი აცნობებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრს ორგანიზაციის წევრთაგან მის მიერ მიღებული რატიფიცირების ყველა დოკუმენტის, განცხადების, დენონსირების აქტების რეგისტრირების შესახებ.

2. ორგანიზაციის წევრებს აცნობებს რა რატიფიცირების მეორე დოკუმენტების რეგისტრირებას, გენერალური დირექტორი მათ ყურადღებას მიაპყრობს ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს.

### **მუხლი 11**

შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი გაერო-ს გენერალურ მდივანს, გაერო-ს წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად, უგზავნის სრულ ინფორმაციას რეტიფიცირების დოკუმენტების, განცხადებებისა და დენონსირების აქტების შესახებ, რომლებიც მის მიერ რეგისტრირებულია წინა მუხლის შესაბამისად.

### **მუხლი 12**

1. იმ შემთხვევაში, თუ კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას, მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვლილს, და თუ ახალ კონვენციაში არ იქნება გათვალისწინებული საწინააღმდეგო, მაშინ:

ა) ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ახალი, შეცვლილი კონვენციის რატიფიცირებას, მე-9 მუხლის დებულებებისაგან დამოუკიდებლად, ავტომატურად მოსდევს ძველი კონვენციის დენონსირება იმ პირობით, რომ ახალი, შეცვლილი კონვენცია ძალაში შევიდა.

ბ) ახალი, შეცვლილი კონვენციის ძალაში შესვლიდან, ძველი კონვენცია დახურულია ორგანიზაციის წევრებისათვის სარატიფიკაციოდ.

2. ეს კონვენცია ნებისმიერ შემთხვევაში ძალაში რჩება ფორმითა და შინაარსით ორგანიზაციის იმ წევრისათვის, რომელთაც მოახდინეს მისი რატიფიცირება, მაგრამ არ მოუხდენიათ ახალი, შეცვლილი კონვენციის რატიფიცირება.

### **მუხლი 13**

ამ კონვენციის ინგლისური და ფრანგული ტექსტები თანაბარძალოვანია.

**რეკომენდაცია 90 მომუშავე მამაკაცისა და ქალის მიერ თანაბარი  
ღირებულების სამუშაოს შესრულებისათვის თანაბარი  
ანაზღაურების შესახებ, 1951**

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია,

რომელიც მოწვეულ იქნა ჟენევაში შრომის საერთაშორისო ბიუროს მმართველი ორგანოს მიერ, 1951 წლის 6 ივნისს შეიკრიბა თავის ოცდამეთოთხმეტე სესიაზე, და

გადაწყვიტა რა გარკვეული წინადადებების მიღება მამაკაც და ქალ მომუშავეთა მიერ თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულებისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის შესახებ, რაც ამ სესიის დღის წესრიგის მეშვიდე პუნქტს წარმოადგენს, და

გადაწყვიტა რა, რომ აღნიშნულ წინადადებებს რეკომენდაციის ფორმა მისცეს, რომელიც შეავსებს 1951 წლის კონვენციას თანასწორი ანაზღაურების შესახებ,

ათას ცხრაას ორმოცდათერთმეტი წლის იანვრის ოცდამეცხრე დღეს მიიღო შემდეგი რეკომენდაცია, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს როგორც 1951 წლის რეკომენდაცია თანასწორი ანაზღაურების შესახებ:

რამდენადაც 1951 წლის კონვენცია თანასწორი ანაზღაურების შესახებ განსაზღვრავს მამაკაც და ქალ მომუშავეთა მიერ თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულებისათვის თანაბარი ანაზღაურების ზოგად პრინციპებს;

რამდენადაც კონვენცია ითვალისწინებს მამაკაც და ქალ მომუშავეთა მიერ თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულებისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის ამოქმედების ხელშეწყობას, ან მის უზრუნველყოფას იმ საშუალებების გამოყენებით, რომელიც შესაბამის ქვეყანაში შრომის ანაზღაურების განაკვეთების დადგენის მოქმედ მეთოდებს შეესაბამება;

რამდენადაც სასურველია, გარკვეული პროცედურების მითითება კონვენციით გათვალისწინებული პრინციპების თანდათანობით განხორციელების შესახებ;

რამდენადაც ამავე დროს სასურველია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ამ პრინციპების გამოყენებისას გაითვალისწინონ ის მეთოდები, რომლებიც დამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული გარკვეულ ქვეყნებში;

კონფერენცია იძლევა რეკომენდაციას, რომ თითოეულმა წევრმა ქვეყანამ, რომელზეც ვრცელდება კონვენციის მე-2 მუხლის დებულებები, გამოიყენოს შემდეგი დებულებები და მმართველი ორგანოს თხოვნით ანგარიში წარუდგინოს შრომის საერთაშორისო ბიუროს იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც განხორციელდა ამ დებულებების განსახორციელებლად:

1. მომუშავეთა შესაბამის ორგანიზაციებთან, ან როდესაც არ არსებობს ამგვარი ორგანიზაციები, შესაბამის მომუშავეებთან კონსულტაციების გავლის შემდეგ განხორციელდეს შესაბამისი ქმედება, რათა:

(ა) უზრუნველყოფილ იქნეს მამაკაც და ქალ მომუშავეთა მიერ თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულებისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის გამოყენება ცენტრალური მთავრობის ყველა დაწესებულებაში და თუ სააგენტოში;

(ბ) წახალისოს ამ პრინციპის გამოყენება სახელმწიფო, პროვინციების, ადგილობრივი მთავრობის დაწესებულებებში და თუ სააგენტოებში მომუშავეთა მიმართ, სადაც მათ გააჩნიათ იურისდიქცია შრომის ანაზღაურების განაკვეთებზე.

2. დამსაქმებელთა და მომუშავეთა შესაბამის ორგანიზაციებთან კონსულტაციების შემდეგ შესაბამისი ქმედება უნდა განხორციელდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რამდენადაც შესაძლებელია სწრაფად, მამაკაც და ქალ მომუშავეთა მიერ თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულებისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის განხორციელება ყველა პროფესიაში, გარდა 1-ლი პუნქტით განსაზღვრული თანამდებობებისა, სადაც შრომის ანაზღაურების განაკვეთები ექვემდებარება საკანონმდებლო რეგულირებას ან საჯარო კონტროლს, განსაკუთრებით შემდეგთან დაკავშირებით --

(ა) მინიმალური ან სხვა სახელფასო განაკვეთების დაწესება იმ სამრეწველო და მომსახურების დარგებში, სადაც ამგვარი განაკვეთები განისაზღვრება სახელმწიფო ორგანოს მიერ;

(ბ) სახელმწიფო მფლობელობის ან კონტროლის ქვეშ მყოფი დარგები და საქმიანობები; და

(გ) შესაბამის შემთხვევაში, როდესაც სამუშაო სრულდება სახელმწიფო კონტრაქტების პირობების მიხედვით.

### 3.

(1) შესაბამის შემთხვევაში, შრომის ანაზღაურების განაკვეთების დადგენის მოქმედი მეთოდების გათვალისწინებით, შემოდებული უნდა იქნეს სამართლებრივი დებულება მამაკაც და ქალ მომუშავეთა მიერ თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულებისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის საყოველთაო გამოყენების შესახებ.

(2) კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანომ ყველა საჭირო და შესაბამისი ღონისძიება უნდა განახორციელოს, რათა უზრუნველყოს დამსაქმებლებისა და მომუშავეების სრული ინფორმირებულობა ამგვარი სამართლებრივი მოთხოვნების შესახებ, ხოლო შესაბამის შემთხვევაში, შესთავაზოს რჩევა ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ.

4. როდესაც მომუშავეთა და დამქირავებელთა შესაბამის ორგანიზაციებთან კონსულტაციის შემდეგ, თუ ისინი არსებობენ, შეუძლებლად იქნება მიჩნეული მომუშავე მამაკაცებისა და ქალების მიერ თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულებისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის დაუყოვნებელი განხორციელება 1-ელ, მე-2 ან მე-3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დასაქმებასთან მიმართებით შემუშავებული, ან ხელშეწყობილი უნდა იქნეს შესაბამისი დებულების შემდგომ დაგვარად სწრაფად შემუშავება ამ პრინციპის თანდათანობითი ამოქმედების მიზნით ისეთი ღონისძიებების გატარებით, როგორცაა --

(ა) მომუშავე მამაკაცებისა და ქალების მიერ თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულებისათვის განკუთვნილ ანაზღაურების განაკვეთებს შორის განსხვავების შემცირება;

(ბ) როდესაც მოქმედებს შრომის ანაზღაურების ზრდადი სისტემა, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მომუშავე მამაკაცების და ქალების მიერ თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულებისათვის შრომის ანაზღაურების განაკვეთების თანაბარი ზრდა.

5. როდესაც ეს მართებულია, მომუშავე მამაკაცებისა და ქალების მიერ თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულებისათვის თანაბარი განაკვეთების დადგენის ხელშეწყობისათვის, თითოეულმა წევრმა ქვეყანამ, დამსაქმებელთა და მომუშავეთა შესაბამის ორგანიზაციებთან შეთანხმებით უნდა დანერგოს, ან წახალისოს შესასრულებელი სამუშაოს ობიექტური შეფასების მეთოდების დანერგვა სამუშაოს ანალიზის, ან სხვა პროცედურების გამოყენებით ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სამუშაოთა კლასიფიკაცია გენდერული დისკრიმინაციის გარეშე; ამგვარი მეთოდები უნდა განხორციელდეს კონვენციის მე-2 მუხლის დებულებათა შესაბამისად.

6. მომუშავე მამაკაცებისა და ქალების მიერ თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულებისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სათანადო ქმედება უნდა განხორციელდეს, როდესაც ეს საჭიროა, რათა ამაღლდეს მომუშავე ქალთა პროდუქტიულობა ისეთ ღონისძიებების გატარებით, როგორცაა --

(ა) ორივე სქესის მომუშავეთათვის თანაბარი ან ექვივალენტური შესაძლებლობების უზრუნველყოფა პროფესიული ორიენტაციის ან დასაქმებაში კონსულტაციების მიღების, პროფესიული გადამზადების და სამუშაო ადგილის დაკავების თვალსაზრისით;

(ბ) შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რათა წახალისებულ იქნეს ქალთა მიერ იმ შესაძლებლობების გამოყენება, რომელიც განკუთვნილია პროფესიული ორიენტაციის ან დასაქმებაში კონსულტაციების მისაღებად, პროფესიული გადამზადების და სამუშაო ადგილის დასაკავებლად;

(გ) კეთილდღეობისა და სოციალური დახმარების უზრუნველყოფა, რომელიც აკმაყოფილებს ქალ მომუშავეთა, განსაკუთრებით ოჯახური ვალდებულებების მქონე ქალთა საჭიროებებს, და ამ დახმარებების დაფინანსება საერთო სახელმწიფო ფონდებიდან, სოციალური უზრუნველყოფის ან დარგის სოციალური დახმარების ფონდებიდან, რომელშიც გენდერული დისკრიმინაციის გარეშე მომუშავეთათვის ხორციელდება გადასახდელების შეტანა; და

(დ) მომუშავე მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის ხელშეწყობა პროფესიებსა და თანამდებობებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვის საერთაშორისო მარეგულირებელი წესების, ეროვნული კანონმდებლობისა და მარეგულირებელი წესების დარღვევის გარეშე.

7. ყოველი ძალისხმევა უნდა წარიმართოს, რათა გაიზარდოს საზოგადოების მიერ იმ საფუძვლების აღქმა, რომელსაც ეყრდნობა მომუშავე მამაკაცებისა და ქალების მიერ

თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულებისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის განხორციელება.

8. განხორციელდეს ისეთი კვლევები, რომელიც შესაძლოა სასურველი იყოს ამ პრინციპის გამოყენების ხელშეწყობისათვის.

### **კონვენცია 103 დედობის დაცვის შესახებ (გადასინჯულია), 1952**

კონვენცია შეეხება 1952 წლის დედობის დაცვის შესახებ კონვენციას (გადასინჯულია) 07:09:1955. (შენიშვნა: ძალაში შესვლის თარიღი: კონვენცია გადასინჯულ იქნა 2000 წელს 183-ე კონვენციით).

კონვენცია:C103

ადგილი: ჟენევა

კონფერენციის სესია:35

მიღების თარიღი: 28:06:1952

თემის კლასიფიკაცია: დახმარება დედობისათვის

თემის კლასიფიკაცია: დედობის დაცვა

თემა: დედობის დაცვა

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია,

რომელიც მოწვეულ იქნა ჟენევაში შრომის საერთაშორისო ბიუროს მმართველი ორგანოს მიერ, 1952 წლის 4 ივნისს შეიკრიბა თავის 35-ე სესიაზე, და

გადაწყვიტა რა გარკვეული წინადადებების მიღება დედობის დაცვის შესახებ, რაც ამ სესიის დღის წესრიგის მეშვიდე პუნქტს წარმოადგენს, და

გადაწყვიტა რა, რომ აღნიშნულ წინადადებებს საერთაშორისო კონვენციის ფორმა მისცეს;

ათას ცხრაას ორმოცდათორმეტი წლის ივნისის ოცდამერვე დღეს მიიღო შემდეგი კონვენცია, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს როგორც 1952 წლის კონვენცია «დედობის დაცვის შესახებ» (გადასინჯულია):

#### **მუხლი 1**

1. წინამდებარე კონვენცია შეეხება სამრეწველო და არასამრეწველო საქმიანობებს, სასოფლო სამეურნეო სფეროში მომუშავე ქალებს, მათ შორის სახლში საათობრივ მომუშავეებს.

2. ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი სამრეწველო საქმიანობა მოიცავს სახელმწიფო და კერძო სფეროების ნებისმიერ საქმიანობას, სახელდობრ --

(ა) მალაროები, კარიერები და ნიადაგიდან სასარგებლო წიაღისეულის ამოღებასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოები;

(ბ) საქმიანობები, რომლის დროსაც ხდება პროდუქციის წარმოება, შეცვლა, გასუფთავება, შეკეთება, ორნამენტებით დამშვენება, მოპირკეთება, რეალიზაციისათვის ადაპტირება, დაშლა ან დემონტაჟი, ან რომლის დროსაც ხდება მასალების ტრანზორმირება, მათ შორის გემთმშენებლობასთან, ან ელ. ენერჯის ან მამოძრავებელი ძალის გენერაციასთან, ტრანსფორმაციასა და გადაცემასთან დაკავშირებული საქმიანობები;



(გ) მშენებლობასა და საინჟინრო საქმიანობასთან დაკავშირებული საქმიანობები, მათ შორის კონსტრუქციების მშენებლობის, სარემონტო, ტექნიკური მომსახურების, კორექტირების და დემონტაჟის სამუშაოები;

(დ) საავტომობილო გზით, რკინიგზით, ზღვით, შიდა წყლებით ან საჰაერო გზით მგზავრების ან ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საქმიანობები, მათ შორის საქონლის დამუშავება ნავმისადგომებში, ნავსადგურებში, პირსებზე, საწყობებსა და აეროპორტებში.

3. წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის არასამრეწველო საქმიანობები მოიცავს ყველა იმ სამუშაოს, რომელიც ხორციელდება შემდეგ საქმიანობებთან ან მომსახურებებთან დაკავშირებით სახელმწიფო ან კერძო სექტორში:

(ა) კომერციული დაწესებულებები;

(ბ) საფოსტო და საკომუნიკაციო მომსახურებები;

(გ) დაწესებულებები და ადმინისტრაციული მომსახურები, სადაც დაქირავებით მომუშავეები უმთავრესად საკანცელარიო სამუშაოს ასრულებენ;

(ე) საგაზეთო საქმიანობა;

(ვ) სასტუმროები, პანსიონატები, რესტორნები, კლუბები, კაფეები და კვების სხვა ობიექტები;

(ზ) ავადმყოფთა, სუსტი ჯანმრთელობის ან მარტოხელათა და ობოლთა მკურნალობისა და მოვლის დაწესებულებები;

(თ) თეატრები და საზოგადოებრივი გართობის ადგილები;

(ი) შინამეურნეობებში საოჯახო საქმეების შესრულების მეშვეობით ხელფასის გამომუშავება;

და ნებისმიერი სხვა არასამრეწველო სამუშაო, რომლის მიმართ კომპეტენტურმა ორგანომ შესაძლოა გადაწყვიტონ კონვენციის დებულებების გამოყენება.

4. წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი სასოფლო-სამეურნეო სამუშაო მოიცავს სოფლის მეურნეობის დროს განხორციელებულ ყველა საქმიანობას, მათ შორის პლანტაციებსა და მსხვილმასშტაბიან ინდუსტრიალიზებულ სასოფლო სამეურნეო საქმიანობებს.

5. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ეჭვი წინამდებარე კონვენცია ვრცელდება თუ არა რომელიმე საქმიანობაზე, დარგზე ან პროფესიაზე, კომპეტენტურმა ორგანომ შესაბამის დამსაქმებელთა და მომუშავეთა ორგანიზაციებთან, სადაც ისინი არსებობენ, კონსულტაციების შედეგად უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი.

6. ეროვნული კანონებით ან მარეგულირებელი წესებით შესაძლოა ისეთ საქმიანობებზე, სადაც მხოლოდ დამქირავებლის ოჯახის წევრები მუშაობენ, როგორც ამას ეროვნული კანონმდებლობა და მარეგულირებელი წესები განსაზღვრავს, არ გავრცელდეს წინამდებარე კონვენცია.

## **მუხლი 2**

წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი ქალი ნიშნავს მდედრობითი სქესის პირს განურჩევლად ასაკის, ეროვნების, რასის ან მრწამსის, ოჯახური მდგომარეობისა, ხოლო ტერმინი შვილი ნიშნავს ქორწინებაში ან ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს.

## **მუხლი 3**

1. ქალი, რომლის მიმართაც ვრცელდება წინამდებარე კონვენცია, მას შემდეგ, როდესაც წარმოადგენს სამედიცინო ცნობას მშობიარობის სავარაუდო თარიღის შესახებ, მიიღებს დეკრეტულ შვებულებას.

2. დეკრეტული შვებულების პერიოდი შესაძლოა გაგრძელდეს სულ მცირე თორმეტი კვირა და მოიცავდეს მშობიარობის შემდგომ სავალდებულო შვებულების პერიოდს.
3. მშობიარობის შემდგომ სავალდებულო შვებულების პერიოდი განისაზღვრება ეროვნული კანონებით ან მარეგულირებელი წესებით, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა შეადგენდეს ექვს კვირაზე ნაკლებ პერიოდს; მთლიანი დეკრეტული შვებულების დარჩენილი პერიოდი შესაძლოა გაიცეს მშობიარობის სავარაუდო თარიღამდე, ან სავალდებულო პერიოდის გასვლის შემდეგ, ან ნაწილობრივ გაიცეს მშობიარობის სავარაუდო თარიღამდე და ნაწილობრივ - სავალდებულო შვებულების გასვლის შემდეგ, რაც შესაძლოა განისაზღვროს ეროვნული კანონებით ან მარეგულირებელი წესებით.
4. მშობიარობის სავარაუდო თარიღამდე შვებულება შესაძლოა გაგრძელდეს ნებისმიერი პერიოდით მშობიარობის სავარაუდო თარიღიდან ფაქტობრივ თარიღამდე, რის გამოც მშობიარობის შემდგომი სავალდებულო შვებულების პერიოდის შემცირება დაუშვებელია.
5. ფეხმძიმობით განპირობებული ავადმყოფობის შემთხვევაში, რაც სამედიცინო ცნობით დადასტურდება, ეროვნული კანონებით ან მარეგულირებელი წესებით გათვალისწინებული უნდა იქნეს დამატებითი შვებულება მშობიარობამდე, რომლის ხანგრძლივობას კომპეტენტური ორგანო განსაზღვრავს.
6. მშობიარობით განპირობებული ავადმყოფობის შემთხვევაში, რაც სამედიცინო ცნობით დადასტურდება, შესაძლებელი უნდა იყოს ქალის შვებულების გაგრძელება მშობიარობის შემდეგ, რომლის მაქსიმალურ ხანგრძლივობას კომპეტენტური ორგანო განსაზღვრავს.

#### **მუხლი 4**

1. სამუშაოზე არყოფნისას მე-3 მუხლის დებულებების შესაბამისად დეკრეტულ შვებულებაში ყოფნის გამო ქალს უფლება აქვს მიიღოს ფულადი და სამედიცინო დახმარებები.
2. ფულადი დახმარებების ოდენობა განისაზღვრება ეროვნული კანონებით ან მარეგულირებელი წესებით ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დახმარებების ის ოდენობა, რომელიც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ქალმა უზრუნველყოს საკუთარი და შვილის ჯანმრთელობის სრული დაცვა ცხოვრების სათანადო დონის შესაბამისად.
3. სამედიცინო დახმარებები უნდა მოიცავდეს პრენატალურ, მშობიარობის და პოსტნატალურ პერიოდში კვალიფიციური ბებიაქალების ან ექიმების მიერ მზრუნველობის გაწევას, ასევე საჭიროების შემთხვევაში ჰოსპიტალიზაციას; ექიმის, სახელმწიფო და კერძო საავადმყოფოების თავისუფალ არჩევანს პატივი უნდა ვცეთ.
4. ფულადი და სამედიცინო დახმარებების გაცემა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სავალდებულო სოციალური დაზღვევის საშუალებებით, ან სახელმწიფო ფონდების მეშვეობით; ორივე შემთხვევაში მათი მიღება ყველა იმ ქალის უფლებას უნდა შეადგენდეს, რომელიც განსაზღვრულ პირობებს დააკმაყოფილებს.
5. ქალები, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ დახმარებების გასაცემად განსაზღვრულ პირობებს უფლება უნდა ჰქონდეთ ადექვატური დახმარება მიიღონ სოციალური დახმარების ფონდიდან, რისთვისაც განხორციელდება მათ მიერ ამგვარი დახმარების მიღების საჭიროებების შეფასება.
6. თუ ფულადი დახმარებების გაცემა ხორციელდება წინა წლებში გამომუშავებული შემოსავლის მიხედვით, ამგვარი დახმარებების ოდენობა არ უნდა იყოს ქალის მიერ წინა წლებში გამომუშავებული შემოსავლის ან იმ შემოსავლების ორ მესამედზე ნაკლები, რომლის მიხედვითაც ხდება დახმარებების გაანგარიშება.

7. ნებისმიერი გადასახდელი სავალდებულო სოციალური დაზღვევის პროგრამაში, საიდანაც ხდება დედობის დახმარებების გადახდა ან ნებისმიერი გადასახადი ხელფასებიდან, რომელიც ამგვარი დახმარებების გაცემის მიზნით გროვდება, და მას იხდის როგორც დამქირავებელი, ასევე მომუშავე, ან მხოლოდ დამქირავებელი, გადახდილი უნდა იქნეს მოცემული ორგანიზაციის მიერ დაქირავებული მამაკაცებისა და ქალების მთლიანი რაოდენობისათვის განურჩევლად სქესისა.

8. დამქირავებელი ინდივიდუალურად არ არის პასუხისმგებელი მის მიერ დაქირავებული ქალებისათვის ამგვარი დახმარებების გაწევაზე.

## **მუხლი 5**

1. თუ ქალი ძუძუთი კვებავს ბავშვს, მას უფლება აქვს სამუშაო შეწყვიტოს ამ მიზნით ერთხელ ან რამდენჯერმე, როგორც ამას განსაზღვრავს ეროვნული კანონები ან მარეგულირებელი წესები.

2. სამუშაოს შეწყვეტის შემთხვევები ძუძუთი კვების მიზნისათვის ჩაითვლება სამუშაო საათებად და შესაბამისად ანაზღაურდება იმ შემთხვევაში, როდესაც ეს საკითხი რეგულირდება კანონებით და მარეგულირებელი წესებით; იმ შემთხვევაში, როდესაც ეს საკითხი კოლექტიური შეთანხმებით რეგულირდება, ეს პირობა უნდა განისაზღვროს შესაბამისი შეთანხმებით.

## **მუხლი 6**

ქალის სამუშაოზე არყოფნისას ამ კონვენციის მე-3 მუხლის დებულებების შესაბამისად დეკრეტულ შვებულებაში ყოფნის გამო, მის დამქირავებელს არ აქვს კანონიერი უფლება გაუგზავნოს სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ შეტყობინება მისი არყოფნის დროს, ან მისი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს იმ დროს, როდესაც ამ შეტყობინების ვადა ამოიწურება ქალის სამუშაოზე არყოფნის განმავლობაში.

## **მუხლი 7**

1. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი, რომელიც მოახდენს ამ კონვენციის რატიფიცირებას, შეუძლია რატიფიცირების დოკუმენტებზე დეკლარაციის დართვით დაუშვას ამ კონვენციის გამოყენებიდან გამონაკლისები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით --

(ა) არასამრეწველო საქმიანობების გარკვეული კატეგორიები;

(ბ) სოფლის მეურნეობის დარგში, პლანტაციების გამოკლებით, განხორციელებული საქმიანობები;

(გ) კერძო შინამეურნეობებში საოჯახო საქმის შესრულებით ხელფასის გამომუშავება;

(დ) სახლში მომუშავე ქალები, რომლებიც გამოიმუშავენ ხელფასს;

(ე) მგზავრთა ან საქონლის ზღვით ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საქმიანობები.

2. სამუშაოთა და საქმიანობათა ის კატეგორიები, რომელთა მიმართ წევრი სახელმწიფო ამ მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებების გამოყენებას გვთავაზობს, მითითებული უნდა იქნეს რატიფიცირების დოკუმენტების თანდართულ დეკლარაციაში.

3. ნებისმიერმა წევრმა, რომელმაც ამგვარი დეკლარაცია გააკეთა, შემდგომი დეკლარაციის წარდგენით შეუძლია ნებისმიერ დროს მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს ეს დეკლარაცია.

4. ყველა წევრმა სახელმწიფომ, რომლის მიერ გაკეთებული დეკლარაცია ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად ძალაში შევიდა, წინამდებარე კონვენციის გამოყენების

შემდეგ ყოველ წელს მათ მიერ მომზადებულ წლიურ ანგარიშში უნდა მიუთითონ რა მდგომარეობაა ქვეყანაში არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიხედვით იმ საქმიანობებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართ ვრცელდება ამ მუხლის 1-ლი პუნქტი აღნიშნული დეკლარაციის მეშვეობით, და თუ რა ხარისხით განხორციელდა წინამდებარე კონვენცია ან რას გვთავაზობენ მის განსახორციელებლად ამგვარ საქმიანობებთან დაკავშირებით.

5. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ შრომის საერთაშორისო ბიუროს მმართველი საბჭო კონფერენციას წარუდგენს სპეციალურ ანგარიშს ამგვარი გამონაკლისების გამოყენების შესახებ, რომელიც უნდა შეიცავდეს ისეთ წინადადებებს, რომელთაც მმართველმა საბჭომ მართებულად მიიჩნევს ამ საკითხთან მიმართებით დამატებითი ქმედებების განხორციელების მიზნით.

## **მუხლი 8**

ამ კონვენციის რატიფიცირების ოფიციალური დოკუმენტები რეგისტრაციისათვის ეგზავნება «შრომის საერთაშორისო ბიუროს» გენერალურ დირექტორს.

## **მუხლი 9**

1. ამ კონვენციის შესრულება სავალდებულოა მხოლოდ «შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის» იმ წევრი ქვეყნებისათვის, რომელთა რატიფიცირების დოკუმენტები დარეგისტრირდა გენერალური დირექტორის მიერ.

2. კონვენცია ძალაში შევა გენერალური დირექტორის მიერ ორგანიზაციის ორი წევრი სახელმწიფოს რატიფიცირების დოკუმენტების რეგისტრირებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

3. შემდგომ, ეს კონვენცია ნებისმიერი წევრი ქვეყნის მიმართ ძალაში შედის ამ წევრი ქვეყნის რატიფიცირების დოკუმენტების რეგისტრირებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

## **მუხლი 10**

1. «შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის» წესდების 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით «შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორისათვის გაგზავნილი ოფიციალურ განცხადებაში მითითებული უნდა იქნეს:

ა) ტერიტორიები, სადაც წევრი ქვეყანა კისრულობს ვალდებულებას უცვლელად გამოიყენოს ამ კონვენციის დებულებები;

ბ) ტერიტორიები, სადაც წევრი ქვეყანა კისრულობს ვალდებულებას ამ კონვენციის დებულებები გამოიყენოს ცვლილებებით და აღნიშნული ცვლილებების შესახებ დეტალურ ინფორმაცია;

გ) ტერიტორიები, სადაც ეს კონვენცია არ იქნება გამოყენებული და ასეთ შემთხვევებში მიუთითოს ის საფუძველი, რომლის გამოც არ ხდება ამ კონვენციის გამოყენება;

დ) ტერიტორიები, რომელთა მიმართ იგი აყოვნებს გადაწყვეტილების მიღებას არსებული მდგომარეობის შემდგომ განხილვამდე.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) და (ბ) ქვეპუნქტებში მითითებული ვალდებულებები ითვლება რატიფიცირების განუყოფელ ნაწილად და რატიფიცირების ძალა უნდა გააჩნდეს.

3. წევრ ქვეყანას შემდგომი განცხადების საშუალებით ნებისმიერ დროს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ გააუქმოს მის წინა განცხადებაში ამ მუხლის 1-ლი პუნქტის (ბ), (გ) ან (დ) ქვეპუნქტების ძალით გაკეთებული ნებისმიერი დათქმა

4. ნებისმიერ წევრ ქვეყანას შეუძლია იმ პერიოდში, როდესაც მე-12 მუხლის დებულებათა შესაბამისად შეიძლება ამ კონვენციის დენონსირება, გენერალურ დირექტორს გაუგზავნოს განცხადება, რომლითაც შეცვლის ნებისმიერ წინა განცხადებაში მითითებულ პირობებს და აცნობებს ამგვარ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობას, რომელიც შესაძლოა შეიცვალოს.

**მუხლი 11**

1. «შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის» წესდების 35-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად «შრომის საერთაშორისო ბიუროს» გენერალური დირექტორისათვის გაგზავნილ განცხადებაში უნდა მიეთითოს მოცემულ ტერიტორიაზე კონვენციის დებულებები უცვლელად გამოიყენება, თუ ცვლილებების შეტანით; თუ განცხადებაში მითითებულია, რომ კონვენციის დებულებები ექვემდებარება ცვლილებებს, მასში დაწვრილებით უნდა მიეთითოს აღნიშნული ცვლილებები.

2. წევრ ქვეყანას, წევრ ქვეყნებს ან შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციას შეუძლია ახალი განცხადების მეშვეობით უარი განაცხადოს წინა განცხადებაში მითითებული ნებისმიერი ცვლილების მთლიანად ან ნაწილობრივ განხორციელების უფლებაზე.

3. წევრ ქვეყანას, წევრ ქვეყნებს ან შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციას შეუძლია იმ პერიოდში, როდესაც მე-12 მუხლის დებულებათა შესაბამისად შეიძლება ამ კონვენციის დენონსირება, გენერალურ დირექტორს გაუგზავნოს განცხადება, რომლითაც შეცვლის ნებისმიერ წინა განცხადებაში მითითებულ პირობებს და აცნობებს ამ კონვენციის გამოყენების შესახებ არსებულ მდგომარეობას.

**მუხლი 12**

1. წევრ ქვეყანას, რომელმაც ამ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, შეუძლია კონვენციის თავდაპირველად ძალაში შესვლის თარიღიდან ათი წლის გასვლის შემდეგ გააუქმოს იგი «შრომის საერთაშორისო ბიუროს» გენერალური დირექტორისათვის რეგისტრაციის მიზნით გაგზავნილი დენონსირების აქტით. დენონსირება ძალაში შედის დენონსირების აქტის რეგისტრაციიდან ერთი წლის შემდეგ.

2. ყოველი წევრი ქვეყანა, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება და რომელიც წინა პარაგრაფში მითითებული ათწლიანი პერიოდის გასვლიდან ერთი წლის ვადაში არ გამოიყენა ამ მუხლის წინა პუნქტით გათვალისწინებული დენონსირების უფლება, ვალდებულია შეასრულოს კონვენცია შემდეგი ათი წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ შეუძლია მოახდინოს კონვენციის დენონსირება ყოველი ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

**მუხლი 13**

1. «შრომის საერთაშორისო ბიუროს» გენერალური დირექტორი «შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის» ყველა წევრს აცნობებს ორგანიზაციის წევრებიდან მიღებული რატიფიცირების ყველა დოკუმენტის, განცხადებებისა და დენონსირების აქტების შესახებ.

2. გენერალური დირექტორი ორგანიზაციის წევრებს აცნობებს რატიფიცირების მეორე დოკუმენტების რეგისტრაციის შესახებ და მათ ყურადღებას მიაპყრობს ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღზე.

**მუხლი 14**

გაეროს წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად «შრომის საერთაშორისო ბიუროს» გენერალური დირექტორი გაეროს გენერალურ მდივანს უგზავნის სრულ ინფორმაციას მის მიერ წინა მუხლის შესაბამისად დარეგისტრირებული

რატიფიცირების დოკუმენტების, განცხადებებისა და დენონსირების აქტების შესახებ.

### **მუხლი 15**

ყოველთვის, როდესაც «შრომის საერთაშორისო ბიუროს» მმართველი საბჭო საჭიროდ ჩათვლის, გენერალურ კონფერენციას წარუდგენს ანგარიშს ამ კონვენციის მოქმედების შესახებ და შეისწავლის კონფერენციის დღის წესრიგში კონვენციის ტექსტის მთლიანად ან ნაწილობრივ გადასინჯვის საკითხის შეტანის საჭიროების შესახებ.

### **მუხლი 16**

1. იმ შემთხვევაში, თუ კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას ამ კონვენციის მთლიანად ან ნაწილობრივ გადასინჯვის შედეგად, და თუ სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული ახალი კონვენციით --

ა) ორგანიზაციის რომელიმე წევრი ქვეყნის მიერ ახალი, გადასინჯული კონვენციის რატიფიცირებას, მე-12 მუხლის დებულებებისაგან დამოუკიდებლად, დაუყოვნებლივ მოსდევს ამ კონვენციის დენონსირება, იმ შემთხვევაში, თუ ახალი გადასინჯული კონვენცია ძალაშია შესული;

ბ) ახალი, გადასინჯული კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან წევრი ქვეყნების მიერ წინამდებარე კონვენციის რატიფიცირება შეწყდება.

2. ნებისმიერ შემთხვევაში წინამდებარე კონვენცია ძალაში რჩება მოცემული ფორმითა და შინაარსით იმ წევრი ქვეყნებისათვის, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება, მაგრამ არ მოუხდენიათ გადასინჯული კონვენციის რატიფიცირება.

### **მუხლი 17**

წინამდებარე კონვენციის ინგლისურ და ფრანგულ ვერსიებს თანაბარი ძალა გააჩნია.

## **დედობის დაცვის შესახებ რეკომენდაცია, 1952**

რეკომენდაცია შეეხება დედობის დაცვას

რეკომენდაცია: R095

ადგილი: ჟენევა

კონფერენციის სესია: 35

მიღების თარიღი: 28:06:1952

კლასიფიკაციის საგანი: დედობის დახმარება

კლასიფიკაციის საგანი: დედობის დაცვა

საგანი: დედობის დაცვა

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია,

რომელიც მოწვეულ იქნა ჟენევაში შრომის საერთაშორისო ბიუროს მმართველი ორგანოს მიერ, 1952 წლის 4 ივნისს შეიკრიბა 35-ე სესიაზე, და

გადაწყვიტა გარკვეული წინადადებების მიღება დედობის დაცვის შესახებ, რაც ამ სესიის დღის წესრიგის მეშვიდე პუნქტს წარმოადგენს, და

გადაწყვიტა, რომ აღნიშნულ წინადადებებს რეკომენდაციის ფორმა მისცეს, რომელიც დედობის დაცვის 1952 კონვენციის (გადასინჯული) დამატებას წარმოადგენს,

ათას ცხრას ორმაცდათორმეტი წლის ოცდამერვე დღეს მიიღო შემდეგი რეკომენდაცია, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს როგორც 1952 წლის «დედობის დაცვის შესახებ რეკომენდაცია».

## I. დეკრეტული შვებულება

1.

(1) დედობის დაცვის შესახებ 1952 წლის კონვენციის (გადასინჯულია) მე-3 მუხლის მე-2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული დეკრეტული შვებულება უნდა გაგრძელდეს მთლიანად 14 კვირამდე, როდესაც ეს საჭიროა ქალის ჯანმრთელობისათვის და როდესაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია.

(2) მმართველ ორგანოებს უნდა გააჩნდეთ უფლება ცალკეულ შემთხვევებში, სამედიცინო ცნობის საფუძველზე, გააგრძელონ დედობის დაცვის შესახებ 1952 წლის კონვენციის (გადასინჯულია) მე-3 მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ანტინატალური და პოსტნატალური შვებულება იმ შემთხვევაში, თუ შვებულების გაგრძელება ჩანს, რომ საჭიროა დედის და ბავშვის ჯანმრთელობის დასაცავად და განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ან არსებობს პათოლოგიური მდგომარეობის, როგორცაა ნაადრევი მშობიარობა და სხვა ანტინატალური და პოსტნატალური გართულებების - განვითარების საშიშროება.

## II. დახმარებები ორსული ქალებისათვის

2.

(1) როდესაც ეს შესაძლებელია, დედობის დაცვის შესახებ 1952 წლის კონვენციის (გადასინჯულია) მე-4 მუხლის მიხედვით გასაცემი ფულადი დახმარებები უნდა განისაზღვროს ამ კონვენციით გათვალისწინებულ მინიმალურ სტანდარტზე უფრო დიდი განაკვეთით და გაუთანაბრდეს, თუ ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, ქალის მიერ წინა წლებში გამომუშავებული შრომითი შემოსავლის 100 პროცენტს, რომლის მიხედვითაც მოხდა დახმარებების გაანგარიშება.

(2) როდესაც ეს შესაძლებელია, აღნიშნული კონვენციის მე-4 მუხლის შესაბამისად გასაცემი სამედიცინო დახმარებები უნდა შეიცავდეს თერაპევტის მომსახურებას და სპეციალურ ამბულატორიულ და სტაციონალურ მკურნალობას, მათ შორის სახლში ვიზიტს; სტომატოლოგიურ მომსახურებას; კვალიფიცირებული ბებიაქალებისა და სხვა სამედიცინო მომსახურებას სახლში ან საავადმყოფოში; მედდის მზრუნველობას სახლში ან საავადმყოფოში, ან სხვა სამედიცინო დაწესებულებებში; მზრუნველობას საავადმყოფოებში ან სხვა სამედიცინო ინსტიტუტებში; ფარმაცევტული, სტომატოლოგიური ან სხვა სამედიცინო ან ქირურგიული მარაგებით უზრუნველყოფას; ასევე სათანადო სამედიცინო ზედამხედველობის ქვეშ ისეთი სხვა პროფესიის წევრების მიერ მზრუნველობის გაწევას, რომლებიც იურიდიულად იქნებიან აღიარებულნი კომპეტენტურ პირებად გასწიონ ორსულობასთან დაკავშირებული მომსახურებები.

(3) სამედიცინო დახმარების გაწევა უნდა ხდებოდეს ქალის ჯანმრთელობის, ასევე მისი შრომისუნარობის, შენარჩუნების, აღდგენის ან გაუმჯობესების მიზნით, რათა შეძლოს თავისი პირადი საჭიროებების დაკმაყოფილება.

(4) ინსტიტუტებმა ან სახელმწიფო დეპარტამენტებმა, რომლებიც ახორციელებენ სამედიცინო დახმარების ადმინისტრირებას, უნდა მოუწოდონ ქალებს, ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც სათანადოდ იქნება მიჩნეული, რომ ისარგებლონ სახელმწიფო ორგანიზაციების, ან სახელმწიფო ორგანოების მიერ აღიარებული სხვა ორგანოების მიერ მათთვის განკუთვნილი ჯანმრთელობის ზოგადი მომსახურებებით.

(5) ამასთან, ეროვნული კანონმდებლობით ან მარეგულირებელი წესებით ამგვარ ინსტიტუტებს ან სახელმწიფო დეპარტამენტებს შესაძლოა მიეცეთ უფლებამოსილება უზრუნველყონ ქალთა და ჩვილი ბავშვების ჯანმრთელობა.

(6) სხვა დახმარებები ნატურით ან ფულადი სახით, როგორცაა საბავშვო კომპლექტები ან საბავშვო კომპლექტების შეძენისათვის ფულადი დახმარება, რძის მიწოდება ან მეძუძური დედების დახმარება, და სხვა, შესაძლოა დაემატოს ამ პუნქტის 1-ლი და მე-2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დახმარებებს.

### III. მეძუძური დედებისა და ჩვილ ბავშვებისათვის განკუთვნილი დაწესებულებები

#### 3.

(1) როდესაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, ძუძუთი კვების შესვენებების ხანგრძლივობა უნდა გაიზარდოს სულ მცირე საათნახევრით სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო ძუძუთი კვების შესვენებების სიხშირისა და ხანგრძლივობის კორექტირება ნებადართულია სამედიცინო ცნობის საფუძველზე.

(2) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საბავშვო ბაღის ან დღის მოვლის ცენტრების დაარსება, უმჯობესია იმ ტერიტორიის გარეთ, სადაც ქალები მუშაობენ; როდესაც ეს შესაძლებელია უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ამგვარ დაწესებულებების დაფინანსებისათვის ანარიცხების გაკეთება, ან სულ მცირე სუბსიდირება თემის ხარჯზე ან სავალდებულო სოციალური დაზღვევის მეშვეობით.

(3) საბავშვო ბაღსა და დღის მოვლის ცენტრებში არსებული აღჭურვილობა და ჰიგიენური მოთხოვნები, ასევე პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მარეგულირებელ სტანდარტებს, რომელთა დამოწმებასაც და რომელთა შესრულებაზე ზედამხედველობა კომპეტენტურმა ორგანომ უნდა განახორციელოს.

### IV. სამუშაო ადგილის შენარჩუნება

#### 4.

(1) როდესაც ეს შესაძლებელია, მშობიარობამდე და მისი შემდგომი პერიოდის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დედობის დაცვის შესახებ 1952 წლის კონვენციის (გადასინჯულია) მე-6 მუხლის შესაბამისად ქალი დაცულია დამსაქმებლის მიერ სამსახურიდან განთავისუფლებისაგან – უნდა დაიწყოს იმ თარიღიდან, როდესაც ქალის დამქირავებელს სამედიცინო ცნობა წარედგინა ქალის



ორსულობის შესახებ და გაგრძელდეს სულ მცირე ერთი თვე კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დეკრეტული შვებულების დასრულებიდან.

(2) დაცულ პერიოდში სამსახურიდან განთავისუფლების ლეგიტიმურ საფუძვლებს შორის, რომელიც კანონით უნდა განისაზღვროს, უნდა იყოს დაქირავებით მომუშავე ქალის სერიოზული ბრალი მიუძღვის, ორგანიზაციის დახურვა, ან დასაქმების ხელშეკრულების ვადის გასვლა. იქ, სადაც ფუნქციონირებს საბჭოები, სასურველია სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ მათთან კონსულტაციების გავლა.

(3) სამუშაოზე მისი არყოფნის დროს მშობიარობამდე და მის შემდეგ, შენარჩუნებული უნდა იქნეს ქალის დაწინაურების უფლებები, ასევე მისი უფლება დაუბრუნდეს მის მიერ ადრე დაკავებულ სამუშაო ადგილს ან ადექვატურ სამუშაოს ანალოგიური ანაზღაურებით.

## V. დაქირავებით მომუშავე ქალის ჯანმრთელობის დაცვა დედობის პერიოდში

### 5.

(1) ორსული ქალების ან მეძუძური დედებისათვის დაუშვებელია ღამის ცვლაში მუშაობა ან ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება, ხოლო მათი სამუშაო საათები ისე უნდა დაიგეგმოს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს დასვენების ადექვატური პერიოდების არსებობა.

(2) ქალის დასაქმება ისეთ სამუშაოზე, რომელიც კომპეტენტური ორგანოს შეფასებით მავნებელია დედის ან ბავშვის ჯანმრთელობისათვის, უნდა აიკრძალოს ორსულობის პერიოდში ან მშობიარობის შემდეგ სულ მცირე სამი თვის განმავლობაში და უფრო მეტ ხანს, როდესაც ქალი ძუძუთი კვებას ჩვილს.

(3) სამუშაო, რომლის მიმართაც მე-2 ქვეპუნქტის დებულებები ვრცელდება, განსაკუთრებით უნდა მოიცავდეს:

(ა) ნებისმიერ მძიმე სამუშაოს, რომელიც მოიცავს --

(ი) სიმძიმის აწევას, გათრევას ან ბიძგებას; ან

(იი) არასათანადო და უჩვეულო ფიზიკურ დაძაბულობას, მათ შორის ფეხზე ხანგრძლივი დგომას;

(ბ) სამუშაოს, რომელიც მოითხოვს სპეციალურ წონასწორობას; და

(გ) ვიბრაციული ტექნიკაზე მუშაობას.

(4) ქალი, რომელიც დასაქმებული იყო ისეთ სამუშაოზე, რომელიც კომპეტენტური ორგანოს შეფასებით მავნებელია ქალის ჯანმრთელობისათვის, უფლება აქვს ხელფასის დანაკარგის გარეშე გადავიდეს სხვა სახის სამუშაოზე, რომელიც არ არის მისი ჯანმრთელობისათვის საზიანო.

(5) სხვა სამუშაოზე გადასვლის ამგვარი უფლება ინდივიდუალურ შემთხვევებში ასევე უნდა მიეცეს ნებისმიერ ქალს ფეხმძიმობის გამო, ვინც წარმოადგენს

სამედიცინო ცნობას, სადაც მითითებულია, რომ ქალის სამუშაოს შინაარსის შეცვლა მისი და მისი ბავშვის ჯანმრთელობისათვის არის საჭირო.

## კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ 1958

*საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის  
1995 წლის 4 მაისის დადგენილებით*

შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭოს მიერ ჟენევაში მიწვეული და 1958 წლის 4 ივნისს თავის ორმოცდამეორე სესიაზე შეკრებილი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია, რომელმაც დაადგინა, რომ სესიის დღის წესრიგის მე-4 პუნქტად მიღებულ იქნეს მთელი რიგი წინადადებები შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ, გადაწყვიტა ამ წინადადებებს მისცეს საერთაშორისო კონვენციის ფორმა, გაითვალისწინა, რომ ფილადელფიის დეკლარაციის თანახმად, ყოველ ადამიანს, მიუხედავად რასის, სარწმუნოების და სქესისა, აქვს მატერიალური კეთილდღეობის და სულიერი განვითარების უფლება თავისუფლებისა და ღირსების, ეკონომიკური სიმყარისა და თანაბარი შესაძლებლობების პირობებში, და მიაჩნია, რომ დისკრიმინაცია ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციით გამოცხადებული უფლებების დარღვევაა, ასათ ცხრაას ორმოცდათვრამეტი წლის ივნისის თვის ოცდამეხუთე დღეს იღებს ამ კონვენციას, რომელსაც ეწოდება „1958 წლის კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“.

### მუხლი 1

1. ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „დისკრიმინაცია“ მოიცავს:
  - a) ყოველგვარ განსხვავებას, დაუშვებლობას, ან უპირატესობას რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, პოლიტიკური მრწამსის, უცხოელების ან სოციალური წარმომავლობის ნიშნით, რომელიც იწვევს შრომისა და დასაქმების სფეროში შესაძლებლობების ან მოპყრობის თანასწორობის მოსპობას ან დარღვევას;
  - b) ყოველგვარ სხვა განსხვავებას, დაუშვებლობას ან უპირატესობას, რომელიც იწვევს შრომისა და დასაქმების სფეროში შესაძლებლობების ან მოპყრობის თანასწორობის მოსპობას ან დარღვევას და რომელსაც შესაბამისი წევრი განსაზღვრავს მეწარმეთა და მშრომელთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან, სადაც ასეთები არსებობს, და სხვა შესაბამის ორგანოებთან კონსულტაციით.
2. დისკრიმინაციად არ ჩაითვლება ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა ან უპირატესობა განსაზღვრული სამუშაოს მიმართ, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება.
3. ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „შრომა“ და „დასაქმება“ მოიცავს პროფესიული სწავლების, შრომისა და სხვადასხვა საქმიანობის მისაწვდომობას, აგრეთვე შრომის ანაზღაურებას და პირობებს.

## **მუხლი 2**

ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომლისთვისაც კონვენცია ძალაშია, კისრულობს ვალდებულებას განსაზღვროს და განახორციელოს ეროვნული პოლიტიკა, რომლის მიზანია ეროვნული პირობებისა და პრაქტიკის შესაბამისი მეთოდებით წახალისოს შესაძლებლობების და მოპყრობის თანასწორობა შრომისა და დასაქმების სფეროში, რათა აღმოფხვრას ყოველგვარი დისკრიმინაცია.

## **მუხლი 3**

ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომლისთვისაც ეს კონვენცია ძალაშია, კისრულობს ვალდებულებას ეროვნული პირობებისა და პრაქტიკის შესაბამისი მეთოდებით:

- a) უზრუნველყოს მეწარმეთა და მშრომელთა ორგანიზაციის, აგრეთვე სხვა შესაბამისი ორგანოების თანამშრომლობა ამ პოლიტიკის მიღებისა და დაცვის ხელშეწყობის საქმეში;
- b) შემოიღოს ისეთი კანონმდებლობა და წახალისოს იმგვარი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ პოლიტიკის მიღებასა და დაცვას;
- c) გააუქმოს ამ პოლიტიკასთან შეუთავსებელი ყოველგვარი საკანონმდებლო დებულებანი და შეცვალოს ყოველგვარი ადმინისტრაციული ინსტრუქციები ან პრაქტიკა;
- d) განახორციელოს შრომის სფეროში დადგენილი პოლიტიკა სახელმწიფო ხელისუფლების უშუალო კონტროლით;
- i) უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების ხელმძღვანელობით დადგენილი პოლიტიკის დაცვა პროფესიული ორიენტირების, პროფესიული სწავლებისა და შრომითი მოწყობის დაწესებულებების საქმიანობაში;
- f) კონვენციის გამოყენების შესახებ თავის ყოველწლიურ მოხსენებაში მიუთითოს ზემოაღნიშნული პოლიტიკის თანახმად განხორციელებული ღონისძიებები და ამ ღონისძიებათა მეშვეობით მიღწეული შედეგები.

## **მუხლი 4**

იმ პირის წინააღმდეგ მიღებული ნებისმიერი ზომები, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი ან დამტკიცებულია, რომ იგი ეწევა სახელმწიფო უსაფრთხოების ძირგამომთხრელ საქმიანობას, არ ითვლება დისკრიმინაციად იმ პირობით, თუ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება მიმართოს ეროვნული პრაქტიკის შესაბამისად შექმნილ კომპეტენტურ ორგანოს.

## **მუხლი 5**

1. დისკრიმინაციად არ ჩაითვლება დაცვისა და დახმარების განსაკუთრებული ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია შრომის საერთაშორისო კონფერენციის მიერ მიღებულ სხვა კონვენციებსა და რეკომენდაციებში.
2. ორგანიზაციის ყოველი წევრს შეუძლია მეწარმეთა და მშრომელთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან, სადაც ასეთი არსებობს, კონსულტაციით დაადგინოს, რომ დისკრიმინაციად არ ჩაითვლება სხვა ნებისმიერი განსაკუთრებული ღონისძიებები, რომლებიც გამიზნულია იმ პირთა განსაკუთრებულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც სქესის, ასაკის, ფიზიკური არასრულფასოვნების, ოჯახურ გარემოებათა, ანდა სოციალური ან კულტურული ღონის გათვალისწინებით ჩვეულებრივ ცნობენ განსაკუთრებულ დაცვისა და დახმარების გასაწევ პირებად.

## **მუხლი 6**

ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება, კისრულობს ვალდებულებას, გამოიყენოს იგი მეტროპოლიის გარე ტერიტორიაზე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების დებულებათა შესაბამისად.

## **მუხლი 7**

ოფიციალური საბუთები ამ კონვენციის რატიფიკაციის რეგისტრაციისათვის ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს.

## **მუხლი 8**

1. ეს კონვენცია აერთიანებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხოლოდ იმ წევრებს, რომელთა რატიფიკაციის საბუთებიც რეგისტრირებულია გენერალური დირექტორის მიერ.

2. იგი ძალაში შედის იმ თარიღიდან თორმეტი თვის შემდეგ, როცა გენერალური დირექტორი რეგისტრაციაში გაატარებს ორგანიზაციის ორი წევრის რატიფიკაციის საბუთებს.

3. შემდგომში ეს კონვენცია ორგანიზაციის ყოველი წევრისათვის ძალაში შედის რატიფიკაციის საბუთების რეგისტრაციის თარიღიდან თორმეტი თვის შემდეგ.

## **მუხლი 9**

1. ორგანიზაციის ყოველ წევრს, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება, შეუძლია მისი თავდაპირველი ძალაში შესვლის მომენტიდან ათწლიანი პერიოდის დამთავრების შემდეგ მოახდინოს კონვენციის დენონსაცია დენონსაციის აქტის მეშვეობით, რომელიც ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს და რეგისტრირდება მის მიერ. დენონსაცია ძალაში შედის დენონსაციის აქტის რეგისტრაციიდან ერთი წლის შემდეგ.

2. ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება, თუ წინა პუნქტში აღნიშნული ათწლიანი პერიოდის დამთავრებიდან ერთი წლის ვადაში არ გამოიყენებს ამ მუხლით გათვალისწინებულ დენონსაციის უფლებას, კონვენციასთან დაკავშირებული იქნება მომდევნო ათწლიანი პერიოდით შემდგომში მას შეუძლია კონვენციის დენონსირება ყოველი ათ-წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ამ მუხლით დადგენილი წესით.

## **მუხლი 10**

1. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრს აცნობებს, რომ რეგისტრირებულია მის მიერ ორგანიზაციის წევრებისაგან მიღებული რატიფიკაციის ყველა საბუთი და დენონსაციის ყველა აქტი.

2. გენერალური დირექტორი, რომელიც აცნობებს ორგანიზაციის წევრებს მის მიერ მიღებული რატიფიკაციის მეორე საბუთის რეგისტრაციას, მათ ყურადღებას მიაპყრობს კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს.

## **მუხლი 11**

შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მულის შესაბამისად, რეგისტრაციისათვის უგზავნის სრულ მონაცემებს მის მიერ წინა მუხლების დებულებათა შესაბამისად რეგისტრირებული რატიფიკაციის ყველა საბუთისა და დენონსაციის ყველა აქტის შესახებ.

## **მუხლი 12**

ყოველთვის, როცა შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭო ამას საჭიროდ ჩათვლის, გენერალურ კონფერენციას წარუდგენს მოხსენებას ამ კონვენციის გამოყენების თაობაზე და გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა კონფერენციის დღის წესრიგში მისი სრული ან ნაწილობრივი გადასინჯვის საკითხის შეტანა.

## **მუხლი 13**

1. იმ შემთხვევაში, თუ კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას, რომელშიც ეს კონვენცია მთლიანად ან ნაწილობრივ არის გადასინჯული, და თუ ახალ კონვენციაში საპირისპირო არ არის გათვალისწინებული, მაშინ:

a) ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ახალი, გადასინჯული კონვენციის რატიფიკაცია ავტომატურად მე – 9 მუხლის დებულებებისაგან დამოუკიდებლად იწვევს ამ კონვენციის დაუყოვნებლივ დენონსაციას იმ პირობით, რომ ახალი გადასინჯული კონვენცია ძალაშია შესული;

b) ახალი, გადასინჯული კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან ეს კონვენცია დახურულია ორგანიზაციის წევრების მიერ რატიფიკაციისათვის.

2. ეს კონვენცია ყველა შემთხვევაში ფორმით და შინაარსით ძალაში რჩება ორგანიზაციის იმ წევრებისათვის, რომელთაც მოახდინეს მისი რატიფიცირება, მაგრამ არ მოუხდენიათ ახალი, გადასინჯული კონვენციის რატიფიცირება.

## **მუხლი 14**

ამ კონვენციის ინგლისურ და ფრანგულ ტექსტებს თანაბარი ძალა აქვს.

## **დისკრიმინაციის (შრომის და დასაქმების სფერო) შესახებ რეკომენდაცია 111, 1958**

რეკომენდაცია: შეეხება დისკრიმინაციას შრომის და დასაქმების სფეროში

რეკომენდაცია: R111

ადგილი: ჟენევა

კონფერენციის სესია: 42

რეკომენდაციის მიღების თარიღი: 25:06:1958

თემის კლასიფიკაცია: დისკრიმინაციის დაუშვებლობა (შრომა და დასაქმება)

თემის კლასიფიკაცია : ქალები

თემა: თანაბარი შესაძლებლობები და მოპყრობა

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია,

რომელიც მოწვეულ იქნა ჟენევაში შრომის საერთაშორისო ბიუროს მმართველი ორგანოს მიერ, 1958 წლის 4 ივნისს შეიკრიბა ორმოცდამეორე სესიაზე, და

გადაწყვიტა რა გარკვეული წინადადებების მიღება შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ, რაც ამ სესიის დღის წესრიგის მეოთხე პუნქტს წარმოადგენს, და

გადაწყვიტა რა, რომ აღნიშნულ წინადადებებს კონვენციის ფორმა მისცეს, რომელიც შეავსებს დისკრიმინაციის (შრომისა და დასაქმების სფეროში) შესახებ 1958 წლის კონვენციას,

ათას ცხრას ორმოცდათვრამეტი წლის ივნისის ოცდამეხუთე დღეს მიიღო შემდეგი რეკომენდაცია, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს როგორც დისკრიმინაციის (შრომისა და დასაქმების სფეროში) შესახებ 1958 წლის რეკომენდაცია

კონფერენცია რეკომენდაციას იძლევა თითოეულმა წევრმა შეასრულოს შემდეგი დებულებები:

## I. განსაზღვრებები

1.

(1) ამ რეკომენდაციის მიზნებისათვის ტერმინი დისკრიმინაცია მოიცავს --

(ა) ყოველგვარ განსხვავებას, დაუშვებლობას ან უპირატესობის მინიჭებას რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური მრწამსის, ეროვნული ან სოციალური კუთვნილების საფუძველზე, რომელიც განაპირობებს შრომისა და დასაქმების სფეროში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის თანასწორობის მოსპობას ან დარღვევას;

(ბ) ყოველგვარ სხვა განსხვავებას, დაუშვებლობას ან უპირატესობას, რომელიც განაპირობებს შრომისა და დასაქმების სფეროში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის თანასწორობის მოსპობას ან დარღვევას, რასაც შესაბამისი წევრი ქვეყანა დამსაქმებელთა და მომუშავეთა ორგანიზაციებთან, სადაც ასეთი არსებობს, და სხვა შესაბამის ორგანოებთან კონსულტაციების შედეგად განსაზღვრავს.

(2) ნებისმიერი სხვა განსხვავება, დაუშვებლობა ან უპირატესობა განსაზღვრული სამუშაოს მიმართ, რომელიც სამუშაოს სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება, არ მიიჩნევა დისკრიმინაციად.

(3) ამ რეკომენდაციის მიზნებისათვის ტერმინი შრომა და დასაქმება მოიცავს პროფესიულ სწავლების, შრომისა და სხვადასხვა საქმიანობის მისაწვდომობას, ასევე შრომის ანაზღაურებას და პირობებს.

## II. პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება

2. წევრმა ქვეყნებმა უნდა ჩამოაყალიბონ შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის პრევენციის ეროვნული პოლიტიკა. პოლიტიკის განხორციელება უნდა მოხდეს საკანონმდებლო ღონისძიებებით, დამსაქმებელთა და მომუშავეთა წარმომადგენელ ორგანიზაციებს შორის კოლექტიური შეთანხმებების მეშვეობით, ან ნებისმიერი სხვა გზით, რომელიც შეესაბამება ეროვნულ პირობებსა და პრაქტიკას, ასევე შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

(ა) შრომისა და დასაქმების სფეროში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის თანასწორობის მიღწევის ხელშეწყობა საზოგადოებრივი ზრუნვის საგანს წარმოადგენს;

(ბ) ყველა პირი, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, უნდა სარგებლობდეს თანაბარი შესაძლებლობით და მოპყრობის თანასწორობით შემდეგ საკითხთან დაკავშირებით --

(i) პროფესიულ ორიენტირების და შრომითი მოწყობის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა;

(ii) საკუთარი არჩევანის მიხედვით გადამზადებასა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობა ამგვარ გადამზადებასა და დასაქმებაზე ინდივიდუალური შესაბამისობის საფუძველზე;

(iii) სამსახურებრივი დაწინაურება პირთა ინდივიდუალური თვისებების, გამოცდილების, შესაძლებლობებისა და გულმოდგინების შესაბამისად;

(iv) დასაქმების ხანგრძლივობის გარანტია;

(v) თანაბარი ღირებულების სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურება;

(vi) სამუშაოს პირობები, მათ შორის სამუშაო საათები, შესვენების დრო, ანაზღაურებადი სადღესასწაულო დღეები, შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები, ასევე სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები და კეთილდღეობის ფონდები და მომუშავეთა დახმარებები;

(გ) სახელმწიფო დაწესებულებებმა უნდა გაატარონ დასაქმების არადისკრიმინაციული პოლიტიკა მათ ყველა საქმიანობაში;

(დ) დამსაქმებლებმა არ უნდა განახორციელონ ან წაახალისონ დისკრიმინაცია ნებისმიერი პირის დასაქმების ან სწავლების დროს, ამ პირის სამსახურებრივი დაწინაურებისა და გადამზადების, ან შრომის პირობების განსაზღვრისას; ასევე არც ერთმა პირმა ან ორგანიზაციამ არ უნდა დააბრკოლოს ან ჩაერიოს, პირდაპირ ან ირიბად, დამსაქმებლების მიერ ამ პრინციპის განხორციელებაში;

(ე) კოლექტიური მოლაპარაკებებისა და შრომითი ურთიერთობების დროს მხარეებმა პატივი უნდა სცენ შრომისა და დასაქმების სფეროში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის თანასწორობის პრინციპს, და ასევე უნდა უზრუნველონ, რომ კოლექტიური შეთანხმებები არ შეიცავდეს დისკრიმინაციული შინაარსის დებულებებს გადამზადების, სამსახურებრივი დაწინაურების, სამუშაო ადგილის შენარჩუნების, ან შრომის პირობების თვალსაზრისით;

(ვ) დამსაქმებელთა და მომუშავეთა ორგანიზაციებმა არ უნდა განახორციელონ ან წაახალისონ დისკრიმინაცია მათ ორგანიზაციაში მიღების, წევრობის შენარჩუნების ან მათ საქმიანობებში მონაწილეობის თვალსაზრისით.

### 3. თითოეული წევრი ვალდებულია:

(ა) უზრუნველყოს არადისკრიმინაციული პრინციპების განხორციელება --

(i) დასაქმების თვალსაზრისით ეროვნული ორგანოს პირდაპირი კონტროლის მეშვეობით;

(ii) პროფესიული ორიენტირების ღონისძიებების, პროფესიული სწავლებისა და შრომითი მოწყობის მომსახურებების მიღების თვალსაზრისით ეროვნული ორგანოს მითითების შესაბამისად;

(ბ) როდესაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელი და საჭიროა, ხელი შეუწყონ ამ პრინციპების განხორციელებას სხვა სფეროებში სამუშაო ადგილების და პროფესიული ორიენტირების, პროფესიული სწავლებისა და შრომითი მოწყობის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორცაა --

(i) სახელმწიფო, პროვინციული ან ადგილობრივი სამთავრობო დეპარტამენტების ან უწყებების, და სახელმწიფოს მფლობელობაში ან კონტროლს დაქვემდებარებული დარგებისა და საქმიანობების წახალისება მათ მიერ ამ პრინციპების გამოყენების მიზნით;

(ii) სახელმწიფო სახსრებით დაფინანსებული კონტრაქტების გაცემის კრიტერიუმად განსაზღვროს ამ პრინციპების შესრულება;

(iii) ტრეინინგის განმახორციელებელი დაწესებულებების საგრანტო დაფინანსების მოთხოვნად და კერძო დასაქმების სააგენტოს, ან პროფესიული ორიენტირების კერძო ოფისის ლიცენზირების კრიტერიუმად ამ პრინციპების შესრულება უნდა განისაზღვროს;

4. შესაბამის დაწესებულებებს, სადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, დახმარება უნდა გაუწიოს საკონსულტაციო კომიტეტებმა, რომლებიც შედგებიან დამსაქმებელთა და მომუშავეთა ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, სადაც ასეთი არსებობს, და უნდა ჩამოყალიბდეს სხვა დაინტერესებულ ორგანოები იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ სახელმწიფო და კერძო სექტორის დასაქმების სფეროში ამ პოლიტიკის განხორციელებას, განსაკუთრებით -

(ა) განახორციელონ ყველა პრაქტიკული ღონისძიება, რათა ხელი შეუწყონ საზოგადოების მიერ არადისკრიმინაციული პრინციპების აღქმას და აღიარებას;

(ბ) მიიღონ, შეისწავლონ და გამოიკვლიონ საჩივრები აღნიშნული პოლიტიკის შეუსრულებლობის შესახებ, და თუ საჭიროა მორიგებით, უზრუნველყონ იმ პრაქტიკის კორექტირება, რომელიც მიჩნეულია, რომ მოცემულ პოლიტიკას ეწინააღმდეგება; და

(გ) დამატებით განიხილონ ნებისმიერი სხვა საჩივარი, რომელთა ეფექტურად გადაწყვეტა ვერ მოხდა მორიგების გზით, და წარმოადგინონ მოსაზრებები, ან მიიღონ გადაწყვეტილებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს გამოვლენილი დისკრიმინაციული პრაქტიკის კორექტირება.

5. თითოეულმა წევრმა ქვეყანამ უნდა გააუქმოს ყველა საკანონმდებლო დებულება, და ცვლილებები შეიტანოს ადმინისტრაციულ ინსტრუქციებსა ან პრაქტიკაში, რომელიც არ შეესაბამება მოცემულ პოლიტიკას.

6. აღნიშნული პოლიტიკის განხორციელებამ უარყოფითი გავლენა არ უნდა მოახდინოს იმ სპეციალურ ღონისძიებებზე, რომელიც განკუთვნილია იმ პირთა განსაკუთრებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომელნიც საჭიროებენ



სპეციალურ დაცვას ან დახმარებას სქესის, ასაკის, უნარშეზღუდულობის, ოჯახურ ვალდებულებათა, სოციალური ან კულტურული სტატუსის გამო.

7. დისკრიმინაციად არ მიიჩნევა იმ პირის წინააღმდეგ მიღებული ნებისმიერი ზომა, რომლის მიმართაც არსებობს სამართლიანი ეჭვი, ან დამტკიცებულია, რომ მონაწილეობდა სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის ზიანის მომტან საქმიანობაში, იმ პირობით, თუ ამ პირს უფლება აქვს მიმართოს ეროვნული პრაქტიკის შესაბამისად შექმნილ კომპეტენტურ ორგანოს.

8. უცხო ქვეყნის მოქალაქე იმიგრანტ მომუშავეებთან და მათი ოჯახის წევრებთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა მიექცეს დასაქმების მიზნით მიგრაციის შესახებ 1949 წლის კონვენციის (გადასინჯულია) დებულებებს, რომელიც შეეხება მოპყრობის თანასწორობას, და დასაქმების მიზნით მიგრაციის შესახებ 1949 წლის რეკომენდაციის (გადასინჯულია) დებულებებს, რომელიც შეეხება დასაქმების ხელმისაწვდომობაზე აკრძალვების გაუქმებას.

9. კომპეტენტურ ორგანოებს, დამსაქმებელთა და მომუშავეთა ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და შესაბამის ორგანოებს შორის მუდმივი თანამშრომლობა უნდა არსებობდეს, რათა მათ განიხილონ ეროვნულ დონეზე რა დამატებითი პოზიტიური ღონისძიებებია საჭირო არადისკრიმინაციული პრინციპების განხორციელების მიზნით.

### III. ყველა დარგში დისკრიმინაციის პრევენციის ღონისძიებების კოორდინირება

10. ის ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე, მჭიდროდ და მუდმივად უნდა ითანამშრომლონ იმ ორგანოებთან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე სხვა სფეროებში, რათა შესაძლებელი იყოს ყველა სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების კოორდინირება.

### **ლამის სმენაში (ქალთა) მუშაობის შესახებ კონვენციის (გადასინჯულია, 1948), 1990 წლის პროტოკოლი**

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია,

რომელიც მოწვეულ იქნა ჟენევაში შრომის საერთაშორისო ბიუროს მმართველი საბჭოს მიერ, შეიკრიბა 1990 წლის 6 ივნისს 77-ე სესიაზე, და

გადაწყვიტა რა გარკვეული წინადადებების მიღება ლამის სმენაში მუშაობის შესახებ, რაც ამ სესიის დღის წესრიგის მეოთხე პუნქტს წარმოადგენს, და

გადაწყვიტა რა, რომ აღნიშნულ წინადადებებს «ლამის სმენაში მუშაობის (ქალთა) შესახებ კონვენციის» (გადასინჯული), 1948 (შემდეგში, «კონვენცია») პროტოკოლის ფორმა მისცეს,

მიიღო შემდეგი პროტოკოლი 1990 წლის 26 ივნისს, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს როგორც ღამის სმენაში (ქალთა) მუშაობის შესახებ კონვენციის (გადასინჯული, 1948), 1990 წლის პროტოკოლი.

## მუხლი 1

1. (1) ეროვნული კანონები და მარეგულირებელი წესები, რომლებიც მიღებულ იქნება დამსაქმებელთა და მომუშავეთა ორგანიზაციების წარმომადგენლების უმეტესობასთან კონსულტაციების შემდეგ, შესაძლოა ითვალისწინებდეს ღამის სმენის სხვადასხვა ხანგრძლივობას, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის მე-2 მუხლში, ასევე - ღამის სმენაში მუშაობის აკრძალვის გამონაკლისებს, რომელსაც ითვალისწინებს მე-3 მუხლი, და რომელიც შესაძლოა შემოღებულ იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ:

(ა) საქმიანობის ან დასაქმების კონკრეტულ სფეროში, თუ შესაბამის დამსაქმებელთა და მომუშავეთა ორგანიზაციები გააფორმებენ ხელშეკრულებას, ან თანხმობას განაცხადებენ;

(ბ) ერთ ან მეტ ცალკეულ დაწესებულებაში, რომელზეც არ ვრცელდება ამ მუხლის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ:

(i) დამსაქმებელთა და მომუშავეთა წარმომადგენლებს შორის გაფორმდა შეთანხმება მოცემულ დაწესებულებაში ან საწარმოში; და

(ii) საქმიანობის მოცემული დარგის ან პროფესიის დამსაქმებელთა და მომუშავეთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან, ან დამსაქმებელთა და მომუშავეთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების უმეტესობასთან გავლილია კონსულტაციები;

(გ) ცალკეულ დაწესებულებაში, რომელზეც არ ვრცელდება ამ მუხლის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილება და როდესაც ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება ამ მუხლის «ბ», (i) ქვეპუნქტის შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ:

(I) მოცემულ დაწესებულებაში ან საწარმოში მომუშავეთა წარმომადგენლებთან, ასევე საქმიანობის მოცემული დარგის ან პროფესიის დამსაქმებელთა და მომუშავეთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან, ან დამსაქმებელთა და მომუშავეთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების უმეტესობასთან გავლილია კონსულტაციები;

(II) კომპეტენტური ორგანო დარწმუნდება, რომ დაწესებულებაში არსებობს უსაფრთხოების ადექვატური მექანიზმები პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის და ქალ მომუშავეთა თანაბარი შესაძლებლობებისა და მოპყრობის თვალსაზრისით; და

(III) კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება ძალაშია გარკვეული პერიოდით, რომლის განახლებაც შესაძლებელია ზემოთ მოცემული (i) და (ii) ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროცედურებით,

(2) ამ პუნქტის მიზნებისათვის ტერმინი «მომუშავეთა წარმომადგენლები» ნიშნავს პირებს, რომლებიც ამგვარად არიან აღიარებულნი ეროვნული კანონმდებლობით ან პრაქტიკით «მომუშავეთა წარმომადგენლების შესახებ 1971 წლის კონვენციის» შესაბამისად.

2. 1-ელ ქვეპუნქტში მითითებული კანონებით ან მარეგულირებელი წესებით უნდა განისაზღვროს ის გარემოებები, როდესაც ამგვარი ცვლილებები და გამონაკლისები ნებადართულია და ის პირობები, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს.

## მუხლი 2

1. 1-ლი მუხლით ნებადართული ცვლილებები და გამონაკლისები არ უნდა გავრცელდეს მომუშავეა ქალთა მიმართ ბავშვის გაჩენამდე და გაჩენის შემდეგ სულ მცირე 16 კვირის განმავლობაში, რომელთაგან სულ მცირე რვა კვირა ბავშვის დაბადების მოსალოდნელ თარიღამდე პერიოდს უნდა მოიცავდეს. ეროვნული კანონებით ან მარეგულირებელი წესებით შესაძლოა გაუქმდეს ეს აკრძალვა ქალი მომუშავეის ცალსახა თხოვნით იმ პირობით, რომ არც ქალის და არც ბავშვის ჯანმრთელობას საფრთხე არ შეექმნება.

2. ამ მუხლის 1-ელი ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა უნდა გავრცელდეს დამატებით პერიოდებზე, რომლისთვისაც წარმოდგენილი უნდა იქნეს სამედიცინო მოწმობა, რომელშიც აღინიშნება, რომ ეს საჭიროა დედის ან ბავშვის ჯანმრთელობისათვის:

(ა) ფეხმძიმობის პერიოდში;

(ბ) მითითებულ პერიოდში, რომლითაც გაგრძელდება ბავშვის დაბადების შემდგომი პერიოდი, რომელიც განისაზღვრა ზემოთ მოცემული 1-ლი ქვეპუნქტის შესაბამისად.

3. ამ მუხლის 1-ელ და მე-2 ქვეპუნქტებში მითითებული პერიოდების განმავლობაში:

(ა) მომუშავე ქალი არ უნდა განთავისუფლდეს სამსახურიდან, ან არ გადაეცეს მას სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ შეტყობინება გარდა იმ დასაბუთებული მიზეზებისა, რომელიც არ უკავშირდება ორსულობას ან მშობიარობას;

(ბ) მომუშავე ქალის შემოსავალი შენარჩუნებული უნდა იყოს იმ დონეზე, რომელიც საკმარისი იქნება ქალის და ბავშვის შესანახად ცხოვრების შესაბამისი სტანდარტის შესაბამისად. ამგვარი შემოსავლის შენარჩუნება შესაძლოა უზრუნველყოფილ იქნეს დღის სმენის სამუშაოზე გადაყვანით, დეკრეტული შვებულების ვადის გაზრდით, სოციალური უზრუნველყოფის დახმარებების ან სხვა შესაბამისი ღონისძიების მეშვეობით, ან ამ ღონისძიებების ერთობლიობით.

4. ამ მუხლის 1-ელ, მე-2 და მე-3 ქვეპუნქტების დებულებებმა გავლენა არ უნდა მოახდინოს დეკრეტულ შვებულებასთან დაკავშირებული დაცვისა და დახმარებების შემცირებაზე.

## მუხლი 3

ამ პროტოკოლის შესაბამისად შემოღებული ცვლილებებისა და გამონაკლისების შესახებ ინფორმაცია შეტანილი უნდა იქნეს კონვენციის გამოყენების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 22-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ ანგარიშებში.

## მუხლი 4

1. წევრ ქვეყანას შეუძლია ამ პროტოკოლის წევრი გახდეს მის მიერ კონვენციის რატიფიცირების დროს ან შემდგომ შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორისათვის პროტოკოლის ოფიციალური რატიფიცირების დოკუმენტის გაგზავნით. ამგვარი რატიფიცირება ძალაში შევა გენერალური დირექტორის მიერ მისი ხელმოწერიდან 12 თვის შემდეგ. შემდგომ ამ კონვენციის შესრულება სავალდებულო გახდება შესაბამისი წევრისათვის ამ პროტოკოლის 1-3 მუხლების ჩათვლით.

2. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურმა დირექტორმა შრომის საერთაშორისო ბიუროს ყველა წევრს უნდა შეატყობინოს კონვენციის მხარეების მიერ მისთვის გამოგზავნილი პროტოკოლის რატიფიცირების დოკუმენტების რეგისტრაციის შესახებ.

3. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურმა დირექტორმა მის მიერ ამ მუხლის 1-ლი მუხლის შესაბამისად რეგისტრირებული რატიფიცირების ყველა დოკუმენტის შესახებ სრული დეტალები უნდა აცნობოს გაერთიანებული ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად.

## **მუხლი 5**

წინამდებარე კონვენციის ინგლისურ და ფრანგულ ვერსიებს თანაბარი ძალა გააჩნია.

### **დასაქმების (ოჯახური ვალდებულებების მქონე ქალთა) შესახებ რეკომენდაცია, 1965**

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია,

რომელიც მოწვეულ იქნა ჟენევაში შრომის საერთაშორისო ბიუროს მმართველი ორგანოს მიერ, 1965 წლის 2 ივნისს შეიკრიბა თავის ორმოცდამეცხრე სესიაზე, და

აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მრავალ ქვეყანაში ქალების სულ უფრო მზარდი რაოდენობა მუშაობს სახლის გარეთ, როგორც სამუშაო ძალის განუყოფელი და არსებითი ნაწილი, და

დამატებით შენიშნავს, რომ მრავალ ქალს აქვს განსაკუთრებული პრობლემები, რომელიც განპირობებულია მათი საოჯახო და სამსახურებრივი ვალდებულებების შეთავსების საჭიროების გამო, და

შენიშნავს, რომ თუმცა მრავალი ამ პრობლემათაგანი განსაკუთრებით უკავშირდება ოჯახური ვალდებულებების მქონე ქალთა დასაქმების შესაძლებლობებს, ამგვარი პრობლემები სხვა მომუშავეების წინაშეც დგას და შესაძლებელია მათი მნიშვნელოვანი გამოსწორება ისეთი ღონისძიებების გატარებით ყველა მომუშავეს მიმართ, როგორცაა ყოველდღიური და ყოველკვირეული სამუშაო საათების პროგრესული შემცირება,

დამატებით შენიშნავს, რომ მრავალი სპეციფიკური პრობლემა, რომელიც ოჯახური ვალდებულებების მქონე ქალების წინაშე არსებობს, არ ეხება მხოლოდ მომუშავე ქალებს, არამედ ისინი წარმოადგენენ ოჯახისა და მთლიანად საზოგადოების პრობლემებს, და

აღიარებს რა, რომ ამ პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა მუდმივი სოციალური ადაპტაცია ისე, რომ ყველა მონაწილე მხარის საუკეთესო ინტერესები დაკმაყოფილდეს, და

მოეხსენება რა, რომ საჭიროა მთავრობებმა და ყველა შესაბამისმა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციამ აღნიშნული პრობლემები განიხილონ ფართო სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ კონტექსტში, და

გადაწყვიტა რა გარკვეული წინადადებების მიღება ოჯახური ვალდებულებების მქონე ქალების დასაქმების შესახებ, რაც ამ სესიის დღის წესრიგის მეხუთე პუნქტს წარმოადგენს, და

გადაწყვიტა რა, რომ აღნიშნულ წინადადებებს რეკომენდაციის ფორმა მისცეს,

ათას ცხრაას სამოცდახუთი წლის ივნისის ოცდამეორე დღეს მიიღო შემდეგი რეკომენდაცია, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს როგორც 1965 წლის დასაქმების (ოჯახური ვალდებულებების მქონე ქალთა) შესახებ რეკომენდაცია:

კონფერენცია რეკომენდაციას იძლევა, რომ თითოეულმა წევრმა შემდეგი დებულებები განახორციელონ სრულად და მაქსიმალურად სწრაფად, რამდენადაც ეროვნული პირობები ამის შესაძლებლობას იძლევა:

## **I. ზოგადი პრინციპი**

1. კომპეტენტურმა ორგანოებმა შესაბამის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით დამქირავებელთა და მომუშავეთა ორგანიზაციებთან, თანამშრომლობით, და ეროვნული და ადგილობრივი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა --

(ა) განახორციელონ შესაბამისი პოლიტიკა, რათა ოჯახური ვალდებულებების მქონე ქალებს, რომლებიც ოჯახის გარეთ მუშაობენ, შესაძლებლობა ჰქონდეთ ეს უფლება განახორციელონ დისკრიმინაციის სუბიექტად გახდომის გარეშე და 1958 წლის დისკრიმინაციის (დასაქმება და პროფესია) შესახებ კონვენციით გათვალისწინებული პრინციპების, ასევე ქალთა შესახებ შრომის საერთაშორისო კონფერენციის მიერ მიღებული სხვა სტანდარტების შესაბამისად; და

(ბ) წახალისონ, ხელი შეუწყონ და თვითონ განავითარონ ისეთი მომსახურებები, რომელიც ქალებს შესაძლებლობას მისცემს სახლში და სამუშაოზე სხვადასხვა ვალდებულებები ჰარმონიულად შეასრულონ.

## **II. საზოგადოების ინფორმირება და განათლება**

2. კომპეტენტურმა ორგანოებმა შესაბამის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით დამქირავებელთა და მომუშავეთა ორგანიზაციებთან, თანამშრომლობით შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადადგან, რათა

(ა) ხელი შეუწყონ ოჯახური ვალდებულებების მქონე მომუშავე ქალთა პრობლემების გათვალისწინებას, რომელთა გათვალისწინებაც შესაძლოა საჭირო გახდეს ამ მომუშავეთა დასახმარებლად სამუშაო ძალაში თანაბარი უფლებების საფუძველზე მათი ეფექტური ინტეგრაციისათვის;

(ბ) განახორციელონ ან ხელი შეუწყონ ისეთ კვლევას, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს და შესაძლებელი იყოს მათი გათვალისწინება ოჯახური ვალდებულებების მქონე ქალთა დასაქმების სხვადასხვა ასპექტებში, და რომლის მიზანი იქნება ობიექტური ინფორმაციის წარმოდგენა, რომელსაც შესაძლოა დაეფუძნოს საღი პოლიტიკა და ღონისძიებები; და

(გ) ჩამოაყალიბონ ფართო საზოგადოებრივი გაგება ამ მომუშავეთა პრობლემების შესახებ იმ მიზნით, რომ ჩამოყალიბდეს სათემო პოლიტიკა და დამოკიდებულება, რომელიც დაეხმარება მათ თავიანთი ოჯახური და სამსახურებრივი ვალდებულებების დაკმაყოფილებაში.

### **III. ბავშვთა მოვლის მომსახურებები და ცენტრები**

3 მომუშავე. ქალებს სამსახურებრივი და საოჯახო ვალდებულებების შესრულებაში დახმარებისათვის საჭირო ბავშვთა მოვლის მომსახურებებისა და ცენტრების მოქმედების სფეროს და შინაარსის განსაზღვრის მიზნით, კომპეტენტურმა ორგანოებმა შესაბამის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით დამსაქმებელთა და მომუშავეთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, და ინფორმაციის შეგროვებისათვის მათთვის ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლებში, უნდა განახორციელონ ისეთი საჭირო და სათანადო ღონისძიებები

(ა) დასაქმებული ან სამუშაო ადგილის მამიებელი დედებისა და მათი შვილების რაოდენობის და ასაკის შესახებ ადექვატური სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გამოქვეყნებისათვის; და

(ბ) სისტემატური კვლევების ჩატარებით უშუალოდ თემებში იმის დასადგენად, თუ რა მოთხოვნები არსებობს და ოჯახის გარეთ ბავშვთა მოვლის რომელ სისტემებს ენიჭება უპირატესობა.

4. კომპეტენტურმა ორგანოებმა შესაბამის სახელმწიფო და კერძო ორგანოებთან თანამშრომლობით შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადადგან, რათა უზრუნველყონ, რომ ბავშვთა მოვლის მომსახურებებმა და ცენტრებმა დააკმაყოფილონ გამოვლენილი მოთხოვნები და სურვილები; ამ მიზნის მისაღწევად მათ საერთოეროვნული და ადგილობრივი გარემოებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით განსაკუთრებით უნდა

(ა) წაახალისონ და ხელი შეუწყონ, განსაკუთრებით ადგილობრივ თემებში, ბავშვთა მოვლის მომსახურებების და ცენტრების ჩამოყალიბების გეგმების შემუშავებას; და

(ბ) თვითონვე მოახდინონ ორგანიზება, ასევე წაახალისონ და ხელი შეუწყონ ბავშვთა მოვლის ადექვატური და შესაბამისი მომსახურებებისა და ცენტრების შექმნას - საჭიროების შემთხვევაში გონივრული საფასურის დაწესებით - რომლითაც დაკმაყოფილდება სხვადასხვა ასაკის ბავშვთა და მომუშავე დედათა მოთხოვნები.

### **5. ბავშვთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დასაცავად --**

(ა) ბავშვის მოვლის ყველა ტიპის მომსახურებები და ცენტრები კომპეტენტური ორგანოების მიერ დადგენილ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომელთა შესრულებაზე ზედამხედველობასაც აღნიშნული ორგანოები ახორციელებენ;

(ბ) ამ სტანდარტებით დეტალურად განისაზღვრება მომსახურებებისა და ცენტრებისათვის მოთხოვნილი ტექნიკური აღჭურვილობა და ჰიგიენური მოთხოვნები, პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია; და

(გ) კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვთა მოვლის მომსახურებების მიწოდებისა და ცენტრების საჭირო პერსონალისათვის სხვადასხვა დონის ტრენინგების ჩატარება ან დახმარების გაწევა მათ ჩატარებაში.

6. კომპეტენტურმა ორგანოებმა შესაბამის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით დამჭირავებელთა და მომუშავეთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ საზოგადოებამ აღიქვას და მხარი დაუჭიროს იმ ძალისხმევას, რომელიც ბავშვთა მოვლის მომსახურებებსა და ცენტრებთან დაკავშირებით ხორციელდება მომუშავე მშობლების განსაკუთრებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

#### **IV. სამუშაო ადგილის დაკავება და შენარჩუნება**

7. კომპეტენტურმა ორგანოებმა 1964 წლის დასაქმების პოლიტიკის შესახებ კონვენციის შესაბამისად ყველა ზომა უნდა მიიღონ, რათა ოჯახური ვალდებულებების მქონე ქალებს შესაძლებლობა ჰქონდეთ ინტეგრირებულნი გახდნენ ან შეინარჩუნონ სამუშაო ძალაში ინტეგრაცია, ასევე დაუბრუნდნენ სამუშაო ადგილს.

8. იმისათვის, რომ ოჯახური ვალდებულებების მქონე ქალებს სამუშაო ძალაში ინტეგრირების თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეთ და ხელი შეუწყონ მათ მიერ სამუშაო ადგილის დაკავებას და მის სამუშაო ადგილზე დაბრუნებას შედარებით ხანგრძლივი არყოფნის შემდეგ, კომპეტენტურმა ორგანოებმა შესაბამის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით დამსაქმებელთა და მომუშავეთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ყველა ზომა უნდა მიიღონ, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს საერთოეროვნულ დონეზე პირობების შესაქმნელად, რათა

(ა) გოგონებისათვის უზრუნველყონ ზოგადი ინფორმაციის მიწოდება, პროფესიული ორიენტირების მიცემა და გადამზადება ყოველგვარი გენდერული დისკრიმინაციის გარეშე;

(ბ) წახალისონ გოგონები, რათა მათ სათანადო პროფესიული მომზადება გაიარონ, რომელიც მათი მომავალი ცხოვრების საფუძველი გახდება; და

(გ) დაარწმუნონ მშობლები და მასწავლებლები გოგონებისათვის სათანადო პროფესიული მომზადების საჭიროებაში.

9.

(1) კომპეტენტურმა ორგანოებმა შესაბამის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და ეროვნული მოთხოვნებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა უზრუნველყონ, ან ხელი შეუწყონ, იმ მომსახურებების გაწევას, რომელიც შესაძლოა საჭირო იყოს იმ ქალთა მიერ სამუშაო ადგილის დასაკავებლად, რომელთაც არ აქვთ შრომითი სტაჟი, ან იმისათვის, რომ დაუბრუნდნენ სამუშაო ადგილს იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოზე არ იმყოფებოდნენ შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ოჯახური ვალდებულებების გამო.

(2) ამგვარი მომსახურებები ორგანიზებული უნდა იქნეს ყველა მომუშავისათვის განკუთვნილი არსებული მომსახურებების ფარგლებში, ან თუ ამგვარი რამ არ არსებობს, მათი ორგანიზება უნდა მოხდეს ეროვნული პირობების შესაბამისად; ეს უნდა მოიცავდეს ასაკობრივი განსხვავების გარეშე ქალებისათვის, მათი მოთხოვნილებების შესაბამისად, ადექვატური კონსულტაციების შეთავაზებას, საინფორმაციო და შრომითი მოწყობის მომსახურებებს, ასევე ადექვატური პროფესიული სწავლებისა და გადამზადების დაწესებულებების უზრუნველყოფას.

(3) აღნიშნული მომსახურებები და დაწესებულებები მუდმივად უნდა გადაისინჯოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი ადაპტაცია მომუშავე ქალთა სპეციალურ საჭიროებებთან, ცვალებად ეკონომიკურ მოთხოვნებთან და ტენდენციებთან, ასევე ტექნოლოგიურ განვითარებასთან.

10.

(1) იმ ქალებისათვის, რომელთაც დედად გახდომის გამო წარმოეშვათ ოჯახური ვალდებულებები და კანონმდებლობით ან პრაქტიკით გათვალისწინებული დეკრეტული შვებულების ამოწურვის შემდეგ ვერ შესძლებენ დაუყოვნებლივ დაუბრუნდნენ სამუშაო ადგილს, მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი ზომები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რათა მათ გონივრული ვადით გაუგრძელდეთ შვებულება სამუშაო ადგილის დათმობის გარეშე, ხოლო მათ დასაქმებასთან დაკავშირებული უფლებები სრულად იქნეს შენარჩუნებული.

(2) დედად გახდომის შემდეგ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში განხილული უნდა იქნეს ამ ქალთა ხელახალი დასაქმების საკითხი დასაქმების შეწყვეტის შესახებ 1963 წლის რეკომენდაციის იმ დებულებების შესაბამისად, რომელიც შეეხება იმ მუშებს, რომელთა დასაქმება შეწყდა სამუშაო ძალის შემცირების გამო.

## **V. სხვადასხვა დებულებები**

11.

(1) შესაბამისმა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით დამქირავებელთა და მომუშავეთა ორგანიზაციებმა, საჭიროებისამებრ უნდა ითანამშრომლონ კომპეტენტურ ორგანოებთან და ერთმანეთთან, რათა გაატარონ სხვა ღონისძიებები და ხელი შეუწყონ სხვა ქმედებების განხორციელებას, რაც დაეხმარება მომუშავე ქალებს სამსახურებრივი და საოჯახო ვალდებულებების დაკმაყოფილებაში მათი დასაქმებისა და დაწინაურების შესაძლებლობებისათვის ზიანის მოტანის გარეშე.

(2) ამ თვალსაზრისით ყურადღება უნდა მიექცეს, რამდენადაც ამის საშუალებას ადგილობრივი მოთხოვნები და შესაძლებლობები იძლევა, ისეთ საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებით უკავშირდება საოჯახო ვალდებულებების მქონე მომუშავე ქალებს, განსაკუთრებით საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზება, სამუშაო საათების და სასკოლო საათების, ასევე ბავშვთა მოვლის მომსახურებების ან ცენტრების საათების ჰარმონიზაცია და იმ საშუალებების დაბალი ფასით შეთავაზება, რომელიც საჭიროა საოჯახო საქმეების გასამარტივებლად და შესამსუბუქებლად.



12. განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა წარიმართოს საოჯახო მომსახურებების ჩამოყალიბებისათვის, რომელიც შეთავაზებული იქნება სახელმწიფო ორგანოს მიერ ან მისი ზედამხედველობით და რომლის მეშვეობითაც საოჯახო ვალდებულებების მქონე მომუშავე ქალები კვალიფიციურ დახმარებას მიიღებენ გონივრული საფასურის გადახდის სანაცვლოდ.

### **ოჯახური ვალდებულებების მქონე მომუშავეთა შესახებ კონვენცია, 1981**

კონვენცია შეეხება მომუშავე მამაკაცებისა და ქალების თანაბარ შესაძლებლობებსა და მოპყრობას: ოჯახური ვალდებულებების მქონე მომუშავეთა შესახებ კონვენცია (შენიშვნა: ძალაში შესვლის თარიღი: 23.05.1953.)

კონვენცია: C156

ადგილი: ჟენევა

კონფერენციის სესია: 67

კონვენციის მიღების თარიღი: 23.06.1981

თემის კლასიფიკაცია: თანაბარი შესაძლებლობები და მოპყრობა

თემის კლასიფიკაცია : ქალები

თემა: თანაბარი შესაძლებლობები და მოპყრობა

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია,

რომელიც მოწვეულ იქნა ჟენევაში შრომის საერთაშორისო ბიუროს მმართველი ორგანოს მიერ, 1981 წლის 3 ივნისს შეიკრიბა თავის სამოცდამეშვიდე სესიაზე, და

მიუთითებს რა ფილადელფიის დეკლარაციაზე, რომელიც ასახავს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიზნებსა და დანიშნულებას, და აღიარებს, რომ «ყველა ადამიანს, განურჩევლად რასის, მრწამსის ან სქესისა, უფლება აქვს იზრუნოს თავის მატერიალურ კეთილდღეობასა და სულიერი განვითარებაზე, თავისუფლებისა და ღირსების, ეკონომიკური უსაფრთხოებისა და თანაბარი შესაძლებლობების პირობებში», და

მიუთითებს რა ომუშავ ქალთა თანაბარი შესაძლებლობებისა და მოპყრობის შესახებ დეკლარაციის პირობებზე, და 1975 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებულ რეზოლუციაზე, რომელიც შეეხება სამოქმედო გეგმას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მომუშავე ქალთა თანაბარ შესაძლებლობებსა და მოპყრობას,

მიუთითებს რა შრომის შესახებ საერთაშორისო კონვენციების დებულებებსა და რეკომენდაციებზე, რომელთა მიზანია მომუშავე მამაკაცებისა და ქალებისათვის თანაბარი შესაძლებლობებისა და მოპყრობის უზრუნველყოფა, კერძოდ, 1951 წლის კონვენციასა და რეკომენდაციაზე თანაბარი ანაზღაურების შესახებ, 1958 წლის კონვენციასა და რეკომენდაციაზე დისკრიმინაციის (დასაქმებისა და პროფესიის) შესახებ, და 1975 წლის შრომითი რესურსების განვითარების შესახებ რეკომენდაციის VIII ნაწილზე, და

შეახსენებს, რომ 1958 წლის კონვენცია დისკრიმინაციის (დასაქმებისა და პროფესიის) შესახებ პირდაპირ არ განსაზღვრავს ოჯახურ ვალდებულებებს

შორის განსხვავებას, და მიიჩნევს, რომ საჭიროა დამატებითი სტანდარტების არსებობა ამ თვალსაზრისით, და

მიუთითებს რა 1965 წლის დასაქმების (ქალები და ოჯახური ვალდებულებები) შესახებ რეკომენდაციის პირობებზე, და ითვალისწინებს რა იმ ცვლილებებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა მისი დამტკიცების შემდეგ, და

შენიშნავს რა, რომ მამაკაცთა და ქალთა თანაბარი პირობებისა და მოპყრობის შესახებ დოკუმენტები ასევე მიღებულ იქნა გაერთიანებული ორგანიზაციის და სხვა სპეციალიზებული სააგენტოების მიერ, და განსაკუთრებით შეახსენებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 1979 წლის კონვენციის პრეამბულის მეთოთხმეტე პარაგრაფში ნათქვამია, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები «აღიარებენ, რომ მამაკაცთა და ქალთა სრული თანასწორობის მისაღწევად საჭიროა საზოგადოებასა და ოჯახში როგორც მამაკაცის, ასევე ქალის ტრადიციული როლის შეცვლა», და

აღიარებს რა, რომ ოჯახური ვალდებულებების მქონე მომუშავეთა პრობლემები ოჯახსა და საზოგადოებასთან დაკავშირებული უფრო ზოგადი საკითხების ცალკეულ ასპექტებს წარმოადგენს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ეროვნულ პოლიტიკაში, და

აღიარებს რა ეფექტური თანაბარი შესაძლებლობებისა და მოპყრობის უზრუნველყოფის საჭიროებას ოჯახური ვალდებულებების მქონე მომუშავე მამაკაცებსა და ქალებს შორის, ასევე ამ მომუშავეთა და სხვა მომუშავეთა შორის, და

ითვალისწინებს რა, რომ მრავალი პრობლემა, რომელიც ნებისმიერი მომუშავეს წინაშე დგას, უფრო რთულდება ოჯახური ვალდებულებების მქონე მომუშავეთა შემთხვევაში, და აღიარებს რა ამ უკანასკნელთა პირობების გაუმჯობესების საჭიროებას იმ ღონისძიებების გატარებით, რომელიც შეესაბამება მათ განსაკუთრებულ საჭიროებებს, ასევე, ზოგადად მომუშავეთა პირობების გასაუმჯობესებლად დასახული ღონისძიებების გატარებით, და

გადაწყვიტა რა გარკვეული წინადადებების მიღება მომუშავე მამაკაცებისა და ქალებისათვის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი ანაზღაურების შესახებ, რაც ამ სესიის დღის წესრიგის მეხუთე პუნქტს წარმოადგენს, და

გადაწყვიტა რა, რომ აღნიშნულ წინადადებებს კონვენციის ფორმა მისცეს,

ათას ცხრაას ოთხმოცდაერთი წლის ივნისის ოცდამესამე დღეს მიიღო შემდეგი კონვენცია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს 1981 წლის კონვენცია «ოჯახური ვალდებულებების მქონე მომუშავეთა შესახებ»:

## **მუხლი 1**

კონვენცია ვრცელდება მომუშავე მამაკაცთა და ქალთა მიმართ, რომელთაც გააჩნიათ ვალდებულება მათ კმაყოფაზე მყოფი შვილების მიმართ, და ეს ვალდებულებები ზღუდავენ მათ შესაძლებლობებს მოემზადონ, ჩაერთონ, მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკური საქმიანობაში ან განავითარონ იგი.

ამ კონვენციის დებულებები ასევე ვრცელდება იმ მომუშავე მამაკაცთა და ქალთა მიმართ, რომელთაც თავიანთი ოჯახის სხვა წევრების მიმართ გააჩნიათ ვალდებულება, რომელთაც ამკარად ესაჭიროებათ მათი მზრუნველობა და მხარდაჭერა, და როდესაც ამგვარი ვალდებულებები ზღუდავენ მათ შესაძლებლობებს მოემზადონ, ჩაერთონ, მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკური საქმიანობაში ან განავითარონ იგი.

ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინები - კმაყოფაზე მყოფი შვილი და ოჯახის სხვა წევრები, რომელთაც ამკარად ესაჭიროებათ მზრუნველობა და მხარდაჭერა, გულისხმობს იმ პირებს, რომლებიც ამგვარად არის განმარტებული თითოეულ ქვეყანაში ამ კონვენციის მე-9 მუხლში მითითებული ერთ-ერთი დოკუმენტით.

ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მომუშავეები შემდგომში მოიხსენიება როგორც ოჯახური ვალდებულებების მქონე მომუშავეები.

## **მუხლი 2**

ეს კონვენცია ვრცელდება ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგსა და ყველა კატეგორიის მომუშავეზე.

## **მუხლი 3**

მომუშავე მამაკაცებისა და ქალებისათვის ეფექტური თანაბარი შესაძლებლობებისა და მოპყრობის უზრუნველსაყოფად თითოეული წევრი ქვეყნის ეროვნული პოლიტიკის მიზნად უნდა განისაზღვროს, რომ ოჯახური ვალდებულებების მქონე პირებმა, რომლებიც მონაწილეობენ, ან სურთ მონაწილეობა მიიღონ დაქირავებითი შრომაში, განახორციელონ ეს უფლება დისკრიმინაციის, და რამდენადაც ეს შესაძლებელია, დაქირავებით მუშაობასა და მათ ოჯახურ ვალდებულებებს შორის კონფლიქტის გარეშე.

ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისათვის ტერმინი დისკრიმინაცია გულისხმობს 1958 წლის დისკრიმინაციის (დასაქმებისა და პროფესიის) შესახებ კონვენციის 1-ლი და მე-5 მუხლებით განსაზღვრულ დისკრიმინაციას დასაქმებასა და პროფესიაში.

## **მუხლი 4**

მომუშავე მამაკაცებისა და ქალებისათვის ეფექტური თანაბარი შესაძლებლობებისა და მოპყრობის უზრუნველსაყოფად ყველა ღონისძიება უნდა გატარდეს, რომელიც შეესაბამება ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებსა და შესაძლებლობებს, რათა:

საშუალება მიეცეს ოჯახური ვალდებულებების მქონე მომუშავეებს განახორციელონ დასაქმების თავისუფალი არჩევანის უფლება; და

გათვალისწინებულ იქნეს მათი საჭიროებები დასაქმების პირობებისა და სოციალური დაცვის თვალსაზრისით.

## **მუხლი 5**

დამატებით უნდა გატარდეს ყველა ღონისძიება, რომელიც შეესაბამება ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებსა და შესაძლებლობებს, რათა:

გათვალისწინებულ იქნეს ოჯახური ვალდებულებების მქონე მომუშავეების საჭიროებები თემის დაგეგმარებაში; და

განვითარდეს ან ხელი შეეწყოს თემზე დაფუძნებულ, კერძო ან სახელმწიფო, მომსახურებებს, როგორცაა ბავშვთა მოვლისა და საოჯახო მომსახურებები, და ცენტრები.

### **მუხლი 6**

თითოეულ ქვეყანაში კომპეტენტურმა პირებმა და ორგანოებმა შესაბამისი ღონისძიებები უნდა გაატარონ ინფორმაციისა და განათლების გასავრცელებლად, რათა ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდეს მომუშავე მამაკაცებისა და ქალებისათვის თანაბარი შესაძლებლობებისა და მოპყრობის პრინციპი, ოჯახური ვალდებულებების მქონე მომუშავეთა პრობლემები, ასევე შეიქმნას ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ამ პრობლემების გადაჭრას.

### **მუხლი 7**

გატარებულ უნდა იქნეს ყველა ღონისძიება, რომელიც შეესაბამება ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებსა და შესაძლებლობებს, მათ შორის პროფესიის არჩევაში დახმარების გაწევისა და გადამზადების ღონისძიებები, რათა ოჯახური ვალდებულებების მქონე მომუშავეებს სამუშაო ძალაში ინტეგრაციის საშუალება და ამ ინტეგრაციის შენარჩუნების საშუალება მიეცეთ, ასევე აღნიშნული ვალდებულებების შესრულებით გამოწვეული დროებითი დეინტეგრაციის გამო შესაძლებლობა მიეცეთ ხელახლა ჩაერთონ სამუშაო ძალაში.

### **მუხლი 8**

ოჯახური ვალდებულებები არ უნდა შეადგენდეს დასაქმების შეწყვეტის კანონიერ საფუძველს.

### **მუხლი 9**

ამ კონვენციის დებულებები შესაძლოა განხორციელდეს კანონების ან მარეგულირებელი წესების - გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი განხორციელების უზრუნველყოფა ხდება სხვა საშუალებებით, როგორცაა კოლექტიური შეთანხმებები, საარბიტრაჟო, სასამართლო გადაწყვეტილებები, ან აღნიშნული მეთოდების შეთავსებით - მეშვეობით, ან ნებისმიერი სხვა საშუალებით, რომელიც შეესაბამება ქვეყანაში არსებულ პრაქტიკას და გაითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს.

### **მუხლი 10**

ამ კონვენციის დებულებები შესაძლოა განხორციელდეს ეტაპობრივად, ქვეყანაში არსებულ პირობების გათვალისწინებით: იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ღონისძიებების განხორციელებისას ისინი გავრცელდება 1-ლი მუხლის 1-ელ პუნქტით გათვალისწინებული ყველა მომუშავეს მიმართ.

ყველა წევრი ქვეყანა, რომელიც ამ კონვენციის რატიფიცირებას მოახდენს, იმ შემთხვევაში, თუ აპირებს ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალური უფლების გამოყენებას, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 22-ე მუხლის მიხედვით კონვენციის გამოყენების შესახებ წარდგენილ პირველ ანგარიშში უნდა მიუთითოს სპეციალური უფლების რომელი ასპექტის გამოყენებას აპირებს, ხოლო შემდგომ ანგარიშებში უნდა აღნიშნოს, რა მასშტაბით განხორციელდა, ან რა მასშტაბით გვთავაზობს კონვენციის ამ ასპექტის განხორციელებას.

### **მუხლი 11**

დამსაქმებელთა და მომუშავეთა ორგანიზაციებს უფლება აქვთ ქვეყანაში არსებული პირობებისა და პრაქტიკის შესაბამისად მონაწილეობა მიიღონ ამ კონვენციის დებულებების განხორციელებისათვის განკუთვნილი ღონისძიებების შემუშავებასა და გატარებაში.

### **მუხლი 12**

ამ კონვენციის რატიფიცირების ოფიციალური დოკუმენტები რეგისტრაციისათვის ეგზავნება «შრომის საერთაშორისო ბიუროს» გენერალურ დირექტორს.

### **მუხლი 13**

ამ კონვენციის შესრულება სავალდებულოა მხოლოდ «შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის» იმ წევრი ქვეყნებისათვის, რომელთა რატიფიცირების დოკუმენტების რეგისტრაცია განახორციელა გენერალურმა დირექტორმა.

კონვენცია ძალაში შევა გენერალური დირექტორის მიერ ორგანიზაციის ორი წევრი სახელმწიფოს რატიფიცირების დოკუმენტების რეგისტრირებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

შემდგომ, ეს კონვენცია ნებისმიერი წევრი ქვეყნის მიმართ ძალაში შედის ამ წევრი ქვეყნის რატიფიცირების დოკუმენტების რეგისტრირებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

### **მუხლი 14**

წევრ ქვეყანას, რომელმაც ამ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, შეუძლია კონვენციის თავდაპირველად ძალაში შესვლის თარიღიდან ათი წლის გასვლის შემდეგ გააუქმოს იგი «შრომის საერთაშორისო ბიუროს» გენერალური დირექტორისათვის რეგისტრაციის მიზნით გაგზავნილი დენონსირების აქტით. დენონსირება ძალაში შედის დენონსირების აქტის რეგისტრაციიდან ერთი წლის შემდეგ.

ყოველი წევრი ქვეყანა, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება და რომელიც წინა პარაგრაფში მითითებული ათწლიანი პერიოდის გასვლიდან ერთი წლის ვადაში არ გამოიყენა ამ მუხლის წინა პუნქტით გათვალისწინებული დენონსირების უფლება, ვალდებულია შეასრულოს კონვენცია შემდეგი ათი წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ შეუძლია მოახდინოს კონვენციის დენონსირება ყოველი ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

### **მუხლი 15**

«შრომის საერთაშორისო ბიუროს» გენერალური დირექტორი «შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის» ყველა წევრს აცნობებს ორგანიზაციის წევრებიდან მიღებული რატიფიცირების ყველა დოკუმენტის, განცხადებებისა და დენონსირების აქტების შესახებ.

გენერალური დირექტორი ორგანიზაციის წევრებს აცნობებს რატიფიცირების მეორე დოკუმენტების რეგისტრაციის შესახებ და მათ ყურადღებას მიაპყრობს ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღზე.

### **მუხლი 16**

გაეროს წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად «შრომის საერთაშორისო ბიუროს» გენერალური დირექტორი გაეროს გენერალურ მდივანს უგზავნის სრულ ინფორმაციას მის მიერ წინა მუხლის შესაბამისად დარეგისტრირებული

რატიფიცირების დოკუმენტების, განცხადებებისა და დენონსირების აქტების შესახებ.

### **მუხლი 17**

ყოველთვის, როდესაც «შრომის საერთაშორისო ბიუროს» მმართველი საბჭო საჭიროდ ჩათვლის, გენერალურ კონფერენციას წარუდგენს ანგარიშს ამ კონვენციის მოქმედების შესახებ და შეისწავლის კონფერენციის დღის წესრიგში კონვენციის ტექსტის მთლიანად ან ნაწილობრივ გადასინჯვის საკითხის შეტანის საჭიროებას.

### **მუხლი 18**

იმ შემთხვევაში, თუ კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას ამ კონვენციის მთლიანად ან ნაწილობრივ გადასინჯვის შედეგად, და თუ სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული ახალი კონვენციით:

ორგანიზაციის რომელიმე წევრი ქვეყნის მიერ ახალი, გადასინჯული კონვენციის რატიფიცირებას, მე-14 მუხლის დებულებებისაგან დამოუკიდებლად, ავტომატურად მოჰყვება ამ კონვენციის დენონსირება, იმ შემთხვევაში, თუ ახალი გადასინჯული კონვენცია ძალაშია შესული;

ახალი, გადასინჯული კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან წევრი ქვეყნების მიერ წინამდებარე კონვენციის რატიფიცირება შეწყდება.

ნებისმიერ შემთხვევაში წინამდებარე კონვენცია ძალაში რჩება მოცემული ფორმითა და შინაარსით იმ წევრი ქვეყნებისათვის, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება, მაგრამ არ მოუხდენიათ გადასინჯული კონვენციის რატიფიცირება.

### **მუხლი 19**

წინამდებარე კონვენციის ინგლისურ და ფრანგულ ვერსიებს თანაბარი ძალა გააჩნია.

**გაერთიანებული ერების განათლების,  
მეცნიერებისა და კულტურის  
ორგანიზაცია**

**<http://unesdoc.unesco.org>**

## კონვენცია განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ, 1960

მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ კონფერენციაზე 1960 წლის 14 დეკემბერს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია, რომელიც შეიკრიბა პარიზში 1960 წლის 14 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე მის მეთერთმეტე სესიაზე,

მოიხსენიებს რა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ახდენს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპის დეკლარირებას და ადასტურებს, რომ ყველა ადამიანს აქვს განათლების უფლება,

მიიჩნევს რა, რომ განათლების სფეროში დისკრიმინაცია არის ამ დეკლარაციაში გაცხადებული უფლებების დარღვევა,

მიიჩნევს რა, რომ მისი კონსტიტუციის პირობების შესაბამისად გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მიზანია დაამკვიდროს ერებს შორის თანამშრომლობა ადამიანის უფლებების საყოველთაო პატივისცემის და განათლების სფეროში თანაბარი შესაძლებლობების დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით,

აღიარებს რა, რომ გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია პატივს სცემს რა სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემების მრავალფეროვნებას, ასევე მოვალეა არა მხოლოდ აკრძალოს განათლების სფეროში დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმა, არამედ ხელი შეუწყოს განათლების მიღების თანასწორი შეაძლებლობების დამკვიდრებას და განათლების სფეროში თანასწორ მოპყრობას,

განიხილავს რა მის მეათე სესიაზე, რომ ეს საკითხი უნდა გახდეს საერთაშორისო კონვენციის საგანი და ასევე შემუშავდეს რეკომენდაციები მონაწილე სახელმწიფოებისთვის,

იღებს ამ კონვენციას 1960 წლის 14 დეკემბერს.

### მუხლი 1

1. ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი “დისკრიმინაცია” მოიცავს ნებისმიერი სახის განსხვავებას, გამონაკლისს, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას, რომელიც გამოწვეულია რასობრივი წარმოშობით, ფერით, სქესით, ენით, რელიგიით, პოლიტიკური ან სხვაგვარი მოსაზრებით, ეროვნული ან სოციალური წარმოშობით, ეკონომიკური პირობებით ან დაბადებით და აქვს განათლების სფეროში თანასწორი მოპყრობის შეფერხების ან უარყოფის მიზანი ან შედეგი, კერძოდ:

ა) ნებისმიერ პირს ან პირთა ჯგუფს ართმევს ნებისმიერი ტიპის ან ნებისმიერი დონის განათლებაზე ხელმისაწვდომობის შეასძლებლობას;



ბ) ნებისმიერ პირს ან პირთა ჯგუფს ზღუდავს უფრო დაბალი სტანდარტის განათლების მიღების შესაძლებლობამდე;

გ) ამ კონვენციის მეორე მუხლის შესაბამისად, ქმნის ან ინარჩუნებს განათლების განცალკევებულ სისტემებს ან ინსტიტუტებს პირების ან პირთა ჯგუფებისათვის, ან

დ) პირებს ან პირთა ჯგუფებს თავს ახვევს პირობებს, რომლებიც შეუფერებელია ადამიანის ღირსებისათვის.

2. ამ კონვენციის მიზნებისათვის, ტერმინი “განათლება” ნიშნავს ყველა ტიპის და დონის განათლებას და მოიცავს განათლებაზე ხელმისაწვდომობას, განათლების სტანდარტსა და ხარისხს და იმ პირობებს, რომელთა საფუძველზეც ხდება განათლების მიღება.

## **მუხლი 2**

როდესაც სახელმწიფოში ნებადართულია, ამ კონვენციის 1-ლი მუხლით განსაზღვრულ დისკრიმინაციად არ მიიჩნევა შემდეგი სიტუაციები:

ა) ორი სქისის მოსწავლეებისთვის განცალკევებული საგანმანათლებლო სისტემის ან ინსტიტუტების შექმნა ან შენარჩუნება, თუ ეს სისტემები ან ინსტიტუტები უზრუნველყოფს განათლებაზე ეკვივალენტურ ხელმისაწვდომობას, მასწავლებლების კვალიფიკაციას ერთი და იმავე სტანდარტების შესაბამისად, ასევე ერთი და იმავე ხარისხის შენობებს და აღჭურვილობას და იმავე ან ეკვივალენტური სასწავლო კურსების გავლის შესაძლებლობას;

ბ) რელიგიური ან ლინგვისტური მოსაზრებებით განცალკევებული საგანმანათლებლო სისტემების ან ინსტიტუტების შექმნა ან შენარჩუნება, რომლებიც უზრუნველყოფს განათლებას მოსწავლეების მშობლების ან კანონიერი მეურვეების სურვილის შესაბამისად, თუ ასეთ სისტემებში მონაწილეობა ან ამ ინსტიტუტებში დასწრება არჩევითია და მიწოდებული განათლება შეესაბამება კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ან დამტკიცებულ სტანდარტებს, კერძოდ, იმავე დონის განათლებისათვის დაწესებულ სტანდარტებს;

გ) კერძო საგანმანათლებლო ინსტიტუტების შექმნა ან შენარჩუნება, თუ ამ ინსტიტუტების მიზანია არა რომელიმე ჯგუფის იზოლაცია, არამედ საჯარო დაწესებულებების მიერ უზრუნველყოფილი საშუალებების დამატებით სხვა საგანმანათლებლო შესაძლებლობების უზრუნველყოფა, და თუ ეს ინსტიტუტები იმართება აღნიშნული მიზნით და განათლება, რომლის მიღებაც შესაძლებელია ამ ინსტიტუტებში, შეესაბამება იმ სტანდარტებს, რომლებიც შესაძლოა დაწესდეს ან დამტკიცდეს კომპეტენტური ორგანოების მიერ, კერძოდ, - იმავე დონის განათლებისათვის დაწესებულ სტანდარტებს.

## **მუხლი 3**

ამ კონვენციის მიხედვით განსაზღვრული დისკრიმინაციის აღმოფხვრის და თავიდან აცილების მიზნით, ამ კონვენციის მონაწილე მხარეები იღებენ ვალდებულებას:

ა) გააუქმონ ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი და ადმინისტრაციული ინსტრუქცია და შეწყვიტონ ნებისმიერი ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც იწვევს დისკრიმინაციას განათლების სფეროში;

ბ) უზრუნველყონ, საჭიროების შემთხვევაში კანონმდებლობის საფუძველზე, რომ არ არსებობს დისკრიმინაცია მოსწავლეების საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებისას;

გ) არ დაუშვან საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ სახელმწიფოს მოქალაქეების მიმართ რაიმე სახის განსხვავებული მოპყრობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს განსხვავებული მოპყრობა გამოწვეულია დამსახურების ან სპეციალური საჭიროების გამო, სასკოლო გადასახადების გადახდის და სტიპენდიების გაცემის, მოსწავლეებისათვის სხვაგვარი ფორმებით დახმარების და საჭირო ნებართვების გაცემის, აგრეთვე სხვა საჭირო პირობების და საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების უზრუნველყოფის შემთხვევაში;

დ) არ დაუშვან საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ საგანმანათლებლო ინსტიტუტებისათვის დახმარების ნებისმიერი ფორმის შემთხვევაში, ნებისმიერი სახის შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ მოსწავლეები მიეკუთვნებიან რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს;

ე) უზრუნველყონ უცხო ქვეყნების მოქალაქეები, რომლების ცხოვრობენ მათ ტერიტორიაზე, განათლებაზე ისეთივე ხელმისაწვდომობით, რომლებიც გარანტირებულია მათი ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

#### **მუხლი 4**

ამ კონვენციის მონაწილე მხარეები ასევე იღებენ ვალდებულებას ჩამოაყალიბონ, განავითარონ და განახორციელონ სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც არსებული გარემოებების და პრაქტიკის შესაბამისი მეთოდებით ხელს შეუწყობს განათლების საკითხებში თანაბარი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობის დამკვიდრებას, კერძოდ,

ა) გახდიან დაწყებით განათლებას სავალდებულოს და უსასყიდლოს; გახდიან სხვადასხვა ფორმების საშუალო განათლებას თანაბრად ხელმისაწვდომს ყველასათვის ინდივიდუალური შესაძლებლობების საფუძველზე; უზრუნველყოფენ, რომ სკოლაში კანონით დადგენილი დასწრების ვალდებულება სრულდება ყველას მიერ;

ბ) უზრუნველყოფენ, რომ განათლების სტანდარტები იყოს ეკვივალენტური ყველა ერთი და იმავე დონის საჯარო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, და აგრეთვე მიწოდებული განათლების ხარისხთან დაკავშირებული პირობები იყოს ასევე ეკვივალენტური;

გ) შესაბამისი მეთოდებით ხელს შეუწყობენ და გააღრმავებენ იმ პირების განათლებას, რომლებსაც არ მიუღიათ რაიმე სახის დაწყებითი განათლება ან რომლებსაც არ დაუსრულებიათ ერთიანი დაწყებითი განათლების კურსი, აგრეთვე ამ პირების განათლების გაგრძელებას ინდივიდუალური შესაძლებლობების საფუძველზე;

დ) დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფენ მასწავლებელთა ტრენინგებს.

#### **მუხლი 5**

1. ამ კონვენციის მონაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ:

ა) განათლების მიზანი იქნება ადამიანის პიროვნების სრულად განვითარება და ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემის გაძლიერება; ის ხელს შეუწყობს ურთიერთგაგებას, ტოლერანტობას და მეგობრობას ერებს შორის, ასევე რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფებს შორის და აგრეთვე ხელს შეუწყობს გაეროს საქმიანობას მშვიდობის შენარჩუნებისათვის;

ბ) პირველ რიგში აუცილებელია მშობელთა და, საჭიროების შემთხვევაში, კანონიერი მეურვეების უფლების პატივისცემა, აირჩიონ სასწავლო

დაწესებულებები მათი შვილებისათვის, საჯარო ხელისუფლების ორგანოების დაწესებულებების გარდა, თუ ეს არჩეული დაწესებულებები შეესაბამება იმ მინიმალურ საგანმანათლებლო სტანდარტებს, რომლებიც, შესაძლოა, დაწესებული ან დამტკიცებული იქნეს, სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, ბავშვების რელიგიური და მორალური განათლება მათი საკუთარი აღმსარებლობის შესაბამისად; და პირი ან პირთა ჯგუფები არ უნდა იყვნენ იძულებულნი მიიღონ რელიგიური ინსტრუქციები, რომლებიც მათ რწმენას არ შეესაბამება;

გ) აუცილებელია ეროვნული უმცირესობების წევრების უფლებების აღიარება, რათა მათ აწარმოონ მათი საკუთარი საგანმანათლებლო საქმიანობა და ჰქონდეთ საკუთარი სკოლები, და თითოეული სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკის შესაბამისად, სწავლების დროს გამოიყენონ საკუთარი ენა იმ პირობით, რომ:

(I) ეს უფლება არ ხორციელდება ისე, რომ ამ უმცირესობების წევრებს არ ესმოდეთ მთელი საზოგადოების ენა და კულტურა და ვერ მიიღონ მონაწილეობა მის საქმიანობაში; ან განაწყოს ისინი ეროვნული სუვერენიტეტის წინააღმდეგ;

(II) განათლების სტანდარტი არ არის უფრო დაბალი, ვიდრე კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებული ან დამტკიცებული ზოგადი სტანდარტი; და

### **(III) ასეთ სკოლებში დასწრება არჩევითია.**

2. ამ კონვენციის მონაწილე მხარეები იღებენ პასუხისმგებლობას მიიღონ ყველა საჭირო ზომა ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფით განსაზღვრული პრინციპების გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით.

#### **მუხლი 6**

ამ კონვენციის გამოყენებისას, მისი მონაწილე მხარეები იღებენ პასუხისმგებლობას, მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქციონ იმ რეკომენდაციებს, რომლებიც მიღებული იქნება გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მიერ და რომლებითაც განისაზღვრება განათლების სფეროში თანაბარი შესაძლებლობების და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფის მიზნით.

#### **მუხლი 7**

ამ კონვენციის მონაწილე მხარეები გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენციისათვის ამ კონფერენციის მიერ დადგენილი ფორმით და თარიღით წარდგენილ პერიოდულ ანგარიშებში მიუთითებენ ამ კონვენციის განხორციელების მიზნით მათ მიერ მიღებული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომების შესახებ, აგრეთვე მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ, რომლებიც მიღებულია მე-4 მუხლით განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის ფორმულირების და განვითარების მიზნით, აგრეთვე მიღწეული შედეგებისა და დაბრკოლებების შესახებ, რომლებსაც აწყდებიან ისინი ამ პოლიტიკის განხორციელებისას.

## **მუხლი 8**

ამ კონვენციის ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ამ კონვენციის მონაწილე ორ ან მეტ მხარეს შორის და რომელიც ვერ გადაწყდება მოლაპარაკებების გზით, მას შემდეგ, რაც ამოიწურება დავის მოგვარების სხვა გზები, დავის მონაწილე მხარეების მოთხოვნით განსახილველად გადაეცემა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს.

## **მუხლი 9**

ამ კონვენციის მიმართ დათქმები არ დაიშვება.

## **მუხლი 10**

ეს კონვენცია არ შეამცირებს პირის ან პირთა ჯგუფების იმ უფლებებს, რომლებითაც შეიძლება სარგებლობდნენ ისინი ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის დადებული შეთანხმებების საფუძველზე, როდესაც ასეთი უფლებები არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციას.

## **მუხლი 11**

ეს კონვენცია შედგენილია ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე. ოთხივე ტექსტს აქვს თანაბარი ძალა.

## **მუხლი 12**

1. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიცირებას ან დამტკიცებას გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის წევრი სახელმციფოების მიერ, მათი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად.  
2. რატიფიცირების ან მიღების ოფიციალური დოკუმენტები დეკონირებული იქნება გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორთან.

## **მუხლი 13**

1. ეს კონვენცია ღია იქნება მიერთებისათვის ყველა იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც არ არის გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის წევრი და რომელსაც ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭო შესთავაზებს კონვენციასთან შეერთებას.  
2. შეერთება განხორციელდება შეერთების ოფიციალური დოკუმენტის გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორთან დეკონირებით.

## **მუხლი 14**

ეს კონვენცია ძალაში შევა რატიფიცირების, შეერთების ან მიღების მესამე ოფიციალური დოკუმენტის დეკონირების თარიღიდან სამითვის შემდეგ, მაგრამ მხოლოდ იმ სახელმწიფოების მიმართ, რომელთაც მოახდინეს მათი შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტის დეკონირება ამ თარიღამდე ან ამ თარიღისათვის. ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსათვის ეს კონვენცია ძალაში შევა მათ მიერ რატიფიცირების, შეერთების ან მიღების ოფიციალური დოკუმენტის დეკონირებიდან სამი თვის შემდეგ.

### **მუხლი 15**

ამ კონვენციის მონაწილე მხარეები აღიარებენ, რომ ეს კონვენცია გამოიყენება არა მხოლოდ მათ ძირითად ტერიტორიებზე, არამედ არათვითმმართველ ტერიტორიებზე, მათი მფარველობის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, კოლონიებსა და სხვა ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზედაც არიან ისინი პასუხისმგებელნი; ისინი იღებენ პასუხისმგებლობას საჭიროების შემთხვევაში გაუწიონ კონსულტაციები ამ ტერიტორიების მთავრობებს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოებს რატიფიცირების, მიღების ან შეერთების დროს ან მანამდე, ამ ტერიტორიებზე ამ კონვენციის გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, და შეატყობინონ გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს იმ ტერიტორიების შესახებ, რომლებზედაც გავრცელდება ეს კონვენცია, შესაბამისად, შეტყობინება ძალაში შევა სამი თვის შემდეგ მისი მიღების თარიღიდან.

### **მუხლი 16**

1. ამ კონვენციის თითოეული მონაწილე მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსირება საკუთარი სახელით ან იმ ტერიტორიის სახელით, რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზედაც არის იგი პასუხისმგებელი.
2. დენონსირების შესახებ შეტყობინება გაკეთდება წერილობით, ოფიციალური დოკუმენტით, რომელიც დეპონირებული იქნება გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორთან.
3. დენონსირება ძალაში შევა დენონსირების შესახებ ოფიციალური დოკუმენტის მიღების თარიღიდან 12 (თორმეტი) თვის შემდეგ.

### **მუხლი 17**

გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორი მიაწვდის ინფორმაციას ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს, აგრეთვე მე-13 მუხლით განსაზღვრულ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან ორგანიზაციის წევრები და ასევე, გაეროს, მე-12 და მე-13 მუხლებით განსაზღვრული რატიფიკაციის, მიღების და შეერთების ყველა ოფიციალური დოკუმენტის დეპონირების შესახებ და აგრეთვე მე-15 და მე-16 მუხლებით განსაზღვრული; შეტყობინებების და დენონსირებების შესახებ.

### **მუხლი 18**

1. ეს კონვენცია შეიძლება შესწორებული იქნეს გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მიერ. თითოეული ასეთი შესწორება სავალდებულოა იქნება მხოლოდ იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც გახდებიან შესწორებული კონვენციის მონაწილე მხარეები.
2. თუ გენერალური კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას, რომლის საფუძველზედაც ხდება ამ კონვენციის სრულად ან ნაწილობრივ შესწორება, თუ ახალი კონვენცია სხვაგვარად არ განსაზღვრავს, ეს კონვენცია აღარ იქნება ღია რატიფიცირების, მიერთების ან მიღებისათვის იმ თარიღიდან, როდესაც ახალი შესწორებული კონვენცია შევა ძალაში.

## მუხლი 19

გაეროს ქარტიის 102-ე მუხლის შესაბამისად, ეს კონვენცია დარეგისტრირდება გაეროს სეკრეტარიატში გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორის მოთხოვნით.

შესრულებულია პარიზში, 1960 წლის 15 დეკემბერს, ორ ორიგინალად, რომლებიც ხელმოწერილია გენერალური კონფერენციის მეთერთმეტე სესიის პრეზიდენტის და გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორის მიერ, და რომლებიც დეპონირებული იქნება გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის არქივში და მათი დამოწმებული ნამდვილი ასლები გადაეცემა მე-12 და მე-13 მუხლებით განსაზღვრულ ყველა სახელმწიფოს და ასევე გაეროს.

ზევით აღნიშნული არის ამ კონვენციის ნამდვილი ტექსტი, რომელიც სათანადოდ არის მიღებული გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მიერ მისი მეთერთმეტე სესიის დროს, რომელიც გაიმართა პარიზში და გამოცხადდა დახურულად 1960 წლის 15 დეკემბერს.

ამის დასტურად 1960 წლის 15 დეკემბერს ხელს ვაწერთ.

ნაწილი II

---

რეგიონული ნორმატიული ინსტრუმენტები

## ეკონომიკის საბჭო

<http://www.humanrights.coe.int>

<http://conventions.coe.int>

<http://www.coe.int>



## მინისტრთა კომიტეტი

### დეკლარაცია ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ, 1988

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,

შენიშნავენ რა, რომ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა ადამიანის უფლებათა პრინციპს წარმოადგენს, რომელიც აღიარებულია ფუნდამენტურ უფლებად მრავალ საერთაშორისო დოკუმენტში, რომელთაც მათ ხელი მოაწერეს და გაითვალისწინეს ეროვნულ კონსტიტუციებსა და კანონებში:

ითვალისწინებენ, რა ევროპის საბჭოს წესდებით აღებულ ვალდებულებას თვალყური მიადევნონ ამგვარი ფუნდამენტური უფლებების შესრულებას:

დარწმუნებულნი არიან რა, რომ ჰუმანიზმის პროგრესი აბსოლუტურად დამოკიდებულია ორივე სქესის მისწრაფებათა, ინტერესთა და ტალანტის სათანადო გათვალისწინებაზე;

შენიშნავენ რა, რომ დღევანდელ საზოგადოებაში ქალთა და მამაკაცთა შორის უთანასწორობა კვლავ არსებობს როგორც დე იურე, ასევე დე ფაქტო:

მოეხსენებათ რა, რომ სქესის გამო დისკრიმინაცია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, განათლების, კულტურის და სხვა სფეროებში ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა აღიარებას, სარგებლობასა და რეალიზაციას დაბრკოლებას უქმნის:

დარწმუნებულნი არიან რა, რომ საჭიროა გატარდეს მტკიცე საერთო პოლიტიკა ქალთა და კაცთა შორის ეფექტური თანასწორობის მისაღწევად, და ამგვარი პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ოფიციალურ ორგანოებს, ჯგუფებსა და ინდივიდებს.

ადასტურებენ რა ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრინციპისადმი ერთგულებას, როგორც დემოკრატიის აუცილებელ პირობას და სოციალური სამართლიანობის იმპერატიულ მოთხოვნას:

გმოხსენებენ რა, რომ სქესის მიხედვით დისკრიმინაციის ყველა ფორმას, რადგან ეს განაპირობებს ერთ-ერთი სქესის უპირატესობის ან არასრულფასოვნების იდეის გავრცელებას, და ამართლებს ერთი სქესის მეორეზე უპირატესობას ან დომინირებას:

გმოხსენებენ რა, რომ საზოგადოების მიერ ადამიანური რესურსების არასრულად გამოყენებას, რაც გამოწვეულია ერთი სქესის უპირატესობის გამომხატველი დამოკიდებულებისა და ქცევის მოდელების არსებობით;

მიესალმებიან წარსულში განხორციელებულ და მიმდინარე ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ქალთა და მამაკაცთა შორის თანაბარი უფლებებისა და

შესაძლებლობების მიღწევა მთელს მსოფლიოში, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე;

ადასტურებენ რა თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას და ვალდებულებას:

- (ა) განახორციელონ და შეიმუშაონ პოლიტიკა, რომლის მიზანია ქალთა და მამაკაცთა შორის რეალური თანასწორობის მიღწევა ცხოვრების ყველა სფეროში;
- (ბ) განაგრძონ მუშაობა ევროპის საბჭოში, რათა ხელი შეუწყონ ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ეფექტურ მიღწევას
- (გ) ხელი შეუწყონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა იმპერატიულ მოთხოვნებს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობასთან დაკავშირებით;

აცხადებენ, რომ ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებულმა სტრატეგიებმა საშუალება უნდა მისცენ ქალებსა და მამაკაცებს ისარგებლონ კანონით აღიარებული თანასწორუფლებიანობით და თანაბარი შესაძლებლობებით, რათა განახორციელონ თავიანთი უფლებები და განავითარონ ინდივიდუალური ნიჭი და ტალანტი. აღნიშნულ სტრატეგიებში გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი ღონისძიებები - მათ შორის დროებითი სპეციალური ღონისძიებები, რომელთა მიზანია ქალთა და მამაკაცთა შორის დე ფაქტო თანასწორობის მიღწევის დაჩქარება - განსაკუთრებით შემდეგ ასპექტებთან დაკავშირებით:

- ინდივიდუალური უფლებების დაცვა;
- მონაწილეობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში;
- საჯარო სამსახურში ყველა დონის თანამდებობის დაკავება;
- განათლებაზე ხელმისაწვდომობა და განათლების თავისუფალი არჩევანი, საწყის და შემდგომ პროფესიულ განათლებაში;
- მეუღლეთა უფლებები;
- ძალადობის აღმოფხვრა ოჯახში და საზოგადოებაში;
- შვილებთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები;
- ხელმისაწვდომობა ყველა პროფესიაზე, პროფესიული წინსვლა და შრომის ანაზღაურება;
- ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობა;
- ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.

ყურადღებას ამახვილებენ ზემოაღნიშნული სტრატეგიების მიღწევისათვის ადამიანთა შესაბამისი ინფორმირებულობისა და განათლების, მათ მიერ არსებული უსამართლობისა და არათანასწორი უფლებების, მოპყრობისა და შესაძლებლობების უარყოფითი შედეგების გათვითცნობიერების მნიშვნელობას, მუდმივ ყურადღებასთან ერთად, რათა თავიდან იქნეს აცილებული სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაციის ნებისმიერი გამოვლინება ან ფორმა, ან მოხდეს მდგომარეობის გამოსწორება ამ მხრივ;

მოუწოდებენ წევრ სახელმწიფოებს, რომელთაც ჯერ ეს არ გაუკეთებიათ, გახდნენ შემდეგი დოკუმენტების მხარეები:

- ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა კონვენციის მე-7 პროტოკოლი და ევროპის სოციალური ქარტიისა და მისი დამატებითი

პროტოკოლი;

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია; და განახორციელონ «ნაირობის ქალთა დაწინაურების პერსპექტიული სტრატეგიები», რომელიც მიღებულ იქნა მსოფლიო კონფერენციაზე: «გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობის დეკადის მიღწევების განხილვა და შეფასება» (ნაირობი, კენია, 15-26 ივლისი, 1985 წ.).

## საპარლამენტო ასამბლეა

### რეზოლუცია 356 ევროპაში ქალთა პოლიტიკური, სოციალური და სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ, 1967

ასამბლეა,

1. ითვალისწინებს რა, რომ, თუმცა, ქალთა როლს საზოგადოებაში ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ახლა, როდესაც ქალთა ინტერესები და საქმიანობა ვიწრო ოჯახურ წრეს სცდება, რომლითაც ისინი საუკუნეების განმავლობაში შემოიფარგლებოდნენ - იგი ახალ განზომილებას და მნიშვნელობას იძენს;
2. ითვალისწინებს რა, რომ არსებული ტენდენცია გავლენას მოახდენს მორალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ ასპექტებზე;
3. ითვალისწინებს, რა იმ ფაქტს, რომ ბოლო წლებში ევროპის საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა ის პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია ქალის ადგილთან საზოგადოებაში და შენიშნავს, რა რომ ამ თემას მრავალი კვლევა, ანგარიში და ღონისძიება მიეძღვნა;
4. ითვალისწინებს რა, რომ მამაკაცსა და ქალის ექვივალენტურობა, თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა ჯერ კიდევ არ არის სრულად მიღებული, განსაკუთრებით თვით ქალების მიერ;
5. სოციალური კომიტეტის ანგარიშის (დოკ. 2265), გათვალისწინებით,
6. შენიშნავს, რომ:
  - (ა) საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის როლის თვალსაზრისით:
    - (I) მათი მონაწილეობა არჩევნებში, ჩანს, დამაკმაყოფილებელია;
    - (II) თუმცა, ისინი ნაკლებად არიან წარმოდგენილი უმეტეს არჩევით და პოლიტიკური პასუხისმგებლობის თანამდებობებზე;
    - (III) თანაბარი შესაძლებლობების მიუხედავად საჯარო სამსახურში უფროსი საჯარო მოსამსახურის თანამდებობებზე ქალთა რიცხვი მცირეა თითქმის ყველა უწყებაში;
  - (ბ) პროფესიულ საქმიანობაში ქალთა როლის თვალსაზრისით:
    - (I) პროპორციულად შედარებით დიდი რაოდენობა არის ჩართული ამ სექტორებში, მაგრამ რიცხოვნობა არათანაბრად არის გადანაწილებული ასაკობრივი ჯგუფებისა და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით;
    - (II) ისინი ხშირად კონცენტრირებულნი არიან გარკვეულ პროფესიებში;
    - (III) პროპორციულად მუშაქალთა მნიშვნელოვანი რაოდენობას არაადექვატური პროფესიული მომზადება აქვს მიღებული;
    - (IV) თანაბარი კვალიფიკაციის, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების მიუხედავად ქალები ყოველთვის არ სარგებლობენ შრომის თანაბარი ანაზღაურებით ან დაწინაურების თანაბარი შესაძლებლობებით, განსაკუთრებით, კერძო საწარმოებში;
    - (V) კანონმდებლობა და მარეგულირებელი წესები, რომლებიც ითვალისწინებენ იმ ქალთა სპეციალურ დაცვას, რომლებიც ოჯახის გარეთ არიან დასაქმებულნი, შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში ქალებს არაუპირატეს მდგომარეობაში აყენებენ, რადგან დამქირავებლებს არ უწყობენ ხელს დაიქირავონ ისინი;
  - (გ) ჩანს, რომ ქორწინებაში მყოფი ქალის ქმედუნარიანობის, ქორწინების სისტემისა და მშობელთა სტატუსის შესახებ კანონმდებლობა არ იქნა ადაპტირებული, ან ადაპტირებულ იქნა შეცვლილი გარემოებების არაადექვატურად;
7. ითვალისწინებს რა, რომ იმისათვის, რათა ქალებმა ჭეშმარიტი ადგილი იპოვონ საზოგადოებაში, მათი როლი ნათლად უნდა განისაზღვროს და აღიარებულ იქნეს ოჯახსა და მის გარეთ მათი ფუნქციების სათანადოდ დაბალანსების პირობებში, და

საზოგადოების ყველა დონეზე , განსაკუთრებით კი ახალგაზრდები, კარგად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი და მომზადებულნი ამ თვალსაზრისით;

8. იმედს გამოთქვამს, რომ მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების შემდგომი შეცვლა რეალურ შესაძლებლობას მისცემს ქალებს დაიკავონ პოლიტიკური თანამდებობები და უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობები, რაც თეორიულად მათთვის უკვე ხელმისაწვდომია ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით;

9. მოუწოდებს, რომ დედის სოციალური როლი სრულად უნდა იქნეს აღიარებული და გატარდეს ყველა ღონისძიება, განსაკუთრებით ოჯახის შემოსავლებთან, ბავშვის მოვლასა და საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით, რათა დედას საშუალება მიეცეს ჩაერთოს დასაქმებაში, თუ იგი ასე გადაწყვეტს, და ამგვარი გადაწყვეტილების შემთხვევაში, იგი უზრუნველყოფილ იქნეს საჭირო საშუალებებით;

10. მიაჩნია, რომ საჭიროა გადაიდგას ნაბიჯები გოგონებისათვის პროფესიული გადამზადების ორიენტაციისა და ტრენინგების ჩასატარებლად, ასევე უფროსი ასაკის ქალებისათვის, თუ მათ სურთ აირჩიონ ან გააგრძელონ პროფესიული კარიერა;

11. ასევე მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ მუშა ქალთა დაცვა ამჟამად შესაძლებელია დამაკმაყოფილებლად იქნეს მიჩნეული, საჭიროა ამიერიდან საყოველთაო გაუმჯობესება იქნეს მიღწეული გამომუშავებაზე მყოფი ყველა მომუშავეს შრომის პირობების გაუმჯობესებით, განსაკუთრებით სამუშაო საათების შემცირებით, სამუშაო გრაფიკის კორექტირებით, და საჭიროების შემთხვევაში – ნახევარ განაკვეთიანი სამუშაოს შემოღებით, და სამუშაო პირობების შესახებ უახლესი სამედიცინო გამოკვლევების გათვალისწინებით;

12. მიაჩნია, რომ ქორწინებაში მყოფ ქალთა სამართლებრივი სტატუსი, უმთავრესად კი მეუღლეთა და მშობელთა სტატუსი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ადაპტირებული საზოგადოებაში ქალის ცვალებადი როლის შესაბამისად, და თხოვნით მიმართავს იურიდიულ კომიტეტს შეისწავლოს აღნიშნული საკითხი;

13. თხოვნით მიმართავს ასამბლეის წევრ ქვეყნებს გაითვალისწინონ ზემოთ მოცემული მოსაზრებები და პრინციპები,

14. თხოვნით მიმართავს ეკონომიკურ კომიტეტს განიხილოს ქალთა პროფესიული საქმიანობით გამოწვეული პრობლემები და მათი ეკონომიკური შედეგები;

15. იტოვებს უფლებას დროთა განმავლობაში განიხილოს ევროპაში ქალთა მდგომარეობის ნებისმიერი ასპექტი.

[1]. ასამბლეის დებატი, 27-28 სექტემბერი, 1967 (12-ე და 13-ე სხდომა) (იხ. დოკ. 2265, სოციალურ საკითხთა კომიტეტის ანგარიში).

ასამბლეამ ტექსტი მიიღო 1967 წლის 28 სექტემბერს (მე-13 სხდომა).

## რეზოლუცია 606 ქალთა პოლიტიკური უფლებებისა და მდგომარეობის შესახებ, 1975

ასამბლეა,

1. ითვალისწინებს რა, რომ 1975 წელი გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ გამოცხადებულ იქნა «ქალთა საერთაშორისო წლად»;
2. ითვალისწინებს რა 1741 რეკომენდაციას (1974) ქალთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, და 1751 რეკომენდაციას (1975) თანამედროვე ოჯახში მშობლების მდგომარეობისა და პასუხისმგებლობის და საზოგადოების მიერ მათი დახმარების შესახებ;
3. ითვალისწინებს რა, რომ ქალებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა მთლიანად საზოგადოების ინტერესებში შედის და ქალთა გათავისუფლება ამ პრობლემებისგან ნიშნავს ყოველი ადამიანის თავისუფლებას;
4. ითვალისწინებს რა, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების გამოკლებით ისეთი მიზეზები, როგორცაა აზროვნების ტრადიციული მიმართულებები და არსებული სოციო-ეკონომიკური სტრუქტურები, კვლავაც რჩებიან ხელისშემშლელ პირობებად ქალთა მიერ პოლიტიკურ ორგანიზაციებში, მათ შორის ეროვნულ პარლამენტებში, გარკვეული თანამდებობების დაკავებისას;
5. დარწმუნებულია რა, რომ ქალთა მონაწილეობა პოლიტიკური ცხოვრების ყველა დონეზე უსათუოდ მისცემს ორივე სქესის წარმომადგენლებს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების ხედვის უფრო სრული და ობიექტური ხედვის საშუალებას;
6. ითვალისწინებს რა, რომ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური განმანათლებელი ღონისძიებების და სოციალურ რეფორმებზე გამოყოფილი ხარჯების გაზრდის საშუალებით, განსაკუთრებით ჯანდაცვის, პროფესიული სწავლების და ბავშვთა მოვლის შესაძლებლობების სფეროებში;
7. შეშფოთებულია რა, რომ 1975 წელს, ისევე როგორც ეკონომიკური სირთულეების ყველა პერიოდში, რეგრესის შედეგად პირველ რიგში ზარალდებიან ქალები,
8.
  - i. იზიარებს ქალთა საერთაშორისო წლის სამ მიზანს – თანსწორუფლებიანობა, განვითარება, მშვიდობა – და დარწმუნებულია, რომ მხოლოდ თანსწორუფლებიანობის საშუალებით შეიძლება იქნას მიღწეული განვითარება და მშვიდობა;
  - ii. მხარს უჭერს გაერთიანებული ერების, ევროპის საბჭოს, ევროპის ეკონომიკური ერთობის და თვრამეტი წევრი ქვეყნის პოლიტიკასა და პროგრამებს, რომლებიც მიმართულია სექსუალური დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ;
  - iii. მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების პოლიტიკურ პარტიებს ხელი შეუწყონ ქალების მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისცენ ქალებს უფრო აქტიური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა პარტიის მართვაში და უფრო ხშირად წარადგინონ ქალები კანდიდატებად საზოგადოებრივ თანამდებობებზე და აქტიურად შეუწყონ ხელი მათ არჩევას;
  - iv. მოუწოდებს წევრი ქვეყნების მთავრობებს გადადგან შესაბამისი ნაბიჯები, რათა უზრუნველყონ სამთავრობო ორგანიზაციებში ქალთა მონაწილეობის გაფართოება და ასეთ ორგანიზაციებში თანამდებობაზე დანიშვნისას მხოლოდ

ინდივიდუალური ინტელექტუალური და პროფესიული კვალიფიკაციის კრიტერიუმების გამოყენება;

v. მოუწოდებს წევრი ქვეყნების პარლამენტებს საპარლამენტო ასამბლეაზე გასამგზავრებელი დელეგაციის ფორმირებისას გაითვალისწინონ ყველა თავისი წევრის შესაძლებლობები განურჩევლად სქესისა;

vi. მოუწოდებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტსა და გენერალურ მდივანს, რათა ყურადღება მიაქციონ, რომ პერსონალთან დაკავშირებული შინაგანაწესი არ იწვევდეს სქესობრივ დისკრიმინაციას, მათ შორის წინასწარი განზრავის გარეშე ჩადენილ დისკრიმინაციას.

[1]. ასამბლეამ განიხილა 1975 წლის 9 ოქტომბერს (მე-18 სხდომა) (იხ. დოკუმენტი 3643, პოლიტიკური ურთიერთობების კომიტეტის ანგარიში).

ტექსტი მიღებული იქნა ასამბლეის მიერ 1975 წლის 9 ოქტომბერს (მე-18 სხდომა).

### **რეზოლუცია 753 ევროპის საბჭოს სამდივნოში ქალთა მდგომარეობის შესახებ, 1981**

ასამბლეა,

1. შეშფოთებულია რა ევროპის საბჭოს სამდივნოს A დონის, განსაკუთრებით უმაღლესი დონის (A5-A7), პერსონალის შემადგენლობაში, ქალთა რაოდენობის სიმცირით;

2. აცნობიერებს რა, რომ ასეთი მდგომარეობა არ ნიშნავს ქალთა წინასწარ განზრახულ დისკრიმინაციას, მაგრამ ნაწილობრივ გამომდინარეობს იქიდან, რომ სამდივნოში სამუშაოდ უფრო მეტ მამაკაცს შეაქვს განაცხადი ვიდრე ქალს და ასევე ქალები ტოვებენ სამსახურს პირადი, კერძოდ ოჯახური მიზეზით;

3. ითვალისწინებს რა, რომ ქალთა მდგომარეობა ევროპის საბჭოს სამდივნოში არ შეიძლება იქნას განხილული სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში ან წევრი ქვეყნების ეროვნულ მართვის ორგანოებში შექმნილი მდგომარეობისგან დამოუკიდებლად, სადაც ადგილი აქვს მსგავს შემთხვევებს;

4. ითვალისწინებს რა, ასამბლეის 1606 რეზოლუცია (1975) ქალთა პოლიტიკური უფლებებისა და მდგომარეობის შესახებ, სადაც ასამბლეა მოუწოდებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტსა და გენერალურ მდივანს, რათა ყურადღება მიაქციონ, რომ პერსონალთან დაკავშირებული შინაგანაწესი არ იწვევდეს სქესობრივ დისკრიმინაციას, მათ შორის წინასწარი განზრახვის გარეშე ჩადენილ დისკრიმინაციას;

5. სწამს რა, რომ ევროპის საბჭო ადამიანთა უფლებების სფეროში მისი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე ვალდებულია იყოს მაგალითი ორივე სქესის თანასწორუფლებიანობის საკითხებთან დაკავშირებით;

6. ითვალისწინებს რა, რომ ევროპის საბჭოს შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ «კადრების შერჩევა მიზნად ისახავს ყველაზე მეტი შესაძლებლობების მქონე, საქმიანი და პატიოსანი თანამშრომლების დაქირავებას» და რომ თანამდებობაზე დანიშვნა არ უნდა იყოს დამოკიდებული რასობრივ, რელიგიურ, სქესობრივ და სამოქალაქო სტატუსზე»;

7. მიესალმება რა მინისტრთა კომიტეტის მიერ სქესობრივ თანასწორუფლებიანობასთან მიმართებაში ევროპის საბჭოს პერსონალის

მდგომარეობის შესწავლის მიზნით შექმნილი ქალთა საზოგადოებრივი მდგომარეობის კომიტეტის (CAHFM) მიერ განხორციელებულ საქმიანობას,

8. მოუწოდებს გენერალურ მდივანს:

I. შეიმუშავოს პრინციპები A-დონის სამსახურისთვის ისეთი სახით, რომ ხელი შეეწყოს უფრო მეტი ქალის მიერ განაცხადის შემოტანას სამუშაო ადგილის დასაკავებლად;

II. A-დონის კატეგორიისათვის თანამშრომელთა დაქირავების და დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას - იმ შემთხვევებში, როდესაც კაცი და ქალი კანდიდატები თანაბრად კვალიფიციურნი არიან - გაითვალისწინოს სამდივნოში სქესებს შორის თანამდებობების ობიექტურად განაწილების აუცილებლობა;

III. რეგულარულად წარუდგინოს ასამბლეას ანგარიში ქალთა მდგომარეობის შესახებ ევროპის საბჭოს სამდივნოში.

[1]. ტექსტი მიღებულია მუდმივი კომიტეტის მიერ ასამბლეის სახელით 1981 წლის 1 ივლისს.

იხ. დოკუმენტი 4739, საბიუჯეტო და მთავრობათაშორისი საქმიანობის პროგრამის კომიტეტის ანგარიში.

## **რეზოლუცია 855 მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის შესახებ, 1986**

ასამბლეა,

1. ადასტურებს რა ორივე სქესის წარმომადგენლთა თანაბარ ღირსებას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მამაკაცთა და ქალთა შორის თანაბარი შესაძლებლობები, ასევე ასამბლეის სოციალური და ჯანდაცვის საკითხთა კომიტეტის ანგარიშით (დოკ. 5502) განსაზღვრული დისკრიმინაციის აღმოფხვრა დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებათა გამოხატვაა;

2. მიაჩნია რა, რომ მამაკაცთა და ქალთა შორის თანაბარი შესაძლებლობები ნიშნავს ორივე სქესის წარმომადგენლებისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, რათა მათ განავითარონ თავიანთი რესურსები თავისი საქმიანობის, პოლიტიკური, ოჯახური და კულტურული ცხოვრების ყველა ასპექტში;

3. შენიშნავს, რა იმ დაბრკოლებებს, რომელიც არსებობს მამაკაცთა და ქალთა შორის თანაბარი შესაძლებლობების თვალსაზრისით კანონმდებლობასა და მარეგულირებელ წესებში, განათლების სისტემებში, სტერეოტიპულ დამოკიდებულებებში, და ხაზს უსვამს რა მრავალფეროვანი საშუალებების გამოყენებას დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის აღმოსაფხვრელად, რომელთა წინაშეც ქალები ყოველდღიური მუშაობისას დგანან;

4. მიაჩნია რა, რომ როგორც მშობლების, ასევე საზოგადოების ინტერესს წარმოადგენს ბავშვების ისეთ პირობებში აღზრდა, რომელიც შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ხელსაყრელი და უსაფრთხოა, და რომ ბავშვთა საუკეთესო ინტერესები პირველ რიგში უნდა იყოს დაცული, და ოჯახი კვლავ ცენტრალურ როლს უნდა თამაშობდეს თანამედროვე საზოგადოებაში;



5. შენიშნავს რა, რომ თანასწორობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ქალთა და მამაკაცთა როლების გაცვლით, ხოლო ამ მიზნით ახალი, და შრომისა და პასუხისმგებლობების უფრო თანაბარი განაწილება უნდა მოხდეს ქალთა და მამაკაცთა შორის;

6. ხაზს უსვამს რა იმ ფაქტს, რომ საჭიროა ქალებისათვის პროფესიისა და არატრადიციული სამუშაო სფეროების არჩევის ფართო შესაძლებლობების შექმნა განათლებისა და გადამზადების გზით;

7. ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქალებს რეალური შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, რათა თავიანთი გამოცდილება და ღირებულებები გამოიყენონ იმ სფეროების გამრავალფეროვნებისათვის, სადაც ამჟამად მამაკაცები დომინირებენ; ანალოგიურად, მამაკაცებმა თავიანთი გამოცდილება და ღირებულებები უნდა შემოიტანონ ოჯახურ ცხოვრებასა და დასაქმების იმ სფეროებში, სადაც ამჟამად, ჩვეულებისამებრ, ქალები დომინირებენ;

8. კვლავ ადასტურებს რა ფართო კამპანიის საჭიროებას, საზოგადოებისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად და მათ მოსაზრებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, რათა მათ შეიცვალონ თავიანთი დამოკიდებულება და ცრუ შეხედულებები;

9. მოეხსენება რა ქალთა მიმართ არსებული ძალადობის შესახებ;

10. აწუხებს რა ის სპეციფიკური სირთულეები, რომელთა წინაშე იმიგრანტი ქალები დგანან:

11. მიუთითებს, რა ასამბლეის რეკომენდაციაზე, 741 (1974), ქალთა სამართლებრივი პოზიციისა და პოლიტიკაში მყოფი ქალების შესახებ, რეკომენდაცია 1008 (1985), ასევე მინისტრთა კომიტეტის მიერ დამტკიცებულ სხვადასხვა ტექსტებზე, რომელიც შეეხება ქალთა მდგომარეობას, განსაკუთრებით რეზოლუციას, (77) 1, ქალთა დასაქმების შესახებ, რომლითაც სხვა პრინციპებთან ერთად შემოღებულ იქნა თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულებისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპი;

12. წუხილს გამოთქვამს რა, რომ ევროპის საბჭოს ცამეტმა ქვეყანამ ამ დრომდე არ მოახდინა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის რატიფიცირება;

13. მიესალმება რა, იმ ფაქტს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ევროპის საბჭომ თანასწორობის პრინციპის ინტეგრაცია მოახდინა თავის სამუშაო პროგრამაში, ინტერდისციპლინარულ მიდგომაში,

14. მოუწოდებს ევროპის მინისტრთა 1-ელ კონფერენციას ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ, რომელიც 1986 წლის 3-5 მარტში გაიმართება, რომ მოიწვიოს წევრი სახელმწიფოების მთავრობები, რათა:

ა. მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით მიიღონ საოჯახო, სოციალური და საგადასახადო კანონმდებლობა;

ბ. უზრუნველყონ, რომ სკოლებში ძალისხმევა წარიმართოს თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით და აღმოფხვრას, მაგალითად ზოგიერთ სასკოლო სახელმძღვანელოში სქესობრივი სტერეოტიპები, და უზრუნველყოფილ იქნეს სპეციალური ტრენინგების ჩატარება მასწავლებლებისათვის, ასევე ხელი შეეწყოს იმ ახალგაზრდებს, რომელთაც სურთ არატრადიციულ სფეროებში დაიწყონ მოღვაწეობა;

გ. ასახონ ისეთი ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა ღირსების მიმართ პატივისცემის არსებობას რეკლამებში;

დ. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კვლევით პროგრამებს, რომლის თემატიკასა და მეთოდებში დომინირებენ მამაკაცები, და ქალი მკვლევარებისათვის გაადვილონ ამგვარ პროგრამებში მუშაობის დაწყება არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრის გზით, და ამდენად შეავსონ და გაამდიდროს ეს პროგრამები ქალი მკვლევარების თვალთახედვით;

ე. სამუშაო ადგილზე ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება;

i. ამუშაოს იმგვარი ორგანიზების საჭიროებაზე ყურადღების გამახვილებით, რომელიც საშუალებას მისცემს მამაკაცებს პასუხისმგებლობა აიღონ თავიანთი შვილების მოვლასა და თავიანთ წვლილი შეიტანონ საოჯახო საქმის შესრულებაში;

ii. ზოგადად, გაითვალისწინონ, რომ სამუშაო დროის შემცირება და/ან რეორგანიზება ერთ-ერთი გზაა, რომელიც ორივე მშობელს უფრო მეტ შესაძლებლობებს შეუქმნის; ამგვარი რეფორმის განხორციელებამდე შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს მცირეწლოვან ბავშვთა მშობლების სამუშაო საათების კორექტირების საკითხი;

iii. იმის აღიარებით, რომ როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს უნდა მიეცეთ ფასიანი შვებულება მცირეწლოვანი შვილების მოსაველეად, და ამ თვალსაზრისით განიხილონ სოციალური დაცვის სისტემის გაფართოების საკითხი;

ვ. ხელი შეუწყონ ბავშვთა მოვლის სათანადო დღის ცენტრების არსებობას, რაც ორივე მშობელს გაუადვილებს სამუშაოზე წასვლას;

ზ. შემოიღონ ისეთი კანონმდებლობა, რომელიც გაითვალისწინებს ქალებზე ყველა სახის თავდასხმის ან სექსუალური ძალადობის შემთხვევების, მათ შორის სახლში მომხდარი ძალადობის აქტების, სავალდებულო სისხლის სამართლებრივ დევნას და შექმნან დახმარების მექანიზმები თავდასხმის შემთხვევებში ორივე მონაწილე მხარისათვის და დაზარალებული მხარის მხარდასაჭერად;

თ. მხარი დაუჭირონ იმიგრანტი ქალების სპეციალურ ორგანიზაციებს, რათა მოახდინონ მათი იზოლაციიდან გამოყვანა და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ იმაზე, რომ იმიგრანტი ქალებს შესაძლებლობა მიეცეთ შეისწავლონ მასპინძელი ქვეყნის ენა და კულტურა სწრაფად, რამდენადაც ეს შესაძლებელია;

ი. უზრუნველყონ ინფორმაციის მიწოდება და მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენა, რათა საზოგადოების წევრებმა შეიცვალონ დამოკიდებულება და გადალახონ ცრუ შეხედულებები;

კ. მიიღონ ზომები მესამე მსოფლიოს ქვეყნებიდან ქალთა 'იმპორტირებისა' და ღირსების შემლახველ და დამამცირებელ გარემოებებში მათი ექსპლუატაციის პრაქტიკის შესაჩერებლად, ასევე აკრძალონ მონებით ვაჭრობის ეს ახალი ფორმა ევროპელ ქალებთან მიმართებითაც;

ლ. უზრუნველყონ, რომ თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებლობა უშუალოდ მთავრობის მიერ გადასაჭრელი საკითხი გახდეს და უზრუნველყონ, რომ არსებობდეს თანასწორობის პრინციპების ხელშეწყობისა და შესრულებაზე ზედამხედველობის მექანიზმები;

მ. თუ ჯერ არ მოუხდენიათ, მოახდინონ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის რატიფიცირება;

15. კონფერენციას მოუწოდებს ევროპის საბჭოს მინისტრების კომიტეტისათვის წარსადგენ რეკომენდაციებში შეიტანოს, რომ ამ უკანასკნელმა:

ა. გაითვალისწინოს, რომ ევროპის საბჭოს საშუალო ვადიან მიზანს წარმოადგენდეს სპეციალური ვალდებულების შესრულება იმოქმედოს როგორც წევრ სახელმწიფოებში ორივე სქესის თანასწორობისკენ მიმართულ ძალისხმევათა კოორდინატორმა;

ბ. გაითვალისწინოს, როგორც შემდგომი მიზანი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა პოლიტიკის ჰარმონიზება განვითარებად ქვეყნებში ქალთა მდგომარეობაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით;

გ. ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის საკითხების ექსპერტთა კომიტეტს (CAHFM) გაუგრძელოს ტექნიკური დავალების ვადა 1986 წლის შემდეგ;

დ. მხედველობაში მიიღოს წინამდებარე რეზოლუცია ევროპის სოციალურ ქარტიაში შესაბამისი დებულებების განახლებისას.

### **რეზოლუცია 1018 მამაკაცთა და ქალთა თანაბარი უფლებების შესახებ, 1994**

1. ასამბლეა, მიუთითებს რა მამაკაცთა და ქალთა თანაბარი უფლებების შესახებ 1229-ე რეკომენდაციაზე (1994 წ.), წევრი სახელმწიფოების მთავრობებს მოუწოდებს:

- i. თავიანთ კონსტიტუციებში შეიტანონ თანაბარი უფლებების პრინციპი და შეიმუშაონ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა;
- ii. 2000 წლისათვის გახდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მხარეები, თუ ისინი ჯერ არ გამხდარან, და შეისწავლონ კონვენციასთან

დაკავშირებით გაკეთებული დათქმების გაუქმების შესაძლებლობის საკითხი შესაბამისი ადგილობრივი კანონების შეცვლის გზით;

- iii. ჩამოაყალიბონ, თუ ჯერ არ ჩამოუყალიბებიათ, მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს ზედამხედველობას ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებების დაცვაზე და ამ მექანიზმს აღჭურვავს უფლებამოსილებით, ფინანსური რესურსებით და პერსონალით, რომელიც მას სჭირდება დასახული ამოცანების მისაღწევად, განსაკუთრებით მამაკაცთა თანასწორად ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით;
- iv. უზრუნველყოს ქალთა შესაბამისი წარმომადგენლობა ევროპის საბჭოში მუდმივი წარმომადგენლების დანიშვნისას;
- v. ხელი შეუწყონ შესაბამის კანდიდატ ქალებს დაიკავონ უფრო მაღალი თანამდებობები;
- vi. უზრუნველყონ სკოლებში თანასწორობის ხელშეწყობა, მაგალითად სქესთან დაკავშირებული სტერეოტიპების ამოღება სახელმძღვანელოებიდან და სასკოლო პროგრამებში ადამიანის უფლებების შემოღების ინიციატივის გამოჩენა, მათ შორის მამაკაც/ქალთა თანასწორობის ასპექტის, და «პარიტეტულ დემოკრატიაში» ხაზი გაუსვან პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებული მონაწილეობის მიღების საჭიროებას;
- vii. მოუწოდონ მასმედიას პროპაგანდა გაუწიოს თანასწორობას;
- viii. გაატარონ ღონისძიებები სამუშაო ადგილზე ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის შემდგომი ხელშეწყობისათვის:
  - ა. უზრუნველყონ, რომ ევროპული სოციალური სტანდარტები, განსაკუთრებით ევროპის სოციალური ქარტიით და ქარტიის დამატებითი ოქმით დაცული თანაბარი ღირებულების სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპი თანაბრად არის აღიარებული და ეფექტურად ხორციელდება ქალთა და მამაკაცთა მიმართ შრომის ბაზარზე;
  - ბ. ხაზი გაუსვან პროფესიული ცხოვრების, განსაკუთრებით სამუშაო საათების, ორგანიზების საჭიროებას ისეთნაირად, რომ მამაკაცებმა და ქალებმა შესძლონ თავიანთი შვილების მოვლა, საოჯახო საქმეების განაწილება და ამ საქმეების შეთავსება თავიანთ პროფესიულ საქმიანობებთან;
  - გ. ადგილობრივ კანონმდებლობაში გაითვალისწინონ მშობელთა შვებულება, ასევე ბავშვების მოვლის მიზნით ერთ-ერთი მშობლის ანაზღაურებადი შვებულების კონცეფცია;
  - დ. ხელი შეუწყონ დამაკმაყოფილებელი დღის მოვლის ცენტრების და სხვა პირობების ჩამოყალიბებას, რათა მშობლებმა შესძლონ სამუშაოდ წასვლა;
  - ე. სამუშაო ადგილზე ნებისმიერი სახის სქესობრივი ძალადობა გახადოს დასჯადი;
- ix. ფინანსური დახმარება გაუწიოს არასამთავრობო ორგანიზაციებს ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის სფეროში აქტიური მონაწილეობის მისაღებად და შესაძლებლობა მისცენ მათ ოფიციალურ წარმომადგენლებს დაესწრონ

თანასწორობის საკითხისადმი მიძღვნილ კონფერენციებსა და პრაქტიკულ სემინარებს.

2. ასამბლეა წევრ ქვეყნებს სთავაზობს ასამბლეის პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელონ ქალები.

3. ასამბლეა გადაწყვეტილებას ღებულობს გაანალიზოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ შედგენილი წლიური ანგარიში, რომლის მიზანია განიხილოს თანასწორობის, როგორც ამას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია განსაზღვრავს - სფეროში მიღწეული პროგრესი.

4. ასამბლეა წევრი სახელმწიფოების ეროვნულ პარლამენტებს იწვევს:

- i. გამოიყენონ შესაბამისი მეთოდები მამაკაცთა და ქალთა უფლებების თანასწორობის პრინციპის განხორციელებაზე ზედამხედველობის მიზნით;
- ii. უზრუნველყონ ორივე სქესის მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანოებსა და ასამბლეებში თავიანთ ეროვნულ დელეგაციებში, განსაკუთრებით ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში.

5. ასამბლეა ასევე თხოვნით მიმართავს პოლიტიკურ პარტიებსა და პროფესიულ კავშირებს:

- i. უზრუნველყონ, რომ ქალთა რაოდენობა თავიანთ აღმასრულებელ ორგანოებში მინიმუმ მათი წევრები ქალების რაოდენობის პროპორციული იყოს;
- ii. დადებითი ქმედებების განხორციელება, რათა უზრუნველყონ, რომ უფრო მეტი ქალი დაინიშნოს, წარდგენილ იქნეს ან აირჩეს პოლიტიკური ცხოვრების ყველა დონეზე და სამართლიანად იყვნენ წარმოდგენილნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

6. ასამბლეა გენერალურ მდივანს მოუწოდებს გარდამავალ პერიოდში უპირატესობა მიანიჭოს სათანადო კომპეტენციის კანდიდატ ქალებს საჯარო მოსამსახურედ წარდგენისას, და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქალთა დაწინაურებას სამდივნოში.

ასამბლეის 1994 წლის 24 იანვრის (1-ლი სხდომა) დებატი (იხ. დოკუმენტი 6985, იურიდიული საკითხებისა და ადამიანის უფლებების კომიტეტის ანგარიში, მომხსენებელი: ქ-ნი ერი).

ტექსტი ასამბლეამ დაამტკიცა 1994 წლის 24 იანვარს (1-ლი სხდომა)

## რეზოლუცია 1207 ქალთა როლი მეცნიერებასა და ტექნოლოგიის სფეროში, 1999

1. ასამბლეა მიიჩნევს, რომ მეცნიერებასა და ტექნოლოგიის სფეროში არსებული მდგომარეობის მიმოხილვის შედეგად წარმოჩინდა უამრავი უთანასწორობა სამეცნიერო და ტექნოლოგიურ განვითარებაში ქალების და მამაკაცების მონაწილეობის თვალსაზრისით.
2. აღნიშნული უთანასწორობა არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც მამაკაცების მიერ ქალების წინააღმდეგ განხორციელებული წინასწარგამიზნული ქმედება, იგი განხილული უნდა იქნეს, როგორც ისტორიული განვითარების შედეგი.
3. ფაქტია, რომ მნიშვნელოვანი მიკერძოება ხელს უშლიდა ქალთა სრულ მონაწილეობას მეცნიერების და ტექნოლოგიების სფეროში, რის გამოც ტალანტები იკარგებოდა. გოგონების და ქალების წინაშე, რომლებიც სამეცნიერო და ტექნოლოგიურ კარიერას იკეთებენ, მნიშვნელოვანი დაბრკოლებებია. მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროში გადაწყვეტილებების მიმღებ და საკონსულტაციო ორგანოებში შედარებით ნაკლებია ქალთა მონაწილეობა.
4. სკოლებსა და უნივერსიტეტებში მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროსადმი ინტერესი და შესაძლებლობები არ იქმნება.
5. მეცნიერებასა და ტექნოლოგიების სფეროში მამაკაცთა და ქალთა დაბალანსებული მონაწილეობის მიღწევის სურვილი გამართლებულია არა მხოლოდ მორალური და სოციალური მოსაზრებების გამო, არამედ აგრეთვე, განსაკუთრებით, იმ სარგებლის გამო, რასაც მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფერო მიიღებს. მეცნიერებას დიდად წაადგება განსხვავებული თვალსაზრისი და პრიორიტეტები, მუშაობის სტილი და ქალთა უნარ-ჩვევები. უფრო მეტიც, ამ გზით მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროები უფრო მეტად მიესადაგება სოციალურ მოთხოვნებს და უფრო ზუსტად ასახავს საზოგადოების ყველა წევრის ინტერესს.
6. ასამბლეა აქცენტს აკეთებს მინისტრთა საბჭოს მიერ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ დეკლარაციით დადგენილი პრინციპების მუდმივ მოქმედებაზე და აღნიშნავს, რომ ევროსაბჭოს სახელმწიფოების და მთავრობების მეთაურების მეორე სამიტის (1997 წლის 10-11 ოქტომბერი) საბოლოო დეკლარაციით აქცენტი გაკეთდა «საზოგადოების ყველა სექტორში მამაკაცების და ქალების უფრო დაბალანსებული წარმომადგენლობის მნიშვნელობაზე» და მოუწოდა «მამაკაცების და ქალებისათვის თანაბარი შესაძლებლობების მიღწევისაკენ».
7. ასამბლეა მხარს უჭერს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას, როგორც დემოკრატიის ფუნდამენტურ კრიტერიუმს, რომელიც მიღებულ იქნა ევროპის მინისტრების კონფერენციაზე «ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა» (სტამბული, 1997 წლის 13-14 ნოემბერი) და მხარს უჭერს აღნიშნულის მისაღწევად გამიზნულ ღონისძიებებს.
8. ამგვარად, ასამბლეა ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების და ევროგაერთიანების მთავრობებს იწვევს, რათა:
  - i. იმუშაონ ნაციონალურ და ევროპულ გამოკვლევებში გენდერის და შესასწავლი სფეროს შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების და გამოქვეყნების

გაუმჯობესებაზე (სასკოლო სტატისტიკა და გამოკვლევები შემდგომში მეცნიერების და ტექნოლოგიების სფეროს სტუდენტების კარიერის შესახებ);

- ii. წახალისონ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა და ხელი შეუწყონ მათ საქმიანობას, რომლებიც ცდილობენ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროებში მომუშავე ქალთა ინტერესების წახალისებას, პროფესიულ და პირად განვითარებაზე მათი უფლებების დაცვის ჩათვლით;
- iii. უზრუნველყონ ფინანსური მხარდაჭერა კურსდამთავრებული და მეცნიერი ქალების შეკრებების, კოლოქვიუმების და უმაღლესდამთავრებულ და მეცნიერ ქალთა ქსელის ორგანიზებისათვის, რაც შესაძლებელს გახდის მოხდეს სხვადასხვა ქვეყნებში ქალთა გამოცდილების სასარგებლო შედარება;
- iv. გაატარონ ღონისძიებები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში (დსთ) მდგომარეობის გამოსასწორებლად, სადაც მეცნიერული და ტექნოლოგიის სფეროების დაფინანსების შემცირების შედეგად მეცნიერთა რიცხვი შემცირდა, რამაც გავლენა მოახდინა უფრო მეტ ქალზე, ვიდრე მამაკაცზე;
- v. გაატარონ ღონისძიებები, იმ გოგონების ფინანსური წახალისების მიზნით, რომელთაც სურთ სამეცნიერო საგნებს დაეუფლონ არსებული გრანტების ვაჭებსა და გოგონებს შორის მაქსიმალურად სამართლიანად განაწილების უზრუნველყოფის გზით;
- vi. გაატარონ ღონისძიებები – დაწყებითი სკოლიდან და შემდგომ, განსაკუთრებით იმ გადამწყვეტ პერიოდში, როდესაც მოსწავლეები ირჩევენ საგნებს (მოზარდობის პერიოდში 12-დან 18 წლამდე) - რომელთა მიზანია როგორც ვაჭებისათვის, ასევე გოგონებისათვის ინფორმაციის მიწოდება გენდერული სხვაობების შესახებ სწავლაში, დასაქმებასა და ოჯახურ როლებში. ეს შესაძლოა მოიცავდეს ჯგუფში დისკუსიებს მათი მისწრაფებების და მეცნიერებისა და ტექნოლოგიისადმი მათი მიდრეკილების შეფასების შესახებ, გაცნობითი ხასიათის სესიებს იმის განსამარტავად, თუ როგორ ფუნქციონირებს ტექნოლოგიები და როგორ შეიძლება მათი გამოყენება (კომპიუტერების გამოყენება, აუდიო-ვიზუალური აღჭურვილობა, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებული ტექნიკა, და ა.შ). ბოლო ტიპის საქმიანობის მაგალითი განსაკუთრებით სასარგებლო იქნება გოგონების დასარწმუნებლად მეცნიერებისა და ტექნოლოგიისადმი მათ მიდრეკილებაში;
- vii. უზრუნველყონ, რომ გოგონები არ დარჩნენ ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიური რევოლუციის მიღმა და სპეციალურად გოგონებისათვის კომპიუტერების გასაცნობად შეიმუშაონ პროგრამები;
- viii. პოპულარიზაცია გაუწიონ ქალთა როლს მეცნიერებაში სხვადასხვა პროფილის ქალთა შესახებ მაგალითების მოყვანით: როგორც ახალგაზრდების, ასევე არცთუ ახალგაზრდა ქალბატონი აკადემიკოსების, ინჟინრების და მენეჯერების შესახებ, რომელთაც მაღალი ან უფრო ჩვეულებრივი თანამდებობები უკავიათ, დედების, მარტოხელა დედების შესახებ და ასე შემდეგ, რათა გოგონებს შეეძლოთ მათთან იდენტიფიცირება;
- ix. მოუწოდონ მასწავლებლებს საინფორმაციო შეხვედრებზე მოიწვიონ მშობლები, რომელთა მიზანია იმ ცრუ შეხედულების შეცვლა, რომელიც ხშირად აქვთ ოჯახებს და არ უწყობენ ხელს გოგონებს აირჩიონ მეცნიერების ან ტექნოლოგიის სფეროში კარიერა;
- x. შეუწყონ უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებში მასწავლებლებისათვის მამაკაცებსა და ქალებს შორის თანაბარი შესაძლებლობების შესახებ სპეციალური სწავლების შემოღებას, მათ შორის განათლების შესახებ სოციალური მონაცემების, პროფესიული ტრენინგებისა და მამაკაცისა და ქალის სამუშაოს შესახებ,

გენდერისათვის დამახასიათებელ მახასიათებლებზე ყურადღების გამახვილებით კლასში მყოფი გოგონებისა და ვაჟების მიმართ მასწავლებელთა მიდგომების ახალ რეალობაზე ადაპტირების მიზნით;

- xi. მასწავლებელთა მომზადების ხელშეწყობა შერეული აუდიტორიისათვის სხვადასხვა დისციპლინების, განსაკუთრებით მეცნიერული საგნებისა და კარიერის გაკეთების მიმართ გოგონებისა და ვაჟების განსხვავებულ ქცევის გათვალისწინებით;
- xii. ხელი შეუწყონ სასკოლო წიგნებსა და მედიაში სქესის აღნიშვნის ანალიზის გაკეთებას და აღმოფხვრან ამგვარი სტერეოტიპები, ამასთან გაითვალისწინონ მეცნიერებების წარმოდგენა სქესის ნაკლები აღნიშვნით და უფრო მიმზიდველად, რაც ხაზს გაუსვამს მათ ზეგავლენას საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებზე, გარემოსა და ჯანდაცვაზე;
- xiii. უზრუნველყონ საგამოცდო კომისიებში, მასწავლებელთა და უნივერსიტეტებში მკვლევართა შერჩევის ჯგუფებში მამაკაცთა/ქალთა შემადგენლობის უფრო მეტ დაბალანსება, და იმ შემთხვევაში, როდესაც კანდიდატებს თანაბარი ღირსებები აქვთ, უზრუნველყონ პრეფერენციული მიდგომის არსებობა ნაკლებად წარმოდგენილი სქესის მიმართ;
- xiv. ქალებისათვის უზრუნველყონ ხელსაყრელი პირობების შექმნა კარიერის განვითარებისა და დაწინაურების თანაბარი შესაძლებლობების შექმნის მიზნით მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში (პროფესიული გადამზადების კურსები, მაღალ პრიორიტეტულ პროექტებში მონაწილეობა, პროფესიული კონკურენციის სამართლიანი შეფასება, და ა.შ.);
- xv. მეცნიერ მამაკაცთა ინფორმირებულობის გაზრდა და მათთვის ტრენინგის ჩატარება ქალთა და კაცთა თანასწორობის საკითხების შესახებ;
- xvi. ღონისძიებების გატარება, რათა წახალისდეს ეს დარგი, რათა დააზუსტონ და გამოაქვეყნონ შერჩევისა და დაწინაურების პროცედურები ორივე სქესის წარმომადგენლებისათვის.

### **რეზოლუცია 1216 გაეროს მსოფლიო ქალთა მე-4 კონფერენციის შემდგომი ღონისძიებები (პეკინი, 1995 წ.), 2000**

ტექსტი მიღებული იქნა მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ, რომელიც ასამბლეის სახელით მოქმედებს. 17 მაისი, 2000 წელი (იხ. დოკუმენტი 8731, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი შესაძლებლობების კომიტეტის ანგარიში. რეპორტიორი: ქ-ნ როული).

1. ასამბლეა აღიარებს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის საკითხზე მსოფლიო დებატების მნიშვნელობას.
2. ასამბლეა კვლავ ადასტურებს, რომ ადამიანის უფლებებთან მიმართებით ქალებსა და მამაკაცებს შორის უთანასწორობა და განსხვავებები შეუსაბამობაშია ნამდვილი დემოკრატიის პრინციპებთან. ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რის გამოც სახელმწიფოებს, განსაკუთრებით ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოებს, მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანია პეკინში 1995 წელს ქალთა მე-4 მსოფლიო კონფერენციაზე აღებული ვალდებულებების პატივისცემა.
3. ხუთი წლის წინ საჭირო გახდა წევრი ქვეყნების მიერ 1995 წლის შემდეგ მიღწეული პროგრესის შეფასება და შემდეგ წლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასახვა.



4. მიუხედავად იმისა, რომ წევრმა სახელმწიფოებმა გაატარეს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების და უთანასწორობის აღმოფხვრის პოლიტიკა, მრავალ სფეროში ჯერ კიდევ საჭიროა პროგრესის მიღწევა.
5. ასამბლეა კვლავ აცხადებს, რომ დარწმუნებულია, რომ ქალთა და ახალგაზრდა ქალთა უფლებები განუყოფელია და ადამიანის უფლებების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.
6. ამ კონტექსტში ასამბლეა იხსენებს მის მიერ მიღებულ 1212 (2000 წ.) რეზოლუციას შეირაღებულ კონფლიქტებში გაუპატიურების შემთხვევების შესახებ, სადაც იგი კვლავ ადასტურებს «ქალებს, რომლებიც გაუპატიურების მსხვერპლნი აღმოჩნდნენ, უფლება აქვთ სურვილის შემთხვევაში ნებაყოფილობით შეწყვიტონ ორსულობა» .
7. ამიტომ ასამბლეა მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს მიიღონ საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიებები, რათა:

- i. თანასწორი მოპყრობის მეშვეობით, როგორც მამების, ისე დედებისათვის მშობლის შვებულების უზრუნველყოფის და ქალებისა და კაცებისათვის არასრულგანაკვეთიანი სამუშაოს უზრუნველყოფის მეშვეობით შემცირდეს დასაქმების ხელმისაწვდომობის და სამუშაო პირობების თვალსაზრისით არსებული უთანასწორობა;
- ii. უზრუნველყოფილი იქნეს დედათა სოციალური დაცვა;
- iii. აღიარებული იქნეს, რომ ძალადობა საზოგადოდ ადამიანის უფლებების დარღვევას წარმოადგენს და გამოცხადდეს მასთან ბრძოლა, განსაკუთრებით პრევენციის და ყველა დაინტერესებულ მხარეზე (პოლიცია, მოსამართლეები, სოციალური მუშაკები და სხვა) ორიენტირებული საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით;
- iv. სოციალური და ფსიქოლოგიური, თუ ეს შესაფერისია, ფინანსური დახმარების მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნეს დახმარება და გაძლიერებული დაცვა იმ ქალებისათვის, რომლებიც ძალადობის მსხვერპლს წარმოადგენენ;
- v. უზრუნველყოფილი იქნეს შობადობის კონტროლის შესახებ ადექვატური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და შესაბამისი საბიუჯეტო თანხები;
- vi. უზრუნველყოფილი იქნეს სამედიცინო დახმარება ქალებისათვის, რომელთაც სურთ არასასურველი ორსულობის შეწყვეტა;
- vii. შეიქმნას თანასწორობაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო სისტემა, დაწყებული დაწყებითი კლასებიდან, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ყველა სახის ტრეინინგის თანაბარი ხელმისაწვდომობა;
- viii. ორგანიზებული იქნეს საინფორმაციო კამპანია მასწავლებლების, ჟურნალისტების, სოციალური მუშაკების და სახელმწიფო მოხელეებისათვის, რათა უკეთესად იქნეს გაცნობიერებული თანასწორი შესაძლებლობები;
- ix. წახალისდეს ქალების მიერ სწავლის გაგრძელება, განსაკუთრებით სამეცნიერო და ახალი ტექნოლოგიების სფეროებში;
- x. ქალებისათვის მომზადდეს ტრეინინგის კურსები მათი ცხოვრების ყველა ეტაპისათვის;
- xi. უზრუნველყოფილი იქნეს კრედიტის თანასწორი ხელმისაწვდომობა იმ ქალებისათვის, რომელთაც მეწარმების დაწყების სურვილი გააჩნიათ;
- xii. წახალისდეს საინფორმაციო საშუალებების მიერ ისეთი პროგრამების მომზადება, რომელთა მიზანია თანასწორი შესაძლებლობების წახალისება;
- xiii. მიღებული იქნეს ქალთა ტრეფიკინგის და პროსტიტუციის პრევენციის ზომები სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნაწილის ჰარმონიზაციის

მეშვეობით და მონაწილე უფლებამოსილ ორგანოებს შორის, პოლიციის, მიგრაციაზე პასუხისმგებელი ორგანოების, საბაჟოს და დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით, თანამშრომლობის დამყარებით ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე;

xiv. წახალისდეს და ხელი შეეწყოს ქალთა მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

xv. წახალისდეს თანასწორობა პოლიტიკურ და საზოგადოების დონეზე, კერძოდ, პარტიებისათვის პარტიულ სიაში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი რაოდენობით შეტანის მოთხოვნით და პარტიების დაფინანსების საკითხის აღნიშნული მიზნის მიღწევაზე დამოკიდებულების მეშვეობით.

## რეზოლუცია 1247 ქალთა სქესობრივი დასახიჩრება, 2001

ტექსტი მიღებულია ასამბლეის სახელით მოქმედი მუდმივი კომიტეტის მიერ 2001 წლის 22 მაისს (იხილეთ დოკუმენტი 9076, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობების კომიტეტის ანგარიში, მომხსენებელი ქ-ნი ვერმოტ-მანგოლდი).

1. ასამბლეა ითვალისწინებს და კვლავაც ადასტურებს 1018 რეზოლუციას (1994) და 1229 რეკომენდაციას (1994) ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის შესახებ და მინისტრთა კომიტეტის მიერ 1988 წლის 16 ნოემბერს მიღებულ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის დეკლარაციას. ასამბლეა ასევე ითვალისწინებს ევროპის კონვენციას ბავშვთა უფლებების განხორციელების შესახებ (1996) ETS 160, ასევე 1371 (1998) რეკომენდაციას ბავშვთა შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის შესახებ.
2. ასამბლეა ასევე მიუთითებს ადამიანთა უფლებების შესახებ ევროპის კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებზე, ადამიანთა უფლებების მსოფლიო დეკლარაციის 25-ე მუხლზე, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების 12.1 მუხლსა და ადამიანთა და ხალხთა უფლებების შესახებ აფრიკის ქარტიის მე-16 მუხლზე.
3. ასამბლეა ასევე მხარს უჭერს მსოფლიოს ჯანმრთელობის ორგანიზაციის, იუნისეფის, გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისარის ოფისის და გაერთიანებული ერების ადამიანთა უფლებების კომისიის პოზიციას, რომლის თანახმად სქესობრივი დასახიჩრება წარმოადგენს წამების ერთ-ერთ ფორმას და მოუწოდებს მის აკრძალვას და დამნაშავეთა დასჯას გაერთიანებული ერების ქაიროს (1994) და პეკინის (1995) კონფერენციებზე მიღებული ტექსტების შესაბამისად.
4. ასამბლეა აცხადებს, რომ პიროვნების პატივისცემის საყოველთაო პრინციპები და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება, ისევე როგორც ქალთა და მამაკაცთა სრული თანასწორობა, უპირატესობით უნდა სარგებლობდეს ადათ-წესებსა და ტრადიციებთან მიმართებაში.
5. ყოველწლიურად 2 მილიონი ქალი ფეხმძიმობის პერიოდის დასრულებისას დგას საფრთხის წინაშე წარსულში მიყენებული სქესობრივი დასახიჩრების გამო. გარდა ამისა, ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში შეიმჩნევა ამგვარი შემთხვევების ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით იმიგრანტებს შორის.
6. აქედან გამომდინარე გადაუდებელ საკითხს წარმოადგენს მოხდეს გაყოფა უმცირესობათა კულტურის დაცვასა და იმ ტრადიციებზე თვალის დახუჭვას

- შორის, რომლებიც წამების და ანტიჰუმანური ან ბარბაროსული მოპყრობის ტოლფასია, და რომელთა აღმოფხვრაც სურს ევროპის საბჭოს.
7. ადამიანთა უფლებების შესახებ ევროპის კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, სქესობრივი დასახიჩრება უნდა შეფასდეს როგორც ანტიჰუმანური და შეურაცხყოფელი მოპყრობა, მიუხედავად იმისა, ეს განხორციელდა ჰიგიენური პირობების დაცვით და კვალიფიციური პერსონალის მიერ.
  8. ასამბლეა ხაზს უსვამს, რომ ყოველივე ამას მძიმე შედეგები მოაქვს დაზარალებულთათვის, კერძოდ, პირდაპირი გავლენა აქვს მათ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, ჰიგიენური პირობების დაუცველობით გამოწვეული ინფექციის შეჭრის გამო, რაც იწვევს ისეთი ტიპის დაავადებებს როგორცაა შიდსი, და ასევე ადგილი აქვს მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ გართულებებს.
  9. ასამბლეა გმობს ნაადრევი ქორწინების რიცხვის ზრდას, რაც გოგონებს აყენებს უფრო მეტად დაუცველ მდგომარეობაში, და ასევე ქალწულობის ტესტებს.
  10. ამასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციებმა წამყვანი როლი უნდა შეასრულონ სქესობრივი დასახიჩრების წინააღმდეგ ბრძოლაში, და საშუალება მისცენ გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებს ჩაერთონ ადგილობრივ საზოგადოებაში და ხელი შეუწყონ სქესობრივი დასახიჩრების შემთხვევების აღმოფხვრისაკენ მიმართული პრევენციული პროგრამებისა და საინფორმაციო კამპანიების შემუშავებას.
  11. ასამბლეა მიმართავს წევრი ქვეყნების მთავრობებს:
    - i. მიიღონ განსაკუთრებული კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს სქესობრივ დასახიჩრებას და განსაზღვრავს მას როგორც ადამიანთა უფლებებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევად;
    - ii. გაატარონ ღონისძიებები სქესობრივი დასახიჩრების ამკრძალავი კანონმდებლობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით იმ დრომდე, სანამ ისინი შევლენ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში;
    - iii. გაატარონ უფრო მოქნილი ზომები, რათა თავშესაფარის მიღების უფლება იმ დედებსა და მათ შვილებს, რომელთაც ეშინიათ გახდნენ ასეთი მოქცევის სუბიექტი;
    - iv. მიიღონ სამართლებრივი დევნის განსაზღვრული ვადები, რათა საშუალება მისცენ დაზარალებულებს მიმართონ სასამართლოს სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ და ორგანიზაციებს მისცენ უფლება სასამართლოში აღძრან საქმე;
    - v. სქესობრივი დასახიჩრების ფაქტებთან დაკავშირებით განახორციელონ დამნაშავეებისა და მათი თანამზრახველების სამართლებრივი დევნა, მათ შორის ოჯახის წევრების და სამედიცინო პერსონალის, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ქვეყნის გარეთ;
    - vi. გაატაროს საინფორმაციო და შემეცნებითი კამპანიები, რათა აცნობონ სამედიცინო პერსონალს, ლტოლვილთა ჯგუფებს და სხვა დაინტერესებულ ჯგუფებს სქესობრივი დასახიჩრების მძიმე შედეგების შესახებ ჯანმრთელობის, ქალთა ფიზიკური კეთილდღეობისა და ღირსების თვალსაზრისით, ასევე აცნობონ მათი პერსონალური სამოქმედო უფლებების შესახებ და იმ ადათ-წესებისა და ტრადიციების შესახებ, რომლებიც წინააღმდეგობაშია ადამიანთა უფლებებთან;
    - vii. შემოიღონ სქესობრივი განათლების კლასები სკოლებში და შესაბამის ახალგაზრდულ ჯგუფებში, რათა ახალგაზრდა მოსახლეობას მიაწოდონ ინფორმაცია სქესობრივი დასახიჩრების მძიმე შედეგების შესახებ;

- viii. უზრუნველყონ საქორწინო ასაკს არმიღწეული ახალგაზრდა გოგონების ქორწინებამდე ჩატარდეს ამ გოგონების გასაუბრება ადმინისტრაციის ან სასამართლოს ოფიციალურ წარმომადგენლებთან ასეთი სახის ქორწინებაზე გოგონების თანხმობაში დარწმუნების მიზნით;
- ix. რატიფიცირება მოახდინონ, როგორც პრიორიტეტის, შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების, რათა მოხდეს ქალთა უფლებებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია. კერძოდ, გაერთიანებული ერების კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ და გაერთიანებული ერების კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმით გამოვლენის აღმოფხვრის შესახებ, და უზრუნველყონ მათი რატიფიცირება დათქმის გარეშე.

### **რეზოლუცია 1328 ქალები და მიკრო-სესხები, 2003**

1. სიღარიბის გავრცელების შედეგად მსოფლიო მოსახლეობის მზარდი რაოდენობას ცხოვრების არასტაბილურ პირობებში უწევს ცხოვრება. ეს ენდემური ფენომენი გავლენას ახდენს ევროპის ქვეყნებზე და განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს ქალებსა და ადამიანთა ზოგიერთ სხვა კატეგორიაზე, რომლებიც დაუცველნი არიან ეკონომიკური მდგომარეობის გამო.
2. სიღარიბე ზოგჯერ აღიქმება როგორც ისეთი რამ, რომლის შველაც არ შეიძლება პირის სოციალურ კეთილდღეობაზე დამოკიდებულების გამო. საჭიროა ევროპის მასშტაბით ეკონომიკური განვითარება, რაც ყველას მოუტანს სარგებელს და დაეხმარება ყველა მოქალაქეს მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში.
3. საპარლამენტო ასამბლეა, რომელსაც სწადია პოტენციური აღმოაჩინოს იმ ადამიანებში, რომლებიც გარიყულნი არიან, შენიშნავს, რომ ქალები ხშირად მთავარი მსხვერპლნი არიან.
4. ასამბლეა, ითვალისწინებს რა, იმ ფაქტს, რომ სოციალური დახმარება მხოლოდ დროებითი ღონისძიება უნდა იყოს, სურვილი აქვს ღარიბ ადამიანებს უფრო ადვილად მიუწვდებოდეთ ხელი მიკრო-საფინანსო რესურსებზე. მას ასევე სურვილი აქვს მსესხებლები უზრუნველყოფილნი იყვნენ პერსონალური დახმარებით, რათა მათ შეძლონ მაქსიმალურად გამოიყენონ ნასესხები თანხები.
5. ქალთა მონაწილეობა მიკრო-საფინანსო სქემებში ქალებისათვის შესაძლოა იყოს პარტნიორების მხრიდან შესაძლო ძალადობრივი მოპყრობიდან გაქცევის საშუალება.
6. უამრავ შემთხვევაში მიკრო-სესხებმა ხელი შეუწყო ქალთა შესახებ არსებული წარმოდგენების შეცვლას ეკონომიკასა და სოციალურ განვითარებაში მათი მონაწილეობისა და ამ მხრივ მათი როლის შესახებ. უფრო ზუსტად, მიკრო-სესხების შედეგად უფრო მეტი აღიარება გაჩნდა ქალთა შესაძლებლობის მიმართ შესარულონ ისეთი საქმე, რომელსაც შემოსავალი მოაქვს.
7. ამდენად, ასამბლეა მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს შეიმუშაონ კოლექტიური სტრატეგიები ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე სამოქმედოდ, რომელთა მიზანი იქნება სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა კომპონენტებს შორის თანამშრომლობის კოორდინაცია და ადამიანური და ფინანსური რესურსების მობილიზაცია სიღარიბის დასამარცხებლად, და ფინანსურ რესურსებზე ნაკლები ხელმისაწვდომობის პრობლემის გადასაჭრელად ყველა იმ ადამიანისთვის, რომელსაც სურს ეკონომიკური საქმიანობის დაწყება.

8. ამიტომ ასამბლეა რეკომენდაციას უწევს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

ი. შეიმუშაონ საფუძვლები, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე და მიკრო-საწარმოების განვითარებას სამართლებრივი და მარეგულირებელი სტრუქტურის მეშვეობით;

იი. ჩამოაყალიბონ მიმზიდველი სამართლებრივი საფუძვლები, რომელიც მიმართული იქნება მიკრო საწარმოების არაფორმალური სექტორიდან გამოყვანაზე და ამდენად ხელს შეუწყობს მათ ჩართვას სოციალური დაცვის პროგრამებში;

იიი. მოახდინონ არაფორმალურად სამუშაო ადგილების შექმნის ლეგალიზება და უზრუნველყონ ინსტიტუციონალური საფუძვლების არსებობა, რათა შესაძლებელი გახდეს უფრო მეტი ადამიანის მოცვა მათთვის დახმარების გაწევის მიზნით;

ივ. შემოიღონ მარეგულირებელი ფუნქცია, რომლის შესრულებაც ხელს შეუწყობს და მოახდენს ინვესტიციების განაწილებას და მათ რეალიზებას მიკრო-საწარმოების სასარგებლოდ საგადასახადო სტიმულირების პოლიტიკის მეშვეობით;

ვ. ხელი შეუწყონ მცირე სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას, რათა ისინი უფრო მიმზიდველი და ნაკლებად დამამძიმებელი გახდეს სუბსიდიების მეშვეობით და ამგვარი სესხის შედეგიანობას საფრთხე არ შეექმნას;

ვი. იმუშაონ სოციალურ ორგანოებთან და ტრადიციულ ფინანსურ ინსტიტუტებთან ბანკების მიერ დაწესებული სესხის დაფარვის საბოლოო ვადებისა და პირობების, და მსესხებელთა მიერ სესხის დაფარვის შესაძლებლობის დასაბალანსებლად;

ვიი. შეიმუშაონ მიკრო-საწარმოებთან უფრო მოქნილი გარიგებების დადების მარეგულირებელი წესები და ხელი შეუწყონ ევროპაში ინფორმაციისა და კომპეტენტურობის გავრცელებას გამოცდილების გაზიარების მიზნით და გრძელვადიან პერიოდში იმ სექტორის განმტკიცებისათვის, რომელიც აყვავებას განიცდის;

ვიიი. გაუადვილონ მიკრო-საწარმოებს მონაწილეობა მიიღონ მოლაპარაკებებში მომწოდებლებთან და მათ მომხმარებლებთან, რათა გაიზარდოს მათი უპირატესობა მოლაპარაკებაში;

იხ. უზრუნველყონ ტრენინგების ჩატარება და სამართლებრივი დახმარების გაწევა მსესხებლებისათვის, რათა ისინი მზად იყვნენ შეასრულონ თავიანთი როლი როგორც მეწარმეებმა;

ხ. უზრუნველყონ, რომ განსაკუთრებით ქალებს თავისუფლად მიუწვდებოდეთ ხელი მიკრო-სესხებზე, და აღმოფხვრან დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმა, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მათ ამგვარი სახის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობაში;

ხი. შეეცადნენ ხელი შეუწყონ ყველა მონაწილე პირის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დემოკრატიულ მონაწილეობაზე ვალდებულების აღებას;

ხიი. ხელი შეუწყოს დამატებითი ფინანსური მომსახურებების (დაზღვევა, შემნახველი სქემები) მიწოდების უზრუნველყოფას, რათა მსესხებლები დაიცვან გაუთვალისწინებელი გარემოებებისაგან.

9. ასამბლეამ გადაწყვეტილება მიიღო წინამდებარე რეზოლუცია გაუგზავნოს ევროპის განვითარების საბჭოს, რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპულ ბანკს, მსოფლიო ბანკსა და ბანკების ევროპის ასოციაციას.

## რეზოლუცია 1337 ქალთა ვაჭრობითა და პროსტიტუციით გამოწვეული მიგრაცია, 2003

1. ქალთა და მამაკაცთა შორის უთანასწორობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქალთა ვაჭრობითა და პროსტიტუციით გამოწვეული მიგრაცია. საპარლამენტო ასამბლეა შეშფოთებულია იმით, რომ მიგრაციის ამ ფორმამ მიიღო მასშტაბური, კარგად ორგანიზებულ სისხლის სამართლის დანაშაულის საერთაშორისო ვაჭრობის სახე, რომელიც დაკავშირებულია ქალთა ექსპლუატაციასთან.

2. ასამბლეა მიუთითებს და კვლავ ადასტურებს 1325-ე რეკომენდაციას (1997) ქალთა ვაჭრობისა და ძალადობრივი პროსტიტუციის შესახებ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში და 1545-ე რეკომენდაციას (2002) ქალთა ვაჭრობის წინააღმდეგ კამპანიის შესახებ. ამ რეკომენდაციებში ადამიანებით ვაჭრობა განსაზღვრულია როგორც ადამიანის უფლებების საკითხი, რომელიც განაპირობებს ქალთა ღირსებისა და მთლიანობის, მათი თავისუფლებისა და ზოგიერთ შემთხვევაში მათი სიცოცხლის უფლების შელახვას.

3. ადამიანით ვაჭრობა და მასთან დაკავშირებული მიგრაცია აყვავებას განიცდის იმის გამო, რომ ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის არსებობს სხვაობა, ახალგაზრდებს არ აქვთ მომავლის მშენებლობის შესაძლებლობები, მრავალ ქვეყანაში სიღარიბე გავლენას ახდენს ქალებზე, რაც განსაკუთრებულად დაუცველს ხდის მათ სექსის ინდუსტრიაში ექსპლუატაციის თვალსაზრისით. წარმოშობის სახელმწიფოში რთული ეკონომიკური მდგომარეობით სარგებლობენ ორგანიზებული დამნაშავეები როგორც წარმოშობის სახელმწიფოში, ასევე დანიშნულების სახელმწიფოში.

4. ასამბლეა შენიშნავს, რომ დანიშნულების ზოგიერთ სახელმწიფოში სამუშაო ძალის დეფიციტი მიგრანტ მომუშავეებზე მოთხოვნას ქმნის. როდესაც ლეგალური მიგრაცია ვერ ავსებს ამ დეფიციტს, არალეგალური მიგრაციის და ადამიანით ვაჭრობის სტიმულირება და შესაძლებლობა იზრდება. რეპრესიული მიგრაციული პოლიტიკა და ამის შედეგად დანიშნულების სახელმწიფოებში ქალთა არალეგალური სტატუსი მიგრანტ ქალებს უფრო დამოკიდებულს და დაუცველს ხდის სხვადასხვა ფორმის ექსპლუატაციისა და ძალადობისაგან.

5. ასამბლეა მიუთითებს თავის 1489-ე რეკომენდაციაზე (2001) ტრანზიტული მიგრაციის შესახებ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და განმეორებით აღნიშნავს მიგრაციის პოლიტიკის სფეროში ევროპული სტრატეგიის შემუშავების მნიშვნელობას, რომლის მიზანი იქნება ლეგიტიმური მიგრაციის შესაძლებლობების განვითარება. ამან საშუალება უნდა მისცეს ზოგიერთ ქალს თავიდან აიცილოს ტრეფიკინგი მიგრაციის მიზნით მოვაჭრეებთან გარიგების საჭიროების შემცირების გზით.

6. ასევე გადაუდებელი საკითხია ეფექტური საერთო ევროპული სტრატეგიის შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს წარმოშობის სახელმწიფოში ეკონომიკის აღდგენის პოლიტიკის განხორციელებას, გაზრდის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, შეამცირებს მიგრაციის დონეს სიღარიბის გამო და შეამცირებს ვაჭრობის მიწოდებისა და პროსტიტუციის მოთხოვნის ფაქტორებს. წარმოშობის სახელმწიფოებში ეკონომიკური მიგრაციის ძირეული მიზეზები შესაძლოა აღმოიფხვრას ეკონომიკური თანამშრომლობით, სავაჭრო ექსპანსიით, განვითარების მხადაჭერით და კონფლიქტის თავიდან აცილებით.

7. ასამბლეა დიდად არის შეწუხებული საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულობების კავშირით ქალთა ვაჭრობასა და პროსტიტუციაში. ასამბლეა ევროპის სახელმწიფოებს მოუწოდებს შეიმუშაონ კანონმდებლობა ადამიანით

ვაჭრობის კონკრეტული დანაშაულობებისა და მასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების შესახებ, რომელშიც გაითვალისწინებენ მკაცრ სასჯელს ამგვარი დანაშაულის ჩამდენთათვის.

8. ასამბლეას მიჩნია, რომ ქალთა ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მსხვერპლთა სტატუსსა და უფლებებს (მაგალითად, საცხოვრებელი ადგილის და სისხლის სამართლის წარმოების მხრივ), ასევე მათ ფიზიკურ დაცვას, დახმარებასა და ფინანსურ დახმარებას. მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილ იქნას ტრეფიკინგის მსხვერპლთა შემდგომი დაცვა იმისდა მიუხედავად ჩვენებას მისცემენ ადამიანით მოვაჭრეთა წინააღმდეგ თუ არა.

9. შესაბამისად, ასამბლეა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს:

ა. ზოგადი ღონისძიებები

i. დაასახელონ ეროვნული მომხსენებელი ადამიანით ვაჭრობის საკითხების შესახებ თითოეულ წევრ ქვეყანაში, რომელიც შეასრულებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა და მათი ოჯახების საკონტაქტო პირისა და ადვოკატის ფუნქციას;

ii. ეფექტური ღონისძიებები გაატარონ წარმოშობის სახელმწიფოებში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მათ შორის სოციალური დაცვის გაუმჯობესებისა და დასაქმების შესაძლებლობების შექმნის მიზნით;

iii. უკეთ დაადგინონ წარმოშობის სახელმწიფოებში შრომის ბაზრებზე არსებული დისბალანსი და ხელი შეუწყონ შერჩევითი იმიგრაციისა და ეფექტური ინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელებას;

iv. შეამცირონ სექსუალური ექსპლუატაციის, იძულებითი შრომის ან მონობის მიზნით ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიერ განსახორციელებელ საქმიანობაზე მოთხოვნა;

v. შეიმუშაონ სოციოლოგიური კვლევის პროექტები და კვლევები, რათა ტრეფიკინგის მსხვერპლ ქალთა პროფილის და პროსტიტუციის შესახებ უკეთესი ინფორმაცია ჰქონდეთ და განსაზღვრონ და ხელი შეუწყონ ალტერნატიული ღონისძიებების განხორციელებას, შემოიღონ კლიენტთა დადანაშაულების ან სრული დაუსჯელობის პრაქტიკა;

ბ. მიგრაციის პოლიტიკის გაუმჯობესების ღონისძიებები

i. ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება მიგრაციის პოლიტიკის სფეროში, რომლის მიზანი იქნება მიგრაციის ლიგიტიმური შესაძლებლობების ჩამოყალიბება;

ii. მოკლევადიანი მიგრაციული კონტრაქტების შესახებ წარმოშობის და დანიშნულების სახელმწიფოებს შორის ორმხრივი შეთანხმებების გაფორმების ხელშეწყობა;

iii. მიგრაციული პოლიტიკის შემოღება ტრეფიკინგის და მიგრაციული პროსტიტუციის მსხვერპლთა რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციაში დახმარების გასაწევად;

iv. ისეთი სააგენტოების რეგულირება და მონიტორინგი, როგორცაა საქორწინო, დასაქმების, ტურისტული, მომვლელთა და შვილად აყვანის სააგენტოები, რათა დაისაჯონ ისინი, ვინც ითანამშრომლებენ ადამიანით მოვაჭრეთა კრიმინალურ ჯგუფებთან;

v. ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის ბინადრობის ნებართვების მიცემა ჰუმანიტარული პრინციპების საფუძველზე. პირს, რომელზეც გაიცემა ბინადრობის ნებართვა, ამგვარი ნებართვის გაცემაზე ან განახლებაზე უარის თქმის შემთხვევაში, უფლება უნდა მიეცეს შეიტანოს სარჩელი, რასაც დეპორტაციის შეჩერების ეფექტი უნდა ჰქონდეს;

ბ. პრევენციული ღონისძიებები

- i. მონაცემთა ბანკების ჩამოყალიბება და ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებული მიგრაციის სხვადასხვა ასპექტების შესახებ ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა;
- ii. ინფორმირებულობის გაზრდის კამპანიების ხელშეწყობა და გაფართოებული გაგება იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ტრეფიკინგი და ზომების შემოღება არალეგალური მიგრაციის პრევენციის მიზნით, მათ შორის საინფორმაციო კამპანიების ხელშეწყობის და/ან ორგანიზების მეშვეობით, რომელიც გამიზნული იქნება ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლთათვის, განსაკუთრებით რისკის არეალებში, სკოლებსა და განთლების სხვა დაწესებულებებში, და სოციალური თავშეყრის სხვა ადგილებში;
- iii. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომლებიც შემოგვთავაზებენ პროფესიულ ცოდნას ქალთა ფუნდამენტური უფლებების, შრომის უფლებებისა და ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ;
- iv. საერთაშორისო თანამშრომლობის ჩამოყალიბება პოლიციის სპეციალურ დანაყოფებთან, რომლებიც მუშაობენ ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე;
- v. ტრეფიკინგის წინააღმდეგ სპეციალური ინფორმირებულობის გაზრდის პროგრამების ორგანიზება მართლმსაჯულების, სამართალდამცველთა, სამედიცინო და სოციალური მუშაკებისათვის, ასევე საკონსულო და მიგრაციის სამსახურებისათვის;
- vi. ტრეფიკინგთან დაკავშირებული დანაშაულის პრევენციისა და გამოძიების შესახებ ინტერპრეტაციული კომენტარების შემუშავება მოსამართლეთათვის და სხვა ოფიციალური პირებისათვის, ასევე კომპლექსური პროცედურული სახელმძღვანელო მითითებები პოლიციისა და იმიგრაციის მუშაკებისათვის;

#### ღ. სამართლებრივი დონისძიებები

##### საერთაშორისო დონეზე

- i. ადამიანით ვაჭრობის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის იდეის მტკიცე მხარდაჭერა, რომელიც დამატებით ღირებულებას შესძენს სხვა საერთაშორისო დოკუმენტებს თავისი ცალსახა ფოკუსით ადამიანის უფლებებსა და მსხვერპლთა დაცვის საკითხებზე, ასევე გენდერული ასპექტზე;
- ii. ხელი მოაწერონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ, ასევე კონვენციის დამატებითი პროტოკოლს ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებით და ბავშვებით - ვაჭრობის (პალერმოს პროტოკოლი) პრევენციის, შემცირებისა და დასჯის შესახებ, და მოახდინონ მათი რატიფიცირება, თუ მათ ჯერ ეს არ გაუკეთებიათ;

##### ეროვნულ დონეზე

- i. პროკურატურის რეგიონულ და ცენტრალურ ორგანოებში დანიშნონ პროკურატურის მუშაკები, რომლებიც სპეციალურად არიან მომზადებულნი ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ საბრძოლველად;
- ii. სისხლის სამართლის ადგილობრივ კანონმდებლობაში გაითვალისწინონ ტრეფიკინგის დანაშაული, თუ მათ ჯერ ეს არ გაუკეთებიათ;
- iii. ამგვარი ტიპის ტრეფიკინგისა და იძულებითი პროსტიტუციისათვის შემოიღონ მკაცრი სასჯელი;
- iv. მოუწოდონ ტრეფიკინგის მსხვერპლსა და მოწმეებს სასამართლოში მისცენ ჩვენება ადამიანით მოვაჭრეების წინააღმდეგ და მათ, ვისაც ჩვენების მიცემის სურვილი აქვთ, უზრუნველყონ მათი დაცვა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პერიოდში და შემდგომ პერიოდში, როდესაც კი მათი უსაფრთხოება საფრთხის ქვეშ დადგება;



მ. მსხვერპლის დაცვის ღონისძიებები

i. შესაძლებლობა მისცენ ტრეფიკინგის და იძულებითი პროსტიტუციის მსხვერპლ მიგრანტ ქალებს ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნდნენ სახლში, თუ მათ ამის სურვილი აქვთ;

ii. მითითებების შემუშავება, რათა შესაძლებელი იყოს მსხვერპლთა სწრაფი იდენტიფიკაცია და მათთვის დახმარების გაწევა;

iii. უზრუნველყონ, რომ ტრეფიკინგის მსვერპლნი არ იმყოფებოდნენ იმიგრაციულ ან სხვა სახის პატიმრობაში;

iv. ტრეფიკინგის ყველა მსხვერპლს, რომელიც იმყოფებოდა იმიგრაციულ პატიმრობაში, გაეწიოს საჭირო დახმარება რეაბილიტაციის მიზნით, მათ შორის საცხოვრებელი ადგილის, ჯანდაცვის, კონსულტაციებისა და პროფესიული მომზადების ჩათვლით, მიმღებ ქვეყანაში და/ან მათი წარმოშობის ქვეყანაში, თუ დაბრუნდებიან;

v. ფინანსური დახმარების გაწევა იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ახორციელებენ დაცვის პროგრამებს და ინიციატივებს ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის;

vi. შესაბამისი სასამართლოებისათვის შესაძლებლობის მიცემა ადამიანით მოვაჭრეებს დააკისრონ ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის კომპენსაციის გადახდა.

1. ასამბლეის 2003 წლის 25 ივნისის (21-ე სხდომა) დებატი (იხ. დოკუმენტი 9795, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ანაზღაურების კომიტეტის ანგარიში, მომხსენებელი: ქ-ნი სვერვერი; და დოკუმენტი 9848, სოციალური, ჯანმრთელობისა და ოჯახის საქმეთა კომიტეტის დასკვნა, მომხსენებელი: ბ-ნი პისციტელლო; და დოკუმენტი 9809, მიგრაციის, ლტოლვილთა და დემოგრაფიის კომიტეტის დასკვნა, მომხსენებელი: ქ-ნი დე ზულეტა).

ტექსტი ასამბლეამ დაამტკიცა 2003 წლის 25 ივნისს (21-ე სხდომა).

## რეზოლუცია 1399 სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ევროპული სტრატეგია, 2004

1. ჯანმრთელობის დაცვის უფლება ევროპის საბჭოს აცქუის-ის ნაწილს წარმოადგენს (გადასინჯული ევროპული სოციალური ქარტიის მე-11 და 13 მუხლები). ყველა ინდივიდს უფლება აქვს ისარგებლოს ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო სტანდარტით, რასაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია განსაზღვრავს როგორც სრული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობას.
2. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლება ნიშნავს, რომ ადამიანებს შეუძლიათ ჰქონდეთ ურთიერთდამაკმაყოფილებელი და უსაფრთხო ურთიერთობა ძალდატანებისა და ძალადობის გარეშე და სქესობრივად გადამდები ინფექციური დაავადებების, მათ შორის HIV/AIDS-ით ინფიცირების, ან არასასურველი დაფეხმძიმების - შიშის გარეშე. ინდივიდებსა და წყვილებს უნდა შეეძლოთ თავიანთი ნაყოფიერების რეგულირება უარყოფითი ან სახიფათო შედეგების გარეშე.
3. მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (კაირო, 1994 წ.) და ქალთა მე-4 მსოფლიო კონფერენციის (პეკინი, 1995 წ.) მტკიცე გადაწყვეტილებით სქესობრივი და რეპროდუქციული უფლებები ადამიანის უფლებათა დღის წესრიგში შევიდა. მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამის ამოცანების ფოკუსმა გადაინაცვლა ინდივიდის საჭიროებებსა და უფლებებზე.
4. ამოცანათა დიდი ნაწილი დამტკიცებულ იქნა კაიროში 1994 წელს როგორც მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამის ამოცანების ნაწილი. სულ 179 ქვეყანამ აიღო ვალდებულება შეემცირობინა დედათა სიკვდილიანობა, დაემარცხებინა HIV/AIDS და გაეუმჯობესებინა ადამიანთა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები. მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის ამოცანები შემდგომ დადასტურდა ათასწლეულის განვითარების მიზნებში, რომელიც მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 2000 წელს.
5. 2002 წელს მსოფლიოს სამოცდაათ ქვეყანაზე მეტმა პარლამენტარმა მიიღო ოტავას ვალდებულების განაცხადი, რომლის ინდოსირება მოახდინა საპარლამენტო ასამბლემ 2003 წლის სექტემბერში, რომლითაც აიღეს ვალდებულება «უმაღლესი პრიორიტეტი მიენიჭოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებებსა და საგნებზე საყოველთაო ხელმისაწვდომობას ეროვნული ჯანდაცვისა და სიღარიბის დაძლევის ფარგლებში, როგორც ბიუჯეტის ასიგნებების, ასევე პროგრამის ღონისძიებების თვალსაზრისით».
6. წელს, 2004 წელს, აღინიშნება მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამის ამოცანების მეათე წლისთავი. ამ მნიშვნელოვანი ეტაპის აღსანიშნავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდის მიერ ინიცირებულ იქნა მიღწეული შედეგებისა და ნაკლოვანებების შეფასება. თვით ასამბლეაზე მიღებულ იქნა 1394-ე რეზოლუცია (2004 წ.) მამაკაცთა, განსაკუთრებით ახალგაზრდა მამაკაცთა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაში ჩართვის შესახებ. რეზოლუციის ტექსტი ევროპის საბჭოს წევრ

და დამკვირვებელ სახელმწიფოებს მოუწოდებს მამაკაცები და ბიჭები ჩართონ სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ყველა ასპექტში ინფორმირებულობის გაუმჯობესების და განათლების სპეციალური პროგრამების, ასევე რეპროდუქციულ ჯანმრთელობის მომსახურებაზე ხელმწიასწვდომობის გაუმჯობესების მეშვეობით.

7. ევროპის საბჭოს მრავალ ქვეყანაში სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ძალიან მაღალი სტანდარტები აქვს, თუ გავითვალისწინებთ ისეთ ინდიკატორებს, როგორცაა კონტრაცეფციის გამოყენება, HIV/AIDS-ის გავრცელება, აბორტების რაოდენობა, დედათა და ბავშვთა ავადობა და სიკვდილიანობის დონე. მათი გამოცდილება შესაძლოა კარგი მაგალითი აღმოჩნდეს სხვა წევრი სახელმწიფოებისათვის თავიანთ ქვეყნებში სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფის გზების განსასაზღვრად.

8. თუმცა, განუსაზღვრელი სხვაობა არსებობს წევრი ქვეყნების სტანდარტებს შორის და თვით წევრ ქვეყნებში. ევროპის საბჭოს წევრ მრავალ ქვეყანაში არსებობს პრობლემები: მოზარდთა ფეხმძიმობის მაჩვენებლის ზრდა, სქესობრივად გადამდებ ინფექციათა, მათ შორის HIV/AIDS-ის, მაჩვენებლის ზრდა, უშვილობის მაჩვენებლის ზრდა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის საგნებსა და მომსახურებებზე არასათანადო ხელმისაწვდომობა, მათი არარსებობა და მათი ნაკლები გამოყენება, ასევე არასათანადო ურთიერთობა და არასათანადო სქესობრივი განათლება.

9. აღმოსავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში კონტრაცეფციის გამოყენების დონე კვლავ დაბალია, რაც განაპირობებს არასასურველ ფეხმძიმობას; აბორტის მაჩვენებელი ზოგიერთ ქვეყანაში მსოფლიოში ყველაზე დიდ მაჩვენებლად ითვლება არასათანადო სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციისა და მომსახურებების ნაკლებობის გამო. ზოგიერთ წევრ ქვეყანაში ქალები ჯერ კიდევ იძულებულნი არიან გამოიყენონ არალეგალური, მიწისქვეშა და ამდენად არაუსაფრთხო აბორტი.

10. მრავალ ქვეყანაში დედათა და ბავშვთა ავადობა და სიკვდილიანობა, ასევე რეპროდუქციული სისტემის კიბო უდიდესი ზრუნვის საგანს წარმოადგენს, ისევე როგორც სქესობრივი ძალადობა და ექსპლუატაცია, მათ შორის ადამიანით ვაჭრობა.

11. ასამბლეა წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს:

ი. ერთობლივად შეიმუშაონ სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ევროპული სტრატეგია, და მოამზადონ, დაამტკიცონ და განახორციელონ სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კომპლექსური ეროვნული სტრატეგიები, რომელიც გაითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

ა. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია და განათლება, განსაკუთრებით ბავშვებისა და მოზარდებისათვის;

ბ. მოზარდთა ფეხმძიმობის მაჩვენებლის ზრდა;

გ. სქესობრივი გადამდები ინფექციების, მათ შორის HIV/AIDS –ის მაჩვენებლის ზრდა;

დ. უშვილობა;

ე. აბორტის მაღალი დონე, მათ შორის არაუსაფრთხო აბორტები წევრ სახელმწიფოებში, სადაც აბორტი არალეგალურია;

ვ. ფინანსურად და ფიზიკურად ხელმისაწვდომი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საგნებისა და მომსახურებების ნაკლებობა;

- ზ. რეპროდუქციული სისტემის კიბო, მათ შორის მკერდის კიბო;
- თ. სქესობრივი ძალადობა და ექსპლუატაცია, მათ შორის ადამიანით ვაჭრობა;
- I. დედათა და ბავშვთა ავადობა და სიკვდილიანობა;
- II. ყველა შესაბამისი ღონისძიების გატარება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მამაკაცთა და ქალთა შორის ცხოვრების ყველა ასპექტში თანასწორობა, მათ შორის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კომპლექსურ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით;
- III. სქესობრივ გადამდებ დაავადებათა სკრინინგის, HIV-ის მკურნალობისა და ნებაცოფილობითი კონსულტირებისა და ტესტების რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდა და მათთვის, ვისაც HIV-ტესტზე დადებითი პასუხი აღმოაჩნდებათ, შემდგომი მკურნალობის უზრუნველყოფა;
- IV. კონტრაცეფციულ საშუალებებსა და მომსახურებებზე უფრო ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- V. ასაკის და სქესის შესაბამისი კომპლექსური სქესობრივი და რეპროდუქციული ინფორმაციისა და განათლების შეთავაზება;
- VI. ახალგაზრდების სპეციფიკურ საჭიროებებზე რეაგირება, კონფიდენციალურობის განსაკუთრებული დაცვით და ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი შესაბამისი მომსახურებების უზრუნველყოფის მეშვეობით;
- VII. მოსახლეობის დაუცველი ჯგუფების, მათ შორის მიგრანტების, ეროვნული უმცირესობებისა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის, სპეციფიკურ საჭიროებებზე რეაგირება;
- VIII. ადამიანის ცხოვრების განმავლობაში სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინება;
- IX. მოუწოდონ მთელს საზოგადოებას, განსაკუთრებით სახელმწიფო სექტორს და საერთაშორისო ორგანიზაციებს HIV/AIDS-ის საკითხზე რეაგირებისათვის შემოიღონ ჰუმანური, კონსტრუქციული და არადისკრიმინაციული პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელიც დაიცავს ინფიცირებული პირების უფლებებს.
12. ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად ასამბლეა მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს:
- I. ითანამშრომლონ და დახმარება გაუწიონ ეროვნულ და რეგიონალურ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო სექტორს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნული სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში;
- II. აწარმოონ დიალოგი ახალგაზრდებთან და მოსახლეობის დაუცველ ჯგუფებთან შესაბამისი სტრატეგიებისა და პროგრამების შემუშავების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს ამ ჯგუფების სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობების საჭიროებებზე რეაგირებას;
- III. ხელი შეუწყონ ეროვნულ პარლამენტებში ისეთი მექანიზმებისა და სტრუქტურების, მაგალითად ეროვნულ კონტექსტში მრავალპარტიული საპარლამენტო ჯგუფების, ჩამოყალიბებას სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;
- IV. ეროვნული ჯანდაცვის ბიუჯეტებში სათანდო სახსრები გამოყონ აღნიშნული ამოცანების მისაღწევად.

**რეზოლუცია 1489 გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის  
უზრუნველყოფის მექანიზმები, 2006**

1. მიუხედავად ევროპაში მიღწეული პროგრესისა ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობებისა და უფლებების გაუმჯობესების თვალსაზრისით, საპარლამენტო ასამბლეა შენიშნავს გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალთა მონაწილეობის მუდმივად დაბალ დონეს. ქალები კვლავ ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ევროპის ეროვნულ და რეგიონულ პარლამენტებში, მუნიციპალურ საბჭოებში, მთავრობებში, და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე პოლიტიკურ პარტიებში, საჯარო სამსახურსა და სამრეწველო სექტორში.
2. ასამბლევას მიაჩნია, რომ ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებული მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში წარმოადგენს დემოკრატიისა და საზოგადოების ფუნქციონირების გაუმჯობესების, როგორც ქალთა უფლებების, მათი ფინანსური ავტონომიურობისა და მათი განათლების პატივისცემის, წინაპირობას, ქალთა და მამაკაცთა შორის საერთო პასუხისმგებლობის კონტექსტში. პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ნაკლები მონაწილეობა ასახავს ძირითადი დემოკრატიის დეფიციტს როგორც ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, ასევე უფრო ფართო საერთაშორისო დონეზე.
3. ისეთი კანონმდებლობისა და სამოქმედო გეგმების, ან ინსტიტუციური მექანიზმების შემოღება, რომელიც გამოიწვევს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ შესაძლებლობებზე, იშვიათად განაპირობებს უმაღლეს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის რეალურ ზრდას. მრავალი ევროპული ქვეყანა პრიორიტეტს არ ანიჭებს გენდერულ თანასწორობას და თუნდაც კანონმდებლობით აკრძალული იყოს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაცია, ეს პრაქტიკულად ყოველთვის არ ხორციელდება. ეს იმას ნიშნავს, რომ თანასწორობის ან გენდერული ბალანსის მარეგულირებელი კანონმდებლობის მეშვეობით მხოლოდ იშვიათად ყოფილა მიღწეული მოსალოდნელი შედეგები.
4. კვლავ არსებობს სტერეოტიპები და ტრადიციები, ან დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე ან პოლიტიკურ ცხოვრებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით – და ერთ შერჩეულ პროფესიაში «კარიერის პროგრესი» - მრავალ დაბრკოლებას უქმნის ქალთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რამდენიმე წევრმა სახელმწიფომ მიაღწია ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებული მონაწილეობის შესახებ პოლიტიკური და სახელმწიფო გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით (2003 წ.)<sup>3</sup> განსაზღვრულ ამოცანას, კერძოდ, იმას რომ «პოლიტიკური ან სახელმწიფო ცხოვრების ნებისმიერი ორგანოს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში ქალთა ან მამაკაცთა წარმომადგენლობა არ უნდა იყოს 40%-ზე ნაკლები».
5. ასამბლეა ამჟამად დარწმუნებულია დაკარგული დროის ანაზღაურების საჭიროებაში. გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში ქალთა ნაკლები მონაწილეობის გათვალისწინებით, დაუყოვნებლივ საჭიროა ხელი შეეწყოს პოზიტიური ზომების მიღებას, რადგან გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის ხელშესაწყობად ამ დრომდე გატარებულმა ღონისძიებებმა შეზღუდული ზეგავლენა მოახდინა. ევროპის საბჭომ და მისმა წევრმა სახელმწიფოებმა ამიტომ უნდა განსაზღვრონ ის საჭირო მექანიზმები და სათანადო პრაქტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს რეკომენდაციის (2003 წ.)<sup>3</sup> განხორციელებას და ევროპის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებისა და

საზოგადოების ყურადღებას გაამახვილებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის საჭიროებაზე.

6. ამდენად, ასამბლეა მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ და დამკვირვებლის სტატუსის მქონე სახელმწიფოებს:

6.1. განსაზღვრონ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში გენდერული ბალანსის მიღწევის ამოცანა თავდაპირველად ყველა სამთავრობო და არჩევით ორგანოში სულ მცირე ქალთა 40% წარმომადგენლობის კრიტიკული მასის განსაზღვრით;

6.2. აღნიშნულის გათვალისწინებით პრიორიტეტი მიანიჭონ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას (2003 წ.)<sup>3</sup>, რომლის წარმატებით დანერგვა შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებული მონაწილეობის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმების შექმნის ან მათი განმტკიცებისა და აღნიშნულის ყველა სამინისტროში პრიორიტეტად გამოცხადების გარეშე გენდერული ჰარმონიზაციის განხორციელების მეშვეობით;

6.3. უზრუნველყონ გენდერულად დაბალანსებული მონაწილეობის მიღება საერთაშორისო დელეგაციებში;

6.4. განახორციელონ მონიტორინგი და შეაფასონ პროგრესი სახელმწიფო და კერძო სექტორში ყველა დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე ქალთა და მამაკაცთა მონაწილეობის შესახებ რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების რეგულარული შეგროვების, ანალიზისა და მათი გავრცელების გზით, და ყოველწლიურად საჯარო გახადონ საჯარო სამსახურში სხვადასხვა დონეზე მომუშავე ქალთა და მამაკაცთა რაოდენობა;

6.5. გენდერული თანასწორობის საკითხის შესახებ გაზარდონ მედიის ინფორმირებულობა, რათა მოამზადონ ისინი იმ როლისათვის, რომელიც მათ უნდა შეასრულონ საზოგადოებაში ქალთა ადგილის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში - ასევე მედიაში ქალთა იმიჯის ზეგავლენის შესახებ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის ხარისხის თვალსაზრისით;

6.6. არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართონ აღნიშნული საინფორმაციო კამპანიების განხორციელებაში;

6.7. ხელი შეუწყონ ქალთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში «დისკრიმინაციული ბარიერის» მოხსნით;

6.8. განამტკიცონ ინსტიტუციური მექანიზმები;

6.9. გადასინჯონ წესები, პროცედურები და საჭიროების შემთხვევაში საარჩევნო სისტემები, რათა მათში ასახონ გენდერული თანასწორობის განზომილება იმ მიზნით, რომ 2020 წლისათვის უზრუნველყონ მინიმუმ ქალთა 40%-ის წარმომადგენლობა პარლამენტებში და სხვა არჩევით ასამბლეებში და მოუწოდონ ადრევე დაიწყონ მზადება ქალთა არჩევნებში მონაწილეობის შესახებ ასამბლეის 1676-ე რეკომენდაციით (2004 წ.) შემოთავაზებული საარჩევნო თანასწორობის მიღწევის მიზნით ქარტიის შესამუშავებლად;

6.10. ფინანსური სტიმულები შესთავაზონ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთაც მიაღწიეს პარტიის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში და შერჩეულ კანდიდატებში ქალთა მინიმუმ 40%-იან წარმომადგენლობას;

6.11. მხედველობაში მიიღონ თანასწორობის განზომილება ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცებისას;

6.12. უზრუნველყონ გენდერის ინტეგრაციის (მეინსტრიმენტის) სტრატეგიის შესახებ არსებული კანონმდებლობის შესაბამისი განხორციელება;

6.13. დაამტკიცონ გენდერული თანასწორობის ჩარჩო კანონი და სახელმწიფო პროგრამა, და შემოიღონ მექანიზმი ამ კანონისა და პროგრამის განხორციელების შესაფასებლად, ასევე უზრუნველყონ მათი დეცენტრალიზებული განხორციელება;

6.14. დანიშნონ გენდერული თანასწორობის საკითხების სპეციალისტი ყველა არსებულ საშუამავლო ორგანოში;

6.15. უზრუნველყონ, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები მაღალ თანამდებობებზე ქალთა 40% პროპორციული რაოდენობის დანიშვნის უზრუნველყოფის გონივრულ ამოცანას ისახავენ, რათა გამოსაწირონ ქალთა და მამაკაცთა წარმომადგენლობის მხრივ არსებული დისბალანსი;

6.16. ხელი შეუწყონ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობას პოლიტიკურ დებატებში, განსაკუთრებით მათ მონაწილეობას, რომლებიც დიდ ინტერესს იჩენენ გენდერული თანასწორობის საკითხებში, და ამგვარად ქალებისათვის გადონ «ხიდი» სამოქალაქო ცხოვრებასა და პოლიტიკურ ცხოვრებას შორის.

7. ასამბლეა მოუწოდებს ყველა ეროვნულ და რეგიონულ საპარლამენტო ასამბლეებში ჩამოაყალიბონ ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის კომიტეტები.

8. ასამბლეამ გადაწყვიტა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებული მონაწილეობის პრინციპის სრული განხორციელების უზრუნველყოფა ევროპის საბჭოსა და მის ორგანოებში:

8.1. ადასტურებს 1366–ე (2004) და 1426–ე (2005) რეზოლუციებს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს კანდიდატების შესახებ, რომლითაც მან მიიღო გადაწყვეტილება არ გაეთვალისწინებინა კანდიდატთა ის სიები, რომელიც არ შეიცავს ორივე სქესის სულ მცირე ერთ კანდიდატს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანდიდატები მიეკუთვნებიან სასამართლოში ნაკლებად წარმოდგენილ სქესს, ანუ მოსამართლეების მთლიანი რიცხვის 40%-ზე ნაკლებს წარმოადგენს;

8.2. იმ პირებთან კონსულტაციების შედეგად, რომელიც მონაწილეობს შესაბამისი არჩევნების პროცედურებში, მოამზადოს ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ორივე სქესის წარმომადგენლობის რეალიზება წამების საწინააღმდეგო ევროპის კომიტეტის კანდიდატებად, ადამიანის უფლებათა კომისრის, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისა და გენერალური მდივნის მოადგილის და ასამბლეის გენერალური მდივნის თანამდებობებზე;

8.3. რეზოლუციის განხორციელება საპარლამენტო ასამბლეაში გენდერულად დაბალანსებული წარმომადგენლობის შესახებ და განამტკიცოს ის დამავალდებულებელი დებულებებით, და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეიტანოს ასამბლეის პროცედურის წესებში;

8.4. წახალისოს ქალი პარლამენტარების ერთად მუშაობა ეროვნული და პოლიტიკური დაყოფის გარეშე, ასამბლეის წევრი ქალების არაფორმალურ ჯგუფში, რათა გაზარდონ თავიანთი წარმომადგენლობა ისეთ თანამდებობებზე, როგორცაა კომიტეტი, ქვეკომიტეტი და ეროვნული დელეგაციის ხელმძღვანელები. წახალისოს ისინი თავიანთი კანდიდატურა წამოაყენონ მომხსენებლად და თავიანთი სახელები შეიტანონ მომხსენებელთა სიებში;

8.5. იწვევს ასამბლეის ბიუროს, რათა შესთავაზოს ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობების კომიტეტის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემების, რომელიც შეეხება განსაკუთრებით პოლიტიკურ ჯგუფებში, ეროვნულ დელეგაციებსა და კომიტეტებში ქალთა არასათანადო

წარმომადგენლობას, ასევე ქალ მომხსენებელთა ნაკლებობას - გადაწყვეტის გზები;

8.6. მოუწოდებს თავის პოლიტიკურ ჯგუფებს გაითვალისწინონ გენდერული თანასწორობის პრინციპი კომიტეტის ბიუროებს წევრების და დებატების დროს მათი სახელით მომხსენებლების დანიშვნისას;

8.7. მოუწოდებს ეროვნულ დელეგაციებს დანიშნონ უფრო მეტი ქალი ასამბლეის ვიცე პრეზიდენტებად და ეროვნული დელეგაციების ხელმძღვანელებად;

8.8. მოუწოდებს კომიტეტებს მომხსენებლებად უფრო მეტი ქალი დანიშნოს.

### **რეზოლუცია 1512 ოჯახში ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობასთან საბრძოლველად გაერთიანებული პარლამენტები, 2006**

1. საპარლამენტო ასამბლეა წუხილს გამოთქვამს ევროპაში ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის მაჩვენებლის ზრდის გამო. ეს ის პრობლემაა, რომელიც გავლენას ახდენს ევროპის საბჭოს თითოეულ ქვეყანაზე, რაც იწვევს ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევას. საპარლამენტო ასამბლეა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ოჯახში ძალადობა სცდება გეოგრაფიული საზღვრებს, არ შემოიფარგლება ასაკით, არ წარმოადგენს რომელიმე კონკრეტული რასის მოქმედების არეალს და ადგილი აქვს ყველა სახის ოჯახურ ურთიერთობებსა და ყველა სახის სოციალურ გარემოში.

2. ოჯახში ძალადობა ხასიათდება სხვადასხვა ფორმის ძალადობრივი ქმედებით – ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური, ან ისეთი მდგომარეობით, რომელიც ეფუძნება ფინანსურ დამოკიდებულებას. ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებათა ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ძალადობას წარმოადგენს და მას უნდა შევებრძოლოთ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში. ასამბლეა უარყოფს ნებისმიერ არგუმენტს, რომელიც ეფუძნება კულტურულ ან რელიგიურ რელატივიზმს, რამაც შესაძლოა საშუალება მისცეს სახელმწიფოებს თავიდან აიცილონ ქალთა წინააღმდეგ ძალადობის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის ვალდებულება.

3. ასამბლეა მიესალმება იმ ფაქტს, რომ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისა და მთავრობათა მეთაურები დადებითად გამოეხმაურნენ ასამბლეის რეკომენდაციებს ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან, მათ შორის ოჯახში ძალადობასთან, საბრძოლველად პან-ევროპული კამპანიის ორგანიზება ჩაერთოთ ვარშავის სამიტზე მიღებულ სამოქმედო გეგმაში (16-17 მაისი, 2005 წ.), და მინისტრთა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული კამპანია დაიწყოს 2006 წლის დასასრულს. ასამბლეამ გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს ამ ინიციატივაში, განსაკუთრებით საპარლამენტო განზომილების შემუშავების გზით.

4. ამ გარემოებაში, დარწმუნებულია რა, რომ ეროვნულ პარლამენტებს შეუძლიათ მთავარი როლი შეასრულონ ოჯახში ძალადობის თავიდან ასაცილებლად, დაეხმარნენ მსხვერპლთ და ინფორმაცია მიაწოდონ ფართო საზოგადოებას, საპარლამენტო ასამბლეა ღებულობს გადაწყვეტილებას წევრი სახელმწიფოების ეროვნულ პარლამენტებთან, ასამბლეაში დამკვირვებლის სტატუსის მქონე პარლამენტებთან, ევროპის პარლამენტთან და ჩრდილოეთის ქვეყნების საბჭოსთან ერთად შეიმუშაოს ინიციატივა სახელმწიფოებთან «ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობასთან საბრძოლველად გაერთიანებული



პარლამენტები», რომელიც იქნება საპარლამენტო წვლილი ევროპის საბჭოს კამპანიაში. ასამბლეა სარგებლობს ამ შესაძლებლობით და მიესალმება მექსიკის კონგრესის 2005 წლის ივლისის გადაწყვეტილებას საპარლამენტო ასამბლეაში მონაწილეობის შესახებ.

5. შესაბამისად, ასამბლეა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების პარლამენტებსა და საპარლამენტო ასამბლეაში დამკვირვებლის სტატუსის მქონე პარლამენტებს მოუწოდებს:

5.1. ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობასთან საბრძოლველად ორგანიზება გაუკეთონ საპარლამენტო ქმედების დღეს 2006 წლის 24 ნოემბერს, რომელიც დაემთხვევა ევროპის საბჭოს პან-ევროპულ კამპანიის დაწყების ევროპის ყველა წევრ სახელმწიფოში და ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის საკითხს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღის ცენტრალურ თემად აქცევს 2006 წელს;

5.2. 2006 წლის 24 ნოემბერს დაამტკიცონ საგანგებო დეკლარაცია, რომელიც დაადასტურებს ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პარლამენტების მტკიცე ვალდებულებას;

5.3. აქტიურად ჩაერთნენ 2006-2008 წლებში პან-ევროპული კამპანიის საპარლამენტო განზომილების მომზადებაში, დაწყებასა და განხორციელებაში მის ფარგლებში ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის საბრძოლველად გამიზნული საქმიანობების დღის წესრიგის შემუშავებით;

5.4. მოუწოდონ პარლამენტის წევრებს გამოხატონ პირადი და საზოგადოებრივი პოზიცია ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის შესახებ, როდესაც კი მათ ამის შესაძლებლობა მიეცემა;

5.5. ორგანიზება გაუკეთონ საპარლამენტო დებატებს და დაგმონ ოჯახში ძალადობა, ასევე გამართონ საპარლამენტო მოსმენები, რათა შეისწავლონ და შეაფასონ კანონმდებლობისა და ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით გატარებული სხვა ღონისძიებების ეფექტურობა;

5.6. დაამტკიცონ შესაბამისი კანონმდებლობა და საბიუჯეტო ღონისძიებები, ეროვნული გეგმები, რათა ბოლო მოუღონ ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობას, მათ შორის იქ, სადაც ამგვარი ღონისძიებები ჯერ არ გაუტარებიათ, მეუღლეთა შორის გაუპატიურება გამოაცხადონ სისხლის სამართლის დანაშაულად, ისევე როგორც ეს აღიარებულია არა მეუღლეთა შორის გაუპატიურების შემთხვევაში, და უზრუნველყონ მოძალადე პარტნიორის სახლიდან მოცილება;

5.7. უზრუნველყონ, რომ უკვე მიღებული კანონები და ღონისძიებები დამაკმაყოფილებლად განხორციელდეს და როდესაც ეს შესაძლებელია, აღნიშნული განახორციელონ საზოგადოების წარმომადგენლებთან და ადგილობრივ აქტიურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;

5.8. სახელმწიფო ორგანოებს მოუწოდონ საჭირო ქმედებები განახორციელონ ოჯახში ძალადობის ეფექტურად და საჯაროდ დასამარცხებლად, განსაკუთრებით ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის და მათი შვილებისათვის თავშესაფრის მიცემის უზრუნველყოფით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცენტრების მოწყობით პოლიციის ნაწილებში, შესაბამისი თანამშრომლებისათვის ტრენინგის ჩატარების გზით (ჯანდაცვის, პოლიციის, მართლმსაჯულების, სოციალური და საინფორმაციო სამსახურების, და სხვ. სფეროს მუშაკებს), მონაცემების დამუშავების ცენტრების მოწყობით მათთვის, ვინც პასუხისმგებელია ამგვარ ძალადობაზე და სტატისტიკის შეგროვებაზე, რომელიც დახარისხებული იქნება გენდერის, ძალადობის ტიპისა და დანაშაულის ჩამდენსა და მსხვერპლს შორის ურთიერთობის მიხედვით;

5.9. მოახდინონ წევრი სახელმწიფოების წინაშე არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირება ძალადობისაგან ქალთა დაცვის შესახებ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით (2005)<sup>5</sup> გათვალისწინებული ნორმების განხორციელებისას;

5.10. წამოიწყონ ეროვნულ დონეზე ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და პრევენციის კამპანია და ჯანდაცვის სამსახურების თანამშრომლების დახმარებით გამოავლინონ ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი;

5.11. ყოველგვარ ძალისხმევას მიმართონ, რათა ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახადონ დამტკიცებული საკანონმდებლო ღონისძიებები და არსებული პირობები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად;

5.12. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ქალთა ჯგუფებს, რომელთაც ოჯახში ძალადობის რისკისა და შედეგების წინაშე დგანან, განსაკუთრებით ქალებს იმიგრანტ თემებში და იმიგრანტი თემებიდან, ბომა ქალებს, ქალებს სხვა ეთნიკური უმცირესობებიდან, ფეხმძიმე ქალებს, უნარშეზღუდულ ან დაუცველ ქალებს, სახიფათო სიტუაციებში მყოფ ქალებს ან ქალებს, რომელთაც ალკოლჰოლთან ან ნარკოტიკებთან პრობლემები აქვთ.

6. ასამბლეა მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ეროვნულ პარლამენტებს და საპარლამენტო ასამბლეაში დამკვირვებლის სტატუსის მქონე პარლამენტებს მხარი დაუჭირონ ევროპის საბჭოს პან-ევროპულ კამპანიას ქალთა ძალადობასთან საბრძოლველად შემდეგი ქმედებების მეშვეობით:

6.1. კონკრეტული ეროვნული და ევროპული ღონისძიებების დაფინანსება მთავრობათაშორის, საპარლამენტო, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე;

6.2. თავიანთი მთავრობებისათვის ინსტრუქციის მიცემა ეროვნულ დონეზე სახსრების გამოყოფის შესახებ ინიციატივების დასაფინანსებლად ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და მსხვერპლთა დასახმარებლად, ასევე თავიანთ საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამებში ევროპის საბჭოს წევრ და დამკვირვებელ სახელმწიფოებში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად ღონისძიებების დაწყების ან არსებული ღონისძიებების გაძლიერების შესახებ;

6.3. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის დახმარების გაწევა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების შემუშავების შესახებ გამართულ საპარლამენტო დისკუსიებში;

6.4. სასწავლო ტურების შეთავაზება ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ეროვნული და დამკვირვებელი ქვეყნების პარლამენტებში სათანადო პრაქტიკის გასაზიარებლად და/ან ტექნიკური დახმარების გაწევა პარლამენტებისათვის, რომელთაც სურვილი აქვთ გააუმჯობესონ ოჯახში ძალადობის მარეგულირებელი კანონმდებლობა;

6.5. პარლამენტის წევრის დანიშვნა, რომელიც საკონტაქტო პირი იქნება თითოეული წევრი სახელმწიფოს ეროვნულ პარლამენტსა და ასამბლეას შორის და წამყვან როლს შეასრულებს ეროვნულ დონეზე ასამბლეის კამპანიის განხორციელებაში, და უზრუნველყოფა, რომ ამ პირს გაეწიოს სათანადო სამდივნო დახმარება;

6.6. ადგილობრივი და რეგიონული ორგანოების წახალისება, რათა მათ განახორციელონ ევროპის საბჭოს პან-ევროპული კამპანია ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე და ოჯახში ძალადობის საკითხზე პრაქტიკული სემინარების ორგანიზება სამედიცინო, პარასამედიცინო და განათლების სექტორების თანამშრომლებისათვის, პოლიციის წევრებისათვის, სოციო-პროფესიული ჯგუფებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით ქალთა საკითხებზე

მუშაობენ, პროფესიული კავშირების წარმომადგენლებისათვის და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის;

6.7. მედიის წახალისება, რათა მხარი დაუჭიროს ევროპის საბჭოს პან-ევროპულ კამპანიას და მათი ყურადღების გამახვილება იმ ფაქტის მიმართ, რომ ქალის სტერეოტიპული იმიჯის გამოყენება ის ფაქტორია, რომელიც ხელს შეუწყობს ოჯახში ძალადობის ტრივიალიზაციას.

7. ასამბლეა მიესალმება ევროპის პარლამენტის მიერ 2006 წლის 2 თებერვალს დამტკიცებულ ანგარიშს «ქალთა ძალადობის ბრძოლის წინააღმდეგ არსებული მდგომარეობა და შემდგომი ქმედებები» და მოუწოდებს მას შეუერთდეს საპარლამენტო ასამბლეის ინიციატივას «ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობასთან საბრძოლველად გაერთიანებული პარლამენტები», რათა დაგმოს ოჯახში ძალადობა, როგორც ადამიანის უფლებების მიუღებელი ძალადობა, და ევროპის კავშირში გაზარდოს სახელმწიფო ორგანოების და ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის დონე ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროების შესახებ.

8. ასამბლეა მოუწოდებს საერთაშორისო და რეგიონულ საპარლამენტაშორისო ორგანიზაციებს, განსაკუთრებით საპარლამენტაშორისო კავშირს, ჩრდილოეთის ქვეყნების საბჭოს, ევროპის პატარა სახელმწიფოების პარლამენტების ფორუმს და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის სტაბილურობის პაქტის პარლამენტის წევრ ქალთა ქსელს მონაწილეობა მიიღონ საპარლამენტო ასამბლეის ინიციატივაში «ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობასთან საბრძოლველად გაერთიანებული პარლამენტები».

### **რეზოლუცია 1557 ქალთა იმიჯი რეკლამაში, 2007**

1. საპარლამენტო ასამბლეა შენიშნავს, რომ ქალთა იმიჯი, რომელიც სრულიად არ შეესაბამება მათ ფაქტობრივ როლს თანამედროვე საზოგადოებაში, ჯერ კიდევ გავრცელებულია ამჟამად არსებულ რეკლამებში.

2. ხშირად რეკლამებში ქალი ნაჩვენებია ისეთ სიტუაციებში, რომელიც დამამცირებელი და ღირსების შემლახველია, ან ძალადობრივი და ადამიანის ღირსებისათვის შეურაცხმყოფელიც კი.

3. ასამბლეა აღშფოთებულია იმ ფაქტით, რომ თითქმის ყოველთვის ქალების როლი შემოიფარგლება მხოლოდ უბრალო სამომხმარებლო საგნების და სექს საგნების მომხმარებლის როლით ცალკეულ რეკლამებში.

4. ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემა რეკლამის მწარმოებლის ერთ-ერთ მუდმივ მიზანს უნდა წარმოადგენდეს.

5. ასამბლეა აცნობიერებს, რომ დიდი სამუშაოს ჩატარება იქნება საჭირო დამოკიდებულების შესაცვლელად და სტერეოტიპების დასანგრევად, რაც ქალებს არ უწყობს ხელს თანასწორობისათვის ბრძოლაში. შესაბამისად, ასამბლეის ფუნდამენტურ მიზანს წარმოადგენს იმის უზრუნველყოფა, რომ საბოლოოდ ქალებს შეეძლოთ ყველგან დაინახონ თავიანთი რეალური იმიჯი, რომელსაც სინამდვილის შესაბამისად ასახავენ იმ მსოფლიოში, სადაც თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებას ეწევიან.

6. ასამბლეა მიესალმება იმ ფაქტს, რომ ცალკეულმა მთავრობებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ევროპის სამთავრობო სააგენტოებმა პროგრესს მიაღწიეს მედიასა და რეკლამაში ქალთა იმიჯის ასახვასთან დაკავშირებით. ჩატარდა კვლევები და განმტკიცდა კანონები ქალთა და მამაკაცთა შორის დისკრიმინაციასთან საბრძოლველად.

7. თუმცა, ასამბლეა სინანულს გამოთქვამს, რომ რეკლამებში კვლავ არსებობს ქალთა უარყოფითი იმიჯი და წარმოდგენა, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მრავალ ევროპულ სახელმწიფოში არ არსებობს ადეკვატური კანონები, ხოლო ეროვნული სარეკლამო კოდექსები ან იგნორირებულია ან ზოგჯერ საერთოდ არ არსებობს.

8. შესაბამისად, ასამბლეა თხოვნით მიმართავს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს განახორციელონ ნებისმიერი საჭირო ქმედება, რათა უზრუნველყონ, რომ ქალთა იმიჯს პატივს სცემდნენ ღირსეული და არადისკრიმინაციული გზით ისე, რომ დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლების ძირითადი პრინციპი, რაც ნებისმიერი სახის ცენზურას გამორიცხავს.

9. ასამბლეა გმობს ახალგაზრდა ქალების ჯანმრთელობისადმი მიყენებულ ზიანს, როგორცაა ანორექსია და შემდგომ პერიოდში ისეთი მდგომარეობის ჩამოყალიბება, როგორცაა ოსტეოფოროზი, რომლის პროვოცირებას იწვევს ზოგიერთი რეკლამა, სადაც გამხდარი ქალები სილამაზის სტანდარტად არიან წარმოდგენილნი.

10. ასამბლეა მიუთითებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 45-ე ქალთა კონფერენციის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის მნიშვნელობაზე (პეკინი, 1995 წელი), რომელიც მრავალ სხვა რეკომენდაციასთან ერთად შეიცავს რეკომენდაციას, რომ მედიამ და სარეკლამო ორგანოებმა გამოხატვის თავისუფლების შესაბამისად შეიმუშაონ პროფესიული სახელმძღვანელო მითითებები და ქვეყნის კოდექსები, ასევე თვითრეგულირების სხვა ფორმები, რათა ხელი შეუწყონ ქალთა არასტერეოტიპული იმიჯის წარმოჩენას.

11. ეფუძნება რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1979 წლის 18 დეკემბრის კონვენციას ქალთა დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ასამბლეა ხაზს უსვამს სამი სახის ქმედების საჭიროებას: რეგულირება, თვითრეგულირება და ინფორმირებულობა, რაც ხალხს რეკლამაზე კრიტიკული რეაგირების მოხდენაში დაეხმარება.

12. შესაბამისად, ასამბლეა რეკომენდაციას აძლევს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს:

12.1. მოახდინონ 1979 წლის 18 დეკემბრის ქალთა დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის არჩევითი ოქმის რატიფიცირება, გააკეთონ ამავე კონვენციის მე-20 მუხლის 1-ლ პუნქტში შეტანილი ცვლილების აღიარების შესახებ დეკლარაცია, შესაბამისობაში მოიყვანონ თავიანთი კანონები აღნიშნულ ტექსტებთან და ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს რეგულარული ანგარიშები წარუდგინონ, თუ ამას უკვე არ აკეთებენ, იმ საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციულ და სხვა სახის ზომების შესახებ, რომელიც მათ გაატარეს კონვენციის შესასრულებლად, ასევე ამ მიმართულებით მიღწეული პროგრესის შესახებ;

12.2. განახორციელონ პეკინის ქალთა და მედიის შესახებ სამოქმედო პლატფორმა და აღრიცხონ ყოველ წელს ამ სფეროში მიღწეული პროგრესი;

12.3. მიიღონ შესაბამისი ადგილობრივი კანონები;

12.3.1. დისკრიმინაციისაკენ ბიძგი ყველა სახის სარეკლამო საშუალებაში მიიჩნიონ სამართალდარღვევად;

12.3.2. ქალთა ასოციაციებს მისცენ უფლება სასამართლოში შეიტანონ სარჩელი ერთობლივი ინტერესის – რეკლამაში ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის - დასაცავად;

12.4. წახალისონ ეროვნული თვითრეგულირებადი ეროვნული სქემების შემოღება და განამტკიცონ ეროვნული სარეკლამო სტანდარტების

განმსაზღვრელი ორგანოების მიერ შემოღებული თვითრეგულირების მექანიზმები;

12.4.1. ცვლილებები შეიტანონ ეროვნული ეთიკის კოდექსებში, რათა თავიდან აიცილონ ისეთი იმიჯის ან მესიჯების გავრცელება, რომელიც შესაძლოა ინტერპრეტირებული იქნეს როგორც ბიძგი ქალთა დისკრიმინაციისა ან ადამიანის ღირსების შელახვისაკენ;

12.4.2. უზრუნველყონ მომხმარებელთა წარმომადგენლების (ქალებისა და მამაკაცების) ჩართვა ეროვნული სარეკლამო სტანდარტების განმსაზღვრელ ორგანოებში;

12.4.3. განამტკიცონ სარეკლამო სტანდარტების განმსაზღვრელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სავალდებულო ხასიათი;

12.4.4. ეროვნული სარეკლამო სტანდარტების განმსაზღვრელ ორგანოებზე მიამაგრონ ექპერტთა ჯგუფი, რომლებიც განახორციელებენ რეკლამის მექანიზმების სიღრმისეულ კვლევას;

12.5. რეკლამირებასთან დაკავშირებით გაატარონ შემდეგი საგანმანათლებლო ღონისძიებები:

12.5.1. უზრუნველყონ რეკლამის პროფესიონალების დამატებითი გადამზადება, ასევე სარეკლამო სკოლებში საბაზისო სასწავლო კურსის შემოღება, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პატივისცემის შესახებ და უფრო ზოგადად, დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ;

12.5.2. ჩამოაყალიბონ პროგრამები, რომელიც მომხმარებლებს რეკლამის შედეგების გაანალიზებაში დაეხმარება;

12.5.3. უზრუნველყონ სათანადო რესურსები და განახორციელონ პროგრამები სკოლებში, რათა მოსწავლეებს ასწავლონ რეკლამასა და რეალობას შორის განსხვავება;

12.5.4. ჩაატარონ პრეს კამპანიები, რათა საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია გენდერული დისკრიმინაციის ან ძალადობრივი რეკლამის შესახებ და აუხსნან, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მათ აღნიშნულის შესაჩერებლად;

12.5.5. გამოყონ უფასო სატელეფონო ნომრები და ელ. ფოსტა, ასევე საფოსტო მისამართები, რომელსაც საზოგადოება გამოიყენებს იმ რეკლამების შესახებ უკმაყოფილების გამოსახატავად, სადაც ქალთა ისეთი იმიჯებია გამოყენებული, რომელიც ადამიანის ღირსების შემლახველია;

12.5.6. დააწესონ პრიზი, რომელსაც გადასცემენ რეკლამის პროფესიონალები და პრიზი, რომელსაც საზოგადოება მიაკუთვნებს იმ სარეკლამო კამპანიას, რომელმაც ყველაზე ეფექტურად შეძლო გენდერული სტერეოტიპების დარღვევა.

### **დადგენილება 1558 სიღარიბის ფემინიზაცია, 2007**

1. ტერმინი «სიღარიბის ფემინიზაცია» ნიშნავს, რომ მამაკაცებთან შედარებით ქალთა შორის უფრო გავრცელებულია სიღარიბე, უფრო მკაცრია და ზრდის ტენდენციას ინარჩუნებს. ქალთა სიღარიბის პრევენცია და შემცირება, თუ არა მისი აღმოფხვრა, სოციალური სოლიდარობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს, რომლის განხორციელებაც მსოფლიოს მტკიცე გადაწყვეტილებას წარმოადგენს.

2. სიღარიბე შესაძლოა განისაზღვროს როგორც ადამიანის მდგომარეობა, როდესაც შეუძლებელია ადამიანის მინიმალური ბიოლოგიური, სოციალური, სულიერი და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. საპარლამენტო

ასამბლეა შენიშნავს, რომ ამ თვალსაზრისით ქალები მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ჯგუფებს წარმოადგენენ. ქალები შესაძლოა აღმოჩნდნენ რთულ მდგომარეობაში, როდესაც ისინი განსაკუთრებულად დაუცველნი არიან სიღარიბისაგან, მაგალითად როდესაც ისინი მოზარდობის პერიოდში ფეხმძიმდებიან, ან არასათანადო პროფესიული კვალიფიკაცია გააჩნიათ, განქორწინების ან პენსიაში გასვლის შემდეგ პერიოდში, როდესაც ისინი არაანაზღაურებად საოჯახო საქმიანობას ასრულებენ, რაც არ განაპირობებს მათი უნარ-ჩვევების, მათი ეკონომიკური მდგომარეობის ან ფინანსური დამოუკიდებლობის გაუმჯობესებას და არ გაითვალისწინება მათი პენსიის გაანგარიშებისას. ზოგადად, შესაძლოა ითქვას, რომ ქალთა წვლილს ოჯახის, საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარებაში, ჩვეულებისამებრ, არასათანადოდ აფასებენ და არ ხდება მისი ფულადი ანაზღაურება. იმ შინამეურნეობების სიღარიბის რისკი, რომელთაც ქალები უძღვებიან, ერთი მესამედით მეტია სხვა შინამეურნეობებთან შედარებით. ფაქტობრივად, მარტოხელა დედები იმავე მდგომარეობაში არიან, როგორშიც მრავალსულიანი ოჯახები, ხოლო მრავალ შემთხვევაში – უფრო უარეს მდგომარეობაშიც კი.

3. აღნიშნული საფუძვლად დაედო ფენომენს, რომელსაც «სიღარიბის ფემინიზაციას» უწოდებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ღარიბთა საერთო რაოდენობაში ქალთა და ბავშვთა რაოდენობა სჭარბობს. ეს შეფასება ძირითადად მიუთითებს მატერიალურ (შემოსავალი ან ქონება) სიღარიბეზე. თუმცა, ჰუმანური სიღარიბის, სახელდობრ შესაძლებლობათა განვითარების ან თავისუფალი არჩევანის თვალსაზრისით - გენდერული უთანასწორობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

4. სიღარიბის მრავალგანზომილებიანი ფენომენის განსაზღვრისას ასამბლემ დაადგინა, რომ გენდერული უთანასწორობა ერთ-ერთ იმ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც სიღარიბის სიღრმისეული მიზეზია. გამოიყოფა პრობლემათა ოთხი ჯგუფი:

4.1. შრომის გენდერული განაწილება, რის შედეგადაც მაღალანაზრაურებად სამუშაო ადგილებს, ჩვეულებისამებრ, მამაკაცები იკავებენ, ხოლო უფრო დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს – ქალები.

4.2. უთანასწორობა რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და მათი განკარგვის თვალსაზრისით;

4.3. ქალთა შეზღუდული უნარი დაიცვან თავიანთი ინტერესები, რაც განპირობებულია ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური, კულტურული და სხვა ფაქტორებით;

4.4. სიღარიბე აბრკოლებს ქალთა დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობას და ზღუდავს მათ მიერ სამოქალაქო უფლებებით სარგებლობას.

5. გენდერული უთანასწორობა აბრკოლებს სიღარიბის დონის შემცირებას და საფრთხეს უქმნის ეკონომიკური და ჰუმანური განვითარების პერსპექტივას. ამდენად, ასამბლეა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს გენდერული უთანასწორობა მიიჩნიონ არა მხოლოდ სოციალური სამართლიანობის, არამედ ასევე განვითარების ხელშეწყობის პირობად.

6. 2004 წელს ზოგიერთ ქვეყანაში ჩატარებულმა საპილოტე კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მამაკაცებთან შედარებით განვითარებად ქვეყნებში ქალები უფრო მეტ დროს ხარჯავენ საოჯახო საქმიანობაზე. შედეგად, წარმოიქმნა მნიშვნელოვანი გენდერული სხვაობა შემოსავლიანი დასაქმებისა და პერსონალური ცხოვრების შეთავსებადობას შორის. ამგვარი სხვაობა ასევე არსებობს სხვა ქვეყნებში, მათ შორის განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა უფრო მცირე მასშტაბით.

7. უმუშევრობის შეფასება ანალოგიურია. განვითარებად ქვეყნებში ქალთა უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად აღემატება მამაკაცების უმუშევრობის მაჩვენებელს. უმუშევრობის პრობლემის გენდერული მახასიათებელი დაკავშირებულია ასაკთან და ოჯახურ მდგომარეობასთან. თუმცა ახალგაზრდა, დაუქორწინებელ მამაკაცთა და ქალთა დასაქმების შანსები თითქმის ერთნაირია, 50-54 წლის ქალთა ჯგუფის უმუშევრობის ალბათობა იზრდება და შესაბამისად სიღარიბის რისკიც უფრო დიდია.

8. სიღარიბეში გაზრდილი ბავშვები ასევე არასათანადო კვების რისკის წინაშე დგანან და ამდენად ფიზიკურად განუვითარებელი არიან და არ აქვთ სათანადო განათლება, რაც კვლავ ამცირებს მათ შანსებს თავი დააღწიონ სიღარიბეს ცხოვრების შემდგომ ეტაპზე. ბავშვთა სიღარიბე მოიცავს არა მხოლოდ მატერიალურ სირთულეებს, არამედ მათი ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებს; აღნიშნულის შედეგად ერთი თაობიდან მეორე თაობაზე სიღარიბის გადასვლა თითქმის გარდაუვალი ხდება.

9. ასამბლეა ყურადღებას აქცევს უკიდურესი სიღარიბის შედეგებს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს უფრო რთული მდგომარეობა ძალადობის, პროსტიტუციის და ადამიანით უკანონო ვაჭრობის თვალსაზრისით, რომლის სუბიექტებს უფრო მეტად დაუცველი ქალები წარმოადგენენ.

10. ამდენად, ასამბლეა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სიღარიბის აღმოფხვრას, და არა მხოლოდ მის შემცირებას, ანუ სოციალური დახმარების სახელმწიფო პოლიტიკის პასიურ ღონისძიებებს, მათ შორის ოჯახთა დახმარებებს და სოციალურ დაცვას. ასამბლეა წევრ ქვეყნებს მოუწოდებს დაიწყონ ჰუმანური განვითარების მიზნების შესრულება და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება, და სიღარიბის აღმოფხვრის კონცეპტუალურ მიდგომებზე, პრიორიტეტებსა და მეთოდური მითითებებზე დაფუძნებით განსაზღვრონ იმ პოლიტიკის არსი და ამოცანები, რომლის მიზანია სიღარიბის აღმოფხვრა. კონცეპტუალური მიდგომებით გათვალისწინებულ უნდა იქნეს პრინციპული ნორმა: სიღარიბის აღმოფხვრა განხილულ უნდა იქნას როგორც განვითარების საკითხი და არა გადარჩენის. ზემოაღნიშნულ მიდგომას, თუმცა იგი ყველა ქვეყანაზე ვრცელდება, ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება განვითარებადი და გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნებისათვის.

11. ასამბლეას მიაჩნია, რომ გენდერული ასპექტი საჭიროა განისაზღვროს ყველა პოლიტიკისა და ეროვნული პოლიტიკის ძირითად კომპონენტად სიღარიბის აღმოფხვრისა და სოციალური გარიყვის დასაძლევად, ქალთა სიღარიბის რისკის შერბილებისა და პრევენციისათვის.

12. დასაქმების ხელშეწყობა, მართლაც, სოციალურად უფრო მიღებული და ეკონომიკურად ეფექტური გზაა სიღარიბის დასაძლევად. ამ თვალსაზრისით ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის ძირითადი პრობლემები მოიცავს ქალთა მიმართ დისკრიმინაციას შრომის ბაზარზე, დასაქმების არასაკმარის შესაძლებლობებს ქალებისათვის და მომუშავე ქალებისათვის არასაკმარის სოციალურ დაზღვევას.

13. ასამბლეა მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს:

13.1. შეაფასონ გენდერული უთანასწორობა შრომის ოფიციალურ ბაზარზე და გამოამჟღავნონ მისი მიზეზები;

13.2. განიხილონ იმ მეთოდების შემუშავების საკითხი, რომელიც შრომის ბაზარზე მოახდენს გავლენას (საჭიროების შემთხვევაში პოზიტიური დისკრიმინაციის, გენდერული კვოტების ან სხვა მეთოდების გამოყენებით), და

რომლის მიზანი თანაბარი შესაძლებლობების პრინციპის პრაქტიკულ გამოყენება იქნება;

13.3. შეისწავლონ არაოფიციალური შრომის ბაზრის პარამეტრები, მათ შორის გენდერული განზომილება, რომლის არასათანადო შეფასება ეჭვის ქვეშ დააყენებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროექტების რეალურად განხორციელების ხარისხს;

13.4. ხელი შეუწყონ სახალხო რეწვის, სამამულო მრეწველობისა და მცირე საწარმოების განვითარებას შეღავათიანი სესხების გაცემისა და საგადასახადო პოლიტიკის განხორციელების მეშვეობით, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში;

13.5. დაუყოვნებლივ განახორციელონ პრინციპი «თანაბარი ღირებულების შრომისათვის თანაბარი ანაზღაურება»;

13.6. განახორციელონ საჭირო ღონისძიებები შრომისა და პირადი ცხოვრების შეთავსების ხელშეწყობის მიზნით, რათა შესაძლებლობა მისცენ ქალებს, რომელთაც ეს სურთ, რომ შეიქმნან კარიერა, ანუ იმუშაონ სრულ განაკვეთზე;

13.7. დამპირავებლებს მიაწოდონ ინფორმაცია ყველა მომუშავისათვის, განურჩევლად სქესისა, კარიერის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფის საჭიროების შესახებ;

13.8. შეინარჩუნონ პრინციპი «დაბალანსებული წარმომადგენლობა» ყველა საჯარო თანამდებობაზე დანიშვნის დროს და საჭიროების შემთხვევაში გაატარონ პოზიტიური დისკრიმინაციის ღონისძიებები;

13.9. დაეხმარონ ქალებს შრომის ბაზარზე ადგილის დაკავებაში ან ადგილზე დაბრუნებაში;

13.10. ცხოვრების ყველა ეტაპზე შესთავაზონ პროფესიული გადამზადების კურსები, რათა იმ ქალებს, რომელთაც არასაკმარისი კვალიფიკაცია გააჩნიათ, დაეხმარნენ სამუშაო ადგილის მოძებნაში;

13.11. მხარი დაუჭირონ და წაახალისიონ მომუშავეები და საწარმოები, რომლებიც ქალთა დასაქმებას უწყობენ ხელს, სთავაზობენ მათ მოქნილ სამუშაო გრაფიკს, უზრუნველყოფენ ბავშვთა მოვლის ცენტრებზე ხელმისაწვდომობას, და ა.შ.;

13.12. მხარი დაუჭირონ კვალიფიკაციისა და ტრეინინგის სისტემის ჩამოყალიბებას ქალი მეწარმეებისათვის, წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში ქალთა მეწარმეობის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებაში, გამოყონ სახელმწიფო სახსრები ქალთა მეწარმეობის განსავითარებლად, და შემოიღონ და გააფართოვონ საკრედიტო პროგრამები ქალი მეწარმეებისათვის;

13.13. მოამზადონ ეროვნული სტატისტიკა, რომელიც ფოკუსირებული იქნება ქალთა მდგომარეობაზე ეკონომიკაში.

14. ასამბლეა რეკომენდაციას იძლევა, რომ ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა გაატარონ შემდეგი ღონისძიებები სოციალური მხარდაჭერის გასაუმჯობესებლად:

14.1. შეაფასონ სოციალური ტრანსფერების ზეგავლენა ბენეფიციართა სქესის მიხედვით და საჭიროების შემთხვევაში, შეცვალონ დახმარებებს შორის ბალანსი;

14.2. მნიშვნელოვნად გაზრდონ დახმარებები ბავშვის დაბადების შემთხვევაში და ბავშვის მოვლისათვის, ასევე - ნაწილობრივ ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა;

14.3. შექმნან ბავშვთა მოვლის ცენტრები (მაგალითად, საბავშვო ბაღები მოქნილი სამუშაო საათებით) და სხვა სოციალური მომსახურებები;

14.4. შემოიღონ ანაზღაურებადი შვებულება ავადმყოფი შვილების მოსავლელად;



- 14.5. სოციალური მომსახურების პროექტებში ჩართონ მომვლელი სახლებში მოხუცებულთა და უნარშეზღუდულთა მოსაველეად;
- 14.6. შემოიღონ დახმარებები და სხვა პრივილეგიები (მაგალითად, ანაზღაურებადი შვებულება) მოხუცებულთა და ოჯახის სხვა წევრებზე, რომლებიც არ არიან უნარშეზღუდულები, მზრუნველობისათვის;
- 14.7. სიღარიბის აღმოფხვრის ეროვნულ პროგრამებში შემოიღონ ბავშვებისათვის სპეციალური კომპონენტი, რომელშიც განსაკუთრებით აისახება ოჯახის დახმარების სისტემაში ჩართული არასრულწლოვანი ბავშვებისათვის გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვანი ზრდა;
- 14.8. განახორციელონ ტრენინგის პროგრამები სტრესული სიტუაციების გადალახვის მიზნით და შემოიღონ სოციო-ფსიქოლოგიური მომსახურებები (მაგალითად, სატელეფონო ცხელი ხაზები) როგორც ქალების, ასევე მამაკაცებისათვის.
15. ასამბლეას მიაჩნია, რომ სიღარიბის დონის შემცირებაში მოხუცებულთა საპენსიო სისტემას არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც ცალკეული ოჯახებისათვის, ასევე მთლიანად საზოგადოებისათვის და ამდენად რეკომენდაციას აძლევს წევრ ქვეყნებს:
- 15.1. უზრუნველყონ, რომ მოხუცებულობის საპენსიო პროგრამების მოქმედების სფერო და საკვალიფიკაციო პირობები შესაძლებლობას აძლევდეს ქალებს საკმარისი ასაკობრივი პენსია ჰქონდეთ, განსაკუთრებით მოხდეს ბავშვების და მოხუცებულთა, ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების მოვლის გამო სამუშაო სტაჟის წყვეტის და არასრულ განაკვეთზე მუშაობის პერიოდის კომპენსირება;
- 15.2. შემოიღონ მინიმალური ასაკობრივი პენსია 60 წელს გადაცილებულ პირთათვის, რომელთაც განახორციელეს საპენსიო შენატანები, ან არ ვერ განახორციელეს საკმარისი საპენსიო შენატანები, რომელიც მათ უზრუნველყოფს ცხოვრების ღირსეული დონით, და რომელსაც უნდა დაემატოს პენსია მათი დასაქმების პერიოდში გამომუშავებული შემოსავლის საფუძველზე;
- 15.3. უზრუნველყონ სოციალური დაზღვევა იმ ქალებისათვის, რომლებიც უვლიან შვილებს ან მათ კმაყოფაზე მყოფ პირებს, ან რომელთაც მოკრძალებული ასაკობრივი პენსია აქვთ;
- 15.4. გააუქმონ სანქციები და შეზღუდვები, რომელიც გამოიყენება მრავალ საპენსიო პროგრამაში იმ მომუშავეთა მიმართ, რომელთაც არარეგულარული სამუშაო სტაჟი აქვთ (სამსახურის ხშირი ცვლა, პროფესიის შეცვლა, გეოგრაფიული მობილურობა), ასევე მათ, ვისაც ეგრეთ წოდებული «მოქნილი სამუშაო» (არასრულ განაკვეთზე მუშაობა, ან დროებითი სამსახური, ან სააგენტოში მუშაობა, სახლში მუშაობა ან დისტანციური მუშაობა) ჰქონდათ;
- 15.5. შემოიღონ საპენსიო პროგრამებში პენსიის მიღების უფლება მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში, განქორწინებული ქალებისათვის და მათი შვილებისათვის, ასევე იმ ქალებისათვის, რომლებიც არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში;
- 15.6. არ შეზღუდონ ასაკობრივ საპენსიო სისტემაში ქალთა მონაწილეობა იმ შემთხვევაში, როდესაც დროებითი წყვეტაა კარიერაში შვილის გაჩენის და ექვსი წლის განმავლობაში შვილის მოვლის გამო;
- 15.7. შემოიღოს საპენსიო კუმულაციური დამატებითი უფლების მეუღლისათვის გადაცემა მემკვიდრეობის მეშვეობით; ამ დამატებითი უფლების გადაცემა შესაძლოა ასევე განხორციელდეს მეუღლეთა ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშებზე აკუმულირებული რესურსების «ერთობლივ» ანუიტეტად გარდაქმნის გზით.

16. ასამბლეას მიაჩნია, რომ არასათანადო ჯანმრთელობა შესაძლოა იყოს როგორც სიღარიბის შედეგი, ასევე მიზეზი. ღარიბი ადამიანები მოჯადოებულ წრეში არიან: სიღარიბის გამო მათ ჯანმრთელობის შენარჩუნების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ (სამედიცინო მომსახურება, საკვები, სუფთა წყალი, საკმარისი სანიტარული და ჰიგიენური პირობები, რომელიც სათანადო ჯანმრთელობის წინაპირობებს წარმოადგენს). ეს განაპირობებს მუშაობის შეზუდულ შესაძლებლობას და პირი უფრო ღარიბდება. ამდენად, ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნება სიღარიბის შემცირებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი კომპონენტია და ამ სფეროში ეფექტური და მიზანმიმართული პოლიტიკა უნდა გატარდეს.

17. ამდენად, ასამბლეა მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს:

17.1. იმოქმედონ ინდივიდუალურად «სიღარიბის» ჯგუფებისა და გეოგრაფიული არეალების მიხედვით მოსახლეობის ჯანდაცვის მიზნების განსაზღვრის მიზნით, და დააკავშირონ ისინი «სიღარიბის რუქებით» და განახორციელონ მიზანმიმართული ჯანდაცვის პროექტები;

17.2. სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ძირითადი მომსახურების პაკეტის შემუშავებაში ჩართონ ყველაზე დაუცველი ჯგუფების წარმომადგენლები და ფოკუსირება მოახდინონ სოციალურ დაავადებებზე (ტუბერკულოზი, ინფექციური და სექსუალურად გადამდები დაავადებები), დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის სამედიცინო მომსახურებების უზრუნველყოფასა და დემოგრაფიული მნიშვნელობის (რეპროდუქციული ჯანმრთელობა) მქონე მომსახურებების მიწოდებაზე.

17.3. ხელი შეუწყონ სამედიცინო პერსონალის უფრო რაციონალურ გადანაწილებას, რათა გაიზარდოს სამედიცინო დახმარებაზე ხელმისაწვდომობა; განსაკუთრებით წევრმა სახელმწიფოებმა უნდა:

17.3.1. შემოიღონ ოჯახის ექიმის ინსტიტუტი სოფელებში, როგორც პრიორიტეტი;

17.3.2. უმაღლესი სასწავლების ახლად დამთავრებულებს შესთავაზონ მიმზიდველი პირობები, რათა მათ იმუშალონ სოფელებში;

17.3.3. უფრო აქტიური ღონისძიებები გაატარონ სექსუალურად გადამდები დაავადებების, მათ შორის და HIV/შიდსის პრევენციის მიზნით, განსაკუთრებით კი განახორციელონ ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროექტები.

18. ხარისხიანი განათლება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სიღარიბისა და უთანასწორობის შერბილების თვალსაზრისით. ქალთა განათლება მნიშვნელოვნად ზრდის მათ შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებას. ასამბლეა პირდაპირ კავშირს ხედავს ქალთა განათლების დონესა და მათი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს შორის, რადგან განათლების დაბალი დონე მომავალი თაობებისათვის დაკარგულ შესაძლებლობებს ნიშნავს. ამდენად ასამბლეა წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს ხელი შეუწყონ ქალთა შესაძლებლობების განვითარებას განათლების მეშვეობით, რადგან ქალთა განათლებას ბუმერანგის ეფექტი აქვს ჯანმრთელობისა და მომავალი თაობებისათვის.

**რეზოლუცია 1582 «საპარლამენტო ერთიანობა ქალთა მიმართ ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში»: კამპანიის შუალედური შეფასება, 2007**

1. თავის გადაწყვეტილებაში ებრძოლოს ქალთა მიმართ ძალადობას, მათ შორის ოჯახურ ძალადობას, პარლამენტის ასამბლეა გეგმავს გააგრძელოს და კიდევ უფრო გაზარდოს საპარლამენტო მონაწილეობის ხარისხი ევროპის საბჭოს კამპანიაში, რომელიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.
2. ასამბლეა კვლავაც აღნიშნავს, რომ ეროვნული პარლამენტების მონაწილეობა ამ სახის ძალადობასთან ბრძოლაში უმნიშვნელოვანესია, რათა მიღებულ იქნას მსხვერპლთა დაცვასთან, დამნაშავეთა დასჯასთან და ქალთა და კაცთა შორის არაადექვატური ურთიერთობებით გამოწვეული ამ ბოროტების პრევენციასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და განხორციელდეს მისი მოქმედების ზედამხედველობა. ასევე, პარლამენტარებმა უდიდესი როლი უნდა ითამაშონ ევროპის მოსახლეობის ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების საქმეში და გააფრთხილონ ევროპელები, რომ ოჯახური ძალადობა წარმოადგენს ადამიანთა უფლებების სერიოზულ დარღვევას და ამ მოვლენის გამართლება შეუძლებელია კულტურული ან რელიგიური მოსაზრებებით.
3. ასამბლეა მიესალმება იმ ეროვნულ პარლამენტებს, რომელთაც უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს ქალთა მიმართ ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის საქმეში და ინფორმირებულობის ამაღლების ღონისძიებებისა და საკანონმდებლო რეფორმების საშუალებით აქტიურად მონაწილეობენ ევროპის საბჭოს კამპანიაში. ეს ხელს შეუწყობს მათ გააგრძელონ თავიანთი ძალისხმევა. დღეისათვის, განისაზღვრა 44 საკონტაქტო პარლამენტარი, რომელთაც მჭიდრო ურთიერთანამშრომლობა საშუალებას აძლევს გააერთიანონ ეროვნულ დონეზე მიღებული გამოცდილება, გაცვალონ ინფორმაცია, რომელიც ეხმარება მათ შეისწავლონ ქალთა მიმართ ძალადობის მოვლენა და განახორციელონ ეფექტური ღონისძიებები.
4. ასამბლეა ხაზს უსვამს ეროვნული პარლამენტების მიერ ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარების აუცილებლობას, რომელთა მონაწილეობა მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.
5. იმისათვის, რომ ევროპის საბჭოს კამპანიამ რეალური გავლენა იქონიოს ყველა წევრ ქვეყანაში, საჭიროა კვლავაც გაგრძელდეს და გაძლიერდეს ეროვნული პარლამენტების მობილიზაცია. ასამბლეა მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების და ასამბლეაში დამკვირვებლის სტატუსის მქონე ქვეყნების ეროვნულ პარლამენტებს გააგრძელონ თავისი საქმიანობა ამ მიმართულებით და, თუ ჯერ არ გაუკეთებიათ ეს, შეუერთდნენ ასამბლეის კამპანიას «საპარლამენტო ერთიანობა ქალთა მიმართ ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში».
6. ამასთან დაკავშირებით, ასამბლეა იწვევს ეროვნულ პარლამენტებს, რომელთა ჯერ არ შეუსრულებიათ ეს, განახორციელონ შემდეგი ღონისძიებები:
  - 6.1. დანიშნონ საკონტაქტო პარლამენტარი, შეუერთდნენ ევროპის საბჭოს კამპანიას და დაგმონ ოჯახური ძალადობა როგორც ადამიანთა უფლებების სერიოზულ დარღვევა, კერძოდ შესაბამისი რეზოლუციის მიღების საშუალებით;
  - 6.2. გადათარგმნონ ეროვნულ ენაზე მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების ოქმი (2005) ძალადობისაგან ქალთა დაცვის შესახებ და ასამბლეის «სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის»;

- 6.3. საკონტაქტო პარლამენტართან და რეგიონულ კოორდინატორთან ერთად გამოავლინონ არსებული ნაკლოვანებები მოქმედ კანონმდებლობაში;
- 6.4. წარმოადგინონ წინადადებები საერთო ევროპულ დონეზე საპარლამენტო თანამშრომლობასა და კავშირებთან დაკავშირებით, კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით;
- 6.5. ხელი შეუწყონ მამაკაცი პარლამენტარების ჯგუფის შექმნას, რომლის მიზანი იქნება ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლა და საერთო ევროპულ დონეზე ასეთ ჯგუფებს შორის კავშირების დამყარება;
- 6.6. მიიღონ პრიორიტეტად მიჩნეული შვიდი მთავარი ღონისძიება ან ზედამხედველობა გაუწიონ მათ შესრულებას:
- 6.6.1. ქალთა მიმართ ოჯახური ძალადობის, მათ შორის ცოლ-ქმრული გაუპატიურების სისხლის სამართლის დანაშაულად აღიარება;
- 6.6.2. პარტნიორებს (ისევე როგორც ყოფილ პარტნიორთა) შორის ჩადენილი ძალადობის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევა;
- 6.6.3. საჭირო რაოდენობის უსაფრთხოების თავშესაფრების გახსნა;
- 6.6.4. მოძალადე მეუღლეების ან პარტნიორების დაშორების უზრუნველყოფა და ძალადობის ჩამდენთა დამცველი წესების გაუქმება;
- 6.6.5. ძალადობის მსხვერპლთა სასამართლოსთან და დამცავ ღონისძიებებთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- 6.6.6. კანონის განსახორციელებლად საკმარისი საბიუჯეტო სახსრების გათვალისწინება;
- 6.6.7. ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონების შესრულების მონიტორინგის გაწევა;
- 6.7. 2008 წლის აპრილისათვის წარმოადგინონ ასამბლეის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული ღონისძიებების გატარებისა და კამპანიის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში;
- 6.8. განსაზღვრონ, თუ რა ფინანსური საშუალებები იყო გათვალისწინებული ქალთა მიმართ ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლისათვის უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში;
- 6.9. 2007 წლის დასრულებამდე წარმოადგინონ ქალთა მიმართ ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლისათვის განსაზღვრული საბიუჯეტო მიზნები და ასიგნებები 2008 წლისათვის ყველა წევრი ქვეყნის თითოეულ მოსახლეზე საშუალოდ მინიმუმ 1 ევროს დაგეგმვის გათვალისწინებით.
7. ასამბლეამ გადაწყვიტა გააგრძელოს საქმიანობა, რომელიც ხორციელდებოდა რეგიონალურ (ევროპარლამენტი და ჩრდილოეთის ქვეყნების საბჭო) და საერთაშორისო (საპარლამენტოთაშორისი გაერთიანება) საპარლამენტო ასამბლეებთან ერთად.
8. კერძოდ, ასამბლეა სთავაზობს ევროპარლამენტს 2008 წელს ჩაატარონ ერთობლივი კონფერენცია ევროპაში ქალების მიმართ ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის საკითხებზე.
9. ასამბლეა თანახმაა 2008 წლის გაზაფხულზე მოიწვიოს საპარლამენტო კონფერენცია (საკონტაქტო პარლამენტარების მესამე შეხვედრა), რათა შეაფასოს საპარლამენტო ასამბლეისა და ეროვნული პარლამენტების მიერ ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლისაკენ განხორციელებული ღონისძიებები და მოამზადოს ასამბლეის მონაწილეობა 2008 წლის ივნისისათვის დაგეგმილი კამპანიის საბოლოო კონფერენციაში.
10. ასამბლეა მიიჩნევს, რომ მან მონაწილეობა უნდა მიიღოს როგორც კამპანიის მიმდინარეობის განხილვაში მის დასრულებამდე, ასევე გაწეული საქმიანობის

შეფასებაში. ასამბლევას განზრახული აქვს არ ჩამორჩეს მოვლენებს და საჭიროების მიხედვით მხარი დაუჭიროს ახალ წინადადებებს.

---

ასამბლევამ განიხილა 2007 წლის 3 ოქტომბერს (32-ე სხდომა) (იხ. დოკუმენტი 11366, ეკონომიკური ურთიერთობებისა და განვითარების კომიტეტის ანგარიში, მომხსენებელი: ბ-ნი ლოიდი; და დოკუმენტი 11397, სოციალური, ჯანმრთელობისა და ოჯახური ურთიერთობების კომიტეტის დასკვნა, მომხსენებელი: ბ-ნი პრედა). ტექსტი მიღებული იქნა 2007 წლის 3 ოქტომბერს (32-ე სხდომა).

## ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი

### რეზოლუცია 85 ევროპის რეგიონებში ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ, 1999

კონგრესი,

ითვალისწინებს რა რეგიონების პალატიდან მიღებულ წინადადებას.

1. ითვალისწინებს რა ანგარიშს «ევროპის რეგიონებში ქალთა მიერ პოლიტიკური თანამდებობების დაკავების შესახებ», რომელიც წარმოადგინა ქ-მა დინიმ ევროპის რეგიონებში ჩატარებული კვლევის საფუძველზე;
2. მიესალმება რა თანამშრომლობას ევროპის რეგიონებს და ამ სფეროში მომუშავე რეგიონული და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის;
3. განსაკუთრებით ითვალისწინებს რა 1998 წლის 7 ნოემბერს ევროპის რეგიონების ასამბლეის მიერ ტურინში ორგანიზებული კონფერენციის საბოლოო დეკლარაციას «რეგიონულ დონეზე ქალები პოლიტიკაში»,
4. ხაზს უსვამს რა ევროპის რეგიონების პოლიტიკურ ინსტიტუტებში ქალთა თანაბარი მონაწილეობის მნიშვნელობას;
5. თხოვნით მიმართავს რეგიონულ ორგანოებს:
  - ა. შესაბამისი ღონისძიებები გაატარონ, რათა ხელი შეუწყონ რეგიონული ორგანოების პოლიტიკურ ინსტიტუტებში ქალთა მონაწილეობას,
  - ბ. დაიწყონ ისეთი პროგრამების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს და წახალისებს ქალთა უფრო ინტენსიურ მონაწილეობას რეგიონების პოლიტიკურ ცხოვრებაში და მათ მიერ პოლიტიკურ, საპარლამენტო და ადმინისტრაციულ ინსტიტუტებში პასუხისმგებლობის აღებას,
  - გ. მოუწოდოს სამოქალაქო ორგანიზაციებს წამოიწყონ საინფორმაციო და სატრენინგო პროგრამების განხორციელება, რომელთა მიზანი იქნება რეგიონების პოლიტიკურ ინსტიტუტებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა,
  - დ. წამოიწყონ პოზიტიურ დისკრიმინაციაზე დაფუძნებული სამოქმედო პროგრამები, რათა უზრუნველყონ რეგიონების პოლიტიკურ ინსტიტუტებში ქალთა დაბალანსებული მონაწილეობა,
  - ე. განიხილონ, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, სესიისათვის წარდგენილი ანგარიში და მისი თანმხლები დოკუმენტები რეგიონულ ასამბლეებში, როგორც სპეციალურ კომიტეტებში, ასევე აღმასრულებელ ორგანოებში,
  - ვ. ინფორმაცია მიაწოდონ კონგრესს აღნიშნული განხილვის შედეგების, და შესაბამის შემთხვევაში, იმ ქმედების შესახებ, რომელიც დაგეგმილია ან რომელიც ხორციელდება განსახილველად წარმოდგენილი რეკომენდაციების შესახებ;
6. თხოვნით მიმართავს ბიუროს დავალება მისცეს ბიუროს შესაბამის სამუშაო ჯგუფს ევროპის მასშტაბით დაიწყოს ძირითადი კამპანია, რათა ხელი შეუწყოს ევროპის რეგიონებში ქალთა მიერ საჯარო სექტორში თანამდებობების დაკავებას და ამ კამპანიაში ჩართოს რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების განსაკუთრებით აქტიური ორგანიზაციები, როგორცაა, ევროპის რეგიონების ასამბლეა და ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭო.

**რეზოლუცია 134 ქალთა ინდივიდუალური ხმის მიცემის უფლებების შესახებ:  
დემოკრატიის მოთხოვნა, 2002**

კონგრესი,

1. ითვალისწინებს რა მის მიერ წარმართულ მუშაობას ადგილობრივ და რეგიონულ ორგანოებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის შესახებ, განსაკუთრებით პატრიცია დინის ანგარიშს, 85-ე რეზოლუციას (1999) და 68-ე რეკომენდაციას (1999) პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის შესახებ ევროპის რეგიონებში;

2. ითვალისწინებს რა ბოლო წლებში «საპარლამენტო ასამბლეის», «ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ორგანოების კონგრესის» და «ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის» მიერ განხორციელებული არჩევნების სადამკვირებლო მისიების შესახებ ანგარიშებში გამოვლენილ ფაქტებს, რომელიც ხაზგასმით მიუთითებს ოჯახის მიერ ხმის მიცემის პრაქტიკის არსებობაზე ევროპის თხუთმეტ ქვეყანაში;

3. ითვალისწინებს რა, რომ ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ორგანოების ერთობლივი მუშაობა და პარტნიორობა ასევე ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი ქალების დაახლოვებას, რათა მათ შესძლონ საარჩევნო პროცესის გამოცდილების გაზიარება და ქალთა, როგორც პოლიტიკური მოქალაქეების, უფლებების შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლების არაფორმალურ პროცესში ჩართვა;

4. ხაზს უსვამს რა, ადგილობრივი და რეგიონალური ორგანოების როლს ადგილობრივი ინიციატივების მხარდაჭერაში, რათა წახალისდეს ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში,

5. მოუწოდებს ადგილობრივ და რეგიონულ ორგანოებს:

ა. ხელი შეუწყონ წევრ სახელმწიფოებში ადგილობრივი და რეგიონული ორგანოების ერთობლივ მუშაობას და პარტნიორობას, როგორც *inter alia* საუკეთესო დემოკრატიული საარჩევნო პრაქტიკის ხელშეწყობის საშუალებას;

ბ. ხელი შეუწყონ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს საქმიანობების განხორციელებაში, რომელთა მიზანია ქალთა განათლებისა და მათი ფუნდამენტური უფლებების, ინდივიდუალური საარჩევნო უფლებების ჩათვლით, წახალისება;

გ. აამაღლონ ქალთა თანაბარი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შესახებ ინფორმირებულობის დონე და ხელი შეუწყონ ხმის მიცემის საუკეთესო პრაქტიკის გავრცელებას ბეჭდვითი და რადიო-ტელევიზიის, სემინარების ან საჯარო კამპანიების მეშვეობით. ეს პროგრამები განკუთვნილია სქესის უპირატესობის გამომხატველი დამოკიდებულებისა და ენობრივი საკითხების გადასაჭრელად, რომელიც მოდელირებულია «სტაბილურობის პაქტის გენდერის საკითხებზე მომუშავე სპეციალური ჯგუფის» მიერ შემუშავებული მედიის საინფორმაციო კამპანიების მიხედვით;

6. მოუწოდებს კონგრესის ბიუროს:

ა. ამ ღონისძიების განსამტკიცებლად წახალისოს შემდგომი ღონისძიებების გატარება, განსაკუთრებით სემინარების მოწყობა არჩევნებამდე ინფორმირებულობის დონის ამაღლების კამპანიების პერიოდში, რაც შექმნის დისკუსიის შესაძლებლობას საარჩევნო კომისიის, დემოკრატიის მშენებლობაში

მონაწილე ორგანიზაციებისა და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან;

ბ. არჩევნების სადამკვირებლო მისიების განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ოჯახის მიერ ხმის მიცემას და ხაზი გაუსვას დემოკრატიულ ქვეყანაში ამგვარი პრაქტიკის არსებობას;

გ. განაახლოს არჩევნების დაკვირვების ცნობარი და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ოჯახის მიერ ხმის მიცემას არჩევნების სადამკვირებლო მისიების განხორციელების დროს;

7. მოუწოდებს არასამთავრობო ორგანიზაციებს:

ა. როგორც პოლიტიკურ პროცესში თანასწორობის საკითხზე მომუშავე ზემოქმედების ჯგუფებმა შეიმუშაონ ისეთი საქმიანობები, რომლითაც ყურადღებას გაამახვილებენ ქალთა თანასწორ საარჩევნო უფლებაზე;

ბ. ხელი შეუწყონ ინფორმაციის გავრცელებას, განსაკუთრებით მამაკაცთა ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და არჩევნებში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ;

გ. გამოვიდნენ ინიციატივით და/ან შეიმუშაონ ისეთი ღონისძიებები და ტრენინგის პროგრამები, რომელთა მიზანია ქალთა ინფორმირება მათი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ – მაგალითად როგორცაა «სტაბილურობის პაქტის გენდერის საკითხებზე მომუშავე სპეციალური ჯგუფის» ქალთა აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბების პროგრამა, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც მოდელი;

დ. თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე მონიტორინგი განხორციელონ არჩევნების პროცესში ქალთა მონაწილეობის მასშტაბის შესაფასებლად და საარჩევნო კომისიას წარუდგინონ ანგარიში ქალთა მონაწილეობის ტენდენციისა და იმის შესახებ, თუ რამდენად თავისუფლად ახორციელებდნენ ისინი ხმის მიცემას ფარულად.

იმსჯელა და მიიღო კონგრესმა 2002 წლის 6 ივნისს, მე-3 სხდომაზე იხ. Doc. CG (9) 7, რეზოლუციის პროექტი წარმოადგინა მომხსენებელმა ქ-ნმა დ. ბინიანიმ).

**რეზოლუცია 176 ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გენდერული  
მეინსტრიმენტის შესახებ: ქალაქებსა და რეგიონებში ქალთა და მამაკაცთა  
თანასწორობის ხელშეწყობა, 2004**

კონგრესი,

1. ითვალისწინებს რა ევროპის საბჭოს მიზანს მიაღწიოს მისი წევრების უფრო მეტ ერთიანობას იმ იდეალებისა და პრინციპებისა დაცვისა და განმტკიცების მიზნით, რომელიც მათ საერთო მემკვიდრეობას წარმოადგენენ;

2. ითვალისწინებს რა, რომ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის მიღწევა ამ იდეალებისა და პრინციპების შემადგენელი ნაწილია და ითვალისწინებს რა, რომ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის ერთ-ერთი ფუნდამენტური განზომილება და დემოკრატიის ხარისხის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია;

3. ითვალისწინებს რა 1988 წლის 16 ნოემბერს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ დეკლარაციას ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ;



4. ითვალისწინებს რა ქალთა და მამაკაცთა თანასწორობისადმი მიძღვნილ მინისტრთა მე-2 ევროპული კონფერენციის მიერ მიღებულ დეკლარაციას ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის, როგორც დემოკრატიის ფუნდამენტური კრიტერიუმის, შესახებ (სტამბული, 1997 წ.);
5. ითვალისწინებს რა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი ქვეყნებისათვის შემუშავებულ რეკომენდაციას, R (98) 14, გენდერული მენისტრთაშორის შესახებ და რეკომენდაციას, Rec (2003)3, პოლიტიკური და საჯარო სექტორში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებული მონაწილეობის შესახებ;
6. ითვალისწინებს რა მის მიერ წარმართულ მუშაობას ადგილობრივ და რეგიონულ ორგანოებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის შესახებ, განსაკუთრებით პატრიცია დინის ანგარიშს, 85-ე რეზოლუციას (1999) და 68-ე რეკომენდაციას (1999) პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის შესახებ ევროპის რეგიონებში;
7. ითვალისწინებს რა ბოლო წლებში «საპარლამენტო ასამბლეის», «ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ორგანოების კონგრესის» და «ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის» მიერ ბოლო წლებში განხორციელებული არჩევნების სადამკვირებლო მისიების შესახებ ანგარიშებში გამოვლენილ ფაქტებს, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული ოჯახის მიერ ხმის მიცემის პრაქტიკის არსებობა ევროპის თხუთმეტ ქვეყანაში;
8. ითვალისწინებს რა, რომ ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ორგანოების ერთობლივი მუშაობა და პარტნიორობა ასევე ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი ქალების დაახლოებას, რათა მათ შესძლონ საარჩევნო პროცესის შესახებ გამოცდილების გაზიარება და ქალთა, როგორც პოლიტიკური მოქალაქეების, უფლებების შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლების არაფორმალურ პროცესში ჩართვა;
9. ხაზს უსვამს რა ადგილობრივი და რეგიონული ორგანოების როლს ადგილობრივი ინიციატივების მხარდაჭერაში, რათა წახალისდეს ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში,
10. დარწმუნებულია რა, რომ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის მიღწევის ერთ-ერთ ძირითად სტრატეგიას გენდერული მენისტრთაშორის წარმოადგენს;
11. მიესალმება რა ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის სახელმძღვანელო კომიტეტის მიერ მომზადებულ ანგარიშს გენდერული მენისტრთაშორის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს გენდერული მენისტრთაშორის კონცეპტუალურ საფუძვლებს და მისი განხორციელების მეთოდოლოგიას, რომელსაც თან ერთვის სათანადო პრაქტიკის მაგალითები;
12. დარწმუნებულია რა, რომ გენდერული მენისტრთაშორის სტრატეგიის განხორციელება არა მხოლოდ ხელს შეუწყობს ქალთა და მამაკაცთა ფაქტობრივი თანასწორობის მიღწევას და უფრო ეფექტურად მოახდენს რეაგირებას სხვადასხვა კატეგორიის მოთხოვნებსა და საჭიროებებზე, არამედ ასევე განაპირობებს ადამიანური და ფინანსური რესურსების უკეთ გამოყენებას, გადაწყვეტილების მიღების პროცესის და დემოკრატიის ფუნქციონირების გაუმჯობესებას;
13. დარწმუნებულია რა, რომ გენდერული მენისტრთაშორის განხორციელებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა პოლიტიკური ნებაა;
14. მიესალმება რა ტრენინგების ორგანიზაციების ევროპული ქსელის ინიციატივას 2004 წელს კოიმბრაში (პორტუგალია) ყოველწლიური სემინარის ნაწილი დაეთმოს გენდერული მენისტრთაშორის საკითხს;

15. მოუწოდებს ადგილობრივ და რეგიონულ ორგანოებს:

ა. საჯაროდ აიღონ ვალდებულება გენდერული თანასწორობის მიღწევის, სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე უფრო ეფექტური რეაგირების, ქალთა და მამაკაცთა ფაქტობრივი თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით გენდერული მეინსტრიმინგის პოლიტიკის შემოღების, ადამიანური და ფინანსური რესურსების უფრო ეფექტურად განაწილების, გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესებისა და დემოკრატიის განმტკიცების შესახებ;

ბ. შეაფასონ მამაკაცთა და ქალთა არსებული მდგომარეობა, მათ შორის სტატისტიკის შეგროვების მეშვეობით (გენდერის მიხედვით გაცალკევებული სტატისტიკა), რათა შეაფასონ რა ზემოქმედებას ახდენს გენდერი იმაზე, თუ ცალკეული პოლიტიკის შედეგად ვინ ღებულობს ან არ ღებულობს სარგებელს;

გ. გამოიყენონ ინფორმაცია, ასევე გენდერული მეინსტრიმინგის სფეროში არსებული სათანადო პრაქტიკა, რათა დაარწმუნონ პოლიტიკოსები და მოქალაქეები გენდერული მეინსტრიმინგის პოლიტიკის საჭიროებაში;

დ. უზრუნველყონ ტრენინგების ჩატარება პოლიტიკოსებისათვის, რათა მათ აღიქვან ამ მიდგომის მნიშვნელობა და ასევე გაეცნონ მისი ფუნქციონირების მექანიზმს;

ე. შემოიღონ გენდერული თანასწორობის პოლიტიკა და შეიმუშაონ ადგილობრივი და რეგიონული სამოქმედო გეგმები ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის მისაღწევად და ხელი შეუწყონ გენდერული მეინსტრიმინგის როგორც სტრატეგიის, მისი განმარტების მიხედვით, დამკვიდრებას, მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების მიერ განხორციელებული პოლიტიკისა და ქმედებების შეფასებას;

ვ. მხედველობაში მიიღონ რეკომენდაციები და კონკრეტული ღონისძიებები, რომელიც გათვალისწინებულია პოლიტიკური და საჯარო სექტორში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებული მონაწილეობის შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით, Rec(2003) 3, რათა გაიზარდოს ქალთა და მამაკაცთა მონაწილეობა ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რომლებიც მათზე მოახდენს ზემოქმედებას;

გ. გამოიყენონ სპეციალური საკონსულტაციო მეთოდები, რათა გამოავლინონ ქალთა და მამაკაცთა მოსაზრებები, მოთხოვნები და საჭიროებები იმ პოლიტიკასა და მომსახურებასთან დაკავშირებით, რომლებზეც ისინი არიან პასუხისმგებელნი, და გაიზარდოს იმ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა მონაწილეობა, რაც მათზე ზემოქმედებას მოახდენს;

ზ. შეაფასონ ახალი და არსებული პოლიტიკის ზემოქმედება ქალებსა და მამაკაცებზე და საჭიროების შემთხვევაში, სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, ცვლილებები შეიტანონ მათში;

თ. განახორციელონ მონიტორინგი განხორციელებულ ცვლილებებზე, რათა მათთვის ცნობილი გახდეს მიღწეულ იქნა თუ არა საჭირო ზემოქმედება;

ი. ჩამოაყალიბონ ან გააძლიერონ არსებული სტრუქტურები და მექანიზმები, რათა უზრუნველყონ სათანადო ფინანსური და ადამიანური რესურსების არსებობა საჭირო ქმედებების განსახორციელებლად;

კ. განიხილონ საქმიანობის შედეგების მართვის არსებული პროცესების გამოყენების საკითხი გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელების მიზნით ამოცანების დასახვის მიზნით;

ლ. მიმართონ სხვადასხვა ზომებს, რათა მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე მომუშავე საჯარო მოხელეების ინფორმირებულობა გაიზარდოს იმ

ზემოქმედების შესახებ, რასაც მათთან მოქმედი პროცედურები და პრაქტიკა ახდენს ბენეფიციარ ქალებსა და კაცებზე, რათა წახალისონ და გაითვალისწინონ ცვლილებების განხორციელება;

მ. შემოიღონ ეფექტური და უწყვეტი გადამზადების პროგრამები ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე მომუშავე საჯარო მოხელეებისათვის, რათა მათ შეძლონ გენდერის თანასწორობის მაჩვენებლების შეგროვება და ინტერპრეტაცია, თავიანთი მოქმედების სფეროში მათი დაუყოვნებელი გათვალისწინება და ეფექტური საკონსულტაციო საშუალებების გამოყენება, გენდერის ზეგავლენის შეფასება პოლიტიკისა და ქმედებების განსაზღვრის, განხორციელებისა და შეფასების დროს, ხოლო პროგრესის შესაფასებლად შესძლონ ეფექტური მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემოღება;

ნ. მხარდაჭერის მიზნით მოქალაქეებს, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე მოქმედ პირებს, არჩეულ წევრებსა და საჯარო მოხელეებს ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე მიაწოდონ ინფორმაცია გენდერული მენისტრიმინგის განხორციელების შედეგად გამოწვეული ცვლილებების შესახებ;

ო. წვლილი შეიტანონ გენდერული მენისტრიმინგის სფეროში სათანადო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის შეგროვებაში;

პ. ითანამშრომლონ და მხარი დაუჭირონ ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვებს, რომელთაც გააჩნიათ პროფესიული გამოცდილება ამ სფეროში და მასზე დაყრდნობით გააუმჯობესონ გენდერული მენისტრიმინგის შესახებ არსებული ინფორმაცია და პრაქტიკა;

ჟ. ხელი შეუწყონ გენდერული მენისტრიმინგის პრაქტიკის დამკვიდრებას შესყიდვების პოლიტიკის მეშვეობით და სხვა ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც საზოგადოებას საჯარო მომსახურებებს სთავაზობენ;

რ. ხელი შეუწყონ გენდერული მენისტრიმინგის, როგორც ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის მიღწევის საშუალების, მნიშვნელობისა და ეფექტურობის შესახებ ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდას მედიისა და ყველა დონეზე ინფორმაციის გავრცელების მეშვეობით.

16. მოუწოდებს ევროპის ტრეინინგების ორგანიზაციებს

ა. გენდერული მენისტრიმინგი შეიტანოს არჩეული და საჯარო მოხელეებისათვის განკუთვნილ ტრეინინგებში, როგორც საჯარო მომსახურებების მიწოდების გაუმჯობესების საშუალება ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე;

ბ. შესთავაზონ სპეციალური ტრეინინგი ამ საკითხის შესახებ თავიანთ წევრებს;

გ. გაავრცელონ სათანადო პრაქტიკის მაგალითები და ისარგებლონ ევროპაში გადამზადების სხვა ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სათანადო პრაქტიკით;

17. მოუწოდებს კონგრესის ბიუროს

ა. რეკომენდაცია მისცეს კონგრესის საკანონმდებლო კომიტეტებს გაითვალისწინონ გენდერული მენისტრიმინგის ასპექტი, როდესაც რეკომენდაციით მიმართავენ ადგილობრივ და რეგიონულ ორგანოებს;

ბ. ხელი შეუწყოს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს «ტრეინინგების ორგანიზაციების ევროპული ქსელის» ყოველწლიური მე-17 სემინარის ორგანიზებაში;

დ. განიხილოს ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გენდერული მენისტრიმინგის სათანადო პრაქტიკის შესახებ პრაქტიკული სახელმძღვანელოს მომზადებისა და გამოცემის საკითხი;

გ. გაითვალისწინოს წინამდებარე რეზოლუციით განსაზღვრული პრინციპები მომავალში, კონგრესის წესდებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანისას, რათა უზრუნველყოს ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა კონგრესის მუშაობაში.

**ევროკავშირი**

**<http://www.europa.eu.int>**

## ამონარიდები დოკუმენტებიდან ქალთა უფლებების შესახებ

ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულების მე-2 მუხლი ადგენს, რომ ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის ხელშეწყობა ევროპის თანამეგობრობის ამოცანაა. მუხლი 3(2) აცხადებს, რომ იგი უნდა ესწრაფოდეს აღმოფხვრას უთანასწორობა და განამტკიცოს მამაკაცთა და ქალთა შორის თანასწორობა თანამეგობრობის ყველა სახის საქმიანობაში (რაც ასევე “გენდერული მეინსტრიმინგის” სახელითაა ცნობილი). ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულებაში ევროკავშირის კანონმდებლობისთვის მამაკაცისა და ქალის მიმართ თანაბარი მოპყრობის სამი სამართლებრივი საფუძველი არსებობს: მუხლი 141(3), რომელიც დასაქმების და სამუშაოს საკითხებს ეხება; მუხლი 13(1), რომელიც დასაქმების სფეროს მიღმა საკითხებს არეგულირებს; და მუხლი 137, რომელიც დასაქმებაში ხელშეწყობას და ცხოვრებისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესებას მოითხოვს.

ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც 2004 წლის 29 ოქტომბერს რომში ხელი მოაწერეს სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურებმა, ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულებას ჩაანაცვლებს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ყველა წევრი სახელმწიფო მოახდენს მის რატიფიცირებას. ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტში, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საკითხთან დაკავშირებით, თანამეგობრობის ხელშეკრულების მსგავსი დებულებებია გათვალისწინებული, მაგრამ მასში ასევე მითითებულია თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა ევროკავშირის ღირებულებებში, ასევე ფუნდამენტურ უფლებათა ქარტილაში.

### **ხელშეკრულების დებულებები ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულების მე-2 მუხლი**

თანამეგობრობა თავის ამოცანად ისახავს, საერთო ბაზრის და ეკონომიკური და სავალუტო კავშირის დაფუძნების მეშვეობით და მე-3 და მე-4 მუხლებში მითითებული საერთო პოლიტიკის და ღონისძიებათა განხორციელების გზით, თანამეგობრობის ფარგლებში ხელი შეუწყოს ეკონომიკურ საქმიანობათა ჰარმონიზებულ, დაბალანსებულ და მდგრად განვითარებას, დასაქმების და სოციალური დაცვის მაღალ დონეს, თანასწორობას მამაკაცთა და ქალთა შორის, მდგრად და არაინფლაციურ ზრდას, ეკონომიკური საქმიანობის მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიანობას და დაახლოებას, გარემოს დაცვის მაღალ დონეს და მისი ხარისხის გაუმჯობესებას, ცხოვრების სტანდარტების და ხარისხის ამაღლებას, და წევრ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკურ და სოციალურ ერთიანობასა და სოლიდარობას.

## ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულების მე-3 მუხლი

1. მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული მიზნებისთვის, როგორც ეს წინამდებარე ხელშეკრულებაშია მოცემული, და მასში განსაზღვრული ვადების შესაბამისად, თანამეგობრობის ღონისძიებები მოიცავს შემდეგს:

- ა) წევრ სახელმწიფოებს შორის საბაჟო მოსაკრებლების და საქონლის იმპორტისა და ექსპორტის რაოდენობრივი შეზღუდვების აკრძალვა, ასევე ყველა სხვა ღონისძიების, რომლებიც მსგავს შედეგს იწვევს;
- ბ) ერთიანი სავაჭრო პოლიტიკა;
- გ) წევრ სახელმწიფოთა შორის საერთო ბაზრის ჩამოყალიბება, რომლისთვისაც დამახასიათებელია საქონლის, პირთა, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებისათვის ხელშემშლელი ფაქტორების გაუქმება;
- დ) პირთა შესვლასა და გადაადგილებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, როგორც ამას IV კარი ითვალისწინებს;
- ე) ერთიანი პოლიტიკა სოფლის მეურნეობისა და თევზჭერის სფეროში;
- ვ) ერთიანი პოლიტიკა ტრანსპორტის სფეროში;
- ზ) სისტემა, რომელიც არ დაუშვებს შიდა ბაზარზე კონკურენციის დამახინჯებას;
- თ) წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოება ისეთი ხარისხით, რომელიც აუცილებელია საერთო ბაზრის ფუნქციურობისთვის;
- ი) წევრ სახელმწიფოთა შორის დასაქმების სტრატეგიების კოორდინაციის ხელშეწყობა, რათა დასაქმების კოორდინირებული სტრატეგიის განვითარების მეშვეობით განმტკიცდეს მათი ეფექტიანობა;
- კ) სოციალური სფეროს პოლიტიკა, რომელშიც ჩართულია ევროპის სოციალური ფონდი;
- ლ) ეკონომიკური და სოციალური ერთიანობის განმტკიცება;
- მ) თანამეგობრობის მრეწველობის კონკურენტუნარიანობის განმტკიცება;
- ნ) კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობა;
- ო) ტრანსევროპული ქსელების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა;
- პ) ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონის შენარჩუნებაში წვლილის შეტანა;
- ჟ) წევრი სახელმწიფოების განათლებასა და სწავლებაში და მათი კულტურების აყვავებაში წვლილის შეტანა;
- რ) განვითარების თანამშრომლობის სფეროს პოლიტიკა;
- ს) საზღვარგარეთის ქვეყნებთან და ტერიტორიებთან კავშირები, რათა გაიზარდოს ვაჭრობა და ერთობლივად ხელი შეეწყოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას;
- ტ) მომხმარებელთა დაცვის განმტკიცებაში წვლილის შეტანა;
- უ) ღონისძიებები ენერგეტიკის, სამოქალაქო დაცვისა და ტურიზმის სფეროებში.

2. წინამდებარე მუხლში მითითებული ყველა ღონისძიების განხორციელებისას თანამეგობრობა მიზნად ისახავს აღმოფხვრას უთანასწორობა და ხელი შეუწყოს თანასწორობას ქალთა და მამაკაცთა შორის.

### **ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულების მე-13 მუხლი:**

1. წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულებებისადმი ზიანის მიყენების გარეშე, და მის მიერ თანამეგობრობისათვის მინიჭებული ძალაუფლების ფარგლებში, საბჭოს, რომელიც ერთსულოვნად მოქმედებს კომისიის წინადადებაზე და ევროპის პარლამენტთან შეთანხმების შემდეგ, შეუძლია მიიღოს სათანადო ზომა სქესის, რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის ან რწმენის, უნარშეზღუდულობის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე განხორციელებული დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

2. 1-ლი პუნქტიდან გადახვევის მიზნით, როდესაც საბჭო ღებულობს თანამეგობრობის მასტიმულირებელ ღონისძიებებს, რომლებიც გამორიცხავენ წევრი სახელმწიფოების კანონებისა და მარეგულირებელი აქტების ნებისმიერ ჰარმონიზებას, და მიზნად ისახავენ წევრი სახელმწიფოების მიერ 1-ლი პუნქტის მიზნების მისაღწევად მიღებული ზომების მხარდაჭერას, იგი მოქმედებს 251-ე მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად.

### **ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულების 136-ე მუხლი**

თანამეგობრობა და წევრი სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა ფუნდამენტურ სოციალურ უფლებებს, როგორცაა 1961 წლის 18 ოქტომბერს ტურინში ხელმოწერილი ევროპის სოციალურ ქარტიაში ჩამოყალიბებული უფლებები და 1989 წლის თანამეგობრობის ქარტია მუშაკთა ფუნდამენტური სოციალური უფლებების შესახებ, თავიანთ მიზნად ისახავენ დასაქმების ხელშეწყობას, ცხოვრებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, რათა შესაძლებელი გახდეს მათი ჰარმონიზება და იმავდროულად შენარჩუნდეს გაუმჯობესების ტენდენცია, სათანადო სოციალური დაცვა, დიალოგი მენეჯმენტსა და მუშაკებს შორის, ადამიანური რესურსების გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მდგრად მაღალ დასაქმებას და გარიყვის აღმოფხვრას.

ამ მიზნით თანამეგობრობა და წევრი სახელმწიფოები ახორციელებენ ღონისძიებებს, რომლებიც ითვალისწინებენ ეროვნული პრაქტიკის სხვადასხვა ფორმას, განსაკუთრებით, საკონტრაქტო ურთიერთობათა სფეროში და თანამეგობრობის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების საჭიროებას.

მათ სჯერათ, რომ ამგვარი განვითარება შედეგად მოიტანს არა მხოლოდ საერთო ბაზრის ფუნქციონირებას, რომელიც ხელს შეუწყობს სოციალური სისტემების ჰარმონიზაციას, არამედ ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცედურების და კანონით დადგენილი დებულებების, მარეგულირებელი პროცესების თუ ადმინისტრაციული ქმედებების დაახლოებას.

### **ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულების 137-ე მუხლი**

1. 136-ე მუხლის მიზნების მისაღწევად თანამეგობრობა მხარს უჭერს და ავსებს წევრი სახელმწიფოების ღონისძიებებს შემდეგ სფეროებში:

- ა) სამუშაო გარემოს განსაკუთრებული გაუმჯობესება, მუშაკთა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით;
- ბ) სამუშაო პირობები;



- გ) მუშაკთა სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა;
- დ) მუშაკთა ინფორმირება და კონსულტაცია;
- ე) მუშაკთა და დამსაქმებელთა ინტერესების წარმოდგენა და კოლექტიური დაცვა, ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების ჩათვლით, მე-5 პუნქტის შესაბამისად;
- ვ) თანამეგობრობის ტერიტორიაზე ლეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნების მოქალაქეთა შრომის პირობები;
- ზ) შრომის ბაზრიდან გამოდევნილ პირთა ინტეგრაცია, 150-ე მუხლისთვის ზიანის მიყენების გარეშე;
- თ) ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობა შრომის ბაზრის შესაძლებლობების გამოყენების და სამუშაო ადგილზე მოპყრობის თვალსაზრისით;
- ი) სოციალური დაცვის სისტემის მოდერნიზება (გ) ქვეპუნქტისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

2. ამ მიზნით, საბჭოს:

- ა) შეუძლია მიიღოს ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობას ინიციატივების მეშვეობით, რომლებიც მიზნად ისახავენ ცოდნის გაუმჯობესებას, ინფორმაციის და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის განვითარებას, ინოვაციური მიდგომების და შეფასების პრაქტიკის ხელშეწყობას, რომლებიც გამორიცხავენ წევრი სახელმწიფოების კანონებისა და მარეგულირებელი აქტების რაიმე სახის ჰარმონიზაციას;
- ბ) 1 (ა – ი) პუნქტებში მითითებულ სფეროებში, დირექტივების მეშვეობით შეუძლია მიიღოს მინიმალური მოთხოვნები თანდათანობითი განხორციელებისათვის, თითოეულ სახელმწიფოში არსებული პირობებისა და ტექნიკური პროცედურების გათვალისწინებით. ამგვარი დირექტივებით თავიდან უნდა იქნეს აცილებული ისეთი ადმინისტრაციული, ფინანსური და სამართლებრივი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც შეაფერხებს მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა განვითარებას.

საბჭო მოქმედებს 251-ე მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან და რეგიონების კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ, იმ სფეროების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლის 1-ლი პუნქტის (გ), (დ), (ვ) და (ზ) ქვეპუნქტებით, სადაც საბჭო კომისიის წინადადებაზე მოქმედებს ერთსულოვნად, ევროპის პარლამენტთან და ზემოხსენებულ კომიტეტებთან კონსულტაციის შემდეგ. საბჭოს, კომისიის წინადადებაზე ერთსულოვნად მოქმედებისას, ევროპარლამენტთან კონსულტაციის შემდეგ, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება 251-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის მინიჭებაზე, რომელიც გამოიყენება ამ მუხლის 1 (დ), (ვ) და (ზ) პუნქტის მიმართ.

3. წევრ სახელმწიფოს შეუძლია დაავალოს მენეჯმენტს და მუშაკებს, მათი ერთობლივი მოთხოვნის შემთხვევაში, დირექტივების განხორციელება მე-2 პუნქტის შესაბამისად.

ამ შემთხვევაში მან უნდა უზრუნველყოს, რომ არაუგვიანეს დირექტივის ტრანსპოზიციის თარიღისა, 249-ე მუხლის შესაბამისად, მენეჯმენტმა და მუშაკებმა წარმოადგინონ შესაბამისი ღონისძიებები შეთანხმების სახით; შესაბამის წევრ სახელმწიფოს მოეთხოვება მიიღოს ნებისმიერი ზომა, რომელიც მას საშუალებას მისცემს ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ამ დირექტივით დაკისრებული შედეგები.

4. ამ მუხლის შესაბამისად მიღებული დებულებები:

- o ხელს არ უშლის წევრი სახელმწიფოების უფლებას განსაზღვრონ თავიანთი სოციალური უზრუნველყოფის სისტემების ფუნდამენტური პრინციპები და ამასთან საგულისხმო გავლენა არ უნდა იქონიონ ფინანსურ მდგრადობაზე,
- o ხელს არ უშლის წევრ სახელმწიფოს შეინარჩუნოს ან დაანერგოს უფრო მტკიცე დამცავი მექანიზმები, რომლებიც შესაბამისობაში არიან წინამდებარე ხელშეკრულებასთან.

5. ამ მუხლის დებულებები არ ეხება ანაზღაურების უფლებას, გაერთიანების უფლებას, გაფიცვის უფლებას ან დამსაქმებლის უფლებას სამუშაოზე არ დაუშვას მუშაკი (ლოკაუტი).

### **ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულების 141-ე მუხლი**

1. თითოეული წევრი სახელმწიფო უზრუნველყოფს მამაკაცი და ქალი მუშაკებისათვის თანაბარი სამუშაოსთვის ან თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის დაცვას.
2. ამ მუხლის მიზნისთვის “ანაზღაურება” ნიშნავს ჩვეულებრივ საბაზისო ან მინიმალურ სახელფასო განაკვეთს ან ხელფასს, ან ნებისმიერი სახის ანაზღაურებას ნაღდი ფულით ან ნატურით, რომელსაც მუშაკი მისი სამუშაოსთვის ღებულობს დამქირავებლისაგან პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით.

სქესის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე თანაბარი ანაზღაურება ნიშნავს:

- a) რომ ანაზღაურება ერთი და იგივე სამუშაოსთვის განაკვეთის შესაბამისად გაანგარიშებული იქნება ერთი და იგივე საზომი ერთეულის საფუძველზე;
- b) სამუშაოს ანაზღაურება დროის განაკვეთის მიხედვით ერთი და იგივე უნდა იყოს ერთი და იგივე სამუშაოსთვის.

3. საბჭო, მოქმედებს რა 251-ე მუხლით დადგენილი პროცედურის შესაბამისად, ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ, ღებულობს ზომებს, რათა მამაკაცთა და ქალთა თანაბარი შესაძლებლობების და მათ მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვა უზრუნველყოფილ იქნეს დასაქმებისა და შრომის საკითხებში, თანაბარი სამუშაოსთვის ან თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის ჩათვლით.

4. შრომით საქმიანობაში მამაკაცთა და ქალთა შორის სრული თანასწორობის პრაქტიკაში უზრუნველყოფის მიზნით, თანაბრი მოპყრობის პრინციპმა წევრ სახელმწიფოებს ხელი არ უნა შეუშალოს შეინარჩუნონ ან შემოიღონ კონკრეტული შეღავათები, რათა არასათანადოდ წარმოდგენილი სქესის პირებისათვის უფრო გაადვილდეს პროფესიული საქმიანობა, ან თავიდან ააცილონ სირთულეები პროფესიულ კარიერაში, ან უზრუნველყონ კომპენსაციით.

### **ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტი**

[NB. ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტის სრული ტექსტი ყველა ოფიციალურ ენაზე ხელმისაწვდომია ვებგვერდზე [Eur-Lex](#)]

## ნაწილი I

### პარი I

#### კავშირის განსაზღვრება და მიზნები

##### მუხლი I-2

###### კავშირის ღირებულებები

კავშირი ეფუძნება ადამიანის ღირსების, თავისუფლების, დემოკრატიის, **თანასწორობის**, კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებათა პატივისცემის ღირებულებებს, უმცირესობებისადმი მიკუთვნებულ პირთა უფლებების ჩათვლით. ეს ღირებულებები საერთოა წევრი სახელმწიფოებისათვის იმ საზოგადოებაში, სადაც გაბატონებულია პლურალიზმი, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, შემწყნარებლობა, სამართლიანობა, სოლიდარობა და თანასწორობა ქალთა და მამაკაცთა შორის.

##### მუხლი I-3

###### კავშირის მიზნები

1. კავშირის მიზანია მშვიდობის, მისი ღირებულებებისა და მისი ხალხების კეთილდღეობის ხელშეწყობა.
2. კავშირი მის მოქალაქეებს სთავაზობს თავისუფლებას, უსაფრთხოებას და სამართლიანობას შიდა საზღვრების გარეშე, და ერთიან ბაზარს, სადაც დამკვიდრებულია თავისუფალი და საღი კონკურენცია.
3. კავშირი იღწვის ევროპის მდგრადი განვითარებისათვის, რომელიც ეფუძნება დაბალანსებულ ეკონომიკურ ზრდას, სოციალური ბაზრის ეკონომიკას, რომელიც არის მაღალკონკურენტუნარიანი და მიზნად ისახავს სრულ დასაქმებასა და სოციალურ პროგრესს, გარემოს დაცვის მაღალი დონით და მისი ხარისხის გაუმჯობესებით. იგი ხელს უწყობს მეცნიერულ და ტექნოლოგიურ წინსვლას.

იგი იბრძვის სოციალური გარიყვისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ხელს უწყობს სოციალურ სამართლიანობას და დაცვას, თანასწორობას ქალთა და მამაკაცთა შორის, თაობათა შორის სოლიდარობას და ბავშვთა უფლებების დაცვას.

იგი ხელს უწყობს ეკონომიკურ, სოციალურ და ტერიტორიულ ერთიანობას და სოლიდარობას წევრ სახელმწიფოთა შორის.

კავშირი პატივს სცემს მის მდიდარ კულტურულ და ენობრივ მრავალფეროვნებას, და უზრუნველყოფს ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და განმტკიცებას.

4. კავშირი, ფართო სამყაროსთან ურთიერთობებში, ინარჩუნებს და ხელს უწყობს საკუთარ ღირებულებებსა და ინტერესებს. მას წვლილი შეაქვს

მშვიდობის, უსაფრთხოების და დედამიწაზე მდგრადი განვითარების პროცესში, ხალხთა შორის სოლიდარობისა და ურთიერთპატივისცემის განმტკიცებაში, თავისუფალი და სამართლიანი ვაჭრობის განვითარებაში, სიღარიბის აღმოფხვრასა და ადამიანის უფლებათა დაცვაში, განსაკუთრებით ბავშვთა უფლებების, ასევე საერთაშორისო სამართლის მკაცრ დაცვასა და განვითარებაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების პატივისცემის ჩათვლით.

5. ეს მიზნები ხორციელდება სათანადო საშუალებებით, იმ ფარგლების შესაბამისად, რომელსაც კავშირს კონსტიტუცია ანიჭებს შესაბამის კომპეტენციებთან მიმართებაში.

## ნაწილი II

### კავშირის უზენაესი უფლებათა ქარტია

#### პარი III

#### თანასწორობა

#### მუხლი II-81

დისკრიმინაციის დაუშვებლობა

დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, ნებისმიერ საფუძველზე, როგორცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობა, გენეტიკური მახასიათებლები, ენა, რელიგია ან რწმენა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებები, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, საკუთრება, წარმომავლობა, უნარშეზღუდულობა, ასაკი ან სქესობრივი ორიენტაცია.

კონსტიტუციის გამოყენების ფარგლებში და მისი ნებისმიერი კონკრეტული დებულებებისადმი ზიანის მიყენების გარეშე, დაუშვებელია დისკრიმინაცია ეროვნების საფუძველზე.

#### მუხლი II-83

თანასწორობა ქალთა და მამაკაცთა შორის

ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ყველა სფეროში, დასაქმების, შრომის და ანაზღაურების ჩათვლით.

თანასწორობის პრინციპმა ხელი არ უნდა შეუშალოს ღონისძიებათა შენარჩუნებას ან შემოღებას, რომლებიც განსაკუთრებულ შეღავათებს ანიჭებს არასათანადოდ წარმოდგენილი სქესის პირებს.

## ნაწილი III

### კავშირის პოლიტიკა და უზენაესი მნიშვნელობა

#### პარი I

##### ზოგადი გამოყენების მუხლები

###### **მუხლი III-116**

ამ ნაწილში მითითებული ყველა საქმიანობის განხორციელებისას კავშირი მიზნად ისახავს უთანასწორობის აღმოფხვრას და ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ხელშეწყობას.

###### **მუხლი III-118**

ამ ნაწილში მითითებული პოლიტიკის და საქმიანობათა განსაზღვრისას და განხორციელებისას, კავშირის მიზანს წარმოადგენს სქესის, რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის ან რწმენის, უნარშეზღუდულობის, ასაკის ან სქესობრივი ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა.

#### პარი II

##### დისკრიმინაციის აღმოფხვრა და მოქალაქეობა

###### **მუხლი III-124**

კონსტიტუციის სხვა დებულებებისადმი ზიანის მიყენების გარეშე, და მის მიერ კავშირისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ევროპის კანონი ან მინისტრთა საბჭოს ჩარჩო კანონი შეიძლება აფუძნებდეს ღონისძიებებს დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად სქესის, რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის ან რწმენის, უნარშეზღუდულობის, ასაკის ან სქესობრივი ორიენტაციის საფუძველზე. მინისტრთა საბჭო ერთსულოვნად მოქმედებს ევროპარლამენტის მხრიდან თანხმობის მიღების შემდეგ.

ევროპის კანონებით ან ჩარჩო კანონებით შეიძლება დაფუძნდეს ძირითადი პრინციპები კავშირის მასტიმულირებელი ღონისძიებებისათვის და განსაზღვროს ასეთი მასტიმულირებელი ღონისძიებები წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული ზომების მხარდასაჭერად, რომელიც გამორიცხავს მათი კანონებისა და მარეგულირებელი აქტების ჰარმონიზაციას.

### პარი III

#### შიდა პოლიტიკა და მოქმედება

### თავი III

#### სხვა სუბსიდიკური სფეროების პოლიტიკა

#### ბანკოფილია 2

#### მუხლი III-209

კავშირი და წევრი სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა ფუნდამენტურ სოციალურ უფლებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია 1961 წლის 18 ოქტომბერს ტურინში ხელმოწერილ ევროპის სოციალურ ქარტიაში, და 1989 წლის თანამეგობრობის ქარტიის მუშაკთა ფუნდამენტურ სოციალურ უფლებებს, მიზნად ისახავენ ხელი შეუწყონ დასაქმებას, ცხოვრების და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს მათი ჰარმონიზაცია და იმავდროულად შენარჩუნდეს გაუმჯობესება, სათანადო სოციალური დაცვა, დიალოგი სოციალურ პარტნიორებს შორის და ადამიანური რესურსების განვითარება, რათა მიღწეულ იქნეს დასაქმების მდგრადი მაღალი დონე და აღმოიფხვრას გარიყვა.

ამ მიზნით კავშირი და წევრი სახელმწიფოები მოქმედებისას ითვალისწინებენ ეროვნული გამოცდილების მრავალფეროვან ფორმებს, განსაკუთრებით საკონტრაქტო ურთიერთობების სფეროში, და კავშირის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას.

მათ სჯერათ, რომ ასეთი განვითარება უზრუნველყოფს არა მხოლოდ შიდა ბაზრის ფუნქციონირებას, რაც ხელს შეუწყობს სოციალური სისტემების ჰარმონიზებას, არამედ ასევე კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურების შედეგიანობას და კანონით დადგენილი დებულებების, მარეგულირებელი აქტებისა და ადმინისტრაციული ქმედებების დაახლოვებას.

#### მუხლი III-210

1. III-103 მუხლის ამოცანების განხორციელების მიზნით, კავშირი მხარს უჭერს და განამტკიცებს წევრი სახელმწიფოების საქმიანობას შემდეგ სფეროებში;

(ა) მუშაკთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიზნით სამუშაო პირობების განსაკუთრებული გაუმჯობესება;

(ბ) სამუშაო პირობები;

(გ) მუშაკთა სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა;

(დ) მუშაკთა დაცვა როდესაც ადგილი აქვს მათი დასაქმების კონტრაქტის შეწყვეტას;

(ე) მუშაკთა ინფორმირება და კონსულტაცია;

(ვ) მუშაკთა და დამსაქმებელთა ინტერესების წარმოდგენა და კოლექტიური დაცვა, გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღების ჩათვლით, მე-6 მუხლის შესაბამისად;

(ზ) კავშირის ტერიტორიაზე ლეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნების მოქალაქეთა დასაქმების პირობები;

(თ) შრომის ბაზრიდან გარიყულ პირთა ინტეგრაცია, III-183 მუხლისთვის ზიანის მიყენების გარეშე;

(ო) ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობა შრომის ბაზრის შესაძლებლობების და სამუშაო ადგილზე მოპყრობის თვალსაზრისით;

(კ) სოციალური გარიყვის წინააღმდეგ ბრძოლა;

(ლ) სოციალური დაცვის სისტემების მოდერნიზება (გ) პუნქტისადმი ზიანის მიყენების გარეშე.

2. ამ მიზნით:

(ა) ევროპის კანონებს და ჩარჩო კანონებს შეუძლიათ დააფუძნონ ზომები, რომლებიც ხელს უწყობენ წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობას ინიციატივების მეშვეობით, რომლებიც მიზნად ისახავენ ცოდნის გაუმჯობესებას, ინფორმაციის და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის განვითარებას, ინოვაციური მიდგომების და შეფასების პრაქტიკის ხელშეწყობას, ჰარმონიზაციის გამორიცხვით.

(ბ) 1 (ა – ი) პარაგრაფში მითითებულ სფეროებში, ევროპულ ჩარჩო კანონებს შეუძლიათ დააფუძნონ მინიმალური მოთხოვნები თანდათანობითი განხორციელებისათვის, თითოეულ სახელმწიფოში არსებული პირობებისა და ტექნიკური პროცედურების გათვალისწინებით. ასეთი ევროპული ჩარჩო კანონებით თავიდან უნდა იქნეს აცილებული ისეთი ადმინისტრაციული, ფინანსური და სამართლებრივი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც შეაფერხებს მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა განვითარებას.

ყველა შემთხვევაში, ასეთი ევროპული კანონები ან ჩარჩო კანონები მიიღება რეგიონების კომიტეტისა და ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის კონსულტაციის შემდეგ.

3. მე-2 პუნქტიდან გადახვევისთვის, 1 (გ), (დ), (ვ) და (ზ) პუნქტში მითითებულ სფეროებში, ევროპული კანონები ან ჩარჩო კანონები მიიღება მინისტრთა საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ევროპის პარლამენტთან, რეგიონების კომიტეტთან და ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ.

მინისტრთა საბჭოს, კომისიის შეთავაზებით, შეუძლია მიიღოს ევროპული გადაწყვეტილების მიღების ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურა, რომელიც შესაბამისობაშია 1(დ), (ვ) და (ზ) პუნქტებთან. ევროპის პარლამენტთან კონსულტაციის შემდეგ იგი მოქმედებს ერთსულოვნად.

4. წევრ სახელმწიფოს შეუძლია დაავალოს სოციალურ პარტნიორებს, მათი ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე, მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ევროპული ჩარჩო კანონების განხორციელება.

ამ შემთხვევაში მან უნდა უზრუნველყოს, რომ არაუგვიანეს ევროპული ჩარჩო კანონის ტრანსპოზიციის თარიღისა, სოციალურმა პარტნიორებმა წარმოადგინონ შესაბამისი ღონისძიებები შეთანხმების სახით; შესაბამის წევრ სახელმწიფოს მოეთხოვება მიიღოს ნებისმიერი ზომა, რომელიც მას საშუალებას მისცემს ნებისმიერ დროს უზრუნველყოს ამ ჩარჩო კანონით დაკისრებული შედეგები.

5. ამ მუხლის შესაბამისად მიღებული ევროპული კანონები და ჩარჩო კანონები:

(ა) ზემოქმედებას არ ახდენენ წევრი სახელმწიფოების უფლებაზე განსაზღვრონ თავიანთი სოციალური უზრუნველყოფის სისტემების ფუნდამენტური პრინციპები და ამასთან საგულისხმო გავლენა არ უნდა იქონიონ ფინანსურ მდგრადობაზე;

(ბ) ხელს არ უშლიან წევრ სახელმწიფოს შეინარჩუნოს ან დაანერგოს უფრო მტკიცე დამცავი მექანიზმები, რომლებიც შესაბამისობაში არიან კონსტიტუციასთან.

6. ეს მუხლი არ ეხება ანაზღაურების უფლებას, გაერთიანების უფლებას, გაფიცვის უფლებას ან დამსაქმებლის უფლებას სამუშაოზე არ დაუშვას მუშაკი (ლოკაუტი).

### **მუხლი III-214**

1. თითოეული წევრი სახელმწიფო უზრუნველყოფს მამაკაცი და ქალი მუშაკებისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის დაცვას თანაბარი სამუშაოსთვის ან თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის.

2. ამ მუხლის მიზნისთვის “ანაზღაურება” ნიშნავს ჩვეულებრივ საბაზისო ან მინიმალურ სახელფასო განაკვეთს ან ხელფასს, ან ნებისმიერი სახის კომპენსაციას ნაღდი ფულით ან ნატურით, რომელსაც მუშაკი მისი სამუშაოსთვის ღებულობს დამსაქმებლისაგან პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით.

სქესის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე თანაბარი ანაზღაურება ნიშნავს:

(ა) რომ ანაზღაურება ერთი და იგივე სამუშაოსთვის სანარდო განაკვეთის შესაბამისად გაანგარიშებული იქნება ერთი და იგივე საზომი ერთეულის საფუძველზე;

(ბ) სამუშაოს ანაზღაურება დროის განაკვეთის მიხედვით თანაბარი უნდა იყოს ერთი და იგივე სამუშაოსთვის.

3. ევროპული კანონები ან ჩარჩო კანონები აფუძნებს ღონისძიებებს, რათა მამაკაცთა და ქალთა თანაბარი შესაძლებლობების და მათ მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვა უზრუნველყოფილ იქნეს დასაქმებისა და საქმიანობის საკითხებში, თანაბარი სამუშაოსთვის ან თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის ჩათვლით. მათი მიღება ხდება ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ.

4. შრომით საქმიანობაში მამაკაცთა და ქალთა შორის სრული თანასწორობის პრაქტიკაში უზრუნველყოფის მიზნით, თანაბრი მოპყრობის პრინციპმა წევრ სახელმწიფოს ხელი არ უნდა შეუშალოს შეინარჩუნოს ან შემოიღოს კონკრეტული შეღავათები, რათა არასათანადოდ წარმოდგენილი სქესის პირებისათვის უფრო გაადვილდეს პროფესიული საქმიანობა, ან თავიდან ააცილონ სირთულეები პროფესიულ კარიერაში, ან უზრუნველყონ კომპენსაციით.



## ემროპარლამენტი

### ევროპის პარლამენტის რეზოლუცია ევროპის კავშირში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ (2004/2159)

ითვალისწინებს რა ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ კომისიის მიერ საბჭოსთვის, ევროპის პარლამენტისთვის, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტისთვის და რეგიონების კომიტეტისთვის წარდგენილ მოხსენებას – 2005,

ითვალისწინებს რა თანამეგობრობის სტრატეგიას ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის შესახებ (2001-2005). და კომისიის 2000, 2001, 2002 და 2004 წლების ყოველწლიურ მოხსენებებს,

ითვალისწინებს რა ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულების მე-2, მე-3(2) და 141-ე მუხლებს,

ითვალისწინებს რა ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის 23-ე მუხლს,

ითვალისწინებს რა ევროპის კონსტიტუციის დამფუძნებელი ხელშეკრულების I-2 და I-3 მუხლებს,

ითვალისწინებს რა მისი პროცედურული წესების 45-ე წესს,

ითვალისწინებს რა კომიტეტის მოხსენებას ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ,

A. ვინაიდან ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობა გარანტირებულ უნდა იქნეს პოლიტიკის ყველა სფეროში, როგორც ეს გაცხადებულია ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულების მე-3(2) მუხლში და ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის 23-ე მუხლში,

B. ვინაიდან ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობა მრავალმხრივ მიდგომას მოითხოვს ყველა სფეროში ღონისძიებათა სრულყოფილი რიგის გამოყენებით, განათლების, დასაქმების და კარიერის ჩათვლით, ასევე სამეწარმეო სულისკვეთებას, თაბარი სამუშაოსთვის ან თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარ ანაზღაურებას, სამუშაოსა და ოჯახს შორის უკეთეს ბალანსს და პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებულ მონაწილეობას,

C. ვინაიდან ეჭვს იწვევს თუ რამდენად შეესაბამება ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულების 141-ე მუხლს დასაქმების სოციალური უზრუნველყოფის სქემებში მეტი წვლილის შეტანა ან ნაკლები სარგებლის მიღება სქესის საფუძველზე,

D. ვინაიდან ქალები კავშირის მასშტაბით ნაკლებად არიან წარმოდგენილი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში; და ვინაიდან, კერძოდ, ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში და მიღების პროცესში მყოფ ან კანდიდატ ქვეყანაში პარლამენტარ ქალთა პროცენტული რაოდენობა მსოფლიოში არსებულ საშუალო 15.6%-ზე ნაკლებია,

E. ვინაიდან შრომის ბაზარზე მამაკაცთა და ქალთა სრული და თანასწორი მონაწილეობისათვის აუცილებელია ადეკვატური ხელმისაწვდომობა ბავშვთა, ხანდაზმულთა და სხვა უმწეო კატეგორიის პირთა მზრუნველობის სამსახურებზე,

F. ვინაიდან 2000 წლის მარტში ლისაბონის ევროპულმა საბჭომ ხაზი გაუსვა არა მხოლოდ მეტი სამუშაო ადგილების შექმნას (დასაქმებულ ქალთა 51%-ის 60%-მდე გაზრდით), არამედ ასევე უკეთესი ხარისხის სამუშაო ადგილების აუცილებლობას ქალებისთვის 2010 წლისათვის,

G. ვინაიდან 2004 წლის მარტს ევროპულმა საბჭომ აღიარა, რომ ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის პოლიტიკა არის როგორც სოციალური ერთიანობის, ისე ეკონომიკური ზრდის მექანიზმი,

H. ვინაიდან სიღარიბის და სოციალური გარიყვის რისკები - ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ევროპის კავშირის ფარგლებში ეკონომიკურ განვითარებას და სოციალურ ერთიანობას - უფრო მაღალია ხანდაზმულ და მიგრანტ ქალებში და ქალებში, რომლებიც მარტო ზრდიან საკუთარ შვილებს,

I. ვინაიდან, შრომითი და ოჯახური ცხოვრების ურთიერთშეთავაზებაზე გამიზნული დასაქმების ევროპული სტრატეგიის თანასწორობის ასპექტის ფარგლებში განხორციელებული ძალისხმევის პარალელურად, ქმედებები ასევე უნდა განხორციელდეს ორ სქესს შორის განსხვავების შესამცირებლად, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის და ქალებისთვის დამახასიათებელი დაავადებების პრევენციისა და დიაგნოსტიკის მიმართულებით,

J. ვინაიდან ქალთა და მამაკაცთა დაყოფა, როგორც პერსპექტივის ხელშეწყობის, ისე ერთსა და იმავე დონეზე დასაქმების თვალსაზრისით კვლავ ისეთ ხასიათს ატარებს, რომ ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე, ხოლო მეტად - დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე,

K. ევროპული დასაქმების სტრატეგიის სამ სხვა დერძში ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის უფრო ენერგიული ხელშეწყობის საჭიროების გათვალისწინებით, ანუ დასაქმების შესაძლებლობის, სამეწარმეო სულისკვეთების და ადაპტაციის უნარის,

L. ვინაიდან სტრუქტურული ფონდები და სხვა ფინანსური მექანიზმები მნიშვნელოვანი კატალიზატორებია თანამეგობრობისთვის და ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობისკენ სწრაფვის ეროვნული სტრატეგიებისთვის, და ვინაიდან ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ასპექტის ჩართვა მიზნად ისახავს სტრუქტურული უთანასწორობის დაძლევას შრომისა და ოჯახური ცხოვრების ორგანიზებაში, რომელიც შორმის ბაზარზე, პროფესიულ ტრენინგებში, უწყვეტ სწავლებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მრავალი ქალისთვის შემზღვეველ ფაქტორს წარმოადგენს,

M. ვინაიდან ევროპის დასაქმების სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში, და სრული დასაქმებისა და მაღალი ხარისხის დასაქმების დაფუძნების გათვალისწინებით, საჭიროა დახმარება გაეწიოს სამეწარმეო სულისკვეთებას ქალთა შორის სპეციფიკური ღონისძიებების მეშვეობით, რომლებიც, სხვა მიმართულებებთან ერთად, უზრუნველყოფენ მიზნობრივ ტრენინგს და კრედიტებზე ხელმისაწვდომობას, მიკრო კრედიტების ჩათვლით,

N. ვინაიდან ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ მეორე ყოველწლიური მოხსენება, რომელმაც მოთხოვნები წაუყენა სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურებს 2003 წლის ევროპული საბჭოს შეხვედრაზე, პირველი დოკუმენტია, რომელმაც 25 წევრიანი გაფართოებული კავშირი მოიცვა, მაგრამ არ მოუცავს გაწევრიანების პროცესში მყოფი ან კანდიდატი ქვეყნები, მაგალითად, რუმინეთი, ბულგარეთი, თურქეთი და ხორვატია,

O. ვინაიდან კომისიის მოხსენება აღწერილობითი ხასიათისაა და ეხება მნიშვნელოვან მოვლენებს წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაში, მაგრამ არ მიუთითებს წევრ სახელმწიფოებში ტრანსპარანციის ხარვეზებზე და მათ მიერ თანამეგობრობის კანონმდებლობის დარღვევებზე, და მასში არ არის მიმდინარე სიტუაციის ანალიზი, ან შეფასება,

P. ვინაიდან კომისიის მოხსენება უჩვენებს, რომ ევროპის კავშირის ფარგლებში ქალთა და მამაკაცთა შორის უთანაბრობა შემცირდა დასაქმების და განათლების

სფეროებში, მაგრამ ანაზღაურების განსხვავება ორ სქესს შორის პრაქტიკულად კვლავ იგივე დარჩა, და ნათლად მიუთითებს, რომ რეალურად წინსვლა არ შეინიშნება თანაბარი სამუშაოსთვის ან თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის განხორციელებაში, რომელიც შემოდებულ იქნა ოცდაათი წლის წინ საბჭოს 1995 წლის 10 თებერვლის 75/117/EEC დირექტივით ქალთა და მამაკცთა თანაბარი ანაზღაურების პრინციპთან დაკავშირებული წევრი სახელმწიფოების კანონების დაახლოების შესახებ; ვინაიდან თხუთმეტა კავშირში ეს განსხვავება სტაბილურად 16%-ს შეადგენდა, ხოლო იცდახუთთა კავშირისთვის ეს მაჩვენებელი, სადაც გათვალისწინებულია ახალ წევრ სახელმწიფოებში ანაზღაურების სხვაობა, 15%-ზე ოდნავ ნაკლებია, Q. ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ ქალთა შორის განათლების მაჩვენებელი მამაკაცებთან შედარებით მაღალია, ისინი სამუშაოს მაინც უფრო გვიან პოულობენ, ხოლო 15-დან 24 წლამდე ასაკის ქალთა შორის დასაქმების დონე არ გაზრდილა,

R. ითვალისწინებს რა, რომ გენდერული თანასწორობის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებისათვის პირველ რიგში მნიშვნელობა ენიჭება კავშირის პოლიტიკის ადეკვატურ წარმოჩენას და წევრ სახელმწიფოებში ამ პოლიტიკის უფრო ეფექტიან გავრცელებას, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი დახმარების გაწევით, ხოლო მეორე რიგში - თანამეგობრობის შესაბამის პროგრამებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას,

S. ვინაიდან გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის შექმნა ხელს შეუწყობს მონაცემთა შეგროვებას და კომპილაციას, მეთოდოლოგიური მექანიზმების განვითარებას და საუკეთესო პრაქტიკის გავრცელებას და გაცვლას, რაც გენდერული თანასწორობის პრინციპის განმტკიცების საწინდარია,

T. ვინაიდან კომისიამ გადაწყვიტა 2007 წელი გამოაცხადოს როგორც “ევროპული წელი - თანაბარი შესაძლებლობები ყველასთვის”,

1. მიესალმება ფაქტს, რომ ევროპულმა საბჭომ, 2004 წლის გაზაფხულზე, გენდერული თანასწორობის პოლიტიკა აღიარა როგორც სოციალური ერთიანობის და ეკონომიკური ზრდის მექანიზმი;

2. მიესალმება, რომ მნიშვნელოვნად იქნა აღიარებული გენდერულად განსხვავებული ანაზღაურების ხარვეზის აღმოფხვრა და შრომისა და ოჯახური ცხოვრების ურთიერთშეთავსებისათვის ხელშეწყობა, როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვის;

3. უაღრესად მნიშვნელოვნად მიიჩნევს კომისიის მიერ პარლამენტისთვის ინფორმაციის მიწოდებას სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში ამ სფეროებში მიღწეული პროგრესის შესახებ, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პეკინის სამოქმედო პლატფორმის განხორციელებას, რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის ასპექტების ჩათვლით, და რეგულარული სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებას, რომელიც მოიცავს თითოეულ წევრ სახელმწიფოს;

4. ხაზს უსვამს, რომ გენდერული თანასწორობა და გენდერული თანასწორობისადმი ეფექტიანი ინტეგრირებული მიდგომა (“გენდერული მეინსტრიმინგი”) მოითხოვს პოლიტიკურ ვალდებულებას უმაღლეს დონეზე;

5. მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს, როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ დონეზე, გადახედონ თავიანთ პარტიულ სტრუქტურებს და პროცედურებს, რათა აღმოფხვრილ იქნეს ყველა ბარიერი, რომელიც პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ახდენს ქალთა დისკრიმინაციას მონაწილეობის კუთხით, და შეიმუშაონ ადეკვატური სტრატეგიები არჩევით ასამბლეებში ქალთა და მამაკაცთა უკეთესი ბალანსის მისაღწევად;

6. მიუთითებს ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულების მე-3(2) მუხლზე, რომლის შესაბამისად თანამეგობრობა უნდა იღწვოდეს უთანასწორობის აღმოსაფხვრისათვის და ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ხელშეწყობისათვის მისი საქმიანობის ყველა სფეროში;
7. მიაჩნია, რომ ქალთა და მამაკაცთა მიმართ თანაბარი მოპყრობის საკითხთან დაკავშირებული კანონმდებლობა უნდა მოიცავდეს სოციალურ დაცვას, ჯანმრთელობის დაცვის ჩათვლით, და განათლებას;
8. მიესალმება გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის შექმნას და იმედოვნებს, რომ მას ექნება საჭირო დამოუკიდებლობა და რესურსები საკუთარი ამოცანების შესასრულებლად;
9. მოუწოდებს კომისიას გამოიყენოს სტრუქტურული ფონდები ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ხელშესაწყობად, სამუშაო პროგრამებში ამ ასპექტის ჩართვის უზრუნველყოფის გზით;
10. გამოხატავს შეშფოთებას სქესობრივი ექსპლუატაციის მიზნით ქალთა ტრეფიკინგის და ოჯახური ძალადობის ზრდის გამო, და სთხოვს კომისიას გადადგას ნაბიჯები ამ მავნე მოვლენების აღმოსაფხვრელად;
11. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს და კომისიას, რომ საპენსიო სქემები არ იყოს დისკრიმინაციული ქალთა მიმართ, და რომ ისინი არ განამტკიცებდნენ უკვე არსებულ მახასიათებლებს, რაც უკვე აყენებს ქალებს არახელსაყრელ მდგომარეობაში შეღავათებისა და შენატანების თვალსაზრისით;
12. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს და მიერთების პროცესში მყოფ და კანდიდატ ქვეყნებს წარმოადგინონ სტატისტიკური მონაცემები ანაზღაურების გენდერული განსხვავების შესახებ შრომის ყველა სფეროში და უფრო ენერგიული და ფართო ღონისძიებები მიიღონ თანამეგობრობის კანონმდებლობის განსახორციელებლად, რომელიც მიზნად ისახავს ანაზღაურების სხვაობის შემცირებას; აღმოფხვრან გენდერული დაყოფა შრომის ბაზარზე, რათა გაიზარდოს ქალთა პროცენტული წილი მაღალ თანამდებობებზე, მათი კვალიფიკაციის შესაბამისად;
13. ხაზს უსვამს შრომის ბაზარზე გენდერული სეგრეგაციის თავიდან აცილების მნიშვნელობას და წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს თავიანთ განათლების სისტემებში ხელი შეუწყონ ახალგაზრდა ქალების განათლებას არატრადიციულ სფეროებში;
14. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს სათანადო ზომები მიიღონ დასაქმებულ ქალთა შრომისა და პირადი ცხოვრების ურთიერთშეთავსების მხარდასაჭერად, მაგალითად, ბავშვთა, მოხუცთა და უმწეოთა მზრუნველობითი დაწესებულებების უზრუნველყოფით და უფრო მოქნილი სამუშაო პირობების შექმნით;
15. კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კომისიის მიერ განხორციელდეს მონიტორინგი წევრი სახელმწიფოების მიერ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის სფეროში თანამეგობრობის მიღწევების დაკმაყოფილებაზე, განსაკუთრებით დასაქმებისა და საქონლისა და მომსახურების მიწოდების სფეროებში; აქედან გამომდინარე, მოუწოდებს კომისიას ჩაატაროს კვლევა თუ როგორ ახორციელებენ წევრი სახელმწიფოები თანამეგობრობის კანონმდებლობას და სათანადო ღონისძიებები განახორციელოს იმ შემთხვევებში, როდესაც წევრი სახელმწიფოები ფაქტობრივად არ ნერგავენ ან ართვევენ თანასწორობის სფეროში თანამეგობრობის მიღწევებს;
16. ხაზს უსვამს ფაქტს, რომ ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ევროპული პოლიტიკა კვლავ გამჭვირვალე და თვალსაჩინო უნდა დარჩეს,

- რათა ხელი შეეწყოს ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას, სოციალური პარტნიორების ჩათვლით;
17. მიაჩნია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ღონისძიებებს, რომლებიც სიღარიბის ეფექტიან დაძლევაზე ემსახურებიან, განსაკუთრებით ქალთა შორის, რათა თანდათანობით უზრუნველყოფილ იქნეს მათი ეკონომიკური გადარჩენა და საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება;
18. კვლავ აღნიშნავს, რომ 2007 წლის - როგორც “ევროპული წელი – თანაბარი შესაძლებლობები ყველასთვის” – კონტექსტში, ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ევროპული პოლიტიკა კიდევ ერთხელ დადასტურდეს როგორც მრავალგანზომილებიანი და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ ჯგუფებს;
19. შეახსენებს წევრ სახელმწიფოებს მათ მიერ 2002 წელს ბარსელონას ევროპულ საბჭოზე შეთანხმებულ ვალდებულებას, რომელიც მოითხოვს შრომის ბაზარზე ქალთა და მამაკაცთა ხელმისაწვდომობაში დაბრკოლებების აღმოფხვრას და 2010 წლამდე მზრუნველობითი სამსახურების უზრუნველყოფას სამი წლის ასაკიდან სავალდებულო სასკოლო ასაკამდე ბავშვთა 90%-ისათვის, ხოლო სამ წლამდე ბავშვთა სულ ცოტა 33%-ისათვის; მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს იგივე მიზნები დაისახონ მსგავსი სამსახურების მიმართ ხანდაზმულებისათვის და დავრდომილი ახლობლებისთვის;
20. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს შექმნან ხელმისაწვდომი მზრუნველობითი სტრუქტურები ბავშვებისთვის და უმწეო ადამიანებისთვის;
21. ხაზს უსვამს ემიგრანტ ქალთა სოციალური ინტეგრაციის მხარდაჭერის საჭიროებას, რომლებიც ხშირად ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლი არიან თავიანთი გენდერული ან ეროვნული წარმომავლობის, ან რელიგიის გამო, რაც უნდა განხორციელდეს მათთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობით, ბიზნეს საქმიანობაში დახმარებით და ევროპის სოციალური ფონდის პროგრამებში და თანასწორობის პროგრამებში ჩართვით, რომლებიც მიგრანტთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავენ მიზნად;
22. მოუწოდებს კომისიას შეიმუშავოს სტატისტიკა ბავშვთა, ხანდაზმულთა და უმწეოთა მზრუნველობითი სტრუქტურების შექმნის და ამ სტრუქტურებზე ხელმისაწვდომობის შესახებ; მოუწოდებს სათანადოდ შეფასდეს თუ რა წვლილი შეაქვთ უკვე არსებულ მექანიზმებს მამაკაცთა და ქალთა შორის ჭეშმარიტი თანასწორობის დამკვიდრებაში მათი ყოველდღიური ცხოვრების ყველა სფეროში, და როგორ მუშაობენ ეს მექანიზმები;
23. რეკომენდაციას იძლევა უკეთესი კოორდინირება განხორციელდეს მეინსტრიმინგის პოლიტიკასა და ლისაბონის სტრატეგიას შორის, რათა ლისაბონში ჩამოყალიბებული ამოცანების შესრულებისას უკეთ იქნეს გათვალისწინებული გენდერული პერსპექტივა;
24. ხაზს უსვამს სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობის მნიშვნელობას მათ ძალისხმევაში, რომელსაც მიმართავენ სამუშაო ადგილზე ქალთა როლის განმტკიცებისაკენ, ხოლო, განსაკუთრებით, ქალთა ორგანიზაციების როლს ქალთა მონაწილეობის ამაღლებაში;
25. მოუწოდებს კომისიას და წევრ სახელმწიფოებს განამტკიცონ ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში, რაც გენდერული თანასწორობის ყველა სახის სტრატეგიაში ეფექტიანი ინტეგრირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა;
26. სთხოვს კომისიას ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის შესახებ ყოველწლიურ მოხსენებაში ჩართოს ფაქტები და სტატისტიკა მიერთების პროცესში მყოფი და კანდიდატი ქვეყნებიდან;

27. მითითებას აძლევს მის პრეზიდენტს წინამდებარე რეზოლუცია გადასცეს საბჭოს, კომისიას და წევრი სახელმწიფოების, მიერთების პროცესში მყოფი ქვეყნების და კანდიდატი ქვეყნების მთავრობებს.

**ევროპის პარლამენტის 2007 წლის 13 მარტის რეზოლუცია ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის საგზაო რუკის შესახებ (2006-2010 წ.)  
(2006/2132(INI))**

ევროპის პარლამენტი,

- ითვალისწინებს რა კომისიის კომუნიკაციას სათაურით ‘ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის საგზაო რუკის შესახებ (2006-2010)’ (COM(2006)0092),
- ითვალისწინებს რა საბჭოს 2000 წლის 20 დეკემბრის 2001/51/EC დადგენილებას, რომელიც აფუძნებს თანამეგობრობის გენდერული თანასწორობის შესახებ თანამეგობრობის ჩარჩო სტრატეგიასთან დაკავშირებულ პროგრამებს (2001-2005)<sup>1</sup>, და პარლამენტის მიერ 2000 წლის 15 ნოემბერს გამოხატულ პოზიციას აღნიშნული საკითხის მიმართ<sup>2</sup>,
- ითვალისწინებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტებს ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით ქალთა უფლებების სფეროში, კერძოდ, კონვენციას ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) და ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებს, მაგალითად, 1993 წლის 14-25 ივნისს ვენაში ჩატარებული ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენციის მიერ მიღებულ ვენის დეკლარაციას და სამოქმედო პროგრამას, ასევე 1993 წლის 20 დეკემბრის რეზოლუციას ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ<sup>3</sup>, 2004 წლის 19 თებერვლის რეზოლუციას ქალთა მიმართ ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის შესახებ<sup>4</sup>, 2004 წლის 20 დეკემბრის რეზოლუციას ქალთა მიმართ ღირსების დაცვის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის აღმოსაფხვრელად საჭირო მუშაობის შესახებ<sup>5</sup> და 1998 წლის 2 თებერვლის რეზოლუცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მიზნით დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ღონისძიებათა შესახებ<sup>6</sup>,
- ითვალისწინებს რა 1995 წლის 15 სექტემბერს ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე მიღებულ პეკინის დეკლარაციას და სამოქმედო პლატფორმას, და პარლამენტის 2000 წლის 18 მაისის რეზოლუციას პეკინის სამოქმედო პლატფორმის შემდგომი განვითარების შესახებ<sup>7</sup> და 2005 წლის 10 მარტის

<sup>1</sup> OJ L 17, 19.1.2001, გვ. 22.

<sup>2</sup> OJ C 223, 8.8.2001, გვ. 149.

<sup>3</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/RES/48/104.

<sup>4</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/RES/58/147.

<sup>5</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/RES/59/165.

<sup>6</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/RES/52/86.

<sup>7</sup> OJ C 59, 23.2.2001, გვ. 258.

რეზოლუციას ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციის შემდგომი განვითარების და ქალთა სამოქმედო პლატფორმის შესახებ (Beijing+10) )<sup>8</sup>,

- ითვალისწინებს რა გაეროს გენერალური მდივნის 2006 წლის 6 ივლისის მოხსენებას - 'ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის დეტალური კვლევა'<sup>9</sup>,
- ითვალისწინებს რა 2005 წლის მარტში, მე-40 სესიაზე მიღებულ გაეროს კომისიის საბოლოო მოხსენებას ქალთა მდგომარეობის შესახებ,
- ითვალისწინებს რა ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის ოქმს აფრიკაში ქალთა უფლებების შესახებ, რომელიც ასევე 'მაპუტოს ოქმის' სახელწოდებითაა ცნობილი, რომელიც 2005 წლის 25 ნოემბერს შევიდა ძალაში და სხვა ასპექტებთან ერთად კრძალავს სქესობრივი ორგანოების დამახინჯების ყველა ფორმას,
- ითვალისწინებს რა გაეროს უშიშროების საბჭოს 2000 წლის 31 ოქტომბრის 1325 რეზოლუციას ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ<sup>10</sup>, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტების გადაჭრაში და მშვიდობის დამყარებაში ქალთა უფრო აქტიურ ჩართვას მოითხოვს,
- ითვალისწინებს რა კომისიის საკონსულტაციო კომიტეტის 2003 წლის მაისის მოხსენებას მამაკაცთა და ქალთა თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული ბიუჯეტის შესახებ,
- ითვალისწინებს რა 2000 წლის 23-24 მარტის ლისაბონის საგანგებო ევროპული საბჭოს, 2001 წლის 23-24 მარტის სტოკჰოლმის ევროპული საბჭოს, 2002 წლის 15-16 მარტის ბარსელონას ევროპული საბჭოს და 2003 წლის 20-21 მარტის და 2004 წლის 25-26 მარტის ბრიუსელის ევროპული საბჭოს თავმჯდომარეთა დასკვნებს,
- ითვალისწინებს რა საბჭოს 2005 წლის 12 ივლისის დადგენილებას 2005/600/EC წევრი სახელმწიფოების დასაქმების პოლიტიკის შესახებ<sup>11</sup>,
- ითვალისწინებს რა 2006 წლის 19 იანვარს მის მიერ მიღებულ რეზოლუციას ლისაბონის სტრატეგიის მომავლის შესახებ გენდერული პერსპექტივის თვალსაზრისით<sup>12</sup>,
- ითვალისწინებს რა მის მიერ 2004 წლის 11 თებერვლის რეზოლუციას სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ (93/104/EC დირექტივის შესწორება)<sup>13</sup>,
- ითვალისწინებს რა 2006 წლის 2 თებერვალს მის მიერ მიღებულ რეზოლუციას ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული სიტუაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და სხვა სამომავლო ქმედებების შესახებ<sup>14</sup>,

<sup>8</sup> OJ C 320 E, 15.12.2005, გვ. 247.

<sup>9</sup> A/61/122/Add.1.

<sup>10</sup> გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325(2000).

<sup>11</sup> OJ L 205, 6.8.2005, გვ. 21.

<sup>12</sup> OJ C 287 E, 24.11.2006, გვ. 323.

<sup>13</sup> OJ C 97 E, 22.4.2004, გვ. 566.

<sup>14</sup> OJ C 288 E, 25.11.2006, გვ. 66.

- ითვალისწინებს რამ მის მიერ 2006 წლის 17 იანვარს მიღებულ რეზოლუციას სქესობრივი ექსპლუატაციის მიზნით ქალთა და ბავშვთა ტრეფიკინგის პრევენციის სტრატეგიის შესახებ<sup>15</sup>,

- ითვალისწინებს რა 2006 წლის 24 ოქტომბერს მის მიერ მიღებულ რეზოლუციას ქალთა მიგრაციის შესახებ: მიგრანტ ქალთა როლი და ადგილი ევროპის კავშირში<sup>16</sup>,

- ითვალისწინებს რა 2005 წლის 4 თებერვალს, ლუქსემბურგში, გენდერული თანასწორობის საკითხზე გამართულ მინისტრთა კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციას,

- ითვალისწინებს რა 2006 წლის 23-24 მარტის ბრიუსელის ევროპულ საბჭოზე მიღებულ ევროპულ პაქტს გენდერული თანასწორობის შესახებ,

- ითვალისწინებს რა თანამეგობრობის გენდერული თანასწორობის 2005-2015 წლების სამოქმედო გეგმას,

- ითვალისწინებს რა მისი პროცედურული წესების 45-ე წესს,

- ითვალისწინებს რა ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის კომიტეტის მოხსენებას და განვითარების კომიტეტის, დასაქმებისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის, მრეწველობის, კვლევების და ენერჯეტიკის კომიტეტის და სამოქალაქო თავისუფლებების, მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეთა კომიტეტის მოსაზრებებს (A6-0033/2007),

A. ვინაიდან 1993 წლის 25 მაისს ადამიანის უფლებათა გაეროს მსოფლიო კონფერენციაზე მიღებული ვენის დეკლარაცია აცხადებს, რომ “ქალთა და გოგონათა ადამიანის უფლებები ადამიანის საყოველთაო უფლებების განუყოფელი და არსებითი ნაწილია”, და ვინაიდან ქალთა და მამაკცთა შორის თანასწორობა ევროპის კავშირის ფუნდამენტური უფლება და პრინციპია, რომელიც აღიარებულია ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებაში და ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიამში; ვინაიდან, ამ სფეროში მიღწეული პროგრესის მიუხედავად კვლავ არსებობს მრავალი სახის უთანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის,

B. ვინაიდან ქალთა მიმართ ძალადობა ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული ადამიანის უფლებათა დარღვევაა და მისთვის უცნობია გეოგრაფიული, ეკონომიკური თუ სოციალური საზღვრები, და ვინაიდან შიდასახელმწიფო, თანამეგობრობის თუ საერთაშორისო დონეზე განხორციელებული ძალისხმევების მიუხედავად კვლავ შემამფოთებელია ძალადობის მსხვერპლ ქალთა რაოდენობა,<sup>17</sup>

C. ვინაიდან ტერმინი “ქალთა მიმართ ძალადობა” გაგებულ უნდა იქნეს როგორც გენდერზე დაფუძნებული ნებისმიერი აქტი, რომელიც იწვევს, ან შესაძლოა გამოიწვიოს ქალის ფიზიკური, სქესობრივი ან ფსიქოლოგიური ზიანი ან ტაჯვა, ასეთი ქმედებებით დაშინების, იძულების ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთის ჩათვლით, იქნება ეს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში,

<sup>15</sup> OJ C 287 E, 24.11.2006, გვ. 75.

<sup>16</sup> მიღებული ტექსტი, P6\_TA(2006)0437.

<sup>17</sup> გაეროს ქალთა განვითარების ფონდის (UNIFEM) მონაცემების შესაბამისად, სამიდან სულ ცოტა ერთი ქალი მისი ცხოვრების რომელიმე საფეხურზე ძალადობის რომელიმე ფორმის მსხვერპლია.



- D. ვინაიდან სიღარიბის რისკი მეტ ზემოქმედებას ახდენს ქალებზე, დასაქმებული ქალების ჩათვლით,<sup>18</sup> ხოლო, განსაკუთრებით, ხანდაზმულ ქალებზე, მარტოხელა დედებზე, მოზარდ ასაკში მყოფ დედებზე და საოჯახო ბიზნესში მომუშავე დედებზე, და ვინაიდან კვლავ გრძელდება გენდერული დისკრიმინაცია და უთანასწორობა ტრენინგების, პირადი მომსახურების, დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის, ოჯახური პასუხისმგებლობების, საპენსიო ანარიცხების და განცალკევების ან გაყრის დროს სამართლებრივი დაცვის კუთხით, განსაკუთრებით ეკონომიკურად არადამოუკიდებელი ქალებისთვის,
- E. ვინაიდან ყველა კულტურული და სოციალური პრინციპი და ღირებულება, რომელსაც ეფუძნება ევროკავშირი და წევრი ქვეყნები – როგორცაა ადამიანის უფლებების, ადამიანის ღირსების, თანასწორობის, დიალოგის, სოლიდარობისა და მონაწილეობის პატივისცემა - არის მემკვიდრეობა, რომელსაც იზიარებს ევროკავშირის ყველა მოქალაქე და მაცხოვრებელი, რომელთანაც ასიმილირება ევროკავშირის პრიორიტეტია და ემანსიპაციისა და ინტეგრაციის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს, განსაკუთრებით ქალებისა და გოგონებისათვის, რომლებიც იზოლირებულნი არიან ენობრივი, კულტურული თუ რელიგიური ბარიერების გამო,
- F. ვინაიდან თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკის ეფექტიანი მართვის მიზნით მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს გენდერულ ბიუჯეტს; და ვინაიდან სათანადო ცოდნა და გამოცდილება ევროპის, ეროვნულ თუ რეგიონულ დონეზე საშუალებას მისცემს მას შემუშავების, განხორციელების და შეფასების შემდეგ შემდგომი დაყოვნების გარეშე გამოყენებულ იქნეს ბიუჯეტში და თანამეგობრობის პროგრამებში,<sup>19</sup>
- G. ვინაიდან ხელშეკრულების 3(2), 13 და 152 მუხლები აღწერენ რა როლს ასრულებს თანამეგობრობა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაში,
- H. ვინაიდან ქალთა დასაქმების სფეროში ლისაბონის მიზნების მისაღწევად, კოორდინირების ღია მეთოდის გამოყენებით, საჭიროა შემდგომი მოქმედებების განხორციელება, რომელიც დაფუძნებული იქნება ეროვნულ და რეგიონულ დონეზე არსებულ კარგ პრაქტიკაზე, და რომელიც განსაკუთრებით უზრუნველყოფს, რომ ტრენინგისა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის სტრატეგიები, შრომისა და ცხოვრების დაბალანსების სტრატეგიები, მომსახურება და გადაწყვეტილების მიღებაში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა ურთიერთდაკავშირებული იყოს; და ვინაიდან, ამ პერსპექტივით განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული სოციო-ეკონომიკური ერთიანობის უზრუნველყოფისკენ, რათა ბოლო მოეღოს გენდერულ რაოდენობრივ უთანასწორობას და ხელი შეეწყოს ქალთა როლის ამაღლებას მეცნიერებაში,
- I. ვინაიდან, თანაბარი ანაზღაურების შესახებ თანამეგობრობის კანონმდებლობის და ეროვნული დებულებების მიუხედავად კვლავ არსებობს

<sup>18</sup> საგულისხმოა ასევე, რომ მარტოხელა მშობლის ოჯახების 85%-ში ოჯახის მარჩენალი ქალია.

<sup>19</sup> (გაგრძელება) ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD), UNIFEM-ის, მსოფლიო ბანკის, თანამეგობრობის თანაბარი შესაძლებლობების სამდივნოს მუშაობა, ასევე კვლევები და პროექტები, რომლებსაც ახორციელებენ ევროპის საბჭო, სკანდინავიის ქვეყნების მინისტროთა საბჭო და ნიდერლანდების დასაქმებისა და სოციალურ საქმეთა სამინისტრო.

დიდი განსხვავება ორი სქესის ანაზღაურებას შორის, სადაც ევროკავშირში ქალები მამაკაცებთან შედარებით საშუალოდ 15%-ით ნაკლებ ანაზღაურებას ღებულობენ, ხოლო ანაზღაურებათა შორის არსებული განსხვავება ბევრად უფრო ნელი ტემპით მცირდება ვიდრე ორი სქესის დასაქმების დონებს შორის სხვაობა,

J. ვინაიდან ქალები ხშირად ნაკლები საპენსიო უფლებამოსილებებით სარგებლობენ ვიდრე მამაკაცები, რაც გამოწვეულია იმით, რომ მათ ნაკლები ანაზღაურება აქვთ, ან, უფრო ხანმოკლე პროფესიული კარიერით, რომელიც ოჯახში დაკისრებული პასუხისმგებლობების გამო შეწყდა,

K. ვინაიდან ოჯახური და შრომითი ცხოვრების ურთიერთშეთავსებისაკენ მიმართული სტრატეგიები მიზნად უნდა ისახავდეს ქალთა და მამაკაცთა გათანაბრებას და შემდგომში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მასშტაბური მიდგომის მოთხოვნა, რომელიც შეუძლებელს გახდის ქალთა მიმართ დისკრიმინაციას და მომავალ თაობებს განიხილავს როგორც ზოგადად საზოგადოების განძს,

L. ვინაიდან ევროპის მოსახლეობის 52%-ს ქალები შეადგენენ, ხოლო ეს ხვედრითი წილი ასახული არ არის ხელისუფლებაში მონაწილეობასა და თანამდებობებზე ხელმისაწვდომობაში; ვინაიდან საზოგადოების წარმომადგენლის როლი მთლიანობაში განამტკიცებს მმართველობას და სტრატეგიებს საზოგადოებისათვის უფრო რელევანტურს ხდის; გარდა ამისა, ვინაიდან ეროვნულ დონეზე შესალებელია გამოყენებულ იქნეს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა მექანიზმები (კანონები, შეთანხმებები, ან პოლიტიკური ინიციატივები), რომლებიც გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობას უზრუნველყოფენ,

M. ვინაიდან კომისიის კომუნიკაციით COM(2005)0229 შემოთავაზებული 'i2010' (ევროპული საინფორმაციო საზოგადოება ზრდისა და განვითარებისათვის) სტრატეგიული ჩარჩო სხვა ასპექტებთან ერთად მიზნად ისახავს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას საინფორმაციო საზოგადოებაზე ყველასთვის ხელმისაწვდომობის გზით,

1. მიუთითებს კომისიის სწრაფვაზე განახორციელოს თანაბარი შესაძლებლობების სტრატეგია მრავალწლიან საფუძველზე, რამეთუ იგი საშუალებას იძლევა ევროკავშირის დონეზე ხელი შეეწყოს თანასწორობის გრძელვადიანი სტრატეგიის ხორცშესხმას, მაგრამ აღნიშნავს, რომ საგზაო რუკაში გამოკვეთილი არ არის კომისიის და წევრი სახელმწიფოების ვალდებულებების განხორციელებისა და მოქალაქეთა ინფორმირების კუთხით, და მასში არ არის დაკონკრეტებული ფონდები, რომელიც გამოყოფილი იქნება მისი რეკომენდაციების შესასრულებლად;

2. აღიარებს ორმაგ მიდგომას თანასწორობის განვითარებისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს პოლიტიკის ყველა სფეროს ინტეგრირებას და იმავდროულად უნდა განხორციელდეს თანასწორობის ხელშემწყობი კონკრეტული ღონისძიებები;

3. მოუწოდებს კომისიას შეიმუშავოს სრულყოფილი სქემა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის სტრატეგიებისა და პროგრამების შეფასებისათვის; კერძოდ, მოუწოდებს, განხორციელდეს თანამეგობრობის გენდერული თანასწორობის ჩარჩო სტრატეგიის (2001-2005)<sup>20</sup> სიღრმისეული შეფასება და

<sup>20</sup> საბჭოს 2000 წლის 20 დეკემბრის დადგენილება 2001/51/EC, რომლითაც დაფუძნდა თანამეგობრობის გენდერული თანასწორობის ჩარჩო სტრატეგიასთან დაკავშირებული პროგრამა (2001-2005) (OJ L 17, 19.1.2001, გვ.22).

თანაბარი შესაძლებლობების დირექტივების განხორციელების ანალიზი, განსაკუთრებით 86/613/EEC<sup>21</sup>, 89/391/EEC<sup>22</sup>, 92/85/EEC<sup>23</sup> და 2003/41/EC<sup>24</sup> დირექტივების, რათა საგზაო რუკის მიზნებისთვის შეიქმნას და გამოყენებულ იქნეს საიმედო მონაცემები და სტატისტიკა, ერთიანი პროგრამები, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასების ციკლი; მიაჩნია, რომ ამ მიზნით საჭიროა სწრაფად შეიქმნას გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საგზაო რუკის მუდმივი მონიტორინგი;

4. მოუწოდებს კომისიას გენდერული თანასწორობის პოლიტიკა განიხილოს არა მხოლოდ როგორც ევროკავშირის პრიორიტეტი, არამედ, აგრეთვე, და უპირველეს ყოვლისა, როგორც ინდივიდის უფლებების პატივისცემის განუყოფელი მოთხოვნა; მიაჩნია, რომ ასეთი მიდგომა უნდა გარდაიქმნას ძალისხმევად, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა და ბავშვთა სამართლებრივი დაცვისთვის გამიზნული ევროპული და ეროვნული ღონისძიებების კოორდინირებას და განმტკიცებას, კერძოდ:

- იმ შემთხვევაში, როდესაც ქალები მონურ მდგომარეობაში არიან, ან როდესაც ადგილი აქვს დანაშაულს ტრადიციის პატივისცემის საფუძველზე, ძალადობას, ტრეფიკინგს, ქალთა სასქესო ორგანოების დამახინჯებას, იძულებით ქორწინებას, პოლიგამიას ან იდენტურობის ხელყოფას (მაგალითად, როდესაც ქალს აიძულებენ ატაროს ბურკა ან ნიღაბი) - მიზანს წარმოადგენს ნულოვანი ტოლერანტობა;

და მოუწოდებს კომისიას:

- განახორციელოს გენდერული ძალადობის ძირითადი მიზეზების კვლევა, შეიმუშავოს მსხვერპლთა რაოდენობის მაჩვენებლები და განსაზღვრული სამართლებრივი ბაზის საფუძველზე წარმოადგინოს წინადადება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დირექტივის შესახებ;

- რაც შეიძლება უმოკლეს დროში, მსხვერპლთა რაოდენობის შემცირების მიზნით, შეაგროვოს სანდო მონაცემები ადამიანის ტრეფიკინგის შესახებ, ასევე ჩაატაროს პროსტიტუციისა და სქესობრივი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის სფეროს კანონმდებლობასა და საუკეთესო პრაქტიკის გავრცელებას შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობის კვლევა, ასეთ ღონისძიებებზე მოთხოვნის შესწავლის ჩათვლით;

<sup>21</sup> საბჭოს 1986 წლის 11 დეკემბრის დირექტივა 86/613/EEC საქმიანობაში ჩართულ ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის პრინციპის გამოყენების შესახებ, სოფლის მეურნეობისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების ჩათვლით, და თვითდასაქმებულ ქალთა დაცვის შესახებ ორსულობისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდის განმავლობაში (OJ L 359, 19.12.1986, p.56).

<sup>22</sup> საბჭოს 1989 წლის 12 ივნისის დირექტივა 89/391/EEC სამუშაო ადგილზე ორსულ ქალთა და მეძუძურ დედათა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების შემოღების ხელშეწყობის შესახებ (OJ L 183, 29.6.1989, გვ.1).

<sup>23</sup> საბჭოს 1992 წლის 19 ოქტომბრის დირექტივა სამუშაო ადგილზე ორსულ ქალთა და მეძუძურ დედათა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებების შემოღების ხელშეწყობის შესახებ (OJ L 348, 28.11.1992, გვ.1).

<sup>24</sup> ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2003 წლის 3 ივნისის დირექტივა 2003/41/EC შრომის პენსიის უზრუნველყოფი დაწესებულებების საქმიანობისა და მათი ზედამხედველობის შესახებ (OJ L 235, 23.9.2003, p.10).

სთხოვს წევრ სახელმწიფოებს:

- შემოიღონ ადამიანის ჯანდაცვაში ჩართულ პირთა მიერ ქალთა სქესობრივი ორგანოების დამახინჯების შემთხვევების სავალდებულო რეგისტრაცია და ლიცენზია ჩამოართვან ექიმებს, რომლებიც ასეთ პრაქტიკას ეწევიან;

5. მოუწოდებს იმ წევრ სახელმწიფოებს, რომლებსაც ეს ჯერ არ განუხორციელებიათ, დაუყოვნებლივ მოახდინონ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირება, ადამიანის, განსაკუთრებით ქალთა და ბავშვთა ტრეფიკინგის პრევენციის, აღკვეთისა და დასჯის შესახებ (ერთ-ერთი 'პალერმოს ოქმი'), და ადამიანის ტრეფიკინგის წინააღმდეგ მოქმედების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირება, და განახორციელონ ევროპული საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/81/EC დირექტივა ცხოვრების ნებართვის გაცემის შესახებ მესამე ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც არიან ადამიანის ტრეფიკინგის მსხვერპლი, ან დაექვემდებარენ არალეგალური იმიგრაციის ხელშემწყობ ქმედებას და თანამშრომლობენ კომპეტენტურ ორგანოებთან;<sup>25</sup>

6. მიიჩნევს, რომ ქალთა უფლებების პატივისცემის მოთხოვნა, ისევე როგორც ადამიანის სხვა უფლებების, მიერთების პროცესში მყოფ განმცხადებელ ქვეყნებთან მოლაპარაკებებში ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს; შესაბამისად, კომისიას მოუწოდებს, მონიტორინგი განახორციელოს განმცხადებელ ქვეყნებში დისკრიმინაციისა და ძალადობრივი ქმედებების სტატისტიკაზე, სადაც დაზარალებულ მხარეს ქალები წარმოადგენენ და ეს მონაცემები გადასცეს პარლამენტს და საბჭოს, და აქტიურად შეუწყოს ხელი მიერთების პროცესში მყოფ ქვეყნებს მონაწილეობა მიიღონ თანამეგობრობის პროგრესის (PROGRESS) და ღაფნის (DAPHNE) პროგრამებში;

7. ხაზს უსვამს, რომ ქალთა უფლებების პატივისცემა ევროკავშირის სამეზობლო, საგარეო და განვითარების პოლიტიკის მთავარი პირობა უნდა გახდეს; ამ კონტექსტში:

- რეკომენდაციას იძლევა, რომ ამ პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირი განსაკუთრებით ისწრაფვის პოლიტიკური დიალოგისაკენ მესამე ქვეყნებთან და მზადაა ფინანსური დახმარება გაუწიოს განვითარებასთან დაკავშირებულ საქმიანობას გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით;

- ხაზს უსვამს სიღარიბის ფემინიზაციის განსაკუთრებულ ბუნებას და დაჟინებით მოითხოვს, რომ ათასწლეულის განვითარების მიზნების (MDGs) მიღწევა მჭიდროდ იქნეს დაკავშირებული გენდერული თანასწორობის ხელშეწყობასთან ყველა ასაკობრივ ჯგუფში;

- მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ათასწლეულის განვითარების მიზნების მე-2 და მე-3 მიზანს და გოგონათა განათლებას ყველა დონეზე, ასევე ქალთა სამეწარმეო შესაძლებლობების განმტკიცების ტრენინგის პროგრამებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებზე, რაც წარმოადგენს სიღარიბის შემცირების, ჯანდაცვის გაუმჯობესების და კეთილდღეობის ამაღლების, ასევე ჭეშმარიტი და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის საშუალებას;

- მოუწოდებს განხორციელდეს განვითარების პროგრამებიდან ქალთა მარგინალიზაციის პრევენციული ღონისძიებები, მათთვის სამუშაო ბაზარზე, მუდმივი და უკეთესი ხარისხის სამუშაოზე და წარმოების საშუალებებზე

<sup>25</sup> OJ L 261, 6.8.2004, გვ. 19.

(როგორცაა მიწა, კრედიტი და ტექნოლოგია) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით;

- მოუწოდებს კომისიას და წევრ სახელმწიფოებს, განვითარების თანამშრომლობის თავიანთი სტრატეგიების ფარგლებში, ხელი შეუწყონ ქალთა უკეთეს წარმომადგენლობას მათთვის მამაკაცებთან თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფით, და პროფესიულ გაერთიანებებში, პოლიტიკურ დაგეგმვაში და გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოებში მონაწილეობის ხელშეწყობის გზით;

- სთხოვს კომისიას და წევრ სახელმწიფოებს, თავიანთ განვითარების პროგრამებში გაითვალისწინონ სქესობრივი ძალადობის პრევენციისა და სქესობრივი ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები, რათა შეფერხდეს და არასასურველი გახდეს ქალთა მიმართ ძალადობა, და უზრუნველყონ როგორც კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ ქალთა, ისე ნებისმიერი სხვა ტიპის მიგრანტ ქალთა სამედიცინო, სოციალური, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური დახმარება;

- მოუწოდებს კომისიას მოახდინოს მესამე ქვეყნების განვითარების დახმარების ხარჯების და პროგრამების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება;

8. მოითხოვს, რომ კომისიამ გადადგას ნაბიჯები ქალთა ჯანმრთელობის უფლებების უზრუნველსაყოფად, სქესობრივი და რეპროდუქციული უფლებების ჩათვლით; კვლავ ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანია სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე და ჯანდაცვის სამსახურებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, განაკუთრებით აივ/შიდსის (HIV/AIDS) წინააღმდეგ საბრძოლველად;

9. აღიარებს, რომ გოგონები განსაკუთრებით დაუცველნი არიან ძალადობისა და დისკრიმინაციისაგან და მოუწოდებს უფრო მეტი ძალისხმევისკენ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გოგონების დაცვა ყველა სახის ძალადობისაგან, გაუპატიურების, სქესობრივი ექსპლუატაციის და შეიარაღებულ ძალებში იძულებითი სამსახურის ჩათვლით; მოუწოდებს განამტკიცონ სტრატეგიები და პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს გოგონათა უფლებების დაცვას კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში;

10. სთხოვს კომისიას შეასრულოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულება და წარმოადგინოს კომუნიკაცია - «გენდერული თანასწორობის ევროპული ხედვა განვითარების თანამშრომლობაში»;

11. მოუწოდებს კომისიას უზრუნველყოს კოორდინაცია ევროკავშირსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შორის თანაბარი შესაძლებლობების სტრატეგიებისა და გოგონათა უფლებების სფეროში; კვლავ ადასტურებს მჭიდრო თანამშრომლობის გაუმჯობესების მნიშვნელობას ევროპულ და საერთაშორისო, რეგიონულ და/ან ორმხრივ ინსტიტუტებს შორის, გაეროს ორგანოების ჩათვლით, რათა მოხდეს გენდერული ასპექტების ჰარმონიზება გავითარების თანამშრომლობის მიდგომებში და ჰუმანიტარულ დახმარებებში, განსაკუთრებით კავშირის განმტკიცებით პეკინის სამოქმედო პლატფორმას, კაიროს სამოქმედო პროგრამას, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციასა და მის ფაკულტატურ ოქმს, და ათასწლეულის განვითარების მიზნებს შორის;

12. მოუწოდებს კომისიას უზრუნველყოს, რომ აფრიკასთან დაკავშირებული პოლიტიკა და აფრიკის ქვეყნების ეროვნული განვითარების სტრატეგიები ხელს უწყობდნენ მაპუტოს ოქმის რატიფიცირებას და განხორციელებას აფრიკის ყველა ქვეყანაში, მე-5 მუხლზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევით,

რომელიც გმობს და კრძალავს სქესობრივი ორგანოების ყველა სახის დამახინჯებას;

13. მიესალმება კომისიის სწრაფვას ხელი შეუწყოს გაეროს უშიშროების კომიტეტის 1325 რეზოლუციის განხორციელებას, და კრიზისის მენეჯმენტის ტრეინინგის ღონისძიებებზე გენდერული მენისტრიმინგის მიმართულებების შემუშავებას;

14. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს და კომისიას პრაქტიკული ნაბიჯები გადადგან მიგრანტი ქალების ემანსიპაციის და ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციისათვის, მათ შორის, და განსაკუთრებით, მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ინტეგრაციის ერთობლივი ჩარჩოს საფუძველზე; ასევე მოუწოდებს ზომები მიიღონ ენის და იმ უფლებებისა და მოვალეობების ცოდნის განსამტკიცებლად, რომლებიც გამომდინარეობენ თანამეგობრობის მიღწევებიდან, საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, მასპინძელი ქვეყნის პრინციპებიდან და კანონმდებლობიდან (რომელიც, სხვა ასპექტებთან ერთად, კრძალავს პოლიგამიას ოჯახების კვლავ გაერთიანების მიზეზით) და ევროკავშირის ძირითადი ღირებულებებიდან, რისთვისაც უნდა შემუშავდეს კონკრეტული ტრეინინგების სტრატეგია თანაბარი შესაძლებლობების, გენდერულ საფუძველზე დისკრიმინაციის დაუშვებლობის და გენდერულ პერსპექტივაში ჩარევის სფეროებში; პროგრამები დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად სამუშაოზე ხელმისაწვდომობის კუთხით და დასაქმების ადგილზე; მიგრანტი ქალთა ბიზნესის პროექტების ხელშეწყობა, რაც განამტკიცებს მათი წარმოშობის ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და გავრცელებას, და მიგრანტი ქალებისათვის საჯარო ფორუმების მხარდაჭერა, სადაც ისინი აქტიურად არიან წარმოდგენილი;

15. რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებსა და კომისიას დააფინანსონ პროგრამები, რომელთა მიზანი იქნება წარმომავლობის ქვეყნებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგრანტთა ევროკავშირში შესვლის და დარჩენის პირობების შესახებ და არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ;

16. მოუწოდებს კომისიას დაიწყოს გენდერული მენისტრიმინგის პილოტური პროგრამები, რომლებიც ორიენტირებული იქნება ევროკავშირის გენდერულ ბიუჯეტზე და თანამეგობრობის პროგრამებზე, კერძოდ, სტრუქტურულ ფონდებზე, ევროპის თანამეგობრობის კვლევის, ტექნოლოგიური განვითარების და დემონსტრირების ღონისძიებათა მეშვიდე ჩარჩო პროგრამაზე (2007-2013), ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა დაცვის სფეროში თანამეგობრობის სამოქმედო პროგრამაზე (2007-2013) და თანამეგობრობის სამოქმედო პროგრამაზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში (2003-2008); მიაჩნია, რომ პილოტური პროგრამები ზემოქმედებას უნდა ახდენდეს გენდერულ ბიუჯეტზე (ჰორიზონტალური მიდგომა) და ითვალისწინებდნენ სპეციალურ ფინანსურ რეზერვებს ქალებისთვის ან ქალებისთვის გამიზნული პროექტებისთვის, ასევე, იმ სირთულეების ანალიზს, რომლებსაც ქალები ამ პროგრამებში მონაწილეობისას აწყდებიან (სპეციფიკური მიდგომა);

17. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს განამტკიცონ თავიანთი დასაქმებისა და სოციალური ინტეგრაციის გეგმები ან შეიტანონ მათში ცვლილებები, რომლებიც მოიცავს შრომით ბაზარზე ქალთა ხელმისაწვდომობის ღონისძიებებს, თანაბრი შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის გათვალისწინებით; ასევე, მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს განსაზღვრონ და მხარი დაუჭირონ ახალ სამუშაო შესაძლებლობებს სოციალურ და ჯანდაცვის სექტორში და პირად და ოჯახურ მომსახურებაში, სადაც სამუშაო ძალას ძირითადად ქალები

წარმოადგენენ, ხაზი გაუსვან ასეთი შრომის ეკონომიკურ და სოციალურ მნიშვნელობას და უზრუნველყონ მომსახურების ხარისხის გარანტირების მარეგულირებელი ინსტრუმენტები, ამ მომსახურების მიმწოდებელი პირების სოციალური უფლებისა და ღირსების აღიარება, ასევე დახმარება გაუწიონ სიღარიბის რისკების შემცირებას; მიაჩნია, რომ სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში ქალთა არახელსაყრელი მდგომარეობის გამო, რომლისთვისაც დამახასიათებელია უმუშევრობის უფრო მაღალი დონე და მამაკაცებთან შედარებით დაბალი ხელფასები, ქალები ექპლუატაციის უფრო დიდი რისკის ქვეშ დგანან.

18. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს განახორციელონ კონკრეტული სტრატეგიები ქალთა მეწარმეობის განვითარების მიზნით, რისთვისაც, მაგალითად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებები, და ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ მეწარმე ქალთა ხელმისაწვდომობას საბანკო კრედიტებზე და მომსახურებაზე, განსაკუთრებით მიკროფინანსების და ქალთა სამეწარმეო ქსელების მხარდამჭერი ღონისძიებების კუთხით;

19. აღნიშნავს, რომ გლობალური ეკონომიკური კონკურენციის გააქტიურებისა და, მისგან გამომდინარე, უფრო მოქნილ და მობილურ მუშახელზე მოთხოვნის შედეგად, წევრი სახელმწიფოები და ევროკავშირი გენდერული თანასწორობის სფეროში გამოწვევების წინაშე დგანან; ხაზს უსვამს, რომ ქალთა მიმართ კვლავ აქვს ადგილი დისკრიმინაციას სოციალური, დასაქმების და სხვა ნიშნით, და რომ ეს მოთხოვნები უდავოდ იმოქმედებენ როგორც ქალებზე, ისე მამაკაცებზე; მიაჩნია, რომ ამ მდგომარეობამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას გენდერულ თანასწორობას და ქალთა რეპროდუქციულ უფლებებს;

20. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს ეროვნულ დონეზე დანიშნონ ოფიციალური პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება გენდერულ თანასწორობაზე ლისაბონის სტრატეგიის განხორციელების მიზნებისათვის და რომლის მოვალეობაც იქნება ხელი შეუწყოს შესაბამისი ეროვნული გეგმების შემუშავებას, მათ განახლებას და განხორციელების მონიტორინგს, რათა განვითარდეს გენდერული მეინსტრიმინგი და ბიუჯეტი, მათ გეგმებში ასახული სტრატეგიებისა და ამოცანების შესაბამისად;

21. სინანულით აღნიშნავს, რომ ანაზღაურების გენდერული სხვაობა კვლავ მაღალია და იგი 15%-ს შეადგენს; მოუწოდებს კომისიას პრიორიტეტული წესით გადასინჯოს საბჭოს დირექტივა 75/117/EEC<sup>26</sup>, განსაკუთრებით ის პუნქტები, რომლებიც დაკავშირებულია შრომის ინსპექციებთან და დისკრიმინაციის შემთხვევაში სამართლებრივ საშუალებებზე ხელმისაწვდომობასთან; მოუწოდებს ასევე კომისიასაც უზრუნველყოს თანაბარი ანაზღაურების დირექტივის იმგვარი გამოყენება, რომ ქალები არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას მათი უფრო ხანმოკლე შრომითი ცხოვრების გამო, რადგან შვილების აღზრდით არიან დაკავებულნი;

22. მოუწოდებს კომისიას, წევრ სახელმწიფოებთან და სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობით, ხელი შეუწყოს ოჯახური და შრომითი ცხოვრების ურთიერთშეთავსების სტრატეგიების შექმნას, კერძოდ, შემდეგი საშუალებებით;

- ზოგადად საზოგადოების მიერ დედობისა და მამობის ხარჯების გაღების

<sup>26</sup> საბჭოს 1975 წლის 10 თებერვლის დირექტივა წევრ სახელმწიფოთა ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული კანონების დაახლოების შესახებ (OJ L 45, 19.12.1975, გვ.19).

უზრუნველყოფა, იმგვარად, რომ აღმოფხვრილ იქნეს დისკრიმინაციული ქმედება სამუშაოზე, ამაღლდეს შობადობის დონე და ხელი შეეწყოს ქალთა დასაქმებას;

- ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარება და პილოტური პროექტების განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებულ მონაწილეობას შრომით და ოჯახურ ცხოვრებაში;

- ბარსელონას მიზნების ფარგლებში უფრო ხელმისაწვდომი და მოქნილი მზრუნველობითი და დახმარების სამსახურების განვითარება, რომლებიც მოემსახურებიან პირებს, რომლებსაც საკუთარი თავის მოვლა არ შეუძლიათ (ბავშვები, უნარშეზღუდულები, ქრონიკული სენით დაავადებულები და ხანდაზმულები), რისთვისაც უნდა შემუშავდეს ზრუნვისა და დახმარების მინიმალური მოთხოვნები, აღნიშნული სამსახურების ღირსეულ საათებში მუშაობის ჩათვლით, რათა დაკმაყოფილდეს შრომითი თუ ოჯახური ცხოვრების დროს წარმოქმნილი საჭიროებები;

- აქტიური ხელშეწყობა მამების და მამრობითი სქესის თანამაცხოვრებლებისთვის გამოიყენონ მოქნილი სამუშაო საათები და შეასრულონ რუტინული საოჯახო საქმეები, მაგალითად, მამობის შვებულების საწყისი ფორმის შემოღებით და საბჭოს 96/34/EC<sup>27</sup> დირექტივის გადასინჯვით;

- ალტერნატიული მეთოდების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალთა პენსიების გადახდას როდესაც მათი პროფესიული კარიერა ადეკვატური პენსიის დანიშვნის საშუალებას არ იძლევა, რადგან მუშაობის ხანმოკლე სტაჟი აქვთ ან სტაჟი შეუწყდათ გაზრდილი საოჯახო პასუხისმგებლობების გამო;

23. სთხოვს კომისიას უზრუნველყოს გენდერული ზემოქმედების სათანადო გათვალისწინება ევროპის თანამეგობრობის კანონმდებლობის განახლებისას ან შექმნისას, მაგალითად, როგორცაა, 93/104/EC დირექტივა, და რომ კომისიამ სათანადოდ იმოქმედოს როდესაც მოსალოდნელია ნეგატიური გენდერული ზემოქმედება, როგორც ეს ამ დირექტივის შემთხვევაშია; მოუწოდებს საბჭოს წერტილი დაუსვას აღნიშნული დირექტივისაგან თავის არიდებას, რადგან იგი მეტ ზიანს აყენებს ქალებს, ვიდრე მამაკაცებს და ართულებს შრომითი და ოჯახური ცხოვრების ურთიერთშეთავსებას;

24. მოუწოდებს კომისიას გაითვალისწინოს კავშირის ფინეთის პრეზიდენტის მიერ ორგანიზებული მამაკაცთა და გენდერული თანასწორობის კონფერენციის შედეგები და მამაკაცთა როლი გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესში;

25. მოუწოდებს კომისიას გამოიყენოს ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის საქმიანობა და გადაწყვეტილების მიღების მონაცემთა ბაზის<sup>28</sup> პროექტის მიღწევები, რათა საერთაშორისო,

<sup>27</sup> საბჭოს 1996 წლის 3 ივნისის 96/34/EC დირექტივა UNICE-ის, CEEP-ის და ETUC-ის დეკრეტული შვებულების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით (OJ L 145, 19.6.1996, გვ.4).

<sup>28</sup> პროექტს ახორციელებს კომისიის დასაქმებისა და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტი და იგი მიზნად ისახავს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის შესახებ მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს



ეროვნულ ან რეგიონულ დონეებზე შეფასდეს საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც ქალებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის საშუალებას აძლევს და ხელი შეუწყოს მის გავრცელებასა და დანერგვას, inter alia, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულ ქალთა ქსელის ხელშეწყობით;

26. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს შეიმუშავონ და განახორციელონ მკაფიო ამოცანები და შესრულების გრაფიკი ქალთა მონაწილეობის ზრდისათვის გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე და უზრუნველყონ პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი უფრო აქტიური მონაწილეობა;

27. მნიშვნელოვნად მიიჩნევს სამეცნიერო და კვლევით სფეროებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობას; ამ მიზნით საჭიროა სტრატეგიები და მექანიზმები, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფენ გენდერულ ბალანსს და ამ პროფესიებში მათ დახელოვნებას;

28. მიაჩნია, რომ მეცნიერულ პროფესიებში ქალთა არსებობას არანაკლებ შეუწყობს ხელს სახელშეკრულებო საშუალებები, როგორცაა სასწავლო გრანტები ან არასრულ განაკვეთზე მუშაობის გრანტები, რაც მათ საოჯახო და შრომითი ცხოვრების ურთიერთშეთავსებაში დაეხმარება;

29. მიაჩნია, რომ თუ მასმედია გააშუქებს როგორც ქალთა როლს საზოგადოებაში, ისე მათ მიღწევებს ყველა სექტორში, რასაც ხაზი უნდა გაესვას ქალთა პოზიტიური იმიჯის შესაქმნელად და სხვა ქალთა და მამაკაცთა გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაში ჩართულობის წასახალისებლად და შრომითი და ოჯახური ცხოვრების დასაბალანსებლად, იგი დიდ სამსახურს შეასრულებს ქალთა მიმართ არსებული ნეგატიური სტერეოტიპების შეცვლაში; აქედან გამომდინარე, კომისიას მოუწოდებს წახალისოს ინიციატივები მედია-2007 პროგრამის საფუძველზე, ამაღლოს მედიის ინფორმირებულობა, მაგალითად, ამ სექტორის წევრებთან მუდმივი საკონსულტაციო ფორუმების მეშვეობით იმ სტერეოტიპებზე, რომლებსაც ისინი გადასცემენ, და თანაბრი შესაძლებლობების ხელშეწყობის საკიხეთბზე, განაკუთრებით ახალგაზრდა მამაკაცთა და ქალთა ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით;

30. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს მიიღონ ზომები გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად, კერძოდ, შრომის ბაზართან მიმართებით, და ხელი შეუწყონ მამაკაცთა წარმომადგენლობას იმ სექტორებსა და პოზიციებზე, სადაც მირითადად ქალები არიან დასაქმებული, მაგალითად, დაწყებით სკოლებში და მზრუნველობით დაწესებულებებში;

31. მოუწოდებს კომისიას საგზაო რუკაში ჩართოს ტრანსგენდერულ პირთა უფლებები და მათ წინაშე მდგარი პრობლემები, ევროპის თანამეგობრობის სასამართლოს ბოლო განჩინებების შესაბამისად;

32. მოუწოდებს კომისიას განახორციელოს გენდერული მეინსტრიმინგისა და გენდერული საკითხების გათვითცნობიერების ტრეინინგები კომისრებისთვის, უმაღლესი დონის საჯარო მოხელეებისთვის, ხოლო მენეჯმენტის ტრეინინგი - ევროპის ყველა საჯარო მოხელისათვის;

33. მოუწოდებს კომისიას ხელი შეუწყოს ევროკავშირის ყველა ოფიციალურ დოკუმენტში და ევროკავშირის ყველა ოფიციალურ ენაზე თარგმანებში

---

(პოლიტიკური ინსტიტუტები, სამოქალაქო სამსახურები, მენეჯმენტი და შრომითი ორგანიზაციები, და წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციები).

url: [http://ec.europa.eu/employment\\_social/women\\_men\\_stats/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/employment_social/women_men_stats/index_en.htm)

გენდერულად მგრძობიარე ტერმინების და ყველა შესაბამისი კულტურისათვის მისადაგებული ტერმინოლოგიის გამოყენებას;

34. მოუწოდებს ევროპულ ინსტიტუტებს და დაწესებულებებს ხელი შეუწყონ გენდერულ თანასწორობას ადმინისტრაციულ დონეზე და მიზნად დაისახოს პარიტეტი ქალთა და მამაკაცთა შორის დაქირავებისას და თანამდებობაზე დანიშვნისას, განსაკუთრებით - მაღალ თანამდებობებზე;

35. მოუწოდებს კომისიას ცალკე თავი დაუთმოს საგზაო რუკას ყოველწლიურ მოხსენებაში ევროკავშირში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობების შესახებ და ამ თავში აღწეროს საგზაო რუკასთან მიმართებით მიღწეული პროგრესი;

36. მოუწოდებს კომისიას რეგულარულად მოახსენოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტს (კომიტეტებს) საგზაო რუკის მიმდინარეობის მონიტორინგის შედეგები, მათ შორის ქვეყნების შესახებ საჯარო მოხსენებების მეშვეობით;

37. ავალებს თავის პრეზიდენტს წინამდებარე რეზოლუცია გადასცეს საბჭოს, კომისიას, ევროპის ეკონომიკისა და სოციალურ კომიტეტს და რეგიონების კომიტეტს, და აღმასრულებელ და არჩევით ორგანოებს, რომლებიც თანაბარი შესაძლებლობის ასპექტებზე არიან პასუხისმგებელი ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე.

### **ევროპის პარლამენტის რეზოლუცია საერთაშორისო პოლიტიკაში ქალების მონაწილეობის შესახებ (2006/2057(INI))**

ევროპის პარლამენტი,

- ითვალისწინებს რა ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულების მე-2, მე-3(2), მე-13, 137(i)-ე და 141-ე მუხლებით დადგენილ პრინციპებს,
- ითვალისწინებს რა 2000<sup>29</sup> წელს გამოცხადებულ ევროპის კავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიას, განსაკუთრებით მის 23-ე მუხლს, რომლის თანახმად “მამაკაცთა და ქალთა შორის თანასწორობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა სფეროში, დასაქმების, შრომის და ანაზღაურების ჩათვლით. თანასწორობის პრინციპმა ხელი არ უნდა შეუშალოს ღონისძიებების შენარჩუნებას ან მიღებას, რომლებიც უზრუნველყოფენ სფეციფიკურ შეღავათებს არასათანადოდ წარმოდგენილი სქესის პირთათვის”,
- ითვალისწინებს რა 1950 წლის ევროპულ კონვენციას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ,
- ითვალისწინებს რა ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს და კერძოდ 2006 წლის 8-9 ივნისს სტოკჰოლმის მე-6 მინისტრიალის კონფერენციაზე – თანასწორობა ქალთა და მამაკაცთა შორის – მიღებულ მის რეზოლუციას და სამოქმედო გეგმას, განსაკუთრებით დანართის I ნაწილის F პუნქტს, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებულ მონაწილეობას ეხება,
- ითვალისწინებს რა 1992 წლის ათენის მინისტრიალის დეკლარაციას, რომელიც მიღებულ იქნა ევროპულ კონფერენციაზე – “ქალები ხელისუფლებაში”, სადაც ნათქვამია, რომ “ქალები წარმოადგენენ კაცობრიობის ნიჭისა და უნარის ნახევარს და გადაწყვეტილების მიღების

<sup>29</sup> OJ C 364, 18.12.2000, p. 1.

პროცესში მათი არასათანადო წარმოდგენა დანაკარგია მთლიანად საზოგადოებისათვის”,

- ითვალისწინებს რა 1999 წლის პარიზის მინისტრიალის დეკლარაციას, რომელიც მიღებულ იქნა ევროპულ კონფერენციაზე “ქალები და მამაკაცები ხელისუფლებაში – მზრუნველი საზოგადოება, დინამიური ეკონომიკა და ხედვა ევროპისთვის”,

- ითვალისწინებს რა 2003 წლის 21 ნოემბერს ქალთა და მამაკაცთა თაბარი შესაძლებლობების საპარლამენტო კომიტეტების ქსელის (NCEO) ყოველწლიური კონფერენციის საბოლოო დეკლარაციას,

- ითვალისწინებს რა ლისაბონის 2000 წლის მარტის სტრატეგიას ზრდისა და დასაქმების შესახებ, კერძოდ, მის აქცენტს გენდერულად მგრძობიარე ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედებაზე ზოგადად ზრდის სტრატეგიასა და კონკურენტუნარიანობაზე ევროპაში,

ითვალისწინებს რა საბჭოს 1995<sup>30</sup> წლის 27 მარტის რეზოლუციას და საბჭოს 1996 წლის 2 დეკემბრის 96/694/EC რეკომენდაციებს<sup>31</sup> გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებული მონაწილეობის შესახებ,

- ითვალისწინებს რა 2001 წლის 18 იანვარს მის მიერ მიღებულ რეზოლუციას<sup>32</sup> კომისიის მოხსენების შესახებ საბჭოს ზემოხსენებული 96/694/EC რეკომენდაციის განხორციელებასთან დაკავშირებით და 2000 წლის 2 მარტს მის მიერ მიღებულ რეზოლუციას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის შესახებ<sup>33</sup>,

- ითვალისწინებს რა მინისტრიალის დეკლარაციას, რომელიც მიღებულ იქნა 2005 წლის 4 თებერვალს ლუქსემბურგში ჩატარებულ გენდერული თანასწორობის საკითხებისადმი მიძღვნილ მინისტრთა კონფერენციაზე,

- ითვალისწინებს რა კომისიის საგზაო რუკას ქალთა და მამაკაცთა თანასწორობისთვის (2006-2010) (COM(2006)0092) და განსაკუთრებით მის წინადადებას მხარი დაუჭირონ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში ჩართულ ქალთა ქსელს,

- ითვალისწინებს რა გაეროს 1948 წლის საყოველთაო დეკლარაციას ადამიანის უფლებების შესახებ,

- ითვალისწინებს რა გაეროს 1979 წლის კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), რომელიც, inter alia, ადგენს, რომ ხელმომწერმა სახელმწიფოებმა ყველა სათანადო ღონისძიება უნდა განახორციელონ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში,

- ითვალისწინებს რა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის 1999 წლის ფაკულტატურ ოქმს, რომელიც ადგენს, რომ, ინდივიდუალურ პირებს, ან ინდივიდუალურ პირთა ჯგუფებს, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციით დადგენილი

---

<sup>30</sup> OJ C 168, 4.7.1995, გვ. 3.

<sup>31</sup> OJ L 319, 10.12.1996, გვ. 11.

<sup>32</sup> OJ C 262, 18.9.2001, გვ. 248.

<sup>33</sup> OJ C 346, 4.12.2000, გვ. 82.

რომელიმე უფლება, შეუძლიათ კომუნიკაცია შეიტანონ ხელმომწერი სახელმწიფოს იურისდიქციის საფუძველზე,

- მიუთითებს, რომ 1952 წლის კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ ადგენს, რომ, ქალებს, მამაკაცებთან თანაბარ პირობებში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, უნდა ჰქონდეთ ყველა არჩევნებში ხმის უფლება, ეროვნული კანონმდებლობით დაფუძნებულ ყველა სახალხოდ არჩეულ ორგანოებში არჩევის უფლება, სახელმწიფო ორგანოებში თანამდებობის დაკავების უფლება და ეროვნული კანონმდებლობით დაფუძნებული ყველა სახელმწიფო ფუნქციის განხორციელების უფლება,

- მიუთითებს 1966 წლის პაქტზე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, კერძოდ მის 25-ე მუხლზე, რომელიც ადგენს, რომ ყოველ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო საქმეებში, უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით, და აირჩიოს ან არჩეულ იქნეს ჭეშმარიტ პერიოდულ არჩევნებზე,

- ითვალისწინებს რა 1995 წლის სექტემბერში პეკინში ჩატარებულ ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციას, პეკინში მიღებულ დეკლარაციას და სამოქმედო პლატფორმას, ასევე მის შემდგომ გაეროს პეკინი +5 და გაეროს პეკინი+10 სპეციალურ სესიებზე მიღებულ დოკუმენტებს, რომლებიც ეხება პეკინის დეკლარაციის და სამოქმედო გეგმის განხორციელების შემდგომ მოქმედებებს და ინიციატივებს, რომლებიც შესაბამისად მიღებულ იქნა 2000 წლის 9 ივნისს და 2005 წლის 11 მარტს,

- ითვალისწინებს რა ათასწლეულის განვითარების მიზნებს (MDGs), კერძოდ მე-3 მიზანს, რომელიც მოითხოვს გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობას, როგორც შიმშილის, სიღარიბის და ავადმყოფობის აღმოფხვრის, განათლების ყველა დონეზე და შრომის ყველა სფეროში თანასწორობის მიღწევის, რესურსებზე თანასწორი კონტროლის და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობის განხორციელების წინაპირობას,

- ითვალისწინებს რა გაეროს უშიშროების კომიტეტის 2000 წლის 31 ოქტომბრის 1325 რეზოლუციას (UNSCR 1325(2000)), კერძოდ, მის 1-ლ პუნქტს, რომელიც წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს უზრუნველყონ ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო ინსტიტუტებში ქალთა გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე და კონფლიქტების პრევენციის, მართვის და გადაჭრის მექანიზმებში, ასევე ითვალისწინებს პრეზიდენტის განცხადებას, რომელიც გაკეთდა 2005 წლის ოქტომბერში გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 (2000) რეზოლუციის მეხუთე წლისთავთან დაკავშირებით,

- ითვალისწინებს 2000 წლის 30 ნოემბერს მის მიერ მიღებულ რეზოლუციას კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პროცესში ქალთა მონაწილეობის შესახებ<sup>34</sup>,

- ითვალისწინებს რა 2006 წლის 1 ივნისს მის მიერ მიღებულ რეზოლუციას შეირადებულ კონფლიქტებში ქალთა მონაწილეობის და პოსტკონფლიქტურ ქვეყნებში აღმშენებლობასა და დემოკრატიულ პროცესებში მათი როლის შესახებ<sup>35</sup>,

<sup>34</sup> OJ C 228, 13.8.2001, გვ. 186.

<sup>35</sup> ტექსტი მიღებულია, P6\_TA(2006)0245).

- ითვალისწინებს რა ზოგად საკითხთა და საგარეო ურთიერთობათა საბჭოს 2005 წლის 23 და 24 მაისის შეხვედრის დასკვნებს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შესახებ და გაეროს უშიშროების საბჭოს 1325(2000) რეზოლუციის იმპლემენტაციის სახელმძღვანელო პრინციპების პროექტს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (ESDP) კონტექსტში, რომელიც ევროპის საბჭომ 2005 წლის 16 დეკემბერს დაამტკიცა,
  - ითვალისწინებს რა ნორვეგიის მთავრობის გადაწყვეტილებას კანონით იქნეს შემოღებული ქალთა წარმომადგენლობის 40% კვოტა სააქციო კომპანიების მმართველ საბჭოებში,
  - ითვალისწინებს რა პროცედურული წესების 45-ე წესს,
  - ითვალისწინებს რა კომიტეტის მოხსენებას ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ (A6-0362/2006),
- A. მიაჩნია, რომ 1995 წლის პეკინის კონფერენცია ეპოქალური მიღწევაა გენდერული თანასწორობის განვითარებაში, პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის ჩათვლით,
- B. ვინაიდან პოლიტიკურ პროცესებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებული მონაწილეობა უფრო ზუსტად ასახავს საზოგადოების შემადგენლობას და მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისთვის და დემოკრატიული საზოგადოებების სათანადო ფუნქციონირებისათვის,
- C. ვინაიდან კარგი მმართველობა მოიცავს ძირითად თავისუფლებათა პატივისცემას და ქალთა უფლებების ძირითად ფუნდამენტურ უფლებებად მოაზრებას,
- D. ვინაიდან საერთაშორისო პოლიტიკაში ქალთა მდგომარეობა უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია მათ მდგომარეობაზე ეროვნულ დონეზე და იმ სტრატეგიებზე, რომელსაც ქალთა განვითარებისთვის ეროვნულ დონეზე ახორციელებენ,
- E. აღიარებს გაეროს გენერალური მდივნის როლის მნიშვნელობას, რომელსაც იგი ასრულებს გაეროს დაკომპლექტების პოლიტიკის მეშვეობით და მსოფლიოში აფუძნებს გენდერულად უკეთ დაბალანსებული არეალის მაგალითს,
- F. ვინაიდან გაეროს წევრი 191 ქვეყნიდან 1952 წლის 20 დეკემბრის კონვენციას ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ ხელი არ მოაწერა მხოლოდ 47-მა ქვეყანამ, მაგრამ 115 არის მისი მონაწილე მხარე, და ვინაიდან, ამის გამო, მთელ რიგ ქვეყნებში ქალებს საშუალება არა აქვთ სრულად განახორციელონ თავინთი პოლიტიკური უფლებები და ეკრძლებათ არჩევნებში მონაწილეობა ან სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობა,
- G. ვინაიდან საპარლამენტაშორისო კავშირის მონაცემებზე დაყრდნობით, მსოფლიოს 43961 პარლამენტარიდან (ქვედა და ზედა პალატებში ერთად) მხოლოდ 16,4% ქალია (ანუ 7195); ვინაიდან სკანდინავიის ქვეყნებში ყველაზე დიდია ქალ პარლამენტართა რაოდენობა (40%), შემდეგ მოდის ამერიკის კონტინენტის ქვეყნები (19,6%) და ევროპა (ეუთოს წევრი ქვეყნები, სკანდინავიის ქვეყნების გამოკლებით) საშუალოდ 16,9%-ით, რაც ოდნავ მაღალია ქვედა საპარის აფრიკის (16,4%), აზიის (16,3%), წყნარი ოკეანის ქვეყნების (12%) და არაბული სახელმწიფოების (8,3%) მაჩვენებელზე,
- H. ვინაიდან ეს პროცენტული შემადგენლობა მიუთითებს დემოკრატიის დეფიციტზე როგორც ევროპის დონეზე, ისე უფრო ფართო საერთაშორისო კონტექსტში,
- I. ვინაიდან, როგორც ევროპის უმრავლეს ქვეყანაში და მთლიანად მსოფლიოში თანასწორობის დე იურე არსებობის მიუხედავად, ქალთა და მამაკაცთა შორის

დე ფაქტო უთანასწორობა ქალთა უმრავლესობისთვის კვლავ არსებობს ხელისუფლების და პასუხისმგებლობის განაწილების და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ რესურსებზე ხელმისაწვდომობის სფეროებში, რასაც იწვევს დომინირებული გენდერული როლების არსებობა და მათი ზემოქმედება ოჯახური პასუხისმგებლობების განაწილებაზე და ოჯახური და პროფესიული ცხოვრების ურთიერთშეთავსებაზე,

J. ვინაიდან, ბოლო 30 წლის მანძილზე თანამეგობრობისა და ეროვნული კანონმდებლობის მიერ შემოღებული კანონებისა, თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის გენდერული ანაზღაურების სხვაობა ევროკავშირის ფარგლებში კვლავ 15%-ია,

K. ვინაიდან დღეს მეტ ქალს აქვს უნივერსიტეტის დიპლომი ვიდრე მამაკაცს,

L. ვინაიდან გენდერულად დაბალანსებულ კანდიდატთა სიის წარმოდგენის მოთხოვნა ვერ იქნება ეფექტიანი თუ ყველა ქალი სიის ბოლოს იქნება ჩართული და ვინაიდან კარგად აკინძულმა სიამაც შესაძლოა ვერ მოიტანოს სასურველი შედეგი თუ ქვეყანა “ღია სიით” ხმის მიცემის სისტემას იყენებს, რომელიც ამომრჩეველს სიაში კანდიდატთა თანმიმდევრობის შეცვლის საშუალებას აძლევს,

M. ითვალისწინებს რა პოლიტიკურ პარტიათა გადამწყვეტ როლს პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის ზრდის ხელშეშლაში ან ხელშეწყობაში სხვადასხვა გზების მეშვეობით; აღნიშნავს, რომ სულ უფრო მეტი პოლიტიკური პარტია აცხადებს, რომ მათი საერთო წარმომადგენლობა გენდერულად დაბალანსებულია, მაგრამ პოლიტიკურ პარტიათა ზედა დონეებზე ეს ასახული არ არის – მთელ მსოფლიოში პოლიტიკურ პარტიათა მხოლოდ 11%-ის ლიდერია ქალი,

N. დიდი ინტერესით აღნიშნავს, რომ არსებობს მთელი რიგი სხვა მექანიზმები პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ასამაღლებლად, როგორცაა პოზიტიური დისკრიმინაციის ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავენ ქალთა არსებობას და მონაწილეობას პარლამენტებში და სხვა არჩევით პოსტებზე,

O. ხაზს უსვამს, რომ ქვეყნებში, სადაც კონფლიქტები მიმდინარეობს და მათი საარჩევნო სისტემები გაეროს მიერ არის შემუშავებული და არჩევნების ორგანიზებას გაერო ახორციელებს, არჩევით პოსტებზე ქალთა მეტი რაოდენობაა მოსალოდნელი, რამეთუ გაერო გენდერულად უკეთ დაბალანსებულ წარმომადგენლობას აწესებს,

P. ითვალისწინებს დაბალანსებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის კულტურული აღქმის ცვლილების მნიშვნელობას ცნობიერების ამაღლების კამპანიების მეშვეობით, და ვინაიდან პოლიტიკაში გენდერული ბალანსის მიღწევა ხშირად მოითხოვს საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილებებს,

Q. ვინაიდან ქალებსა და მამაკაცებს შორის საოჯახო მოვალეობების გაზიარება ზეგავლენას ახდენს პოლიტიკაში ქალთა სრულ მონაწილეობაზე,

R. აღიარებს არასამთავრობო ორგანიზაციათა და ნებაყოფლობით გაერთიანებათა მნიშვნელოვან როლს მთლიანად საზოგადოებაზე ზემოქმედებაში, რათა მისაღები გახდეს პოლიტიკაში უფრო სამართლიანი გენდერული ბალანსი,

S. მიაჩნია, რომ ქალებს შეუძლიათ და უნდა შეიტანონ პოზიტიური წვლილი კულტურულ ცვლილებებში გენდერულ საკითხებზე და მთლიანად სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე, საბაზისო დონეზე მათი ჩართულობის მეშვეობით,

T. მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ადრეული განათლება და ტრენინგები რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქალთა მიერ ცოდნის, უნარ-ჩვევების და თვითრწმენის

შეძენა, რაც აუცილებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სრული მონაწილეობისათვის,

U. მიაჩნია, რომ ქალთა მონაწილეობას შეუძლია ნათელი მოჰფინოს ქალთა კონკრეტულ საჭიროებებს, იმგვარად, რომ სამომავლო პოლიტიკაში ინტეგრირებული იქნეს გენდერული პერსპექტივა და მთლიანობაში უკეთ მოემსახუროს დემოკრატიის განვითარებას,

V. ხაზს უსვამს, რომ მნიშვნელოვანია ქალთა აღიარება საერთაშორისო პლიტიკაში მათი თანასწორობის მიერ, მათ მიერ შეტანილი პოზიტიური წვლილის გამო, რაც ხელს შეუწყობს გენდერულად უკეთ დაბალანსებულ პოლიტიკურ კულტურას და აღნიშნავს, რომ ნობელის პრემიის 92 ლაურეატიდან მხოლოდ თორმეტია ქალი,

1. მოუწოდებს - როგორც ეს უკვე აღიარებულია ევროპის დონეზე, 2000 წლის 2 მარტის ზემოხსენებულ რეზოლუციაში – რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ორივე სქესის წარმომადგენელთა დაბალანსებული მონაწილეობა დემოკრატიის მნიშვნელოვანი პირობაა;

2. აღნიშნავს, რომ ზოლო არჩევნების შედეგად, ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში და მესამე ქვეყნებში ქალები უმაღლეს თანამდებობებზე მოვიდნენ, როგორც სახელმწიფოს და მთავრობების მეთაურები;

3. მიესალმება მთავრობის მეთაურებს, რომლებმაც გამოიყენეს ობიექტური და არადისკრიმინაციული კრიტერიუმები მათი კაბინეტების წევრთა შერჩევისას;

4. ღრმა სინანულით აღნიშნავს, რომ უხვი პოლიტიკური განცხადებების და რეკომენდაციების, მსოფლიოს მასშტაბით მიღებული სამოქმედო პროგრამებისა და ეროვნულ დონეზე შემოღებული სპეციფიკური კანონმდებლობის მიუხედავად, ევროპაში და მსოფლიოში კვლავ არსებობს უთანასწორობა და გენდერული დისკრიმინაცია და პოლიტიკაში ქალთა დაბალი წარმომადგენლობა; კერძოდ, აღნიშნავს, რომ ევროპის პარლამენტში არჩეულ ქალთა პროცენტული წილი 58%-დან 0%-მდე მერყეობს, წევრი სახელმწიფოდან გამომდინარე (საშუალო პროცენტული მაჩვენებელი 30%-ზე ოდნავ მაღალია), ხოლო წევრი სახელმწიფოების პარლამენტებში არჩეულ ქალთა ხვედრითი წილი 45%-სა და 9%-ს შორის მერყეობს;

5. ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ ცენტრებში და მთავრობაში ხშირად დაკავშირებულია დისკრიმინაციის პრობლემებთან შრომისა და ოჯახური ცხოვრების ურთიერთშეთავსების, საოჯახო მოვალეობების არათანაბარი განაწილების და სამუშაოზე და პროფესიულ ტრენინგებზე მიღების სფეროებში;

6. ხაზს უსვამს, რომ საჭიროა ციფრებს მიღმა ხედვა და ჭეშმარიტი ფოკუსირება იმ საკითხზე, თუ რა ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკაში აქტიური ქალები მთავრობის ჩამოყალიბებაზე და კონფლიქტების მოგვარებაზე, და რა წვლილი შეაქვთ მათ სამთავრობო რეფორმებში, ანგარიშვალდებულების და კანონის უზენაესობის განმტკიცებაში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე;

7. ხაზს უსვამს, რომ პოლიტიკაში ქალთა დაბალი ხვედრითი წილი ხელს უშლის ევროპას ძვირფასი ადამიანური პოტენციალის გამოყენებაში;

8. მხარს უჭერს საპარლამენტაშორისო კავშირის მიერ განხორციელებულ მუშაობას გენდერულად უკეთ დაბალანსებული სფეროების მიმართულებით;

9. მიესალმება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანასწორი მონაწილეობის საკითხის ჩართვას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) 2006 წლის სამუშაო გეგმაში და დიდი ინტერესით ელის მის დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

მოითხოვს, რომ კომისიამ და საბჭოს პრეზიდენტმა პარლამენტს მოახსენოს CEDAW –ის შესახებ მოლაპარაკებების შედეგები;

10. წუხს, რომ ქალები ნაკლებად არიან არასათანადოდ გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური და პირადი წარმომადგენლები, პირადი რწმუნებულები, პირადი და სპეციალური მრჩეველები, და ასევე მთლიანად გაეროს მაღალი დონის პოსტებზე;

11. სასურველად მიიჩნევს გაეროს გენერალურმა მდივანმა უფრო მეტი ქალი დანიშნოს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ და პირად წარმომადგენლად და პირად და სპეციალურ მრჩეველად; ხაზს უსვამს, რომ კარგი იქნებოდა თუ გაეროს წევრი სახელმწიფოები, კანდიდატ მამაკაცებთან ერთად, კანდიდატ ქალებსაც წარადგენდნენ, როდესაც გაეროს გენერალური მდივანი ასეთი მაღალი დონის პოსტებზე დანიშვნის საკითხს იხილავს;

12. სასურველად მიიჩნევს გაეროს უშიშროების საბჭოს დელეგაციებმა ჩართონ ქალები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გენდერზე ფოკუსირება ყველა სამშვიდობო ოპერაციაში, კონფლიქტის გადაჭრის ძალისხმევაში თუ სამშვიდობო მისიაში, და ასევე შეხვდნენ ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციებს კონფლიქტის ადგილების მონახულებისას;

13. მიესალმება საბჭოს გადაწყვეტილებას წევრ სახელმწიფოებს დაუგზავნოს კითხვარი, რომელიც მოითხოვს ინფორმაციას იმ ნაბიჯების შესახებ, რომელიც მათ გადადგეს გაეროს უშიშროების საბჭოს 1325(2000) რეზოლუციის განხორციელებისათვის; მოუწოდებს საბჭოს პარლამენტს გააცნოს მისი დასკვნები;

14. მტკიცედ უჭერს მხარს პოლიციელ ქალთა თა, სამოქალაქო და სამხედრო მუშაკთა ჩართვას ევროკავშირისა და გაეროს სამშვიდო მისიებში, რათა განმტკიცდეს კომუნიკაცია ადგილობრივი საზოგადოების ქალებთან და ზოგადად ადგილობრივ თემებთან;

15. წუხს, რომ ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის/პირადი წარმომადგენლის/სპეციალური რწმუნებულის თუ სპეციალური კოორდინატორის 14 პოსტიდან დღეისათვის მხოლოდ ერთი ქალი მუშაობს ევროკავშირის საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის (CFSP) უმაღლესი წარმომადგენლის სპეციალურ წარმომადგენლად<sup>36</sup>; მტკიცედ მოუწოდებს CFSP–ის უმაღლეს წარმომადგენელს მეტი ქალი დანიშნოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობებზე, წარმომადგენელად ან სპეციალურ რწმუნებულად; მოუწოდებს ევროკავშირის საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელს წევრ სახელმწიფოებს მოსთხოვოს, მამაკაცებთან ერთად წარუდგინონ კანდიდატი ქალები, როდესაც იგი ასეთი მაღალი დონის პოსტებზე დანიშვნის საკითხს იხილავს;

16. მოუწოდებს ევროკავშირის საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელს, კომისიას და ყველა წევრ სახელმწიფოს, მეტი ქალი დანიშნონ სამოქალაქო, სამხედრო და პოლიციის მუშაკებად, და გენდერული წარმომადგენელი დანიშნონ ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკის (ESDP) ყველა მისიაში, როგორც ეს გაკეთდა EUFOR–ის მისიაში კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის;

17. მტკიცედ უჭერს მხარს გენდერზე ორიენტირებულ ტრენინგებს ESDP–ის მისიების თანამშრომლებისათვის; ასევე მხარს უჭერს პუბლიკაციების გამოცემას გენდერული მექანიზმების შესახებ, რომელიც ასახავს გენდერის ჩართულობას

<sup>36</sup> ანალიზა ჯიანელა, ჰავეიერ სოლანას პირადი წარმომადგენელი მასობრივი იარაღის გაუზრცველებლობის საკითხებში.



- კონფლიქტში და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში, ყველა თანამშრომლისთვის, რომლებიც ESDP-ის ოპერაციებში არიან ჩართული;
18. მიესალმება ომისარ ქალკთა გაზრდილ რაოდენობას კომისიის პრეზიდენტის, ბაროკოს დროს, მაგრამ მწუხარებით მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ კომისიის დონეზე სრული პარიტეტი ჯერ კიდევ არ არის მიღწეული, რათა იგი სამაგალითო გახდეს ევროპასა და მსოფლიოში;
19. მიესალმება კომისიის მამაკცთა და ქალთა შორის თანასწორობის ახალ საგზაო რუკას, კერძოდ, მის გადაწყვეტილებას, ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულ ქალთა ქსელის განვითარებას;
20. მიესალმება იმ ფაქტს, რომ იქმნება გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი, რომელმაც ინიციატივები უნდა განახორციელოს საერთაშორისო პოლიტიკაში ქალთა მეტი წარმომადგენლობის ხელშესაწყობად;
21. მოუწოდებს კომისიას რეგულარულად მიაწოდოს მას ინფორმაცია ფუნდამენტურ უფლებების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის და თანაბარ შესაძლებლობების საკითხებზე მომუშავე კომისართა ჯგუფის საქმიანობის შესახებ;
21. შეწუხებულია იმ ფაქტით, რომ მესამე ქვეყნებში კომისიის 107 დელეგაციიდან და ოფისიდან მხოლოდ შვიდი ქალი არის დელეგაციის დელეგაციის ხელმძღვანელი; დაჟინებით სთხოვს კომისიას უფრო მეტი ქალი დანიშნოს საგარეო დელეგაციების უმაღლეს პოსტებზე;
22. მოუწოდებს კომისიას გამოიყენოს ევროკავშირის საგარეო ურთიერთობები და განვითარებისა და თანამშრომლობის პოლიტიკის მექანიზმები პოლიტიკაში ქალთა ხელშეწყობის ვექტორად, კერძოდ, ქალთა მონაწილეობას არჩევნებში, როგორც ხმის მიცემის, ისე პოლიტიკური კანდიდატების თვალსაზრისით, ასევე გენდერული საკითხების ჩართვას პოლიტიკური პარტიების პროგრამებში მათი საარჩევნო კამპანიის დროს, სხვა რეგიონულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დროს, განსაკუთრებით შესაძლებლობების განვითარების კუთხით;
24. მოუწოდებს კომისიას მეტი მხარდაჭერა აღმოუჩინოს პროექტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალთა მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც ევროკავშირის ფარგლებში, ისე მის გარეთ, კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში;
25. რეკომენდაციას იძლევა, რომ მისმა კომპეტენტურმა კომიტეტებმა დაამყარონ და მხარი დაუჭირონ მუდმივ და რეგულარულ თანამშრომლობას მთელი მსოფლიოს პარლამენტარ ქალ ებთან; მოუწოდებს უზრუნველყოფილ იქნეს რესურსები, რათა აფრიკის – კარიბის - წყნარი ოკეანის - ევროკავშირის ერთობლივ საპარლამენტო ასამბლეასთან (ACP-EU) შექმნილ ქალთა ფორუმს და სხვა საპარლამენტო ასამბლეების მსგავს “ფორუმებს”, სადაც ევროკავშირი მონაწილეობს, ერთობლივი ინიციატივების განხორციელების საშუალება ჰქონდეთ;
26. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, იქ სადაც საჭიროა, ხელი შეუწყონ საგანმანათლებლო პროგრამებს, რათა მოქალაქეებმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, ადრეული ასაკიდან მიიღონ ინფორმაცია პოლიტიკურ ცხოვრებაში სრული მონაწილეობის ქალთა თანაბარი უფლებების შესახებ;
27. მოუწოდებს გენდერული თანასწორობის მომავალ ევროპულ ინსტიტუტს, რეგულარულად მოახსენოს ევროპის პარლამენტს მის მიერ შეგროვებული მონაცემების, პარიტეტთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის ზემოქმედების და გენდერული თანასწორობის სტრატეგიების შესახებ, რომლებსაც წევრი სახელმწიფოები ახორციელებენ, და ასევე ევროპული და ეროვნული პოლიტიკური პარტიების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ;

28. მოუწოდებს გენდერული თანასწორობის მომავალ ევროპულ ინსტიტუტს, ევროპის მასტაბით განახორციელოს მონიტორინგი და შეაფასოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებული მონაწილეობის მიღწევები, რისთვისაც უნდა შეიმუშავოს და გამოიყენოს მინოტორინგისა და შეფასების ინდიკატორები, რომლებიც დაფუძნებული იქნება საერთაშორისო დონეზე თავსებად გენდერულად სეგრეგირებულ მონაცემებზე, ხოლო შემდეგ გამოაქვეყნოს და მთელ მსოფლიოში გაავრცელოს მოხსენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის ხელშემწყობი ღონისძიებების და მიღწევების შესახებ;

29. მოუწოდებს გენდერული თანასწორობის მომავალ ევროპულ ინსტიტუტს კავშირი დაამყაროს დამოუკიდებელ ორგანოებთან, როგორცაა ეროვნულ დონეზე დაფუძნებული პარიტეტის დამკვირვებელი ან სპეციალური დამოუკიდებელი მედიატორული ორგანოები, იმ მიზნით, რომ განხორციელდეს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებული მონაწილეობის სფეროში სამთავრობო პოლიტიკის მონიტორინგი;

30. მოუწოდებს გენდერული თანასწორობის მომავალ ევროპულ ინსტიტუტს ითანამშრომლოს კვლევით დაწესებულებებთან მაღალი დონის სახელმწიფო თანამდებობებზე და პოლიტიკურ ცხოვრებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის შემდგომი კვლევის მიზნით, პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის მიმართ არსებული სტერეოტიპების ჩათვლით;

31. მოუწოდებს გენდერული თანასწორობის მომავალ ევროპულ ინსტიტუტს გასცდეს ციფრებს და ფაქტობრივად შეაფასოს თუ რა ზეგავლენას ახდენენ ქალები პოლიტიკურ დღის წესრიგზე, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, კერძოდ, კარგი მმართველობის, ანგარიშვალდებულებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებაზე;

32. აღიარებს, რომ სახელმწიფოები მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ პოლიტიკური წარმომადგენლობის ეფექტიან ცვლილებებში; დაჟინებით სთხოვს ყველა სახელმწიფოს შეასრულონ ვალდებულებები, რომელიც იკისრეს 1995 წლის სექტემბერში მიღებული პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის, პეკინი+5 და პეკინი+10 შეხვედრების საფუძველზე, ასევე მათზე საერთაშორისო სამართლით დაკისრებული ვალდებულებები, განაკუთრებით გაეროს უშიშროების საბჭოს 1325(2000) რეზოლუციის და ლისაბონის სტრატეგიის კუთხით;

33. მოუწოდებს ყველა წევრ სახელმწიფოს ხელი შეუწყოს ქალებს განაცხადი შეიტანონ მაღალი თანამდებობების დასაკავებლად საერთაშორისო არენაზე და დაჟინებით სთხოვს წევრ სახელმწიფოებს მამაკაცებთან ერთად წარმოადგინონ ქალი კანდიდატები საერთაშორისო მოლაპარაკებების და პოლიტიკის შემმუშავებელ სტრუქტურებში მაღალ თანამდებობებზე დასანიშნად, კერძოდ, საერთაშორისო ორგანიზაციებში;

34. მოუწოდებს კომისიას გააანალიზოს და გაავრცელოს საერთაშორისო და ეროვნულ ღონისძიებათა კარგი პრაქტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა გაძლიერებულ მონაწილეობას საერთაშორისო პოლიტიკის უმაღლესი დონის პოზიციებზე;

35. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს უფრო მეტი ქალი მიიზიდოს, ასწავლოს და დანიშნოს დიპლომატიურ პოსტებზე და ხელი შეუწყოს გაეროში და სხვა საერთაშორისო შეხვედრებსა და კონფერენციებზე მათი დელეგაციების გენდერულ ბალანსს;

36. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს აამაღლოს მათი ქვეყნების საზოგადოების ცნობიერება, რათა ბოლო მოეღოს საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე პოლიტიკურ პროცესებში ქალთა თანაბრი მონაწილეობის შესაძლებლობებისადმი; მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს ხელი შეუწყონ გენდერულ ბალანსს ყველა სახელმწიფო თანამდებობაზე;
37. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს შეიმუშავონ ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოციალური, ოჯახური და პროფესიული ცხოვრების ურთიერთშეთავსებას, 2002 წლის 15 და 16 მარტის ბარსელონას ევროპული საბჭოს დასკვნების და ლისაბონის სტრატეგიის შესაბამისად, და ამის საფუძველზე შექმნან გარემო, რომელიც ქალებს პოლიტიკურ ცხოვრებაში სრული მონაწილეობის საშუალებას მისცემს;
38. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს მიიღონ სათანადო კანონმდებლობა და/ან ადმინისტრაციული ზომები არჩეული წევრების ხელშესაწყობად, რათა მათ ერთმანეთს შეუთავსონ თავიანთი ოჯახური და საზოგადოებრივი ვალდებულებები; კერძოდ, მოუწოდონ პარლამენტებს და ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს, უზრუნველყონ, რომ, მათი გრაფიკი და მუშაობის მეთოდები, ორივე სქესის არჩევით წარმომადგენლებს, მათი შრომითი და ოჯახური ცხოვრების ურთიერთშეთავსების საშუალებას აძლევდეს;
39. მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს ტრენინგის მეტი საშუალებები შესთავაზონ ქალებს, რათა მათ შეძლონ საჭირო უნარ-ჩვევების შექმნა და პოლიტიკაში კარიერის განვითარება, და გაუადვილდეთ მაღალი დონის პოსტების დაკავება;
40. მოუწოდებს მთელი ევროპის პოლიტიკურ პარტიებს ხელი შეუწყონ მათი კანდიდატების სიებში ორივე სქესის წარმომადგენელთა დაბალანსებულ ჩართვას;
41. მოუწოდებს მთელი ევროპის პოლიტიკურ პარტიებს მოხსნან ყველა ბარიერი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, რომელიც ქალთა მონაწილეობის დისკრიმინაციას იწვევს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქალთა უფლება სრული მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე ყველა შიდა სტრუქტურაში და დანიშნის პროცესებში, ასევე პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელობაში, მამაკაცებთან თანაბარი პირობებით;
42. მოუწოდებს კომპეტენტურ ორგანოებს უზრუნველყონ პოლიტიკური ტრენინგები ქალებისა და მამაკაცებისათვის, რომლებსაც პოლიტიკაში ჩართვის სურვილი აქვთ, საჯარო გამოსვლების ტრენინგის ჩათვლით;
43. მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს არჩევითი სამსახურების პარტიულ სიებში ჩართონ კვალიფიციური ქალები და მამაკაცები;
44. მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს მიმართონ ქალებს მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და ხმის მიცემის პროცესებში, და თავიანთ პარტიულ პროგრამებში აამაღლონ ინფორმირებულობა ქალთა კონკრეტული საჭიროებებისა და მისწრაფებების შესახებ;
45. მოუწოდებს მის საპარლამენტაშორისო დელეგაციებს, კომიტეტის მისიებსა და დელეგაციებს, თავიანთი საქმიანობის ფარგლებში, გაითვალისწინონ გენდერული თანასწორობის და მათ ინსტიტუციურ თანამშრომლობაში ქალთა სათანადო წარმომადგენლობის საკითხები;
46. კვლავ ადასტურებს თავის ვალდებულებას გენდერული მენისტრინგის მიდგომის და მის ყველა დელეგაციასა და მისიაში გენდერულად

დაბალანსებული წარმომადგენლობის მიმართ, არჩევნების დამკვირვებელთა მისიების ჩათვლით;

47. მოუწოდებს არჩევნების დამკვირვებელთა მისიებს, რომლებსაც მისი ზოგიერთი წევრი ხელმძღვანელობს, განაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქალთა მონაწილეობას პოლიტიკურ კამპანიებში, იქნება ეს კანდიდატი თუ ამომრჩეველი;

48. მიესალმება ახალგაზრდა ქალთა დაწინაურებას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში, რათა მათ საშუალება მიეცეთ შეიძინონ გამოცდილება, უნარ-ჩვევები და სიმტკიცე, რომელიც პოლიტიკური მონაწილეობის სფეროში შეიძლება იქნეს გადატანილი;

49. მიესალმება არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნას, კერძოდ, ისეთი ორგანიზაციების, რომლებიც მიზნად ისახავენ ქალთა გაძლიერებას, ლიდერობის, გადაწყვეტილების მიღების, საჯარო გამოსვლების, ინფორმაციის და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების, ნდობის ადდგენის და პოლიტიკური კამპანიების ჩატარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, და მხარს უჭერს ასეთი ტიპის უკვე არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს;

50. მოუწოდებს მედიას აღიაროს პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობა, უზრუნველყოს ქალი და მამაკაცი კანდიდატების სამართლიანი და დაბალანსებული გაშუქება და ასევე ყურადღება მიაქციოს პარტიათა პროგრამების ზემოქმედებას ქალთა საჭიროებების და უფლებების ხელშეწყობაზე და დემოკრატიულ წარმომადგენლობაზე;

51. ავალებს თავის პრეზიდენტს წინამდებარე რეზოლუცია გადასცეს საბჭოს, კომისიას, ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებს და ორგანოებს, წევრი სახელმწიფოების მთავრობებს და პარლამენტებს, გაეროს წევრებს და გაეროს გენერალურ მდივანს.

## ევროპული საბჭო

### საბჭოს 1975 წლის 10 თებერვლის დირექტივა წევრი სახელმწიფოების მამაკაცებისა და ქალების თანაბარი ანაზღაურების პრინციპთან დაკავშირებული კანონების დაახლოების შესახებ (75/117/EEC)

ევროპული თანამეგობრობის საბჭო,

ითვალისწინებს რა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებას, განსაკუთრებით მის მე-100 მუხლს;

ითვალისწინებს რა კომისიის წინადადებას,

ითვალისწინებს რა ევროპის პარლამენტის დასკვნას (1);

(1) OJ No C 55, 13.5.1974, გვ. 43.

ითვალისწინებს რა ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის (2) დასკვნას;

(2) OJ No C 88, 26.7.1974, გვ. 7.

ვინაიდან ხელშეკრულების 119-ე მუხლით დადგენილი მამაკაცებისა და ქალებისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპი საერთო ბაზრის შექმნისა და ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია;

ვინაიდან ამ პრინციპის დაცვა უპირველეს ყოვლისა წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობაა, რასაც ისინი ახორციელებენ შესაბამისი კანონებით, მარეგულირებელი აქტებითა და ადმინისტრაციული დებულებებით;

ვინაიდან საბჭოს 1974 წლის 21 იანვრის (3) რეზოლუცია, რომელიც სოციალური მოქმედების პროგრამას ეხება და მიზნად ისახავს ცხოვრებისა და სამუშაო პირობების ჰარმონიზების შესაძლებლობის განვითარებას, გაუმჯობესების შენარჩუნებით და თანამეგობრობის დაბალანსებული სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიღწევით, სადაც აღიარებულია, რომ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ღონისძიებას, რომელიც ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ხორციელდება, დასაქმებაზე და პროფესიულ ტრენინგებზე ხელმისაწვდომობისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების და ანაზღაურების ჩათვლით;

(3) OJ No C 13, 12.2.1974, გვ. 1.

ვინაიდან სასურველია საბაზისო კანონების განმტკიცება ნორმებით, რომლებიც თანასწორობის პრინციპის პრაქტიკული გამოყენების ხელშეწყობას ისახავენ მიზნად ისეთი გზით, რომ თანამეგობრობის ფარგლებში ყველა დასაქმებული დაცული იყოს ამ საკითხებში;

ვინაიდან, წევრი სახელმწიფოების 1961 წლის 30 დეკემბრის კონფერენციის რეზოლუციის განხორციელების ძალისხმევის მიუხედავად, მთელ რიგ წევრ სახელმწიფოებში კვლავ არსებობს განსხვავებები მამაკაცებისა და ქალების ანაზღაურებას შორის, და, ვინაიდან, აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს ეროვნული დებულებების დაახლოება თანაბრი ანაზღაურების პრინციპის გამოყენების კუთხით,

დებულობს ამ დირექტივას:

## **მუხლი 1**

ხელშეკრულების 119-ე მუხლში ჩამოყალიბებული პრინციპი მამაკაცებისა და ქალების თანაბარი ანაზღაურების შესახებ, შემდგომში “თანაბარი ანაზღაურების პრინციპი”, ნიშნავს, თანაბარი სამუშაოსთვის ან თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის ანაზღაურების ყველა ასპექტში და პირობებში სქესის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

კერძოდ, იქ სადაც ანაზღაურების განსაზღვრისთვის სამუშაოს კლასიფიკაციის სისტემა გამოიყენება, იგი დაფუძნებულ უნდა იქნეს ერთსა და იმავე კრიტერიუმებზე როგორც მამაკაცებისთვის, ისე ქალებისთვის, და იგი უნდა გამორიცხავდეს დისკრიმინაციას სქესის ნიშნით.

## **მუხლი 2**

წევრი სახელმწიფოები თავიანთ ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში ნერგავენ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც, ყველა დასაქმებულს, რომელიც თანაბარი ანაზღაურების პრინციპის დაუცველობის გამო თავს დაზარალებულად მიიჩნევს, საშუალებას აძლევს სასამართლო პროცესის მეშვეობით დააკმაყოფილოს თავისი საჩივარი, სხვა კომპეტენტურ ორგანოებში შესაძლო მიმართვის შემდეგ.

## **მუხლი 3**

წევრი სახელმწიფოები აუქმებენ ყველა ფორმის დისკრიმინაციას მამაკაცსა და ქალს შორის, რომელიც გამომდინარეობს კანონებიდან, მარეგულირებელი აქტებიდან ან ადმინისტრაციული დებულებებიდან და რომლებიც თანაბარი ანაზღაურების პრინციპს ეწინააღმდეგებიან.

## **მუხლი 4**

წევრი სახელმწიფოები საჭირო ზომებს ღებულობენ, რათა უზრუნველყონ კოლექტიურ ხელშეკრულებებში, სახელფასო განაკვეთებში, სახელფასო შეთანხმებებში ან დასაქმების ინდივიდუალურ კონტრაქტებში არსებული თანაბარი ანაზღაურების პრინციპის საწინააღმდეგო დებულებების გაუქმება ან შესწორება.

## **მუხლი 5**

წევრი სახელმწიფოები საჭირო ზომებს ღებულობენ დამსაქმებლის მიერ მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნის წინააღმდეგ, როდესაც დათხოვნა არის რეაგირება საჩივარზე შეთანხმების ან ნებისმიერი სამართლებრივი პროცესის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს თანაბარი ანაზღაურების პრინციპთან შესაბამისობის განმტკიცებას.

## **მუხლი 6**

წევრი სახელმწიფოები, თავიანთი ეროვნული გარემოებების და სამართლებრივი სისტემების შესაბამისად, ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს თანაბარი ანაზღაურების პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად. ისინი ითვალისწინებენ ეფექტიანი საშუალებების არსებობას ამ პრინციპის დაცვის მიზნით.

## **მუხლი 7**

წევრი სახელმწიფოები ზრუნავენ, რომ წინამდებარე დირექტივის საფუძველზე მიღებული დებულებები, უკვე ძალაში მყოფ შესაბამის დებულებებთან ერთად, დასაქმებულთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდეს ყველა სათანადო საშუალებების გამოყენებით, მაგალითად, მათი დასაქმების ადგილზე.

## მუხლი 8

1. წევრი სახელმწიფოები დებულობენ კანონებს, მარეგულირებელ აქტებს და ადმინისტრაციულ დებულებებს, რომლებიც საჭიროა ამ დირექტივის დასაკმაყოფილებლად, დირექტივის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებენ კომისიას.
2. წევრი სახელმწიფოები კომისიას უგზავნიან კანონების, მარეგულირებელი აქტების და ადმინისტრაციული დებულებების ტექსტებს, რომლებიც მათ ამ დირექტივით მოცულ სფეროში მიიღეს.

## მუხლი 9

მე-8 მუხლში მითითებული ერთწლიანი ვადიდან ორი წლის განმავლობაში წევრი სახელმწიფოები კომისიას უგზავნიან ყველა საჭირო ინფორმაციას, რაც მას საშუალებას მისცემს საბჭოსთვის წარსადგენად შეიმუშავოს მოხსენება ამ დირექტივის შესრულების შესახებ.

## მუხლი 10

დირექტივა განკუთვნილია წევრი სახელმწიფოებისათვის.

### **საბჭოს 1976 წლის 9 თებერვლის დირექტივა მამაკაცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელების შესახებ, დასაქმებაზე, პროფესიულ ტრენინგზე და დაწინაურებაზე ხელმისაწვდომობის, და სამუშაო პირობების გათვალისწინებით (76/207/EEC)**

ევროპის თანამეგობრობის საბჭო,

ითვალისწინებს რა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებას, და განსაკუთრებით მის 235-ე მუხლს,

ითვალისწინებს რა კომისიის წინადადებას,

ითვალისწინებს რა ევროპის პარლამენტის დასკვნას (1),

ითვალისწინებს რა ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის დასკვნას (2),

ვინაიდან საბჭომ, თავის 1974 წლის 21 იანვრის დირექტივაში სოციალური სამოქმედო პროგრამის შესახებ (3) პრიორიტეტებს შორის ჩართო მოქმედება მამაკაცთა და ქალთა შორის თანასწორობის მისაღწევად, რომელიც ითვალისწინებს ხელმისაწვდომობას დასაქმებაზე, პროფესიულ ტრენინგზე და დაწინაურებაზე, და ასევე სამუშაო პირობებს, ანაზღაურების ჩათვლით;

ვინაიდან, ანაზღაურებასთან დაკავშირებით, 1975 წლის 10 თებერვალს მიიღო 75/117/EEC დირექტივა წევრი სახელმწიფოების კანონების დაახლოების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული არიან მამაკაცებისა და ქალებისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის გამოყენებასთან (4);

ვინაიდან ასევე საჭიროა თანამეგობრობის მოქმედება რათა მიღწეულ იქნეს მამაკაცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპი დასაქმებასა და პროფესიულ ტრენინგზე და დაწინაურებაზე ხელმისაწვდომობის და სხვა

სამუშაო პირობების თვალსაზრისით; ვინაიდან მამაკაცი და ქალი მუშაკების მიმართ თანაბარი მოპყრობა თანამეგობრობის ერთ-ერთი ამოცანაა, რადგან უნდა გაღრმავდეს ცხოვრებისა და სამუშაო პირობების ჰარმონიზაცია, ხოლო იმავდროულად უნდა მოხდეს მათი გაუმჯობესება; ვინაიდან ხელშეკრულება ამ მიზნისთვის სპეციალურ უფლებამოსილებებს არ აწესებს;

ვინაიდან სოციალური უზრუნველყოფის საკითხებში თანაბარი მოპყრობის პრინციპის განსაზღვრა და თანდათანობითი განხორციელება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შემდგომი დოკუმენტებით,

### **ღეგულოვს ამ ღირებულებას:**

#### **მუხლი 1**

1. ამ დირექტივის მიზანია წევრ სახელმწიფოში ამოქმედოს მამაკაცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპი, დასაქმებაზე, პროფესიულ ტრენინგზე და დაწინაურებაზე ხელმისაწვდომობის, და სამუშაო პირობების გათვალისწინებით, და სოციალური უზრუნველყოფის პრინციპი, მე-2 პუნქტში მითითებული პირობების საფუძველზე. ეს პრინციპი შემდგომში მოიხსენება როგორც “თანაბარი მოპყრობის პრინციპი”.

2. სოციალური უზრუნველყოფის სფეროში თანაბარი მოპყრობის პრინციპის თანდათანობითი უზრუნველყოფის მიზნით, საბჭო, მოქმედებს რა კომისიის წინადადების შესაბამისად, მიიღებს დებულებებს მისი შინაარსის, ფარგლების და გამოყენების სქემების შესახებ.

#### **მუხლი 2**

1. მომდევნო დებულებების მიზნებისთვის თანაბარი მოპყრობის პრინციპი ნიშნავს რაიმე სახის დისკრიმინაციის დაუშვებლობას სქესის საფუძველზე, პირადპირი თუ არაპირდაპირი გზით, განსაკუთრებით ქორწინებისა და ოჯახური სტატუსის მიმართ.

2. ეს დირექტივა არ ზღუდავს წევრი სახელმწიფოების უფლებას მისი გამოყენების სფეროდან გამორიცხოს ის პროფესიული საქმიანობები, და, სათანადო შემთხვევაში, მათთვის საჭირო ტრენინგები, სადაც, თავიანთი ბუნებიდან ან მათი განხორციელების ფორმების კონტექსტიდან გამომდინარე, სქესს გადამწყვეტი ფაქტორი ენიჭება.

3. ეს დირექტივა ზიანს არ აყენებს დებულებებს ქალთა დაცვის შესახებ, განსაკუთრებით ორსულობასთან და დედობასთან დაკავშირებულ დებულებებს.

4. ეს დირექტივა ზიანს არ აყენებს ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ მამაკაცთა და ქალთა თანაბარი შესაძლებლობების განვითარებას, კერძოდ, არსებული უთანასწორობის აღმოფხვრის გზით, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ქალთა შესაძლებლობებზე 1-ლ მუხლში მითითებულ სფეროებში. (1)OJ No C 111, 20.5.1975, გვ. 14. (2)OJ No C 286, 15.12.1975, გვ. 8. (3)OJ No C 13, 12.2.1974, გვ. 1. (4)OJ No L 45, 19.2.1975, გვ. 19.

#### **მუხლი 3**

1. თანაბარი მოპყრობის პრინციპის გამოყენება ნიშნავს, რომ დაუშვებელია რაიმე სახის დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე, შერჩევის კრიტერიუმების ჩათვლით, ყველა სახის სამუშაოზე ან თანამდებობაზე ხელმისაწვდომობის მიმართ, საქმიანობის სექტორის თუ სფეროს მიუხედავად, და დასაქმების იერარქიის ყველა დონეზე.



2. ამ მიზნით წევრი სახელმწიფოები ღებულობენ ზომებს, რათა უზრუნველყონ: (ა) თანაბარი მოპყრობის პრინციპის საწინააღმდეგო ნებისმიერი კანონის, მარეგულირებელი აქტის და ადმინისტრაციული ღებულების გაუქმება;

(ბ). კოლექტიურ ხელშეკრულებებში, დასაქმების ინდივიდუალურ კონტრაქტებში, საწარმოს შიდა წესებში ან დამოუკიდებელი საქმიანობების ან პროფესიების სახელმძღვანელო წესებში ჩართული ნებისმიერი ღებულების, რომელიც ეწინააღმდეგება თანაბარი მოპყრობის პრინციპს, გაუქმება, ან შესაძლო შესწორება

(გ) კანონები, მარეგულირებელი აქტები და ადმინისტრაციული ღებულებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან თანაბარი მოპყრობის პრინციპს, უნდა გადაისინჯონ, როდესაც მათი თავდაპირველი დასაცავი მიზანი უკვე კარგად დასაბუთებული აღარ არის; ხოლო სადაც მსგავსი ღებულებები კოლექტიურ ხელშეკრულებებშია ჩართული, მენეჯმენტს და მუშაკებს მოეთხოვებათ განახორციელონ სასურველი შესწორებები.

#### **მუხლი 4**

თანაბარი მოპყრობის პრინციპის გამოყენება ყველა ტიპის და ყველა დონის პროფესიული ხელმძღვანელობის, პროფესიული ტრენინგების, კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ხელმისაწვდომობის მიმართ ნიშნავს, რომ, წევრი სახელმწიფოები ყველა საჭირო ზომებს ღებულობენ, რათა უზრუნველყონ: (ა) თანაბარი მოპყრობის პრინციპის საწინააღმდეგო ნებისმიერი კანონის, მარეგულირებელი აქტის და ადმინისტრაციული ღებულების გაუქმება;

(ბ) კოლექტიურ ხელშეკრულებებში, დასაქმების ინდივიდუალურ კონტრაქტებში, საწარმოს შიდა წესებში ან დამოუკიდებელი საქმიანობების ან პროფესიების სახელმძღვანელო წესებში ჩართული ნებისმიერი ღებულების, რომელიც ეწინააღმდეგება თანაბარი მოპყრობის პრინციპს, გაუქმება, ან შესაძლო შესწორება;

(გ) ცალკეულ წევრ სახელმწიფოებში ზოგიერთ კერძო სასწავლო დაწესებულებებისათვის მინიჭებული თავისუფლებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, პროფესიული მმართველობა, პროფესიული ტრენინგები, კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ერთნაირი კრიტერიუმების საფუძველზე და ერთი და იგივე დონეებისთვის, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

#### **მუხლი 5**

1. თანაბარი მოპყრობის პრინციპის გამოყენება სამუშაო პირობებთან დაკავშირებით, სამსახურიდან განთავისუფლების პირობების ჩათვლით, ნიშნავს, რომ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ერთნაირი პირობები მამაკაცებისა და ქალებისათვის, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

2. ამ მიზნით წევრი სახელმწიფოები ღებულობენ საჭირო ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ: (ა) გაუქმდეს ნებისმიერი კანონი, მარეგულირებელი აქტი და ადმინისტრაციული ღებულება, რომელიც ეწინააღმდეგება თანაბარი მოპყრობის პრინციპს;

(ბ) კოლექტიურ ხელშეკრულებებში, დასაქმების ინდივიდუალურ კონტრაქტებში, საწარმოს შიდა წესებში ან დამოუკიდებელი საქმიანობების ან პროფესიების სახელმძღვანელო წესებში ჩართული ნებისმიერი ღებულება, რომელიც ეწინააღმდეგება თანაბარი მოპყრობის პრინციპს, უნდა გაუქმდეს, ან შეიძლება შესწორდეს;

(გ) კანონები, მარეგულირებელი აქტები და ადმინისტრაციული დებულებები, რომელიც ეწინააღმდეგება თანაბარი მოპყრობის პრინციპს, უნდა გადაისინჯონ, როდესაც მათი თავდაპირველი დასაცავი მიზანი უკვე კარგად დასაბუთებული აღარ არის; ხოლო სადაც მსგავსი დებულებები კოლექტიურ ხელშეკრულებებშია ჩართული, მენეჯმენტს და მუშაკებს მოეთხოვებათ განახორციელონ სასურველი შესწორებები.

### **მუხლი 6**

წევრ სახელმწიფოებს თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში შემოაქვთ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც, ყველა დასაქმებულს, რომელიც თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაუცველობის გამო თავს დაზარალებულად მიიჩნევს მე-3, მე-4 და მე-5 მუხლების მნიშვნელობის ფარგლებში, საშუალება ჰქონდეს სასამართლო პროცესის მეშვეობით დააკმაყოფილოს თავისი საჩივარი, სხვა კომპეტენტურ ორგანოებში შესაძლო მიმართვის შემდეგ.

### **მუხლი 7**

წევრი სახელმწიფოები საჭირო ზომებს ღებულობენ დამსაქმებლის მიერ მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნის წინააღმდეგ, როდესაც დათხოვნა არის რეაგირება საჩივარზე შეთანხმების ან ნებისმიერი სამართლებრივი პროცესის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს თანაბარი მოპყრობის პრინციპთან შესაბამისობის განმტკიცებას.

### **მუხლი 8**

წევრი სახელმწიფოები ზრუნავენ, რომ წინამდებარე დირექტივის საფუძველზე მიღებული დებულებები, უკვე ძალაში მყოფ შესაბამის დებულებებთან ერთად, დასაქმებულთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდეს ყველა სათანადო საშუალებების გამოყენებით, მაგალითად, მათი დასაქმების ადგილზე.

### **მუხლი 9**

1. წევრი სახელმწიფოები ღებულობენ კანონებს, მარეგულირებელ აქტებს და ადმინისტრაციულ დებულებებს, რომლებიც საჭიროა ამ დირექტივის დასაკმაყოფილებლად, დირექტივის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 30 თვის განმავლობაში და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებენ კომისიას. თუმცა, მე-3(2)(გ) მუხლის პირველ ნაწილთან და მე-5(2)(გ) მუხლის პირველ ნაწილთან დაკავშირებით, წევრი სახელმწიფოები ატარებენ აქ მითითებული კანონების, მარეგულირებელი აქტების და ადმინისტრაციული დებულებების პირველ შემოწმებას, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში - პირველ გადასინჯვას, ამ დირექტივის შეტყობინების მიღებიდან ოთხი წლის განმავლობაში.
2. წევრი სახელმწიფოები პერიოდულად აფასებენ მე-2(2) მუხლში მითითებულ პროფესიულ საქმიანობებს, რათა, სოციალური მოვლენების შუქზე გადაწყვიტონ, არსებობს თუ არა მოცემული გამორიცხვების შენარჩუნების საფუძველი. ამ შეფასების შედეგების შესახებ ისინი აცნობებენ კომისიას.
3. წევრი სახელმწიფოები კომისიას უგზავნიან კანონების, მარეგულირებელი აქტების და ადმინისტრაციული დებულებების ტექსტებს, რომლებიც მათ ამ დირექტივით მოცულ სფეროში მიიღეს.

### **მუხლი 10**

მე-9 მუხლის პირველ ქვეპუნქტში დადგენილი 30 თვიანი პერიოდის გავლის შემდეგ, წევრი სახელმწიფოები კომისიას უგზავნიან ყველა საჭირო

ინფორმაციას, რაც მას საშუალებას მისცემს საბჭოსთვის წარსადგენად შეიმუშავოს მოხსენება ამ დირექტივის შესრულების შესახებ.

### **საბჭოს 1978 წლის 19 დეკემბრის დირექტივა სოციალური უზრუნველყოფის საკითხებში მამაკაცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის თანდათანობითი განხორციელების შესახებ (79/7/EEC)**

ევროპის თანამეგობრობის საბჭო,

ითვალისწინებს რა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებას, და კერძოდ მის 235-ე მუხლს,

ითვალისწინებს რა კომისიის წინადადებას (1),

ითვალისწინებს რა ევროპის პარლამენტის დასკვნას (2),

ითვალისწინებს რა ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის დასკვნას (3),

ვინაიდან საბჭოს 1976 წლის 9 თებერვლის დირექტივის - მამაკაცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელების შესახებ, დასაქმებაზე, პროფესიულ ტრენინგზე და დაწინაურებაზე ხელმისაწვდომობის, და სამუშაო პირობების გათვალისწინებით (76/207/EEC) – 1(2) მუხლი ადგენს, რომ სოციალური უზრუნველყოფის სფეროში თანაბარი მოპყრობის პრინციპის თანდათანობითი განხორციელების მიზნით, საბჭო, მოქმედებს რა კომისიის წინადადების შესაბამისად, ღებულობს დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ მის შინაარსს, ფარგლებს და გამოყენების სქემებს; ვინაიდან ხელშეკრულება ამ მიზნებისთვის საჭირო უფლებამოსილებებს არ ანიჭებს;

ვინაიდან სოციალური უზრუნველყოფის საკითხებში თანაბარი მოპყრობის პრინციპი უპირველეს ყოვლისა უნდა განხორციელდეს: საკანონმდებელ სქემებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ავადმყოფობის, შრომისუუნარობის, ხანდაზმულობის, სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებებისა და უმუშევრობის რისკებისგან დაცვას; და სოციალური დახმარებების სისტემებში, რამდენადაც ისინი გამიზნული არიან ზემოხსენებული სქემების შესავსებად ან ჩასანაცვლებლად;

ვინაიდან სოციალური უზრუნველყოფის საკითხებში თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელება ზიანს არ აყენებს დებულებებს, რომლებიც დაკავშირებული არიან დედობის საფუძველზე ქალთა დაცვასთან; ვინაიდან, ამ თვალსაზრისით, წევრ სახელმწიფოებს, არათანაბარი მოპყრობის არსებული შემთხვევების ამოღების მიზნით შეუძლიათ მიიღონ სპეციფიკური დებულებები,

ღებულობს ამ დირექტივას:

#### **მუხლი 1**

ამ დირექტივის მიზანია, სოციალური უზრუნველყოფის და მე-3 მუხლით განსაზღვრული სოციალური დაცვის სხვა ელემენტების სფეროში, მამაკაცთა

და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის თანდათანობითი განხორციელება, შემდგომში, “თანაბარი მოპყრობის პრინციპი”.

## **მუხლი 2**

ეს დირექტივა ეხება დასაქმებულ ადამიანებს, თვითდასაქმებულ პირთა, მუშაკთა და იმ თვითდასაქმებულ პირთა ჩათვლით, რომელთა საქმიანობა შეწყდა ავადმყოფობის, უბედური შემთხვევის ან არანებაყოფლობითი უმუშევრობის გამო, და პირებს, რომლებიც ეძებენ სამუშაოს – და პენსიონერ ან ინვალიდ მუშაკებს და თვითდასაქმებულ პირებს.

## **მუხლი 3**

1. ეს დირექტივა ეხება: (ა) საკანონმდებლო სქემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შემდეგი რისკებისგან დაცვას:

- ავადმყოფობა,
- შრომისუნარობა,
- ხანდაზმულობა,
- უბედური შემთხვევები დასაქმების ადგილზე და პროფესიული დაავადებები,
- უმუშევრობა;

(ბ) სოციალური დახმარებების სისტემებს, რამდენადაც ისინი გამიზნული არიან (ა) ქვეპუნქტში მითითებული სქემების შესავსებად ან ჩასანაცვლებლად;

2. ეს დირექტივა არ ეხება გადარჩენილთა დახმარებებს და ოჯახთან დაკავშირებულ დახმარებებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოჯახის დახმარებები გაიცემა დახმარებებზე დანამატის სახით 1(ა) მუხლში მითითებული რისკების გათვალისწინებით.

3. დასაქმების სქემებში თანაბარი მოპყრობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით, საბჭო, მოქმედებს რა კომისიის წინადადების საფუძველზე, მიიღებს დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ მის შინაარსს, ფარგლებს და გამოყენების სქემებს. (1)OJ No C 34, 11.2.1977, გვ. 3. (2)OJ No C 299, 12.12.1977, გვ. 13. (3)OJ No C 180, 28.7.1977, გვ. 36. (4)OJ No L 39, 14.2.1976, გვ. 40.

## **მუხლი 4**

1. თანაბარი მოპყრობის პრინციპი ნიშნავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის დაუშვებლობას სქესის საფუძველზე, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, განსაკუთრებით ქორწინებისა და ოჯახური სტატუსის მიმართ, კერძოდ, რომელიც ეხება:

- სქემების ფარგლებს და ხელმისაწვდომობის პირობებს,
- კონტრიბუციის ვალდებულებას და შენატანების გაანგარიშებას,
- დახმარებების გაანგარიშებას, მათ შორის მეუღლის და კმაყოფაზე მყოფი პირის დახმარებების სავალდებულო დანამატებს და დახმარებაზე უფლებამოსილების ხანგრძლივობისა და შენარჩუნების პირობებს.

2. თანაბარი მოპყრობის პრინციპმა ზიანი არ უნდა მიაყენოს დედობის დაცვასთან დაკავშირებულ დებულებებს.

## **მუხლი 5**

წევრი სახელმწიფოები ღებულობენ საჭირო ზომებს თანაბარი მოპყრობის საწინააღმდეგო კანონების, მარეგულირებელი აქტების და ადმინისტრაციული დებულებების გაუქმების უზრუნველსაყოფად.

## **მუხლი 6**

წევრი სახელმწიფოები თავიანთ ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში ნერგავენ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც, ყველა პირს, ვინც თანაბარი ანაზღაურების პრინციპის დაუცველობის გამო თავს დაზარალებულად მიიჩნევს, საშუალებას აძლევს სასამართლო პროცესის მეშვეობით დააკმაყოფილოს თავისი საჩივარი, სხვა კომპეტენტურ ორგანოებში შესაძლო მიმართვის შემდეგ.

## **მუხლი 7**

1. ეს დირექტივა არ ზღუდავს წევრი სახელმწიფოების უფლებას მისი ფარგლებიდან გამორიცხოს: (ა) ხანდაზმულობის პერსონალური ასაკის, პენსიების და მათგან გამომდინარე სხვა სარგებლების განსაზღვრა; (ბ) ხანდაზმულობის საპენსიო სქემების შეღავათები, რომლებიც ენიჭებათ პირებს, ვინც ბავშვების აღზრდით იყო დაკავებული; სარგებლების უზრუნველყოფა დასაქმების შეწყვეტის შემდეგ პირთათვის, რომლებიც ბავშვების აღზრდით არიან დაკავებული; (გ) ხანდაზმულობის ან შრომისუუნარობის დახმარების დანიშვნა; (დ) კმაყოფაზე მყოფი ცოლებისათვის დანამატის დანიშვნა ხანგრძლივი შრომისუუნარობის, ხანდაზმულობის, სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევის და პროფესიული დაავადებების სარგებლებზე; (ე) უფლების განხორციელების შედეგები, ამ დირექტივის მიღებამდე, რომელიც მას არჩევანის საშუალებას აძლევს არ შეიძინოს უფლება ან არ იკისროს ვალდებულება საკანონმდებლო სქემის საფუძველზე.

2. წევრი სახელმწიფოები პერიოდულად ამოწმებენ 1-ლი პუნქტიდან გამორიცხულ საკითხებს, რათა დაადგინონ, აღნიშნული საკითხის სოციალური მიმდინარეობის შუქზე, არსებობს თუ არა საფუძველი მოცემული გამორიცხვების შესანარჩუნებლად.

## **მუხლი 8**

1. წევრი სახელმწიფოები ღებულობენ კანონებს, მარეგულირებელ აქტებს და ადმინისტრაციულ დებულებებს, რომლებიც საჭიროა ამ დირექტივის დასაკმაყოფილებლად, შეტყობინების მიღებიდან 6 წლის განმავლობაში, და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებენ კომისიას.

2. წევრი სახელმწიფოები კომისიას უგზავნიან კანონების, მარეგულირებელი აქტების და ადმინისტრაციული დებულებების ტექსტებს, რომლებიც მათ ამ დირექტივით მოცულ სფეროში მიიღეს, მე-7(2) მუხლის საფუძველზე მიღებული ღონისძიებების ჩათვლით.

ისინი კომისიას აცნობებენ მიზეზებს, რომლის გამოც ინარჩუნებენ რომელიმე დებულებას მე-7(1) მუხლში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით და მათი მოგვიანებით გადასინჯვის შესაძლებლობის შესახებ.

## **მუხლი 9**

ამ დირექტივის შესახებ შეტყობინების მიღებიდან შვიდი წლის განმავლობაში წევრი სახელმწიფოები კომისიას უგზავნიან ყველა საჭირო ინფორმაციას, რაც მას საშუალებას მისცემს საბჭოსთვის წარსადგენად შეიმუშავოს მოხსენება ამ დირექტივის შესრულების შესახებ და შესთავაზოს ისეთი შემდგომი ღონისძიებები, რომლებიც შესაძლოა საჭირო იქნეს თანაბარი მოპყრობის პრინციპის განსახორციელებლად.

## მუხლი 10

ეს დირექტივა განკუთვნილია წევრი სახელმწიფოებისათვის.  
შესრულებულია 1978 წლის 19 დეკემბერს, ბრიუსელში.

საბჭოს მხრიდან

პრეზიდენტი ჰ. დ. გენშერი

საბჭოს 1978 წლის 19 დეკემბრის დირექტივა

**საბჭოს 1996 წლის 3 ივნისის 96/34/EC დირექტივა დეკრეტული შვებულების სფეროში ევროპის მრეწველთა და დამსაქმებელთა კონფედერაციის კავშირს (UNICE), საზოგადოებრივი სექტორის მეწარმეთა და დამსაქმებელთა ცენტრს (CEEP) და ევროპის პროფკავშირების კონფედერაციას (ETUC) შორის დადებული ჩარჩო შეთანხმების შესახებ**

ევროპის კავშირის საბჭო

ითვალისწინებს რა ხელშეკრულებას სოციალური პოლიტიკის შესახებ, რომელიც თან ერთვის ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულების თანდართულ ოქმს (14), და განსაკუთრებით მის მე-4(2) მუხლს,

ითვალისწინებს რა კომისიის წინადადებას,

(1) ვინაიდან სოციალური პოლიტიკის შესახებ ოქმის საფუძველზე, წევრმა სახელმწიფოებმა, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს გამოკლებით, (შემდგომში, 'წევრი სახელმწიფოები'), მოწადინებული არიან რა გააგრძელონ 1989 წლის სოციალური ქარტიით ჩამოყალიბებული კურსი, ერთმანეთს შორის დადეს ხელშეკრულება სოციალური პოლიტიკის შესახებ;

(2) ვინაიდან მენეჯმენტს და მუშაკებს, სოციალური პოლიტიკის შესახებ ხელშეკრულების მე-4(2) მუხლის შესაბამისად, შეუძლიათ ერთობლივად მოითხოვონ ხელშეკრულებების განხორციელება თანამეგობრობის დონეზე საბჭოს დადგენილებით, კომისიის შეთავაზების საფუძველზე;

(3) ვინაიდან მუშაკთა ფუნდამენტური სოციალური უფლებების შესახებ თანამეგობრობის ქარტიის მე-16 მუხლი, რომელიც ეხება მამაკაცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის საკითხს, *inter alia*, ადგენს, რომ 'ასევე უნდა შემუშავდეს ღონისძიებები, რომელიც მამაკაცებსა და ქალებს მათი პროფესიული და ოჯახური ცხოვრების ურთიერთშეთავსების საშუალებას მისცემს';

(4) ვინაიდან საბჭომ, ფართო კონსენსუსის არსებობის მიუხედავად, ვერ შეძლო ემუშავა შემოთავაზებულ დირექტივაზე ოჯახური მიზეზების გამო მშობლის დეკრეტული შვებულების შესახებ (1), 1984 წლის 15 ნოემბრის შესწორების შესაბამისად;

(5) ვინაიდან კომისიამ, სოციალური პოლიტიკის შესახებ ხელშეკრულების მე-3(2) მუხლის შესაბამისად, კონსულტაცია ჩაატარა მენეჯმენტსა და მუშაკებთან

შრომითი და ოჯახური ცხოვრების ურთიერთშეთავსების კუთხით თანამეგობრობის მოქმედებათა შესაძლო მიმართულებასთან დაკავშირებით;

(6) ვინაიდან კომისიამ ამ კონსულტაციების შემდეგ ჩათვალა, რომ სასურველია თანამეგობრობის მოქმედება, კიდევ ერთხელ ჩაატარა კონსულტაციები მენეჯმენტსა და მუშაკებთან აღნიშნული წინადადების არსებითი ასპექტების შესახებ, აღნიშნული ხელშეკრულების მე-3(3) მუხლის შესაბამისად;

(7) ვინაიდან სამრეწველო ორგანიზაციებმა (Unice, CEEP და ETUC) 1995 წლის 5 ივლისის თავიანთი ერთობლივი წერილით კომისიას აცნობეს მათი სურვილის შესახებ დაიწყო პროცედურა, რომელიც აღნიშნული ხელშეკრულების მე-4 მუხლითაა შემოთავაზებული;

(8) ვინაიდან აღნიშნულმა სამრეწველო ორგანიზაციებმა 1995 წლის 14 დეკემბერს დადეს ჩარჩო ხელშეკრულება დეკრეტული შვებულების შესახებ; ვინაიდან მათ კომისიას გაუგზავნეს ერთობლივი თხოვნა ამ ხელშეკრულების საბჭოს დადგენილებით განხორციელების შესახებ, კომისიის წინადადების საფუძველზე, აღნიშნული ხელშეკრულების მე-4(2) მუხლის შესაბამისად;

(9) ვინაიდან საბჭომ, თავის 1994 წლის 6 დეკემბრის რეზოლუციაში ევროპის კავშირის სოციალური პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის და კავშირის ეკონომიკური და სოციალური დაახლოების შესახებ, მრეწველთა ორ მხარეს მოუწოდა გამოეყენებინათ ხელშეკრულების დადების შესაძლობლობა, რადგან ისინი, როგორც წესი, უფრო ახლოს არიან სოციალურ რეალობასთან და სოციალურ პრობლემებთან; ვინაიდან, მადრიდში, სოციალური პოლიტიკის შესახებ ხელშეკრულების ხელმომწერი ევროპული საბჭოს წევრი სახელმწიფოები მიესალმენ ამ ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმებას;

(10) ვინაიდან ხელმომწერ მხარეებს სურდათ გაეფორმებინათ ჩარჩო ხელშეკრულება, რომელიც დაადგენდა დეკრეტული შვებულების მინიმალურ მოთხოვნებს და ფორსმაჟორული სიტუაციების საფუძველზე სამუშაოდან განთავისუფლების დროის ინტერვალს და მიემართათ წევრი სახელმწიფოებისთვის და/ან მენეჯმენტისა და მუშაკებისათვის განესაზღვრათ მშობლის დეკრეტული შვებულების განხორციელების პირობები, იმ მიზნით, რომ გათვალისწინებულ იქნეს სიტუაცია, ოჯახის პოლიტიკასთან დაკავშირებული სიტუაციის ჩათვლით, რომელიც ყოველ წევრ სახელმწიფოში არსებობს, კერძოდ, დეკრეტული შვებულების პირობებთან და დეკრეტული შვებულების უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით;

(11) ვინაიდან ამ ხელშეკრულების განხორციელების სათანადო დოკუმენტს წარმოადგენს დირექტივა თანამეგობრობის ხელშეკრულების 189-ე მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში; ვინაიდან, აქედან გამომდინარე, იგი სავალდებულოა წევრი სახელმწიფოებისათვის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, მაგრამ ფორმებისა და მეთოდების შერჩევა წევრი სახელმწიფოების კომპეტენციაში რჩება;

(12) ვინაიდან, თანამეგობრობის ხელშეკრულების 3(ბ) მუხლით განსაზღვრული სუბსიდირების პრინციპისა და პროპორციულობის პრინციპის შენარჩუნებით, ამ დირექტივის ამოცანებს წევრი სახელმწიფოები სათანადოდ ვერ განახორციელებენ და, აქედან გამომდინარე, მათი უკეთ განხორციელება თანამეგობრობას შეუძლია;

ვინაიდან ეს დირექტივა მინიმუმ ამ ამოცანების განხორციელებას მოითხოვს და არ სცილდება ამ მიზნის მიღწევისათვის საჭირო ფარგლებს;

(13) ვინაიდან კომისიამ შეიმუშავა წინადადება დირექტივის შესახებ, სადაც გათვალისწინებულია ხელმომწერი მხარეების წარმომადგენლობითი სტატუსი, მათი მანდატი და ჩარჩო ხელშეკრულების დებულებების ლეგიტიმურობა და მცირე და საშუალო ზომის საწარმოებთან დაკავშირებულ დებულებებთან შესაბამისობა;

(14) ვინაიდან, კომისიამ, მისი 1993 წლის 14 დეკემბრის კომუნიკაციის შესაბამისად, რომელიც სოციალური პოლიტიკის შესახებ ოქმის განხორციელებას ეხება, ევროპის პარლამენტს მიაწოდა ინფორმაცია, გაუგზავნა რა მას ჩარჩო ხელშეკრულების ტექსტი, რომელსაც თანდართული ჰქონდა კომისიის წინადადება დირექტივასთან დაკავშირებით და განმარტებითი მემორანდუმი;

(15) ვინაიდან კომისიამ ასევე ინფორმაცია მიაწოდა ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტს, გაუგზავნა რა მას ჩარჩო ხელშეკრულების ტექსტი, რომელსაც თანდართული ჰქონდა კომისიის წინადადება დირექტივასთან დაკავშირებით და განმარტებითი მემორანდუმი;

(16) ვინაიდან ჩარჩო ხელშეკრულების მე-4 დებულების მე-2 პუნქტი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების დებულებების განხორციელება არ წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე საფუძველს ამ ხელშეკრულების სფეროში მუშაკებისათვის მინიჭებული დაცვის საერთო დონის დასაწევად; იგი ხელს არ უშლის წევრი სახელმწიფოების და/ან მენეჯმენტისა და მუშაკების უფლებას შეიმუშავონ სხვადასხვა საკანონმდებლო, მარეგულირებელი ან საკონტრაქტო დებულებები ცვალებადი გარემოებების შუქზე (გადაცემის დაუშვებლობის შემოღების ჩათვლით), მანამ სანამ ამ ხელშეკრულებით დადგენილი მინიმალური მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;

(17) ვინაიდან თანამეგობრობის ქარტია მუშაკთა ფუნდამენტური სოციალური უფლებების შესახებ აღიარებს დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობას, განსაკუთრებით სქესის, ფერის, რასის, მოსაზრებებისა და რწმენის საფუძველზე;

(18) ვინაიდან ევროპის კავშირის ხელშეკრულების F (2) მუხლი ადგენს, რომ “კავშირი პატივს სცემს ფუნდამენტურ უფლებებს, როგორც ეს უზრუნველყოფილია 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილი ევროპული კონვენციით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, და რამდენადაც ისინი გამომდინარეობენ წევრი სახელმწიფოებისათვის საერთო კონსტიტუციური ტრადიციებიდან, როგორც თანამეგობრობის სამართლის ზოგადი პრინციპები”;

(19) ვინაიდან წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მენეჯმენტსა და მუშაკებს, მათი ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე, დააკისროს ამ დირექტივის განხორციელება, მანამ სანამ ისინი ყველა საჭირო ზომებს ღებულობენ ამ დირექტივით დაკისრებული შედეგების ნებისმიერი დროისათვის უზრუნველსაყოფად;



(20) ვინაიდან ჩარჩო ხელშეკრულების განხორციელება ხელს უწყობს სოციალური პოლიტიკის შესახებ ხელშეკრულების 1-ლი მუხლის ამოცანების მიღწევას,

**დებულობს ამ დირექტივას:**

### **მუხლი 1**

ჩარჩო ხელშეკრულების განხორციელება

ამ დირექტივის მიზანია ძალაში შევიდეს თანდართული ჩარჩო ხელშეკრულება დეკრეტული შვებულების შესახებ, რომელიც დაიდო 1995 წლის 14 დეკემბერს ძირითად საწარმო ორგანიზაციებს შორის (Unice, CEEP და ETUC).

### **მუხლი 2**

დასკვნითი დებულებები

1. წევრმა სახელმწიფოებმა, არაუგვიანეს 1998 წლის 3 ივნისისა, უნდა მიიღონ კანონები, მარეგულირებელი აქტები და ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც საჭიროა ამ დირექტივის შესასრულებლად, ან უნდა უზრუნველყონ, რომ ამ თარიღისთვის მენეჯმენტმა და მუშაკებმა ხელშეკრულების საშუალებით წარმოადგინონ ყველა საჭირო ღონისძიება; წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რაც მათ საშუალებას მისცემს ნებისმიერ დროს შეეძლოთ ამ დირექტივით დაკისრებული შედეგების უზრუნველყოფა. ამის შესახებ მათ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ კომისიას.

2. წევრ სახელმწიფოებს შეიძლება მიეცეთ დამატებითი პერიოდი არაუმეტეს ერთი წლისა, თუ ეს საჭიროა კოლექტიური ხელშეკრულების კონკრეტული სირთულეების ან განხორციელების გასათვალისწინებლად.

ასეთი მდგომარეობის შესახებ ისინი დაუყოვნებლივ აცნობენ კომისიას.

3.1-ლ პუნქტში მითითებული ღონისძიებების მიღებისას წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიუთითონ წინამდებარე დირექტივაზე, ან მათი გამოქვეყნების შემთხვევაში თან უნდა დაურთონ ასეთი მითითება. ასეთი მითითების გაკეთების მეთოდებს შეიმუშავებს წევრი სახელმწიფო.

### **მუხლი 3**

ამ დირექტივის ადრესატები არიან წევრი სახელმწიფოები.

შესრულებულია ლუქსემბურგში, 1996 წლის 3 ივნისს

საბჭოს მხრიდან

პრეზიდენტი ტ. ტრეუ

**საბჭოს 1996 წლის 20 დეკემბრის 96/97/EC დირექტივა პროფესიული  
სოციალური უზრუნველყოფის სქემებში ქალთა და მამაკაცთა მიმართ  
თანაბარი მოპყრობის განხორციელების შესახებ 86/378/EEC დირექტივის  
შესწორების შესახებ**

ევროპის კავშირის საბჭო,

ითვალისწინებს რა ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებას, და განაკუთრებით მის მე-100 მუხლს,

ითვალისწინებს რა კომისიის წინადადებას (1),

ითვალისწინებს რა ევროპის პარლამენტის დასკვნას (2),

ითვალისწინებს რა ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის დასკვნას (3),

ვინაიდან ხელშეკრულების 119-ე მუხლი ადგენს, რომ წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ თანაბარი შრომისთვის მამაკცთა და ქალთა თანაბარი ანაზღაურების პრინციპის გამოყენებას; ვინაიდან “ანაზღაურება” ნიშნავს ჩვეულებრივ საბაზისო ან მინიმალურ სახელფასო განაკვეთს ან ხელფასს, ან ნებისმიერი სახის კომპენსაციას ნაღდი ფულით ან ნატურით, რომელსაც მუშაკი ლეზულობს დამქირავებლისაგან პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით;

ვინაიდან, ევროპის თანამეგობრობის სასამართლომ, საქმეზე 262/88: ბარბერი გარდიანის სამეფო სააქციო სადაზღვევო ჯგუფის წინააღმდეგ (*Barber v. Guardian Royal Exchange Assurance Group*), 1990 წლის 17 მაისს მიიღო გადაწყვეტილება, სადაც აღიარებს, რომ პროფესიული პენსიის ყველა ფორმა წარმოადგენს ანაზღაურების ელემენტს ხელშეკრულების 119-ე მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში;

ვინაიდან ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში, როგორც ეს დაზუსტებულია 1993 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (საქმე 110/91: მორონი *Collo GmbH*–ის წინააღმდეგ), სასამართლო იმგვარად განმარტავს ხელშეკრულების 119-ე მუხლს, რომ იგი ზოგადად კრძალავს ქალთა და მამაკაცთა შორის დისკრიმინაციას პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემებში და არა მხოლოდ საპენსიო ასაკის განსაზღვრის მიმართებით, ან როდესაც პროფესიული პენსიის შეთავაზებ ხდება ეკონომიკურ საფუძვლებზე სავალდებულო პენსიაზე გასვლის კომპენსაციისთვის;

ვინაიდან, მე-2 ოქმის შესაბამისად, რომელიც 119-ე მუხლს ეხება და თან ერთვის ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებას, პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემებით დადგენილი შეღავათები არ უნდა იქნენ განხილული როგორც ანაზღაურება თუ ისინი მიეკუთვნებიან დასაქმების პერიოდებს 1990 წლის 17 მაისამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მუშაკებს, ან მათი სახელით მომჩივან პირებს, ამ თარიღამდე დაწყებული ჰქონდათ სასამართლო პროცესი ან მსგავსი საჩივარი შეიტანეს სათანადო ეროვნული კანონის საფუძველზე;

ვინაიდან, სასამართლომ, თავის 1994 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებაში (საქმე C-57/93: Vroege v. NCIV Instituut voor Volkshuisvesting BV და საქმე C-128/93: Fisscher v. Voorhuis Hengelo BV) დაადგინა, რომ ზემოხსენებული ოქმი ზემოქმედებას არ ახდენდა პროფესიულ საპენსიო სქემებთან მიერთების უფლებაზე, რომელიც კვლავ ხელმძღვანელობს 1986 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით საქმეზე 170/84: ბილკა-კოფჰაუს GmbH ჰარტის წინააღმდეგ (Bilka-Kaufhaus GmbH v. Hartz), და რომ ზემოქმედების შეზღუდვა 1990 წლის 17 მაისის გადაწყვეტილების მიღებისას (საქმეზე 262/88: Barber v. Guardian Royal Exchange Assurance Group) არ ეხება პროფესიული საპენსიო სქემებზე მიერთების უფლებას; ვინაიდან სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ეროვნული კანონის საფუძველზე პროცესუალური ქმედების დაწყების დროის შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები შეიძლება ასევე მიესადაგოს მუშაკებს, რომლებიც იცავენ პროფესიულ საპენსიო სქემებთან მიერთების თავიანთ უფლებას, იმ პირობით რომ ისინი ნაკლებ ხელსაყრელი არ არიან ამ სახის პროცესისთვის ვიდრე შიდასახელმწიფო ბუნების მქონე მსგავსი პროცესი და რომ ისინი შეუძლებელს არ ხდიან თანამეგობრობის სამართლით მინიჭებული უფლების პრაქტიკაში განხორციელებას; ვინაიდან სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ის ფაქტი რომ მუშაკს უკუქმედების ძალის საფუძველზე შეუძლია მოითხოვოს პროფესიულ სქემასთან მიერთება, მუშაკს უფლებას არ აძლევს თავიდან აიცილოს შენატანების გადახდა, რომლებიც ამ პერიოდის წევრობასთანაა დაკავშირებული;

ვინაიდან კომპანიის ან სექტორალური სოციალური უზრუნველყოფის სქემებზე ხელმისაწვდომობიდან მუშაკთა გამორიცხვა მათი სამუშაო კონტრაქტის ბუნების საფუძველზე შესაძლოა წარმოადგენდეს არაპირდაპირ დისკრიმინაციას ქალთა მიმართ;

ვინაიდან, სასამართლომ, თავის 1993 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებაში (საქმე C-132/92: Birds Eye Walls Ltd v. Friedel M. Roberts) ასევე დააზუსტა, რომ ხელშეკრულების 119-ე მუხლს არ ეწინააღმდეგება როდესაც შუალედური პენსიის გაანგარიშება, რომელსაც დამსაქმებელი უხდის მამაკაც ან ქალ მუშაკს, რომელიც ადრეულ პენსიაზე გავიდა ავადმყოფობის გამო და რომლის კომპენსაციაც უნდა მოხდეს, კერძოდ შემოსავლის დაკარგვის, რომელიც გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მათ ჯერ არ მიუღწევიათ სახელმწიფო პენსიის მიღებისთვის დადგენილი ასაკისთვის, რომელსაც ისინი შემდგომში მიიღებენ და, შესაბამისად, შუალედური პენსიის რაოდენობის შემცირება, მაშინაც კი, როდესაც მამაკაცი ან ქალი 60-დან 65 წლამდე ასაკისაა - შედეგი არის ის, რომ ყოფილი ქალი მუშაკი უფრო მცირე ოდენობის შუალედურ პენსიას ღებულობს, ვიდრე მისი კოლეგა მამაკაცი, განსხვავება ტოლია სახელმწიფო პენსიის ოდენობისა, რომელიც ქალს ეკუთვნის 60 წლის ასაკიდან, ამ დამსაქმებელთან მუშაობის პერიოდების გათვალისწინებით;

ვინაიდან, სასამართლომ, თავის 1993 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში (საქმე C-109/91: Ten Oever v. Stichting Bedrijfspensioenfonds voor het Glazenwassers- en Schoonmaakbedrijf), 1993 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (საქმე C-110/91: Moroni v. Collo GmbH), 1993 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (საქმე C-152/91: Neath v. Hugh Steeper Ltd) და 1994 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებაში (Case C-200/91: Coloroll Pension Trustees Limited v. Russell and Others) დაადასტურა, რომ 1990 წლის 17 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე (საქმე C-262/88: Barber v. Guardian

Royal Exchange Assurance Group) 119-ე მუხლის პირადაპირი ძალა თანაბარი მოპყრობის მოთხოვნის მიზნებისთვის პროფესიულ პენსიებთან მიმართებით, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ იმ პენსიებისთვის, რომლებიც გადახდილ უნდა იქნეს 1990 წლის 17 მაისის შემდეგ პერიოდში სამსახურისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მუშაკებს, ან მათი სახელით მომჩივან პირებს, ამ თარიღამდე დაწყებული ჰქონდათ სასამართლო პროცესი ან მსგავსი საჩივარი ჰქონდათ შეტანილი სათანადო ეროვნული კანონის საფუძველზე;

ვინაიდან, სასამართლომ, თავის გადაწყვეტილებებში (საქმე C-109/91: Ten Oever v. Stichting Bedrijfspensioenfonds voor het Glazenwassers- en Schoonmaakbedrijf და საქმე C-200/91: Coloroll Pension Trustees Limited v. Russell and Others), დაადასტურა, რომ ბარბერის საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს შეზღუდვა ეხებოდა მარჩენალდაკარგულთა პენსიებს და, შესაბამისად, თანაბრი მოპყრობა ამ შემთხვევაში შეიძლება მოითხოვებოდეს მხოლოდ 1990 წლის 17 მაისის შემდეგ სამსახურისთვის პერიოდთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირს ამ თარიღამდე აქვს დაწყებული სასამართლო პროცესი ან იგივე საჩივარი შეტანილი აქვს შესაბამისი ეროვნული კანონის საფუძველზე;

გარდა ამისა, ვინაიდან სასამართლომ, თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე C-152/91 და C-200/91 განმარტა, რომ მუშაკ მამაკაცთა და ქალთა შენატანები ფიქსირებულ საპენსიო სქემებში ერთი და იგივე უნდა იყოს, რადგან მათ მოიცავს ხელშეკრულების 119-ე მუხლი, ვინაიდან ფონდირებულ ფიქსირებულ საპენსიო სქემებში დამსაქმებელთა შენატანების უთანასწორობა, რომელიც გამოწვეულია სქესის შესაბამისად აქტუალური ფაქტორების სხვაობით, არ შეიძლება შეფასდეს იგივე დებულების ფრაგლებში;

ვინაიდან, სასამართლო, თავის 1994 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებაში (საქმე C-408/92: Smith v. Advel Systems და საქმე C-28/93: Van den Akker v. Stichting Shell Pensioenfonds) მიუთითებს, რომ ხელშეკრულების 119-ე მუხლი ეწინააღმდეგება დამჭირავებელს, რომელიც დებულებს ღონისძიებებს, რომელიც საჭიროა ბარბერის 1990 წლის 17 მაისის გადაწყვეტილების დასაკმაყოფილებლად, ქალთა საპენსიო ასაკი გაზარდოს მამაკაცთა საპენსიო ასაკამდე სამსახურისთვის იმ პერიოდებისთვის რომელიც დასრულდა 1990 წლის 17 მაისსა და იმ თარიღს შორის როდესაც ეს ღონისძიებები ძალაში შევიდა; მეორეს მხრივ, ამ უკანასკნელი თარიღის შემდეგ დასრულებული სამსახურისთვის პერიოდებისთვის 119-ე მუხლი ხელს არ უშლის დამსაქმებელს გადადგას ეს ნაბიჯი; რაც შეეხება 1990 წლის 17 მაისამდე სამსახურისთვის პერიოდებს, თანამეგობრობის კანონი არ აწესებს რაიმე ვალდებულებას ქალებისთვის მინიჭებული შეღავათების რეატროაქტიული შემცირების დადასაბუთებლად.

ვინაიდან, სასამართლომ, მის ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში (საქმე C-200/91: Coloroll Pension Trustees Limited v. Russell and Others) დაადგინა, რომ დამატებითი პენსია, რომელიც მუშაკის მიერ წმინდა ნებაყოფლობით საფუძველზე გაკეთებული შენატანებისაგან წარმოიშობა არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების 119-ე მუხლით;

ვინაიდან, კომისიამ, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობების მესამე საშუალოვადიან სამოქმედო პროგრამაში (1991-1995) კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი

სათანადო ღონისძიებების მიღების მნიშვნელობას 1990 წლის 17 მაისს 262/88 საქმეზე (Barber v. Guardian Royal Exchange Assurance Group) მიღებული გადაწყვეტილების შედეგების გათვალისწინებით;

ვინაიდან გადაწყვეტილება ავტომატურად აუქმებს საბჭოს 1986 წლის 24 ივლისის 86/378/EEC დირექტივის გარკვეულ დებულებებს, რომლებიც ეხება მამაკაცთა და ქალთა თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემებში, ანაზღაურებად მუშაკებთან დაკავშირებით;

ვინაიდან ხელშეკრულების 119-ე მუხლი პირდაპირი გამოყენებისაა და შეიძლება ეროვნულ სასამართლოში გასაჩივრდეს ნებისმიერი დამსაქმებლის წინააღმდეგ, იქნება ეს კერძო პირი თუ იურიდიული პირი, და ვინაიდან ამ სასამართლოებმა უნდა დაიცვან უფლებები, რომელსაც დებულება ანიჭებს ინდივიდუალურ პირებს;

ვინაიდან, აშკარა ფაქტების საფუძველზე, საჭიროა შესწორდეს 86/378/EEC დირექტივა, რათა მიღებულ იქნეს დებულებები, რომლებზედაც ზეგავლენა იქონია ბარბერის საქმის პრეცედენტულმა სამართალმა,

**საბჭოს 2004 წლის 13 დეკემბრის 2004/113/EC დირექტივა საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და მიწოდების სფეროში ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის პრინციპის განხორციელების შესახებ**

ევროპის კავშირის საბჭო

ითვალისწინებს რა ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებას და კერძოდ მის მე-13(1) მუხლს,

ითვალისწინებს რა კომისიის წინადადებას,

ითვალისწინებს რა ევროპის პარლამენტის დასკვნას,

ითვალისწინებს რა ევროპის ეკონომიკისა და სოციალური კომიტეტის დასკვნას,

ითვალისწინებს რა რეგიონების კომიტეტის დასკვნას,

ვინაიდან:

(1) ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად, კავშირი ეფუძნება თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების და კანონის უზენაესობის პატივისცემის პრინციპებს, პრინციპებს, რომლებიც საერთოა წევრი სახელმწიფოებისთვის, და პატივს სცემს ფუნდამენტურ უფლებებს, როგორც ეს უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით და რამდენადაც ისინი გამომდინარეობენ წევრი სახელმწიფოებისათვის საერთო კონსტიტუციური ტრადიციებიდან, როგორც თანამეგობრობის სამართლის ზოგადი პრინციპები.

(2) ყველა პირის კანონის წინაშე თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციისაგან დაცვა საყოველთაო უფლებებია, რომელიც აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციაში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღკვეთის შესახებ, საერთაშორისო კონვენციაში რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღკვეთის შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პაქტში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ და ევროპულ კონვენციაში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, რომელთა ხელმომწერ მხარეებს ყველა წევრი სახელმწიფო წარმოადგენს.

(3) დისკრიმინაციის აკრძალვასთან ერთად მნიშვნელოვანია სხვა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა, პირადი და ოჯახური ცხოვრების და ამ კონტექსტში განხორციელებული ურთიერთქმედებების და რელიგიის თავისუფლების ჩათვლით.

(4) მამაკაცთა და ქალთა შორის თანასწორობა ევროპის კავშირის ფუძემდებლური პრინციპია. ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის 21-ე და 23-ე

მუხლები კრძალავს ნებისმიერ დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე და მოითხოვს მამაკაცთა და ქალთა შორის თანასწორობის უზრუნველყოფას ყველა სფეროში.

(5) ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-2 მუხლი ადგენს, რომ ასეთი თანასწორობის ხელშეწყობა თანამეგობრობის უმთავრესი ამოცანაა. ანალოგიურად, ხელშეკრულების მე-3(2) მუხლი მოითხოვს, რომ თანამეგობრობა მიზნად უნდა ისახავდეს ყველა სახის უთანასწორობის აღმოფხვრას და მამაკაცთა და ქალთა შორის თანასწორობის ხელშეწყობას მის ყველა ღონისძიებაში.

(6) კომისიამ, სოციალური პოლიტიკის დღის წესრიგის შესახებ თავის კომუნიკაციაში განაცხადა მისი გადაწყვეტილების შესახებ შემოიტანოს დირექტივა შრომის ბაზრის გარეთ სქესობრივი დისკრიმინაციის შესახებ. ასეთი წინადადება სრულ შესაბამისობაშია საბჭოს 2000 წლის 20 დეკემბრის 2001/51/EC დირექტივასთან, რომელიც თანამეგობრობის გენდერული თანასწორობის ჩარჩო სტრატეგიასთან (2001-2005) დაკავშირებულ პროგრამას აფუძნებს, მოიცავს ყველა სტრატეგიას და მიზნად ისახავს მამაკაცთა და ქალთა შორის თანასწორობის ხელშეწყობას ამ სტრატეგიების ურთიერთშეჯერების და პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელების მეშვეობით, რათა გაუმჯობესდეს საზოგადოებაში მამაკაცთა და ქალთა მდგომარეობა.

(7) ევროპულმა საბჭომ, 2000 წლის 9 დეკემბერს ნიცაში გამართულ შეხვედრაზე, კომისიას მოუწოდა, განამტკიცოს თანასწორობასთან დაკავშირებული უფლებები დირექტივის შესახებ წინადადებების მიღების მეშვეობით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა დასაქმებისა და პროფესიული ცხოვრების სფეროს მიღმა.

(8) თანამეგობრობამ მიიღო მთელი რიგი სამართლებრივი დოკუმენტები, რომელთა მიზანია შრომის ბაზარზე სქესის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს დოკუმენტები უჩვენებენ კანონმდებლობის ღირებულებას დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.

(9) სქესზე დაფუძნებულ დისკრიმინაციას, ძალადობისა და სქესობრივი ძალადობის ჩათვლით, ასევე ადგილი აქვს შრომის ბაზრის მიღმა. ამგვარი დისკრიმინაცია ასევე ზიანის მომტანია, რადგან იგი დაბრკოლებებს უქმნის მამაკაცთა და ქალთა სრულ და წარმატებულ ინტეგრაციას ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

(10) პრობლემები განსაკუთრებით ცხადია საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის სფეროში. აქედან გამომდინარე, საჭიროა ამ სფეროში სქესის საფუძველზე განხორციელებული დისკრიმინაციის პრევენცია და აღკვეთა. ისევე როგორც საბჭოს 2000 წლის 29 ივნისის 2000/43/EC დირექტივის შემთხვევაში, რომელიც ეხება რასობრივი და ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად პირთა თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას, ეს მიზანიც უკეთესად იქნება მიღწეული თანამეგობრობის საკანონმდებლო საშუალებებით.

(11) ასეთი კანონმდებლობა უნდა კრძალავდეს სქესზე დაფუძნებულ დისკრიმინაციას საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და

მიწოდების სფეროში. საქონელი განხილულ უნდა იქნეს იმ მნიშვნელობით, რომელიც მას მინიჭებული აქვს ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებაში საქონლის თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებული დებულებებით. მომსახურება განხილულ უნდა იქნეს ამ ხელშეკრულების 50-ე მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში.

(12) სქესის საფუძველზე დისკრიმინაციის პრევენციის მიზნით ეს დირექტივა ვრცელდება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი სახის დისკრიმინაციაზე. პირდაპირ დისკრიმინაციას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც ურთიერთთავსებად სიტუაციაში სქესის საფუძველზე ერთ პიროვნებას ნაკლები კეთილგანწყობით ეპყრობიან, ვიდრე მეორეს. შესაბამისად, მაგალითად, სამედიცინო მომსახურების გაწევისას მამაკაცთა და ქალთა შორის განსხვავება, რომელიც ქალთა და მამაკაცთა ფიზიკური სხვაობიდან გამომდინარეობს, არ შეესაბამება ურთიერთთავსებად სიტუაციას და, აქედან გამომდინარე, არ წარმოადგენს დისკრიმინაციას.

(13) დისკრიმინაციის აკრძალვა უნდა შეეხოს საქონლისა და მომსახურების მიმწოდებელ პირებს, რომლებიც საჯაროდ ხელმისაწვდომია და პირადი და ოჯახური ცხოვრების ფარგლებს მიღმაა შეთავაზებული, და ამ კონტექსტში განხორციელებულ ურთიერთქმედებებს. იგი არ უნდა შეეხოს მედიის ან რეკლამის შინაარსს ან საჯარო თუ კერძო განათლებას.

(14) ყველა ადამიანს აქვს კონტრაქტის დადების თავისუფლება, საკონტრაქტო პარტნიორის თავისუფალი არჩევის ჩათვლით. საქონლის ან მომსახურების მიმწოდებელ პირს შეიძლება ჰქონდეს მთელი რიგი სუბიექტური მიზეზები მისი საკონტრაქტო პარტნიორის არჩევში. მანამ სანამ პარტნიორის არჩევა დაფუძნებული არ არის პირის სქესზე, ამ დირექტივამ ზიანი არ უნდა მიაყენოს პირის მიერ საკონტრაქტო პარტნიორის არჩევის თავისუფლებას.

(15) უკვე არსებობს მთელი რიგი სამართლებრივი დოკუმენტები დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის საკითხებში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებისათვის. შესაბამისად, ეს დირექტივა ამ სფეროს არ ეხება. იგივე დასაბუთება ეხება თვითდასაქმების საკითხებს იმ ფარგლებში, რამდენადაც მათ არსებული სამართლებრივი დოკუმენტები მოიცავენ. დირექტივა უნდა შეეხოს მხოლოდ დაზღვევას და პენსიებს, რომლებიც არის კერძო, ნებაყოფლობითი და განცალკევებულია დასაქმების ურთიერთობებისაგან.

(16) განსხვავებული მოპყრობა შეიძლება დასაშვებად ჩაითვალოს თუ მას საფუძვლად უდევს კანონიერი მიზეზი. მაგალითად, კანონიერი მიზეზი შეიძლება იყოს სქესთან დაკავშირებული ძალადობის მსხვერპლთა დაცვა (მაგალითად, ერთი სქესის წარმომადგენელთათვის თავშესაფრის გახსნა), განცალკევების და წესიერები დაცვის მიზეზები (როგორცაა პირის მიერ თავისი საცხოვრებლის ნაწილში დაბინავების შეთავაზება), გენდერული თანასწორობის ან ქალთა და მამაკაცთა ინტერესების ხელშეწყობა (მაგალითად, ერთი სქესის პირებისაგან შემდგარი ნებაყოფლობითი ორგანოები), გაერთიანების თავისუფლება (ერთი სქესის პირთა კლუბების წევრობა), და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება (მაგალითად, ერთი სქესის პირთა სპორტული ღონისძიებები).



მიუხედავად ამისა, ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება იყოს სათანადო და საჭირო იმ კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც წარმოიშობა ევროპის თანამეგობრობის სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან.

(17) საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის სფეროში თანაბარი მოპყრობის პრინციპი არ მოითხოვს, რომ მამაკაცებს და ქალებს ყოველთვის შესთავაზონ ზიარი შენობები, მანამ სანამ მათი შეთავაზება არ ხდება ერთი სქესის წარმომადგენლებისათვის უფრო ხელსაყრელ პირობებში.

(18) დაზღვევისა და სხვა სახის ფინანსური მომსახურების მიწოდების სფეროში ფართოდაა გავრცელებული სქესთან დაკავშირებული აკტუარული ფაქტორების გამოყენება. მამაკაცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის უზრუნველსაყოფად აკტუარულ ფაქტორად სქესის გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს ინდივიდუალურ პირთა პრემიებისა და სარგებლების განსხვავება. ბაზრის მოულოდნელი რეორგანიზაციის თავიდან ასაცილებლად ეს წესი უნდა შეეხოს მხოლოდ ახალ კონტრაქტებს, რომლებიც ამ დირექტივის ტრანსპოზიციის თარიღის შემდეგ გაფორმდა.

(19) გარკვეული რისკები ორ სქესს შორის შეიძლება განსხვავებული იყოს. ზოგ შემთხვევაში სქესი არის რისკების ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. კონტრაქტებისთვის, რომლებიც აზღვევენ ასეთი სახის რისკებს, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ნება დართონ განთავისუფლდნენ ერთი სქესის პირთათვის პრემიებისა და სარგებლების დაწესების წესისგან, მანამ სანამ ისინი უზრუნველყოფენ, რომ ძირეული აკტუარული და სტატისტიკური მონაცემები, რომლებსაც გაანგარიშება ეფუძნება, არის საიმედო, რეგულარულად განახლებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი. ამ დირექტივის ტრანსპოზიციიდან ხუთი წლის შემდეგ წევრმა სახელმწიფოებმა ხელახლა უნდა შეამოწმონ ასეთი განთავისუფლების გამამართლებელი საფუძვლები, სადაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს უახლესი აკტუარული და სტატისტიკური მონაცემები და ამ დირექტივის ტრანსპოზიციის თარიღიდან სამი წლის შემდეგ კომისიის მიერ შემუშავებული მოხსენება.

(20) ქალთა მიმართ ნაკლებ ხელსაყრელი მოპყრობა ორსულობის ან ბავშვის გაჩენის მიზეზით განხილულ უნდა იქნეს როგორც სქესის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია და, შესაბამისად, იგი უნდა აიკრძალოს დაზღვევასთან და ფინანსურ მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებში. აქედან გამომდინარე, ორსულობასთან და ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებული ხარჯები არ უნდა დაეკისროს მხოლოდ ერთი სქესის წარმომადგენლებს.

(21) პირებს, რომელთა მიმართ ადგილი ჰქონდა სქესის ნიშნით დისკრიმინაციას, უნდა ჰქონდეთ ადეკვატური სამართლებრივი დაცვის საშუალებები. დაცვის უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით, გაერთიანებებს, ორგანიზაციებს და სხვა იურიდიულ პირებს სამართლო პროცესებში ჩართვის უფლება უნდა ჰქონდეთ, როგორც ამას წევრი სახელმწიფოები დაადგენენ, ან დაზარალებულის სახელით, ან მის დასაცავად, სასამართლოში პირის წარმოდგენის და დაცვის ეროვნული პროცედურებისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

(22) მიღებულ უნდა იქნეს წესები მტკიცებულების ტვირთის შესახებ, როდესაც ადგილი აქვს *prima facie* დისკრიმინაციის შემთხვევას, ხოლო თანაბარი

მოპყრობის პრინციპის ეფექტიანი გამოყენებისთვის მტკიცებულების ტვირთი უნდა დაეკისროს ბრალდებულს, როდესაც წარმოდგენილია ასეთი დისკრიმინაციის მტკიცებულება.

(23) თანაბარი მოპყრობის პრინციპის ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს დაზარალებულთა სასამართლო დაცვას.

(24) თანაბარი მოპყრობის პრინციპის ხელშეწყობის მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ დიალოგი შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებსაც, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, სქესის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონიერი ინტერესები გააჩნიათ საქონლისა და მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მიწოდების სფეროში.

(25) სქესის საფუძველზე დისკრიმინაციისაგან დაცვა თავის მხრივ უნდა გაძლიერდეს ყოველ წევრ სახელმწიფოში ორგანოს ან ორგანოების არსებობით, რომლებსაც ექნებათ მასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზის, შესაძლო გადაწყვეტების კვლევის და დაზარალებულთათვის კონკრეტული დახმარების გაწევის კომპეტენცია. ორგანო ან ორგანოები შეიძლება იყოს იგივე, რომლებიც ეროვნულ დონეზე პასუხისმგებელი არიან ადამიანის უფლებათა დაცვაზე ან ინდივიდუალურ პირთა უფლებების დაცვაზე, ან თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებაზე.

(26) ეს დირექტივა აყალიბებს მინიმალურ მოთხოვნებს, რითაც წევრ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს აირჩიონ ან შეინარჩუნონ უფრო ხელსაყრელი დებულებები. ამ დირექტივის განხორციელება არ უნდა იქნეს გამოყენებული წევრ სახელმწიფოში უკვე არსებული მდგომარეობის რაიმე უკუსვლის გასამართლებლად.

(27) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეფექტიანი, პროპორციული და ქმედითი სანქციები ამ დირექტივით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევისთვის.

(28) ვინაიდან ამ დირექტივის ამოცანები, კერძოდ, ყველა წევრ სახელმწიფოში დისკრიმინაციისაგან დაცვის საერთო მაღალი დონის უზრუნველყოფა, სათანადოდ ვერ მიიღწევა წევრი სახელმწიფოების მიერ და, აქედან გამომდინარე, ქმედების მასშტაბებისა და ეფექტის გამო, უკეთ მიიღწევა თანამეგობრობის დონეზე, თანამეგობრობას შეუძლია მიიღოს ზომები ხელშეკრულების მე-5 მუხლში ჩამოყალიბებული სუბსიდირების პრინციპის შესაბამისად. პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, როგორც ეს ხსენებულ მუხლშია დადგენილი, ეს დირექტივა არ სცდება ამ მიზნების მიღწევისთვის საჭირო ფარგლებს.

(29) უკეთესი კანონშემოქმედების შესახებ უწყებათაშორისი ხელშეკრულების 34-ე პუნქტის შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, საკუთარი და თანამეგობრობის ინტერესებისთვის, შეიმუშავონ სქემები, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ ურთიერთკავშირს დირექტივასა და ტრასპოზიციის ღონისძიებებს შორის, და ეს სქემები საჯაროდ გამოაქვეყნონ.

## დებულოს ამ დირექტივას:

### თავი I

#### ზოგადი დებულებები

##### მუხლი 1

###### მიზანი

ამ დირექტივის მიზანია საქონლის და მომსახურების ხელმისაწვდომობის და მიწოდების სფეროში სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩარჩოს შემუშავება, რათა წევრ სახელმწიფოებში ძალაში შევიდეს მამაკაცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპი.

##### მუხლი 2

###### ტერმინთა განმარტება:

ამ დირექტივის მიზნებისთვის გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობები:

(ა) პირდაპირი დისკრიმინაცია: როდესაც ერთ ადამიანს ნაკლები კეთილგანწყობით ეპყრობიან, სქესის საფუძველზე, ვიდრე მეორეს ეპყრობოდნენ, ეპყრობიან ან მოეპყრობიან ურთიერთთავსებად სიტუაციაში;

(ბ) არაპირდაპირი დისკრიმინაცია: როდესაც აშკარად ნეიტრალური დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა ერთი სქესის პირს განსაკუთრებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მეორე სქესის პირთან შედარებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა ობიექტურად გამართლებულია კანონიერი მიზნით და ამ მიზნის მიღწევის საშუალებები არის შესაბამისი და საჭირო;

(გ) ძალადობა: როდესაც ადგილი აქვს პირის სქესთან დაკავშირებულ არასასურველ ქმედებას პირის ღირსების შელახვის და დაშინების, მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან ძალადობრივი გარემოს შექმნის მიზნით;

##### მუხლი 3

###### ფარგლები

1. თანამეგობრობისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ეს დირექტივა ეხება საქონლისა და მომსახურების მიმწოდებელ ყველა პირს, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის, მიუხედავად იმისა, მიმწოდებელი სახელმწიფო სექტორს ეკუთვნის თუ კერძოს, სახელმწიფო ორგანოების ჩათვლით, და რომელსაც სთავაზობენ პირადი და ოჯახური ცხოვრების ფარგლებს მიღმა, და ამ კონტექსტში განხორციელებულ ურთიერთქმედებებს.

2. ეს დირექტივა ხელს არ უშლის ინდივიდუალური პირის თავისუფლებას აირჩიოს საკონტრაქტო პარტნიორი, მანამ სანამ ინდივიდუალური პირის მიერ საკონტრაქტო პარტნიორის არჩევა დაფუძნებული არ არის სქესზე.

3. ეს დირექტივა არ ეხება მედიის და რეკლამის შინაარსს და განათლების სფეროს.

4. ეს დირექტივა არ ეხება დასაქმებისა და პროფესიულ საკითხებს. ეს დირექტივა არ ეხება თვითდასაქმების საკითხებს, ვინაიდან ეს საკითხები მოცულია თანამეგობრობის სხვა საკანონმდებლ აქტში.

#### **მუხლი 4**

თანაბარი მოპყრობის პრინციპი

1. ამ დირექტივის მიზნებისთვის მამაკაცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპი ნიშნავს, რომ

(ა) დაუშვებელია სქესის საფუძველზე პირდაპირი დისკრიმინაცია, ორსულობისა და ბავშვის გაჩენის მიზეზით ქალთა მიმართ ნაკლებ ხელსაყრელი მოპყრობა;

(ბ) დაუშვებელია სქესის საფუძველზე რაიმე სახის არაპირდაპირი დისკრიმინაცია.

2. ეს დირექტივა ზიანს არ აყენებს უფრო ხელსაყრელ დებულებებს ქალთა დაცვის თვალსაზრისით ორსულობის და ბავშვის გაჩენის შემდგომ პერიოდში.

3. ძალადობა და სქესობრივი ძალადობა ამ დირექტივის მნიშვნელობით განიხილება როგორც სქესის საფუძველზე დისკრიმინაცია და, აქედან გამომდინარე, იგი აკრძალულია. პირის მიერ ასეთი ქმედების ჩადენის უარყოფა ან მისი მოსაზრებები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ პირზე ზემოქმედების მომხდენი გადაწყვეტილების საფუძველად.

4. სქესის საფუძველზე პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაციის განხორციელებაზე მითითების მიცემა განიხილება დისკრიმინაციად ამ დირექტივის მნიშვნელობით.

5. ეს დირექტივა არ ეწინააღმდეგება განსხვავებულ მოპყრობას, თუ ექსკლუზიურად ან უპირატესად ერთი სქესის წარმომადგენლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდება გამართლებულია კანონიერი მიზნით, ხოლო ამ მიზნის მიღწევის საშუალებები არის სათანადო და საჭირო.

#### **მუხლი 5**

აკტუარული ფაქტორები

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ არაუადრეს 2007 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დადებულ ყველა ახალ კონტრაქტში, დაზღვევისა და მასთან დაკავშირებული ფინანსური მომსახურების მიზნებისთვის, პრემიებისა და შეღავათების გაანგარიშებაში სქესის ფაქტორის გამოყენება არ გამოიწვევს ინდივიდუალურ პირთა პრემიებისა და შეღავათების სხვაობას.

2. 1-ლი პუნქტის მიუხედავად, წევრ სახელმწიფოებს, 2007 წლის 21 დეკემბრამდე შეუძლიათ დაუშვან პროპორციული განსხვავებები ინდივიდუალურ პირთა პრემიებში და შეღავათებში, სადაც სქესის გამოყენება გადამწყვეტი ფაქტორია რისკის შესაფასებლად, რომელიც დაფუძნებულია შესაბამის და ზუსტ აკტუარულ და სტატისტიკურ მონაცემებზე. შესაბამისი წევრი სახელმწიფოები ინფორმაციას აწვდიან კომისიას და უზრუნველყოფენ სქესის გადამწყვეტ აკტუარულ ფაქტორად გამოყენებასთან დაკავშირებული ზუსტი მონაცემების შეგროვებას, გამოქვეყნებას და რეგულარულ განახლებას. ეს წევრი სახელმწიფოები თავიანთ გადაწყვეტილებას გადასინჯავენ 2007 წლის 21 დეკემბრის თარიღიდან 5 წლის შემდეგ, მე-16 მუხლში მითითებული კომისიის მოხსენების შესაბამისად, და გადასინჯვის შედეგების შესახებ აცნობებენ კომისიას.

3. ნებისმიერ შემთხვევაში, ორსულობასთან და ბავშვის გაჩენის შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული ხარჯები არ იწვევენ განსხვავებას ინდივიდუალურ პირთა პრემიებსა და სარგებლებში.

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაავადონ ამ პუნქტის დასაკმაყოფილებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება 2007 წლის 21 დეკემბრიდან არაუგვიანეს ორი წლით. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი წევრი სახელმწიფოები დაუყოვნებლივ აცნობებენ კომისიას.

## მუხლი 6

პოზიტიური ქმედება

მამაკაცთა და ქალთა შორის სრული თანასწორობის პრაქტიკაში უზრუნველყოფის მიზნით, თანაბარი მოპყრობის პრინციპი ხელს არ უშლის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეინარჩუნოს ან მიიღოს სპეციფიკური ღონისძიებები სქესთან დაკავშირებული არახელსაყრელი გარემოებების აღმოსაფხვრელად ან კომპენსაციისათვის.

## მუხლი 7

მინიმალური მოთხოვნები

1. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შემოიღონ ან შეინარჩუნონ დებულებები, რომლებიც უფრო ხელსაყრელად იცავენ მამაკაცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპს, ვიდრე ამ დირექტივაში მოცემული დებულებები.
2. ამ დირექტივის განხორციელება არანაირ გარემოებაში არ იძლევა დისკრიმინაციისაგან დაცვის ღონის შემცირების საფუძველს, რომელსაც უკვე ანიჭებენ წევრი სახელმწიფოები ამ დირექტივით მოცულ სფეროში.

## თავი II

### დაცვის საშუალებები და აღსრულება

## მუხლი 8

უფლებების დაცვა

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ სასამართლო და/ან ადმინისტრაციულ პროცედურებს, სათანადო შემთხვევაში – მორიგების პროცედურების ჩათვლით, ამ დირექტივიდან გამომდინარე ვალდებულებების შესასრულებლად, ყველა პირისთვის, ვინც თანაბარი მოპყრობის პრინციპის დარღვევის საფუძველზე თავს დაზარალებულად მიიჩნევს, მას შემდეგაც კი, როდესაც დასრულდება სავარაუდო დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ურთიერთობები.
2. წევრ სახელმწიფოებს თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში შეაქვთ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც საჭიროა რეალური და ეფექტიანი კომპენსაციისთვის ან უფლებების აღსადგენად, როგორც ამას წევრი სახელმწიფო დაადგენს, იმ ზიანისთვის და ზარალისთვის, რომელიც პირს მიადგა დისკრიმინაციის შედეგად ამ დირექტივის მნიშვნელობით და იგი უნდა იყოს დამაჯერებელი და მიყენებული ზიანის პროპორციული. წინასწარი ზედა ზღვრის დაწესება არ ზღუდავს ასეთ კომპენსაციას ან უფლებების აღდგენას.
3. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ასოციაციებს, ორგანიზაციებს და სხვა იურიდიული პირებს, რომლებსაც მათი ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე კანონიერი ინტერესი აქვთ ამ დირექტივის დებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიმართ, შეუძლიათ ჩაერთონ ნებისმიერ სასამართლო და/ან ადმინისტრაციულ პროცესში მოსარჩელეს სახელით ან მის მხარდასაჭერად, ამ დირექტივის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების განმტკიცების მიზნით.
4. 1-ლი და მე-3 პუნქტები არ ეწინააღმდეგებიან ეროვნულ წესებს, რომელიც აწესებს დროის შეზღუდვას თანაბარი მოპყრობის პრინციპთან დაკავშირებული საქმეების წარმოებისთვის.

## **მუხლი 9**

მტკიცებულების ტვირთი

1. წევრი სახელმწიფოები, თავიანთი ეროვნული სასამართლო სისტემების შესაბამისად, ღებულობენ ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ როდესაც პირი, რომელიც თანაბარი მოპყრობის პრინციპის დარღვევის გამო თავს დაზარალებულად მიიჩნევს, სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს წინაშე დაასაბუთოს ფაქტები, რომელთა საფუძველზე შესაძლოა დადგინდეს, რომ ადგილი ჰქონდა პირდაპირ ან არაპირდაპირ დისკრიმინაციას, ხოლო მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს რომ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.
2. 1-ლი პუნქტი ხელს არ უშლის წევრ სახელმწიფოებს შემოიღონ მტკიცებულებასთან დაკავშირებული წესები, რომლებიც უფრო ხელსაყრელია მოსარჩელესთვის.
3. 1-ლი პუნქტი არ ეხება სისხლის სამართლის პროცესებს.
4. 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტები არ ეხება რომელიმე პროცესს, რომელიც მიმდინარეობს მე-8(3) მუხლის შესაბამისად.
5. წევრი სახელმწიფოები იყენებენ 1-ლ პუნქტს პროცესებისთვის, როდესაც სასამართლო ან სხვა კომპეტენტური ორგანო აწარმოებს საქმესთან დაკავშირებული ფაქტების გამოძიებას.

## **მუხლი 10**

დაზარალებული

წევრი სახელმწიფოები თავიანთ ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში ღებულობენ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა პირთა ნებისმიერი მავნე მოპყრობისაგან ან ზიანის მომტანი შედეგებისაგან დასაცავად, რომელსაც მიმართავენ როგორც რეაგირებას საჩივარზე ან სასამართლო პროცესზე, რომელიც მიზნად ისახავს თანაბარი მოპყრობის პრინციპთან შესაბამისობის განმტკიცებას.

## **მუხლი 11**

დიალოგი შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან

თანაბარი მოპყრობის პრინციპის ხელშეწყობის მიზნით წევრი სახელმწიფოები ავითარებენ დიალოგს სათანადო დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებსაც, ეროვნული კანონმდებლობის და პრაქტიკის შესაბამისად, კანონიერი ინტერესი აქვთ წვლილი შეიტანონ საქონელზე და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის და მიწოდების სფეროში სქესის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.

## **თავი III**

### **თანაბარი მოპყრობის ხელშეწყობი ორგანოები**

## **მუხლი 12**

1. წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ და ასრულებენ საჭირო ქმედებებს სქესის საფუძველზე ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ყველა პირის მიმართ თანაბარი მოპყრობის ხელშეწყობის, ანალიზის, მონიტორინგის და მხარდაჭერის ორგანოსათვის ან ორგანოებისთვის. ეს ორგანოები შეიძლება წარმოადგენდნენ დაწესებულებების ნაწილს, რომლებიც ეროვნულ დონეზე ემსახურებიან ადამიანის უფლებების ან ინდივიდუალური უფლებების დაცვას, ან თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას.

2. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ 1-ლ პუნქტში მითითებული ორგანოების კომპეტენციები მოიცავდეს შემდეგს:

(ა) დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საჩივრების წარმოებისას დისკრიმინაციის შედეგად დაზარალებულთათვის დამოუკიდებელი დახმარების უზრუნველყოფა, მე-8(3) მუხლში მითითებულ დაზარალებულთა და გაერთიანებების, ორგანიზაციების ან სხვა იურიდიულ პირთა უფლებებისადმი ზიანის მიყენების გარეშე;

(ბ) დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დამოუკიდებელი კვლევების ჩატარება;

(გ) ასეთ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დამოუკიდებელი მოხსენებების გამოქვეყნება და რეკომენდაციების შემუშავება.

## თავი IV

### დასკვნითი დებულებები

#### მუხლი 13

შესაბამისობა

წევრი სახელმწიფოები დებულობენ საჭირო ღონისძიებებს, რათა ამ დირექტივის ფარგლებში უზრუნველყონ თანაბარი მოპყრობის პრინციპის პატივისცემა საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის და მიწოდების სფეროში, და კერძოდ:

(ა) ნებისმიერი კანონის, მარეგულირებელი აქტის და ადმინისტრაციული დებულების გაუქმება, რომელიც ეწინააღმდეგება თანაბარი მოპყრობის პრინციპს;

(ბ) ნებისმიერი საკონტრაქტო დებულების, საწარმოთა შიდა წესების და მომგებიანი ან არამომგებიანი გაერთიანებების მმართველი წესების - რომლებიც ეწინააღმდეგებიან თანაბარი მოპყრობის პრინციპს - გაუქმება, ან შესწორება.

#### მუხლი 14

სანქციები

წევრი სახელმწიფოები შეიმუშავებენ სანქციების წესებს, რომლებიც მიესადაგებიან ამ დირექტივის შესაბამისად მიღებული ეროვნული დებულებების დარღვევას და დებულობენ ყველა საჭირო ზომას მათი გამოყენების უზრუნველსაყოფად. სანქციები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს დაზარალებულისთვის კომპენსაციის გადახდას, უნდა იყოს ეფექტიანი, პროპორციული და დამაჯერებელი. წევრი სახელმწიფოები ამ დებულებების შესახებ კომისიას აცნობებენ არაუგვიანეს 2007 წლის 21 დეკემბრისა, ხოლო შემდგომში მიღებული ცვლილებების შესახებ, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ამ დებულებებზე – დაუყოვნებლივ.

#### მუხლი 15

ინფორმაციის გავრცელება

წევრი სახელმწიფოები ზრუნავენ, რომ ამ დირექტივის საფუძველზე მიღებული დებულებები, უკვე მოქმედ შესაბამის დებულებებთან ერთად, შესაბამის პირთა ყურადღების ცენტრში მოექცეს ყველა სათანადო საშუალებების გამოყენებით, მათ სახელმწიფოთა მთელ ტერიტორიაზე.

## **მუხლი 16**

### **მოხსენებები**

1. წევრი სახელმწიფოები კომისიას უგზავნიან ინფორმაციას ამ დირექტივის შესრულების შესახებ 2009 წლის 21 დეკემბრამდე, და ყოველ შემდგომ ხუთ წელიწადში.

კომისია შეიმუშავებს მოხსენებას, რომელშიც განხილული იქნება წევრი სახელმწიფოების პრაქტიკა მე-5 მუხლთან მიმართებით, რომელიც ეხება პრემიებისა და შეღავათების გაანგარიშების ფაქტორად სქესის გამოყენებას. იგი ამ მოხსენებას წარუდგენს ევროპის პარლამენტს და საბჭოს არაუგვიანეს 2010 წლის 21 დეკემბრისა. საჭიროების შემთხვევაში კომისია მოხსენებას დაურთავს წინადადებებს ამ დირექტივის მოდიფიცირების შესახებ.

2. კომისიის მოხსენებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები.

## **მუხლი 17**

### **ტრანსპოზიცია**

1. წევრი სახელმწიფოები, არაუგვიანეს 2007 წლის 21 დეკემბრისა, დებულობენ კანონებს, მარეგულირებელ აქტებს და ადმინისტრაციულ დებულებებს, რომლებიც საჭიროა ამ დირექტივის დასაკმაყოფილებლად. ამ დებულებების ტექსტებს ისინი დაუყოვნებლივ უგზავნიან კომისიას.

ამ დებულებების მიღებისას წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიუთითონ წინამდებარე დირექტივაზე, ხოლო მათი ოფიციალურად გამოქვეყნების შემთხვევაში თან უნდა დაურთონ ასეთი მითითება. ასეთი პუბლიკაციების გამოქვეყნების ან მითითების გაკეთების მეთოდებს შეიმუშავებს წევრი სახელმწიფო.

2. წევრი სახელმწიფოები კომისიას უგზავნიან ეროვნული კანონმდებლობის ძირითად დებულებათა ტექსტებს, რომლებიც მათ ამ დირექტივით მოცულ სფეროში მიიღეს.

## **მუხლი 18**

### **ძალაში შესვლა**

ეს დირექტივა ძალაში შედის ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნების დღიდან.

## **მუხლი 19**

### **ადრესატები**

ამ დირექტივის ადრესატები არიან წევრი სახელმწიფოები შესრულებულია ბრიუსელში, 2004 წლის 13 დეკემბერს

საბჭოს მხრიდან

პრეზიდენტი ბ.რ. ბოტი



**ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2006 წლის 5 ივლისის დირექტივა  
2006/54/EC დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის საკითხებში მამაკაცთა  
და ქალთა თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის შესახებ**

ევროპის პარლამენტის და ევროპის კავშირის საბჭო

ითვალისწინებს რა ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებას, კერძოდ მის 141(3) მუხლს.

ითვალისწინებს რა კომისიის წინადადებას,

ითვალისწინებს რა ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის დასკვნას,

მოქმედებს რა ხელშეკრულების 251-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად,

ვინაიდან:

(1) საბჭოს 1976 წლის 9 თებერვლის დირექტივა 76/207/EEC მამაკაცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელების შესახებ, დასაქმებაზე, პროფესიულ ტრენინგზე და დაწინაურებაზე ხელმისაწვდომობის, და სამუშაო პირობების გათვალისწინებით, და საბჭოს 1986 წლის 24 ივლისის დირექტივა პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემებში ქალთა და მამაკაცთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელების შესახებ მნიშვნელოვნად შესწორდა; საბჭოს 1975 წლის 10 თებერვლის დირექტივა (75/117/EEC) წევრი სახელმწიფოების მამაკაცებისა და ქალების თანაბარი ანაზღაურების პრინციპთან დაკავშირებული კანონების დაახლოების შესახებ და საბჭოს 1997 წლის 15 დეკემბრის დირექტივა 97/80/EC სქესის საფუძველზე დისკრიმინაციის შემთხვევაში მტკიცებულების ტვირთის შესახებ ასევე შეიცავს დებულებებს, რომელთა მიზანს ქალთა და მამაკაცთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელება წარმოადგენს; ახლა, როდესაც ხსენებულ დირექტივებში შედის შესწორებები, სასურველია, ცხადი განმარტების მიზნით, მოხდეს ამ დებულებების მოდიფიცირება ამ სფეროში არსებული დებულებების ერთიან ტექსტად ჩამოყალიბების გზით, ასევე ევროპის თანამეგობრობის სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან წარმოშობილი საკითხების შუქზე (შემდგომში, სასამართლო).

(2) მამაკაცთა და ქალთა შორის თანასწორობა თანამეგობრობის სამართლის ფუნდამენტური პრინციპია ხელშეკრულების მე-2 მუხლის და მე-3(2) მუხლის, და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე. ხელშეკრულების დებულებები მამაკაცთა და ქალთა შორის თანასწორობას აცხადებენ როგორც თანამეგობრობის “ამოცანას” და “მიზანს” და პოზიტიურ ვალდებულებებს აკისრებენ მის ხელშეწობას მის ყველა ღონისძიებებში.

(3) სასამართლომ დაადგინა, რომ მამაკაცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპი არ შეიძლება შემოიფარგლოს დისკრიმინაციის აკრძალვით პირის ერთი ან მეორე სქესის კუთვნილების საფუძველზე. მისი მიზნიდან და

დასაცავი უფლებების ბუნებიდან გამომდინარე, იგი ასევე ეხება დისკრიმინაციას რომელიც პირის მიერ სქესის შეცვლის შედეგად წარმოიშობა.

(4) ხელშეკრულების 141(3) მუხლი ამჟამად უზრუნველყოფს კონკრეტულ სამართლებრივ ბაზას თანამეგობრობის მიერ ღონისძიებათა მისაღებად, რომლებიც უზრუნველყოფენ თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში, თანაბარი სამუშაოსთვის ან თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის ჩათვლით.

(5) ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის 21-ე და 23-ე მუხლები ასევე კრძალავს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე და იცავს ქალთა და მამაკაცთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპს ყველა სფეროში, დასაქმების, შრომის და ანაზღაურების ჩათვლით.

(6) ძალადობა და სქესობრივი ძალადობა ეწინააღმდეგება ქალთა და მამაკაცთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპს და წარმოადგენს დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე ამ ღირეტივის მიზნებისთვის. დისკრიმინაციის ამ ფორმებს ადგილი აქვს არა მხოლოდ სამუშაო ადგილზე, არამედ ასევე დასაქმებაზე, პროფესიულ ტრენინგებზე და დაწინაურებაზე ხელმისაწვდომობის კონტექსტში. აქედან გამომდინარე, ისინი უნდა აიკრძალოს და დაექვემდებაროს ეფექტიან, პროპორციულ და დამაჯერებელ სანქციებს.

(7) ამ კონტექსტში, დამსაქმებლებს და პროფესიულ ტრენინგებზე პასუხისმგებელ პირებს უნდა მოუწოდონ განახორციელონ ღონისძიებები სქესის საფუძველზე დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ საბრძოლველად, კერძოდ, მიიღონ ზომები ძალადობის და სქესობრივი ძალადობის წინააღმდეგ სამუშაო ადგილზე და დასაქმებაზე, პროფესიულ ტრენინგზე და დაწინაურებაზე ხელმისაწვდომობის სფეროში, ეროვნული კანონმდებლობის და პრაქტიკის შესაბამისად.

(8) თანაბარი შრომისა და თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების პრინციპი, როგორც ეს ხელშეკრულების 141-ე მუხლშია ჩამოყალიბებული და შემდგომში სასამართლოს პრეცედენტული სამართლითაა განმტკიცებული, მამაკაცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს და იგი თანამეგობრობის მიღწევების განუყოფელი ნაწილია, სქესობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ჩათვლით. აქედან გამომდინარე, მისი განხორციელებისათვის საჭიროა შემდგომი დებულებები.

(9) სასამართლოს მიერ შექმნილი პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, იმისთვის რომ შეფასდეს მუშაკები თანაბარ შრომას ან თანაბარი ღირებულების შრომას ეწევიან თუ არა, უნდა განისაზღვროს ეს მუშაკები არიან თუ არა ურთიერთავსებად სიტუაციაში, სადაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს მთელი რიგი ფაქტორები, სამუშაოს ბუნების, ტრენინგისა და სამუშაო პირობების ჩათვლით.

(10) სასამართლომ დაადგინა, რომ გარკვეული გარემოებების დროს, თანაბარი ანაზღაურების პრინციპი არ შემოიფარგლება სიტუაციებით, სადაც ქალი და მამაკაცი ერთი და იგივე დამსაქმებლისთვის მუშაობს.

(11) წევრმა სახელმწიფოებმა, სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობით, უნდა გააგრძელონ გენდერზე დაფუძნებული სახელფასო სხვაობის და შრომის ბაზარზე გენდერული სეგრეგაციის კვლავ არსებული პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლა, ისეთი ღონისძიებებით, როგორცაა, მოქნილი სამუშაო დროის შემოღება, რაც მამაკაცსაც და ქალსაც საშუალებას აძლევს უფრო წარმატებით შეუთავსოს ერთმანეთს ოჯახური და შრომითი ვალდებულებები. ეს ასევე შეიძლება მოიცავდეს სათანადო დეკრეტულ შვებულებას, რომლის აღებაც რომელიმე მშობელს შეუძლია, ასევე ხელმისაწვდომ ბავშვთა და უმწეოთა მზრუნველობით სამსახურებს.

(12) მიღებულ უნდა იქნეს სპეციალური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემებში და მისი ფარგლების უფრო მკაფიო განსაზღვრას.

(13) სასამართლომ, 1990 წლის 17 მაისს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე 262/88, დაადგინა, რომ ყველა ფორმის პროფესიული პენსია წარმოადგენს ანაზღაურების ელემენტს ხელშეკრულების 141-ე მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში.

(14) მიუხედავად იმისა, რომ ანაზღაურების ცნება ხელშეკრულების 141-ე მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში სოციალური უზრუნველყოფის შეღავათებს არ მოიცავს, ახლა უკვე მკაფიოდ არის დადგენილი, რომ საჯარო მოხელეთა საპენსიო სქემები თანაბარი ანაზღაურების პრინციპის ფარგლებში თავსდება თუ სქემის საფუძველზე დაწესებულ შეღავათებს მუშაკს უხდებიან საჯარო დამსაქმებელთან მისი შრომითი ურთიერთობების გამო, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ასეთი სქემა საერთო კანონიერი სქემის ნაწილს შეადგენს. სასამართლოს მიერ C-7/93 და C-351/00 საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ეს პირობა დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ საპენსიო სქემა ითვალისწინებს კონკრეტული კატეგორიის მუშაკებს და მისი შეღავათები პირდაპირ კავშირშია სამსახურის პერიოდთან და გამოიანგარიშება საჯარო მოხელის ბოლო ხელფასის მიხედვით. აქედან გამომდინარე, სიცხადის მიზნით, საჭიროა კონკრეტული დებულება ამ შედეგის მისაღწევად.

(15) სასამართლომ დაადასტურა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფიქსირებულ საპენსიო სქემებში მამაკაც და ქალ მუშაკთა შენატანები მოცულია ხელშეკრულების 141-ე მუხლით, დამსაქმებელთა შენატანების ნებისმიერი უთანასწორობა ფონდირებულ ფიქსირებულ სქემებში, რაც გამოწვეულია სქესის საფუძველზე აკტუარული ფაქტორების სხვადასხვაგვარი გამოყენებით, არ შეიძლება შეფასდეს ამავე დებულების შუქზე.

(16) მაგალითისთვის, ფონდირებული ფიქსირებული საპენსიო სქემების შემთხვევაში, ზოგიერთი ელემენტი – როგორცაა, პერიოდული პენსიის ნაწილის კაპიტალურ სახსრებში გადატანა, საპენსიო უფლებების გადაცემა, დაბრუნებითი პენსია რომელსაც კმაყოფაზე მყოფ პირს უხდებიან პენსიის ნაწილის დათმობის სანაცვლოდ, ან შემცირებული პენსია, როდესაც მუშაკი პენსიაზე ადრე გასვლას

ირჩევს - შეიძლება იყოს არათანასწორი, როდესაც რაოდენობის უთანასწორობა გამოწვეულია სქესის შესაბამისად სხვადასხვა აკტუარული ფაქტორების გამოყენებით დროის იმ პერიოდისთვის, როდესაც ხდება სქემის დაფინანსების განხორციელება.

(17) მკაფიოდ არის დადგენილი, რომ პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემების საფუძველზე დაწესებული შეღავათები არ უნდა იქნეს განხილული როგორც ანაზღაურება თუ ისინი არ მიესადაგებიან დასაქმების პერიოდს 1990 წლის 17 მაისამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მუშაკს ან მისი სახელით მოქმედ პირს, ამ თარიღამდე სასამართლო პროცესი აქვს დაწყებული ან საჩივარი აქვს შეტანილი შესაბამისი ეროვნული კანონის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისად შეზღუდულ იქნეს თანაბრი მოპყრობის პრინციპის განხორციელება.

(18) სასამართლო მუდმივად ადგენდა, რომ ბარბერის ოქმი ზემოქმედებას არ ახდენს პროფესიული საპენსიო სქემებთან მიერთების უფლებაზე და რომ C-262/88 საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის დროს არსებული შეზღუდვა არ ეხება პროფესიულ საპენსიო სქემებთან მიერთების უფლებას. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ეროვნული კანონის საფუძველზე პროცესუალური ქმედებების დაწყების დროის შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები შეიძლება ასევე მიესადაგოს მუშაკებს, რომლებიც იცავენ პროფესიულ საპენსიო სქემებთან მიერთების თავიანთ უფლებას, იმ პირობით, რომ ისინი ნაკლებ ხელსაყრელი არ არიან ამ სახის პროცესისთვის ვიდრე შიდასახელმწიფო ბუნების მქონე მსგავსი პროცესი და რომ ისინი შეუძლებელს არ ხდიან თანამეგობრობის სამართლით მინიჭებული უფლების პრაქტიკაში განხორციელებას. სასამართლომ ასევე აღნიშნა ის ფაქტი, რომ მუშაკს უკუქმედების ძალის საფუძველზე შეუძლია მოითხოვოს პროფესიულ სქემასთან მიერთება, მუშაკს უფლებას არ აძლევს თავიდან აიცილოს შენატანების გადახდა, რომლებიც ამ პერიოდის წევრობასთანაა დაკავშირებული.

(19) დასაქმებასა და პროფესიულ ტრენინგზე თანაბარი ხელმისაწვდომობა უმნიშვნელოვანესია დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის საკითხებში მამაკაცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებისთვის. აქედან გამომდინარე, ამ პრინციპთან დაკავშირებული ნებისმიერი გამონაკლისი უნდა შემოიფარგლოს იმ პროფესიული საქმიანობებით, რომლისთვისაც აუცილებელია კონკრეტული სქესის პირის დაქირავება სამუშაოს ბუნებიდან ან მისი შესრულების კონტექსტიდან გამომდინარე, იმ პირობით, რომ მისაღწევი მიზანი ლეგიტიმურია და შესაბამისობაშია პროპორციულობის პრინციპთან.

(20) ეს დირექტივა ზიანს არ აყენებს გაერთიანების უფლებას, სხვებთან ერთად კავშირების შექმნის უფლების და საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით კავშირებში გაერთიანების უფლების ჩათვლით. ხელშეკრულების 141(4) მუხლის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს ისეთი ორგანიზაციების ან კავშირების წევრობას ან მათ საქმიანობაში მონაწილეობას, რომელთა ძირითად ამოცანას მამაკაცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის პრაქტიკაში ხელშეწყობა წარმოადგენს.

(21) დისკრიმინაციის აკრძალვა ზიანს არ უნდა აყენებდეს ღონისძიებათა შენარჩუნებას ან მიღებას, რომლებიც გამიზნულია ერთი სქესის პირთა ჯგუფისთვის არახელსაყრელი გარემოებების პრევენციისთვის ან კომპენსაციისთვის. ასეთი ღონისძიებები საშუალებას იძლევა შეიქმნას ერთი სქესის პირთა ორგანიზაციები, რომელთა ძირითად მიზანს ამ პირთა განსაკუთრებული საჭიროებების და მამაკცთა და ქალთა შორის თანასწორობის ხელშეწყობა წარმოადგენს.

(22) ხელშეკრულების 141(4) მუხლის შესაბამისად, შრომით ცხოვრებაში ქალთა და მამაკცთა შორის თანასწორობის პრაქტიკული უზრუნველყოფის მიზნით, თანაბარი მოპყრობის პრინციპი წევრ სახელმწიფოებს ხელს არ უშლის შეინარჩუნონ ან მიიღონ ღონისძიებები, რომლებიც კონკრეტულ შეღავათებს უზრუნველყოფენ, რათა არასათანადოდ წარმოდგენილი სქესის პირებს გაუადვილდეთ პროფესიული საქმიანობის განხორციელება ან უზრუნველყოფილ იქნეს მათი პროფესიული კარიერის ხელშემშლელი პირობების პრევენცია, ან კომპენსაცია. არსებული სიტუაციის და ამსტერდამის ხელშეკრულების 28 დეკლარაციის გათვალისწინებით, წევრმა სახელმწიფოებმა უპირველეს ყოვლისა მიზნად უნდა დაისახონ შრომით ცხოვრებაში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება.

(23) სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან ცხადია, რომ ქალთა მიმართ არახელსაყრელი მოპყრობა, რომელიც ორსულობასთან ან ბავშვის გაჩენასთანაა დაკავშირებული, სქესის საფუძველზე პირდაპირ დისკრიმინაციას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ამგვარი მოპყრობა მკაფიოდ უნდა იქნეს მოცული ამ დირექტივით.

(24) სასამართლო, თანაბარი მოპყრობის კონტექსტში, მუდმივად აღიარებს ორსულობის და ბავშვის გაჩენის პერიოდში ქალთა ბიოლოგიური მდგომარეობის დაცვის და ასევე ჩვილბავშვიან ქალთა დაცვის ღონისძიებების შემოღების კანონიერებას, როგორც ჭეშმარიტი თანასწორობის მიღწევის საშუალებებს. აქედან გამომდინარე, ამ დირექტივამ ზიანი არ უნდა მიაყენოს 1992 წლის 19 ოქტომბრის 92/85/EEC დირექტივას ორსულ მუშაკთა, ჩვილბავშვიან მუშაკთა ან მეძუძურ დედათა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ. ეს დირექტივა ასევე ზიანს არ აყენებს საბჭოს 1996 წლის 3 ივნისის 96/34/EC დირექტივას დეკრეტული შვებულების სფეროში ევროპის მრეწველთა და დამსაქმებელთა კონფედერაციის კავშირს (UNICE), საზოგადოებრივი სექტორის მეწარმეთა და დამსაქმებელთა ცენტრს (CEEP) და ევროპის პროფკავშირების კონფედერაციას (ETUC) შორის დადებული ჩარჩო შეთანხმების შესახებ.

(25) სიცხადის მიზნით ასევე საჭიროა მკაფიო დებულებების შემუშავება დეკრეტულ შვებულებასთან დაკავშირებით ქალთა დასაქმების უფლებების შესახებ, განსაკუთრებით მათი უფლებების შესახებ დაბრუნდნენ იგივე ან თანაბარ თანამდებობაზე, ასეთი შვებულებით სარგებლობის გამო არ დაზარალდნენ ვადებისა და პირობების თვალსაზრისით და ისარგებლონ სამუშაო პირობების ნებისმიერი გაუმჯობესებით, რომელიც მათ მათი არყოფნის პერიოდში მიენიჭებოდათ.

(26) საბჭოსა და დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკის მინისტრთა რეზოლუცია ოჯახურ და შრომით ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებული მონაწილეობის შესახებ, რომელიც 2000 წლის 29 ივნისს საბჭოს შეხვედრის ფარგლებში იქნა მიღებული, წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს განიხილონ თავიანთი სამართლებრივი სისტემების გადასინჯვის საკითხი, რათა მუშაკ მამაკაცებს მიენიჭოთ ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული შვებულებით სარგებლობის ინდივიდუალური უფლება, რომელიც გადაცემას არ ექვემდებარება, ხოლო იმავდროულად შეინარჩუნონ დასაქმებასთან დაკავშირებული მათი უფლებები.

(27) ანალოგიური მოსაზრებები მიესადაგება წევრი სახელმწიფოს მიერ მამაკაცებისა და ქალებისათვის ბავშვის აყვანის შემდეგ შვებულებით სარგებლობის ინდივიდუალური უფლების მინიჭებას, რომელიც გადაცემას არ ექვემდებარება. წევრი სახელმწიფოები თავად ადგენენ მინიჭონ თუ არა მამათა დეკრეტული შვებულების და/ან ბავშვის აყვანის შვებულების უფლება და ასევე ადგენენ ნებისმიერ პირობებს ამ დირექტივის ფარგლებს მიღმა, სამსახურიდან განთავისუფლების და სამსახურში დაბრუნების გარდა.

(28) თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელება წევრი სახელმწიფოებისაგან სათანადო პროცედურების უზრუნველყოფას მოითხოვს.

(29) ამ დირექტივით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად სათანადო პროცესუალური და ადმინისტრაციული პროცედურების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებისათვის.

(30) თანაბარი მოპყრობის პრინციპის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფაში საგულისხმო როლს ასრულებს მტკიცებულების ტვირთის შესახებ წესების მიღება. როგორც სასამართლომ დაადგინა, საჭიროა დებულება, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მტკიცებულების ტვირთი გადავიდეს მოპასუხეზე, როდესაც ადგილი აქვს *prima facie* დისკრიმინაციის შემთხვევას, გარდა იმ პროცესებისა, როდესაც ფაქტების გამოძიება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს ევალება. თუმცა საჭიროა განიმარტოს, რომ ფაქტების გათვალისწინება, რომლებიც ადასტურებენ ჰქონდა თუ არა ადგილი პირდაპირ ან არაპირდაპირ დისკრიმინაციას, შესაბამისი ეროვნული ორგანოს კომპეტენციაში შედის, ეროვნული კანონის ან პრაქტიკის შესაბამისად. გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა პროცესის ნებისმიერ საფეხურზე უნდა უზრუნველყონ მტკიცებულების წესები, რომლებიც მოსარჩელისთვის უფრო ხელსაყრელია.

(32) ამ დირექტივით შეთავაზებული დაცვის დონის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, პროცესებში ჩართვის უფლება ასევე უნდა ჰქონდეთ ასოციაციებს, ორგანიზაციებს და სხვა იურიდიულ პირებს, როგორც ამას წევრი სახელმწიფო განსაზღვრავს, მოსარჩელის სახელით ან მის დასაცავად, წარმომადგენლობისა და დაცვის ეროვნული პროცედურებისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

(32) ეფექტიანი სასამართლო დაცვის უფლების ფუნდამენტური ბუნების გათვალისწინებით, საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მუშაკები კვლავ სარგებლობდნენ ასეთი დაცვით მას შემდეგ, რაც დასრულდება თანაბარი მოპყრობის პრინციპის სავარაუდო დარღვევის შედეგად წარმოშობილი

ურთიერთობები. მუშაკი, რომელიც იცავს ამ დირექტივით დაცულ პირს ან მტკიცებულებას წარადგენს მისი სახელით, დაცვის იგივე რეჟიმით უნდა სარგებლობდეს.

(33) სასამართლომ მკაფიოდ დაადგინა, რომ თანაბარი მოპყრობის პრინციპი, მისი ეფექტიანობის მიღწევის მიზნით, ითვალისწინებს, რომ ნებისმიერი დარღვევის შედეგად დაწესებული კომპენსაცია მიყენებული ზიანის ადეკვატური უნდა იყოს. ამიტომ საჭიროა გამოირიცხოს ასეთი კომპენსაციის რაიმე ზედა ზღვარის წინასწარი დაწესება, გარდა იმ შემთხვევისა, სადაც დამსაქმებელს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ამ დირექტივის მნიშვნელობით დისკრიმინაციის შედეგად განმცხადებლისადმი მიყენებული ერთადერთი ზიანი იყო უარი მისი სამუშაოზე მიღების განცხადებაზე.

(34) თანაბარი მოპყრობის პრინციპის ეფექტიანი განხორციელების განმტკიცების მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ დიალოგს სოციალურ პარტნიორებს შორის, ხოლო ეროვნული პრაქტიკის ფარგლებში – არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

(35) ამ დირექტივის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეფექტიანი, პროპორციული და დამაჯერებელი სანქციები.

(36) ვინაიდან ამ დირექტივის მიზნები სათანადოდ ვერ მიიღწევა წევრი სახელმწიფოების მიერ და, აქედან გამომდინარე, მათი უკეთ მიღწევა თანამეგობრობის დონეზეა შესაძლებელი, თანამეგობრობას შეუძლია მიიღოს ღონისძიებები ხელშეკრულების მე-5 მუხლში ჩამოყალიბებული სუბსიდირების პრინციპის შესაბამისად. პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, როგორც ამ მუხლითაა დადგენილი, ეს დირექტივა არ ცდება ამ მიზნების მიღწევისთვის საჭირო ფარგლებს.

(37) დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის საკითხებში მამაკაცთა და ქალთა მიმართ განსხვავებული მოპყრობის უკეთ გაგების მიზნით უნდა გაგრძელდეს გენდერულად დეტალიზებული, ურთიერთმედარებითი სტატისტიკის შემუშავება, ანალიზი და მათზე ხელმისაწვდომობა.

(38) დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის საკითხებში მამაკაცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპი არ უნდა შემოიფარგლოს საკანონმდებლო ღონისძიებებით. ნაცვლად ამისა, ევროპის კავშირმა და წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააგრძელონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სახელფასო დისკრიმინაციის სფეროში და ხელი შეუწყონ საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლას. ამ პროცესში მაქსიმალურად უნდა ჩაერთოს ყველა სათანადო პარტნიორი სახელმწიფო და კერძო დონეზე. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია დიალოგს სოციალურ პარტნიორებს შორის.

(39) ამ დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის ვალდებულება უნდა შემოიფარგლოს იმ დებულებებით, რომლებიც წინა დირექტივებთან შედარებით არსებით ცვლილებას წრმოადგენენ. იმ დებულებათა ტრანსპოზიციის ვალდებულება, რომლებიც არსებითად არ შეცვლილა, წინა დირექტივებიდან წარმოიშობა.

(40) ეს დირექტივა ზიანს არ აყენებს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის ვადებთან და 1-ლი დანართის B ნაწილში ჩამოყალიბებული დირექტივების გამოყენებასთან.

(41) უკეთესი კანონშემოქმედების შესახებ ინსტიტუციური ხელშეკრულების 34-ე პუნქტის შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებენ, თავიანთი და თანამეგობრობის ინტერესებიდან გამომდინარე, შეიმუშავონ საკუთარი გრაფიკები, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ კორელაციას ამ დირექტივასა და ტრანსპოზიციის ღონისძიებებს შორის, და საჯაროდ გამოაქვეყნონ ისინი.

## დებულობს ამ დირექტივას

### პარი I

#### ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1

##### მიზანი

ამ დირექტივის მიზანია ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბრი მოპყრობის პრინციპის უზრუნველყოფა დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის საკითხებში.

ამ მიზნით იგი შეიცავს თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებისთვის საჭირო დებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია შემდეგ სფეროებთან:

(ა) დასაქმებაზე ხელმისაწვდომობა, დაწინაურების და პროფესიული ტრენინგის ჩათვლით;

(ბ) შრომის პირობები, ანაზღაურების ჩათვლით;

(გ) პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემები.

იგი ასევე შეიცავს დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ განხორციელების მეტ ეფექტიანობას შესაბამისი პროცედურების დაფუძნების გზით.

#### მუხლი 2

##### ტერმინთა განმარტება

1. ამ დირექტივის მიზნებისთვის შემდეგი ტერმინები ნიშნავს:

(ა) “პირდაპირი დისკრიმინაცია”: როდესაც ერთ ადამიანს ნაკლებ ხელსაყრელად ეპყრობიან, სქესის საფუძველზე, ვიდრე მეორეს ეპყრობოდნენ, ეპყრობიან ან მოეპყრობიან ურთიერთთავსებად სიტუაციაში;

(ბ) “არაპირდაპირი დისკრიმინაცია”: როდესაც აშკარად ნეიტრალური დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა ერთი სქესის პირებს განსაკუთრებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მეორე სქესის პირებთან შედარებით, გარდა იმ შემთხვევისა, სადაც ასეთი დებულება, კრიტერიუმი თუ პრაქტიკა ობიექტურად გამართლებულია კანონიერი მიზნით, ხოლო ამ მიზნის მიღწევა არის შესაბამისი და აუცილებელი;

(გ) “მაღაღობა”: როდესაც სქესთან დაკავშირებული არასასურველ ქმედებას ადგილი აქვს პირის ღირსების შელახვის ან ღირსებაზე ზემოქმედების მიზნით, და რომელიც ქმნის დაშინების, მტრულ, ღირსების შემლახველ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს;



(დ) “სქესობრივი ძალადობა”: როდესაც ადგილი აქვს სქესობრივი ხასიათის არასასურველ სიტყვიერ, არასიტყვიერ ან ფიზიკურ ქმედებას პირის ღირსების შელახვის ან ღირსებაზე ზემოქმედების მიზნით, განსაკუთრებით, რომელიც ქმნის დაშინების, მტრულ, ღირსების შემლახველ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს;

(ე) “ანაზღაურება”: ჩვეულებრივი საბაზისო ან მინიმალური ხელფასი ან რაიმე სხვა სახის კომპენსაცია, ნაღდი ფულით ან ნატურით, რომელსაც მუშაკი ლეზულობს პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მის მიერ შესრულებული სამუშაოსთვის დამსაქმებლისგან;

(ვ) “პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემები”: სქემები, რომლებიც არ იმართება სოციალური უზრუნველყოფის საკითხებში მამაკაცთა და ქალთა თანაბარი მოპყრობის პრინციპის თანდათანობითი განხორციელების შესახებ საბჭოს 1978 წლის 19 დეკემბრის 79/7/EEC დირექტივით, რომლის მიზანია, დასაქმებული თუ თვითდასაქმებული მუშაკები – საწარმოში თუ საწარმოთა ჯგუფში, ეკონომიკური საქმიანობის სფეროში, პროფესიულ სექტორში თუ სექტორთა ჯგუფში - უზრუნველყოს შეღავათებით, რომლებიც გათვალისწინებულია კანონის საფუძველზე შექმნილი სოციალური უზრუნველყოფის სქემებით დადგენილ შეღავათებზე დანამატების უზრუნველსაყოფად ან მათ ჩასანაცვლებლად, მიუხედავად იმისა ეს სქემები სავალდებულოა თუ არჩევითი.

2. ამ დირექტივის მიზნებისთვის დისკრიმინაცია მოიცავს:

(ა) ძალადობას და სქესობრივ ძალადობას, ასევე ნებისმიერ სხვა ნაკლებად კეთილგანწყობილ მოპყრობას პირის მხრიდან ასეთი ქმედებაზე უარის ან დამორჩილების საფუძველზე;

(ბ) სქესის საფუძველზე პირის მიმართ დისკრიმინაციის განხორციელების მითითების მიცემა;

(გ) სხვა ნაკლებ ხელსაყრელი მოპყრობა ქალის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია ორსულობასთან ან დეკრეტულ შვებულებასთან 92/85/EEC დირექტივის მნიშვნელობის ფარგლებში.

### **მუხლი 3**

პოზიტიური ქმედება

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ან მიიღონ ღონისძიებები ხელშეკრულების 141(4) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, რომლებიც მიზნად ისახავს შრომით ცხოვრებაში მამაკაცთა და ქალთა შორის სრული თანასწორობის პრაქტიკაში უზრუნველყოფას.

## **პარი II**

### **საეციფიკური დებულებები**

#### **თავი 1**

#### **თანაბარი ანაზღაურება**

### **მუხლი 4**

დისკრიმინაციის აკრძალვა

დაუშვებელია სქესის საფუძველზე პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია თანაბარი სამუშაოს ან თანაბარი ღირებულების სამუშაოს ანაზღაურების ყველა ასპექტში და ყველა გარემოებაში.

კერძოდ, სადაც ანაზღაურების დასადგენად გამოიყენება სამუშაოს კლასიფიკაციის სისტემა, იგი ეფუძნება ერთნაირ კრიტერიუმებს, როგორც მამაკაცებისთვის, ისე ქალებისთვის და გამორიცხავს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე.

## თავი 2

### თანაბარი მოპყრობა პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემებში

#### მუხლი 5

დისკრიმინაციის აკრძალვა

მე-4 მუხლისთვის ზიანის მიყენების გარეშე, დაუშვებელია სქესის საფუძველზე დისკრიმინაცია პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემებში, კერძოდ, შემდეგ საკითხებთან მიმართებით:

- (ა) ასეთი სქემების ფარგლები და მათზე ხელმისაწვდომობის პირობები;
- (ბ) შენატანების ვალდებულება და შენატანების გაანგარიშება;
- (გ) შეღავათების გაანგარიშება, მეუღლის ან კმაყოფაზე მყოფ პირთა სათანადო დამატებითი შეღავათების ჩათვლით, და შეღავათების მიღების უფლებამოსილების ხანგრძლივობის და შენარჩუნების მარეგულირებელი პირობები.

#### მუხლი 6

პირადი ფარგლები

ეს თავი ეხება დასაქმებულ პირებს, მათ შორის თვითდასაქმებული პირებს, პირებს, რომელთა საქმიანობა შეწყდა ავადმყოფობის, ბავშვის გაჩენის, უბედური შემთხვევის ან არანებაყოფლობითი უმუშევრობის გამო, და სამუშაოს მაძიებელ პირებს და პენსიონერ და უნარშეზღუდულ მუშაკებს, და მათი სახელით მოქმედ პირებს, ეროვნული კანონმდებლობის და/ან პრაქტიკის შესაბამისად.

#### მუხლი 7

მატერიალური ფარგლები

1. ეს თავი ეხება:

(ა) პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შემდეგი რისკებისგან დაცვას:

- (i) ავადმყოფობა
- (ii) შრომისუუნარობა;
- (iii) ხანდაზმულობა, პენსიაზე ნაადრევი გასვლის ჩათვლით,
- (iv) საწარმოო ტრავმა და პროფესიული დაავადებები,
- (v) უმუშევრობა;

(ბ) პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემებს, რომლებიც სხვა სოციალურ შეღავათებს უზრუნველყოფენ, ნაღდი ფულით ან ნატურით, და განსაკუთრებით მარჩენალდაკარგულთა შეღავათებს და ოჯახის დახმარებებს, თუ ეს შეღავათები წარმოადგენს ანაზღაურებას, რომელსაც დამსაქმებელი უხდის მუშაკს ამ უკანასკნელის საქმიანობის გამო.

2. ეს თავი ასევე ეხება გარკვეული კატეგორიის მუშაკთა საპენსიო სქემებს, როგორცაა საჯარო მოხელეები, თუ ამ სქემის საფუძველზე დაწესებულ შეღავათებს მუშაკს უხდიან საჯარო დამსაქმებელთან მისი შრომითი ურთიერთობების გამო. ის ფაქტი, რომ ასეთი სქემა საერთო კანონიერი სქემის ნაწილს შეადგენს, ზიანს არ აყენებს ამ საკითხს.

## **მუხლი 8**

მატერიალური ფარგლებიდან გამორიცხვა

1. ეს თავი არ ეხება:

- (ა) თვითდასაქმებულ პირთა ინდივიდუალურ კონტრაქტებს;
- (ბ) თვითდასაქმებულ პირთა ერთწევრიან სქემებს;
- (გ) დაზღვევის კონტრაქტებს, სადაც დამსაქმებელი მხარეს არ წარმოადგენს, მუშაკთა შემთხვევაში;
- (დ) პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემების ფაკულტატურ დებულებებს, რომლებსაც ინდივიდუალურად სთავაზობენ მონაწილეებს, რათა უზრუნველყონ ისინი:
  - (i) ან დამატებითი შეღავათებით,
  - (ii) ან თარიღის არჩევით, როდესაც თვითდასაქმებულ პირებისთვის დაიწყება ჩვეულებრივი შეღავათები, ან სხვადსხვა შეღავათებს შორის არჩევანით;
- (ე) პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემები, იმდენად რამდენადაც ეს შეღავათები ფინანსდება მუშაკთა მიერ ნებაყოფლობით საფუძველზე გადახდილი შენატანებით.

2. ეს თავი ხელს არ უშლის დამსაქმებელს საპენსიო ასაკს მიღწეულ პირს დაუნიშნოს პენსია პროფესიული სქემის საფუძველზე, მაგრამ ვისაც ჯერ არ მიუღწევია კანონით დადგენილი საპენსიო ასაკისთვის – საპენსიო დანამატი, რომლის მიზანია ამ პირებისთვის გადახდილი პენსიების საერთო რაოდენობა გაუთანაბროს ან უფრო თანაბარი გახადოს იმ პენსიებთან მიმართებით, რომელსაც იმავე სიტუაციაში საპენსიო ასაკს მიღწეულ საწინააღმდეგო სქესის პირებს უხდიან, სანამ პირი, რომელიც პენსიის დანამატს ღებულობს, კანონით დადგენილ საპენსიო ასაკს არ მიაღწევს.

## **მუხლი 9**

დისკრიმინაციის მაგალითები

1. თანაბარი მოპყრობის პრინციპის საწინააღმდეგო დებულებებად ითვლება სქესზე დაფუძნებული დებულებები, რომლებიც იწვევენ დისკრიმინაციას შემდეგ საკითხებში:

- (ა) პირთა განსაზღვრა, რომლებსაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემებში;
- (ბ) პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემებში სავალდებულო ან არჩევითი ხასიათის მონაწილეობის დადგენა;
- (გ) განსხვავებული წესების შემოღება სქემებში მონაწილეობის ასაკის განსაზღვრისათვის, ან პენსიის მისაღებად დასაქმების ან სქემაში წევრობის მინიმალური პერიოდის განსაზღვრისათვის;
- (დ) განსხვავებული წესების შემოღება, (თ) და (კ) ქვეპუნქტებით დადგენილი პირობების გარდა, შენატანების ანაზღაურებისთვის, როდესაც მუშაკი სქემიდან გადის იმ პირობების დაკმაყოფილების გარეშე, რომლებიც გრძელვადიანი პენსიების გადავადებას უზრუნველყოფენ;
- (ე) ასეთი შეღავათების მისაღებად ან შესაზღვრად ერთი ან მეორე სქესის პირთათვის განსხვავებული პირობების დადგენა;

- (ვ) განსხვავებული საპენსიო ასაკის დაწესება;
  - (ზ) დეკრეტული შვებულების ან ოჯახური მიზეზების გამო შვებულების პერიოდში უფლებების შენარჩუნების ან მოპოვების შეწყვეტა, რომლებიც მინიჭებულია კანონით ან ხელშეკრულებით, და რომელსაც დამსაქმებელი ანაზღაურებს;
  - (თ) შეღავათების სხვადასხვა დონეების დაწესება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს გაანგარიშების აკტუარული ფაქტორები, რომლებიც განსხვავებულია სქესის შესაბამისად; ფონდირებული ფიქსირებული საპენსიო სქემების შემთხვევაში ზოგიერთი ელემენტი შეიძლება იყოს არათანასწორი, როდესაც რაოდენობის უთანასწორობა გამოწვეულია სქესის შესაბამისად სხვადასხვა აკტუარული ფაქტორების გამოყენებით დროის იმ პერიოდისთვის, როდესაც ხდება სქემის დაფინანსების განხორციელება;
  - (ი) მუშაკთა შენატანების განსხვავებული დონეების დაწესება;
  - (კ) დამსაქმებელთა შენატანების განსხვავებული დონეების დადგენა, გარდა:
    - (i) იმ შემთხვევისა, როდესაც ფიქსირებული შენატანების სქემების მიზანია საბოლოო პენსიების გათანაბრება ან მათი მაქსიმალური დაახლოება ორივე სქესისთვის;
    - (ii) იმ შემთხვევისა, როდესაც ფონდირებულ ფიქსირებულ საპენსიო სქემებში დამსაქმებლის შენატანები გამიზნულია ფიქსირებული პენსიების ხარჯების დასაფარად საჭირო ფონდების ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად;
  - (ლ) განსხვავებული ან მხოლოდ ერთი სქესის მუშაკთათვის გამიზნული სტანდარტების დაწესება, გარდა (თ) და (კ) ქვეპუნქტებში დადგენილი პირობებისა, პენსიების გადავადების უზრუნველყოფის ან შენარჩუნების უფლებამოსილებასთან მიმართებით როდესაც მუშაკი სქემიდან გადის.
2. როდესაც ამ თავის ფარგლებში შეღავათების მინიჭება სქემის მმართველი ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილებაა, ამ უკანასკნელმა უნდა დააკმაყოფილოს თანაბარი მოპყრობის პრინციპი.

## **მუხლი 10**

განხორციელება თვითდასაქმებულ პირებთან მიმართებით

1. წევრი სახელმწიფოები დგამენ საჭირო ნაბიჯებს თვითდასაქმებულ მუშაკთა პროფესიული სქემების დებულებების შესწორების უზრუნველსაყოფად, რომლებიც ეწინააღმდეგებიან თანაბარი მოპყრობის პრინციპს და ძალაში შევიდნენ არა უადრეს 1993 წლის 1 იანვრისა, ხოლო იმ წევრი სახელმწიფოებისთვის, რომელთა მიერთება ამ თარიღის შემდეგ მოხდა, იმ თარიღიდან, როდესაც მათ ტერიტორიაზე ძალაში შევიდა 86/378/EEC დირექტივა.
2. ეს თავი არ გამორიცხავს უფლებებს და ვალდებულებებს, რომლებიც დაკავშირებული არიან სქემის გადასინჯვამდე თვითდასაქმებულ პირთა პროფესიული სოციალური დაზღვევის სქემებში წევრობის პერიოდთან, იმ პერიოდში ძალაში მყოფი სქემის დებულებების დაქვემდებარებიდან.

## **მუხლი 11**

გადავადების შესაძლებლობა თვითდასაქმებული პირებისთვის

თვითდასაქმებულ პირთა პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემებთან დაკავშირებით, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაავადონ თანასწორი მოპყრობის პრინციპის სავალდებულო გამოყენება შემდეგ საკითხებთან მიმართებით:

(ა) ხანდაზმულობის ან პენსიაზე გასვლის პენსიებისთვის საპენსიო ასაკის განსაზღვრა, და სხვა შეღავათების შესაძლო ჩართვა:

(i) ან იმ თარიღამდე, როდესაც ასეთი თანასწორობა კანონით დადგენილ სქემებში იქნა მიღწეული,

(ii) ან, ყველაზე უგვიანეს, სანამ ასეთი თანასწორობა დირექტივით იქნა დადგენილი;

(ბ) მარჩენალდაკარგულთა პენსიები, სანამ თანამეგობრობის კანონი თანაბარი მოპყრობის პრინციპს დააფუძნებს კანონით დადგენილი სოციალური უზრუნველყოფის სქემებში ამ საკითხთან მიმართებით;

(გ) მე-9(1)(i) მუხლის დაცვა სხვადასხვა აკტუარული გაანგარიშების ფაქტორების გამოყენებასთან დაკავშირებით, 1999 წლის 1 იანვრამდე, ხოლო იმ წევრი სახელმწიფოებისთვის, რომელთა მიერ თემა ამ თარიღის შემდეგ მოხდა, იმ თარიღიდან, როდესაც მათ ტერიტორიაზე ძალაში შევიდა 86/378/EEC დირექტივა.

## **მუხლი 12**

უკუქმედების ძალა

1. ამ დირექტივის განმახორციელებელი ნებისმიერი ღონისძიება, მუშაკებთან დაკავშირებით, მოიცავს პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემების საფუძველზე დაწესებულ ყველა შეღავათს, რომელიც წარმოიშობა 1990 წლის 17 მაისის შემდგომ პერიოდებში ნამსახურეობის საფუძველზე და უკუქმედების ძალა აქვს ამ თარიღის მიმართ, ზიანის მიყენების გარეშე იმ მუშაკებისათვის ან მათი სახელით მომჩივანი პირებისათვის, რომლებმაც ამ თარიღამდე დაიწყეს პროცესუალური ქმედება ან მსგავსი საჩივარი შეიტანეს ეროვნული კანონის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში განხორციელების ღონისძიებები უკუქმედების ძალით ეხება 1976 წლის 8 აპრილს და იგი მოიცავს ყველა შეღავათს, რომელიც წარმოიშობა ამ თარიღის შემდგომი დასაქმების ყველა პერიოდისათვის. წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც თანამეგობრობას შეუერთდნენ 1976 წლის 8 აპრილის შემდეგ და 1990 წლის 17 მაისამდე, ეს თარიღი იცვლება თარიღით, როდესაც მათ ტერიტორიაზე ძალაში შევიდა ხელშეკრულების 141-ე მუხლი.

2. პირველი პუნქტის მეორე წინადადება ხელს არ უშლის ეროვნულ წესებს, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნული კანონის საფუძველზე პროცესუალური ქმედების დაწყების დროის შეზღუდვასთან იმ მუშაკებისთვის ან მათი სახელით მოქმედი პირებისთვის, რომლებმაც სასამართლო პროცესი წამოიწიეს ან ეროვნული კანონის საფუძველზე საჩივარი შეიტანეს 1990 წლის 17 მაისამდე, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ნაკლებ ხელსაყრელი არ არიან ამ ტიპის ქმედებისათვის, ვიდრე მსგავსი შიდასახელმწიფოებრივი ბუნების მქონე ქმედებები და რომ ისინი არ აწესებენ ისეთი უფლებების განხორციელებას, რომლებიც შეუძლებელს ხდიან თანამეგობრობის სამართლის პრაქტიკაში განხორციელებას.

3. წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც გაწევრიანდნენ 1990 წლის 17 მაისის შემდეგ და რომლებიც 1994 წლის 1 იანვარს ევროპის ეკონომიკური სივრცის ხელშეკრულების მონაწილე მხარეს წარმოადგენდნენ, 1990 წლის 17 მაისის თარიღი 1-ლი პუნქტის პირველ წინადადებაში უნდა შეიცვალოს 1994 წლის 1 იანვრით.

4. ყველა დანარჩენი წევრი სახელმწიფოსთვის, რომლებიც მიუერთდნენ 1990 წლის 17 მაისის შემდეგ, 1990 წლის 17 მაისის თარიღი პირველ და მეორე პუნქტებში უნდა შეიცვალოს თარიღით, როდესაც მათ ტერიტორიებზე ძალაში შევიდა ხელშეკრულების 141-ე მუხლი.

### **მუხლი 13**

მოქნილი საპენსიო ასაკი

მამაკცებს და ქალებს მოქნილი საპენსიო ასაკის მოთხოვნა შეუძლიათ თანაბარი პირობების საფუძველზე; ეს არ შეიძლება ჩათვალოს როგორც ამ თავთან შეუთავსებელი.

### **თაზი 3**

**თანაბარი მოპყრობა დასაქმებაზე, პროფესიულ ტრენინგებზე და დაწინაურებასა და სამუშაო პირობებზე ხელმისაწვდომობის სფეროში**

### **მუხლი 14**

დისკრიმინაციის აკრძალვა

1. დაუშვებელია პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე საზოგადოებრივ თუ კერძო სექტორებში, სახელმწიფო ორგანოების ჩათვლით, შემდეგ საკითხებთან მიმართებით:

(ა) დასაქმებაზე, თვითდასაქმებაზე და პროფესიულ საქმიანობაზე ხელმისაწვდომობის პირობები, შერჩევის კრიტერიუმების და დაქირავების პირობების ჩათვლით, საქმიანობის ნებისმიერ სფეროში და პროფესიული იერარქიის ყველა დონეზე, დაწინაურების ჩათვლით;

(ბ) ყველა ტიპის და ყველა დონის პროფესიულ ხელმძღვანელობაზე, პროფესიულ ტრენინგზე, კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებაზე ხელმისაწვდომობა, პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილების ჩათვლით;

(გ) დასაქმება და სამუშაო პირობები, სამსახურიდან დათხოვნის ჩათვლით, ასევე ანაზღაურება, როგორც ეს ხელშეკრულების 141-ე მუხლითაა დადგენილი;

(დ) მუშაკთა ან დამსაქმებელთა ორგანიზაციების წევრობა ან მათ საქმიანობაში მონაწილეობა, ან ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომლებიც რომელიმე კონკრეტული პროფესიის ადამიანებს აერთიანებენ, ასეთი ორგანიზაციების მიერ უზრუნველყოფილი შეღავათების ჩათვლით.

2. წევრ სახელმწიფოებს, დასაქმებაზე და მისგან გამომდინარე ტრენინგზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, შეუძლიათ დაუშვან, რომ გარკვეული განსხვავებული მოპყრობა, რომელიც დაფუძნებულია სქესთან დაკავშირებულ მახასიათებელზე, არ წარმოადგენს დისკრიმინაციას, როდესაც იგი გამოწვეულია მოცემული პროფესიული საქმიანობის ბუნებით ან სამუშაოს შესრულების თავისებურებებით და ეს მახასიათებელი პროფესიული საქმიანობის ძირითადი და გადამწყვეტი მოთხოვნაა, იმ პირობით, რომ მისი მიზანი არის ლეგიტიმური, ხოლო მოთხოვნა – პროპორციული.

### **მუხლი 15**

დეკრეტული შვებულებიდან დაბრუნება

დეკრეტულ შვებულებაში მყოფ ქალს, დეკრეტული შვებულების პერიოდის დამთავრების შემდეგ, უფლება აქვს დაბრუნდეს თავის სამუშაოზე ან მის თანაბარ პოსტზე იმ ვადითა და პირობებით, რომელიც მისთვის ნაკლებ ხელსაყრელი არ არის და ისარგებლოს სამუშაო პირობების ნებისმიერ გაუჯობესებთ, რომელიც მას სამუშაოზე არყოფნის განმავლობაში მიენიჭებოდა.

### **მუხლი 16**

მამათა დეკრეტული შვებულება და ბავშვის აყვანის შვებულება

ეს დირექტივა ხელს არ უშლის წევრ სახელმწიფოებს აღიარონ მამათა დეკრეტულ შვებულებასთან და/ან ბავშვის აყვანასთან დაკავშირებული განსხვავებული უფლებები. წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ასეთ უფლებებს აღიარებენ, საჭირო ღონისძიებებს დებულობენ იმ მომუშავე მამაკაცთა და ქალთა სამსახურიდან დათხოვნისაგან დასაცავად, რომლებიც ამ უფლებებს იყენებენ, და უზრუნველყოფენ, რომ ასეთი შვებულების დამთავრების შემდეგ მათ ჰქონდეთ საკუთარ თანამდებობაზე ან მის თანაბარ თანამდებობაზე დაბრუნების უფლება იმ ვადითა და პირობებით, რომლებიც მათთვის ნაკლებ ხელსაყრელი არ არის, და ისარგებლონ სამუშაო პირობების ნებისმიერი გაუმჯობესებით, რომელიც მათ სამუშაოზე არყოფნის განმავლობაში მიენიჭებოდათ.

### პარი III

#### კორიზონტალური დებულებები

##### თავი 1

დაცვის საშუალებები და აღსრულება

განყოფილება 1

უფლებების დაცვა

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ, სხვა კომპეტენტურ ორგანოებში შესაძლო საჩივრის შემდეგ, სათანადო შემთხვევაში მორიგების ჩათვლით, ყველა პირს ვინც თანაბარი მოპყრობის პრინციპის დარღვევის საფუძველზე თავს დაზარალებულად მიიჩნევს, ხელი მიუწვდება სასამართლო პროცედურებზე ამ დირექტივით დაკისრებული ვალდებულებების განმტკიცების მიზნით, მას შემდეგაც კი, როდესაც დასრულდება სავარაუდო დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ურთიერთობები.

2. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ასოციაციებს, ორგანიზაციებს და სხვა იურიდიული პირებს, რომლებსაც მათი ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე კანონიერი ინტერესი აქვთ ამ დირექტივის დებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიმართ, შეუძლიათ ჩაერთონ ნებისმიერ სასამართლო და/ან ადმინისტრაციულ პროცესში მოსარჩელეს სახელით ან მის მხარდასაჭერად, ამ დირექტივის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების განმტკიცების მიზნით.

3. 1-ლი და მე-2 პუნქტი ხელს არ უშლის ეროვნულ დებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია თანაბარი მოპყრობის პრინციპთან დაკავშირებული პროცესების დაწყების ვადების შეზღუდვასთან.

#### მუხლი 18

კომპენსაცია ან დარღვეული უფლებების აღდგენა

წევრი სახელმწიფოები თავიანთ ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში ღებულობენ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა რეალური და ეფექტიანი კომპენსაციისათვის ან დარღვეული უფლებების აღსადგენად, როგორც ამას წევრი სახელმწიფოები დაადგენენ იმ ზიანისთვის ან ზარალისთვის, რომელიც პირს მაიდაგა სქესის საფუძველზე განხორციელებული დისკრიმინაციის შედეგად, მიყენებული ზიანის პროპორციული და დამაჯარებელი საშუალებით. ასეთი კომპენსაცია ან დარღვეული უფლებების აღდგენა არ უნდა შეიზღუდოს წინასწარი ზედა ზღვრის დადგენით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დამსაქმებელს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ერთადერთი ზიანი, რომელიც განმცხადებელს დისკრიმინაციის შედეგად მაიდაგა ამ დირექტივის მნიშვნელობის ფარგლებში, არის უარი მისი სამსახურში მიღების განცხადებაზე. განყოფილება 2

მტკიცებულების ტვირთი

## მუხლი 19

მტკიცებულების ტვირთი

1. წევრი სახელმწიფოები, თავიანთი ეროვნული სასამართლო სისტემების შესაბამისად, ღებულობენ ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ პირმა, რომელიც თანაბარი მოპყრობის პრინციპის დარღვევის გამო თავს დაზარალებულად მიიჩნევს, სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს წინაშე დაასაბუთოს ფაქტები, რომელთა საფუძველზე შესაძლოა დადგინდეს რომ ადგილი ჰქონდა პირდაპირ ან არაპირდაპირ დისკრიმინაციას, ხოლო მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს რომ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.
2. 1-ლი პუნქტი ხელს არ უშლის წევრ სახელმწიფოებს შემოიღონ მტკიცებულების წესები, რომელიც უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მოსარჩელეს.
3. წევრი სახელმწიფოები არ იყენებენ 1-ლ პუნქტს იმ პროცესებისთვის, სადაც საქმესთან დაკავშირებული ფაქტების გამოძიება სასამართლოს ან კომპეტენტურ ორგანოს ეკისრება.
4. პუნქტი 1, 2 და 3 ასევე ეხება:
  - (ა) ხელშეკრულების 141-ე მუხლით მოცულ სიტუაციებს და, იმ ფარგლებში რამდენადაც საკითხი ეხება სქესზე დაფუძნებულ დისკრიმინაციას, 92/85/EEC და 96/34/EC დირექტივებით მოცულ სიტუაციებს;
  - (ბ) ნებისმიერი სამოქალაქო და ადმინისტრაციული პროცედურას, რომელიც ეხება სახელმწიფო ან კერძო სექტორს, რომელიც უზრუნველყოფს დაცვის საშუალებებს ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე (ა) ქვეპუნქტში მითითებული ღონისძიებების შესაბამისად, გარდა ნებაყოფლობითი ბუნების მქონე არასასამართლო პროცესებისა ან ეროვნული კანონით დადგენილი პროცესებისა.
5. ეს მუხლი არ ეხება სისხლის სამართლის პროცედურებს, თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი წევრი სახელმწიფოების მიერ.



**თანაბარი მოპყრობის ხელშეწყობა – დიალოგი**

**მუხლი 20**

თანასწორობის ორგანოები

1. წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ და ასრულებენ საჭირო ქმედებებს სქესის საფუძველზე ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ყველა პირის მიმართ თანაბარი მოპყრობის ხელშეწყობის, ანალიზის, მონიტორინგის და მხარდაჭერის ორგანოსათვის ან ორგანოებისთვის. ეს ორგანოები შეიძლება წარმოადგენდნენ დაწესებულებების ნაწილს, რომლებიც ეროვნულ დონეზე ემსახურებიან ადამიანის უფლებების ან ინდივიდუალური უფლებების დაცვას.

2. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ამ ორგანოების კომპეტენციები მოიცავდეს შემდეგს:

(ა) დამოუკიდებელი დახმარების უზრუნველყოფა დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საჩივრების წარმოებისას მე-17(2) მუხლში მითითებული დაზარალებულებისთვის და გაერთიანებებისთვის, ორგანიზაციებისთვის ან სხვა იურიდიული პირებისთვის დისკრიმინაციასთან დაკავშირებული მათი საჩივრების წარმოებისას;

(ბ) დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დამოუკიდებელი კვლევების ჩატარება;

(გ) ასეთ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე დამოუკიდებელი მოხსენებების გამოქვეყნება და რეკომენდაციების შემუშავება;

(დ) ნებისმიერ სათანადო დონეზე ინფორმაციის გაცვლა შესაბამის ევროპულ ორგანოებთან, როგორცაა გენდერული თანასწორობის რომელიმე სამომავლო ევროპული ინსტიტუტი.

**მუხლი 21**

საზოგადოებრივი დიალოგი

1. წევრი სახელმწიფოები, ეროვნული ტრადიციებისა და პრაქტიკის შესაბამისად, სათანადო ზომებს ღებულობს სოციალურ პარტნიორებს შორის საზოგადოებრივი დიალოგის ხელშესაწყობად თანაბარი მოპყრობის განმტკიცების მიზნით, მათ შორის, მაგალითად, საწარმოო პრაქტიკაზე, დასაქმებაზე, ტრენინგზე და დაწინაურებაზე ხელმისაწვდომობის მონიტორინგის გზით, ასევე კოლექტიური ხელშეკრულებების, ქცევის კოდექსის, გამოცდილების და კარგი პრაქტიკის კვლევის ან გაზიარების მონიტორინგის გზით.

2. როდესაც ეროვნულ ტრადიციებს და პრაქტიკას არ ეწინააღმდეგება, წევრი სახელმწიფოები მოუწოდებენ სოციალურ პარტნიორებს, მათი დამოუკიდებლობისთვის ზიანის მიყენების გარეშე, ხელი შეუწყონ მამაკაცთა და ქალთა შორის თანასწორობას და მოქნილი სამუშაო სისტემების შექმნას, რითაც დახმარება უნდა გაუწიონ შრომითი და პირადი ცხოვრების ურთიერთშეთავსებას და სათანადო დონეზე ხელშეკრულებების დადებას, რომლებიც დისკრიმინაციის საწინააღმდეგო წესებს აფუძნებენ 1-ლ მუხლში მითითებულ სფეროებში, რომელიც კოლექტიური გარიგების ფარგლებში თავსდება. ამ ხელშეკრულებებში დაცული უნდა იქნეს ამ დირექტივის დებულებები და განხორციელების შესაბამისი ეროვნული ღონისძიებები.

3. წევრი სახელმწიფოები, ეროვნული კანონმდებლობის, კოლექტიური ხელშეკრულებების ან პრაქტიკის შესაბამისად, მოუწოდებენ დამსაქმებლებს, გეგმიური და სისტემატური გზით ხელი შეუწყონ მამაკაცთა და ქალთა მიმართ

თანაბარ მოპყრობას სამუშაო ადგილებზე, დასაქმებაზე ხელმისაწვდომობაში, პროფესიულ ტრენინგებში და დაწინაურებაში.

4. ამ მიზნით დამსაქმებლებს უნდა მოუწოდონ, რომ მუშაკებს და/ან მათ წარმომადგენლებს დროის რეგულარულ პერიოდში მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია ორგანიზაციაში მამაკცთა და ქალთა მიმართ თანაბარი მოპყრობის შესახებ.

ასეთი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს ორგანიზაციის სხვადასხვა დონეებზე მამაკცთა და ქალთა პროპორციის მიმოხილვას; მათ ანაზღაურებას და ანაზღაურებებს შორის სხვაობას; და მუშაკთა წარმომადგენლებთან თანამშრომლობით სიტუაციის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

## **მუხლი 22**

დიალოგი არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის

წევრი სახელმწიფოები ხელს უწყობენ დიალოგს არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რომლებსაც, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, კანონიერი ინტერესი აქვთ წვლილი შეიტანონ სქესის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, თანაბარი მოპყრობის პრინციპის განვითარების მიზნით.

## **თავი 3**

### **ზოგადი ჰორიზონტალური დებულებები**

#### **შესრულება**

წევრი სახელმწიფოები ყველა ზომას ხმარობენ რათა უზრუნველყონ, რომ:

(ა) გაუქმდეს ნებისმიერი კანონი, მარეგულირებელი აქტი და ადმინისტრაციული დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება თანაბარი მოპყრობის პრინციპს;

(ბ) გაუქმდეს ან შესწორდეს ინდივიდუალური ან კოლექტიური კონტრაქტების ან ხელშეკრულებების, საწარმოთა შიდა წესების ან დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციების და მუშაკთა და დამსაქმებელთა ორგანიზაციის ან ნებისმიერი სხვა ერთეულების მმართველი წესების დებულებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან თანაბარი მოპყრობის პრინციპს;

(გ) პროფესიული სოციალური უზრუნველყოფის სქემები, რომლებიც ასეთ დებულებებს შეიცავენ შეიძლება არ იქნეს დამტკიცებული ან გაგრძელებული ადმინისტრაციული ზომებით.

## **მუხლი 24**

დაზარალებული

წევრი სახელმწიფოები თავიანთ ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში დებულებებს ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა მუშაკთა დასაცავად, მუშაკთა წარმომადგენლების ჩათვლით, ეროვნული კანონების და/ან პრაქტიკის მეშვეობით, დამსაქმებლის მიერ მათი განთვისუფლებისაგან ან სხვა ზიანის მომტანი ქმედებისაგან, რომელიც წარმოადგენს რეაგირებას მუშაკთა საჩივარზე ორგანიზაციის შიგნით ან სასამართლო პროცესის მეშვეობით, რომელიც მიზნად ისახავს თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაკმაყოფილების განმტკიცებას.

## **მუხლი 25**

### **სანქციები**

წევრი სახელმწიფოები შეიმუშავენ სანქციების წესებს, რომლებიც მიესადაგებიან ამ დირექტივის შესაბამისად მიღებული ეროვნული დებულებების დარღვევას და ღებულობენ ყველა საჭირო ზომას მათი გამოყენების უზრუნველსაყოფად. სანქციები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს დაზარალებულისთვის კომპენსაციის გადახდას, უნდა იყო ეფექტიანი, პროპორციული და დამაჯერებელი. წევრი სახელმწიფოები ამ დებულებების შესახებ კომისიას აცნობებენ არაუგვიანეს 2005 წლის 5 ოქტომბრისა, ხოლო შემდგომში მიღებული ცვლილებების შესახებ, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ამ დებულებებზე – დაუყოვნებლივ.

## **მუხლი 26**

### **დისკრიმინაციის პრევენცია**

წევრი სახელმწიფოები, ეროვნული კანონმდებლობის, კოლექტიური ხელშეკრულებებისა და პრაქტიკის შესაბამისად, მოუწოდებენ დამსაქმებლებს და პროფესიულ ტრენინგებზე პასუხისმგებელ პირებს, ეფექტიანი ზომები მიიღონ სქესის საფუძველზე ყველა ფორმის დისკრიმინაციის პრევენციისთვის, ძალადობის და სქესობრივი ძალადობის ჩათვლით, სამუშაო ადგილებზე და დასაქმებაზე, პროფესიული ტრენინგებზე და დაწინაურებაზე ხელმისაწვდომობაში.

## **მუხლი 27**

### **მინიმალური მოთხოვნები**

1. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შემოიღონ ან შეინარჩუნონ დებულებები, რომლებიც უფრო ხელსაყრელია თანაბარი მოპყრობის პრინციპის დასაცავად, ვიდრე ამ დირექტივაში ჩამოყალიბებული დებულებები.
2. ამ დირექტივის განხორციელება არანაირ გარემოებაში არ წარმოადგენს სათანადო საფუძველს მუშაკთა დაცვის დონის შესამცირებლად მის მიერ მოცულ სფეროებში; იგი ხელს არ უშლის წევრი სახელმწიფოების უფლებას რეაგირება მოახდინონ სიტუაციის ცვლილებებზე კანონების, მარეგულირებელი აქტების და ადმინისტრაციული დებულებების მიღებით, რომლებიც განსხვავებულია ამ დირექტივისაგან, იმ პირობით, რომ ისინი აკმაყოფილებენ ამ დირექტივის დებულებებს.

## **მუხლი 28**

### **თანამეგობრობისა და ეროვნული დებულებების ურთიერთდამოკიდებულება**

1. ეს დირექტივა ხელს არ უშლის ქალთა დაცვასთან დაკავშირებულ დებულებებს, განსაკუთრებით ორსულობასთან და ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებულ დებულებებს.
2. ეს დირექტივა ხელს არ უშლის 96/34/EC და 92/85/EEC დირექტივების დებულებებს.

## **მუხლი 29**

### **გენდერული მეინსტრიმინგი**

ამ დირექტივაში მითითებულ სფეროებში კანონების, მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციული დებულებების, სტრატეგიების და ღონისძიებების შემუშავებისას და განხორციელებისას წევრი სახელმწიფოები აქტიურად ითვალისწინებენ მამაკაცთა და ქალთა შორის თანასწორობის მიზანს.

### **მუხლი 30**

ინფორმაციის გავრცელება

წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ამ დირექტივის საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებები, უკვე მოქმედ დებულებებთან ერთად, შესაბამის პირთა ყურადღების ცენტრში მოექცეს ყველა სათანადო საშუალებების გამოყენებით, იქ სადაც შესაძლებელია – სამუშაო ადგილებზე.

## **კარი IV**

### **საბოლოო დებულებები**

### **მუხლი 31**

მოხსენებები

1. წევრი სახელმწიფოები, 2011 წლის 15 თებერვლამდე, კომისიას აწვდიან ყველა ინფორმაციას, რომელიც კომისიას ამ დირექტივის შესრულების შესახებ მოხსენების შესამუშავებლად სჭირდება, რომელიც მან უნდა წარუდგინოს ევროპის პარლამენტს და საბჭოს.

2. 1-ლი პუნქტისთვის ზიანის მიყენები გარეშე, წევრი სახელმწიფოები, ყოველ ოთხ წელიწადში, კომისიას აწვდიან ნებისმიერი ღონისძიების ტექსტს, რომელიც მათ ხელშეკრულების 141(4) მუხლის შესაბამისად მიიღეს, ასევე მოხსენებებს ამ ღონისძიებებისა და მათი განხორციელების შესახებ. ამ ინფორმაციის საფუძველზე, ყოველ ოთხ წელიწადში, კომისია დებულობს და აქვეყნებს მოხსენებას, სადაც მოცემულია ნებისმიერი ღონისძიების შედარებითი შეფასება ამსტერდამის ხელშეკრულების საბოლოო აქტზე თანადართული 28 დეკლარაციის შუქზე.

3. წევრი სახელმწიფოები აფასებენ 14(2) მუხლში მითითებულ პროფესიულ საქმიანობებს, რათა, სოციალური განვითარების შუქზე, მიიღონ გადაწყვეტილება არის თუ არა გამართლებული კონკრეტული გამორცხვების შენარჩუნება. ამ შეფასების შედეგების შესახებ ისინი პერიოდულად აცნობებენ კომისიას, მაგრამ არა უგვიანეს ყოველ რვა წელიწადში ერთხელ.

### **მუხლი 32**

გადასინჯვა

არაუგვიანეს 2011 წლის 15 თებერვლისა კომისია გადასინჯავს დირექტივის მოქმედებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში წარმოადგენს სათანადო შესწორებებს.

### **მუხლი 33**

განხორციელება

წევრი სახელმწიფოები, 2008 წლის 15 აგვისტომდე, დებულობენ კანონებს, მარეგულირებელ აქტებს და ადმინისტრაციულ დებულებებს, რომლებიც საჭიროა ამ დირექტივის დასაკმაყოფილებლად, ან ამ თარიღამდე უზრუნველყოფენ მენეჯმენტისა და მუშაკების მიერ ხელშეკრულების სახით ყველა საჭირო დებულებების წარმოდგენას. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, კონკრეტული სირთულეების გათვალისწინების საჭიროების შემთხვევაში, კიდევ ერთი დამატებითი წელი გამოიყენონ ამ დირექტივის შესასრულებლად. წევრი სახელმწიფოები საჭირო ნაბიჯებს დგამენ ამ დირექტივით დაკისრებული

შედეგების უზრუნველსაყოფად. ისინი ამ ღონისძიებების ტექსტებს დაუყოვნებლივ აცნობებენ კომისიას.

ამ ღონისძიებების მიღებისას წევრი სახელმწიფოები მიუთითებენ წინამდებარე დირექტივაზე, ან მათი გამოქვეყნების შემთხვევაში თან ურთავენ ასეთ მითითებას. ისინი ასევე ურთავენ განცხადებას, რომ ეროვნულ კანონებში, მარეგულირებელ აქტებში და ადმინისტრაციულ დებულებებში იმ დირექტივებზე გაკეთებული მითითებები, რომლებიც ამ დირექტივითაა გაუქმებული, განმარტებული უნდა იქნეს როგორც ამ დირექტივაზე მითითება. წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ თუ როგორ გაკეთდეს ეს მითითება და როგორ ჩამოაყალიბონ განცხადება.

ამ დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის ვალდებულება უნდა შემოიფარგლოს იმ დებულებებით, რომლებიც წინა დირექტივებთან შედარებით არსებით ცვლილებებს წარმოადგენენ. იმ დებულებათა ტრანსპოზიციის ვალდებულება, რომლებიც არსებითად არ შეცვლილა, წინა დირექტივებიდან წარმოიშობა.

წევრი სახელმწიფოები ეროვნული კანონმდებლობის ძირითადი დებულებების ტექსტებს, რომლებიც ამ დირექტივით მოცულ სფეროშია მიღებულია.

#### **მუხლი 34**

გაუქმება

1. 2009 წლის 15 აგვისტოდან უქმდება დირექტივები 75/117/EEC, 76/207/EEC, 86/378/EEC და 97/80/EC, რაც ხელს არ უშლის წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის ვადებთან და I დანართის B ნაწილში მოცემული დირექტივების გამოყენებასთან.

2. გაუქმებულ დირექტივებზე გაკეთებული მითითებები უნდა ჩაითვალოს ამ დირექტივის მითითებად და იგი წაკითხულ უნდა იქნეს II დანართის ურთიერთდამაკავშირებელი ცხრილის შესაბამისად.

#### **მუხლი 35**

ძალაში შესვლა

ეს დირექტივა ძალაში შედის ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს.

#### **მუხლი 36**

ადრესატები

ამ დირექტივის ადრესატები არიან წევრი სახელმწიფოები.

შესრულებულია სტრასბურგში, 2006 წლის 5 ივლისს.

ევროპის პარლამენტის მხრიდან

პრეზიდენტი ჯ. ბორელ ფონტელესი

საბჭოს მხრიდან

პრეზიდენტი

პ. ლეტომაკი